ალიოშა ტაბიძე

ნაბიჯები ქიუბანი

ტომი III

„მეცნიერება" • 1986

9(C 41)
63.3(2Г)
9(47.922)
ბ 588

„საისტორიო ძიებანის“ მესამე წიგნში შესულია ავტორის გამოკვლევები როგორც საქართველოს შუა საუკუნეების პოლიტიკური ისტორიის, კერძოდ, დიდგორის ომისა და რუსთაველის ხანის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების შესახებ, ასევე, ძირითადად, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრებისადმი მიძღვნილი წერილები, აქვეა გამოუქვეყნებელი ახალი მასალები და გამოკვლევები გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების შესახებ.

ნაშრომს დიდი ინტერესით გაეცნობიან როგორც სპეციალისტი მკვლევარი ისტორიკოსები, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოება.

სარედაქციო კოლეგია

მ. დუმბაძე (მთ. რედაქტორი), ა. აფაქიძე, რ. მეტრეველი, ნ. შენგელია, ვ. გუჩუა, მ. მესხია.

ტომის რედაქტორი
პროფ. რ. მეტრეველი

ბ $\frac{0505010000}{М\,607(06)-86}$ 252—85

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986

ძლევად საკვირველი

თავი I

წყაროებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

დიდგორის ბრძოლამ და მისმა ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა შედეგმა — თბილისის შემოერთებამ — თავიდანვე მიიქცია როგორც ამ ომის მომსწრეთა, ისე შემდეგდროინდელ ისტორიკოსთა ყურადღება. სწორედ ეს, ძველი თუ ახალი დროის ისტორიკოსთა ნაშრომები, შესაძლებლობას გვაძლევს მეტ-ნაკლებად სრულად წარმოვადგინოთ ამ მრავალმხრივ საინტერესო ბრძოლის სურათი. ამიტომ, ვიდრე თვით ბრძოლის მიზეზებზე, მსვლელობასა და შედეგებზე შევჩერდებოდეთ, საჭიროა ჯერ იმ წყაროების ავკარგიანობასა და სანდოობაზე ვისაუბროთ, რომელზედაც დამყარებული იქნება წინამდებარე ნაშრომი.

დიდგორის ბრძოლის და თბილისის შემოერთების შესახებ წყაროები დაცულია ქართულ, აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე. ყველა მათ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ორიგინალური, ქართული წყაროები იქცევენ. ცხადია, ამა თუ იმ ხალხის ისტორიის შესასწავლად პირველ რიგში იმ ხალხის ენაზე დაცულ მასალებს უნდა მივმართოთ, რომლის ისტორიასაც ვწერთ.

ერთადერთი ორიგინალური პირველწყარო ჩვენი საკითხის შესასწავლად XII ს. პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსის თხზულებაა. ისტორიკოსის ვინაობა — სახელი, გვარი და სხვა — ჩვენთვის დღემდე უცნობია. ამიტომაც ამ ანონიმ ავტორს საქართველოს ისტორიის მკვლევარები პირობითად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს უწოდებენ; მას აღწერილი აქვს დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა. მის თხზულებასაც ასე ეწოდება — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. „ცხოვრება“ ძველ ქართულში „ისტორიის“ შესატყვისად იხმარებოდა. ასე რომ, ანონიმ ავტორს მიზნად დაუსახავს „მეფეთ-მეფე დავითის ისტორიის“ აღწერა. მართალია, ჩვენ არ ვიცით დავითის ისტორიკოსის სახელი, მაგრამ ის კი კარგად ვიცით, რომ იგი დავით აღმაშენებლის უმცროსი თანამედროვე იყო, რომ ის არათუ

მომსწრე, არამედ ხშირ შემთხვევაში მონაწილეც კი ყოფილა ბევრი იმ ისტორიული მოვლენისა, რომელიც აღუწერია. დავითის ისტორიკოსი ერთ-ერთი ბრძოლის, კერძოდ, ერწუხის ომის (1105 წ.) აღწერისას, სხვათა შორის, შენიშნავს: როცა მეფე ომგადახდილი შემობრუნდა კარავში და შეიხსნა ჯაჭვის პერანგის სარტყელი, „მტკნარი, შეყინებული სისხლი დაითხია", რომელსაც „თვით მისგან ვგონებდით გამოსრულადო", ნამდვილად კი, ეს მტრის სისხლი იყო „ხმლით მისით უკუმომდინარე" და დაგროვილი მეფის ჯაჭვის პერანგშიო. როგორც ამ დეტალის აღწერიდან ჩანს, დავითის ისტორიკოსი მეფესთან ისე დაახლოებული პირი ყოფილა, რომ შესაძლებლობა ჰქონია ასეთ მძიმე წუთებშიც მასთან, მის კარავში ყოფილიყო.

დავითის ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლის მომსწრეცა და იქნებ მონაწილეც იყო. იგი არა მარტო ამ ბრძოლას, დავითის გარდაცვალებასაც შეესწრო და მეფის ცხოვრების უკანასკნელი დღეები, გარდაცვალება და დაკრძალვაც დეტალურად აქვს აღწერილი. ასე რომ, იგი თვითმხილველი იყო იმ ისტორიული ფაქტებისა, რასაც დავითის დროს ჰქონია ადგილი. თვითმხილველი ისტორიკოსის ცნობები კი უსათუოდ სანდოა და პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს მკვლევარისათვის.

თვით დიდგორის ბრძოლას დავითის ისტორიკოსი მოკლედ, მაგრამ სავსებით ნათლად აგვიწერს. იგი ჯერ ამ ომის გამომწვევ მიზეზებს ეხება, შემდეგ მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის შექმნისა და მისი (ამ ლაშქრის) მონაწილეობის შესახებ წერს, ბოლოს კი ომის მსვლელობასა და ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებაზე. იქვე მას მოკლედ აქვს განხილული დიდგორის ომის შედეგებიც. ყველა ამ ცნობის შესახებ დეტალურად ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ. აქ კი შევნიშნავთ — თვით ისტორიკოსს იმდენად დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია ქართველთა გამარჯვება ამ ომში, რომ ეს ბრძოლა, მისი სიტყვით, განსაკუთრებული ქებისა და დიდების ღირსია, უფრო მეტისა, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის თუ ძველი დროის სხვა გმირთა მიერ გადახდილი ომები.

დავითის ისტორიკოსი, მართალია, ძალიან მოკლე, მაგრამ თავისთავად საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე თბილისის შემოერთების შესახებაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ცნობები საქართველოს მეფის თანმიმდევრულ ღონისძიებებზე თბილისისა და მისი მოსახლეობის შემოსაერთებლად, დასამორჩილებლად, ან როგორც თვით ისტორიკოსი წერს, „სრულიად შემოსაყენებლად" „უღელსა ქუეშე მორჩილებისასა". ასევე საინტერესოა ისტორიკოსის ცნობა დავითის ღონისძიებებით შევიწროებული თბილისელებისა და

დმანისელების მიერ სათანადო დახმარებისა და მფარველობის ძებნის შესახებ საქართველოს საზღვრებს გარეთ.

დავითის ისტორიკოსი თბილისის აღებისა და შემოერთების ამბავს მხოლოდ ორიოდე სიტყვით მოგვითხრობს. იგი თითქმის არაფერს ამბობს არც შემოერთების შემდეგდროინდელ თბილისში შექმნილ მდგომარეობაზე, მაგრამ მისი ცნობების შევსება ამ მხრივ შესაძლებელია როგორც საკუთრივ ქართული, ასევე განსაკუთრებით უცხოური წყაროების მონაცემებით.

ამას გარდა, როცა მკვლევარი სარგებლობს დავითის ისტორიკოსის თხზულებით, ანგარიში უნდა გაუწიოს იმასაც, თუ როგორ ცდილობდა იგი შეექო თვით მეფე და მის მიერ გადახდილი ბრძოლა, განედიდებინა დავითის პიროვნება და მისი მოღვაწეობის ყოველი მხარე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დავითის ისტორიკოსი არა მარტო მეფის ახლობელი პირი ყოფილა, არამედ მის მომხრეთა დასის აქტიური წევრი და სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის თავდადებული დამცველიც. ისტორიკოსის ასეთი მიკერძოებული დამოკიდებულება მეფისა და მისი პოლიტიკისადმი, ბუნებრივია, დაღს ასვამს ამ საისტორიო თხზულებას და მონათხრობს, იშვიათ შემთხვევაში, ობიექტურობის ელფერს უკარგავს. დავითის ისტორიკოსის ცნობებით სარგებლობისას მკვლევარმა, ცხადია, ესეც უნდა გაითვალისწინოს. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დავითის ისტორიკოსის ფაქტიური მონაცემები დიდგორის ბრძოლაზე ეჭვს არ იწვევს და სავსებით სანდოდ უნდა იქნეს მიჩნეული. ამაში ჩვენ გვარწმუნებს მისი ცნობების შეჯერება სხვა, არაქართულ მსგავს მასალასთან, დიდგორის ომზე არაქართველი ისტორიკოსების ცნობებთან.

დავითის ისტორიკოსის თხზულების გარდა, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში მოთავსებულია ასევე უცნობი, XI ს. ქართველი ავტორის ნაშრომი, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში „ქართლის მატიანის“ სახელითაა ცნობილი. ეს თხზულება შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველოს მეფეებსა და თბილისის ურთიერთობაზე, თბილისის მოქალაქეთა წარმომადგენლების — უხუცესების („ბერების“) — ხელისუფლებასა და საერთოდ, თბილისის მდგომარეობაზე შემოერთების წინ. „ქართლის მატიანის“ ამ და სხვა მსგავსი ცნობების გათვალისწინების გარეშე ბევრი რამ გაუგებარი იქნებოდა დავითის იმ ღონისძიებებიდან, რასაც ის ატარებდა თბილისის მიმართ ქალაქის შემოერთების წინ თუ მის შემდეგ.

ზემოდასახელებული საკითხების გასარკვევად ჩვენ მიერ გამოყენებულია აგრეთვე ქართული დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური და სხვა სახის მასალაც. მაგრამ მარტოოდენ ქართული წყაროები მაინც საკმარისი ვერ იქნებოდა დიდგორის ბრძოლისა და თბი-

ლისის შემოერთების ისტორიის შესასწავლად. ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე არაქართული წყაროც არაერთი მოგვეპოვება. მოკლედ შევეხოთ მათაც.

დიდგორის ბრძოლისა და თბილისის შემოერთების შესახებ ფრიად საინტერესო ცნობები აქვს დაცული XII ს. პირველი ნახევრის სომეხ ისტორიკოსს მატთეოს ურჰაეცის (მათე ურჰაელს) თავისი ნაშრომის— „ეამთააღმწერლობის“ — მესამე ნაწილში, რომელიც 1103—1136 წწ. ამბებს მოიცავს.

მათე ურჰაელის ცნობები ჩვენთვის საინტერესო ბრძოლაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი სისრულით. იგი ვრცლად ჩერდება დიდგორის ომის წინა პერიოდზე, დავითის მიერ შეეიწროებულ თურქ-სელჩუკთა წარმომადგენლების ელჩობაზე სხვადასხვა მაჰმადიან მფლობელებთან, თურქთა კოალიციური ლაშქრის შედგენაზე, და, რაც მთავარია, ამ ლაშქრის რაოდენობის საკითხზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მათე ურჰაელი საინტერესო ცნობებს გვაწვდის თვით საქართველოს მეფის მიერ დიდგორის ბრძოლაში გამოყენილი ლაშქრის რაოდენობასა და შედგენილობაზე. მსგავსი ცნობა არ მოეპოვება არც დავითის ისტორიკოსსა და არც რომელიმე სხვა ავტორს, ვინც კი დიდგორის ომს შეხებია. ურჰაელის ამ ცნობებს ჩვენ ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

დავითის ისტორიკოსის მსგავსად, მათე ურჰაელიც აღფრთოვანებულია დავითის მოღვაწეობითა და მისი ბრძოლებით არა მარტო ქართველთა, არამედ სომეხთა გასათავისუფლებლად. იგი ამბობს, რომ „მეფე დავითი იყო გულადი და ძლიერი სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მან მრავალგზის დაამარცხა უცხო ტომთა ჯარები და გასტეხა მათი ყოველი ძლიერება... და იყო წმიდა და კეთილმოქმედი, შემკული ყოველი ღმერთისმსახურებით და კეთილი სამართლიანობით. იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოყვარე სომეხთა ტომს. მასთან შეიკრიბენ სომეხთა დარჩენილი ჯარები... და ეპყრო დიდი სიხარულითა და შვებით სომეხთა მრავალი ტომი“.

მათე ურჰაელი აღფრთოვანებით ლაპარაკობს აგრეთვე დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის შემოერთებასა, სომეხთა სახელგანთქმული ქ. ანისის უცხოელთა ბატონობისაგან გათავისუფლებასა და ამის შემდეგ დავითის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მათე ურჰაელის ნაშრომი სომხურ ენაზე ორჯერ არის გამოცემული; ამას გარდა, იგი თარგმნილია ფრანგულ ენაზედაც. ამჯერად უკვე მოგვეპოვება მისი თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილების ქართული თარგმანიც, შესრულებული ლ. დავლიანიძის მიერ.

მათე ურჰაელს გარდა, დიდგორის ბრძოლაზე მოკლე ცნობები მოეპოვებათ XII—XIII სს. სხვა სომეხ ისტორიკოსებსაც: სამუელ

ანელს, ვარდან ბარძრბერდელს, სტეფანოზ ორბელიანსა და სმბატ სპარაპეტს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი საინტერესო და თანაც განსხვავებულ ცნობას იძლევა მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობაზე.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ქართველი და სომეხი ისტორიკოსების ცნობები ხშირ შემთხვევაში სავსებით ეთანხმებიან, ან კიდევ, ავსებენ ერთიმეორეს. ყველა ეს ცნობა მაინც იმ ხალხების ისტორიკოსებს ეკუთვნით, რომელნიც დიდი ხნის მანძილზე გაწამებული იყვნენ თურქ-სელჩუკთა ბატონობით და, ბუნებრივია, დავით აღმაშენებლის ყოველ ღონისძიებას ამ საერთო დამპყრობლის წინააღმდეგ ისინი აღფრთოვანებით აღწერდნენ. ამიტომ მათი ცნობები მეფე დავითის ბრწყინვალე გამარჯვებებზე, ერთი შეხედვით, შეიძლება მიკერძოებულად მოგვეჩვენოს.

ასეთ შთაბეჭდილებას სავსებით აქარწყლებს იმ წყაროების განხილვა, რომელიც თვით მაჰმადიან ისტორიკოსებს ეკუთვნით.

თბილისის შემოერთების ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XI ს. შუა და შემდეგი წლების თბილისის მდგომარეობის გათვალისწინებას. მაგრამ სწორედ ამ პერიოდის თბილისზე ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში არაფერია ნათქვამი. ამ დიდი ხარვეზის შევსება ნაწილობრივ მაინც ხერხდება თურქი ისტორიკოსის ა ჰ მ ე დ ი ბ ნ ლ უ თ ფ უ ლ ა ჰ ი ს (მენეჯიმ-ბაშის) ცნობებით. იგი თუმცა XVII ს. ისტორიკოსია, მისი ცნობები XI ს. ამიერკავკასიის მდგომარეობის შესახებ მკვლევართა მიერ სამართლიანად მიჩნეულია პირველხარისხოვან წყაროდ. ეს იმიტომ, რომ მუნეჯიმ-ბაშს თავის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ნაწილში მასალები მოტანილი აქვს XI ს. ისტორიკოსის, ფ ა კ ი ჰ ი ს თხზულებიდან, რომელიც 1075 წ. ყოფილა შედგენილი. ფაკიჰის თხზულება ამჟამად დაკარგულია და იგი მხოლოდ მუნეჯიმ-ბაშის მონაცემების მიხედვით არის ცნობილი. მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ეს ნაწილი თარგმნილია და გამოცემულია ინგლისურ (ვ. მინორსკის მიერ) და რუსულ (ა. მამედოვის მიერ) ენებზე.

ფაკიჰის ცნობები არსებითად ავსებს „ქართლის მატიანის“ მონაცემებს საქართველოს მეფისა და თბილისის მოქალაქეთა ხელისუფლების წარმომადგენლების, „თბილისის ბერების“ ურთიერთობაზე. ამას გარდა, ფაკიჰი ფრიად საგულისხმო მასალებს გვაწვდის თბილისში დამოუკიდებელი საქალაქო თვითმართველობის არსებობაზე შემოერთების წინ.

აღმოსავლურ წყაროთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მაიფარიკინელი არაბი ისტორიკოსის ი ბ ნ ა ლ-ა ზ რ ა კ ა ლ-ფ ა რ ი კ ი ს ცნობები. ალ-ფარიკი, მართალია, არ იყო თვითმხილ-

ველი დიდგორის ბრძოლისა (ამ დროს ის სულ ხუთიოდე წლის იქნებოდა, დაიბადა 1116 წ., გარდაიცვალა 1176 წ. შემდეგ), მაგარმ მას ამ ომის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობები შეუკრებია, როგორც კოალიციურ ლაშქრობაში მონაწილე მაჰმადიან მფლობელთა შორის, ისე საქართველოშიც. ალ-ფარიკი XII ს. შუა წლებში, კერძოდ 1153 წ., ჩამოვიდა საქართველოში, თბილისში და აქ რამდენიმე წელი დაჰყო იმდროინდელი მეფის, დემეტრე პირველის (1125—1156 წწ.), დავით აღმაშენებლის მემკვიდრის სამსახურში. არაბი ისტორიკოსი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო დიდგორის ომის ამბებით და იმ ბრძოლის ადგილიც კი დაუთვალიერებია, სადაც სასტიკად იქნენ დამარცხებული მისი თანამემამულენი. ალ-ფარიკის საქართველოში ყოფნის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო გადმოცემები ამ ბრძოლის შესახებ, ცოცხალი იყო თვით მისი ერთ-ერთი მთავარი მონაწილე დემეტრე პირველი და ზოგიერთი ტყვეც, რომლებიც აქ თურქ-სელჩუკთა დამარცხების შემდეგ დარჩნენ. ალ-ფარიკს ბრძოლის მონაწილეებთან, კერძოდ, მაჰმადიან ტყვეებთან შეხვედრის დიდი სურვილიც გამოუჩენია. აი, რას წერს იგი: „მე თვით ვნახე ბრძოლის ველი, როცა 1153 წ. ჩავედი თბილისში. აფხაზთა მეფის დიმიტრის დავალებით, წავედით თბილისის შიდა ოლქებში. ჩვენ გავიარეთ ტერიტორია, რომელიც 70 დღის სავალს შეადგენს... რამდენიმე დღის შემდეგ ერთ მთასთან მივადექით ვრცელ ველს. ამ მთის ძირს აღმართულია მაღალი ციხე-სიმაგრე და აქ დაბანაკდა მეფე. აფხაზთა მეფემ მითხრა: „აი, ციხეში არის ვიღაც ტყვე ილღაზის ლაშქრიდან, როგორც გათენდება ხვალინდელი დღე, ადი მასთან, ნახე და ჰკითხე, საიდან არის იგი“. მე გადავწყვიტე ასეც მოვქცეულიყავი. მაგრამ იმ ღამეს მეფეს მოუვიდა ცნობა, რომ ზოგიერთი ოლქი აუჯანყდა. მაშინვე დასცეს სალაშქრო ბუკი და მეფე დაიძრა. არ ინება ღმერთმა, რომ ჩვენ შევხვედროდით მას“ (ე. ი. ტყვეს — შ. მ.).

როგორც ალ-ფარიკის ცნობების განხილვიდან ირკვევა, მას ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის, მეფის მიერ გატარებული ღონისძიებების, დიდგორის ომისა და შემდგომ თბილისის შემოერთების შესახებ. ალ-ფარიკის ზოგიერთი ცნობის შედარება დავითის ისტორიკოსის მონაცემებთან სავსებით გვარწმუნებს მის უეჭველობაში. ყოველივე ეს, ცხადია, მას დიდგორის ბრძოლის შესასწავლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ალ-ფარიკის ეს საინტერესო ცნობები, საერთოდ, საქართველოსა და კერძოდ, დიდგორის ბრძოლაზე, დიდი ხანი არ არის, რაც ქართველი (ვლ. ფუთურიძე, გ. წერეთელი) და უცხოელი (ჰ. ამედროზი, ვ. მინორსკი) მეცნიერების წყალობით ცნობილი გახდა მკვლევართათ-

ვის. სწორედ ამ მეცნიერებმა გამოსცეს ალ-ფარიკის თხზულების ეს ადგილები ქართულ, არაბულ და ინგლისურ ენებზე და მნიშვნელოვნად გაამდიდრეს XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორია ახალი მასალებით.

დიდგორის ბრძოლაზე მრავალმხრივ საყურადღებო ცნობები მოეპოვება აგრეთვე არაბ ისტორიკოსს ი ბ ნ-ა ლ-ა ს ი რ ს (1160—1234 წწ.). იგი დიდხანს ცხოვრობდა მოსულში (ერაყი) და ადგილობრივი ამირის სამსახურში იყო. მოსულის ამირას დავალებით იბნ ალ-ასირი ბევრს მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში და ამ მოგზაურობას ისტორიული მასალების შესაკრებად იყენებდა. ამ მასალებზე ააგო მან თავისი თოთხმეტტომიანი ნაშრომი „ისტორიის სრული კრებული", უძველესი დროიდან ვიდრე 1231 წლამდე. იბნ ალ-ასირი უმათვრესად იმეორებს მის წინამორბედ არაბ ისტორიკოსთა ცნობებს, მაგრამ ამასთან ერთად ბევრი ახალი და საინტერესო მასალაც მოაქვს. მაგალითად, დიდგორის ბრძოლისა და მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობაზე მას მოეპოვება ალ-ფარიკის და სხვა ისტორიკოსებისაგან განსხვავებული ცნობები. ამას გარდა, იგი აღწერს ბრძოლის დაწყების ერთ დეტალსაც, რომელიც დავითის მიერ გამოყენებულ ერთ ტაქტიკურ ხერხზე მიუთითებს და რაც არც ერთ სხვა ისტორიკოსს არა აქვს აღნიშნული. იბნ ალ-ასირს ცნობები მოეპოვება ტყვედ ჩავარდნილ მაჰმადიან მოლაშქრეთა რაოდენობაზე და სხვა.

იბნ ალ-ასირის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ნაწილი რუსულად თარგმნილია პ. ჟუზეს მიერ და ცალკე წიგნად გამოიცა „თარიჰი ალ-ქამილის" სახელწოდებით.

წყაროთა შორის ყურადღებას იქცევს აგრეთვე არაბულენოვანი ისტორიკოსის ს ი ბ ტ ი ბ ნ ალ-ჯ ა უ ზ ი ს მოკლე ცნობები დავით აღმაშენებელსა, დიდგორის ბრძოლასა, თბილისის შემოერთებასა და მის შემდეგდროინდელ მდგომარეობაზე. ალ-ჯაუზი XIII ს. პირველი ნახევრის ავტორია. მართალია, მისი ცნობები სისრულითა და აგრეთვე მნიშვნელობითაც ვერ შეედრება ალ-ფარიკის თხზულებაში დაცულ მასალებს, მაგრამ იგი მაინც დარჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ დიდგორის ბრძოლის ზოგი დეტალის აღსადგენად და შემოერთებული თბილისის მუსლიმანური მოსახლეობის მიმართ დავითის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

ალ-ჯაუზის ცნობების არაბული ტექსტი ქართული თარგმანითურთ ცალკე გამოაქვეყნა ო. ცქიტიშვილმა.

იბნ ალ-ასირის „ისტორიის" ცალკეული ნაწყვეტები, რომელნიც საინტერესო ცნობებს შეიცავენ სომხებსა და ქართველებზეც, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაამუშავა და თარგმანების სახით გამოაქვეყნა ცნობილმა ფრანგმა აღმოსავლეთმცოდნემ მ. დეფრემერიმ. აღსანიშნ-

ვია, რომ დეფრემერის მიერ იბნ ალ-ასირის „ისტორიის“ გამოქვეყნებულ ნაწილებს თან ახლავს კომენტარები, რომლებიც ფაქტიურად ნაწყვეტებს წარმოადგენს ძველი არაბი ისტორიკოსების—ალ- ჯ ა უ ზ ი ს და სხვათა — თხზულებებიდან. მ. დეფრემერის მიერ შეკრებილი და დამუშავებული ცნობები ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ქართულად თარგმნა და ჟურნალ „მოამბეში“ გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ივ. მაჭავარიანმა.

ზემოხსენებულ ავტორთა გარდა, დავით აღმაშენებლისა და დიდგორის ბრძოლაზე საინტერესო ცნობები მოეპოვებათ ევროპელებსაც. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დავით მეფის თანამედროვე, ევროპელ ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის აღმწერი ისტორიკოსის გ ო ტ ი ე ს ცნობები. ზოგი მკვლევარის აზრით, გოტიე ფრანგი იყო. მას მონაწილეობა მიუღია პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში და ერთხანს ჯვაროსანთა მიერ დაარსებული ანტიოქიის სამთავროს კანცლერიც კი ყოფილა. ზოგი ცნობით, 1119 წ. ჯვაროსანთა ლაშქრის ერთ ნაწილთან ერთად იგი ტყვედ ჩავარდნილა, მაგრამ 1122 წლიდან განთავისუფლებულა ტყვეობიდან და ისევ გაუგრძელებია მოღვაწეობა ანტიოქიაში. მისი ცხოვრების ბოლო წლები უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ გოტიემ თავისი სიცოცხლის უმთავრესი ნაწილი აღმოსავლეთში გაატარა და კარგად ერკვევა იქ მიმდინარე მოვლენებში. გოტიეს მნიშვნელოვანი მასალები ჰქონია არა მარტო ევროპელ ჯვაროსნებზე, არამედ იმ ბრძოლებზეც, რასაც იმდროინდელი საქართველო აწარმოებდა მაჰმადიანური გარემოცვის წინააღმდეგ. საქართველოს ბრძოლა თურქ-სელჩუკების ბატონობის წინააღმდეგ თავისთავად ეხმაურებოდა ჯვაროსანთა ინტერესებს აღმოსავლეთში და, ბუნებრივია, რომ ჯვაროსნების პირველი ლაშქრობის ისტორიკოსი დაინტერესებული იყო საქართველოს ამბებით და, კერძოდ, დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის განადგურებით. ამიტომაა, რომ გოტიემ თავის ცნობილ ლათინურ ქრონიკაში — „ანტიოქიის ომები“ — მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო დიდგორის ბრძოლას. მართალია, გოტიე თვითმხილველი არ ყოფილა ამ ომისა, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მას საინტერესო მასალები ჰქონია 1121 წ. საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ. რაკი ბევრი რამ გოტიეს ცნობებში გაზვიადებული და საეჭვო ჩანს, მისი მონაცემები უნდა შევუდაროთ სხვა ისტორიკოსთა ცნობებს და მხოლოდ ასეთი კრიტიკული განხილვის შემდეგ გამოვიყენოთ.

დავით აღმაშენებელსა და მის თანადროულ საქართველოზე ცალკეული საინტერესო ცნობები მოეპოვებათ სხვა ევროპელ ავტორებსაც, მაგრამ მათ საგანგებო განხილვას აქ საჭიროდ არ მივიჩნევთ.

როგორც დავინახეთ, დიდგორის ბრძოლაზე მასალები მოგვეპოვება როგორც ქართულ, სომხურ, არაბულ, ასევე ლათინურ ენებზე. და ეს შემთხვევითი არ არის: ამ ომმა თავისი დიდი მნიშვნელობით არა მარტო ქართველ და სომეხ ისტორიკოსთა, არამედ საერთოდ, მთელი მაშინდელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, უკეთ, იმდროინდელი მსოფლიოს ისტორიკოსთა ყურადღება მიიქცია. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა სხვადასხვა ხალხისა და სხვადასხვა რწმენის ისტორიკოსთა მონაცემების ურთიერთშეჯერებით, მათი კრიტიკულად შესწავლით, აღგვედგინა დიდგორის ბრძოლისა და მისი შედეგების მეტ-ნაკლებად სრული სურათი, მეტ-ნაკლებად სრულიო — ვამბობთ იმის გამო, რომ ზემოგანხილული ისტორიკოსები ჩვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე სათანადო პასუხს არ იძლევიან. მათი მონაცემები ყოველთვის არ არის საკმარისი დიდგორის ბრძოლის ყველა მხარის ნათლად და სრულად წარმოსადგენად. ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეეძლო დიდგორის ველის არქეოლოგიურ შესწავლას. იქ ბევრი რამ საინტერესო მიწის ქვეშ არის მოქცეული და დღემდე საიდუმლოებითაა მოცული. ამ საიდუმლოების გახსნა კი, სამწუხაროდ, ჯერჯეობით ვერ მოხერხდა. ბუნებრივია, ყველაფერი ეს ამ ნარკვევსაც დაამჩნევს თავის კვალს — იგი ყოველმხრივი სისრულის პრეტენზიას ვერ განაცხადებს.

* * *

წყაროების მოკლე მიმოხილვის შემდეგ, საჭიროდ ვთვლით ორიოდე სიტყვით მაინც შევეხოთ იმ სამეცნიერო ლიტერატურას, რაც დავით აღმაშენებელსა და, კერძოდ, დიდგორის ბრძოლაზე მოგვეპოვება.

მიუხედავად იმისა, რომ XI ს. მიწურული და XII ს. პირველი მეოთხედი, ე. ი. ის წლები, როცა დავით აღმაშენებელი მოღვაწეობდა, მრავალმხრივ საინტერესო ისტორიული მოვლენებით არის აღსავსე და ფეოდალური საქართველოს ისტორიის ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ პერიოდს წარმოადგენს, იგი დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ხანის შესახებ არც ქართულ და არც სხვა ენებზე არ მოგვეპოვება ვრცელი, საფუძვლიანი გამოკვლევა, მონოგრაფია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი-ისტორიკოსები არ ყოფილან დაინტერესებული დავით აღმაშენებლის დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიებებითა და, კერძოდ, დიდგორის ომით, რომ მათ ამის შესახებ საერთოდ არაფერი დაუწერიათ.

რევოლუციამდე თუ რევოლუციის შემდეგ არაერთი გამოკვლევა გამოქვეყნებულა საქართველოს ისტორიაზე და ბუნებრივია, ასეთ წიგნებში დავით აღმაშენებელს, მის მოღვაწეობას და დიდგორის ომსაც სათანადო ადგილი ეთმობოდა.

პირველი ქართველი მკვლევარი, რომელმაც უმთავრესად ქართული წყაროების საფუძველზე აღწერა დავითის ღონისძიებანი და კერძოდ, დიდგორის ომი, XVIII ს. პირველი ნახევრის სახელოვანი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი იყო. მან თავის „საქართველოს ცხოვრებაში" მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო დიდგორის ომს, საგანგებოდ შეეხო მას დავითის სხვა ღონისძიებებთან ერთად, მაგრამ ვახუშტის დროს საქართველოს ისტორიის წყაროები ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო გამოვლენილ-შესწავლილი და იგი იძულებული გახდა უმთავრესად დავითის ისტორიკოსის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ცნობები გაემეორებინა. სამაგიეროდ, ვახუშტის საინტერესო ცნობები და დაკვირვებები აქვს დავით აღმაშენებლის დროინდელი ქართული ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციაზე, შეიარაღებასა და საერთოდ, სამხედრო ხელოვნებაზე.

ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, მთელი საუკუნის მანძილზე, ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში წინ არ წაწეულა. ვახუშტის მომდევნო ხანის ისტორიკოსები, რომელნიც კი XII ს. პირველ მეოთხედს ეხებიან, ვერ გასცილდნენ დავითის ისტორიკოსისა და ვახუშტის მონაცემებს.

ერთგვარი გარდატეხა ამ მხრივ XIX ს. 30-იანი წლებიდან ხდება, როცა საქართველოს ისტორიისა და კულტურის მეცნიერულ კვლევაძიებას იწყებს ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი მარი ბროსე (1802—1880 წწ.). მან დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს — პირველმა გამოამზეურა და გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის არა მარტო ქართული, არამედ უცხოური წყაროებიც, მათ შორისაა არაერთი საინტერესო მასალა დავით აღმაშენებელზე, დიდგორის ბრძოლასა და თბილისის შემოერთებაზე.

მ. ბროსემ ფრანგულ ენაზე შესრულებულ თავის ნაშრომში — „დამატებანი და განმარტებანი საქართველოს ისტორიის შესახებ" — ნაწყვეტების სახით გამოაქვეყნა სომეხ, არაბ თუ სხვა ისტორიკოსთა ცნობები დიდგორის ომზე. აქვე არის მასალები დავითის მიერ თბილისის შემოერთებასა და ამის შემდეგ ქალაქში შექმნილ მდგომარეობაზე. ეს მასალები ფრიად საინტერესოა დავითის მოღვაწეობისა და მისი პიროვნების შესაფასებლად.

აღსანიშნავია, რომ მ. ბროსემ თავის „საქართველოს ისტორიაში" ამ მასალების, კერძოდ, მათე ურჰაელის ცნობების გამოყენებით მოკლედ განიხილა დიდგორის ბრძოლა და მისი შედეგები.

. დიდგორის ომის შესწავლის შემდგომი საფეხური ქართულ ისტორიოგრაფიაში ეკუთვნის XIX ს. მეორე ნახევრის ცნობილ ქართველ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს. მას, მართალია, დიდგორის ბრძოლაზე საგანგებო გამოკვლევა არ დაუწერია, მაგრამ ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ 1888 წ. გამოცემას დაურთო ფრიად საინტერესო შენიშვნები. სწორედ იქ, სადაც ვახუშტი დიდგორის ომზე საუბრობს, დ. ბაქრაძემ განმარტებების სახით მოიტანა მათე ურჰაელის და გოტიეს ცნობები ამ ბრძოლაზე და ამით კიდევ უფრო გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია ახალი მასალებით. გოტიეს ცნობები ქართულ ენაზე პირველად სწორედ დ. ბაქრაძის მიერ იქნა გადმოთარგმნილი და სამეცნიერო ხმარებაში შემოტანილი.

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დამდეგს არაერთი სამეცნიერო წერილი, წიგნი, ისტორიული პოემა თუ ლეგენდა გამოქვეყნდა დავით აღმაშენებელზე. ყველა მათგანს აქ არ მოვიხსენიებთ. მივუთითებთ მხოლოდ ზოგიერთზე, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს, საერთოდ, XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისა და, კერძოდ, დიდგორის ბრძოლის შესწავლაში. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ნ. ურბნელის (ხიზანიშვილის) ისტორიული მონოგრაფია — „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“, რომელიც 1894 წ. ჟურნ. „მოამბის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. ნ. ურბნელმა იმ დროისათვის მის განკარგულებაში არსებული წყაროების მიხედვით საკმაოდ ვრცლად განიხილა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ყოველი მხარე და მათ შორის დიდგორის ბრძოლაც.

დავით აღმაშენებელზე არაერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს, XIX ს. მიწურულსა და XX ს. დამდეგს, ცნობილ ქართველ ისტორიკოსს მ. ჯანაშვილს; XII ს. საქართველოზე საგანგებო გამოკვლევა გამოაქვეყნა აგრეთვე დ. კარიჭაშვილმა — „საქართველო XII საუკუნეში“, სადაც დიდგორის ომზე არის საუბარი, მანვე წერილი მიუძღვნა საკუთრივ დავით აღმაშენებელსაც. დავით აღმაშენებელს წერილები მიუძღვნეს აგრეთვე ი. ფერაძემ, დ. ღამბაშიძემ, გრ. ყიფშიძემ, ზ. ჭიჭინაძემ და ბევრმა სხვამ. ყველა ამ წერილმა თავის დროზე სათანადო როლი შეასრულა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარის შესწავლაში. მიუხედავად ამისა, XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა და სათანადო შეფასება ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩებოდა.

ისე როგორც საქართველოს ისტორიის ყველა კარდინალური საკითხის, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობისა და, კერძოდ, დიდგორის ომის მეცნიერულ შესწავლაში ახალი საფეხურის შემქმნელია ივ. ჯავახიშვილი. მან ჯერ კიდევ 1914 წ. გამოქვეყნებულ „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო დავით აღმა-

შენებლის მრავალმხრივი ღონისძიებების შესწავლასა და შეფასებას. იქვე განხილული იყო დიდგორის ბრძოლაც. აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილმა საამისოდ, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, გამოიყენა ყველა წყარო, რაც კი იმ დროისათვის ხელმისაწვდომი იყო და ამის საფუძველზე მოგვცა დიდგორის ბრძოლის პირველი მეცნიერული ანალიზი. ამასთანავე, დიდგორის ბრძოლა ივ. ჯავახიშვილმა განიხილა სხვა ისტორიულ მოვლენებთან კავშირში, მოგვცა ამ ბრძოლის მიზეზების მოკლე მიმოხილვა და შედეგების სათანადო შეფასებაც.

ამ საკითხის განხილვისას ივ. ჯავახიშვილის ძირითად წყაროს, დავითის ისტორიკოსის მონაცემებთან ერთად, მათე ურჰაელისა და იბნ ალ-ასირის ცნობებიც შეადგენდა. მათი ურთიერთშეჯერება მკვლევარს შესაძლებლობას აძლევდა, დაედგინა დიდგორის ბრძოლის თარიღი, დაახლოებით მაინც განესაზღვრა მოწინააღმდეგე ლაშქრის რაოდენობა, მისი შედგენილობა და სხვა. შრომაში, სადაც XII—XIII, სს. საქართველოს ისტორიის ყველა ძირითადი საკითხია განხილული, ცხადია, დიდგორის ბრძოლას დიდი ადგილი ვერ დაეთმობოდა — მას მხოლოდ სამიოდე გვერდი მიეძღვნა. აქედან გამომდინარე, დიდგორის ბრძოლის გარშემო ყველა მნიშვნელოვანმა საკითხმა ივ. ჯავახიშვილის ზემოდასახელებულ ნაშრომში სათანადო გაშუქება ვერ პოვა.

მართალია, რევოლუციის შემდეგაც, საბჭოთა პერიოდში, დავით აღმაშენებლისა და დიდგორის ბრძოლის შესახებ საგანგებო გამოკვლევები, მონოგრაფიები არ ყოფილა გამოქვეყნებული, მაგრამ XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის კვლევამ მაინც საგრძნობლად წინ წაიწია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების — ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის — ნაშრომების წყალობით.

ს. ჯანაშიამ საგანგებო სტატია უძღვნა დავით აღმაშენებელს და მოკლედ, მაგრამ სხარტად და თანამიმდევრულად ჩამოაყალიბა დავით IV აღმაშენებლის დროს შექმნილი საგარეო ვითარების ძირითადი მოვლენები, საშინაო ღონისძიებათა და რეფორმათა უმთავრესი შედეგები. ს. ჯანაშიამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ქვეყნის შიგნით არსებულ ძალებს, როგორც დავით IV-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატების უმთავრეს წყაროს. აქვე იგი გაკვრით ეხება დიდგორის ბრძოლის მიზეზებსა და შედეგებს.

დავით აღმაშენებლის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სხვა პრობლემებთან დაკავშირებით, არაერთხელ შეხებია ნ. ბერძენიშვილი და არაერთი საგულისხმო დასკვნაც გაუკეთებია ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ამას გარდა, ნ. ბერძენიშვილმა მისი რედაქციით გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოსათვის დავით აღმა-

შენებლისა და დიდგორის ომისადმი მიძღვნილი პარაგრაფები ხელახლა დაწერა.

დიდი სამამულო ომის წლებში, როცა საბჭოთა არმია გმირულ ბრძოლებს აწარმოებდა გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ, საბჭოთა ისტორიკოსებმა არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნეს ჩვენს სახელოვან წინაპრებზე, დიდ მხედართმთავრებსა და იმ გმირულ ბრძოლებზე, რაც ჩვენმა ხალხმა გადაიხადა უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ამ ნაშრომებმა ფაშისტურ ურდოებთან მებრძოლი საბჭოთა არმიისა და ხალხის წინაშე ისევ გააცოცხლეს გმირი წინაპრების ნათელი სახეები...

ცხადია, არც დავით აღმაშენებელი და მისი სარდლობით გადახდილი ომები ყოფილა დავიწყებული. ა. კიკვიძემ ომის მრისხანე წლებში, 1942 წ. გამოაქვეყნა მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი „დავით აღმაშენებელი". მასვე მიუძღვნა თავისი ბროშურა ს. მაკალათიამ; ომის წლებშივე დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომის შესახებ სპეციალური წერილი გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ. მასში საგანგებოდაა განხილული ერწუხისა და დიდგორის ბრძოლები. ს. კაკაბაძემ ჩვენთვის საინტერესო ბრძოლა უმთავრესად გოტიეს ზემოხსენებული ქრონიკის — „ანტიოქიის ომების" — მიხედვით განიხილა. მართალია, მას დავითის ისტორიკოსისა და მათე ურჰაელის ცნობებიც აქვს მოშველიებული, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც გოტიეს მიანიჭა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმ მცდარი დასკვნებისა, რაც ს. კაკაბაძის ზემოდასახელებული წერილისთვისაა დამახასიათებელი.

დიდგორის ბრძოლას, უმთავრესად აღმოსავლური წყაროების მიხედვით, შეეხო რ. კიკნაძე. მისმა გამოკვლევამ, რომელიც არსებითად შუა საუკუნეების თბილისისადმია მიძღვნილი, დიდგორის ბრძოლის ზოგი საკითხის (კერძოდ, მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის მონაწილეთა) გარკვევაში სინათლე შეიტანა.

უკანასკნელ წლებში დავით აღმაშენებლის მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი რეფორმები საგანგებო შესწავლის საგნად იქცა. ამ საკითხებზე მუშაობს რ. მეტრეველი. მისი შრომა „დავით აღმაშენებელი", სადაც მოკლედ დიდგორის ბრძოლაცაა განხილული, 1965 წ. გამოქვეყნდა. ამას გარდა, რ. მეტრეველმა გამოაქვეყნა საგანგებო სტატია, რომელიც მიეძღვნა დავით IV-ის დროის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხებს. წერილს მნიშვნელოვანი შესწორება შეაქვს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ზოგი ისტორიული მოვლენის დღემდე მიღებულ დათარიღებაში.

დიდგორის ბრძოლა მეცნიერთა კვლევის საგანი გახდა სამხედრო ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისითაც. გასული საუკუნის 80-იან წლებში თ. დადიშკელიანის ვრცელი სტატია — „საქართველოს ~~ბრ.~~

რობა“ — იყო XI—XIII სს. საქართველოს სამხედრო წყობილების შესწავლის პირველი ცდა. ნარკვევში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი დავით აღმაშენებლის დროინდელი სამხედრო ხელოვნებისა და დიდგორის ბრძოლის მიმოხილვას. ამავე საკითხებს მიეძღვნა ი. გედევანიშვილის გამოკვლევა — „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“.

XIII ს. საქართველოს სამხედრო ხელოვნება, საერთოდ, და დავით აღმაშენებლის სამხედრო მოღვაწეობა, კერძოდ, ქართველ საბჭოთა ისტორიკოსთა კვლევის საგანიც გახდა. XII ს. სამხედრო წყობილების საკითხს საგანგებო მოხსენება მიუძღვნა ვ. დონდუამ; შ. ბადრიძემ საკუთრივ დიდგორის ომი განიხილა სამხედრო ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით. მასვე ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო გამოკვლევა ჯვაროსნულ თქმულებებზე დავით აღმაშენებლის შესახებ და ნარკვევი „ჯვაროსნები და საქართველო“.

აღსანიშნავია, რომ დიდგორის ომი, როგორც საერთოდ მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში, შეფასებულია სამხედრო ხელოვნების ისტორიის თანამედროვე რუსი სპეციალისტების მიერაც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს პოლკოვნიკის, პროფ. ა. სტროკოვის ამ ათიოდე წლის წინათ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი „სამხედრო ხელოვნების ისტორია“, სადაც სათანადო ადგილი აქვს დათმობილი დიდგორის ბრძოლის აღწერასა და მისი ტაქტიკური მხარის განხილვას.

დიდგორის ბრძოლა ქართულსა და უცხოურ ისტორიოგრაფიაში განიხილებოდა მსოფლიო ისტორიის იმდროინდელ ღირსშესანიშნავ მოვლენებთან, კერძოდ, ჯვაროსანთა ომებთან კავშირშიც. მაგალითად, ზ. ავალიშვილი ნარკვევში — „გარშემო ერთი ომისა“ — დიდგორის ბრძოლას სწორედ ამ თვალსაზრისით შეეხო და შეიძლება ითქვას, საკმაოდ სწორად უჩვენა ის არსებითი განსხვავება, რომელიც ამ ორ ისტორიულ მოვლენას — ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლებსა და ჯვაროსნების დამპყრობლურ ომებს — შორის არსებობდა. ამ მხრივ ქართველი მკვლევარის პოზიცია სამართლიანად უპირისპირდება იმ უცხოელ ისტორიკოსებს (მაგ., ბ. კუგლერსა და სხვებს), რომელნიც დიდგორის ბრძოლას ჯვაროსნების მიერ აღმოსავლეთში წარმოებულ დამპყრობლურ ომებთან კავშირში, ერთ სიბრტყეზე განიხილავენ.

დავით აღმაშენებელი და დიდგორის ბრძოლა არამარტო ისტორიკოს მკვლევართა ყურადღებას იქცევდა, იგი არაერთხელ ყოფილა ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატების შემოქმედების წყაროც. იმდენად მიმზიდველი ჩანდა ეს ისტორიული თემა, რომ არათუ მწერლებს, ზოგჯერ თვით ისტორიკოსებსაც კი უცდიათ მეცნიერული კვლე-

ვა-ძიება მხატვრულ სახეებში გადმოეცათ. ცნობილმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა ვრცელი პოემა უძღვნა დავით აღმაშენებელსა და დიდგორის ბრძოლას. ბევრი სხვაც დაიწერა მოთხრობის, ლექსის, პოემისა თუ ლეგენდის სახით. მაგრამ დიდი მხატვრული ტილო დავით აღმაშენებელზე კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა. მხატვრული სიტყვის დიდოსტატმა ძველი საქართველოს დიდ სახელმწიფო მოღვაწეს ოთხწიგნიანი რომანი უძღვნა; მეოთხე წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდგორის ბრძოლას დაუთმო და ეს ისტორიული მოვლენა, უმთავრესად დავითის ისტორიკოსის, ალ-ფარიკისა და გოტიეს ქრონიკების მიხედვით, მხატვრულად აღწერა. დიდგორის ბრძოლის ამბების დიდი სიზუსტით გადმოცემის მიზნით, ავტორმა საჭიროდ მიიჩნია ნაშრომის ამ ნაწილისათვის თვით პირველწყაროთა თარგმანები და ორიგინალური ტექსტებიც კი დაერთო.

უკანასკნელ ხანებში, კერძოდ, ჩვენი ბროშურის — „დიდგორის ბრძოლის“ — გამოცემის (1965 წ.) შემდეგ დაბეჭდილ წერილთა და საგანგებო გამოკვლევათა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ კ. ს ა ლ ი ა ს სტატია —„ რამდენიმე ფურცელი საქართველოს ისტორიიდან“, რომელიც დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ჟურ. „ბედი ქართლისას“ ოცდამეშვიდე ნომერში. წერილის საგანგებო პარაგრაფი დათმობილი აქვს დიდგორის ბრძოლას. ავტორი დიდგორის ამბებს სწორედ იმ წყაროების მიხედვით მოგვითხრობს, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ; კერძოდ, მის მიერ გამოყენებულია გოტიეს, დავითის ისტორიკოსის და სხვ. ცნობები ამ ბრძოლის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კ. სალია სპეციალურად შეეხო აგრეთვე დავითისა და საკმაოდ მოარული თქმულების გმირის, მეფე-პრესვიტერის, იოანეს იგივეობის საკითხს.

ამ უკანასკნელი 5—6 წლის მანძილზე, მართალია, დიდგორის ბრძოლისა და თბილისის შემოერთებისადმი საგანგებოდ მიძღვნილი გამოკვლევა არ დაბეჭდილა, მაგრამ გამოქვეყნდა ცალკეულ ავტორთა (ვ. გაბაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ნ. შენგელია, გ. კიღურაძე, ვ. კოპალიანი, ნ. ასათიანი, მ. ეფრემიძე, ი. ბერაძე, ქ. ჩხატარაიშვილი და სხვ.) გამოკვლევები, სადაც სხვასათან ერთად აღძრულია დავითის დროის საქართველოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის საკითხები და ამდენად, მეტ-ნაკლებად ეხმაურებიან ჩვენთვის საინტერესო პრობლემებს.

1978 წ. დიდგორის ბრძოლის 850 წლისთავს გამოეხმაურა ჩვენი საზოგადოებრიობა და ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ცენტრალურსა და ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა ლ. გოთუას, რ. მეტრეველის, შ. ბადრიძის, თ. კახიანის, მ. ჯანგიძის და სხვათა წერილები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დიდგორის ბრძოლის შესწავლისა და მისი მნიშვნელობის პროპაგანდის საქმეში.

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებამ საგანგებო საჯარო სხდომა მიუძღვნა დიდგორის ბრძოლის 850 წლისთავს და მოისმინა ივ. შაიშმელაშვილისა და ქ. ჩხატარაიშვილის მოხსენებები. პირველმა დიდგორის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით განიხილა, ქ. ჩხატარაიშვილი კი შეეხო დიდგორის ბრძოლის მიზეზებსა და შედეგების ისტორიულ მნიშვნელობას.

ზემოდასახელებული წყაროები სათანადოდ გათვალისწინებულია წინამდებარე სამეცნიერო-პოპულარულ მონოგრაფიაში. ამას გარდა, საქართველოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური ვითარებისა თუ დავითის მიერ გატარებულ რეფორმათა და ღონისძიებათა შესასწავლად გამოყენებულია სხვა რიგის წყაროებიცა და აგრეთვე ქართველ, რუს და უცხოელ ავტორთა გამოკვლევები, მაგრამ მათი ჩამოთვლა და განხილვა წინამდებარე ნაშრომში საჭიროდ არ ჩავთვალეთ. ასევე, ამ ნაშრომის პროფილისათვის შეუფერებლად მივიჩნიეთ ზოგი ჩვენი დაბეჯითებით გამოთქმული თვალსაზრისის (მაგ., დავითის რეფორმებზე ფეოდალური მონარქიის სამოხელეო წყობილებაში და სხვ.) დასამტკიცებლად სათანადო წყაროების მონაცემების ანალიზი და საბუთების მოშველიება. მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი, სხვებისაგან განსხვავებული შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხზე ყოველთვის ავტორის მიერ უკვე ჩატარებული კვლევა-ძიებით მიღებულ შედეგებზეა დამყარებული.

როგორც მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი მოიპოვება დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანისა და ამ დროს გადახდილი ომების შესახებ, მაგრამ მაინც დიდგორის ბრძოლა და მისი შედეგები, ისე როგორც თვით იმდროინდელი მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი რეფორმები და ღონისძიებანი, დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. ამ ხარვეზების ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად ეს მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი.

თავი II

საქართველო დიდგორის ბრძოლის წინ

1. ბაბრატ III-დან დავით IV-მდე

დიდგორის ბრძოლა განაპირობა XI ს. და XII ს. პირველი მეოთხედის ფეოდალური საქართველოს საშინაო და საგარეო პირობებმა. ამიტომ, სანამ თვით დიდგორის გმირულ ეპოპეას შევეხებოდეთ, სა-

ჭიროა გავეცნოთ იმ ვითარებას, რაც იმდროინდელ საქართველოში შეიქმნა და რამაც წარმოშვა ამ ბრძოლის მიზეზები.

XI ს. და XII ს. პირველი მეოთხედი საქართველოს ისტორიაში მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენით აღინიშნა. XI ს. დამდეგისათვის საქართველო, მისი აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი, რომელიც მანამდე ცალკე პოლიტიკურ ერთეულებს ქმნიდა, უკვე ძირითადად გაერთიანებული იყო. ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიას საფუძველი შეუქმნა იმდროინდელმა სოციალურმა და ეკონომიკურმა პირობებმა, ფეოდალიზმის განვითარების ახალმა საფეხურმა, მისმა მოწიფულობამ, რაც სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებაში გამოიხატა.

ქვეყნის ახალი ეკონომიკური აღმავლობის ნიადაგზე აღმოცენებული ერთიანი საქართველო თანდათან ძალას იკრებდა. მაგრამ მის ზრდა-განვითარებასა და გაძლიერებას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ ძლიერნი იყვნენ გაერთიანების საწინააღმდეგო ძალები — დიდგვარიანი ფეოდალები, რომელნიც ერთიან სამეფო ხელისუფლებაში თავიანთი პრივილეგიებისა და დიდი ხნის წინათ მოპოვებული მდგომარეობისა და უფლებების შემზღუდველ ძალას ხედავდნენ. ამიტომაც ყოველნაირად უპირისპირდებოდნენ და ყველა საშუალებით ებრძოდნენ მას.

ქვეყნის გარეთაც არაერთი ძალა იყო, რომელიც ფეოდალური მონარქიის გაძლიერებას დაუპირისპირდა. ჯერ ერთი, არაბი დამპყრობლები, რომლებიც აქ VII ს. მეორე ნახევრიდან გაჩნდნენ, საქართველოს, მის ზოგ (უკვე მცირე) ნაწილს მაინც, თავიანთ კუთვნილებად მიიჩნევდნენ; მეორეც, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მეზობელი — ბიზანტიის იმპერია — ჩვენს ქვეყანას ვასალობის ხელს ადებდა და ყოველნაირად ცდილობდა ქართველი მეფეები თავისი კარის მოხელეებად, თავისი ნება-სურვილის შემსრულებლებად გაეხადა. საამისოდ ბიზანტია არ ერიდებოდა არც საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას, არც უხვ საჩუქრებსა და მაღალი საკარისკაცო ტიტულების მიკუთვნებას ქართველი მეფეებისათვის, არც დიდგვარიანი ფეოდალების მოსყიდვა-გადაბირებასა და სხვა მუხანათური ხერხების გამოყენებას.

ახლად წარმოშობილ საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ძალების მაქსიმალურად დაძაბვა სჭირდებოდა, რათა ალღო აეღო შექმნილი რთული საშინაო და საგარეო პირობებისათვის. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ მესამის (975—1014 წწ.) მკვეთრმა ღონისძიებებმა გამარჯვება მოუპოვეს ქვეყნის ერთიანობის მომხრე ძალებს. სამეფო ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა თავკერძობას შეჩვეულ ქართლის ერისთავებსა და ერისთავთ-ერისთავებს თუ კლარჯეთის მცირე ხელმწიფეებს. ბაგრატ მესამემ

ზოგი მათგანი, მათ შორის თავისი უახლოესი ნათესავებიც კი, სავსებით მოსპო, ზოგი კიდევ, ამა თუ იმ კუთხის მემკვიდრეობითი მფლობელები (მაგალითად, კლდეკარის მფლობელები) თავის მოხელეებად, მეფის ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ერისთავებად აქცია. ამასთანავე, ჰერეთ-კახეთის შემოერთებითა და თბილისის საამიროს ტერიტორიის თანდათან შეზღუდვით ბაგრატ მესამემ ახლად წარმოშობილი საქართველოს სამეფოს ავტორიტეტი დიდად აამაღლა მის მეზობელ სახელმწიფოთა თვალში. ამიტომაც იყო, რომ ბაგრატ მესამე ზოგ მის თანამედროვე ისტორიკოსს არა მარტო საქართველოს თვითმპყრობელ მეფედ, მთელი კავკასიის „ნებიერად განმგებლადაც“ მიაჩნდა.

ქვეყნის შინაგანი ურთიერთობის, მისი სიძლიერის განმტკიცების, ე. ი. საშინაო პრობლემების ძირითადად გადაწყვეტის შემდეგ, სამეფო ხელისუფლებას საგარეო საქმეების, კერძოდ, ბიზანტიასთან ურთიერთობის მოწესრიგებისათვისაც უნდა ეზრუნა; ბიზანტიას უნდა ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდამოდ ეღიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას შეალია თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ბაგრატ მესამის „მგზნებარე, მაგრამ წარუმატებელმა მემკვიდრემ“ გიორგი პირველმა. მისი მეფობის წლები (1014—1027 წწ.) ბიზანტიასთან გამუდმებული ომების წლები იყო. მართალია, ამ ბრძოლაში საქართველომ გადამწყვეტ წარმატებებს ვერ მიაღწია, მაგრამ ბიზანტიის იმპერიამ ნათლად დაინახა, რომ საქართველოს სახით მის მეზობლად იზრდებოდა ძლიერი, არა მარტო თანატოლობისათვის, არამედ პირველობისათვის მებრძოლი სახელმწიფო.

ბიზანტიასთან ომში გიორგი პირველის ცალკეული წარმატებების მიუხედავად, ქართული ფეოდალური მონარქიის საგარეო ურთიერთობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩებოდა. ამასთანავე, გიორგი პირველის მიერ მხოლოდ საგარეო საკითხებისადმი ყურადღების გამახვილებამ ზიანი მოუტანა პროგრესულ ძალებს და შეასუსტა ქვეყნის ერთიანობა — კახეთ-ჰერეთი ისევ განუდგა ერთიან სამეფოს და თითქმის მთელი საუკუნე დასჭირდა მის ხელახლა შემოერთებას. ისევ განზე დაიწყეს ყურება ბაგრატ მესამის მიერ დამორჩილებულმა ერისთავებმა და ერთიანი საქართველოს მესამე მეფის — ბაგრატ მეოთხის — დროს (1027—1072 წწ.) უკვე აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს სამეფო ხელისუფლებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა კლდეკარის იმდროინდელი ერისთავი ლიპარიტი, რომელსაც ბიზანტიაც უმაგრებდა ზურგს. ასე რომ, ბაგრატ მეოთხის წინაშე ისევ ახალი სახით აღიმართა მის წინამორბედთა დროს არსებული ყველა სიძნელე.

სამეფო ხელისუფლების მომხრეთა ძალების განმტკიცების მიზნით, ბაგრატ მეოთხემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აღმავლობის გზაზე შემდგარ ქალაქებს. ქალაქების მოსახლეობა — ვაჭრები

და ხელოსნები — ფეოდალური დაქსაქსულობის საწინააღმდეგო ძლიერ ძალად იქცეოდა; გაძლიერებული ქალაქები კი მეფის მოკავშირედ გამოდიოდნენ. ამან განაპირობა ბაგრატ მეოთხის მიერ წლების მანძილზე წარმოებული ბრძოლა თბილისის შემოსაერთებლად, ზრუნვა ახალი სამეფო ქალაქების დასაარსებლად (მან დაარსა ქ. ატენი), ძველთა გასაძლიერებლად და სამეფოდ გადასაქცევად. ასეთმა და სხვა მსგავსმა ღონისძიებებმა თავისი ნაყოფიც გამოიღო: ოცწლიანი ბრძოლის შემდეგ ბაგრატ მეოთხემ კლდეკარის ერისთავი დაამარცხა, კახეთ-ჰერეთზე თავისი გავლენა გააძლიერა — კახეთ-ჰერეთის მეფეებმა საქართველოს მეფის ყმობა აღიარეს. შედარებით მოწესრიგდა ბიზანტიასთან ურთიერთობაც. ქვეყანა მოშენების გზას დაადგა, მეფის ხელისუფლებაც თანდათან ძლიერდებოდა. მაგარმ ამასთანავე სამეფო ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბევრი საშინაო საქმე რჩებოდა მოუწესრიგებელი. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა ეკლესია, რომელიც თანდათან ჩამოშორდა საქართველოს გაერთიანების საერთო საქმეს და ხშირ შემთხვევაში, დაუპირისპირდა კიდეც მას. ეს იმიტომ, რომ ეკლესია მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვარიანთა თავშესაფარად იქცა. მაღალი საეკლესიო თანამდებობანი მათ ან მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული, ან კიდევ, დიდი თანხების გაღებით ნაყიდი. საეკლესიო თანამდებობებს ზოგჯერ თვით მეფეც ჰყიდდა. ამიტომ იყო, რომ მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე სავსებით უღირსი პირები აღმოჩნდნენ, რომელნიც სახელმწიფო საქმეებზე კი არ ზრუნავდნენ, არამედ პირად გამორჩენასა და გამდიდრებაზე. თანამდებობებსაც ამისთვის იტაცებდნენ და იძენდნენ, ასე რომ, ახლად წარმოშობილ სამეფო ხელისუფლებას, საეროსთან ერთად, სასულიერო ფეოდალების რეაქციული წრეც უპირისპირდებოდა. ყველაფერ ამას კარგად გრძნობდნენ იმდრინდელი პროგრესული საეკლესიო მოღვაწენი და არსებული ვითარების გამოსწორებისათვის ღონისძიებებსაც სახავდნენ.

XI ს. საქართველოს დიდმა მოღვაწემ, გიორგი ათონელმა ბაგრატ მეოთხეს კატეგორიულად მოსთხოვა საეკლესიო სფეროში გადამჭრელ ღონისძიებათა გატარება. მაგრამ ძლიერ საერო ფეოდალებთან მრავალწლოვანი ბრძოლით მოქანცულ სამეფო ხელისუფლებას იმხანად საამისო ძალა აღარ შესწევდა. ამას ზედ დაერთო საგარეო ვითარების გამწვავებაც, აღმავლობის გზაზე შემდგარ ქვეყანას ახალი, საშიში დამპყრობლები დაემუქრნენ.

ესენი თურქ-სელჩუკები იყვნენ.

ოღუზთა მოდგმის თურქულ ტომებს, რომლებიც შუა აზიიდან დაიძრნენ, სათავეში სელჩუკების საგვარეულო ედგათ და ამიტომ ისინი თურქ-სელჩუკებად იწოდებოდნენ. XI ს. პირველ ნახევარში თურ-

ქები მახლობელ აღმოსავლეთს შეესიენ, დაიპყრეს ირანი, ხოლო შემდეგ სომხეთის უდიდესი ნაწილიც მიიტაცეს. 1065 წლიდან თურქთა სულთანმა ორჯერ ილაშქრა საქართველოში — ჯერ სამხრეთ საქართველო ააოხრა, შემდეგ კი ქართლი და არგვეთი. იგი ჩვენი ქვეყნისაგან მორჩილებასა და ყოველწლიურ ხარკს მოითხოვდა; მართალია, ბაგრატ მეოთხის მეფობის წლებში ქართველმა ხალხმა თავდადებული ბრძოლით თავიდან აიცილა მძიმე სათურქო ხარკი, მაგრამ თურქთა თანდათან გაბატონება გარდუვალი ხდებოდა.

თურქები მახლობელ აღმოსავლეთში განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდნენ, რაც ქრისტიანულმა ბიზანტიამ 1074 წ. ხელშეკრულებით აღმოსავლეთის ქვეყნების უდიდესი ნაწილი სელჩუკებს დაუთმო და საქართველო ამ ძლიერი დამპყრობლის წინაშე მარტო დატოვა. მართლაც, 1080 წლიდან ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გაძლიერდა თურქთა შემოსევა-ჩამოსახლებანი, დაიწყო „დიდი თურქობა". ამ დროს საქართველოში უკვე გიორგი მეორე მეფობდა (1072—1089 წწ.).

ქვეყანას დიდი განსაცდელი დაემუქრა. მეჯოგე-მომთაბარე თურქების გაბატონება საქართველოს ნოყიერ მიწა-წყალზე განვითარებული ფეოდალური სოფლის მეურნეობის სრულ მოშლას ნიშნავდა. თურქებმა საძოვრებად აქციეს ქართველი გლეხის სახნავ-სათესი და საბაღვენახე ადგილები. მატერიალური დოვლათის შემქმნელი, მწარმოებელი მოწყდა თავის მარჩენალს — მიწას... თურქ-სელჩუკების მიერ აყრილი გლეხობა იძულებული გახდა მთებს შეხიზნოდა. განვითარებული ფეოდალური ქვეყნის ეს დიდი ტრაგედია შესანიშნავად ასახა ამ ამბების თანამედროვემ, ჩვენ მიერ ზემოხსენებულმა დავითის ისტორიკოსმა; აი, რას წერდა იგი: „არ იყო ამ დროს თესვა და მკა. ქვეყანა მოოხრდა და ტყედ გადაიქცა. კაცთა ნაცვლად მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნენ მასში. და ქვეყნის ყოველ მკვიდრთა შორის იყო ჭირი მოუთმენელი, შეუდარებელი და აღმატებული ოდესმე მომხდარ თუ გაგონილ აოხრებისაგან... [მტრებმა] არ შეიწყალეს მოხუცებულნი, შეაგინეს ქალწულნი, ამოწყვიტეს ჭაბუკები, ხოლო ჩვილნი მოიტაცეს... ნაკადულთა ნაცვლად სისხლის მდინარენი რწყავდა ქვეყანას". ასე განადგურდა მწარმოებელი მოსახლეობა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, თურქებმა ამოწყვიტეს ისინიც კი, ვინც „დარჩენილი იყო ტყეში, კლდეებსა, ქვაბებსა თუ ხვრელებში...", ხოლო თუ ვინმე იყო მთებსა და სიმაგრეებს შეხიზნული, ზამთრის სიფიცხემ, უსახლკარობამ და შიმშილმა ამოხოცა.

იმ დროისათვის მახლობელ აღმოსავლეთში, საერთოდ, და კერძოდ კი, ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება — სომხეთის დაპყრობა ჯერ ბიზანტიელების, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკების მიერ და წვრილ

სომხურ სამეფოთა ზედიზედ გაუქმება, შირვანისა და არანის თურქთა თარეშის ასპარეზად გადაქცევა, ბიზანტიის დამარცხება თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში ანუ „ბერძენთა ძალის შემცირება“ — აიძულებდა საქართველოს იმდროინდელ მეფეს გიორგი II-ს თურქებთან მოლაპარაკება გაემართა და მძიმე სათურქო ხარკის საფასურად ქვეყნისათვის ერთგვარი მშვიდობა მოეპოვებინა.

ამიტომ იყო, რომ გიორგი II, ამიერკავკასიის ქვეყნების სხვა სახელმწიფოებთან (სომხეთის კათალიკოსი ბარსელი, ლორე-ტაშირის მეფე კვირიკე) ერთად, იძულებული გახდა თვით ხლებოდა სულთან მალიქ-შაჰს ისპაჰანში. სულთანმა, მართლაც, საქართველო თითქოს „გაათავისუფლა ზედამარბეველთაგან“, ე. ი. თურქ-მარბიელთა დალაშქვრისაგან, მაგრამ სამაგიეროდ, „ხარაჯა (ხარკი) ითხოვა“, რომელსაც „აიღებდა ჟამთა მრავალთა“. ეს ყოველწლიური სათურქო გამოსაღები, ცხადია, ისედაც გაწამებულ გლეხობას უნდა ეხადა, რაც კიდევ უფრო აჩანაგებდა მას.

ამას გარდა გიორგი II-ისა და სულთნის სამშვიდობო მოლაპარაკებას არ მოჰყოლია ქართლსა და კახეთში დამკვიდრებულ თურქთა გასხმა ამ ადგილებიდან. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, ჩამოსახლებული თურქების აქედან აყრა, „მათი გასხმა და ვნება“ არავის შეეძლო, თვით სულთანსაც კი.

ფრიად მძიმე იყო „დიდი თურქობის“ შედეგები საქართველოსათვის, მეურნეობის ის სისტემა — მომთაბარული მეჯოგეობა, რომელსაც თურქ-სელჩუკები ნერგავდნენ, ანადგურებდა განვითარებული ფეოდალური ქვეყნის ინტენსიურ სოფლის მეურნეობას, მათი განუწყვეტელი შემოსევები კი ანგრევდა ქალაქებს, აქვეითებდა ვაჭრობასა და ხელოსნობას. აღმავლობის გზაზე შემდგარ ქალაქთა ერთი ნაწილი თურქების ხელში აღმოჩნდა. ყველაფერი ეს საფუძველს ურყევდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას, დაცემისა და გადაგვარებისაკენ მიაქანებდა მას.

თურქთა შემოსევებმა და გაბატონებამ საგრძნობლად დაასუსტა სამეფო ხელისუფლება და გაზარდა მის მოწინააღმდეგეთა ძალები. დიდგვარიანებმა გიორგი მეორეს „ქვეყანა აუშალეს“ და სამეფოს ერთიანობას საფრთხე შეუქმნეს. მათი ერთი ნაწილი თურქებს მიუვიდა და დამპყრობელს ქვეყნის შიგნით არაერთი ციხე-სიმაგრე გადასცა. ამასთანავე, კახეთის მეფემ, რომელიც ბაგრატ მეოთხის დროს საქართველოს მეფის ყმობას აღიარებდა, არა მარტო უკუაგდო მისი მორჩილება, არამედ მაჰმადიანობაც მიიღო და მადლიერი სულთნისაგან კახეთიც დაიმკვიდრა. გიორგი მეორის ცდა კახეთის შემოსაერთებლად სავსებით უნიადაგო აღმოჩნდა. ამასთანავე, სამეფო ხელისუფლებას არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია დამპყრობლებისათვის. ყოველივე ამან

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხს გული გაუტეხა და თურქთა უძლეველობის რწმენა შეუქმნა. მეურნეობას მოწყვეტილი ხალხი ბრძოლის პასიურ ფორმებზე გადავიდა — მტერს გაეცალა და მთებსა და ციხეებს შეეხიზნა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა“.

ამრიგად, „დიდმა თურქობამ“ არა მარტო ქვეყნის ერთიანობა დააზიანა, არამედ ქართველობის, მისი სოციალური და ეკონომიკური წყობის სრული მოშლისა და გადაშენების რეალური საფრთხე შექმნა. ასეთი განსაცდელის ჟამს არ ჩანდა ფეოდალურ ქაოსში წესრიგის დამნერგავი მაორგანიზებელი ძალა, ქვეყნის სათავეში დასუსტებული სამეფო ხელისუფლება იდგა. ყველაფერ ამას კარგად ხედავდნენ იმდროინდელი პროგრესული მოღვაწენი და როგორც ჩანს, სათანადო გეგმებს ამუშავებდნენ ქვეყნის გამოსაყვანად საშინაო და საგარეო პოლიტიკური კრიზისიდან. ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილიც ამჯერად გიორგი II-ის მოწინააღმდეგე ჩანდა. გაისმა მეფის მოღვაწეობით უკმაყოფილოთა ხმები — გიორგი II-ს უფრო ამქვეყნიური განცხრომისადმი მიდრეკილებაში, დიდგვარიანთა ოპოზიციისადმი ლოიალობასა და საერთოდ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში სისუსტის გამოჩენაში სდებდნენ ბრალს. მეფის მმართველობით უკმაყოფილოთა დასის ერთ-ერთი წევრი, როგორც ჩანს, დავითის ისტორიკოსიც იყო, რომელმაც შემდეგ ასე მუქი ფერებით დაგვიხატა გიორგი II-ის მეფობა.

ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა სამეფო კარზე გადატრიალება მოახდინა — გიორგი II აიძულა ტახტზე უარი ეთქვა და თავისივე შვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თექვსმეტიოდე წლის, მაგრამ დიდი სახელმწიფო საქმეებისათვის სავსებით მომზადებული, დავითი გაემეფებინა: „თვით მამამან დაადგა გუირგუინი მეფობისაო“ — წერდა დავითის ისტორიკოსი. ეს მოხდა 1089 წ. ამის შემდეგ გიორგი II-მ საკმაო ხანს (ზოგი მკვლევარის ვარაუდით, 20 წელს) იცოცხლა, მაგრამ სახელმწიფოებრივ საქმეებში აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებდა, თუმცა „მეფეთა-მეფედაც“ კი იწოდებოდა.

2. დავით IV აღმაშენებლის საშინაო ღონისძიებები და რეფორმები

XI ს. მიწურულს საქართველოში შექმნილი საშინაო და საგარეო ვითარება სამეფო ხელისუფლებისაგან გადამწყვეტი და ეფექტური ზომების მიღებას მოითხოვდა. დავით მეოთხემ, როგორც დიდმა პიროვნებამ, და მის ირგვლივ შემოკრებილმა სახელმწიფო მოღვაწეთა დასმა კარგად განჭვრიტეს ისტორიული მოვლენების განვითარების

პერსპექტივები და მრავალმხრივი ღონისძიებებით ყოველნაირად ხელი შეუწყვეს მათ შემდგომ კანონზომიერ განვითარებას, პროგრესის საქმეს.

საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ პირველი რიგის ამოცანად თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა მიიჩნია. დავითის მეფობის პირველი წლები არსებითად შეეწირა საამისო მოსამზადებელ მუშაობას და თურქების მიერ შეშინებული, ტერორიზებული, მთებს, გამოქვაბულებსა და ციხეებს შეხიზნული მოსახლეობის დაშოშმინებას.

მეფემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ერთგული საშუალო და წვრილი აზნაური-მოლაშქრეები და თურქთა მცირე რაზმებს ბრძოლები იქ გაუმართა, სადაც გამარჯვება უეჭველი იყო. ხალხში თურქების უძლეველობის რწმენა თანდათან გაქრა და გამხნევებულმა მოსახლეობამ ბარად ჩამოსვლა იწყო: გლეხობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა თავის მამაპაპეულ კარ-მიდამოს, ისევ იწყებოდა ხვნა-თესვა.

ამავე დროს, საგარეო მოვლენებიც საქართველოს მეფის სასარგებლოდ ვითარდებოდა: 1092 წ. გარდაიცვალა თურქთა დიდი სულთანი მალიქ-შაჰი. მის მემკვიდრეთა შორის ტახტისათვის გაუთავებელი და დაუნდობელი ბრძოლა ატყდა; სელჩუკთა დიდი სახელმწიფო თანდათან დაიშალა და ახლად წარმოქმნილი, ურთიერთ ბრძოლაში გართული პოლიტიკური ერთეულები საქართველოსათვის ძველებურად ვეღარ იცლიდნენ.

შინაბრძოლებით დაოსებული თურქების წინააღმდეგ სწორედ ამ დროს, ვითომდა „ქრისტეს საფლავის“ გასათავისუფლებლად, დასავლეთ ევროპიდან დაიძრნენ ე. წ. ჯვაროსნები. ევროპელთა ეს ლაშქრობა, ახლო აღმოსავლეთის მიწებისა და სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად, საქართველოს მეფეს ხელს უმართავდა. ჯვაროსნების მიერ XI ს. მიწურულს იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებამ კიდევ უფრო დაასუსტა თურქ-სელჩუკები და ხელსაყრელი პირობები შექმნა მათ მიერ დაპყრობილ ხალხთა გათავისუფლებისათვის. დავითის ისტორიკოსი თავის თხზულებაში საგანგებოდ აღნიშნავს როგორც მალიქ-შაჰის გარდაცვალების ამბავს, ასევე „ფრანგთა (ევროპიელთა) გამოსვლას“ აღმოსავლეთში და ყველაფერ ამას უკავშირებს საქართველოში ყოველწლიური სათურქო ხარკის ამოკვეთას: ამ დროიდან, — წერს დავითის ისტორიკოსი, — მეფემ „არღარა მისცა სულთანსა ხარაჯა, და თურქნი ვეღარა დაიზამთრებდეს ქართლს“. სათურქო ხარაჯაზე უარის თქმა დიდი გამარჯვება იყო — მწარმოებელ მოსახლეობას უღელი აეხსნა, ქვეყნის დოვლათი უკვე აღარ ეძლეოდა დამპყრობელს ხარკად და, დავითის ისტორიკოსის სიტყვით რომ ვთქვათ, „მოეშენა ქვეყანა ქართლისა“.

დავით აღმაშენებელმა, საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების შედარებით აღორძინების შემდეგ, ქვეყნის მთლიანობისა და სიძლიერის აღდგენა-განმტკიცების მიზნით, პირველ რიგში იმ დიდგვარიან ფეოდალებს გამოუცხადა ბრძოლა, რომლებმაც მის წინაპრებს არაერთხელ „აუშალეს ქვეყანა". დავითის ღონისძიებანი ამ მხრივ სავსებით კატეგორიული იყო და არ ჰგავდა მის წინამორბედ მეფეთა მოქმედებას. იგი არ დაკმაყოფილდა ზოგ ერისთავთა მარტოოდენ წვრთნითა და მორჩილებაში მოყვანით. ზოგი საერისთავო, კერძოდ, კლდეკარისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად იყო ქცეული, სავსებით გააუქმა, საერისთავო მიწაწყალი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, დამარცხებული ლიპარიტ ერისთავი კი ქვეყნიდან გააძევა. ასე უსწორდებოდა დავითი ყველა იმას, ვინც კი მეფისა და სამეფოს საწინააღმდეგო მოქმედებას განიზრახავდა.

ასევე სასტიკად გაუსწორდა დავით IV სამეფო ხელისუფლების კიდევ ერთ მოწინააღმდეგეს — არაგვის ძლიერ ფეოდალს ძაგან აბულეთისძესა და მის ძმებს, რომელთაც, თვით დავითისავე სიტყვით, კლდეკარის ერისთავთა მსგავსად, არასოდეს გამოუჩენიათ ერთგულება სამეფო ხელისუფლების მიმართ: „მათ გვართა (წარმომადგენლებს) არავის ოდეს ექმნა ჩვენი ერთგულებაო" — აღნიშნავდა მეფე თავის „ანდერძში". პირიქით, ისინი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში დიდ ბრძოლებს უმართავდნენ სამეფო ხელისუფლებას და მისი გაძლიერების მომხრეებს.

როგორც ირკვევა, მეფემ ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო ასეთ ფეოდალებს, არამედ თვით იმ სამოხელეო ინსტიტუტსაც, ერისთავობასაც, რომელსაც განკერძოების მოსურნე ფეოდალები მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდნენ. ერისთავობა დავითს, როგორც ჩანს, იმ ხანისათვის შეუფერებელ, უკვე დრომოჭმულ თანამდებობად მიაჩნდა და მის წინააღმდეგ ბრძოლას ცენტრალური სამოხელეო და ადგილობრივი მმართველობის აპარატში რეფორმების ჩატარებით ფიქრობდა.

ს. ჯანაშიას სავსებით მართებული შენიშვნით, დავით IV ცდილობდა პირველ რიგში დაესრულებინა ის ღონისძიება, რაც ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის დროს დაისახა, კერძოდ, საბოლოოდ აღმოეფხვრა ძველი საუფლისწულოთა სისტემა — ურთიერთ სუსტად დაკავშირებული წვრილი და მსხვილი სამთავროების ერთგვარი ფედერაცია ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის ინტერესებთან სავსებით შეუთავსებელი ჩანდა. ამას გარდა, აუცილებელი იყო ერისთავობის შეცვლა უფრო მოქნილი, სამეფო ხელისუფლებასთან უშუალოდ დაკავშირებული სამოხელეო ინსტიტუტით.

ბაგრატ III-მ თავის დროზე ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა — დაუნდობლად გაწყვიტა ტაო-კლარჯეთის დამოუკიდებლობას შეჩვეული „ხელმწიფენი“, ხოლო „ურჩნი თვისნი შეცვალნა დიდებისაგან“ და მათ ადგილზე დაადგინა „ერთგულნი და მსწრაფლ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“. მეფის ბრძანებათა მორჩილნი, მისი ერთგულად და სწრაფად შემსრულებელნი, ცხადია, ახალი, მსახურეული აზნაურები იყვნენ და არა ისინი, ძირძველი ფეოდალები, რომელნიც მეფემ სწორედ ამის გამო „შეცვალნა დიდებისაგან“, გადააყენა თანამდებობიდან.

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების პროცესში, ძველსა და ახალ მოხელეობასა და სამოხელეო ინსტიტუტებს შორის ბრძოლის პერიოდში, წარმოიშვა ახალი სამოხელეო ინსტიტუტი **„მოსაკარგავეობისა“** და მისი შესაბამისი ახალი მოხელეები **„მოსაკარგავე აზნაურები“**. **„საკარგავი“** მეფის მიერ განსაგებლად, სამართავად გაცემულ ტერიტორიას, ქვეყანას ეწოდებოდა, „მოსაკარგავე“ კიდევ მეფის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიის, ქვეყნის მხოლოდ განმგებლად, მმართველად დანიშნულ მოხელეს. „მოსაკარგავეობის“ ინსტიტუტმა დასრულებული სახე დავით აღმაშენებლის დროს მიიღო — ამიერიდან „მოსაკარგავე აზნაურები“ დაუპირისპირდნენ სწორედ იმ „მემამულე აზნაურებს“, რომლებმაც ერთ დროს მეფისაგან განსაგებლად მიღებული საერისთავოები სამემკვიდრო მამულებად აქციეს. ერისთავობას მოსაკარგავეობა ცვლიდა, ეს კი ნიშნავდა, ერთი მხრივ, თვით ერისთავთა გადაქცევას მოხელე-მოსაკარგავეებად, ე. ი. მათთვის გაცემული ტერიტორიების მხოლოდ განმგებლებად, ხოლო მეორე მხრივ, ამიერიდან ქვეყნების არა პირობით მფლობელობაში, როგორც ეს ძველად იყო, არამედ საკარგავებად, განსაგებელ ერთეულებად გაცემას, რომლის განმგებელიც გასამრჯელოდ საკარგავად მიცემული ქვეყნის შემოსავალს კი არ მიიღებდა, არამედ ფულად სარგოს სამეფო ხაზინიდან.

ასეთი „მოსაკარგავე აზნაური“ მთლიანად დამოკიდებული იყო სამეფო ხელისუფლებაზე, მის სიძლიერესა და ხაზინაზე. სწორედ ესენი იყვნენ ამიტომ მეფის ხელისუფლების „ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“.

ადგილებზე წარგზავნილი მოხელეების თანამდებობათა რეორგანიზაციასთან და აგრეთვე საქართველოს სამეფოს საზღვრების გაფართოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული დავითის დროს სანაპირო ქვეყანათა მცველების, განმგებლების საგანგებო თანამდებობის შემოღება. ამ მოხელეს, როგორც ეს დავითის დროის წარწერებიდან ჩანს, „მ ა რ ზ პ ა ნ ი“ ეწოდებოდა. ტერმინი „მარზპანი“ ახალი არ იყო ქართული სამოხელეო წყობისათვის. იგი ჯერ კიდევ სასანიდური ირანის ბატო-

ნობის დროიდან შემოვიდა ქართულში და თავის დროზე ირანის შაჰის მიერ ქართლში წარმოგზავნილ მოხელეს ეწოდებოდა. მაგრამ XII ს. პირველი ნახევრის მარზპანს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სახელი აკავშირებდა იმ ძველ ირანელ მოხელესთან. დავითის დროის მარზპანი, საქართველოს მეფის ქართველი მოხელე იყო, საქართველოს სამეფოს სანაპირო, სასაზღვრო ოლქის, მაზრის გამგებელად, მცველად, „ნაპირთა მჭირავად“ დადგენილი.

სამოხელეო ტერმინი „მარზპანი“ ანუ „ნაპირთა მჭირავი“, XII ს. მეორე ნახევრიდან თანდათან შეცვალა ქართულმა „მონაპირემ“. თამარის დროისათვის სწორედ „მონაპირე“ იხმარებოდა ცალკეული სასაზღვრო („სანაპირო“) ოლქის განმგებელის აღსანიშნავად, თუმცა ზოგ წყაროში ამავე მნიშვნელობით „მარზპანიც“ გვხვდება.

დავით მეფის ზემოაღნიშნულ რეფორმებს მოჰყვა ბევრი უღირსი, მაღალი თანამდებობის პირის გადაყენება, მათ მაგიერ პირადი ღირსებით, საქმის ცოდნითა და მეფის ერთგულებით გამორჩეულთა დაწინაურება წვრილ და საშუალო აზნაურთა ფენიდან. თვით ესეც — უღირს დიდგვარიანთა მაგივრად პირადი ღირსების მქონეთა დანიშვნა — არსებითად დიდი რეფორმა იყო ფეოდალურ ქვეყანაში. სამეფო ხელისუფლების ოპოზიციური ძალები თანდათან უკან იხევდნენ, მეფის ხელისუფლება კი ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა.

მაგრამ ყველაფერი ეს საკმარისი არ ჩანდა; ჯერ ერთი, მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიანნი ჯერ კიდევ მოკალათებულნი იყვნენ სახელმწიფოს სხვა უწყებაშიც, კერძოდ, ეკლესიაში, ეკლესია კი შუა საუკუნეებში დიდმნიშვნელოვან ძალასა და მსხვილფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. საერო მართვა-გამგეობიდან გამოძევებულმა თუ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულმა დიდგვარიანმა ფეოდალებმა ეკლესიას მიაშურეს და მას შეაფარეს თავი. რაც მთავარია, ამ დროს ეკლესია, მაღალ საეკლესიო თანამდებობათა მქონე უღირს პირთა წყალობით, საერთო სახელმწიფო საქმეებისაგან განზე იდგა, მეფის ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა და ზოგჯერ უპირისპირდებოდა კიდეც. საჭირო იყო ეკლესიაშიც ისეთივე რადიკალური რეფორმის მოხდენა, როგორიც მეფემ საერო სფეროში გაატარა.

ეს დიდი ამოცანა, რომელიც სამეფო ხელისუფლების წინაშე ჯერ კიდევ ბაგრატ მეოთხის დროს დადგა, დავით აღმაშენებელმა 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას გადააწყვეტინა. ისე როგორც საერო-სამოხელეო აპარატი, ეკლესიაც, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, გაიწმინდა სამეფო ხელისუფლების ორგული დიდგვარიანებისაგან. მაღალი საეკლესიო თანამდებობანი, უღირსთა მაგიერ, ღირსეულებმა, მეფის მომხრე პირებმა დაიკავეს. მაგრამ ეკლესიის მორჩილე-

ბაში მოსაყვანად არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. ამიტომ დავით აღმაშენებელმა ფეოდალური საქართველოს ისტორიაში განუმეორებელი ღონისძიება გაატარა: მან ორი დიდი თანამდებობა — საერო (მწიგნობართუხუცესისა) და საეკლესიო (ჭყონდიდის ეპისკოპოსისა) — ერთი პირის ხელში გააერთიანა, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის „სახელო“ შექმნა და მას ეკლესიის საქმეებიც ჩააბარა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, ამიერიდან „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა... ყოველსა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით (სამეფო აპარატიდან) მიიღებიან“. ამგვარად, მეფემ ეკლესია სამეფო ხელისუფლებას, მის ინტერესებს დაუმორჩილა და ქვეყნის სამსახურში ჩააყენა.

ეკლესია-მონასტრებს მეფე სახელმწიფოს ინტერესებს ამიერიდან ახალი ხელისუფალის —მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის — მეშვეობით უკარნახებდა. ეკლესიის გარდა, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დავით IV-მ სასამართლო ხელისუფლებაც ჩააბარა და ამასთანავე მას, საერთოდ, როგორც უპირველეს მოხელეს მეფის შემდეგ, ყველა სახელმწიფო-საშინაო თუ საგარეო საქმეზე ხელი მიუწვდებოდა. ამ ძლიერ ხელისუფალს „ვაზირი“ ეწოდებოდა. ამრიგად, **საქართველოს სამეფოს ვაზირის თანამდებობის შემოღება დავით აღმაშენებლის საშინაო რეფორმის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი შედეგი იყო.**

ვაზირი დავითისა და მის მემკვიდრეთა (გიორგი III, თამარი) დროსაც სამეფო კარზე მხოლოდ ერთი იყო. ასე იყო სხვაგანაც, იმდროინდელი აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოებშიც; ასე რომ, საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. მაგრამ საქართველოს სამეფოს ვაზირი თავისი უფლება-მოვალეობით, ამ სახელოს შინაარსით, სავსებით სხვა იყო, ვიდრე აღმოსავლეთის ქვეყნების ამავე სახელწოდების ხელისუფალი.

საქართველოს მეფის ვაზირი, როგორც საეკლესიო ხელისუფალი (ჭყონდიდელი ეპისკოპოსი), უმემკვიდრო იყო და საკუთარი სამემკვიდრო ქონების, „მამულის“ უქონელიც. ასევე, „სამამულო“ ე. ი. სამემკვიდრო ვერ იქნებოდა, ცხადია, მისი თანამდებობაც. ასე რომ, ვაზირის თანამდებობისათვის უცხო იყო ყველა სხვა თანამდებობისათვის (სახელოსათვის) ასე დამახასიათებელი ფეოდალური თვისებები, კერძოდ კი, მემკვიდრეობითობა, ე. ი. სამეფო კარის ამა თუ იმ მაღალი თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა. ამიტომ იყო, რომ ვაზირს, როგორც მხოლოდ სამეფო ხელისუფლებისაგან დამოკიდებულ მოხელეს, ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა — მეფის ხელისუფლების გაძლიერება და განმტკიცება. მეფეც ყოველთვის ცდილობ-

და ვაზირის თანამდებობაზე ყველაზე ერთგული, სანდო და სხვა მაღალი ღირსებების მქონე პირი დაენიშნა.

საქართველოს სამეფოს პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ე. ი. პირველი ვაზირი იყო მეფე დავითის ძლიერ ახლობელი, მისი „თანააღზრდილი და გამზრდელი“, დიდი სახელმწიფო მოღვაწე გიორგი ჭყონდიდელი. აღსანიშნავია, რომ გიორგი ჭყონდიდელის გარეშე დავით აღმაშენებელი არ წყვეტდა არც ერთ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს, მათ შორის მეზობლებთან ურთიერთობის, ლაშქრის ორგანიზაციის, თუ ამა თუ იმ ციხე-ქალაქის შემოერთებისა და სხვა მსგავს საკითხებს, რომელთაც თითქოს უშუალო კავშირი არც უნდა ჰქონოდა სამეფო კანცელარიის (მწიგნობართა) უხუცესისა და საეკლესიო მოღვაწის განსაგებელთან. მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ დავითმა თავისი რეფორმების წყალობით სამეფო კარზე საშინაო თუ საგარეო საქმეთა განსაგებლად შექმნილი ცალკეული უწყებები უშუალოდ ვაზირს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუქვემდებარა.

ასე რომ, ვაზირის თანამდებობის შემოღებას, როგორც ჩანს, წინ უძღოდა სახელმწიფოებრივი მმართველობის ცენტრალური აპარატის რეორგანიზაცია, სამეფო ხელისუფლების ზოგი სათანადო უწყების ხელახლა შექმნა.

დავით აღმაშენებლის ზემოგანხილული საშინაო ღონისძიებები, ძლიერი და დაუნდობელი ბრძოლა ფეოდალური ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ ამრავლებდა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილოთა რიცხვს, ისტორიკოსის სიტყვით, ე. წ. „მაბრალობელებს“, ე. ი. მეფის ბრალმდებლებს. ეს კი სამეფო ხელისუფლებისაგან, „ფეოდალურ ქაოსში წესრიგის“ დამყარების მიზნით კიდევ ახალი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. „მაბრალობლებს“ მეფემ „მ ს ტ ო ვ ა რ თ ა“ (მეთვალთვალეთა, მზვერავთა) ძლიერი აპარატი დაუპირისპირა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, ამიერიდან მეფეს არაფერი დაემალებოდა „არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყვა ბოროტი თქმული — არა რა დაეფარვოდა“; „რაოდენიცა ვის ფარულად ექმნეს ანუ თუ ეთქვას, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა“, თვით „გულის-სიტყვანიცა“ (ე. ი. გონებით განზრახულიცა) კი. ხოლო ვინც კი შემჩნეული იქნებოდა „ბოროტ სიტყვასა“ თუ მოქმედებაში, ე. ი. ღალატში, მათ მეფე სასტიკად უსწორდებოდა — განპატიჟებითაც კი (თვალდაწვითა და დასაჭურისებით). ასეთი დაუნდობელი ღონისძიებანი, დავითის ისტორიკოსის აზრით, „მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა... ორგულებასა, ზაკვასა და ღალატსა რასმე ვერვინ, დიდთა თუ მცირეთაგანი, იკადრებდა“, ვერც სოფლელი და ვერც მოქალაქე, ვერც სამხედრო და ვერც სხვა პატივისა და ასაკის პირი, ვინც არ უნდა ყოფილიყო,

იგი ვერვის იკადრებდა განდრეკილად, მრუდი გზით სვლასო — წერდა დავითის ისტორიკოსი. წესრიგისა და წესიერების დაცვა, „ყოველთა კაცთა წესიერება“, „ყოველთათვის კანონად“ იქცა. სამეფოში მკაცრი რეჟიმი დამყარდა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „შიში დიდი და ზარი“ მეფისა „განითქუა კიდეთა ქუეყნისათა“.

ყველაფერი ეს მიღწეული იყო სამეფო ხელისუფლებასთან ძლიერი და მოქნილი საპოლიციო აპარატისა და შესაბამისი უწყების, შინაგან საქმეთა საგანგებო უწყების შექმნით. ამ ახალ და ასე საჭირო საგამგებლოს დავით აღმაშენებელმა მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი (მანდატურთა — შინაგანი პოლიციის მსახურთა უფროსი) ჩაუყენა სათავეში. როგორც წყაროებიდან ირკვევა, დავითის დროს მანდატურთუხუცესობა დიდ ქართველ ფეოდალებს — ჯერ ვარდანისძეებს, შემდეგ კი ორბელებს ჰქონდათ.

როგორც ჩანს, დავითის დროს მანდატურთუხუცესი, ვაზირის შემდეგ, სამეფო კარზე უპირველესი ხელისუფალი იყო, მანდატურთუხუცესის თანამდებობა ამ დროსვე შემოღებულ ამირსპასალარის თანამდებობაზე უწინ მოიხსენიებოდა. ეს არცაა გასაკვირი: ძლიერი მეფისა და თვით მთავარსარდლის დავითის მეფობის დროს ამირსპასალარი, სამხედრო უწყებათა განმგებელი, ვერ იქნებოდა უპირველეს მოხელეთა რიგებში, მით უფრო, რომ მეფე-სარდალს შინაგანი წესრიგის დასამყარებელი ხელისუფალის სიძლიერე ამჯერად უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ამირსპასალარისა. საინტერესოა, რომ დავითის დროიდან მომდინარე წესის მიხედვით, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარის სახელოს გაძლიერების შემდეგაც (მაგ., გიორგი III-ის, თამარის დროსაც), ყოველთვის ამირსპასალარზე უწინ მოიხსენიებოდა.

დავითის ღონისძიებები, სრულყოფილი ცენტრალური სამოხელეო აპარატის შექმნის თვალსაზრისით, ამით არ ამოწურულა. როგორც ირკვევა, დავითის დროს ჩამოყალიბდა აგრეთვე სამეფო ფინანსების ცალკე საგანგებო უწყება მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი თ სათავეში. ჩვენთვის ცნობილ პირველ მეჭურჭლეთუხუცესად მოიხსენიება იოვანე ვარდანის ძე, სვანთა ერისთავი.

აღსანიშნავია, რომ აქ დასახელებული იოანე (ივანე) ვარდანის ძე, სანამ იგი მეჭურჭლეთუხუცესობას მიიღებდა, სამეფო კარის „პ რ ო ტ ო ს ტ რ ა ტ ო რ ი“ ყოფილა. ეს თანამდებობა მისი ამგვარი სახელწოდებით — პროტოსტრატორი — არც დავითამდე და არც მის შემდეგ დადასტურებული არ არის, მაგრამ ირკვევა, რომ XII ს. მეორე ნახევარსა და შემდეგ ამ თანამდებობას უკვე სხვა სახელით („ამირახორი“) მოიხსენიებდნენ.

როგორც ჩანს, პროტოსტრატორის თანამდებობაც დავით აღმაშენებლის დროს არის შემოღებული. პროტოსტრატორი (ამირახორი) სა-

ქართველოს ჯარების სარდლის, ამირსპასალარის პირველი თანაშემწე იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქართულ სამოხელეო წყობილებაში საგანგებო სამხედრო უწყების შექმნა და ამ უწყების განმგებლის — „ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი ს“ — თანამდებობის შემოღებაც დავითის სახელთან არის დაკავშირებული. დავითამდე, რა თქმა უნდა, იყვნენ ფეოდალური ლაშქრის განაყოფთა თუ საერთოდ ლაშქრის სარდლები, რომელთაც სპასპეტები და სპასალარები ეწოდებოდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ძირეული ცვლილებები მოხდა თვით საქართველოს ლაშქრის ორგანიზაციაში, სამხედრო საქმის განგების არსებული წესი, რომელიც ძველი პატრონყმული ლაშქრის პრინციპებზე იყო აგებული, დამაკმაყოფილებელი ვერ იქნებოდა. ასე რომ, ამირსპასალარის თანამდებობათა შემოღება თვით საქართველოს ლაშქარში მომხდარმა რეფორმებმა გამოიწვიეს. ამიტომ პირველ რიგში დავითის სწორედ ამ სახის ღონისძიებებს უნდა შევეხოთ.

დავითის სამეფო ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო გიორგი მეორის დროიდან არსებითად მოშლილი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის საქმეს. დავით აღმაშენებელმა, ჯერ ერთი, თვით შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრენი და მათგან მუდმივი, არც ისე დიდი, მაგრამ ძლიერი პირადი გვარდია — „მონა-სპა“ — შექმნა; მეორეც, უფრო საიმედო და ორგანიზებული გახადა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსაკარგავე ერისთავთა მიერ გამოყვანილი ლაშქარი. ცხადია, მას შემდეგ, რაც ცალკეულ კუთხეებში მეფის ერთგული მოხელეები იყვნენ ჩაყენებულნი, მათ მიერ გამოყვანილი ლაშქარიც მეფის ნება-სურვილის ამსრულებელი იქნებოდა და არა მისდამი დაპირისპირებული, როგორც ეს ხშირად ხდებოდა დავითის წინაპართა მეფობის დროს.

ამასთან ერთად, დავით აღმაშენებელი განსაკუთრებით ზრუნავდა ქართველთა ლაშქრის გამრავლების, შეიარაღებისა და გაწვრთნისათვის, მასში დისციპლინის განმტკიცებისათვის. დავითის ისტორიკოსმა შესანიშნავად ასახა ყველა ის ღონისძიება, რაც ამ მხრივ სამეფო ხელისუფლებამ გაატარა. მისი სიტყვით, დავითის გამეფების დროისათვის ქართველთა ლაშქარი ფაქტიურად წარმოადგენდა „ტყვეობათა და ზემოხსენებულთა ჭირთაგან“ შეთხელებულ „მცირე გუნდს მხედრობისა“ და ისიც, მტრების მიერ „მრავალგზის უკუქცევით დაჯაბნებულს, უცხენოსა და უსაჭურვლოს, თურქებთან ბრძოლის ყოვლად უცოდინარს და ფრიად მოშიშს“.

ცხადია, ასეთი ლაშქარი წარმატებას ვერ მოიპოვებდა და მეფემ პირველ რიგში „განამრავლნა სპანი“, უზრუნველყო შეიარაღებითა და ცხენებით; ხოლო უმსხვერპლო ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ

ბრძოლით, სათანადო სწავლებით, შესაფერისი წინამძღოლობითა და არაერთი გამარჯვების მოგვარებით გაწვრთნა სპანი თვისნი. მეფე-სარდალი ყოველნაირად ცდილობდა მოლაშქრეებში თავდადებისა და გმირობის დანერგვასა და განმტკიცებას. ამ მიზნით, უხვად „აჯილდოვებდა და აქებდა მხნეთა (თავდადებულთა), ხოლო ჯაბანთა კიცხავდა და აძაგებდა". იმასაც კი არ ერიდებოდა, რომ მათთვის სადედო (ქალის) ტანსაცმელი ჩაეცმია და ლაშქრისათვის გამოეცხადებინა — ეს ჯაბანი მამაცი (მამაკაცი) კი არ არის, დიაციაო (ქალიაო); ლაშქარში დისციპლინის განმტკიცების მიზნით, მეფემ აკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი" და ამგვარად „ყოველი უწესობა მოსპობილი იყო ლაშქართა შინა მისთა".

ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო ქართული ლაშქრის ორგანიზაციის საქმეში. იმ დროის საქართველოს სამეფოს წინაშე მდგარი დიდი საგარეო და საშინაო ამოცანები აუცილებელს ხდიდა ლაშქრის გამრავლებისათვის ზრუნვას. დიდი ამოცანების გადასაწყვეტად ქვეყნის მცირე ლაშქარი საკმარისი არ ჩანდა. საკმარისი არ იყო აგრეთვე ის რეფორმები და ღონისძიებები, რაც დავითმა გაატარა გამეფების პირველ წლებში ლაშქრის რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით. ლაშქრის სიმცირე განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა საგრძნობი, რაც მეფემ ზედიზედ შემოიერთა ქალაქ-ციხეები და აქ, მოპოვებულ გამარჯვებათა განსამტკიცებლად, ქართველთა ლაშქრის ერთი, საგანგებო ნაწილი „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამპირველად" განაწესა. დავითის ისტორიკოსის მოწმობით, „არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა", რომ მეფეს შეძლებოდა მისი სამ ნაწილად გაყოფა: ერთი ნაწილი ციხე-ქალაქებში ჩაეყენებინა, მეორე თანა ხლებოდა და მესამეს „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომლად" ელაშქრა. ამასთანავე, „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომელი ლაშქრობა", რომელსაც ასე საგანგებოდ უსვამს ხაზს დავითის ისტორიკოსი, სოფლისა და ქალაქის მწარმოებელ მოსახლეობას დიდი ხნით, ხშირ შემთხვევაში მუდმივადაც, წყვეტდა სოფლის მეურნეობასა და საქალაქო ცხოვრებას. ეს კი ქვეყნის ეკონომიკას თავის დაღს ასვამდა, განუწყვეტელი ომიანობა ეკონომიკური აღმავლობის შემაფერხებლად იქცეოდა.

ასე რომ, სამეფო ხელისუფლებას უნდა ეზრუნა, რათა, ერთი მხრივ, ლაშქრის რაოდენობა გაეზარდა და მეორე მხრივ, ქვეყნის მატერიალური დოვლათის მწარმოებელი თავის ძირითად საქმიანობას არ მოეწყვიტა.

ამიტომ სამეფო ლაშქრის გამრავლებისათვის ზრუნვა თავისთავად იწვევდა, პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით სამხედრო სამსახურის საფუძვლის — ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმების — განვითარებას ისეთ დასრულებულ სისტემამდე, რომელიც შესაძლებლობას

მისცემდა მეფეს „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომელ მოლაშქრეთა“ ფართო ფენა ჰყოლოდა, ისე რომ, მიწისმოქმედთა მასა არ მოეწყვიტა თავის ძირითად საქმიანობას.

ამას გარდა, საქართველოს სამეფო ლაშქრის რაოდენობის გაზრდის სხვა შესაძლებლობაც არსებობდა — საქართველოს მოსახლეობის ხელოვნური გამრავლება და ამ გზით ასევე მუდმივ, „დაუცხრომელ მოლაშქრეთა“ კიდევ ახალი და ფართო კონტინგენტის შექმნა. დავით აღმაშენებელმა ორივე ეს საშუალება გამოიყენა და ახლად ორგანიზებული ქართული ფეოდალური ლაშქარი კიდევ უფრო გაამრავლა საქართველოში გადმოსახლებული არაქართული წარმოშობის მოლაშქრეებით.

როგორც ირკვევა, საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ადრევე დაიწყო ზრუნვა ამგვარი ღონისძიების გატარებისათვის, მაგრამ საამისო ნიადაგის მომზადებას, გადმოსასახლებელი ხალხის შერჩევასა და მასთან დაახლოებას, კონტაქტის დამყარებასა და მოლაპარაკებას საკმაო ხანი დასჭირდა. ბოლოს სამეფო ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველოს იმდროინდელი ჩრდილოელი მეზობლები, ყივჩაყები გადმოესახლებინა, აქ დაემკვიდრებინა და მუდმივი ლაშქრის ძირითად წყაროდ ექცია. ცხადია, სამეფო ხელისუფლების მიერ ყივჩაყები შემთხვევით არ იყვნენ შერჩეული. დავითის ისტორიკოსი სავსებით ნათლად ასაბუთებს ამ არჩევანის გონივრულობას. მისი სიტყვით, საქართველოს სამეფო კარმა კარგად იცოდა „ყივჩაყთა სიმრავლე, წყობათა (ბრძოლებში) შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებისა“. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ყივჩაყების შენახვა განვითარებული ფეოდალური ქვეყნისათვის შედარებით ადვილი იყო. ამდენად, დავითის ისტორიკოსის სიტყვით რომ ვთქვათ, ყივჩაყებზე არჩევანის შეჩერების ერთ-ერთი მიზეზი მათი „ადვილად დასამჭირვლობაც“ იყო. ამასთანავე, მეფის წარმოდგენით, ყივჩაყები იქნებოდნენ „ყოვლითურთ მომზავებელნი (მიმყოლნი) ნებისას თვისასა“. ისტორიკოსის ცნობით, ყივჩაყების გადმოყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ხელს უწყობდა აგრეთვე საქართველოს მეფის მოყვრობა ყივჩაყთა მთავართან—დავითს მეუღლედ ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი. ცხადია, ყივჩაყთა მთავარი თავისი დიდი სიძის, საქართველოს მეფის გადაწყვეტილებების წინააღმდეგი ვერ იქნებოდა.

დასასრულ, საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ რუსეთის მთავრების მიერ შევიწროებული, არაერთხელ დარბეული და თავიანთი საცხოვრებლიდან გამოდევნილი ყივჩაყები საქარ-

თველოსთან დაკავშირებასა და აქ გადმოსახლებაზე უარს არ იტყოდნენ.

ყველა ამ პირობის გათვალისწინებით და სათანდო ზომების მიღებით, სამეფო ხელისუფლებამ XII ს. 20-იანი წლებისათვის ჩრდილო კავკასიიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოასახლა ყივჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი. გადმოსახლებული ყივჩაყები მეფემ „დააყენა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა“ და გაუჩინა მათ „საზამთრო სადგური და საზრდელი“.

მაგრამ ისტორიკოსი არ მიუთითებს კონკრეტულად, თუ სად დაასახლა ყივჩაყები დავით აღმაშენებელმა. ამ ცნობიდან ის კი ირკვევა, რომ ყივჩაყნი ერთ კი არა, რამდენიმე **„ადგილთა მათ მარჯუეთა“** დაასახლეს. მართლაც, 40 000 ოჯახის ანუ დაახლოებით 200 000 სული ყივჩაყის ერთ კომპაქტურ მასად დასახლება შეუძლებელიცა და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყივჩაყთა დიდი მასის ერთ ადგილზე დასახლება ხელს შეუშლიდა, გაახანგრძლივებდა მათი გაქრისტიანებისა და ქართულ მოსახლეობაში შერწყმის, ასიმილაციის პროცესს. ყივჩაყთა სწრაფი ასიმილაციით, გაქრისტიანებით კი დაინტერესებული იყო სამეფო ხელსუფლება. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა თურქული წარმოშობის ყივჩაყების გადაქცევა საქართველოს ჯარის მოლაშქრეებად, მის ორგანულ ნაწილად. ამიტომ იყო, რომ დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ ხაზს უსვამდა ყივჩაყთა სწრაფ გაქრისტიანების პროცესსა და გაქრისტიანებულ ყივჩაყთა სახით „დღითი დღე გამრავლებას“ „ქრისტეს მიმდევართა“. ამავე ისტორიკოსის სიტყვით, დავითის სიცოცხლეშივე, XII ს. 20-იან წლებში, უკვე „თვით ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე ქმნილნი“ იყვნენ.

სწორედ ეს, ყივჩაყთა გაქრისტიანებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის პროცესის დაჩქარების ინტერესები უკარნახებდა სამეფო ხელისუფლებას ყივჩაყები დაესახლებინა საკუთრივ ქართულ ტერიტორიაზე, რათა უშუალოდ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცია ისინი. რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყივჩაყებში ქრისტიანული სარწმუნოების, სწორედ ქართული, ქალკედონური მიმდინარეობის დანერგვას და არა საერთოდ მათ გაქრისტიანებას.

ამიტომ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავიზიაროთ ამ უკანასკნელ ხანს სომხურსა და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება დავითის დროს ყივჩაყების მაინცა და მაინც სომხურ ტერიტორიაზე დასახლებისა და მათ მიერ საგანგებოდ „სომხური ქრისტიანობის მიღების“ და მაშასადამე, მათი „არმენიზაციის“ შესახებ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მოსაზრების ავტორების (ს. ერე-

მიანი, ქ. ჩხატარაიშვილი) მიერ მოშველიებულ მასალათაგან არც ერთი არ გამოდგება დავითის დროს გადმოსახლებულ ყივჩაყთა სომხურ სარწმუნოებაზე მოქცევის დასამტკიცებლად. ჩვენ აქ შესაძლებლობა არ გვაქვს ვრცელი კამათი გავმართოთ დასახელებულ ავტორებთან, მაგრამ ის კი უნდა შევნიშნოთ, რომ 1206 წ. ზაქარია მხარგრძელის სახსრებით აგებული ჰარიჭის მონასტრის მეორე სახელწოდება — „ღფჩანხვანქ“ და იქვე სოფლის — „ღფჩახ“-ის არსებობა, ან კიდევ ამავე მონასტრის 1304 წ. შემწირველების მიჩნევა თუნდაც ყივჩაყთა შთამომავლებად, ცხადია, ვერ დაამტკიცებს არათუ დავითის დროინდელი ყივჩაყების მიერ „სომხური ქრისტიანობის მიღებას“, არამედ თვით ყივჩაყთა დასახლებასაც კი ამ ტერიტორიებზე XII ს. პირველ მეოთხედში. ყველა ეს მასალა შემდეგ ხანებში, კერძოდ XIII—XIV სს., გადმოსულ და ჩამოსახლებულ „ახალ ყივჩაყთა“ ნაკვალევზე უფრო მიგვითითებს, ვიდრე დავითის დროს, XII ს. პირველ მეოთხედში, საქართველოში ორგანიზებულად გადმოყვანილ ყივჩაყთა აქ დასახლებაზე.

ს. ერემიანის მტკიცების სასარგებლოდ არაფერს ლაპარაკობს არც აღარწინის 1184 წ. სომხური წარწერა და ამ წარწერაში ერთ-ერთი მოხელის „ე ლ ბ ე კ ი ს“ სახელით მოხსენიება. ჯერ ერთი, აღარწინის წარწერის ჩვენთვის საინტერესო ნაწილში ს. ერემიანის მიერ ზოგი რამ თვითნებურადაა ჩამატებული. ამას გარდა, სავსებით ხელოვნური და უსაბუთოა წარწერის — „ელბეკის“ —გაიგივება გიორგი III-ის ამირსპასალართან, ყუბასართან და მისი ელბეკის ელის (მომთაბარეთა) მეთაურის (ელ-ბეკ?!) აღმნიშვნელად გამოცხადება. განა წარმოსადგენია საქართველოს სახელმწიფოს ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ყუბასარი აღარწინის წარწერაზე სახელის გარეშე (სხვა ყველა — ანტონი, სარგისი — იქვე სახელებით მოიხსენიებიან), მხოლოდ თანამდებობით მოეხსენებინოთ და ისიც მომთაბარეთა (ელის) მეთაურის თანამდებობით, მაშინ, როცა ასეთი თანამდებობა არც ყივჩაყთა რაზმებში იმ დროს და არც საერთოდ საქართველოს სამეფო კარზე დადასტურებული არ არის.

თუნდაც რომ დავუშვათ წარწერის—„ელბეკისა“ და ამირსპასალარ ყუბასარის იგივეობა, განა ეს შეამაგრებდა ზემოდასახელებულ მკვლევართა თვალსაზრისს? ცხადია, არა, აღარწინის წარწერა)ისევე არ გამოდგება ელბეკის სომხური რელიგიისადმი კუთვნილების დასადგენად, როგორც იგი არ გამოდგება იქვე, ელბეკის წინ მოხსენებულ ანტონ ჭყონდიდელის სომხური რწმენისადმი მიმდევრობის დასამტკიცებლად. აღარწინის სხვა თვალსაზრისით მრავალმხრივ საინტერესო წარწერა მით უფრო არ გამოდგება, ცხადია, XIII ს. პირველ მეოთხედში გადმოსახლებულ ყივჩაყთა რელიგიური კუთვნილების შესასწავლად. ასე

რომ, ყოველგვარი საფუძველი ეცლება ს. ერემიანისა და ქ. ჩხატარაიშვილის მიერ აღარწინის წარწერის მიხედვით გაკეთებულ შორსმიმავალ დასკვნებს ყუბასარის ყივჩაყობის (წყაროები კი მას „ნაყივჩაყარს“ უწოდებენ), „ყივჩაყთა ზედაფენის (ყუბასარის საგვარეულოს!) ჰარიჟის მიდამოებში მოსახლეობისა“ და აქვე, ამავე სომხურ ტერიტორიაზე, ამაზე ადრე დავითის მიერ ყივჩაყების დასახლებისა და მათ მიერ „სომხური ქრისტიანობის მიღების“ ე. ი. მათი „არმენიზაციის“ შესახებ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზემოაღნიშნული მოსაზრების ავტორებმა, ასეთი დასკვნის გაკეთების დროს, როგორც ჩანს, არ გაითვალისწინეს იმდროინდელი საქართველოს, საერთოდ, საშინაო და, კერძოდ კი, რელიგიური პოლიტიკა. როგორც ცნობილია, ქართულმა სახელმწიფომ და ეკლესიამ, განსაკუთრებით სომხური ტერიტორიების შემოერთების შემდეგ, ფართოდ გაშალა ქალკედონურ ეკლესია-მონასტრების ქსელი ყოფილ სომხურ სამეფოთა ტერიტორიებზე; ამ დროიდან და ამის შემდეგ განსაკუთრებით მომრავლდა ქალკედონიტ, ე. ი. გაქართველებულ სომეხთა რიცხვი, ეს ამ დროს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ბუნებრივი შედეგი იყო. ამ დროსვე დადგა საკითხი სომეხთა ეკლესიურადაც შემოერთებისა. „ქართლის ცხოვრების“ სომხური, XII ს. თარგმანის მიხედვით, სწორედ დავით მეფემ „მოისურვა სომეხთა და ქართველთა ეკლესიური შეერთება“ და საამისო კრებაც გამართა. ასეთ ვითარებაში, როცა საქართველოს ეკლესია და სამეფო პოლიტიკურად შემოერთებული სომხეთის ეკლესიურადაც შემოერთების პოლიტიკას აწარმოებდა, განა წარმოსადგენია, რომ იმავე ხელისუფლებასა და ეკლესიას ყივჩაყთა 40 000 ოჯახი, რომელიც საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად იყო გადმოყვანილი, სომხური ეკლესიისათვის მიენებებინათ და „სომხურ ქრისტიანობაზე“ მოექციათ?!

საქართველოს სამეფოსა და ასევე ეკლესიასაც ყივჩაყთა საქართველოში დამკვიდრებისა და ქართულ მოსახლეობაში შერწყმის საფუძვლად სწორედ მათი ქართულ-ქალკედონურ სარწმუნოებაზე მოქცევა მიაჩნდა და არა მათი „არმენიზაცია“, მით უფრო მაშინ, როცა სწრაფად მიმდინარეობდა თვით სომეხთა რელიგიური „ქართველიზაცია“, გაქართველება. ასე რომ, ყივჩაყები იქ უნდა დაესახლებინათ, სადაც ყველაზე უკეთესი პირობები იყო მათი სწრაფად გაქართველებისათვის. ამასთანავე, ანგარიში გაეწეოდა, ცხადია, სხვა პირობებსაც და სათანადოდ შეირჩეოდა სამეურნეო თუ სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებული და შესაფერისი, დაუსახლებელი თუ ნაკლებად დასახლებული ადგილები და სხვ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, არსებითად მართალი იყო ივ. ჯავახიშვილი, როცა ვარაუდობდა ყივჩაყების ჩასახლებას ძირითადად ქართლ-

ში, სადაც თურქთა შემოსევების წყალობით მოსახლეობა საგრძნობლად იყო შემცირებული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყივჩაყთა იმდროინდელი განსახლება მხოლოდ საკუთრივ გეოგრაფიული ქართლით შემოვფარგლოთ და მათი დასახლება აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, მათ შორის ქვემო ქართლშიც, არ ვივარაუდოთ, მით უფრო, რომ ამ დროს ქვემო ქართლში, სომხითში ქალკედონობა, როგორც ვთქვით, საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული და განმტკიცებული. მაგრამ არ არის სავარაუდებელი, რომ ყივჩაყები, სანამ ისინი გაქართველდებოდნენ, დაესახლებინათ სასაზღვრო, განსაკუთრებული მნიშვნელობის სტრატეგიულ რაიონებში. ძნელი წარმოსადგენია, რომ თურქული მოდგმის ყივჩაყებისათვის თურქ-სელჩუკებთან სასაზღვრო რაიონების დაცვა და გამაგრება თავიდანვე მიენდოთ.

აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში დასახლებული ყივჩაყები „დღითი დღე ქრისტიანდებოდნენ“ და ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, მალე შეერწყნენ კიდეც ქართველებს, ისე რომ, დავითის დროის „ყივჩაყის არც ერთი შთამომავალი ყივჩაყად აღარ შერჩა“. უმთავრესად ამით აიხსნება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყივჩაყთა მოსახლეობის კვალი ან საერთოდ არ შემონახულა, ან კიდევ, ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი. ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ ყივჩაყები სოციალური და სამეურნეო განვითარების დონით გაცილებით დაბლა იდგნენ ქართულ მოსახლეობასთან შედარებით და, ცხადია, არც არის წარმოსადგენი, რომ მათ რაიმე მნიშვნელოვანი კვალი დაეტოვებინათ მაღალგანვითარებული ფეოდალური ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებასა და ყოფაში.

ყივჩაყთა სწრაფი ასიმილაციით უნდა აიხსნას აგრეთვე ისიც, რომ დავითის შემდეგ, გიორგი III-ისა და თამარის დროს, საქართველოს ლაშქარში ცალკე „ყივჩაყთა ლაშქარი“ არ იხსენიება, ის ადრევე შეერწყა ქართულს და „ძველი ყივჩაყნიც“ მასში ივარაუდებოდნენ.

ყივჩაყთა თითოეულ ოჯახს სამეფოსათვის ერთი მუდმივი მოლაშქრე უნდა მიეცა, ასე რომ, ამიერიდან დავით აღმაშენებელს მუდმივად ჰყავდა ყივჩაყთაგან „წყობად გამავალი რჩეული ორმოცი ათასი“. ამ ახალ ლაშქარს მიეცა „ცხენები და საჭურველი“, დაიყო ნაწილებად („გუარად-გუარად“), ყოველ ნაწილს დაენიშნა სპასალარები, მმართებლები და ზედამდგომნი.

მუდმივი ლაშქრის ძირითად ნაწილს ყივჩაყები ქმნიდნენ, მაგრამ, როგორც ზემოთაც ითქვა და ვახუშტი ბაგრატიონის ერთი მეტად საინტერესო ცნობიდან ჩანს, მუდმივ ლაშქარში, ყივჩაყთა გარდა, საკუთრივ ქართველებიც იყვნენ. ვახუშტის სიტყვით, დავით აღმაშენებელს „მ ა რ ა დ ი ს მ ც ვ ე ლ ა დ“ სამოცათასიანი ლაშქარი ჰყავდა. ამასვე ადასტურებს იოანე ბატონიშვილიც. დავითმა „განაწყო მხედრობანი და

ყოველთვის მზად ჰყავდა როჭიკით სამოცი ათასი მხედარი კაცი". აქედან ორმოციათასი, დავითის ისტორიკოსის მიხედვით, ყივჩაყი იყო, დანარჩენი ოციათასი კი, ცხადია, ქართველები იქნებოდნენ.

ამრიგად, საქართველოს სამეფომ XII ს. 20-იან წლებში გაიჩინა სამოციათასიანი მუდმივი ლაშქარი. ესეც უმაგალითო ღონისძიება იყო ფეოდალური საქართველოს ისტორიაში — არც მანამდე და არც შემდეგ ფეოდალურ საქართველოს ასე მრავალრიცხოვანი მუდმივი ლაშქარი არ ჰყოლია.

სამოცათასიანი მუდმივი ლაშქრის გარდა, მეფეს ჰყავდა თავისი პირადი ხუთათასიანი გვარდია, „მცველად მისად", „მ ო ნ ა-ს პ ა" — „რჩეულნი და განსწავლულნი... მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა". ამასთანავე, ქვეყნის ლაშქრის ერთ ძირითად ნაწილს, დავითის ისტორიკოსის მოწმობით, ისევ ისე შეადგენდნენ „ს ა მ ე ფ ო ს ა ს პ ა ნ ი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი". ლაშქრის ამ სახეობას ვახუშტი, „მარადის მცველად" დადგენილ ლაშქრისაგან განსხვავებით, „სხვა სპას, ქვეყნითგან გამოყვანილს და ერისთავთა ქვეშე დაწესებულთ" უწოდებს. ეს ის ლაშქარი იყო, რომელსაც „მოუწოდიან ჟამად", ე. ი. დროდადრო, საჭიროების შემთხვევაში. საჭიროების დროს საქართველოს ლაშქარი ივსებოდა აგრეთვე „რ ო ქ ი ს ს პ ი თ", მეზობელი ქეყნებიდან დაქირავებული ჯარით. ლაშქრის დაქირავება ფეოდალურ ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ერთ-ერთ მთავარს მაინც ქართველებისა და ყივჩაყებისაგან შემდგარი „ქართველთა ლაშქარი" წარმოადგენდა. ამ ლაშქარს ზოგი მკვლევარი „დაქირავებულს", ან კიდევ „დაქირავებული ჯარის მსგავსს", მაგრამ „როქის სპისაგან" განსხვავებულს, უფრო მუდმივი სამსახურის სახის ლაშქარს უწოდებს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ ამ სამოცათასიან ლაშქარს არ შეიძლება ეწოდოს უცხოელთა დაქირავებული ჯარი; ჯერ ერთი, ასეთი სახის ლაშქრის აღსანიშნავად იმ დროს ქართულში, როგორც ვნახეთ, სხვა ტერმინი — „როქის სპა" (ქირის ლაშქარი) — იხმარებოდა. ამას გარდა, სახელმწიფო ქირით ჯარს მხოლოდ დროებით, გარკვეული ვადით იყვანდა და, ცხადია, არ ზრუნავდა მათ დასასახლებლად, ადგილებზე დასამკვიდრებლად თუ გასაქრისტიანებლად. ყივჩაყები კი, როგორც ვნახეთ, დავითმა საქართველოში დაასახლა და მათი სწრაფი გაქართველებაც დაიწყო. ამასთან, ისინი ქართველებთან ერთ ლაშქარში გააერთიანა. ასე რომ, ყივჩაყთა და ქართველთა ამ ლაშქარს შეიძლება მხოლოდ „ქართული მუდმივი ლაშქარი" ეწოდოს და არა ყივჩაყთა თუ საერთოდ უცხოელთა დაქირავებული ჯარი.

მაგრამ, მეორე მხრივ, დავითის მიერ შემოღებული ლაშქრის გასტუმრების ახალი წესი ქართველთა მუდმივ ლაშქარს ერთგვარად მარ-

თლაც ამსგავსებდა ქირის ჯარს. საქმე იმაში იყო, რომ დავითმა აკრძალა ალაფად მოპოვებული „საჭურჭლის“ (იარაღ-საჭურვლის თუ სხვა) მოლაშქრეთა შორის განაწილება: „დავითთასა არღარა განიყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა“, სამაგიეროდ მოლაშქრეთა „პატივი სხვა იყო“,— გვატყობინებს ვახუშტი ბაგრატიონი. ამასთან ერთად, თუ ანგარიშს გავუწევდით აგრეთვე ნაგვიანევი ხანის ზემომოტანილ ცნობას დავითის მიერ ამ სამოცდაათათასიანი ლაშქრის „როჭიკით“—ულუფათი და სარგოთი (ჯამაგირით) — შენახვის შესახებ, აშკარა გახდება დავითის მიერ ამ მხრივ გატარებული ღონისძიების არსი, მუდმივი ლაშქრის არსებითად ულუფასა და სარგოზე გადაყვანა.

მართალია, საქართველოს მუდმივ ლაშქარში 40 000 ყივჩაყი მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, მაგრამ, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, დავით აღმაშენებელს საკუთრივ ყივჩაყები არასოდეს გაუხდია თავის ძირითად დასაყრდენად, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია.

მაგალითად, ს. ერემიანის მიხედვით, დავით IV მსხვილ ქართველ ფეოდალებთან, დიდებულებთან ბრძოლაში ემყარებოდა უცხოელთა ჯარს და მასთან მიკედლებულ სომეხ ფეოდალებს.

ჯერ ერთი, დავით აღმაშენებელი ებრძოდა არა საერთოდ დიდ ქართველ ფეოდალებს, დიდებულებს, არამედ მხოლოდ მის რეაქციულ ფრთას, ნაწილს; მეორე, ყივჩაყების გადმოყვანამდე (1118—1120 წლებამდე) დავით IV-მ, ყივჩაყების გარეშე, გამარჯვებით დააგვირგვინა ბრძოლა საერო და საეკლესიო დიდგვარიან ფეოდალებთან; მესამე, ასევე ყივჩაყების ჩამოყვანამდე არსებითად დამთავრებული იყო ქვეყნის შიგნით ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგაც; მეოთხე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ უცხო ლაშქარზე და ასევე უცხოელ ფეოდალებზე დამყარებულ არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ მიუღწევია დიდი წარმატებისათვის და, ცხადია, მარტოოდენ ყივჩაყებისა და სომეხი ფეოდალების ხელის შემყურე, ვერც დავით აღმაშენებელი მოიპოვებდა იმ დიდ წარმატებებს, რაზედაც ასე აღფრთოვანებით წერენ სომეხი და ქართველი მისი თანამედროვე ისტორიკოსები; მეხუთე და რაც მთავარია, ს. ერემიანი ვერ დაასახელებს არათუ რამდენიმე, არამედ ერთ სომეხ ფეოდალსაც კი, რომელიც სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი კი არა, საერთოდ რაიმე მნიშვნელოვან თანამდებობაზე ყოფილიყო დავითის სამეფო კარზე. ასეთი არც სომხურმა და არც ქართულმა წყაროებმა არ იცის; მეექვსე, დავით აღმაშენებლის წარმატების წყარო ქვეყნის შიგნით არსებულ ძალებსა და რეფორმებსა და ღონისძიებებში უნდა ვეძიოთ და არა ქვეყნის გარეთ, გარეშე ძალებში; თუმცა, კაცმა რომ თქვას, საქართველოში დამკვიდრებული და

გაქრისტიანებული, ე. ი. ფაქტიურად გაქართველებული, ყივჩაყები რატომ უნდა მიგვეჩნია უცხო ძალად, უცხოელ მოლაშქრეებად?

ქართული ლაშქრის სრული რეორგანიზაცია, ლაშქრის სავსებით ახალი სახეების შექმნა ბუნებრივად მოითხოვდა სამეფო კარზე სამხედრო საქმეთა განსაგებლის რეორგანიზაციასაც. სწორედ ამ ახალ მოვლენებს დაუკავშირდა სამეფო კართან საგანგებო სამხედრო საქმეთა უწყებისა და მისი ხელმძღვანელის — „ამირსპასალარის", საქართველოს ჯარების მთავარსარდლის თანამდებობის შექმნა.

საქართველოს ისტორიის მკვლევარები ვარაუდობდნენ, რომ თვით ტერმინი „ამირსპასალარი" ქართულში მხოლოდ XII ს. მეორე ნახევრიდან, გიორგი III-ის (1156—1184) დროიდან შემოვიდა ხმარებაში. მაგრამ ამჟამად დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ტერმინი „ამირსპასალარიც" და თვით ეს თანამდებობაც, დავითის დროისათვის, XII ს. დამდეგიდან ქართული ფეოდალური მონარქიის სამოხელეო წყობისათვის სავსებით ცნობილი იყო. არაბულ-სპარსული სიტყვებისაგან შედგენილი ტერმინი „ამირსპასალარი" ქართულში, როგორც ირკვევა, თურქ-სელჩუკთა მეშვეობით, მათი სამოხელეო ტერმინოლოგიიდან შემოვიდა. მაგრამ თურქ-სელჩუკთა ამირსპასალარის უფლებამოვალეობათა შესწავლა, ურთიერთშედარება გვარწმუნებს, რომ ამირსპასალარის ქართული სამოხელეო ინსტიტუტი შინაარსობლივად არსებითად განსხვავდება ამავე სახელწოდების სელჩუკური ინსტიტუტისაგან. ასე რომ, ტერმინოლოგიური ნასესხობა, ცხადია, არ გულისხმობდა თვით ინსტიტუტის, ამ თანამდებობის გადმოღებას, მით უფრო, რომ ქართულ სამეფო სამოხელეო ინსტიტუტებს, საერთოდ, და „ლაშქრის თავის" ხელისუფლებას, კერძოდ, შეუდარებლად დიდი ტრადიცია ჰქონდა, ვიდრე სელჩუკურ სამოხელეო წყობასა და მისთვის დამახასიათებელ ამირსპასალარის ინსტიტუტს.

ამირსპასალარის თანამდებობის შემოღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლაშქრის ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის განმტკიცებისათვის.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის დროს, მისი რეფორმების წყალობით, საბოლოოდ დასრულებული სახით ჩამოყალიბდა ფეოდალური მონარქიის ცენტრალური სამოხელეო აპარატი. სამეფო კარის მმართველობის ცალკეულმა უწყებებმა, რომელთა სათავეშიც მათი „უხუცესები" (უფროსები, ხელმძღვანელები) იდგნენ, ან დავითის დროს მიიღეს დასრულებული სახე, ან კიდევ ამ დროიდან ჩამოყალიბდნენ საერთოდ. სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური აპარატის ცალკე უწყებას შეადგენდა სამეფო ფინანსები და მას მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა; საქართველოს სამეფოს საშინაო საქმეების სათავეში მანდატურთუხუცესი იდგა; სამხედრო უწყებას ამირსპასალარი ხელმძღვანელობდა,

მისი პირველი თანაშემწე კიდევ პროტოსტრატორი ანუ ამირახორი იყო. აქ დასახელებული ცალკეული უწყებები ერთიანდებოდა ერთ საერთო განსაგებელში, რომელსაც სათავეში ედგა სამეფოს ვაზირი — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. ვაზირი „მეფის მამად“ იყო მიჩნეული და მეფის შემდეგ, ყველა სახელმწიფო საქმე, მათ შორის საეკლესიო, სწორედ მას ეკითხებოდა. ასე მოახდინა დავით აღმაშენებელმა სახელმწიფო ხელისუფლების კონცენტრაცია სამეფო კარზე. აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ცენტრალური სამოხელეო აპარატი არსებითად უცვლელად დარჩა მის მემკვიდრეთა (დემეტრე I, გიორგი III, თამარი) მეფობის პერიოდშიც.

დავით აღმაშენებლის ზემოაღნიშნული რეფორმების ერთ-ერთ ძირითად აზრს ისიც შეადგენდა, რომ იგი განსაკუთრებით წინ წევდა, აძლიერებდა და უპირატესობას ანიჭებდა სწორედ ცენტრალურ სამოხელეო აპარატს. ამასთანავე, ადგილებზე დანიშნულ მოხელეებს — მოსაკარგავე ერისთავებს, მათი ცენტრალური აპარატისადმი დაქვემდებარების მიზნით, სამეფო კარზე თანამდებობებსაც აძლევდა და ცენტრალური უწყების მოხელედ აქცევდა. ამიტომ იყო სვანთა ერისთავი პროტოსტრატორი თუ მეჭურჭლეთუხუცესი, ორბელები — ამირსპასალარიცა და მანდატურთუხუცესიც და ა. შ.

დავითის მიერ გატარებული (განსაკუთრებით სამხედრო) რეფორმები ზოგ ქართველ მკვლევარს (მაგ., ს. კაკაბაძეს) თურქ-სელჩუკთაგან გადმოღებულად მიაჩნდა. ზემოთ ჩვენ მართლაც ვნახეთ, რომ ზოგი სახელოს (თანამდებობის) სახელწოდება და თვით სახელიც თითქოს თურქულ-სელჩუკურია. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ზოგი სახელოს სახელწოდება ბიზანტიურია (მაგ., პროტოსტრატორი), ზოგიც — ბიზანტიურ-ქართული (მანდატურთუხუცესი) და ან წმინდა ქართული (მეჭურჭლეთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი); მაგალითად, „მონა-სპა“, რომელსაც ზოგიერთი თურქ-სელჩუკთაგან გადმოღებულად მიიჩნევს, იმ დროის სხვა ქვეყნებშიც, მაგ., ბიზანტიაშიც იყო. ასე რომ, დავით IV-ს სამაგალითოდ მარტო თურქ-სელჩუკების სამოხელეო წყობილება არ ჰქონია. იგი, როგორც ჩანს, საკუთრივ ქართულთან ერთად, უცხოელების, პირველ რიგში მეზობელი ქვეყნების — თურქ-სელჩუკების, ბიზანტიის — მიღწევებსაც ეცნობოდა და შესაძლებელ შემთხვევაში, ზოგ მათგანს თავის მოღვაწეობაში ითვალისწინებდა კიდეც.

ასე რომ, მისთვის, სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალური ქვეყნის გაძლიერების ინტერესების თვალსაზრისით, მიუღებელი არ იქნებოდა არც აღმოსავლური (თურქულ-სელჩუკური) და არც დასავლური (ბიზანტიური) სახელმწიფოებრივი წყობისათვის დამახასიათებელი ელემენტების გათვალისწინებაც. ამ ქვეყნებთან ყოველდღიური, სამ-

ტრო თუ სამშვიდობო, შეხვედრა-ურთიერთობის ინტერესები დავითს სწორედ აქეთკენ, მათი გამარჯვების, წარმატებისა თუ წარუმატებლობის საფუძვლების გაცნობისაკენ და საჭირო შემთხვევაში, გათვალისწინებისკენაც უბიძგებდა. მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს საშინაო სახელმწიფოებრივი რეფორმების წყაროები მის საზღვრებს გარეთ, სელჩუკურსა თუ ბიზანტიურ სახელმწიფოებრივ წყობაში ვეძიოთ.

დავითის მრავალმხრივი რეფორმა იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული და ამიტომაც, ცხადია, არ შეიძლება იგი „დიდ სელჩუკთა" სულთნების რეფორმის განმეორება იყოს. როგორც სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის მკვლევარები აღნიშნავენ, საუფლისწულოთა სისტემის გაბატონების წყალობით, სელჩუკთა სახელმწიფო პატარ-პატარა „სახელმწიფოთა" ერთგვარი ფედერაცია იყო და ამიტომაც ცენტრალურ სამოხელეო უწყებებს XI ს. მიწურულისათვის უკვე დაკარგული ჰქონდა მნიშვნელობა. სამაგიეროდ, ადგილობრივი ადმინისტრაცია მთლიანად იყო შენარჩუნებული თავისი მოხელეებითა თუ სამოხელეო წყობით. ასე რომ, საუფლისწულოთა სისტემა, რომელიც განსაკუთრებით გავრცელდა XII ს., თურქ-სელჩუკებში აყვანილი იყო სახელმწიფოებრივი წყობის ნორმების სიმაღლემდე. ამგვარად წარმოიქმნენ სხვადასხვა სასულთნოები, საათაბაგოები და საამიროები.

საქართველოში კი, როგორც აღვნიშნეთ, საწინააღმდეგო პროცესი მიმდინარეობდა: საუფლისწულოთა სისტემის თუ განკერძოებული ერისთავების წინააღმდეგ ბაგრატ III-ის მიერ დაწყებული ბრძოლა დავით IV-მ დაასრულა... დავითის რეფორმებმა კიდევ, მმართველობის ზოგი ადგილობრივი აპარატის გაუქმებისა თუ ზოგის მნიშვნელობის შემცირების ხარჯზე, გააძლიერა და განამტკიცა ცენტრალური სამოხელეო აპარატი. ამრიგად, დავით აღმაშენებლის რეფორმები სხვა ნიადაგზე იყო აღმოცენებული, რეფორმებიც იმის შესაბამისს შინაარსს ატარებდა და შედეგებიც, ცხადია, არ შეიძლებოდა დამთხვეოდა „დიდ სელჩუკთა" სულთნების ღონისძიებათა შედეგებს.

დავით IV-ის ზემოაღნიშნულმა რეფორმებმა კიდევ უფრო გააძლიერა სამეფო ხელისუფლება. ქვეყნის მმართველობის სათავეში იდგა მეფე, რომელიც ძველებურად „თანასწორთა შორის პირველი" კი არ იყო, არამედ უკვე თვითმპყრობელი ხელმწიფე, „ღვთის მიერ კურთხეული" უზენაესი და შეუზღუდველი ხელისუფალი. არ იყო ქვეყნის ცხოვრების .არც ერთი მხარე, რომელიც სამეფო ხელისუფლების კომპეტენციაში (უფლებებში) არ შედიოდა. მეფე ყველაფერს თავის ძალაუფლებას უქვემდებარებდა და ხელისუფლების სრულ კონცენტრაციას ახდენდა. ეს კარგად ასახა დავითის ისტორიკოსმა. მისი სიტყვით,

ვინ და როგორ აღრიცხოს რამდენი საქმე მოეთხოვება მეფობას, რამდენი მოვალეობა და განსაგებელი აქვს მას, საზღვრების გაფართოება და მათი დაცვა, განხეთქილებათა თავიდან აცილება, სამეფოში წესრიგის დამყარება, ლაშქართა მეცადინეობა, მთავართა მზაკვრობის გამოცნობა, მხედართმთავრების განწესება, ხალხის შეგონება, ადმინისტრაციული და სასამართლო გადაწყვეტილებანი, ხაზინის შემოსავალნი, ელჩებთან შეხვედრა და მათთვის პასუხის გაცემა, ძღვენის მომტანთა ღირსეულად დასაჩუქრება, შეცოდებულთა საკადრისი წვრთნა, დამსახურებულთა უხვად დაჯილდოება, საჩივართა სამართლიანი გამოძიება, მოსაკითხავთა შესაფერისი მოკითხვა, ჯარის დაწყობა და მისი მარჯვედ გაძღოლა — ვინ ამოსწურავს იმ სახელმწიფოებრივი საქმეების ზღვას, რომელშიც არავინ ჰგავს დავითს, არც ძველი და არც ახალი მეფე. და ამაში ისტორიკოსი სავსებით მართალი ჩანს — საქართველოს არც ერთი მეფე ისე ძლიერი და თვითმპყრობელი არ ყოფილა, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო.

ეს კი დავით აღმაშენებელმა შეძლო ისევ ფეოდალებზე, **წვრილ და საშუალო აზნაურებსა და ქალაქებზე დაყრდნობით, დიდგვარიან, რეაქციონერ ფეოდალთა დამარცხებითა და ეკლესიის მორჩილებაში მოყვანით;** დავითის ისტორიკოსის სიტყვით რომ ვთქვათ, „ნაცელად ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა, ერთგულთა, ფრთხილთა და ახოვანთა განდიდებით". **ფეოდალური მონარქიის ასე გაძლიერებასა და განდიდებას,** ცხადია, **სარგებლობა პირველ რიგში სწორედ იმ მაღალი საზოგადოებრივი ფენებისათვის მოჰქონდა, რომელსაც მეფე ემყარებოდა.**

ფეოდალური საქართველოს დაბალი ფენები კი, მშრომელი ხალხი, ქვეყნის დოვლათის შემქმნელი ამ რეფორმების გასატარებლად ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ; მუდმივი ლაშქრის ორგანიზაცია, რიცხვმრავალ „სამეფო სპის" უზრუნველყოფა იარაღ-საჭურველითა და მისი შენახვა დიდ სახსრებს მოითხოვდა. მშრომელთა ექსპლოატაციის გაზრდის ხარჯზე წარმოებდა აგრეთვე ლაშქრის სწრაფი და დაუბრკოლებელი მიმოსვლისათვის ახალი გზების გაყვანა, ძველ გზებზე ქვაფენილების დაგება, გაუვალ მდინარეებზე ხიდების აგება და სხვა. ასე რომ, დავით აღმაშენებლის ეს დიდი რეფორმები და სხვა ღონისძიებები მძიმე ტვირთად აწვებოდა განსაკუთრებით მწარმოებელ მოსახლეობას, საეკლესიო თუ საერო ფეოდალების ყმებს, ქალაქების მოსახლეობის დაბალ ფენებს — ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებს.

სამეფო ხელისუფლება საერო თუ საეკლესიო ფეოდალების, დიდვაჭრების შემწეობით ახერხებდა მწარმოებელი მოსახლეობიდან საჭირო დიდი რესურსების ამოქაჩვას. ამიტომაც ასე გაძლიერებულ სამეფოში მრავლად იყვნენ „დაჭირებულნი და მიმძლავრებულნი", „გლა-

ხაკნი“, „ღარიბ-ღატაკნი“, თვით ეკლესიაც, „მონასტერნი, ლავრანი“ და ხუცესნიცა“ დავით აღმაშენებელს მეფობის ბოლო წლებამდე, ე. ი. სანამ ყველა უმთავრესი საქმე მოგვარდებოდა, „ყოველსა ჭირსა და ბეგარაში“ ჰყოლია. მათი მუდმივი სტუმრები იყვნენ სამეფო გადასახადების ამკრეფნი — „მოსაკარგავე მაჭირვებელნი“. სწორედ ამიტომ სჭირდებოდა მეფეს ეკლესიის მორჩილებაში მოყვანა, ქვეყანაში მკაცრი თვითმპყრობელური რეჟიმის დამყარება.

დავითის ისტორიკოსის სიტყვით, თუმცა მეფის „შიში დიდი და ზარი... ქვეყნის კიდით-კიდემდე იყო განფენილი“, მაინც აშკარად გაისმოდა ძლიერი უკმაყოფილების ხმები. თვით დავითის პოლიტიკის თავდადებული მომხრე და დამცველი ისტორიკოსიც კი ვერ მალავს, რომ მეფეს ბევრი ჰყავდა „მაბრალობელნი“ და „მგიობელნი“ (მძაგებელნი) სამეფოს მოსახლეობის „მჭისედ“ (გაჭირებით) ყოფნისათვის, მისი „მხედრობის განუსვენებლობისათვის“... ცხადია, ეს „მაბრალობელნი“, პირველ რიგში, ისინი იქნებოდნენ, რომელთაც თავისი მჭრებით უბდებოდათ სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა სიმძიმის ზიდვა — გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები.

„მაბრალობელთა“ სხვა ჯგუფი კი, როგორც ჩანს, დამცრობილი დიდგვარიანები, განსაკუთრებით იმით იყვნენ უკმაყოფილო, რომ მეფე „ვისაც შეიყვარებდა — განადიდებდა, ხოლო ვისაც შეიძულებდა, დაამცრობდა, ზოგს აღამაღლებდა და ზოგს დაამდაბლებდა“.

როგორც დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, „მაბრალობელთა“ როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფი ყოველნაირად ცდილობდა მეფის თავიდან მოცილებას, არაერთხელ განუზრახავთ ღალატი და მოულოდნელი თავდასხმა მასზე, საამისოდ გაუჩენიათ კიდეც „კაცნი მხნენი, რომელნიმე ხრმლითა, რომელნიმე შუბითა და სხუანი ისრითა“ შეიარაღებულნი და ეს „არა ერთ, ორ და განა სამგზის, არამედ მრავალგზის“ ყოფილა მოწყობილი, მათ არაერთხელ დაუმარტოხელებიათ კიდეც მეფე, მაგრამ ყოველთვის გადარჩენილა იგი „მღეგართა მისთაგან“; დავითის ისტორიკოსის ამ კანტი-კუნტი ცნობებიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ რამდენად ძლიერი იყო ფეოდალური საზოგადოების ცალკეული ფენების პროტესტი, მათი გამოსვლები მეფისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ.

თვითმპყრობელი მეფე დაუნდობლად უსწორდებოდა „მაბრალობლებს“ და ვინც მის მიერ აღებული გეზიდან „განდრეკილად სვლას“, „ორგულობას, ზაკვასა და ღალატს“ გაბედავდა. მუდმივ ლაშქარს, მთელ მის საპოლიციო აპარატს მეფე არა მარტო გარეშე მტრებთან ბრძოლაში, არამედ შინაგანი მღელვარების ჩასაქრობად და დასათრგუნავადაც იყენებდა.

ყველა ზემოაღნიშნული საშინაო რეფორმა XI ს. მიწურულსა და

XII ს. დამდეგს განხორციელდა. ამ ღონისძიებების გატარებამ სამეფო ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა, ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და თურქ-დამპყრობელთა განდევნის მიზნით, გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგა. ეს კახეთის საბოლოოდ შემომტკიცებითა და ერწუხის „დიდი და ხმა-გასმენილი“ (სახელგანთქმული) ბრძოლით დაიწყო. ერწუხის 1105 წ. ომმა დააგვირგვინა საქართველოს სამეფო ხელისუფლების საუკუნოვანი ბრძოლა კახეთის შემოსამტკიცებლად. ამ კუთხის შემოერთებით კი ძირითადად დასრულდა ქვეყნის გაერთიანების საქმე.

ერწუხის ომს დავითი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და თვითონაც, თავისი პირადი მაგალითით, ამ ომის მონაწილეებს თავდადებისა და გმირობის საუცხოო ნიმუშს აძლევდა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „თვით მეფე, ზოგ სხვასავით, ზურგში კი არ უდგა და შორიდან კი არ უძახოდა თავის ლაშქარს... არამედ ყველა მათგანზე წინ მიდიოდა და როგორც ლომი, მაღალი ხმით შეუძახებდა და გრიგალივით მიდამოს აქცევდა, გოლიათურად უტევდა და ძლიერი მკლავით ახოვნებას ამხობდა, წინ შემხვედრთ სრვიდა და დასცემდა... [ბრძოლაში მეფეს] სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხე ცხენზე მჯდომმა გამარჯვებით დაასრულა იმ დღის ომი“. თავდადებით იბრძოდა ქართველთა, მართალია, ჯერ კიდევ მცირე, მაგრამ უკვე გაწვრთნილი და ორგანიზებული ლაშქარი და „განწირული ერი“. სწორედ მათ „დახოცეს სულტნის ურიცხვი სპა“. ერწუხის ველზე დავითის ლაშქრის მიერ მოპოვებულმა ამ პირველმა დიდმა გამარჯვებამ ცხადყო საქართველოს სიძლიერე და გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადყოფნა.

მართლაც, ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, მეფემ თურქ-სელჩუკებს ზედიზედ წაართვა მათ მიერ საქართველოში დაპყრობილი ქალაქები და ციხე-სიმაგრეები. 1110—1118 წწ. განთავისუფლდა ქალაქი სამშვილდე, ქალაქი რუსთავი, ციხეები: გიში, ლორე და აგარანი. ბუნებრივია, დამპყრობლები ასეთ მარცხს ადვილად არ ურიგდებოდნენ და დროდადრო საპასუხო ლაშქრობებსაც აწყობდნენ დაკარგული ქალაქებისა და ციხეების დასაბრუნებლად, მაგრამ ასეთი თავდასხმებიც უკუგდებულ იქნა, საქართველო დამპყრობლებისაგან თანდათან იწმინდებოდა. უკვე ამ წლებში საქართველოს სამეფომ თურქების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს საზღვრებს იქითაც გადაიტანა და დამპყრობლებს მის მეზობელ ქვეყნებშიც, კერძოდ, შირვანში (ახლანდელი აზერბაიჯანი) შეუტია.

ამრიგად, XII ს. 20-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოს შიგნით თურქ-დამპყრობლებთან ბრძოლა ძირითადად მოგებული იყო, საქართველოს სამეფოს თავდაცვითი ომები წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ ჯერ კიდევ არაერთი ამოცანა იყო გადასაწყვეტი საბოლოო და მტკიცე გამარჯვების მოსაპოვებლად. ქვეყნის იმდროინდელი საგა-

რეო და საშინაო მდგომარეობა სამეფო ხელისუფლებისაგან, განსაკუთრებით საგარეო ურთიერთობათა მოწესრიგების თვალსაზრისით, ახალი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა.

3. საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა დიდგორის ბრძოლის წინ

ა. ურთიერთობა ბიზანტიასთან

XI ს. მიწურულს საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ბიზანტიასთან ურთიერთობის მოწესრიგება შეადგენდა. გიორგი I-ის დროიდან მოკიდებული ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. გიორგი I-ის შეიარაღებულ ბრძოლას ბიზანტიის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, უკვალოდ არ ჩაუვლია. ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლება იძულებული გახდა საქართველოს მიმართ თავისი პოლიტიკა შეეცვალა და ამიერიდან საქართველოს საშინაო საქმეებში აშკარად ჩარევის მაგიერ უფრო შენიღბული მეთოდებისათვის მიემართა: სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ადგილობრივი (ქართველი) ფეოდალებისათვის მხარდაჭერით (იარაღით, ლაშქრით, ფულით) კიდევ უფრო დაესუსტებინა საქართველოს მეფე. ასეთი ხერხით ბიზანტიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია კიდეც, განსაკუთრებით მის მიერ მხარდაჭერილი ლიპარიტ კლდეკარის ერთისთავისა და ბაგრატ IV-ეს შორის გამართულ ბრძოლაში.

მაგრამ მალე ბიზანტია იძულებული გახდა ასეთი მოქმედებაც შეწყვიტა — XI ს., განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან, პაჭანიკების გამუდმებულმა თავდასხმებმა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა გამოჩენამ თვით მას მრავალი საზრუნავი გაუჩინა საგარეო ურთიერთობაში და ამიერკავკასიის ქვეყნებთან გონივრულ დამოკიდებულებას ამ გართულებულ საგარეო ურთიერთობის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ყივჩაყების მიერ შევიწროებული პაჭანიკების განუწყვეტელი შემოტევები ბიზანტიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებზე მძიმე დღეში აყენებდა ბერძნებს. მრავალი ხალხის ენერგია შეელია პაჭანიკების წინააღმდეგ ბრძოლას. დიდმა ქართველმა მოღვაწემ გრიგოლ ბაკურიანმა, ბიზანტიის ჯარების დასავლეთის დომესტიკოსმა (მთავარსარდალმა) არაერთი გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა პაჭანიკებს და არაერთხელ ასახელა ბიზანტიის იარაღი. მაგარმ ბიზანტიას ამ დროს მარტო პაჭანიკები როდი ებრძოდნენ. კიდევ უფრო დიდი საშინელება

ხდებოდა სამხრეთით — თურქ-სელჩუკთა გამანადგურებელ ლაშქრობათა წყალობით.

სწორედ ასეთი მძიმე საგარეო ვითარების დროს ბიზანტიის პოლიტიკოსებმა დიდი შორსმჭვრეტელობა ვერ გამოიჩინეს და სომხეთის სამხედრო ძლიერებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოშლით საკუთარი ხელებითვე მოსპეს თურქების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერები — სომხური დამოუკიდებელი სამეფოები. საქართველო კიდევ თვით აწარმოებდა მძიმე ბრძოლებს საკუთარ ტერიტორიაზე და ბიზანტიის უშუალო აქტიური მოკავშირე ვერ იქნებოდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ძალით მოკავშირეობას კი ამჯერად იმპერია საქართველოს ვეღარ უკარნახებდა: ასე რომ, ბიზანტია თურქ-სელჩუკების პირისპირ აღმოჩნდა და 1071 წ. აგვისტოს მანასკერტის მახლობლად გადამწყვეტ ბრძოლაში კიდევაც განიცადა დიდი მარცხი.

მანასკერტის ბრძოლა იყო მნიშვნელოვანი გარდატეხის ეტაპი არა მარტო მახლობელი აღმოსავლეთის, არამედ, რამდენადმე, თვით მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისითაც. ზოგი მკვლევარის მიხედვით, ამ დროს გაირკვა საბოლოოდ მახლობელ აღმოსავლეთში ძირითადი დომინირებული ძალის საკითხი: ასეთ ძალას, ამ დროიდან მოკიდებული საკმაო ხნის მანძილზე, თურქ-სელჩუკები წარმოადგენდნენ.

ამას გარდა, მანასკერტის შემდეგ ბიზანტია იძულებული გახდა გამოთხოვებოდა ამიერკავკასიაში შეჭრისა და კერძოდ კი, საქართველოში თავისი გავლენის განმტკიცების გეგმებს. ასე რომ, მანასკერტი კიდევ ერთი საფეხური იყო ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ამიერიდან საქართველოს შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო და ბიზანტია ჩაეთვალა ისეთ ძალად, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო გამოემჟღავნებინა აგრესიული ზრახვები საქართველოს მიმართ. ამიტომ საქართველოს სამეფო ხელისუფლება ცდილობდა „დიდი თურქობის“ მძიმე დროსა და დავითის მეფობის პირველ წლებში, ბიზანტიასთან ადრევე არსებული ურთიერთობა შეენარჩუნებინა და საქართველოს მეფეებს ისევე მიეღო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები, როგორც ბაგრატ III-ისა თუ ბაგრატ IV-ის დროს. ამით აიხსნება, რომ არა მარტო გიორგი II, არამედ დავით IV-ც ერთხანს ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს ატარებდა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გამეფებამდე, 1085 წლამდე, როგორც ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერიდან ჩანს, დავით გიორგის ძე „სევასტოსად“ იწოდებოდა, ხოლო თვით მამა, გიორგი კი — კესაროსად. ამგვარივე — სევასტოსის — ტიტული შერჩა დავითს ერთხანს, გამეფების შემდეგაც. ხოლო შემდეგ, 1091—92 წწ. იგი უკვე „პანიპერსევასტოსად“ არის მოხსენიებული. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს

დავითის უკანასკნელი და უმაღლესი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული. სხვა, უფრო მაღალი ტიტული, შემდეგ წლებში მიკუთვნებული, ჩვენთვის უცნობია. როგორც ჩანს, XI ს. 90-იან წლებში არსებითად დასრულდა ბიზანტიის იმპერატორების მიერ საქართველოს მეფეებზე მფარველობის ხელის დადების მაუწყებელი სამოხელეო საკარისკაცო ტიტულების მინიჭების პერიოდი.

სწორედ ამ დროს ბიზანტია ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ ალექსი კომნინოსი იძულებული გახდა მისთვის საძულველ „ლათინებისაგან" დახმარება ეთხოვა. 1092 წ. ალექსი კომნინოსი (1081—1118), გრაფ რობერტ ფლანდრიელისადმი გაგზავნილი წერილით, ფაქტიურად, იწვევდა ევროპელ რაინდებს კონსტანტინოპოლის გასაძარცვად და დასაპყრობად: „წმიდა იმპერია... დიდად შევიწროებულია პაჭანაკებისა და თურქების მიერ. ისინი ყოველდღიურად ძარცვავენ მას და ართმევენ ოლქებს. ქრისტიანთა შეურაცხყოფა და ხოცვა, უბედურება, რომელიც მას თან სდევს, აღურიცხველია... გეხვეწებით თქვენ, ქრისტეს მებრძოლნო... იჩქაროთ ჩემი და ქრისტიანი ბერძნების დასახმარებლად... თქვენ გნებდებით ჩვენ, გვირჩევნია ვიყოთ თქვენი, ვიდრე წარმართთა ბატონობის ქვეშ; დაე, კონსტანტინოპოლი იყოს თქვენი, ვიდრე თურქებისა და პაჭანიკებისა... აქ არის ძვირფასი წმიდა ნაწილები ღვთისა. კონსტანტინოპოლის ერთი ეკლესიის საგანძური საკმარისი იქნებოდა მსოფლიოს ყველა ეკლესიათა მოსართავად"... როგორც არ უნდა იყოს გადაკეთებული თვით ჯვაროსნების მიერ ამ წერილის ლათინური ტექსტი, აშკარაა, რომ XI ს. 90-იან წლებში მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბიზანტია დახმარებისათვის მიმართავდა ევროპელ მთავრებს.

ბიზანტიის ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელი იყო საქართველოსათვის. დავით აღმაშენებელმა, როგორც ჩანს, შექმნილი ვითარებით ისარგებლა და საბოლოოდ უარი თქვა ბიზანტიის ვასალობის მაუწყებელ ყოველგვარ საკარისკაცო ტიტულებზე. ასე რომ, დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში გაბატონების მოსურნე ბიზანტიის იმპერიას ამიერიდან მის თანატოლ და იქნებ კიდევ უფრო მეტის პრეტენზიების მქონე სახელმწიფოსთან — საქართველოსთან — უნდა ჰქონოდა საქმე. მაგრამ ამასთანავე, თურქ დამპყრობთან ენერგიულად მებრძოლ ქვეყანას ბიზანტიასთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება და მასთან კავშირის განმტკიცება სჭირდებოდა.

სწორედ ამან, ასეთმა საგარეო პოლიტიკურმა ინტერესებმა უკარნახა დავით IV-ს თავისი ერთ-ერთი ქალიშვილი — კატა — 1118 წ. ბიზანტიის საიმპერატორო კარზე გაეთხოვებინა. ერთ-ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით, კატა უნდა გათხოვილიყო იმდროინდელი იმპერატორის ალექსის უფროსი ქალიშვილის ანას რძლად, ე. ი. ანა

კომნინოსისა და მისი მეუღლის, ნიკიფორე ვრიენიოსის უფროს ვაჟიშვილზე, ალექსიზე. ბიზანტიის ისტორიის მკვლევარები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი ამ ცნობის სისწორეში, რომ დავით აღმაშენებლის ქალიშვილის მეუღლედ ანასა და ნიკიფორეს ვაჟიშვილს, ალექსის მიიჩნევდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სწორი არ არის. კატა იქნებ, მართლაც, იყო ანას რძლად გათვალისწინებული, მაგრამ მისი ქორწინება ალექსიზე არ მომხდარა. როგორც მასალებიდან ირკვევა და როგორც ეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე (ო. ლორთქიფანიძე, ვ. კოპალიანი) აღინიშნა, დავით აღმაშენებლის ქალიშვილი კატა 1118 წ., სწორედ იმ დროს, როცა ბერძენთა იმპერატორი ალექსი კომნინოსი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მიათხოვეს მის ყველაზე უმცროს ძეს ისააკს. ქართველი მხედრობა, რომელიც თან ახლდა საქართველოს მეფის ასულს, დედაქალაქში სწორედ იმ დღეებში აღმოჩნდა, როცა უნდა გადაწყვეტილიყო ბიზანტიის ტახტის მემკვიდრის საკითხი; ამას გარდა, ეს მხედრობა სწორედ იმ პარტიის მხარეზე იყო, რომელსაც ისააკი ედგა სათავეში და, რომელიც, წინააღმდეგ იმპერატორის მეუღლის ირინეს, ქალიშვილის ანასა და სიძის ნიკიფორე ვრიენიოსის პარტიისა, ალექსის უფროსი ვაჟის, იოანეს გამეფებისათვის იბრძოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხედრობა იყო აგრეთვე პირველი, რომელმაც მიუღოცა მანგანის სასახლიდან გამოსულ იოანეს გამარჯვება და მამის მემკვიდრეობის დასაკუთრება. როგორც ჩანს, კატა და მისი მხლებლები, ქართველთა მხედრობა, არა მარტო საქმის კურსში იყვნენ, არამედ აქტიურადაც მონაწილეობდნენ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობის საკითხის გადაწყვეტაში. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ისააკისა და კატას ქორწინება მაინცდამაინც 1118 წ., სწორედ ტახტისათვის ბრძოლის გადამწყვეტ წელს დაემთხვა. სავარაუდებელია, რომ ქართველთა მხედრობა, მეფის ასულის მხლებელი, საგანგებოდ იყო ჩაყვანილი კონსტანტინოპოლში, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი ძალა იოანესა და ისააკის მომხრეებისა, იოანეს გამეფებისათვის ბრძოლაში. სიძის, ისააკის ძმის იოანეს ტახტზე აყვანა, ზოგი არა პირდაპირი მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მეფისათვისაც ხელსაყრელი იყო და ჩანს, ამიტომაც მონაწილეობდნენ თითქოს საქორწილოდ ჩასული ქართველებიც ტახტისათვის ბრძოლაში.

ყველა ზემოთ დასახელებულმა მოვლენამ მისცა, ალბათ, შესაძლებლობა დავითის ისტორიკოსს ეთქვა, რომ საქართველოს მეფისათვის ამიერიდან „მეფე ბერძენთა [იყო] ვითარცა სახლეული (სახლის წევრი) თჳსი“. მართლაც, დავით IV-ს უფლება ჰქონდა კატას, მისი მეუღლის ისააკისა და ქართველთა ლაშქრის დახმარებით გამეფებული იოანე მიეჩნია თავის სახლეულად, სახლის წევრად, ახლობლად.

საქართველოს სამეფოს ბიზანტიასთან ურთიერთობის ეს ხაზი არ შეუცვლია დავითის მეფობის უკანასკნელ წლებამდე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეფის სიძე ისააკი ამის შემდეგ იმავე ძმის უკვე მოწინააღმდეგეთა მხარეზე აღმოჩნდა და მას სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა კიდეც. დამახასიათებელია, რომ ისააკი ყველგან ეძებდა თავისი ძმის სამტრო ძალებს — აზიის ქრისტიან თუ მუსლიმან ხელმწიფეებთან: იკონიის სულთანთან, ტრაპიზონის დუკასთან, კილიკიის სომხეთის მთავართან, სირიასა და პალესტინაში, მაგრამ არა საქართველოში. როგორც ჩანს, ისააკი ამ მიზნით საქართველოში არ ჩამოსულა, ან კიდევ, ქართულ-ბერძნულ წყაროებში ამის შესახებ ცნობები არ შემონახულა. როგორც ირკვევა, დავით IV, გარკვეულ წლებში მაინც, საჭიროდ არ მიიჩნევდა იოანეს დაპირისპირებოდა, თუნდაც თავისი სიძის ინტერესებისათვის.

ამრიგად, **დავით აღმაშენებელმა ბიზანტიასთან დამყარებული უმთავრესად კეთილმეზობლური ურთიერთობით არსებითად უზრუნველყო თავისი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთის, ბიზანტიასთან დამაკავშირებელი საზღვრების უშიშროება.** თუმცა ბიზანტიასა და საქართველოს საზღვრები ამ დროს, თურქ დამპყრობთა წყალობით, ყოველთვის უშუალოდ როდი ემიჯნებოდა ერთიმეორეს.

ბ. ურთიერთობა ჩრდილოეთის ქვეყნებთან და ხალხებთან

ჩრდილოეთის ხალხები და ქვეყნები ადრიდანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკურ ინტერესთა სფეროში, მაგრამ ახალი ეტაპი საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხების ურთიერთობაში, როგორც ეს აღნიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, დავით აღმაშენებლის დროს დაიწყო.

დავით აღმაშენებელი კარგად ხედავდა, რომ იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელსაც საქართველო თურქების წინააღმდეგ აწარმოებდა და აგრეთვე საერთო მტრის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო ჩრდილო კავკასიის ხალხებს, განსაკუთრებით კი ოსებსა და ყივჩაყებს.

ოსებთან საქართველოს ურთიერთობა XI ს. კეთილმეზობლური იყო: გაერთიანებული საქართველოს მეფეები ოსეთთან ასეთ ურთიერთობას მათთან დამოყვრებით (გიორგი I, ბაგრატ IV) კიდევ უფრო ამტკიცებდნენ. დავით აღმაშენებლის დროს კი, როცა მკვეთრად დაისვა ყივჩაყთა საქართველოში გადმოყვანის საკითხი, ოსებთან საქართველოს ურთიერთობის ახალი ფორმების შემუშავების საჭიროებაც დადგა.

ყივჩაყებს მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ ოსებთან და თუკი ოსეთი საქართველოს მეფის ნება-სურვილის შემსრულებელი არ იქნებოდა, იმ გზებსა და გადასასვლელებზე, რომელსაც ამჯერად ისინი უწევდნენ კონტროლს, საქართველოს მეფე ყივჩაყებს ვერ გამოატარებდა. საჭირო იყო ოსეთის მორჩილებაში მოყვანა, მაგრამ არა იარაღის წყალობით, არამედ მშვიდობიანი გზით.

დავით IV-მ საამისო ნიადაგი ადრევე მოამზადა. ამ მიზანს ისახავდა, როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო სახლის დამოყვრება ოსეთის სამეფო დინასტიასთან. თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, დავით IV-ის ერთ-ერთი ქალიშვილი ოსეთს ყოფილა გათხოვილი. საქართველოს ისტორიის მკვლევარებს — მ. ბროსესა და სხვებსაც — ეს სარწმუნოდ მიაჩნიათ, თუმცა საკუთრივ დავითის ისტორიკოსს ასეთი რამ არ მოეპოვება და არსაიდან ჩანს, რომ დავითს მესამე ქალიშვილიც ჰყოლოდა. თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ ეს ცნობა იქნებ ხელოვნურად იყოს შექმნილი დავით სოსლანის ბაგრატიონობის დასამტკიცებლად კიდევ ერთი ზედმეტი საბუთის მოშველიების მიზნით; მაგრამ იგი მაინც ანგარიშგასაწევია — თუ საკუთრივ დავითის ასული არა, სამეფო სახლის რომელიღაც წევრი მაინც უნდა იყოს ამ დროს ოსეთის სამეფო კარზე გათხოვილი. თუმცა ასეთი მოყვრობა ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის ახალი საფეხურის შესაქმნელად. ამიტომ იყო, რომ დავით IV, თავისი ვაზირის გიორგი ჭყონდიდელის თანხლებით, თვით „წარემართა ოვსეთს". ისტორიკოსის სიტყვით, დავითს „მოეგებნეს ოვსთა მეფენი და მთავარნი მათნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა".

მეფემ უღალატო ერთგულების საწინდრად ოსებისაგან მძევლები აიყვანა, ასევე ყივჩაყებთანაც შეარიგა ისინი, „ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა, ვითარცა ძმათა". ამის შემდეგ კი, დავითმა თვითვე აიღო დარიალის, საერთოდ კავკასიისა და ოსეთის ყოველი გადასასვლელის (კარების) ციხეები. ამ დროიდან ოსეთი საქართველოს ყმადნაფიც (ვასალურ) ქვეყანად იქცა და საქართველოს გავლენაც ოსეთზე დიდად გაიზარდა. ასე დაიბრუნა დავით აღმაშენებელმა საქართველოს უძველესი გადასასვლელები და ციხეები და, როგორც ისტორიკოსი წერს, **„შექმნა გზა მშვიდობისა"** ჩრდილოეთისაკენ, რუსეთის, ვოლგისპირეთისა და სხვა ქვეყნებისაკენ. ამას კი იმ დროის საქართველოსათვის უაღრესად დიდი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო შნიშვნელობა ჰქონდა.

სწორედ ამ გზით დაამყარა დავითმა ურთიერთობა ყივჩაყებთან და კიდევ უფრო შორსაც, ძველი კიევის რუსეთთანაც.

თურქული მოდგმის ტომებმა, შუააზიელმა მომთაბარე ყივჩაყებმა თანდათან დაიჭირეს სამხრეთ რუსეთის სტეპები და დიდი საფრთხე

შეუქმნეს კიევის რუსეთსა და მის მიწა-წყალს. მათ შეძლეს რუსული მიწებისათვის ჩამოეგლიჯათ ტმუტარაკანი, ძველი რუსული სახელმწიფოებრივი გაერთიანება კავკასიაში. კიევის რუსეთის მთავრების, კერძოდ, ვლადიმერ მონომახის მიერ ყივჩაყთა წინააღმდეგ გამართული ბრძოლებით შევიწროებულმა ყივჩაყთა ერთმა ნაწილმა თანდათან ჩრდილო კავკასიაში გადმოინაცვლა და კავკასიის ბარის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა. ამან კი ოსებსა და ყივჩაყებს შორის უთანხმოება და კონფლიქტი გამოიწვია. მომთაბარე და კარგი მეომარი ყივჩაყები საფრთხეს უქმნიდნენ ამიერკავკასიის ხალხებსაც, კერძოდ, საქართველოსაც; მათთან ურთიერთობის დამყარებამდე ოსების ბრძოლა ყივჩაყების წინააღმდეგ და ოსების მიერ ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიაში გადასასვლელების ჩაკეტვა საქართველოსათვის სასარგებლო ჩანდა. მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ამიტომ დავით აღმაშენებელმა თვითვე გადაწყვიტა უშუალო კავშირი დაემყარებინა ყივჩაყებთან. დავით IV-მ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით, ყივჩაყებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით, ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი შეირთო. ეს სწორედ ის ათრაქაა (იმდროინდელი რუსული წყაროები მას ოტროკს უწოდებენ), რომელიც სათავეში ედგა ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მოთარეშე ყივჩაყებს. აღსანიშნავია, რომ დავითის ისტორიკოსის ცნობით, გურანდუხტის საქართველოს დედოფლად ჩამოყვანა გაცილებით ადრე („მრავალთა წელთა მიერ") მოხდა, ვიდრე დავითი თვით ყივჩაყებს საქართველოში გადმოასახლებდა. როგორც ჩანს, ყივჩაყებთან ურთიერთობის მოგვარებას და მათი გადმოყვანის მომზადებას დავით IV ადრიდავნე შედგომია.

ყივჩაყებთან ჯერ კეთილმეზობლური, ხოლო შემდეგ საყმადნაფიცო ურთიერთობის დამყარების აუცილებლობამ დავით აღმაშენებლის სახელმწიფო კიევის რუსეთთან და მის იმდროინდელ მთავართან, ვლადიმერ მონომახთან დააკავშირა. როგორც ირკვევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების საკითხი დადგა, საქართველოს მეფის მიერ მათ გადმოსაყვანად საგანგებოდ „წარვლენილნი კაცნი სარწმუნონი" არა მარტო ყივჩაყეთში, არამედ კიევში მის მთავართანაც უნდა მისულიყვნენ. ყივჩაყებთან ურთიერთობის დამყარება და შემდეგ მათი საქართველოში გადმოსახლება შეუძლებელია კიევის რუსეთის დიდ მთავართან სათანადო მოლაპარაკების გარეშე მომხარიყო. ცხადია, ეს უკანასკნელი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ებრძოდა ყივჩაყებს, საქართველოს მეფის ყივჩაყებთან დაკავშირების ცდას მის საწინააღმდეგო მოქმედებად მიიჩნევდა, თუკი სათანადო ცნობები წინასწარ არ ექნებოდა.

ჩვენს ამგვარ მოსაზრებას მხარს უჭერს, მართალია, გვიანდელი, მაგრამ თავისთავად საინტერესო ცნობა XII ს. პირველი მეოთხედის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ეს ცნობა ეკუთვნის XVII ს. მოღვაწეს, ანტიოქიის პატრიარქის შვილს **პავლე ალეპოელს.**

რუსეთის იმდროინდელ ხელისუფალთა თხოვნით, პავლე ალეპოელმა საქართველოშიც იმოგზაურა და შეადგინა XVII ს. საქართველოს აღწერილობა, სადაც აქა-იქ, გაკვრით, მოიპოვება ზოგი ცნობა ადრინდელი ხანის საქართველოს შესახებაც. ეს ცნობები განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს იმის გამოც, რომ იგი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისეთ პერიოდს შეეხება, რომელიც ქართულ თუ რუსულ წყაროებში მეტად მწირად, ან კიდევ სრულებით არ არის წარმოდგენილი. ეს ხანა, XII ს. პირველი მეოთხედი, საქართველოსა და კიევის რუსეთის ურთიერთობის ისეთი პერიოდია, როცა ორივე ქვეყნის იმდროინდელი ობიექტური პირობები ასეთი კავშირის არსებობას უსათუოდ გულისხმობს.

სწორედ ასეთი კავშირის არსებობის კვალი უნდა იყოს ასახული პავლე ალეპოელის ჩვენთვის საინტერესო შემდეგ ცნობაში: „საქართველოში არსებულ [ეკლესიებსა და მონასტრებს] შორის ასეთი სიგრძე-სიგანის და სიდიდის ქვით [ნაგები] ქმნილების მსგავსი მონასტერი და ტაძარი არც ერთი არ არის. ეს სავანე (იგულისხმება გელათი — შ. მ.) დავით საქართველოს მეფემ ააგო, როგორც ამას ძველი წიგნები წერენ. **როდესაც უწმინდურებმა საქართველოს დაპყრობა მოიწადინეს, მაშინ მეფე დავითი რუსეთში მოვიდა, თაყვანისცემით დახმარება ითხოვა და მისცეს რა დიდი ძალა, წავიდა და უწმინდურნი თავის სამფლობელოდან განდევნა და გაათავისუფლა მისგან“.**

როგორც ვხედავთ, პავლე ალეპოელის მიხედვით თვით მეფე დავითი (ცხადია, იგულისხმება გელათის მშენებელი მეფე, ე. ი. დავით IV აღმაშენებელი) ჩასულა რუსეთში და დახმარება უთხოვია. მსგავსი რამ სხვა წყაროებში არ მოიპოვებოდა და ალეპოელის ეს ცნობა ამ შემთხვევაში სხვა მასალით არ დასტურდება, მაგრამ მას მაინც რაღაც საფუძველი უნდა ჰქონდეს. არ არის გამორიცხული, რომ ყივჩაყეთს მისულ დავით მეფის „სარწმუნო კაცებს“, მეფის დავალებით, გზა რუსული სამთავროსკენაც გაეგრძელებინათ. მით უფრო, რომ ამ დროს „ყივჩაყთა მიწა“ უშუალოდ ემიჯნებოდა რუსულ სამთავროთა საზღვრებს. დავითის „სარწმუნო კაცთა“ მისვლა კიევის მთავართან კი, როგორც აღვნიშნეთ, ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ სათანადო ცნობის მიწოდების მიზნით, აუცილებელიც იყო.

დავითის „სარწმუნო კაცთა“ მოლაპარაკება კიევის მთავართან უნდა ჰქონდეს მხედველობაში პავლე ალეპოელს, როცა იგი დავითს

რუსეთში წასვლისა და იქ „დახმარების თხოვნის“ შესახებ მოგვითხრობს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამა თუ იმ პირის „თაყვანისცემით“ მისვლა მეორესთან სრულებით არ ნიშნავს ერთის ყმობას მეორისადმი. „თაყვანისცემა“ ან, როგორც რუსები იტყოდნენ, „ჩელობიტიე“ ოფიციალურ დიპლომატიურ ურთიერთობაში საყოველთაოდ მიღებული ტერმინი იყო და სრულებით არ გამოხატავდა „თაყვანისმცემელის“ დამოკიდებულ მდგომარეობას.

პავლე ალეპოელის ცნობის მიხედვით, დავითისა თუ მის „სარწმუნო კაცთათვის“ რუსეთში დიდი დახმარება აღმოუჩენიათ, მიუციათ დამხმარე ძალა და საქართველოში გაუსტუმრებიათ. როგორც ჩანს, იმ დიდ „დამხმარე ძალაში“, რომელიც, პავლეს სიტყვით, რუსებს ქართველებისათვის მიუციათ, საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაყთა დიდი რაოდენობა უნდა იგულისხმებოდეს. საინტერესოა, რომ ძველი რუსი მემატიანეები ვლადიმერ მონომახს მიაწერენ ყივჩაყების განდევნას „რკინის კარებს“ იქით, საქართველოში და არა საქართველოს მეფეს, რომელმაც ეს ღონისძიება ფაქტიურად გაატარა და ურომლისოდაც, ცხადია, კიევის დიდი მთავარი ამ მხრივ ვერაფერს გააკეთებდა. მაგრამ რუსი მემატიანის ასე კატეგორიული ცნობა მონომახის მიერ ყივჩაყთა „რკინის კარებს“ იქით, საქართველოში განდევნის შესახებ სწორედ იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ამ აქტში (ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლებაში) კიევის მთავარს, მართლაც, რამენაირი მონაწილეობა უნდა მიეღო, რაც, რა თქმა უნდა, კიევის მთავრისა და დავითის „სარწმუნო კაცთა“ მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე შეუძლებელი იყო. უამისოდ, მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა ასე დიდი საქმის წარმატებით დაგვირგვინება.

კიევის მთავარსა და საქართველოს მეფის „სარწმუნო კაცთა“ შორის ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლების შესახებ შეთანხმება ადვილად იქნებოდა მიღწეული. ვლადიმერ მონომახს ამის საწინააღმდეგო რა შეიძლებოდა ჰქონოდა: ჯერ ერთი, კიევის მთავარი „უწმინდურთა“ (თურქ-სელჩუკთა) წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს დამხმარედ გამოდიოდა (ყოველ შემთხვევაში, ისა და მისი დროის საზოგადოებაც ასეთ განმარტებას აძლევდა ყივჩაყთა განდევნას) და ამავე დროს კიევის რუსეთი ყივჩაყთა 40 000 ოჯახის საქართველოში გადასახლებით თავიდან იშორებდა დაუძინებელი მტრის ერთ დიდ ნაწილს. ასე რომ, კიევის მთავარი ყივჩაყთა საქართველოში გადასახლებით თვითონაც დიდად იქნებოდა დაინტერესებული; ასეთ ვითარებაში, მთავარი ვლადიმერი კი არა, დავით მეფე გამოდიოდა ყივჩაყთა წინააღმდეგ მებრძოლი კიევის რუსეთის დამხმარედ.

ასეც იყო. ყივჩაყთა ერთი დიდი ნაწილის თავიდან მოშორებისთანავე კიევის მთავარმა მის ნარჩენთა წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. 1120 წელსვე, როცა ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლება დამთავრდა, კიევის მთავარმა ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაუშვა და ერთხელ კიდევ გაილაშქრა ყივჩაყების წინააღმდეგ დონს იქით. მაგრამ ყივჩაყთა უკვე ძალიან შეთხელებულ და დასუსტებულ ნარჩენებს ბრძოლისათვის თავი აურიდებიათ, უკან დაუხევიათ, ისე რომ, რუსებს ვერც უნახავთ ისინი. ამრიგად, ყივჩაყთა საკითხში მიღწეული შეთანხმება ორივე ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოსათვის — კიევის რუსეთისა და საქართველოსათვის — სასარგებლო და სხვადასხვა გზით მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი შეთანხმება იყო.

აღსანიშნავია, რომ ძველ რუსეთში, როგორც ეს პავლე ალეპოელის ცნობიდან ჩანს, კარგად სცოდნიათ, თუ როგორ განდევნა დავით მეფემ „უწმინდურნი თავის სამფლობელოდან და განთავისუფლდა მათგან". დავითის ასეთ გამარჯვებას კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინა კიევის რუსეთის კავშირი ერთმორწმუნე საქართველოსთან. გაძლიერებულ საქართველოსთან ძველ რუსეთს ამჟამად კავშირი თვით სჭირდებოდა, მით უფრო, რომ ამ დროს ყივჩაყები და ოსები უკვე საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ და ყივჩაყთა თავდასხმების აცილება და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებზე სიმშვიდის უზრუნველყოფა საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით იყო შესაძლებელი.

ბ. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები და ურთიერთობა მათთან

თურქ-სელჩუკების შემოსევებმა დიდად დააზიანა საქართველოს სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები — სომხეთი და შირვან-არანი, მათი ტერიტორიები თურქ-დამპყრობთა სათარეშოდ იქცა.

სომხეთი, ბიზანტიის ოცწლიანი ბატონობის წყალობით, არსებითად განიარაღებული შეხვდა ახალი დამპყრობლის შემოჭრას. ბიზანტიის მმართველი წრის წარმომადგენლები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ სომხური მოსახლეობის განსახლებას მცირე აზიასა და იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიაზე. ამავე დროს, მათვე გაიყვანეს სომხური ლაშქარი ქვეყნიდან და ამით სომეხ ხალხს მოუსპეს შესაძლებლობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა. ამრიგად, თვით სომეხი მკვლევარების სიტყვით რომ ვთქვათ, სომხეთი თურქთა შემოსევის წინ მოკლებული იყო თავდაცვის თითქმის ყოველგვარ შესაძლებლობას.

ამიტომ იყო, რომ წვრილმა სომხურმა სამეფოებმა ან მწარე დამარცხება განიცადეს თურქებთან ბრძოლაში, ან კიდევ ზედიზედ უბრძოლველად დამორჩილდნენ თურქების სულტანს (ლორე, სივნიეთი). ქვეყნის ზოგიერთ რაიონში კი — წარმოიქმნა სელჩუკური საამიროები; მათ შორის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო დვინის, ანისისა და ასევე შაჰ-არმენების საამიროები. სომხეთის მოსაზღვრედ მდებარე განძა, რომელიც თურქებმა 1068 წ. დაიპყრეს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პლაცდარმად იქცა თურქ-სელჩუკთა აგრესიისა ამიერკავკასიაში, აქედან ეწყობოდა გამუდმებული ლაშქრობები საქართველოსა და სომხური სამეფოების წინააღმდეგ, რაც ზიანს აყენებდა მათ.

განძის აღებით დაიწყო არსებითად თურქ-სელჩუკთა გაბატონება მთელს არანში. ასევე თურქთა სულთანმა მელიქ-შაჰმა აიძულა შირვან-შაჰი ფარიბურზ I თურქთა სასარგებლოდ ერთდროულად 70 000 დინარი გადაეხადა, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად სელჩუკთა ხაზინაში 40 000 დინარი შეეტანა. ასე მოექცა შირვანიცა და არანიც თურქ დამპყრობელთა უღლის ქვეშ.

ამრიგად, საქართველოს სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, უძველესი დროიდან პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად მჭიდროდ დაკავშირებული, მოძმე ხალხების მაგივრად, ახალი ძლიერი აგრესორი გაუმეზობლდა. სომხეთსა და შირვან-არანში თურქთა გაბატონება საქართველოს თავდაცვის უნარს ძლიერ ასუსტებდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით მორღვეული საზღვრები ფართოდ უხსნიდა გზას თურქ-სელჩუკებს ჩრდილო-დასავლეთისაკენ, საქართველოსაკენ. და მართლაც, ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ საქართველოში „დიდი თურქობა“ დაიწყო და საქართველომაც XI ს. 80-იანი წლებიდან ყოველწლიური სათურქო გადასახადი იკისრა.

XI ს. 70—80-იანი წლები მახლობელ აღმოსავლეთში თურქთა ძლიერების წლებია. 1071 წ. მათ აიღეს იერუსალიმი, 1089 წ. ბიზანტიას წაართვეს ანტიოქია, ამავე დროს მათ დაიპყრეს დამასკოსა და სირიის სხვა ქალაქებიც. თურქთა მფლობელობაში შევიდა სირიისა და პალესტინის დიდი ნაწილი. მათვე მცირე აზიაში შექმნეს მეტ-ნაკლებად მყარი სახელმწიფოებრივი ერთეული — რუმის სასულთნო, ცენტრით ჯერ ნიკეაში, შემდეგ კი კონიაში. XI ს. 90-იანი წლების დამდეგს კი თურქებმა თვით კონსტანტინოპოლსაც შეუტიეს და ბიზანტიას მძიმე საფრთხე შეუქმნეს. ალექსი კომნინოსმა ძლივს იხსნა თავი მძიმე განსაცდელისაგან.

ამრიგად, მახლობელ აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკები უმთავრეს და გაბატონებულ ძალად იქცნენ.

თურქ-სელჩუკებს, როგორც ეს ერთ-ერთმა ფრანგმა მეცნიერმა უჩვენა, არ ახასიათებდათ ფანატიკური რელიგიური შეუწყნარებლო-

ბა: თურქთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში (სირიაში, პალესტინაში, სომხეთსა და საქართველოში) ქრისტიანული მოსახლეობის მდგომარეობა ამ მხრივ არ გაუარესებულა. არ წარმოებდა მათი რელიგიური დევნა-შევიწროება... ანტიოქია ისევ ისე რჩებოდა მართლმადიდებელი პატრიარქის რეზიდენციად. კიდევ მეტი, ზოგი მკვლევარის აზრით, სელჩუკთა გაბატონება მცირე აზიასა, სირიასა და პალესტინაში ნიშნავდა ზოგი ქრისტიანული რწმენის (მონოფიზიტები, ნესტორიანები) ხალხთა დახსნას ბიზანტიის ეკლესიის რელიგიური და ფისკალური შემოტევებისაგან... სელჩუკთა გაბატონებას მახლობელ აღმოსავლეთში არ გამოუწვევია აგრეთვე აღმოსავლეთის დასავლეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შეწყვეტა.

მაშ, რაში მდგომარეობდა თურქთა ბატონობის სიმძიმისა და უარყოფითი შედეგების მიზეზები? პირველ რიგში, სამეურნეო ცხოვრების იმ სისტემაში, რომელსაც თურქები მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ნერგავდნენ. თურქ დამპყრობთა გაბატონება განვითარებულ ფეოდალურ ქვეყანაში ნიშნავდა ნახევრად პრიმიტიული მომთაბარეული მეურნეობის გაბატონებას.

ფეოდალურ საქართველოსა და საერთოდ, ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა გაბატონება ნიშნავდა ამ ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური წყობის არსებით შეცვლას, მის არა მარტო დაქვეითებას, არამედ შემოტრიალებას დაღმავალი ხაზით, პატრიარქალური მეჯოგეობისა და საოჯახო მონობისაკენ. მსოფლიო ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ დამპყრობლებს მაღალი განვითარების ქვეყნები დაცემის იმ დონემდე მიუყვანიათ, რომ საჭირო გამხდარა ყველაფრის თავიდან დაწყება. ასეთივე საფრთხის წინაშე დააყენეს განვითარებული ფეოდალური ქვეყანა მომთაბარე მეურნეობის მეტად დაბალი სისტემის მქონე თურქ-სელჩუკებმა. ამიტომ იყო, რომ თურქი დამპყრობლების შემოსევა და ბატონობა არსებითად განსხვავდებოდა ყველა იმ დამპყრობელის ბატონობისაგან, რომელნიც მანამდე ფეოდალურ საქართველოს ენახა ბიზანტიელებისა თუ არაბების სახით.

თურქ-სელჩუკები დაპყრობილ ქვეყნებში მთელი თავიანთი ოჯახებითა და ჯოგებით მიდიოდნენ და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის გამოყენებულ მიწებს საძოვრებად იჭერდნენ. დამპყრობლებმა ქართლ-კახეთისა და მესხეთის ჭალები ჯოგების საზამთრო საძოვრებად აქციეს, ხოლო მთიანი ზონები — იალაღებად. „ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდინ, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქთა“, — წერდა ამ ამბების მომსწრე ისტორიკოსი. ამით კი განვითარებულ ფეოდალურ მეურნეობას მთლიანად ეცლებოდა საფუძვე-

ლი — მიწა — და რღვევისა და გადაშენების საფრთხე ემუქრებოდა. განვითარების მაღალ დონეზე ასული ფეოდალური მეურნეობის მაგივრად თანდათან პრიმიტიული მომთაბარეული მეჯოგეობა და საოჯახო მონობა ბატონდებოდა, რომელიც ქვეყანას რეგრესისაკენ მიაქანებდა.

თურქთა გაბატონების, „დიდი თურქობის“ მძიმე შედეგებმა საინტერესო ასახვა პოვა გვიანდელი ხანის ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებშიც. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ იოანე ბატონიშვილი: „ჟამთა წინაპართა ამა (დავით) მეფისათა მოვიდნენ საქართველოსა შინა აგრიანნი (იგულისხმება თურქები), სახლეულითურთ თვისით, ვიდრე სამასი ათასი მოსახლე კაცნი და დაიპყრეს საქართველო, და დაეშვნენ სამთა მდინარეთა სანაპიროთა ზედა, ესე იგი მტკვარსა, ალაზანსა და იორსა ზედა. სახითა ამით, რომელ მათ ელისა (მომთაბარეთა) მთავართა განიყვეს ამ სახით ადგილნი ესე: ერთი მთავართაგანი ასიათასისა კომლისა კაცითა დაესახლა მტკვრის კიდესა ზედა ამიერ და იმიერ, სურამიდგან ვიდრე განჯამდის; მეორე მთავარი დაესახლა ასი ათასისა კაცითა იორის მდინარის კიდესა ზედა თიანეთიდგან ვიდრე ალაზნის შესართავადმდე, რომელიცა ერთვის მახლობელ სამუხისა. ხოლო მესამე მთავარი დაესახლა ასიათასისა კომლისა კაცითა პანკისიდგან ალაზნის სანაპიროს ზედა, ვიდრე ივრისა შესართავადმდე, მახლობლად სამუხისა და დაიპყრეს სახითა ამით ქართლი და კახეთი და დაუწყეს დევნა, ტყვეობა და აოხრება ქართლსა და კახეთსა შინა მცხოვრებთა. და ესრეთ ცარიელ ჰყვნეს ადგილნი ესე, რომელ თუ არა მთათა და სიმაგრეთა შინა, არღა იპოებოდენ მცხოვრებნი ერნი ქართველთანი“.

ჩვენ არ ვიცით რა წყაროთი სარგებლობდა ამ შემთხვევაში იოანე ბატონიშვილი და საიდან აქვს მას აღებული ცნობა ქართლ-კახეთში ჩამოსახლებულ თურქთა ასეთი რაოდენობისა და ან კიდევ, მათი ას-ას ათასად მტკვარსა, იორსა და ალაზანს განსახლების შესახებ, მაგრამ, ცხადია, რომ ყველაფერი ეს საფუძველს მოკლებული არ არის; მართლაც, მტკვრის, ივრისა და ალაზნის ნოყიერი სანაპირო ზოლები მეტად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო მომთაბარე მეჯოგეებისათვის; სწორედ ეს რაიონები იყო აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალური მეურნეობის ყველაზე წამყვანი რაიონები და ცხადია, აქ მესაქონლე თურქთა ასე დიდი რაოდენობით განსახლება მძიმე საფრთხეს უქმნიდა ფეოდალურ ეკონომიკას, მას გადაშენებას უქადდა. ფეოდალური მეურნეობის საფუძვლების მოშლა, თავის მხრივ, ნიშნავდა ყველაფერ იმის გადაშენებას, რაც ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე შეექმნა.

მეურნეობის სისტემის ცვლილების შესაბამისად იცვლებოდა სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობაც. ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი, საუკუნეობით განმტკიცებული საზოგადო-

ებრივი, სოციალური კლასებისა და ფენების მაგიერ პრიმიტიული წყობილებისათვის შესაფერისი დაყოფა შემოდიოდა; მათი წარმოდგენით, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობა არსებითად ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა: ერთსა და პირველს თვით დამპყრობელნი, სამხედრონი შეადგენდნენ, ხოლო მეორეს — ყველა დანარჩენი რაიათები (მათი დაპყრობილი ქვეშევრდომები). ყოველივე ამას შეესაბამებოდა მათი სახელმწიფოებრივი ხელისუფლებაც, რომელიც არსებითად დაპყრობილი ხალხების დაუნდობელი ძარცვის ძლიერ აპარატს წარმოადგენდა.

ამრიგად, თურქ-სელჩუკების სამეურნეო, სოციალური თუ სახელმწიფოებრივი წყობა სავსებით საწინააღმდეგო, გამომრიცხველი იყო ყველაფერ იმისა, რაც ამ დროისათვის საქართველოში და საერთოდ, ამიერკავკასიაში არსებობდა, რეგრესული ძალები უპირისპირდებოდა პროგრესულ, აღმავლობის გზაზე შემდგარ ქვეყნებს. ეს კარგად ესმოდათ იმ დროის მოღვაწეებს. დავითის ისტორიკოსმა, როგორც ეს ზემოთ მივუთითეთ, შესანიშნავად ასახა კიდეც ის უბედურება, რაც თურქ-სელჩუკების მომთაბარულ მეურნეობას მოჰქონდა განვითარებული ქართული ფეოდალური მეურნეობისათვის.

ამრიგად, არა მარტო საქართველო, არამედ არსებითად მთელი ამიერკავკასია დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამიერკავკასიის ხალხთა და მისი მმართველი ზედაფენის ერთ უპირველეს ამოცანას თურქთა ბატონობისაგან თავის დახსნა და ქვეყნების ნორმალური განვითარების, პროგრესის გზისაკენ შემობრუნება წარმოადგენდა. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან, მაგრამ ასევე მეტად რთულ ამოცანას — კავკასიის ხალხთა ძალების კონსოლიდაციის, გაერთიანებისა და ერთი საერთო მიზნისაკენ წარმართვის ამოცანას — აყენებდა.

ს. ჯანაშია სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ ისტორიის ობიექტურმა მსვლელობამ კავკასიის ხალხების წინაშე დააყენა მეტად რთული ამოცანა — ტომობრივ და ეკლესიურ-რელიგიური თვალსაზრისით ჭრელ და აღრეულ, მრავალენოვან კავკასიაში, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ურთიერთ შეუთავსებლობისა და მოუთმენლობის ვითარებაში ერთიანი კავკასიური მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნისა. მისივე მტკიცებით, ასეთი ტენდენცია და პირველი ცდები კავკასიაში მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნისა ჯერ კიდევ X ს. შეინიშნება. ასეთი ტენდენციის მატარებელი იყო იმდროინდელი სომხეთი, მაგრამ X ს. დასასრულიდან ისედაც დაქუცმაცებული სომხეთი კიდევ ნაწევრდება უფრო მცირე ერთეულებად, რომელნიც ბიზანტიელ თუ თურქ აგრესორთა წყალობით ზედიზედ კარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას XI ს. ისე რომ, არათუ საგარეო პოლიტიკური, არამედ საკუთრივ შინაგანი გაერთიანების, ერთიანი სომხური სამეფოს შექმნის გეგმებიც კი სავსებით განუხორციელებელი იყო.

კავკასიაში მეოთხე ქვეყანა, რომელიც ამგვარსავე ტენდენციას ასევე ადრიდანვე ამჟღავნებდა, საქართველო იყო, რომელმაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, X ს. მიწურულსა და XI ს., მიუხედავად არახელსაყრელი საგარეო ვითარებისა, შეძლო პირველი რიგის ამოცანის გადაწყვეტა — შინაგანი გაერთიანება, ერთიანი საქართველოს შექმნა... მოვლენების შემდგომმა განვითარებამ კიდევ ნათლად უჩვენა, რომ კავკასიაში მრავალეროვანი ერთიანი სახელმწიფოს შექმნაც ამჯერად შეეძლო თავის თავზე აეღო მხოლოდ საქართველოს.

კავკასიაში მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის საჭიროება კიდევ უფრო მძაფრად დააყენა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ კავკასიის ხალხების კონსოლიდაციის აუცილებლობამ. ასე რომ, საქართველოს მეთაურობით კავკასიის ხალხთა გაერთიანების ტენდენციამ დასრულებული სახე დავით აღმაშენებლის ეპოქაში მიიღო. ერთ დროს უძლეველად მიჩნეული თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ამიერიდან მახლობელ აღმოსავლეთში, საქართველოს სამეფოს სახით, უძლიერესი სახელმწიფო იდგა. იგი უცხო დამპყრობთაგან ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებლის როლში გამოდიოდა. მისი წარმატებების ერთი უმთავრესი საფუძველიც ეს იყო — **ამიერკავკასიის ხალხები მისი დროშის ქვეშ ერთიანდებოდნენ თურქ-სელჩუკთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.**

დ. ჯვაროსნები და საქართველო

„კუალად ამას ჟამსა **გამოვიდეს ფრანგნი**, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია". „ფრანგნი", რომელთა გამოჩენის შესახებაც ასე საგანგებოდ მიუთითებს დავითის ისტორიკოსი, ევროპელი ჯვაროსნები იყვნენ; ასე უწოდებდა მთელი მაშინდელი აღმოსავლეთი ევროპელ ფეოდალებსა და რაინდებს, რომელნიც აქ „ქრისტეს საფლავის" გასათავისუფლებლად მოდიოდნენ. „ფრანგების" ანუ ჯვაროსნების გამოჩენა მახლობელ აღმოსავლეთში მართლაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო შუა საუკუნეების მსოფლიოში, და ცხადია, ეს ფაქტი მხედველობიდან არ შეიძლებოდა გამოპარვოდა ამ ამბების თანამედროვე ქართველ ისტორიკოსს.

ღარიბ-ღატაკთა პირველი ჯვაროსნული რაზმები, როგორც ცნობილია, კონსტანტინოპოლის მისადგომებთან 1096 წ. ივნისში გამოჩნდნენ, მათ მალე ფეოდალთა რაზმებიც მიჰყვა, ხოლო 1097 წ. ივნისში ნიკეაზე გამართულ ბრძოლაში ჯვაროსნებმა და მისმა მოკავშირეებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს, თუმცა ევროპელ ფეოდალებს ამ გამარჯვებიდან მხოლოდ მცირე ნადავლი ერგოთ. მალე ჯვაროსნებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს — 1098 წ. ზაფხულში, დიდი ხნის ბრძო-

ლისა და ალყის შემდეგ, ანტიოქია აიღეს, 1099 წ. კი იერუსალიმი... სწორედ აქ, იერუსალიმის აღების დროს, ყველაზე უფრო კარგად გამოჩნდა „ქრისტეს საფლავის“ და სხვა „წმინდა ადგილთა“ „უწმინდურთაგან“ გასათავისუფლებლად მოსულ ევროპელ ფეოდალთა ნამდვილი სახე. ჯვაროსნების მიერ აქ დატრიალებულმა საშინელებამ, უდანაშაულოთა სისხლის ღვრამ, გაუგონარმა ძარცვა-გლეჯამ და სიხარბემ, კ. მარქსის სიტყვით, „გააშმაგა აღმოსავლეთის მთელი მაჰმადიანური მოსახლეობა“. მაგრამ ჯვაროსნები ძარცვავდნენ აღმოსავლეთის არა მარტო მუსლიმანურ მოსახლეობას, მათ ქალაქებსა და ქვეყნებს, არამედ ქრისტიანულსაც. ისე რომ, „ქრისტეს მებრძოლების“ მიერ შევიწროებული და გაძარცული საკუთრივ ქრისტიანული მოსახლეობა არაერთხელ აჯანყებულა ჯვაროსნების წინააღმდეგ (მაგ., კილიკიის სომხების აჯანყება 1098 წ.) და დახმარებისათვის სელჩუკებისათვის მიუმართავთ... მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯვაროსანთა ლაშქრობებს, მათ ბრძოლას თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქების მიერ დაპყრობილი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი წარმატებისათვის.

შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი აღმოსავლეთში „ფრანგთა გამოსვლას“, როგორც ზემოთ ვნახეთ, უკავშირებდა დავითის მიერ სათურქო ხარკის შეწყვეტას, ქვეყნის მოშენებასა და გაძლიერებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ამ დროს მოპოვებული წარმატებების მიზეზები ჯვაროსნების გამოსვლასა და მათ მიერ თურქების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში გვეძებნა, როგორც ამას საქართველოს ისტორიის ზოგი მკვლევარი ვარაუდობს.

ამას გარდა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ და მის მიერ მოპოვებული გამარჯვებები განმათავისუფლებელ ომში, რომელსაც თურქ-სელჩუკთა ძალების შესუსტება მოჰყვა, ცხადია, ხელს უმართავდა ჯვაროსან-დამპყრობლებს ახლო აღმოსავლეთში, მათ ხშირ შემთხვევაში საკმაოდ შეთხელებულ და დაქსაქსულ ძალებს გაძლიერებისა და თავმოყრის შესაძლებლობას აძლევდა. ამიტომ ბუნებრივია, თუ ჯვაროსნული ლაშქრობის მომწყობი სახელმწიფოები და აღმოსავლეთში ჯვაროსანთა მიერ დაარსებული სამეფო-სამთავროები დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ მოკავშირედ მიიჩნევდნენ და მის მიერ ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯს ყოველნაირად გამოეხმაურებოდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ჯვაროსნული ომების დასავლეთევროპელი ისტორიკოსები თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ დავითის ლაშქრობებს სათანადო ყურადღებას უთმობენ და ჯვაროსნების ბრძოლებთან ერთ სიბრტყეში განიხილავენ.

საქართველოსა და ჯვაროსნების ასეთი ურთიერთსასარგებლო მოქმედება ახლო აღმოსავლეთში აუცილებელს ხდიდა მათ შორის სათანადო კავშირის დამყარებას. მაგრამ, რაკი მათი მიზნები თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში სულ სხვადასხვაგვარი იყო, ეს ურთიერთობა-კავშირიც არ შეიძლებოდა მტკიცე და მუდმივი ყოფილიყო. ჯვაროსნები აღმოსავლეთში მიდიოდნენ, როგორც დამპყრობლები, ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ტერიტორიები და ნადავლი ეგდოთ ხელთ, ფართოდ გაეხსნათ გზები ევროპის ხარბი ქალაქებისათვის და მეტი სიმდიდრე გაეზიდათ აღმოსავლეთიდან. ჯვაროსნებისათვის მხოლოდ საფარი იყო მათი ლოზუნგი — „ბრძოლა ქრისტეს საფლავის დასაცავად“, „ურჯულოთა განდევნა წმინდა ადგილებიდან“. ნამდვილად კი ისინი ახალი მიწა-წყლის ხელში ჩასაგდებად და აღმოსავლეთის ხალხების დასამორჩილებლად მოდიოდნენ და ამიტომ არა მარტო „ურჯულოთა“ (არაქრისტიანთა), არამედ, როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთის თვით ქრისტიანული სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლასაც კი არ ერიდებოდნენ. საქართველოც ხომ აღმოსავლეთში ივარაუდებოდა და ამ ქვეყნის ქრისტიანობა ჯვაროსნებს ხელს არ შეუშლიდა საჭირო შემთხვევაში მის წინააღმდეგაც გაელაშქრათ.

სულ სხვა მიზნებს ისახავდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ბრძოლა. საქართველოს სახელმწიფო, ჯვაროსნების მსგავსად, მუსლიმანობას კი არ ებრძოდა საერთოდ, არამედ იმ თურქ დამპყრობლებს, რომლებმაც საქართველოს დამორჩილება და ქართველი ხალხის გადაშენება მოინდომეს. საქართველო თავისი თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა, დამპყრობლებს ერეკებოდა თავისი ქვეყნიდან და არა მაჰმადიანებს, მუსლიმანებს.

მუსლიმანობა კავკასიაში და საქართველოშიც საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილობრივ მოვლენას წარმოადგენდა. ქართველებს დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ მუსლიმანებთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა; ამ ურთიერთობის გაწყვეტა, მისი უარყოფა დიდ ზიანს მოუტანდა საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებასაც. ეს კარგად ესმოდათ იმდროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს და ამიტომაც არც საქართველოს ტერიტორიაზე, არც მის მეზობლად მოსახლე მაჰმადიანებისათვის „ჯვაროსნული ომი“ არასოდეს გამოუცხადებიათ; პირიქით, თუ იმდროინდელი წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოში მოსახლე მაჰმადიანები აქ საკმაოდ კარგად გრძნობდნენ თავს, ზოგ შემთხვევაში უფრო უკეთაც, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში.

საქართველოს სამეფოს, რომელიც თავის თავს აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურჯად აცხადებდა, მუსლიმანების მიმართ ასეთი პოლიტიკის გატარებას უკარნახებდა საშინაო და საგარეო პირობები, მისი

მჭიდრო ურთიერთობა მაჰმადიანურ სამყაროსთან და არა რომელიმე მეფის პიროვნული, კეთილი სურვილები, ან კიდევ, მუსლიმანების დიდი გავლენა საქართველოზე, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ფიქრობს.

ცხადია, ასეთ ვითარებაში საქართველოს სახელმწიფოსა და ევროპელი ჯვაროსნების ინტერესები ახლო აღმოსავლეთში არ შეიძლებოდა ერთმანეთს დამთხვეოდა და ამიტომაც მათი კავშირი მხოლოდ დროებითი, იმ მომენტისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარებით იყო გაპირობებული.

სავსებით ბუნებრივია, რომ თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში არაერთგზის 'გამარჯვებული საქართველო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მომწყობ სახელმწიფოებსა და პიროვნებებს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ და ამიტომაც მასთან უშუალო კავშირს ეძიებდნენ, პირველ რიგში, აღმოსავლეთის ჯვაროსნული სამეფო-სამთავროები.

ყველა ზემოხსენებული იმაზე მიგვითითებს, რომ ჯვაროსნებსა და საქართველოს შორის, თუ უფრო ადრე არა, „ფრანგების აღმოსავლეთში გამოჩენის" დროიდან მაინც გარკვეული ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო.

მიუხედავად ამისა, იმდროინდელ ქართულ წყაროებს, კერძოდ, დავითის ისტორიკოსს, ამ მხრივ თითქმის არავითარი ცნობა არა აქვს დაცული. მაგრამ ამ ნაკლს ნაწილობრივ მაინც ავსებენ შემდეგდროინდელი (მაგ., თამარისა და შემდეგი ხანის) ქართული და ასევე ევროპული წყაროები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ხუცესის, მეფსალმუნის, XII ს. პირველ მეოთხედში იერუსალიმში მყოფი ანსელუსის წერილი და მასში დაცული ცნობა საქართველოსა და მისი მეფის დავითის შესახებ.

ანსელუსის წერილს მკვლევარები 1108—1109 წწ. ათარიღებენ, მაგრამ, როგორც მისი შინაარსიდან ირკვევა, იგი უფრო დავითის გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს შედგენილი, როგორც ამაზე თავის დროზე მიუთითებდა ს. ჯანაშია.

ანსელუსის წერილი მოგვითხრობს საქართველოს მეფის, დავითის მეუღლის (წყაროს მიხედვით, ქვრივის) მიერ იერუსალიმში ჩატანილი ჯვრის შეძენისა და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში მისი გაგზავნის შესახებ. წერილის მიხედვით, ანსელუსს ეს ჯვარი თვით დავითის ქვრივისაგან შეუძენია და, სათანადო წერილითურთ, დიდი პატივით გაუგზავნია პარიზში, ღვთისმშობლის ტაძრის საკრებულოსათვის.

ანსელუსის წერილი, როგორც ამ ჯვრის დიდი ღირსების მაუწყებელი დოკუმენტი, ჯვართან ერთად დღემდე დაცულია პარიზის ხსენებულ ტაძარში. იგი არაერთხელ გამოქვეყნებულა ევროპაში, როგორც ლათინურ, ფრანგულ, ასევე ქართულ ენაზედაც.

ჩვენ ამჟამად ამ ჯვრის თავისთავად საინტერესო ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები კი არ გვაინტერესებს, არამედ ის, თუ როგორ ვრცელდებოდა ცნობები ევროპაში საქართველოსა და მისი იმდრინდელი მეფის შესახებ. ანსელუსი თავის წერილში იტყობინებოდა: „ამ ჯვარს დავით, მეფე ქართველთა, სანამ იცოცხლა, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა, ის დავითი, რომელსაც მისი წინაპრებით, კასპიის კარი — გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს — ეჭირა და ედარაჯნა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო **მიდიელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.**

დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფების შემდგომად, მეუღლემ მისმა, უფრო სიწმინდისა ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანომ, თავი გადაიკრიჟა, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენი [მხლებლით] იერუსალიმს მივიდა ამ ჯვარითა და ბევრი ოქროთი. და მისი წადილი იყო შინ დაბრუნება კი არა, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება. იმ წამოღებულ ოქროთგან წმიდა ქალაქის მონასტრებს წილი დაურიგა, აგრეთვე გლახაკთა და მგზავრთა მისაცემიც გაიღო და შემდგომად ამისა... იერუსალიმში ქართველ დედათა მონასტერში შევიდა... და წმიდა სამოსელი მოლიზნობისა მიიღო. ბოლოს წამოღებული [ოქრო] სულ დაერიგა, გაეცა და მონასტრის საჭიროებისათვის დაეხარჯა. და ოდეს შიმშილობამ ჩვენი ქვეყანა შეაწუხა... იძულებული გახდა მონასტრის მოთხოვნილებისათვის... [ჯვარი გაეყიდა]. ამას საკუთარი ხორციელი საჭიროებისათვის არას გზით არ გააკეთებდა. ამრიგად, ის ჯვარი ვერავითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა გამოგიგზავნეთო“.

როგორც ვხედავთ, წერილში ბევრი საინტერესო მასალაა დაცული, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის მეუღლის, ყივჩაყთა მთავრის ასულის, გურანდუხტის (ალბათ, მისი ყივჩაყური, მდაბიური წარმოშობა აქვს მხედველობაში ანსელუსს, როცა დავითის მეუღლის უფრო სულიერ სიწმიდეს უსვამს ხაზს, ვიდრე მის გვარიშვილობას) უკანასკნელი დღეების შესახებ. მაგრამ ამჯერად ჩვენ უფრო გვაინტერესებს ამავე წერილში დაცული ცნობები საკუთრივ დავითისა და მისი ქვეყნის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ევროპელმა ჯვაროსნებმა კარგად იცოდნენ საქართველოში იმ დროს არსებული ვითარება და რაც მთავარია მისი მნიშვნელობა როგორც ჩრდილოეთის, „კასპიის კარის“ დამცველისა და

ასევე „მიდიელთა სპარსთა“ (იგულისხმება თურქ-სელჩუკთა) წინააღმდეგ ბრძოლის „წინა ბურჯისა“, ზღუდისა.

რა თქმა უნდა, ანსელუსს საქართველოსათვის არ შეეძლო ეწოდებინა „ჩვენი (ე. ი. ჯვაროსანთა) წინა ბურჯი“, რომ დავითის დროინდელ საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის მართლაც კავშირი არ ყოფილიყო, რომ მათ ერთმანეთი კარგად არ სცოდნოდათ. როგორც ჩანს, ჯვაროსნები საქართველოს იმედის თვალით უყურებდნენ, როგორც „წინა ზღუდესა და ბურჯს“ თავიანთი საქმიანობის წარმატებისათვის აღმოსავლეთში. საქართველოს მნიშვნელობა ევროპელ ჯვაროსანთა თვალში განსაკუთრებით მას შემდეგ.გაიზარდა, რაც დავით აღმაშენებელმა დიდ წარმატებებს მიაღწია თურქ დამპყრობლებთან ბრძოლაში, კერძოდ კი, XII ს. პირველ ორ ათეულ წელს, როცა თურქები არსებითად გარეკა საქართველოს საზღვრებიდან.

დავით აღმაშენებლისა და აღმოსავლეთის ევროპელ სახელმწიფოთა მთავრებისა და მეფეების ურთიერთობის შესახებ მოგვეპოვება, მართალია, გვიანდელი, მაგრამ თავისთავად ძალიან საინტერესო ქართული ცნობაც. იგი ეკუთვნის იოანე ბატონიშვილს და დაცულია მის ცნობილ თხზულებაში—„კალმასობა“. იოანეს მიხედვით, ლორეს აღების მეორე წელს „მოვიდა დაფარვით, დავრიშის სახით, მელიქშას შვილი **ტანღან მელიქ სულთანი** გამსტრობად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა, და აგრეთვე ამავე სახედ ბერძენთა მეფე **ალექსანდრე** (იგულისხმება, ალბათ, ალექსი), ხოლო ამავე რიცხვსა შინა იყო **ბალდვოინ** იერუსალიმის მეფე, რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარიცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა... და ვერა რომელთამე ქართველთა სცნეს ამათი იდუმალ მოსლვაჲ და უკუნიქცნენ მასვე წელსა შინა“.

როგორც ვხედავთ, მრავალმხრივ საინტერესო ცნობასთან გვაქვს საქმე. დავით IV-სთან „დაფარვით“, „იდუმალ“ არაერთი იმ დროის დიდი პოლიტიკური მოღვაწე მოსულა. ზოგი მათგანის მიზანი, დავითის ნახვასთან ერთად, „ივერიის გამსტრობა“, ე. ი. დაზვერვა იყო, ზოგს კიდევ სამშვიდობო, სამოკავშირეო მოლაპარაკების გამართვა სურდა.

ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იოანეს ცნობა აქ იერუსალიმის მეფის „ბალდვოინის“ მოსვლის შესახებ. როგორც ჩანს, მხედველობაში უნდა ჰქონდეს იერუსალიმის მესამე მეფე ბალდუინ II (1119—1131 წწ.). იოანე ბატონიშვილი გარკვევით მიუთითებს, რომ ცნობა ბალდუინის ქართლში მოსვლის შესახებ მას თავის „კალმასობაში“ შეუტანია „მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა“, ე. ი. სხვა ხალხების, ალბათ, თვით ჯვაროსნების ქრონიკებიდან, ისტორიიდან. მიუხე-

დავად ასეთი კატეგორიული მითითებისა, ჩვენ დღემდე არ ვიცით იოანეს ამ ცნობის უშუალო წყარო. მაგრამ ზემომოტანილ ცნობაში დაუჯერებელი არაფერია. ჯერ ერთი, ლორეს აღების მეორე, ე. ი. 1119 წელი ის დროა, როცა დავითმა ძირითადად მოამთავრა თურქებთან ბრძოლა საქართველოს შიგნით და დაიწყო შეტევები ქვეყნის საზღვრებს გარეთ; ამასთანავე, დავითის არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებები თურქებზე, სამშვილდესთან, ლორესთან თუ სხვაგან, უკვე საკმაოდ ფართოდ იყო „ხმაგანსმენილი" და შეუძლებელია ჯვაროსნებამდე ვერ მიეღწია ამ ხმებს.

ამას გარდა, 1119 წელი მძიმე იყო თვით ჯვაროსნებისათვის; 1119 წ. ზაფხულში თურქების სახელგანთქმულ სარდალთან, ილღაზთან ბრძოლაში დაიღუპა ანტიოქიის მთავარი როჟერი და მასთან ერთად არაერთი ევროპელი რაინდი. იერუსალიმის მეფე ბალდუინ II მაშინვე დაიძრა ანტიოქიისაკენ და თვით იკისრა დაობლებული ანტიოქიის მმართველობაც და მის შესანარჩუნებლად ბრძოლაც. მან თავი მოუყარა ილღაზის წინააღმდეგ ყველა რაინდსა და მოლაშქრეს, რომელთა შეკრებაც კი იმ დროისათვის შესაძლებელი იყო. მართალია, ჯვაროსნებმა შეძლეს ანტიოქიის შენარჩუნება, მაგრამ ძლიერ დაზარალდნენ და ილღაზმაც არაერთი მწარე დამარცხება აგემა მათ. ასეთ მძიმე წელს, საეჭვოა, რომ ბალდუინ II-ეს საქართველოში ჩამოსასვლელად მოეცალა, მაგრამ, ფაქტია, რომ 1119 წლის მაგალითი, ჯვაროსნების მარცხი ილღაზთან ბრძოლაში, მოსვენებას არ მისცემდა ჯვაროსნებს და აიძულებდა მათ მოკავშირეები ეძებათ არა მარტო თავიანთ სამთავროებსა და საგრაფოებში, არამედ სხვაგანაც, ქრისტიანულ ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში.

ამრიგად, შექმნილი ვითარების ზემომოტანილი განხილვა საკმაოდ გვარწმუნებს, რომ აღნიშნულ ცნობებში, მართლაც, არაფერი უნდა იყოს საეჭვო და დაუჯერებელი—როგორც ჯვაროსნებს, ასევე საქართველოსაც ერთმანეთთან კავშირი ამ მომენტში აუცილებლად სჭირდებოდათ. ჯვაროსნებს საქართველო, როგორც ქრისტიანული ქვეყანა, სურდათ თურქების წინააღმდეგ გამოეყენებინათ, საქართველოსა და მის მეფეს კი ჯვაროსნების ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ მდგომარეობას უმსუბუქებდა და დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. ამიტომ ამ ხელსაყრელი საგარეო პირობების შექმნაში თვით დავითის მონაწილეობა არ არის გამორიცხული.

ამას გარდა, იერუსალიმის მეფეებსა და დავით IV-ის ურთიერთობის შესახებ იოანე ბატონიშვილის ზემომოტანილი ცნობის სისწორე დასტურდება ზოგი სხვა წყაროს მონაცემებითაც. მაგ., ერთი ლათინური ქრონიკის მიხედვით, დავით IV, „აფხაზთა მეფე" იერუსალიმის

მეფეს ბალდუინს (იგულისხმება ბალდუინ პირველი) საჩუქრებს უგზავნიდა.

იერუსალიმის მეფეებისა და საქართველოს მეფის ამგვარ ურთიერთობაზე უნდა მიგვითითებდეს აგრეთვე ერთი საინტერესო ცნობა. რომელიც თავის დროზე ზ. ავალიშვილმა მოიტანა და მანვე ეჭვი შეიტანა მის სისწორეში: 1136 წ. ერთს, ნორმანდიაში მყოფ მწერალს თავის ქრონიკაში ჯვაროსან რაინდთაგან გაგონილი შემდეგი ცნობა შეუტანია: 1123—24 წწ. დავით ქართველთა მეფეს და კილიკიის მთავრის ძმას თოროსს ერთ-ერთ სულთანთან ტყვედ მყოფი რაინდები დაუხსნიათ და მათ სახლში, ანტიოქიაში წაუყვანიათ. როგორი საეჭვოც არ უნდა იყოს ეს ცნობა, იგი მაინც საინტერესოა. ჯერ ერთი, XII ს. პირველი ნახევრის ევროპელი ქრონისტები უკვე კარგად იცნობდნენ დავით ქართველთა მეფეს და მის შესახებ ცნობები შეჰქონდათ თავიანთ თხზულებებში. ამას გარდა, ეს მეფე, მათივე წარმოდგენითა და ცნობებით, გამოდის ევროპელ რაინდთა ტყვეობიდან დამხსნელად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ ამ წლებში, რომელზედაც ნორმანდიელი მწერალი მიგვითითებს, არაერთი სახელგანთქმული რაინდი ჩაუვარდათ ტყვედ სელჩუკებს, ხოლო 1123 წ. თვით იერუსალიმის მეფე ბალდუინ II აღმოჩნდა მათს ტყვეობაში. ვინ იცის, იქნებ დავით IV-მ მართლაც მიიღო მონაწილეობა თავისი მოკავშირის, ბალდუინ II-ის და სხვა რაინდების გამოსყიდვასა და გათავისუფლებაში. ყოველ შემთხვევაში, ნორმანდიელი ქრონისტის ცნობაში აშკარად იგრძნობა იმ ურთიერთობის ანარეკლი, რომელიც იმდროინდელ საქართველოს მეფესა და აღმოსავლეთის ევროპელ მეფე-მთავართა შორის არსებობდა.

საქართველოსა და ჯვაროსნების ამგვარ ურთიერთობაზე მიგვითითებს ზოგი ქართული წყაროც. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, რომ დავითის ისტორიკოსს იმ „მეფეთა და ხელმწიფეთა“ შორის, რომელნიც „დავითის აჩრდილსა (საფარველს ქვეშ, მფარველობაში) შეკრებილი იყვნეს“, დასახელებული ჰყავს „მეფენი და ხელმწიფენი ფრანგეთისანი“, ცხადია, აღმოსავლეთის „ფრანგებისა“, ჯვაროსნებისა.

ქართული წყაროებით, კერძოდ, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელი თავისი ლაშქრით იერუსალიმისათვის ბრძოლებშიც კი იღებდა მონაწილეობას; თამარის ისტორიკოსი წერდა: „ახლისა დავითისნი (ე. ი. დავით აღმაშენებლის) წყობათა დავითისათა იერუსალემს ერთობდესო“, ე. ი. დავით აღმაშენებლის ჯარები ფერუსალიმში დავით წინასწარმეტყველის რაზმებთან გაერთიანებული იყვნენ. როგორც თავის დროზე კ. კეკელიძემ განმარტა, დავით წინასწარმეტყველის რაზმებად აქ ალეგორიულად იგულისხმებიან ჯვაროს-

ნები, რომელთაც თითქოს მიზნად ჰქონდათ დავით წინასწარმეტყველის სატახტო ქალაქის, იერუსალიმის განთავისუფლება „ურჯულოთაგან“. თამარის ისტორიკოსს, რომელიც დავითის დროიდან ერთი საუკუნის შემდეგ ცხოვრობდა, ეს ცნობა ძველი წყაროების, ან კიდევ, გადმოცემების მიხედვით ექნებოდა შეტანილი თავის საისტორიო თხზულებაში. ასეთი ცნობა მისთვის შეეძლოთ მიეწოდებინათ თვით ჯვაროსნებსაც, რომელნიც, მისივე სიტყვით, დავითის შვილიშვილის, გიორგი მესამისა (1156—1184 წწ.) და თამარის დროსაც აგრძელებდნენ კავშირ-ურთიერთობას საქართველოს სახელმწიფოსთან. თამარის ისტორიკოსს იმ მეფეთა შორის, რომელნიც გიორგი მესამესთან ძმობდნენ და მას „სძღვენობდეს“ (ე. ი. ძღვენს უგზავნიდნენ), მოხსენებული ჰყავს მეფენი „იერუსალიმს ალამანთანი“ („ალმანებს“ ანუ „ალემანებს“ ფრანგები უწოდებდნენ გერმანელებს). ასე რომ, ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობაში იერუსალიმის გერმანელი (ევროპელი) ფეოდალ-მეფეების საქართველოს მეფესთან ურთიერთობის შესახებ არის საუბარი.

თამარის ისტორიკოსის ზემომოტანილ ცნობას უნდა ემყარებოდეს საქართველოს ისტორიის XIX ს. ცნობილი მკვლევარი პ. იოსელიანი, რომელიც სავსებით გარკვეულად მიუთითებდა დავით აღმაშენებლის მიერ ლაშქრის არაერთხელ გაგზავნის შესახებ „ქრისტეს საფლავისა“ და სხვა „წმინდა ადგილთა“ გათავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად. პ. იოსელიანის მიხედვით, დავითის მიერ ამ მიზნით გაგზავნილი სახელოვანი ქართველი მებრძოლების პირველი რაზმები შავმა ზღვამ შთანთქა. მაგრამ არც ამას შეუშინებია საქართველოს მეფე და მეორედ გაუგზავნია „ქრისტესთვის მებრძოლთა“ დიდი ლაშქარი, რომელმაც, პლ. იოსელიანისავე მოწმობით, ამჯერად მშვიდობიანად ჩააღწია დანიშნულ ადგილს და შეუერთდა სირიის ქრისტიანებსა და დასავლეთის მხედართმთავრების დროშის ქვეშ გაერთიანებულ სომხებს. პლ. იოსელიანის ეს ცნობა, რომლის სხვა წყარო ჩვენთვის უცნობია, შემდეგ გაიმეორეს საქართველოს ისტორიის სხვა მკვლევარებმაც (პოტო, ნ. ურბნელი და სხვ.). შესაძლებელია პლ. იოსელიანის ცნობები რეალურ ვითარებას ზუსტად ვერ ასახავენ, მაგრამ ჩვენ მიერ ზემომოტანილი მასალებიდან კარგად ირკვევა, რომ დავით IV-სთან ჯვაროსნებს ურთიერთობა დაუმყარებიათ და რომ ეს ურთიერთობა ორივე მხარის მიერ თავიანთი ინტერესების შესაბამისად და სასარგებლოდ იყო გამოყენებული.

ასეთი იყო საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა XII ს. 20-იანი წლებისათვის, დიდგორის ბრძოლის წინ.

დიდგორის ბრძოლის მიზეზები

საგარეო მდგომარეობის ზემომოტანილი მიმოხილვიდან კარგად ჩანდა, რომ საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკის უპირველეს ამოცანად რჩებოდა თურქ-სელჩუკთა საკითხის გადაწყვეტა. სამეფო ხელისუფლების სხვა საგარეო პოლიტიკური მიმართულებანი ძირითადად ამ უმთავრესი ამოცანისადმი იყო დაქვემდებარებული; ამან განაპირობა არსებითად საქართველოს ურთიერთობათა ზემოგანხილული ფორმები ბიზანტიასთან, ძველ რუსეთთან, ოსებსა და ყივჩაყებთან, ამიერკავკასიის ხალხებთან თუ აღმოსავლეთის ჯვაროსნულ სამეფო-სამთავროებთან.

მაგრამ თურქებთან ურთიერთობა ამავე დროს იყო საქართველოს სამეფოს საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხიც. არაერთი საშინაო ღონისძიება გატარდა სამეფო ხელისუფლების მიერ თურქი დამპყრობლების პრობლემის გადაჭრის დაჩქარების მიზნით. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ თურქები და მათი სამეურნეო, ეკონომიკური სისტემა, როგორც ზემოთ ითქვა, გადაშენებით ემუქრებოდა ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ წყობასა და, მაშასადამე, ყველაფერ იმას, რაც ამ წყობაზე იყო აღმოცენებული, ე. ი. ყოველივე ქართულსა და ქართველურს.

ამიტომ იყო, რომ დავით აღმაშენებელმა გამეფების პირველი წლებიდანვე, ჯერ კიდევ მცირე რაზმებით, ბრძოლა გამოუცხადა თურქ დამპყრობელთა მოთარეშე გუნდებს, რასაც XII ს. დამდეგიდან უფრო ფართო ხასიათი მიეცა, განსაკუთრებით ერწუხის ზემოგანხილული ბრძოლის შემდეგ.

თურქების დიდი მარცხი იყო საქართველოში ქართველთა ლაშქრის მიერ, გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჟყონდიდელის უშუალო ხელმძღვანელობით, ციხე-ქალაქ სამშვილდის აღება 1110 წ. სამშვილდის აღებას ქვემოთ ქართლის უმრავლეს ციხეთა გათავისუფლებაც მოჰყვა: „ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესი ციხენი სომხითისანი დაუტევნესო — წერს დავითის ისტორიკოსი. თურქ დამპყრობთათვის ასეთი მარცხი მოულოდნელი იყო და, როგორც ჩანს, მდგომარეობის გამოსწორება მათ დიდი ლაშქრის გამოგზავნით ცადეს. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, სულტანმა ამ დროს ქართლში გამოისტუმრა **„ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი“**. როგორც ჩანს, თურქთა ასეთი დიდი რაოდენობით და ისიც ასე სწრაფად და ფარულად (უგრძნეულად) შემოსვლა ქართველებისათვის მოულოდნელი იყო. მეფე ამ დროს ნაჭარმაგევს მდგარა თავის მხლებლებითურთ, მას შეღამებისას

აცნობეს საქართველოს საზღვრებზე თურქთა გამოჩენა, ცისკრისას კი უკვე თრიალეთთან შეეგება იგი მტერს და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა. ეს იყო საქართველოს ლაშქრის პირველი დიდი გამარჯვება თურქებთან ბრძოლაში და ამ უკანასკნელთა ასევე პირველი დიდი მარცხი საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთანავე, არაბული წყაროს ცნობით, 1110 წ. დავითმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია—განძა დალაშქრა და აიღო. დავითის წარმატებებმა, თურქთა ასიათასიან ლაშქარზე გამარჯვებამ საბოლოოდ გაფანტა მითი თურქთა უძლეველობის შესახებ და კიდევ უფრო განამტკიცა გათავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველთა რწმენა გამარჯვებისადმი. ამას გარდა, სამშვილდისათვის ბრძოლამ და თურქთა ასიათასიანი ლაშქრის დამარცხებამ თურქ-სელჩუკებს დაანახვა ის ქვეყანა, რომელიც მათ წინააღმდეგ ახალ ძლიერ ძალად აღიმართა მახლობელ აღმოსავლეთში. თურქების წინაშე ამიერიდან, ჯვაროსნების პრობლემასთან ერთად, საქართველოს პრობლემაც დადგა.

თურქების დიდი ლაშქრის დამარცხებას სამშვილდესა და თრიალეთთან მოჰყვა ახალ-ახალი გამარჯვებები. თრიალეთის ბრძოლის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ ისევ გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით, ქართველებმა ქ. რუსთავი აიღეს. ეს 1115 წ. იყო. ამის შემდეგ, დავით აღმაშენებელმა გაილაშქრა ტაოში ვიდრე ბასიანამდე „უშიშრად გულდებითა მსხდომარეთა“ თურქთა წინააღმდეგ და „მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვი“. კახეთში ციხე გიშის აღების შემდეგ კი ბრძოლა თურქების წინააღმდეგ ფაქტიურად გასცილდა საქართველოს საზღვრებს. დავითის ძემ დემეტრემ შირვანს გაილაშქრა, უფლისწულმა „ქმნნა ომი საკვირველნი“ და ქალაძორის ციხეც აიღო. შირვანის შემდეგ ჯერი თურქთა მიერ დაპყრობილ ყოფილ სომხურ წვრილ სამეფოებზე მიდგა. 1118 წ. დავით აღმაშენებელმა ლორე თურქებს წაართვა და საქართველოს შემოუერთა. ამიერიდან, საქართველოს სამეფო თურქთა მიერ დაპყრობილი სომხური ტერიტორიების გამათავისუფლებლად და დამცველად გამოდიოდა.

ლორეს გათავისუფლებასა და შემოერთებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: იგი სომხეთთან და სამხრეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელ ძირითად გზებზე მდებარეობდა. სამშვილდის, რუსთავის და ლორეს აღებით თბილისი საქართველოს მეფის მიერ შემოერთებული და შემომტკიცებული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების ალყაში ექცეოდა. რკალი თბილისის ირგვლივ თანდათან ვიწროვდებოდა, მაგრამ თბილისის შემოერთებას დავით IV არ ჩქარობდა — ჯერ კიდევ საჭირო იყო შინაგანი რეფორმების დასრულება და თურქების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ორიოდე წლის შემდეგ, როცა დავითმა დაამთავრა ყივჩაყთა გადმოყვანა და ახალი ლაშქრის ორგანიზაცია, კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო თურქების წინააღმდეგ ბრძოლამ.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ საქართველოს სამეფომ ფართო მასშტაბით თურქების წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ იმ დროს გაანაახლა, როცა თურქებმა, ილღაზის სარდლობით, წარმატებები მოიპოვეს ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს 1119 წ. მიწურული და 1120 წ. დამდეგი იყო. სწორედ 1120 წ. თებერვალს დავით მეფე თავს დაესხა თურქებს ბორტიაში და მუსრი გაავლო მათ. აქედან ღანხუას მისულმა ქართველთა ლაშქარმა შირვანში გაილაშქრა და ქალაქი ყაბალა აიღო. შემდეგ მეფე ერთხანს ქართლში შემობრუნდა, „მსწრაფლ შეკრიბა სპა“ და მაისის დამდეგს ისევ შირვანში გაილაშქრა და დაარბია თურქები „ლიჟათით ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე“. ლიჟათი ანუ ლიზანი“, როგორც ეს დღეს გარკვეულია, მდებარეობდა შირვანის ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის მთების სამხრეთ კალთებზე, შემახიიდან ჩრდილო-დასავლეთით სულ 30 კმ მანძილზე. აქვე, შემახიასა და ლიზანს შორის, იყო ქურდევანიც.

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებელს აღმოსავლეთით თურქებისა და თურქული ორიენტაციის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი წარმატებებისათვის მიუღწევია. მაგრამ ეს კიდევ არ ჩანდა საკმარისი შირვანში საქართველოს მეფის პოზიციების განსამტკიცებლად. სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს მეფე შირვანში უტევდა, დარუბანდელებმა იმდროინდელ შირვანშაჰის, აფრიდონის წინააღმდეგ გაილაშქრეს და შირვანშაჰი დაღუპეს კიდეც; ეს საქართველოს მეფის მონაწილეობის გარეშე არ უნდა მომხდარიყო — დავითმა, როგორც ჩანს, თავიდან მოიშორა თურქული ორიენტაციის აფრიდონი და მის ადგილზე, სანამ მისი სიძე, მანუჩარი ტახტს დაიკერდა, საქართველოს მეფისათვის სასურველი კანდიდატი გამეფა, შირვანი თურქულ ორიენტაციას ჩამოაშორა და სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაითრია. ეს კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იყო თურქული გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აღმოსავლეთ საზღვრებზე პოზიციების შედარებით განმტკიცების შემდეგ დავით აღმაშენებელმა სამხრეთით გააგრძელა შეტევები — „იწყო რბევად — სპარსეთისა... და **სომხეთისა დიდისა**“, ისე რომ, მისი თავდასხმები ამ მხრივ ზოგჯერ უშუალოდ მსხვილ მაჰმადიან მფლობელთა ქვეყნების საზღვრებამდე ვრცელდებოდა. მაგ., 1120 წ. მიწურულს, დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმენთა, მოსრნა და იავარყვნა“. აშორნია კი, სადაც დავითს ამ დროს გაულაშქრია, არც ისე დაშორებული იყო ილღაზის სამფლობელოებს — მარდინსა და მაიფარიკინს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი

აღმოსავლური წყაროს მიხედვით, დიდგორის ომის წინა ხანებში ქართველებს გაულაშქრიათ სირიაშიც, რომელიც მათ ადრეც მოურბევიათ. როგორც ირკვევა, XII ს. 20-იან წლებში დავითის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ რამდენიმე ფრონტზე მიზნად ისახავდა თურქების განდევნას არა მარტო საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნებიდან, არამედ თურქთა ძალების შესუსტებას საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში. ეს კი თავისი შედეგებით, ცხადია, სავსებით ეხმაურებოდა იმ მოლაპარაკებებს, რომელიც საქართველოში სწორედ ამ ამბების წინ გაიმართა დავით IV-სა და ბალდუინ II-ს შორის.

დავით IV-მ თურქების წინააღმდეგ ბრძოლითვე დაიწყო 1121 წ. ზამთარიც, აფხაზეთიდან სწრაფად მობრუნებულმა მეფემ დამპყრობელთაგან გაწმინდა ხუნანი, ხოლო შემდეგ ბარდავშიც ილაშქრა. ამ განუწყვეტელ ომებს ერთგვარი შემოსავალიც მოჰქონდა სამეფო ხაზინისათვის. ისტორიკოსის სიტყვით, ნადავლითა და ალაფით აივსო ქვეყანა. გაუთავებელი ომებით მიყენებულ ზარალს მეფის ხელისუფლება, ნაწილობრივ მაინც, ამ ალაფითა და ნადავლით ფარავდა. ამასთან, უკვე აშკარა იყო, რომ ქართველი ხალხი წარმატებით აწარმოებდა ბრძოლას თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ და რომ მას არა მარტო საქართველოდან, მოსაზღვრე ქვეყნებიდანაც ერეკებოდა. ამავე დროს, საქართველოს მეფე თავს ესხმოდა თვით მაჰმადიან მფლობელთა ქვეყნებს და მახლობელ აღმოსავლეთში თურქული გავლენისა თუ თურქსელჩუკთა გაბატონებული მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. აი, სწორედ ეს გახდა, დავითის ისტორიკოსის სიტყვით, დიდგორის ომის ძირითადი მიზეზი. 20-იან წლებში მოწყობილმა ზემოაღნიშნულმა ლაშქრობებმა, ისტორიკოსის გადმოცემით, ფრიად შეავიწროვა თურქი დამპყრობლები: „ამათ ესევითართა ჭირთაგან შეიწროებულნი თურქმანნი... წარვიდეს სულტანსა წინაშე“ დახმარების სათხოვნელადო.

საქართველოს მეფის მიერ თურქების წინააღმდეგ წარმატებით წარმოებულ ბრძოლებს დიდგორის ომის მიზეზად თვლის სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელიც, ოღონდ მას ამ ბრძოლის უშუალო საბაბად კი დავითის მიერ 1121 წ. თურქთა დიდი ლაშქრის დამარცხება მიაჩნია: „იყო ვინმე ამირა განძაკის ქვეყნიდან, სახელად ხაზი, კაცი სისხლისმღვრელი, ურცხვი და საშინელი ავაზაკი. იგი იყო მოსაზღვრე ქართველთა ქვეყნისა და სიყვარულით მორჩილებდა ქართველთა მეფეს დავითს. ამ (1121) წელს მან განიზრახა ბოროტება, ხაზიმ მიიღო სამი ბევრი (30 000) თურქთა ჯარი, შევიდა ქართველთა ქვეყანაში, ერთი ნაწილი ტყვედ წაასხა... წავიდა და დაბანაკდა თავის ადგილას. როდესაც ეს გაიგო ქართველთა მეფემ დავითმა, გაგზავნა ქართველთა ქვეყნის ჯარები. ისინი ჩუმად მივიდნენ და თავს დაესხნენ თურქთა ჯა-

რებს. მან მათგან ამოწყვიტა ოცდაათი ათასი კაცი და ყველა მათი ცოლები, მათი ძენი და ურიცხვი ცხვრისა ფარა ტყვედ წაასხა. მრავალი და აურაცხელი ნადავლი წაიღო ქართველთა ქვეყანაში. მაშინ თურქთა ჯარიდან დარჩენილებმა დიდი საფრთხის გამო შეიღებეს თავიანთი სამოსი, თავზე მიწა დაიყარეს და შავი ტანსაცმლით და თავდაუხურავნი გაჰკიოდნენ თავიანთ სულთანთან, ქალაქ განძაკში, მელიქთან ტაფარის ძესთან და ტირილით ჩიოდნენ მის წინაშე თავიანთ დაღუპვას; ხოლო სხვები მივიდნენ არაბთა ოლქში, კარმიანის ქვეყანაში ამირა ღაზისთან არდუხის ძესთან და დიდი ტირილით უამბობდნენ მათს მომხდარ დაღუპვას" და ამ უკანასკნელმა კიდევ ომის თადარიგი დაიჭირაო. ასე რომ, მათე ურჰაელის ცნობით, ომის უშუალო მიზეზი განძის ამირას ავაზაკური საქციელი — 30 000-იანი ლაშქრით საქართველოზე თავდასხმა და დავითის მიერ ამ ლაშქრის დამარცხება იყო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დავითის ისტორიკოსს, რომელიც საერთოდ დეტალურად აღწერს დავითის ომებს, დიდგორის ბრძოლის წინ ქართველთა მიერ განძის ამირას ასე დიდი ლაშქრის დამარცხების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. ამ ომს არ იხსენიებს არც სხვა წყარო. ყველაფერი ეს კი მათე ურჰაელის ამ ცნობას საეჭვოს ხდის. მაგრამ ფაქტია, რომ დავითის შეტევითი ომების წყალობით, თურქები მართლაც დიდ განსაცდელში აღმოჩენილან და საერთო ძალით უცდიათ მისი შეჩერება. ამას გარდა, შემთხვევითი არ იყო აგრეთვე ისიც, რომ სწორედ განძა, ერთი პირველთაგანი, თბილისთან და დმანისთან ერთად, ჩაუდგა სათავეში დავითის წინააღმდეგ კოალიციის მოწყობის საქმეს; ასე რომ, დიდგორის ომის წინ შექმნილ საერთო ვითარებას მათე ურჰაელიც, როგორც ჩანს, სწორად ასახავს.

მაჰმადიან ისტორიკოსს იბნ ალ-ასირსაც დიდგორის ბრძოლის მიზეზად ქართველების შემოსევებით მუსლიმანების შევიწროება მიაჩნია. მისი აზრით, ამან აიძულა მუსლიმანი ამირები გაერთიანებულიყვნენ და საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრათ.

ასეთ საერთო, ზოგად საფუძველს გარდა, დიდგორის ბრძოლას უფრო კონკრეტული მიზეზებიც გააჩნდა. ეს იყო დავით აღმაშენებლის პოლიტიკა, მისი დამოკიდებულება საქართველოს ქალაქებთან, საერთოდ, და კერძოდ, თბილისთან. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლება ქალაქებს, მისი მოსახლეობის ზედაფენას ოპოზიციური დიდგვაროვნების წინააღმდეგ იყენებდა. ქვეყნის გაერთიანება და ძლიერი სამეფო ხელისუფლება ქალაქებსაც სჭირდებოდათ, ამიტომ გარკვეულ დროს ქალაქებიც გამოდიოდნენ მეფის მოკავშირეებად ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში. მაგრამ მათი ასეთი კავშირი დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი გაძლიერდა საქართველოს მეფის ხელისუფლება, რომელმაც დაამარცხა მოწინააღ-

მდეგე საეკლესიო და საერო ფეოდალები და შექმნა ძლიერი, ცენტრალისტური ხელისუფლება, თანდათან დაიწყო ბრძოლა თვით ქალაქების მორჩილებაში მოსაყვანადაც, მათ შემოსამტკიცებლად და სამეფო ქალაქებად გადასაქცევად. ქალაქების დამორჩილებისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი დავით აღმაშენებელმა XII ს. 20-იანი წლებისათვის დაასრულა. მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული საქართველოს უდიდესი ქალაქი თბილისი და აგრეთვე დმანისიც.

დავით IV თბილისის მიმართ განსაკუთრებულ ფრთხილ და მოქნილ პოლიტიკას აწარმოებდა. მას ქალაქისათვის ერთბაშად არ შეუტევია, რადგან თბილისს ამ დროს დამოუკიდებელი თვითმმართველობა ჰქონდა, არავის ემორჩილებოდა, არავის უფლებას არ სცნობდა — იგი ქალაქ-რესპუბლიკას, ქალაქ-კომუნას წარმოადგენდა. ამასთანავე, დავითს კარგად ესმოდა თბილისის მნიშვნელობა იმდროინდელი აღმოსავლეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში და ყოველნაირად ცდილობდა ეს დიდი ძალა გონივრულად გამოეყენებინა, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა მეფე გადამწყვეტ ბრძოლებს აწარმოებდა საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ, როცა იგი დიდმნიშვნელოვან რეფორმებს ატარებდა და განსაკუთრებით სჭირდებოდა ქალაქების, კერძოდ კი, თბილისის მხარდაჭერა.

მაგრამ ვითარება არსებითად შეიცვალა მას შემდეგ, რაც დავით IV-მ ძლიერი, თვითმპყრობელური ხელისუფლება და ერთიანი, ცენტრალიზებული მონარქია შექმნა. ამიერიდან იგი თავის ტერიტორიაზე ვეღარ მოითმენდა ქალაქ-რესპუბლიკების, დამოუკიდებელი ერთეულების არსებობას. გაძლიერებულ სამეფო ხელისუფლებას უკვე შეეძლო თავისი ძველი მოკავშირის დამორჩილებაზეც ეფიქრა. ეს ასედაც მოხდა: დაიწყო ქალაქებისადმი დამოკიდებულების მეორე ეტაპი — ბრძოლა ქალაქ-რესპუბლიკების, კომუნების გაუქმებისათვის, დამორჩილებისათვის.

დავით აღმაშენებელმა თბილისის შევიწროება და მისი შემოერთებისათვის ნიადაგის მომზადება უკვე 1120 წლიდან დაიწყო. ქალაქის დამოუკიდებლობას რეალური საფრთხე შეექმნა; თბილისის იმდროინდელმა ხელისუფლებამ, „ქალაქის უხუცესებმა“, მათმა საბჭომ და „ქალაქის თავადმა“ კარგად იგრძნეს ეს საშიშროება და ყოველნაირად შეეცადნენ თავიდან აეცდინათ დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე. საამისო დამხმარე ძალების ძიება თბილისის თავკაცებმა საქართველოს მეზობელ ძლიერ მაჰმადიან მფლობელებში დაიწყეს. ამ მხრივ ფრიად საინტერესო ცნობა აქვს დაცული ჩვენ მიერ ზემოხსენებულ არაბ ისტორიკოსს ალ-ფარიკს: „მეფე დავითი, მეფე ქართველთა და აფხაზთა, ძლიერ ავიწროებდა მას (თბილისს). მაშინ ისინი (თბილისელები) წავიდნენ სულთან თოღრულთან, რომელიც მაშინ იმყოფებოდა განძასა

და არანში (გამგებლად). და მან მისცა მათ (თბილისელებს) შიპნა (ნაცვალი). საქართველოს მეფის მიერ თბილისელთა შევიწროება მაინც არ წყდებოდა. მაშინ ისინი (თბილისელები და მეფე) შეთანხმდნენ, რათა (ქალაქს მეფისათვის) -ყოველწლიურად გადაეხადა ათი ათასი დინარი და რომ თბილისში ყოფილიყო (მეფის) ნაცვალი ათი მხედრით. და დარჩნენ პირობით ცოტა ხანს". როგორც ამ ცნობიდან ჩანს, თბილისელები, განძისა და არანის გამგებლის შემწეობით, მის მიერ თბილისზე მფარველობის ხელის დადებით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა და თავიდან აეცდინათ საქართველოს მეფის შემოტევა; მაგრამ გაძლიერებულ საქართველოს მეფეს სულთან თოღრულის მოქმედებამ უკან ვერ დაახევინა და დავითი თბილისის შევიწროებას ისევ განაგრძობდა. თბილისის თავკაცები იძულებული გამხდარან ეღიარებინათ მეფის მფარველობა, რისი სიმბოლური ნიშანიც თბილისში მეფის ნაცვლისა და მისი ათი მხედრის გამოგზავნა იყო, მაგრამ ქალაქი ინარჩუნებდა შინაგან დამოუკიდებლობას და ამის საფასურად მეფისათვის ყოველწლიურად საკმაოდ დიდ თანხას — 10 000 დინარს — იხდიდა. ამრიგად, თბილისმა იმჟამად ფაქტიურად იყიდა საქალაქო საქმეების გამგებლობაში დამოუკიდებლობა.

ეს მხოლოდ დროებითი ღონისძიება იყო. ასეთი პირობა არ აწყობდა არც საქართველოს მეფეს და არც თბილისის გამგებლებს. ამ პირველი ნაბიჯის შემდეგ დავითი, ცხადია, ქალაქის სრული დამორჩილებისათვის სამზადისს შეუდგებოდა. თბილისის მმართველი ზედაფენა ხედავდა ამას და ცდილობდა გათავისუფლებულიყო მეფის მფარველობისა და აქედან გამომდინარე, დაკისრებული ვალდებულებისაგან. ურთიერთობა ქალაქსა და მეფეს შორის სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. ამიტომაც თბილისის უხუცესებმა, საქართველოს მეფესთან შეთანხმების მიუხედავად, ისევ დაიწყეს ახალი მფარველის ძიება. ალ-ფარიკის სიტყვით, მათ 1121 წ. თხოვნით მიმართეს ისევ მაჰმადიან მფლობელს, მარდინისა და მაიაფარიკინის პატრონს ნეჯმ ად-დინ ილღაზის, რათა მოსულიყო და ქალაქი ჩაებარებინა. ამ უკანასკნელმაც დიდძალი ლაშქარი შეკრიბა და თბილისისაკენ დაიძრა. შემდეგ ალ-ფარიკი უკვე დიდგორის ბრძოლის ამბებს გადმოგვცემს.

როგორც ვხედავთ, ალ-ფარიკის მიხედვით, დიდგორის ომის უშუალო მიზეზად იქცა საქართველოს მეფის ბრძოლა თბილისის შემოსაერთებლად. ამას არსებითად ადასტურებს და ავსებს დავითის ისტორიკოსის ცნობებიც. მისი მონაცემებით, დიდგორის ბრძოლა გამოიწვია არა მარტო თურქ-სელჩუკთა საერთო შევიწროებამ, არამედ საქართველოს მეფის ცდამაც თბილისისა და სხვა ქალაქების ხელში ჩასაგდებად. ამიტომ დავითის ისტორიკოსი დახმარების მაძიებლებად აცხადებს არა მარტო „ჭირთაგან შეიწრებულ თურქმანთ", არამედ განძელ-

თბილელ და დმანელ თავკაცებსაც, რომელთაც იგი ამ ქალაქების ვაჭრებად იხსენიებს. ისტორიკოსი წერს: „ამგვარი გასაჭირით შევიწროებულნი თურქმანნი და აგრეთვე განძელ-თბილელ-დმანელნი ვაჭარნი წარვიდნენ სულტნის წინაშე და ყოველ სპარსეთში, შეიღებეს შავად ზოგმა პირი, ზოგმა ხელები, ზოგმა კიდევ სრულიად და ამგვარად მოუთხრეს ყოველი გასაჭირი, მათზე მოწეული, რათა წყალობა აღმოეჩინათ მათთვის და შეიქმნა დიდი გლოვა მათ შორისო". ამის შემდეგ დავითის ისტორიკოსიც, ალ-ფარიკის მსგავსად, მოგვითხრობს კოალიციური ლაშქრის შედგენისა და დიდგორის ბრძოლის ამბებს. ასე რომ, დავითის ისტორიკოსის ცნობითაც, დიდგორის ბრძოლა გამოუწვევია საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ქალაქთა გამგებლობის ელჩობას სულთნის წინაშე.

ზემოხსენებული ცნობიდან ჩანს, რომ საქართველოს მეფე ქ. დმანისის მიმართაც ისეთსავე პოლიტიკას ახორციელებდა, როგორსაც თბილისის მიმართ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი ქალაქების დასახმარებლად მასთან კავშირში აღმოჩენილან მეზობელი ქვეყნის ქალაქებიც, ამ შემთხვევაში ქ. განძა (დღევანდელი კიროვაბადი, აზერბაიჯანის სსრ). დავითის ისტორიკოსის ცნობის მიხედვით, თვითმპყრობელი მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდნენ არა მარტო საქართველოს მეფის მიერ საერთოდ შევიწროებული და ქვეყნიდან გაძევებული თურქ-სელჩუკები, არამედ დამოუკიდებელი ქალაქი-კომუნები, მათი კავშირი — „ქალაქთა კავშირი". ეს გახდა დიდგორის ბრძოლის უშუალო მიზეზი, ასეთი ბრძოლა ქალაქებს, მათ კავშირებსა და მეფის ხელისუფლებას შორის არაერთი იცის შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ისტორიამ.

ქალაქ-რესპუბლიკების გაერთიანებული ძალები მაინც საკმარისი არ ჩანდა საქართველოს მეფის შემოტევისაგან თავდასაცავად და ამიტომ სთხოვეს მათ დახმარება მეზობელ ქვეყნებს, კერძოდ იმას, ვინც ისედაც უპირისპირდებოდა ძლიერების გზაზე განუხრელად შემდგარ საქართველოს სამეფოს. თურქთა სულთანს საქართველოს მეფესთან თავისი ანგარიშებიც ჰქონდა და საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრების ასეთ ხელსაყრელ მომენტს, როცა ქვეყნის შიგნით ძლიერი ქალაქები მის მომწვევად და დამხმარეებად გამოდიოდნენ, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდა. სწორედ ამან, ასეთმა ხელსაყრელმა დრომ შემოაბრუნა ილღაზი, როგორც ჩანს, ანტიოქია-იერუსალიმიდან დიდგორისაკენ. სწორედ ამან აიძულა იგი და მისი ვაჟი სულეიმანი, ათაბაგების ციხის გამგებელი, ფრანგების წინააღმდეგ ამჯერად (1121 წ. მაისში) პირისპირ ბრძოლას მორიდებოდნენ და მიუხედავად ზავის მძიმე პირობებისა, საზავო მოლაპარაკება გაემართათ ალეპოს დასაპყრობად გამზადებულ ჯვაროსნებთან.

როგორც ვხედავთ, დიდგორის ბრძოლის ძირითადი და საერთო მიზეზი საქართველოს სამეფოს გაძლიერება იყო. თურქმა დამპყრობლებმა კარგად დაინახეს, რომ საქართველოს სახით ძლიერდებოდა ახალი და არანაკლებ საშიში ძალა, ვიდრე ჯვაროსნები და ბიზანტიელები იყვნენ. ეს ახალი ძალა წარმატებით ერეკებოდა თურქ დამპყრობლებს არა მარტო საკუთარი, არამედ მეზობელი ქვეყნებიდანაც. ასე რომ, თურქები კარგავდნენ, საქართველოსთან ერთად, სხვა მათ მიერ ამიერკავკასიაში დაპყრობილ ქვეყნებსაც და საერთოდ, პირველობასაც მახლობელ აღმოსავლეთში.

ამას გარდა, სელჩუკების ბრძოლა ჯვაროსნების წინააღმდეგ, მომავალი იერიშები ანტიოქიასა და იერუსალიმზე, პირველ რიგში, საქართველოს დამარცხებისა და ამ გზით ზურგის უშიშროების უზრუნველყოფის გარეშე ვერ იქნებოდა გარანტირებული. ამრიგად, ახლო აღმოსავლეთში ორი დიდი ძალა უპირისპირდებოდა ერთმანეთს — მზარდი საქართველო და თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო. ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო მათი სამეურნეო, სოციალური (საზოგადოებრივი) თუ სახელმწიფოებრივი წყობა. ამ ორ ქვეყანას შორის ბრძოლა არსებითად იყო ბრძოლა ორ განსხვავებულ სამეურნეო სისტემას შორის — განვითარებულ ინტენსიურ მეურნეობასა და ჯერ კიდევ ნახევრადპატრიარქალურ, ექსტენსიურ, მომთაბარე-მეჯოგურ მეურნეობას შორის. საქართველო, რომელიც დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის იბრძოდა, დიდ ხელისშემშლელ დაბრკოლებად იქცეოდა ახლო აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა პოლიტიკის წარმატებისათვის. ამიტომაც თურქებს პირველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა უკარნახებდა გზიდან ჩამოეცილებინათ საქართველო, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოთ მისთვის.

ასეთი საგარეო სიტუაცია, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდათ შემჩნეული ამ ამბების თანამედროვეებს. გოტიე თავის ქრონიკაში დიდგორის ომის მიზეზად სწორედ ამას, იმ დროისათვის შექმნილ საგარეო ვითარებას ასახელებს. მისი სიტყვით, მაჰმადიანთა გაერთიანებულმა ძალამ ილღაზის მეთაურობით იმიტომ გაილაშქრა საქართველოში, „რათა მისი (დავითის) დაღუპვის ან განდევნის შემდეგ თავისუფლად და დაუბრკოლებლად შეუდგეს ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანების ამოწყვეტას“. როგორც ჩანს, თურქ-სელჩუკებს სურდათ საქართველოს დამარცხებით მახლობელი აღმოსავლეთი გაეწმინდათ ძლიერი და საშიში მეტოქისაგან; ისინი საამისო ხელსაყრელ ამინდს ელოდებოდნენ და ასეთი ამინდიც მალე დადგა: თვით საქართველოს შიგნით აღმოჩნდნენ ისეთი ძალები, რომელნიც თურქებს დახმარებისათვის იწვევდნენ საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ესენი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ქალა-

ქები იყვნენ, რომელნიც ძლიერი მეფის დამარცხებით ფიქრობდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ასე რომ, რევანშისათვის განწყობილ თურქებს ფრიად ხელსაყრელი მომენტი ექმნებოდათ და ამიტომ მათ, როგორც კი საქართველოდან დახმარების მთხოვნელნი გამოჩნდნენ, დაუყოვნებლივ დაიჭირეს თადარიგი და დიდი ლაშქრობის მოწყობა გადაწყვიტეს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყველაფერი ეს მოულოდნელი არ ყოფილა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის: დავითის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა აუცილებელს ხდიდა თურქ-სელჩუკებთან გადამწყვეტ ბრძოლას, ამას მოითხოვდა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სიძლიერის შენარჩუნების ინტერესები, თვით საქართველოს ბრძოლა პირველობისათვის მახლობელ აღმოსავლეთში.

ამრიგად, ორი დიდი ძალის შეჯახება ორივე მხარისათვის გარდუვალი ჩანდა.

თავი IV

დიდგორის ბრძოლა

1. მოწინააღმდეგეთა ლაშქარი, მისი შედგენილობა

იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება, როგორც აღვნიშნეთ, თურქ-სელჩუკებსა და საქართველოს სახელმწიფოს აშკარად უპირისპირებდა ერთმანეთს. ყველაფრიდან ცხადი იყო, რომ ეს ძლიერი წინააღმდეგობა დღეს თუ ხვალ იარაღით უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ საიმდღისო ამოცანად იგი საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ განდევნილ და შევიწროებულ თურქთა და ქალაქების — თბილისის, დმანისის და განძის — თავკაცთა ელჩობამ აქცია. ამან დააჩქარა კოალიციური ლაშქრის შექმნა და დიდგორის ბრძოლაც. ყველა ძველი ისტორიკოსის (დავითის ისტორიკოსი, მათე ურჰაელი, ალ-ფარიკი) მოწმობით, დავითის მიერ აწიოკებულმა თურქმანებმა და ზემოდასახელებული ქალაქების მმართველი ზედაფენის წარმომადგენლებმა, მწეხარების ნიშნად ხელ-პირ შავად შეღებილებმა, ტანსაცმელშემოფლეთილებმა და თავზე ნაცარდაყრილებმა გადაწყვიტეს „მათ ზედა მოწვევნული ყოველნი ჭირნი“ მოეთხროთ და დახმარება ეძიათ ძლიერ მაჰმადიან მფლობლებს შორის. ეს ელჩობა, დავითის ისტორიკოსის ცნობების მიხედვით, 1121 წ. აპრილ-მაისში შემდგარა.

ვის მიმართეს დახმარებისათვის თურქებმა და ქალაქების წარმომადგენლებმა? ამ კითხვაზე საისტორიო წყაროებს სხვადასხვაგვარი

ცნობები აქვთ დაცული; მაგალითად, დავითის ისტორიკოსის ცნობით, „შეიწრებულნი თურქმანნი“ და მოქალაქეთა წარმომადგენლები „წარვიდეს სულთანსა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა“, ე. ი. ისინი პირველ რიგში სულთანს ხლებიან, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილებულან და სხვა მაჰმადიანი მფლობელებისათვისაც მიუმართავთ. ისტორიკოსის განცხადება — „წარვიდეს... ყოველსა სპარსეთსა“ — სწორედ ამაზე მიუთითებს. სომეხი ისტორიკოსის, მათე ურჰაელის მიხედვით კი, შავტანსაცმლიანი და თავდაუხურავი ელჩები „გაჰკიოდნენ თავიანთ სულთანთან ქალაქ განძაკში მელიქთან, ტაფარის ძესთან და ტირილით ჩიოდნენ მის წინაშე თავიანთ დაღუპვას. ხოლო სხვები მივიდნენ არაბთა ოლქში, კარმიანის (კაბადოკიის) ქვეყანაში ამირა ხაზისთან, არდუხის ძესთან და დიდი ტირილით უამბობდნენ მას... ხოლო მან თავისი ძლიერებისა და ზვიადობის გამო ბრძანა შეკრებილიყო თავისი ჯარების სიმრავლე“...

მათე ურჰაელის მიერ მოხსენებული სულთანი მელიქი უნდა იყოს დავითის ისტორიკოსის მიერ კოალიციური ლაშქრის მონაწილედ მოხსენებული და სულთნის ძედ მიჩნეული მალიქი. ასე რომ, მათეს ცნობით, თბილელთა სხვათა წარმომადგენელთა ერთ ნაწილს პირველ რიგში განძაში მყოფ მალიქისათვის მიუმართავს, ხოლო მეორე ნაწილს — ამირა ღაზისათვის, არდუხის ძისათვის. მათე ურჰაელის ღაზი არდუხის ძე იგივეა, რაც სხვა წყაროების ილღაზი არდუხის ძე.

განსხვავებულ ცნობას იძლევა აგრეთვე ალ-ფარიკიც, რომლის მიხედვითაც, „თბილისის ხალხი წავიდა ნაჯმ ად-დინ-ილღაზთან და სთხოვა მას მოსულიყო და ჩაებარებინა ქალაქი“. ლაშქრობის მთავარ ინიციატორად ილღაზის მიიჩნევს გოტიეც. როგორც ვხედავთ, ზემომოტანილ ცნობათა შორის ერთგვარი წინააღმდეგობაა, მაგრამ ეს ადვილად ასახსნელია და ამ ცნობათა ურთიერთშეთანხმებაც მოსახერხებელია.

როგორც ირკვევა, უპირატესობა ამ შემთხვევაში ქართულ წყაროს, დავითის ისტორიკოსს უნდა მიენიჭოს. ცხადია, უფრო სარწმუნოა, რომ თბილისისა და სხვათა წარმომადგენლებს უშუალოდ სულთანისათვის მიემართათ, ვიდრე განძის მფლობელ მალიქის — ტაფარის ძისათვის, ან კიდევ, ილღაზისათვის, რომელიც, მართალია, სახელგანთქმულ მეომრად იყო მიჩნეული, მაგრამ მაჰმადიან მფლობელებში ისეთი გავლენა ვერ ექნებოდა, როგორიც თვით სულთანს. ამის გარდა, სწორედ სულთანი შეიძლებოდა ყოფილიყო კოალიციური (გაერთიანებული) ლაშქრის შემდგენელი. მას ექნებოდა უფლება სხვადასხვა მაჰმადიან მფლობელთა მოწოდებისა და ერთი დროშის ქვეშ მათი თავმოყრისა.

ამრიგად, უდავოა, რომ თბილისის მოსახლეობის წარმომადგენლებმა დახმარება პირველ რიგში სთხოვეს სულთანს, ერაყის სელჩუკიანთა იმდროინდელ გამგებელს მაჰმუდ მოჰამედის ძეს (1117 —

1131 წწ.), ეს იყო მაჰმადიანთა ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი. ყურადსაღებია აგრეთვე დავითის ისტორიკოსისა და მათე ურჰაელის ცნობები, რომელთა მიხედვით, თბილისელთა წარმომადგენლები არ დაკმაყოფილებულან მარტოოდენ სულთანთან მისვლით და სხვა მაჰმადიან მფლობელებთან, „ყოველ სპარსეთსა“ თუ „არაბთა ოლქებში“, თვით, უშუალოდ გაუმართავთ მოლაპარაკება.

ადვილი ასახსნელია ალ-ფარიკისა და გოტიეს მცირე უზუსტობაც, როცა ისინი ამ საქმის მთავარ ინიციატორად ილღაზის მიიჩნევდნენ; როგორც ჩანს, ალ-ფარიკმა და გოტიემ თბილელთა ელჩობის შედეგად საქართველოსაკენ დაძრული კოალიციური ლაშქრობის სათავეში მყოფი ილღაზი ჩათვალეს იმ პიროვნებად, რომელსაც „თბილისის ხალხმა“ დიდგორის ბრძოლის წინ მიმართა თხოვნით.

სულთან მაჰმუდ მოჰამედის ძე მაშინვე გამოეხმაურა თბილელთა თხოვნას და სასწრაფოდ დიდი ლაშქრის ორგანიზაციის თადარიგი დაიჭირა. მან მაჰმადიან მფლობელთა ერთ ნაწილს მოუწოდა, ხოლო მეორეთ უბრძანა; „ვინც კი სადმე იყო დამასკო და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლებელს“ მონაწილეობა მიეღო საქართველოს წინააღმდეგ ომში.

ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც სულთნის ამ მოწოდებითა თუ ბრძანებით კოალიციურ ლაშქარში თავი მოიყარეს? ჩვენს წყაროებს ამ მხრივაც დაცული აქვთ საინტერესო ცნობები. დავითის ისტორიკოსის მიხედვით, „სულტანმა მოუწოდა არაბეთის მეფე დურბეიზს, სადაყას ძეს და მოსცა ძე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი, და აჩინა სპასალარად ელღაზი ძე არდუხისა... და უბრძანა... ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხეთისა ამირთა“ მონაწილეობა მიეღოთ ლაშქრობაში. ამრიგად, დავითის ისტორიკოსის ცნობით, სულთნის მოწოდებითა და ბრძანებით, საქართველოს წინააღმდეგ უნდა გაერთიანებულიყვნენ **დურბეიზ სადაყას ძე, სულთნის ძე მალიქი თავისი ძალით, ათაბაგი განძისა „მისითა ძალითა“ და სომხეთის ყველა მაჰმადიანი ამირა.** გაერთიანებული ლაშქრის სარდლად კი სულთნის მიერ დანიშნული იყო **ილღაზი ძე არდუხისა.**

მათე ურჰაელის ცნობითაც, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო **ილღაზი არდუხის ძემ,** მისმა სიძემ, **არაბთა მეფემ საღა ტუპაისის ძემ**[1] **და განძის სულთანმა, მელიქმა ტაფარის**

---

1 მათე ურჰაელის მიერ აქ მოხსენებული საღა ტუპაისის ძე, მკვლევართა აზრით, ნამდვილად არის აბულ ააზ-დუბეისი, შვილი სეიფ ედ-დულა სადაკისა და არა თვით საღა ანუ სადაკა, როგორც ეს ამ სომხური წყაროს მიხედვით არის წარმოდგენილი. ამ მხრივ სავსებით ზუსტნი არიან: დავითის ისტორიკოსი, ალ-ფარიკი და იბნ ალ-ასირი, რომელნიც დიდგორის ბრძოლის მონაწილეთა შორის ასახელებენ დურბეიზს, ანუ დუბეის სადაყას (სადაკას) ძეს და არა თვით სადაკას.

ძემ. კოალიციური ლაშქრის მონაწილენი ჩამოთვლილი ჰყავს ალ-ფარიკსაც; მისი სიტყვით, ილღაზთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდნენ: **დუბეის სადაყას ძე,** რომელსაც თან ახლდნენ **ყადი ელმ-ად-დინი** და მისი შვილი **აბულ-ფათხი,** ქ. მარდინის მაშინდელი ყადი და ვეზირი **თამამ-იბნ-აბდუნი.** აი, ასეთი შემადგენლობით მოსულან ისინი არზრუმში. **სულთანი ტოღრული** მოსულა განძის მხრიდან, ხოლო **თუღან არსლან კუზიანი დვინიდან** უნდა დაძრულიყო. ამ უკანასკნელს კოალიციის მონაწილედ ასახელებს ალ-ჯაუზიც.

ისტორიკოსი იბნ ალ-ასირიც, ილღაზისა და დუბეისის გარდა, დიდგორის ბრძოლის მონაწილეებად მიიჩნევს **მელიქ თოღრულს მოჰამედის ძეს** და მის **ათაბაგს ქენ-თოღდის.**

როგორც ვხედავთ, სულთან მაჰმუდ მოჰამედის ძეს დიდი სამზადისი ჩაუტარებია და საქართველოს წინააღმდეგ მოუწვევია მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ცნობილი და გავლენიანი მფლობელები. გაერთიანებული ლაშქრობის მოთავეთა შემადგენლობა, ზემოგანხილული წყაროების ურთიერთშეჯერების შემდეგ, ამგვარად წარმოგვიდგება:

ა. **ნეჯმ ად-დინ ილღაზი,** სულთნის მიერ ბაღდადის გამგებლად დანიშნული, აუღებლად მიჩნეული ციხის, მარდინის მფლობელი, ალეპოს დამპყრობი, ხოლო 1121 წლიდან მაიაფარიკინის გამგებელი. ილღაზი, დავითის ისტორიკოსის დახასიათებით, იყო „კაცი დაჰმანი (მარჯვე) და მრავალღონე", „ზვიადსა და ძლიერს" უწოდებს მას მათე ურჰაელი; „უაღრესი ამპარტავნებით თავგასულად" მიაჩნია იგი გოტიესაც. ილღაზმა, როგორც სარდალმა, დიდად გაითქვა სახელი ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით 1119 წ. ამიტომაც აირჩია იგი სულთანმა მაჰმუდმა გაერთიანებული ლაშქრის სპასალარად.

ბ. **დურბეიზ (დუბეის) სადაყას ძე,** ქალაქ ჰილას (მდ. ევფრატზე) პატრონი, დავითის ისტორიკოსისა და მათე ურჰაელის სიტყვით, „არაბეთის მეფე". „ეს იყო, — წერს მათე ურჰაელი, — კაცი გულადი და მებრძოლი. მან დაატყვევა ქ. ბაღდადი და სამი ბრძოლა გადაიხადა სპარსთა სულთანთან — ტაფასთან... მან კარვით დაიბანაკა ეთიოპიასა და ინდოეთს შორის და მაშინ მოვიდა და დაესიძა სპარსთა ამირა ღაზის". მართლაც, დიდგორის ბრძოლის ერთი წლით ადრე, დუბეიზს ცოლად შეურთავს ილღაზის ასული გოჰარ-ხათუნი, ალბათ, ამგვარი დამოყვრებაც იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ დუბეისი ილღაზის მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურა და აქტიური მონაწილეობაც მიიღო მისი სარდლობით მოწყობილ ბრძოლაში.

გ. **თოღრულ მოჰამედის ძე,** ყაზვინის, ზენჯანის, გილანის და სხვათა, ხოლო 1121—22 წწ. არანისა და განძის გამგებელი; სიცოცხლის ბოლო სამ წელს სულთანადაც იყო; იბნ ალ-ასირი მას მელიქ თოღრულ

მოჰამედის ძედ იხსენიებს. სწორედ ეს მელიქ თოღრული უნდა იყოს დავითის ისტორიკოსის მიერ „სულთნის ძედ“ მიჩნეული მელიქი და მათე ურჰაელის მიერ ქალაქ განძაკში მყოფ სულთნად დასახელებული მელიქ ტაფარის ძე. დიდგორის ომის წინ ქ. განძას სწორედ მელიქ თოღრული ფლობდა. ამავე დროს, ეს მელიქ თოღრული იყო მოჰამედის ძე, ე. ი. ძმა იმდროინდელი სულთნის მაჰმუდისა. იქნებ დავითის ისტორიკოსის თხზულების თავდაპირვანდელ ხელნაწერში ასეც ეწერა: სულთანმა „მოსცა ძმა თავისი მალიქი“ და არა „ძე თავისი მალიქი“, როგორც ეს ამ თხზულების შემდეგდროინდელ გადანაწერებშია, თუ ეს ასეა, მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება — ძმა სულთნისა მალიქი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა მელიქ თოღრული.

სულთან მაჰმუდს ჰყავდა ძეც, მელიქშაჰად წოდებული, მაგრამ იგი ამ დროს დაბადებული არ იქნებოდა და, ცხადია, დავითის ისტორიკოსი მას ომის მონაწილეთა შორის ვერ დაასახელებდა. ამრიგად, ქართულ და სომხურ წყაროებში მოხსენებული „სულთნის ძე მალიქი“, ან კიდევ, განძის სულთანი მელიქ ტაფარის ძე ნამდვილად არის არაბული წყაროების მელიქ თოღრული მოჰამედის ძე[2]. აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: თოღრული დიდგორის ბრძოლის დროისათვის სულ თორმეტიოდე წლისა ყოფილა, და, ცხადია, მისი პირადი მონაწილეობა ლაშქრობაში უფრო ფორმალური იქნებოდა. თოღრულის ლაშქარს ამ დროს სათავეში, ალბათ, მისივე ათაბაგი, ქენ-თოღდი ედგა, წყაროებში განძის ათაბაგად და ლაშქრობის მონაწილედ მოხსენიებული. ამიტომაცაა, რომ თოღრულის უშუალო მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში ზოგ მკვლევარს საეჭვოდ ეჩვენება.

დ. **თულან არსლან კუზიანი**, თურქი ამირა, ბითლისისა და არზანის პატრონი და ქ. დვინის დამპყრობი.

ე. **განძის ათაბაგი**, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს განძის იმდროინდელი მფლობელი, თოღრულის ათაბაგი ქენ-თოღდი. განძის ათაბაგი არა მარტო თოღრულის ლაშქარს უძღვებოდა, არამედ მას ჰყავდა საკუთარიც. დავითის ისტორიკოსის ცნობით, სულთანმა მას უბრძანა „მისითა ძალითა“ გამოსვლა.

ვ. დავითის ისტორიკოსი შემთხვევით არ მოიხსენიებს ლაშქრობის მონაწილეთა შორის **„ყოველთა სომხეთისა ამირათა“**, ე. ი. სომხეთის ტერიტორიის წვრილ-წვრილ მაჰმადიან გამგებლებს, ამირებს, მათაც, სულთნის ბრძანებით, ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ.

---

2 თოღრულის მამა მოჰამედი, როგორც წყაროებიდან ჩანს, ზოგჯერ მოჰამედ-ტაფად, ან კიდევ, უბრალოდ „ტაფარადაც“ იწოდებოდა. ამიტომაც მოუხსენებია მათე ურჰაელს სულთანი მელიქი ტაფარის ძედ.

ზემოდასახელებულთა გარდა, კოალიციურ ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ, დუბეისთან ერთად, ამ მიზნით არზრუმში (ერზრუმში) მოსულთ და დაბანაკებულთ: ყადს ელმ-ად-დინ-იბნ ჯაბრის, მის შვილს, ქ. მარდინის ყადს აბულ-ფათხის და ვეზირს აბუ-თამმამ-იბნ-აბდუნას; მაგრამ ყადი და ვაზირი, ალ-ფარიკის ცნობით, არზრუმში ერთმანეთთან წაკიდებულნან, კოალიციურ ლაშქარს ჩამოსცილებიან და არზრუმშივე დარჩენილან.

ამრიგად, სულთანს მართლაც თავი მოუყრია ყველასათვის — „სადღაც ვინ იყო... მხედრობად შემძლებელი“ და მის სათავეში იმდროისათვის სახელმოხვეჭილი და დიდი გამოცდილების მქონე, მრავალომგადახდილი სარდალი ილღაზი ჩაუყენებია. ილღაზი, ცხადია, სულთნის სახელით მოქმედებდა და ყველა ზემოხსენებული გავლენიანი მფლობელი თუ სარდალი, მისი დროშის ქვეშ გაერთიანებულნი, მის განკარგულებებსა და ბრძანებებს უნდა დამორჩილებოდა.

უკანასკნელ ხანებში საისტორიო-სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული ზოგ ზემოდასახელებულ პირთა მონაწილეობა დიდგორის ომში, კერძოდ, ასეთი ეჭვი გამოთქვა ინგლისელმა შეცნიერმა ვ. მინორსკიმ, რომელმაც თავის წერილში -— „კავკასია მაიფარიკინის ისტორიაში“ — გამოაქვეყნა ალ-ფარიკის ცნობების ინგლისური თარგმანი და გზადაგზა, შენიშვნებში, დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებული ბევრი საკითხიც გაარკვია. კერძოდ, მან საეჭვოდ მიიჩნია თოღრულისა და თუღან-არსლანის მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში. მისი აზრით, თოღრულისა და მისი ათაბაგის აჯანყება სულთან მაჰმუდის წინააღმდეგ იყო ის მიზეზი, რომელმაც ჩაშალა მათი მონაწილეობა ამ ბრძოლაში. რ. კიკნაძის მოსაზრებითაც, „მუსლიმანთა კოალიციური ლაშქრობა ქართველების წინააღმდეგ ნაწილობრივ მაინც ჩაშლილა... ქართველთა პირისპირ დარჩა მხოლოდ ნემჯ-ედ-დინი (ილღაზი) თავისი სიძითურთ“. ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ყველა წყარო (დავითის ისტორიკოსი, მათე ურჰაელი, ალ-ფარიკი, იბნ-ალ-ასირი და თვით ალ-ჯაუზიც კი)[3] ერთხმად მიუთითებს, თოღრულის მონაწილეობას ამ ომში. მათე ურჰაელი, რომელიც კარგად იცნობდა დიდ-

---

[3] ალ-ჯაუზი კოალიციურ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულთა შორის, ილღაზთან და შამს ად-დაულა თუღიანთან ერთად, ასახელებს თოღრულსაც და სხვებსაც, მაგრამ მისი სიტყვით, შეხვედრის ადგილზე, თბილისის კართან, გარდა ილღაზისა, „მხარეების ლაშქართაგან არც ერთი არ მოსულიყო“. ასე რომ, ალ-ჯაუზი არა მარტო თოღრულის, არამედ ყველა სხვა დანარჩენის მონაწილეობასაც უარყოფს, ეს შემთხვევითი არ არის; როგორც ამ წყაროს ახლახან გამომცემელმა ო. ცქიტიშვილმა მართებულად შენიშნა, ალ-ჯაუზი უეჭველად ტყუის, რათა შეანელოს შთაბეჭდილება და დაკანონოს მნიშვნელობა იმ დიდი მარცხისა, რაც კოალიციამ განიცადა დიდგორთან.

გორის ბრძოლის ამბებს, თოღრულს დიდგორის ველზე დამარცხებულთა და თავიანთ ქვეყანაში სამარცხვინოდ გაქცეულთა შორისაც ასახელებს.

გარდა ამისა, ის აჯანყება, რომელზედაც ვ. მინორსკი მიუთითებს, ჩვენი აზრით, მაინცდამაინც ხელს არ შეუშლიდა თოღრულს მონაწილეობა მიეღო საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში; როგორც ირკვევა, თოღრული და მისი ათაბაგი ქენ-თოღდი 1120 წ. დეკემბერსა და 1121 წ. იანვარში აჯანყებულან. ამ დროს დაუპყრიათ მათ განძაც და სანამ ქენ-თოღდი ცოცხალი იყო, ე. ი. 1121 წ. დეკემბრამდე, როგორც ჩანს, სულთანისაგან არც ისე შეეიწროებულნი ყოფილან. კიდევ მეტი, სულთნისაგან გამდგარ ძმას, თოღრულს ზოგიერთი სულთანსაც კი უწოდებდა და დახმარების სათხოვნელად უშუალოდ მას მიმართავდა. მათე ურჰაელის ზემოხსენებული ცნობის მიხედვით, დავით აღმაშენებლის მიერ არაერთგზის დამარცხებულმა თურქ-სელჩუკებმა სწორედ ამ დროს მასაც მიმართეს დახმარებისათვის ქ. განძაში.

საგულისხმოა შემდეგი გარემოებაც: ალ-ჯაუზის ცნობით, ილღაზმა წერილები მისწერა სხვადასხვა ქვეყნებში თუღან არსლანს, სულთან თოღრულს და სხვებს. როგორც ჩანს, სულთან თოღრულს ლაშქრობაში მონაწილეობისაკენ მოუწოდა არა თვით სულთანმა, როგორც ამას დავითის ისტორიკოსი წერდა, არამედ ილღაზმა; ეს ცნობა სარწმუნო უნდა იყოს. სულთანი მისგან გამდგარ ძმას ამ ლაშქრობაში მონაწილეობას ვერ უბრძანებდა, ილღაზს კი ამის საფუძველი ჰქონდა: ილღაზთან ერთად ბრძოლაში მიდიოდა მისი სიძე დუბეისი, რომელმაც რამდენიმე თვის წინ იარაღით დახმარება აღმოუჩინა თვით თოღრულს სულთნის წინააღმდეგ აჯანყების დროს. ახლა კი, როცა სიძე-სიმამრს მისი დახმარება სჭირდებოდა, თოღრული ამაზე უარს არ იტყოდა, მით უფრო, რომ თბილისელ ვაჭართა მიერ ის თვითონ იყო მიწვეული ქალაქზე მფარველობის ხელის დასადებად და საქართველოს მეფის წინააღმდეგ ლაშქრობის მოსაწყობად.

როგორც აღენიშნეთ, დიდგორის ბრძოლის მონაწილე დუბეის სადაკას ძე, ილღაზის სიძე, 1121 წ. დასასრულს აჯანყებულ თოღრულს მიემხრო. სულთანმა ღუბეისის დასჯა გადაწყვიტა და 1121 წ. დამდეგს კიდევაც დაიძრა მის წინააღმდეგ დიდი ლაშქრით. დუბეისი გაიქცა და სიმამრს შეაფარა თავი. მაგრამ ყოველივე ამას დუბეისისათვის ხელი არ შეუშლია თავისი 10 000-იანი ლაშქრით მონაწილეობა მიეღო დიდგორის ბრძოლაში. ცხადია, სულთნისაგან განდგომა 1120 წ. დასასრულს ვერც თოღრულს შეუშლიდა ხელს 1121 წ. აგვისტოში მონაწილეობა მიეღო დიდგორის ომში, მით უფრო, რომ თოღრულის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა სულთანმა სწორედ დიდგორის ომის

შემდეგ, 1121 წ. დეკემბრიდან, ქენ-თოღდის სიკვდილის შემდეგ დაიწყო და 1122 წ. მარტში თოღრულის დამორჩილებით დაამთავრა.

დიდგორის ველზე თოღრულის დამარცხებამ და მისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის განადგურებამ, თავის მხრივ, კიდევაც შეუწყო ხელი სულთან მაჰმუდს გამდგარი ძმის, თოღრულის ასე მალე დამორჩილებაში.

ამრიგად, ზემოდასახელებულ წყაროთა ერთობლივი მითითება დიდგორის ბრძოლაში თოღრულის მონაწილეობის შესახებ სანდოდ უნდა იქნეს მიჩნეული. ჩვენი აზრით, დიდგორის ველზე ქართველთა პირისპირ იდგნენ არა მარტო ილღაზი და მისი სიძე, არამედ თოღრული და მისი ათაბაგი ქენ-თოღდი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრით.

როგორც აღვნიშნეთ, ვ. მინორსკი ეჭვის ქვეშ აყენებს აგრეთვე მუსლიმანთა კოალიციურ ლაშქარში თუღან არსლანის მონაწილეობასაც. მართალია, დიდგორის ომის მონაწილედ თუღან არსლანს ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ ავტორთაგან მხოლოდ ალ-ფარიკი და მასზე დამყარებული ალ-ჯაუზი ასახელებენ, მაგრამ ვ. მინორსკის დაეჭვების საფუძველი ამ შემთხვევაში იმდენად მცირეა, რომ არა გვგონია იგი ალ-ფარიკის უტყუარი ცნობების შესასწორებლად გამოდგეს.

ყველაფერ ზემოაღნიშნულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სხვა, დასახელებულ მაჰმადიან მფლობელთა მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში საეჭვოდ არ არის მიჩნეული, ადვილი წარმოსადგენი იქნება საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის ფართო მასშტაბი; ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ამ ლაშქრობაში მოხმობილი უკლებლივ იღებდა მასში მონაწილეობას. თვით თურქ-სელჩუკთა შინაგანი წინააღმდეგობანი, ურთიერთბრძოლა და დაპირისპირება, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთსულოვანი გაერთიანების შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამიტომ იყო, რომ ზოგი ადრე ჩამოსცილდა კოალიციას, ზოგიც საერთოდ არ შეერთებია მას. მაგრამ ფაქტია, რომ უმთავრეს ძალას ილღაზის მეთაურობით 1121 წ. 10 აგვისტოს თბილისის მისაღგომებისათვის მიუღწევია.

დიდგორის ომში მონაწილეობის მისაღებად მოწოდებულთა ვინაობის გარკვევის შემდეგ საჭიროა დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ მათ მიერ გამოყვანილი ლაშქრის რაოდენობა. ეს მეტად საინტერესო საკითხიც ისევ ძველი წყაროების მიხედვით უნდა გავარკვიოთ, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგ ძველ ისტორიკოსს არც აქვს საამისო ცნობა, ზოგი კიდევ გაზვიადებულ, დაუჯერებელ მონაცემებს გვთავაზობს; ასე რომ, ჩვენ ამ მხრივ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობა გვექნება.

დავითის ისტორიკოსი არაფერს ამბობს არც მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქრისა და არც საქართველოს ჯარის რაოდენობის შესა-

ხებ. მაგრამ მისი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს წინააღ-მდეგ დიდძალი ლაშქარი დაძრულა; მისი სიტყვით, მტრის ლაშქარი ყოფილა „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა... რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა". მაჰმადიანთა „დიდი ლაშქრის თავმოყრის" შესახებ წერს აგრეთვე ალ-ფარიკიც, თუმცა არც იგი მიუთითებს მის რაოდენობაზე.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობაზე ცნობები მოეპოვებათ სო-მეხ ისტორიკოსებს, იბნ ალ-ასირსა და გოტიეს.

მათე ურჰაელის სიტყვით, ილღაზმა „ბრძანა შეკრებილიყო თავისი ჯარების სიმრავლე, ყოველი ტომი თურქმანთა, ბერძენთა ქვეყნიდან ვიდრე აღმოსავლეთისაკენ ყოველი კარმიანი და ქმნა რიცხვი თავისი ჯარისა ასორმოცდაათი ათასი". ასე რომ, მარტო ილღაზს, მათეს ცნო-ბით, 150 000 მოლაშქრე გამოუყვანია, მის მიერ მოწოდებულ „არაბთა მეფეს" დუბეისს ათი ათასი და მოკავშირენი 160 000-იანი ლაშქრით განძაში დაბანაკებულან. იმავე ისტორიკოსის ცნობით, განძაშივე „მო-ვიდა სულთანი მელიქი (ე. ი. თოღრული მოჰამედის ძე) ოთხასი ათასი მხედრით, გულადი კაცებით. ისინი დაიძრნენ საშინელი სიმრავლით და შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში ქალაქ თბილისის მხარეს". ამრიგად, თუ მათე ურჰაელს დავუჯერებთ, მაჰმადიან მფლობელთა გაერთიანე-ბული ლაშქრის რიცხვს 560 000-ისათვის მიუღწევია[4]. ეს მონაცემები სწორი არ უნდა იყოს, როგორც ჩანს, იგი გაზვიადებულია. დაუჯერე-ბელია, რომ ამ სამ მაჰმადიან მფლობელს ასე დიდი ლაშქრის გამო-ყვანა შეძლებოდა.

კიდევ უფრო გაზვიადებულია ანტიოქიის სამთავროს კანცლერის, გოტიეს მონაცემები. მისი ცნობით, „ალეპოდან წამოსულმა ილღაზიმ შეკრიბა თურქმანებისა და არაბების ურიცხვი ჯარი, როდესაც მან ნახა შეკრებილთა სიმრავლე, უაღრესი ამპარტავნებით თავგასულმა გადა-წყვიტა, ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად მოეწყო ლაშქრობა დავით მეფის წინააღმდეგ... სულთანი და თვით ილღაზი ექვსასი ათასი მეო-მრით სალაშქროდ შევიდნენ მეფის ქვეყანაში". როგორც ვხედავთ, მათე ურჰაელისა და გოტიეს მონაცემებს შორის მაინცდამაინც დიდი

---

4 მიუხედავად იმისა, რომ მათე ურჰაელი სავსებით გარკვევით მიუთითებს კოალიციური ლაშქრის შედგენილობასა და რაოდენობაზე (560 000), ზოგი მკვლევა-რი მაინც ფიქრობს, თითქოს მათე ურჰაელის ცნობით, მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქარი მხოლოდ 400 ათასს აღწევდა, როგორც ჩანს, ამ მკვლევარებს, მათეს ცნო-ბით, მხოლოდ მელიქ თოღრულის მიერ გამოყვანილი ლაშქარი (400 000), შეცდომით, კოალიციურ ლაშქრად მიუჩნევიათ, ან კიდევ, მათეს უდავოდ გაზვიადებული მონა-ცემები შეუმცირებიათ, რათა მისთვის ასე თუ ისე სარწმუნო ცნობის სახე მიე-ცათ.

განსხვავება არ არის — მათე 560 000 მოლაშქრეს ასახელებს, გოტიე კი — 600 000-ს.

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს სხვა ისტორიკოსთა ისეთი სანდო მონაცემები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდა დაგვეზუსტებინა კოალიციური ლაშქრის მონაწილეთა რაოდენობა. იბნ ალ-ასირის თხზულების არაბულ დედანში მხოლოდ „ათასი“ წერია, მაგრამ რამდენი ათასი, აღნიშნული არ არის. ზოგი მკვლევარი იბნ ალ-ასირის ამ ნაკლულ ტექსტს, ალ-ჯაუზის მიხედვით, 30 000-ით აღადგენს, ზოგი კიდევ 300 000-ით. ასე რომ, იბნ ალ-ასირის ცნობა ზემომოტანილ მასალათა საკონტროლოდ არ გამოდგება. ასევე, საამისოდ არ გამოდგება XIII ს. სომეხი ისტორიკოსის სმბატ სპარაპეტის მონაცემებიც, რომელთა მიხედვით ამირა ილღაზს საქართველოში 150 000-იანი ჯარით ულაშქრია. როგორც ჩანს, სმბატ სპარაპეტი საკუთრივ ილღაზის მიერ გამოყვანილ მოლაშქრეთა რაოდენობის მითითებით დაკმაყოფილებულა.

უდავოა, რომ მათე ურჰაელისა და გოტიეს ცნობები კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ გაზვიადებულია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნახევარმილიონიანი თუ ექვსასათასიანი ლაშქარი თრიალეთ-მანგლის-დიდგორის სანახებში არათუ ვერ გაიშლებოდა საბრძოლველად, ვერც კი დაეტეოდა, მაგრამ, ამავე დროს, ისიც უდავოა, რომ მოწინააღმდეგის ლაშქარი ბევრად, რამდენიმეჯერ აღემატებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ამ ბრძოლაში გამოყვანილ ლაშქარს. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, მტრის ჯარი 300000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ასეა თუ ისე, ყველა მონაცემიდან სავსებით აშკარაა, რომ დიდგორის ველზე, რიცხობრივი რაოდენობის მიხედვით, არათანაბარი ძალები შეხვდნენ ერთმანეთს. ამაზე ერთხმად მიუთითებს ჩვენ მიერ ზემოგანხილული ყველა წყარო, როგორც ქართულ-სომხურ-ლათინური, ასევე თვით არაბულიც.

ახლა იმასაც შევეხოთ, თუ საიდან და რა გზით მოდიოდა ეს კოალიციური ლაშქარი. დავითის ისტორიკოსს მხოლოდ ის აქვს აღნიშნული, რომ მტრის ურიცხვი ლაშქარი, „ვითარცა ქვიშა ზღვისა“, მოვიდა „თრიალეთს, მანგლისსა და დიდგორს“. მათე ურჰაელის ზემომოტანილი ცნობიდან კი ჩანდა, რომ, როგორც ილღაზი და დუბეისი, ასევე სულთანი მელიქი (თოღრული) განძიდან დაძრულან და იქიდან „საშინელი სიმრავლით შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში ქ. თბილისის მხარეს, მთაში, რომელსაც ქვია დეკორ (დიდგორი)“.

ამ საკითხზე სხვა ცნობა აქვს ალ-ფარიკს. მისი მონაცემებით, არზრუმიდან ილღაზი გაემართა „ყარსისაკენ და შევიდა იქ (საქართველოში) თრიალისით (თრიალეთით). შეიკრიბა დიდი ლაშქარი, სულთანი თოღრული მოვიდა განძის მხრიდან, ხოლო ფახრ ად-დინ თუღან არსლან კუზიანი — დვინის მხრიდან. და იარა ამ ლაშქარმა იმდენი,

რომ მასსა და თბილისს შორის დარჩა მთა ნახევარდღის სავალი". ამ ცნობით, დიდგორთან შეყრილი კოალიციური ლაშქარი აქ სამი მხრიდან მოსულა: ყარსიდან თრიალეთის გზით, განძიდან და დვინიდან. ცნობიდან ჩანს, რომ თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე იმყოფებოდა არა მარტო ილღაზის ლაშქარი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, არამედ სულთანი, თოღრული და თუღან არსლან კუზიანიც თავისი ჯარებით.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ეს ლაშქარი ქართლში მანგლისთრიალეთის გზით არის შემოსული. ამ მხრივ სავსებით სწორია დავითის ისტორიკოსი. უძველესი დროიდან შიდა ქართლში შესვლა სწორედ ამ გზით შეიძლებოდა, რომელსაც არა მარტო იმ დროისათვის, არამედ შემდეგაც, XIX საუკუნეშიც, დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ; როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, „მანგლისს ფრიად ხელსაყრელი ადგილი უჭირავს. მანგლისის მხარე ეკვრის შიდა ქართლს, თბილისს, სომხით-საბარათიანოს და წალკა-ჯავახეთს. იმყოფება რა ალგეთის, თეძმის, კავთურას და ვერეს გამოსავლებში, მანგლისის ხეობა სტრატეგიულად ბატონობს აღნიშნულ მხარეზე... სომხითიდან შიდა ქართლში, ჯავახეთიდან კახეთში უმოკლესი გზები სწორედ მანგლისზე გადიოდა". ამიტომ იყო, რომ ვინც კი ამ გზით ფიქრობდა საქართველოს დამორჩილებას, მანგლისზე გადმოვლით მოდიოდა. სწორედ აქედან უნდა იყოს შემოსული, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, „თურქ-სელჩუკთა კოალიცია დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ".

ლაშქრის თავმოყრა მანგლის-დიდგორზე 1121 წ. აგვისტოს 10 რიცხვამდე უნდა მომხდარიყო. მართალია, დავითის ისტორიკოსი 12 აგვისტოს ასახელებს მათი მოსვლის თარიღად, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს თარიღი თვით ბრძოლისა უნდა იყოს და არა კოალიციური ლაშქრის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა.

ჩვენ, სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არა გვაქვს იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება ამ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მაგრამ, ცხადია, მას არ გამოეპარებოდა სულთნისა და სხვა მაჰმადიან მფლობელთა მიერ მთელი 4—5 თვის მანძილზე გატარებული ღონისძიებანი. ამიტომ იყო, რომ დავით აღმაშენებელი და მისი ლაშქარი სავსებით მზად იყო ბრძოლის მისაღებად.

გოტიეს სიტყვით, „მეფე დავით ორმოცი ათასი... მეომრით იდგა ერთ ხეობაში—ორს მთას შორის მდებარე დაბურულ ტყეში". როგორც მტრის, ისე ქართველთა ლაშქრის რაოდენობა გოტიეს გაზვიადებულად უნდა ჰქონდეს მოცემული. ამ მხრივ უფრო სარწმუნო ჩანს სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი, რომელიც არა მარტო ლაშქრის რაოდენობის, თვით მისი შემადგენლობის შესახებაც გვაძლევს ფრიად საინტერესო ცნობებს. დავით მეფე, წერს მათე ურჰაელი, ბრძოლის ველზე

„მივიდა თურქთა ჯარების წინააღმდეგ ორმოცი ათასი ძლიერი და გულადი კაცით და გამოცდილი მეომრით. მას ჰყავდა სხვა ჯარებიც ყივჩაყთა მეფისაგან, თხუთმეტი ათასი გულადი და რჩეული, ხოლო ალანთა ტომისაგან ხუთასი კაცი და ფრანგი ასი"[5]. ასე რომ, დავით აღმაშენებლის ლაშქრის რაოდენობა, ამ ცნობის მიხედვით, 56 000-იც კი არ ყოფილა.

ყურადღებას იქცევს თვით ლაშქრის შედგენილობა; როგორც ჩანს, მეომართა ძირითადი ნაწილი მეფეს საკუთრივ ქართველებისაგან შეუდგენია: ორმოცი ათასი ძლიერი და გამოცდილი ქართველი მოლაშქრე „სამეფო სპის" ნაწილს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ყივჩაყთა 40 000-იანი მუდმივი ლაშქარი ჰყავდა, ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მას მხოლოდ 15 000 ყივჩაყი გამოუყვანია. და ეს შემთხვევითი არ იყო; როგორც ჩანს, მეფე ძირითად საყრდენ ძალად ისევ „სამეფო სპას", ქართველთა ლაშქარს თვლიდა; განსაკუთრებით ასეთ გადამწვეტ ბრძოლაში თურქთა წინააღმდეგ, მართლაც, მხოლოდ რჩეული, ყოველმხრივ მისანდობ ქართველთა გამოყვანა თუ შეიძლებოდა.

საქართველოს ლაშქრის მესამე ნაწილს „როქის სპა", ალანთაგან (ოსთაგან) დაქირავებული ჯარი შეადგენდა. შემთხვევითი არ იყო ხუთასი ოსი მოლაშქრის დაქირავება და საამისოდ თანხის გაღება, მაშინ როცა მეფეს რეზერვში ოცდახუთი ათასი მუდმივი მოლაშქრე ყივჩაყი

---

5 დ. ბაქრაძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე და აგრეთვე სხვები, ვისაც კი დავით აღმაშენებლისა და დიდგორის ბრძოლის შესახებ დღემდე რაიმე დაუწერიათ, მიუთითებენ, თითქოს მათე ურჰაელის ცნობით, დავით აღმაშენებელს დიდგორის ბრძოლაში ხუთი ათასი ალანი (ოსი) გამოეყვანოს. ჩვენთვის გაუგებარია, რაზე არის დამყარებული ზემოხსენებულ მკვლევართა ასეთი მონაცემები. დიდგორის ბრძოლაში გამოყვანილი ქართული ლაშქრის რაოდენობისა და შედგენილობის შესახებ ცნობა, გარდა მათე ურჰაელისა, არავის მოეპოვება. მათე ურჰაელის თხზულების, როგორც იერუსალიმის 1869 წლის, ისევე ვაღარშაპატის 1898 წლის გამოცემაში კი, რომლებითაც ამ მკვლევარებს უსარგებლიათ, გარკვევითაა მითითებული დიდგორის ბრძოლაში არა ხუთი ათასი, არამედ მხოლოდ ხუთასი ალანის მონაწილეობის შესახებ. ასევე გადმოწერა და თარგმნა ეს ცნობა თავის დროზე მ. ბროსემ, მაგრამ ესეც მხედველობაში არ იქნა მიღებული და დღემდე ჩვენს სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში დამკვიდრდა მათე ურჰაელის ცნობის ასეთი არასწორი ინტერპრეტაცია.

ასევე, ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში ზოგ შემთხვევაში არასწორად არის გადმოცემული მათეს ცნობა ქართველთა ლაშქარში „ფრანგების" მონაწილეობის შესახებ. ზოგი მკვლევარი, ისევ მათე ურჰაელზე დაყრდნობით, ამ ბრძოლის მონაწილედ ათას „ფრანგს" მიიჩნევს, მაშინ, როცა ეს სომხური წყარო მხოლოდ ას ფრანგს ასახელებს. თვით გოტიეც კი, რომელიც ყოველნაირად აზვიადებდა ფრანგების როლს და ერთიორად ზრდიდა დიდგორის ბრძოლის მონაწილეთა რიცხვს, მხოლოდ ორას ფრანგს ასახელებდა ამ ომის მონაწილედ.

ჰყავდა. ესეც, ცხადია, დავითის სათანადო ტაქტიკური გეგმის მიხედვით იყო გაკეთებული და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა.

გარკვეული მიზნით იყო შეყვანილი ქართველთა ლაშქარში, თუმცა არც ისე დიდი რაოდენობით, „ფრანგებიც". მათე ურჰაელი ამ ომში ასი „ფრანგის" მონაწილეობის შესახებ წერს, გოტიე კი ორას „ფრანგს" ასახელებს. როგორც ჩანს, „ფრანგები" მართლაც მონაწილეობდნენ ამ ომში[6]. „ფრანგებს" ქართველები მაშინ და შემდეგაც, დიდი ხნის მანძილზე, „ევროპელებს" ეძახდნენ. ასე რომ, ეს „ფრანგები" იმ ევროპელ ჯვაროსანთა წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც ამ დროს მახლობელ აღმოსავლეთში ბრძოლები ჰქონდათ თურქ-სელჩუკებთან. ევროპელ რაინდებს, „ფრანგებს" დიდი გამოცდილება ჰქონდათ ამ მხრივ და მათი მონაწილეობა ქართველთა ამ გადამწყვეტ ბრძოლაში, ცხადია, სასარგებლო იქნებოდა. ამასთანავე, მათი მონაწილეობა დიდგორის ომში იმ ურთიერთობითაც იყო გამოწვეული, რაც ამ დროსაც ჯვაროსნებსა და ქრისტიანულ საქართველოს შორის არსებობდა. თუკი ადრე ჯვაროსნების წარმატებები თურქ-სელჩუკებთან ომში ხელს უმართავდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძო-

---

6 ზოგი მკვლევარი (მაგ., ს. ერემიანი) უარყოფს „ფრანგთა" მონაწილეობას დიდგორის ბრძოლაში. მათი მტკიცებით, მათე ურჰაელის თხზულების შესაბამის ადგილზე „ფრანგ"-ის მაგიერ, კონტექსტის მიხედვით (?) უნდა წავიკითხოთ „ერანგ" ანუ „ვარანგ". ასე რომ, დიდგორის ბრძოლაში „ფრანგები" კი არ მონაწილეობდნენ, არამედ „ვარანგები", ტმუტარაკანის, შავი ზღვისპირეთის რუსეთიდან. ს. ერემიანის ეს მოსაზრება გაიზიარა ქ. ჩხატარაიშვილმა. კიდევ მეტი, მან კატეგორიულად უარყო „დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში ჯვაროსანთა ყოფნის შესაძლებლობა".

ჯერ ერთი, მათე ურჰაელის არც ერთ გამომცემელს არ აღუნიშნავს ტერმინების ამგვარი აღრევის შესაძლებლობისა და არც მათეს ხელნაწერებში „ფრანგის" სხვადასხვა ვარიანტული მონაცემების კითხვასხვაობის შესახებ. ამას გარდა, საქართველოს ლაშქარში მცირე რაოდენობით „ფრანგების" მონაწილეობის შესახებ ცხობა დაცული აქვს, მათესგან სავსებით დამოუკიდებლად, თვით ფრანგ კანცლერსა და ქრონისტს გოტიეს. იგი დიდგორის ამბების შესახებ ცნობას გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო საკითხზე თხრობისას, და ცხადია, მათე ურჰაელის თხზულებების სათანადო ადგილის შესწორება სავსებით გაუმართლებელი იქნებოდა, თუმცა ვერც ამით უარვყოფდით ფრანგების მონაწილეობას დიდგორის ბრძოლაში. დასასრულ, ჯვაროსნებისა და საქართველოს ურთიერთობის ზემოთ გაკეთებული მიმოხილვისა და ისედაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების შემდეგ, ცოტა უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს მოსაზრება, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ჯვაროსნების, თუნდაც მცირე რაოდენობით (100 მოლაშქრე), ყოფნას დავითის ლაშქარში. ამრიგად, ზემომოტანილ მოსაზრებათა გაზიარება შეუძლებელია — წყაროების (მათე ურჰაელი, გოტიე) მონაცემები და თვით ჯვაროსნებისა და საქართველოს ურთიერთობის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები უეჭველს ხდიან ჯვაროსნების მონაწილეობას დიდგორის ბრძოლაში.

ლაში, ამჟამად უკვე გაძლიერებული საქართველოს შეტევით ომებს საერთო მტრის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯვაროსნებისათვის. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველოს სამეფოს სამზადისი თურქებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ჯვაროსნებს მხედველობიდან არ გამორჩენოდათ და მასში ერთგვარი მონაწილეობაც მიეღოთ.

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის მიერ ყველაფერი წინასწარ იყო მოფიქრებული და გაკეთებული გამარჯვების უზრუნველსაყოფად. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, ომის წინ „მეფემან დავით, უშიშარმან და ყოვლად უძრავმან გულითა... წინა განაწყო სპა მისი, ყოველი საქმე მშვენივრად და ღონიერად ყო, რაბამ რამე უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო". მსოფლიოს „ბრძენთა ენა ვერ შემძლებელ არს მოთხრობად ზედმიწევნით ყოველსავე", რაც იმ დროს მეფემ გააკეთაო — წერდა დავითის ისტორიკოსი.

2. „ძლევაი საკვირველი"

1121 წ. აგვისტოს ათისათვის თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის ძირითად ძალებს თრიალეთ-მანგლის-დიდგორის მიდამოები, მისი ყველა ძირითადი გზა და მისადგომი დაკავებული ჰქონდათ.

კოალიციური ლაშქრის ნაწილმა, როგორც ირკვევა, წალკის მხარეში, მანგლისსა და დიდგორში დაიბანაკა, მეორე ნაწილმა კიდევ, დიდგორის კალთებიდან შემოსულმა, დიღმის ხეობა დაიჭირა, ასე რომ, მტრის ლაშქრით გაივსო როგორც ქვემო, ასევე ზემო დიდგორი, რომელთაც დავითის ისტორიკოსი ერთ გეოგრაფიულ პუნქტად მოიხსენიებს, ოღონდ მრავლობითი რიცხვით — „დიდგორნი". დიდგორის ველი შესაყრელ პუნქტად მტრის მიერ შემთხვევით არ იყო შერჩეული — აქეთკენ მოემართებოდა არაერთი გზა და გადასასვლელი. კლდეკარი, საიდანაც ერთი გზა დიდგორისკენაც მოდიოდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასასვლელი იყო ქართლისაკენ მიმავალი დამპყრობელისათვის, დიდგორიდან კიდევ გზა ეხსნებოდა თბილისისაკენ; ზოგი ძველი ისტორიკოსის მიხედვით, მტრის ლაშქრის დიდგორთან შეკრება თბილისის კართან შეკრებას ნიშნავდა. ამას გარდა, აქედან მათ შეეძლოთ, მცხეთის შემოვლით, გასვლა შიდა ქართლში და დავითის ლაშქრის გარემოცვა. გამარჯვების შემთხვევაში ისინი თბილისისაკენ აიღებდნენ გეზს. აქედან თბილისამდე კი მხოლოდ ნახევარი დღის სავალი იყო. ერთ ძირითად მიზანს, როგორც აღვნიშნეთ, ამ ქალაქის ხელში ჩაგდება შეადგენდა.

საქართველოს სამეფოს ლაშქარი, დავით აღმაშენებლის მთავარსარდლობით, დიდგორის ველს, როგორც ამაზე მითითებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ხიბისის საკმაოდ განლილი ხევით მიუახლოვდა. სწორედ ხიბისის ხევს მიაყვება გზა დიდგორ-მანგლისაკენ. ეს ხეობა უნდა ჰქონდეთ მხედველობაში მათე ურჰაელსა და გოტიეს, როცა ისინი ქართველთა ლაშქრის ორ მთას შორის დაბანაკებასა და აქ გამართულ ბრძოლაზე მოგვითხრობენ. გოტიეს მიხედვით, დავითის ლაშქარი დაბანაკებული იყო „ორ მთას შორის მდებარე დაბერულ ტყეში, რომლის მიმართულებითაც მტერი აპირებდა შეტევას". როგორც ალ-ფარიკის ცნობიდან ირკვევა, საქართველოს ლაშქრის ერთი ნაწილი, დავითის მემკვიდრის, დემეტრეს სარდლობით, ერთ ამ მთათაგანს აფარებდა თავს და იქიდან აპირებდა მოულოდნელ თავდასხმას. პირველი ბრძოლა ძირითად ნაწილს უნდა მიეღო, აქ კი თვით დავითი იდგა. მას, ალ-ფარიკის სიტყვით, დასავლეთიდან უნდა შეეტია. ამრიგად, ყველაფერი მზად იყო გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

გოტიეს მოწმობით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მოწოდების სიტყვით მიმართა თავის ლაშქარს. მას თვით ამ სიტყვის ტექსტიც აქვს მოტანილი თავის ქრონიკებში. სამწუხაროდ, ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს შევამოწმოთ, თუ რამდენად შეესაბამება ეს ამბავი სინამდვილეს და რამდენად სწორადაა იგი ჩაწერილი. მაგრამ მის მოტანას აქ მაინც საჭიროდ მივიჩნევთ, მით უფრო, რომ ბევრ მკვლევარს გოტიეს ცნობის სისწორეში ეჭვი არ ეპარება და ზოგ მათგანს დავითის ამ სიტყვის გოტიესეული ტექსტი ქართველი მეფეთა ყველების ნიმუშების კრებულშიც კი აქვს შეტანილი. აი, ეს სიტყვაც: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მომდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისაკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს ვაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შეკრათ და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე ვულით დაუსდიბლად შევუტიოთ".

ამ სიტყვაში, რომელიც ძირითადად მოწოდებაა მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ ქრისტიანთა თავდადებული ბრძოლისაკენ, ისტორიკოსისათვის ბევრი რამ აბია ღირსშესანიშნავი. აქედან ჩანს, რომ დავითის ლაშქარი დაბანაკებული ხეობაში, რომლის ვიწრო

შესასვლელიც ხეთა ხორგებით შეუკრავთ[7]. ამით მეფეს თავისი ლაშქრისათვის უკანდახევის ეს ერთადერთი შესაძლებლობაც მოუსპია. ეტყობა, დავითს თავის ლაშქარში ჯერ კიდევ ეგულებოდა ისეთები, რომელთათვის მარტოოდენ „ღვთის სიყვარული“ თავდადებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდებოდა. უცხო ტომის (ყივჩაყების) მოლაშქრეებს კი არც ქვეყნის, საქართველოს სიყვარული აღაფრთოვანებდათ მაინცდამაინც თავდადებისათვის. ამიტომაც სჭირდებოდა დავით აღმაშენებელს თავისი ლაშქრისათვის უკანდასახევი გზის წინასწარ მოჭრა. მართლაც, ამგვარი ღონისძიების შემდეგ მებრძოლებს ან უნდა გაემარჯვათ, ანდა მტრისადმი ზურგშეუქცეველი სიკვდილით დაემტკიცებინათ თავიანთი თავდადება ღვთისა და მეფისათვის.

ამავე დროს, ეს ღონისძიება მეფის ლაშქრის ზურგსაც უვნებელყოფდა. ჯებირები მნიშვნელოვნად შეაფერხებდა ამ მხრიდან მტრის მხედრობის მოსალოდნელ იერიშებს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ხორგებისა და ჯებირების გაკეთებას საკმაო დრო, მრავალრიცხოვანი მუშახელი და მასალა დასჭირდებოდა.

საისტორიო წყაროებით დიდგორის ბრძოლის დაწყების დღე და რიცხვი სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი. მაგალითად, დავითის ისტორიკოსის თხზულების XV და XVIII სს. გადანაწერებში 18 აგვისტოა დასახელებული, ხოლო XVII ს. და ზოგ XVIII ს. გადანაწერში— 12 აგვისტო. აღსანიშნავია, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულების ძველ სომხურ თარგმანში, რომელიც მკვლევართა აზრით, XII საუკუნეშივეა შესრულებული, აგრეთვე 12 აგვისტოა მითითებული. როგორც ჩანს, დავითის თხზულების თავდაპირველ ხელნაწერში სწორედ 12 აგვისტო ყოფილა. ამ მოსაზრებას ამაგრებს მათე ურჰაელის მონაცემებიც. ურჰაელი არა მარტო თვე და რიცხვს, ბრძოლის დღესაც კი ასახელებს, რაც ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს უფრო დავაზუსტოთ სხვადასხვა წყაროთა მონაცემები. ურჰაელის თხზულების ერთი, 1869 წ. გამოცემის მიხედვით, ბრძოლა მომხდარა 1121 წ. 15 აგვისტოს. „ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს დღეს“, მეორე, 1898 წ. გამოცემის მიხედვით კი — 13 აგვისტოს, ხუთშაბათს; როგორც ჩანს, მათე ურჰაელის თხზულებასაც დავითის ისტორიკოსის თხზულების ბედი გაუზიარებია, მის შემდეგდროინდელ გადამწერებს რიცხვები აურევიათ, რადგან, ხუთშაბათი დღე არ ყოფილა 1121 წ. არც 15-სა და არც 13 აგვისტოს; ხუთშაბათი დღე იმ წლის აგვისტოს ზემოდასახე-

---

7 აღსანიშნავია, რომ დიღმის ხეობის თავში, რომელიც ბრძოლების ერთ-ერთი ასპარეზი იყო, დღემდე დაცულია ტოპონიმი, ადგილის სახელწოდება — „ჩახერგილა“. იქნება ეს დავითის მიერ საგანგებოდ გადაკეტილი, ჩახერგილი პუნქტის იმ დროიდან შერჩმეული და დღემდე შემორჩენილი სახელი იყოს.

ლებული რიცხვებიდან (12-დან 18-მდე) 11—12-სა და 18—19 აგვისტოზე მოდიოდა, მაგრამ რაკი 18-სა და 19 აგვისტოს „ღვთისმშობლის მარხვა“ უკვე დამთავრებული იყო, ზემოდასახელებულ რიცხვთა შორის „ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათ დღედ“ მხოლოდ 12 აგვისტო შეიძლება მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ ამასვე გვთავაზობს დავითის ისტორიკოსის თხზულების დედანი და მისი უძველესი სომხური თარგმანიც.

ამრიგად, დიდგორის ბრძოლა 1121 წ. 12 აგვისტოს დაწყებულა. ზოგიერთი მონაცემით, შეტევაზე პირველად მუსლიმანთა კოალიციური ლაშქარი გადმოსულა: „მყისვე, — წერს გოტიე, — ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე მოლაშქრეთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურით, ურჯულოთა ზარდამცემი ბაირაღებით გამოჩნდნენ (მტრები). და მთა და ბარიც ბანს აძლევდა სხვადასხვა საკრავების ხმაურს. მაგრამ მეფე დავითი ასეთ კადნიერებას უბრალო მოთმინებით შეჰყურებდა, თავისიანებს ამხნევებდა და ანუგეშებდა მამაცი სულით... დიდი ხნის შემდეგ ეს ურიცხვი სიმრავლე, ამპარტავნობის სულით აღტყინებული, საშინელი ყვირილთ თავს დაესხა მათ“.

სხვა ისტორიკოსთა (მათე ურჰაელი, ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი) ცნობით კი, შეტევაზე პირველად ქართველთა ლაშქარი გადასულა და ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელს კიდევ ერთი ტაქტიკური ხერხისათვის მიუმართავს. თუ იბნ ალ-ასირს დავუჯერებთ, როცა ორივე მოწინააღმდეგე ლაშქარი საომრად გამწკრივდა, საქართველოს მხედრობას ორასი ყივჩაყი გამოეყო და მტრის რაზმისაკენ გაემართა. მაჰმადიანთა ლაშქრის სარდლობას ეგონა, ყივჩაყებმა ალბათ მეფეს უღალატეს და შეწყალებისა და დანდობის სათხოვნელად მოდიანო. ამიტომ ისინი დაუბრკოლებლად შეუშვეს თავიანთ განლაგებაში; მაგრამ ყივჩაყებმა უეცრად იარაღი იშიშვლეს და მტრის მეომართა ხოცვა დაიწყეს. ეს სავსებით მოულოდნელი იყო მოწინააღმდეგისათვის. ასეთმა ხერხმა, ცხადია, მტერი დააბნია.

აი, რას წერს თვით იბნ ალ-ასირი: „ყივჩაყები შეერივნენ მათ ჯარს და მშვილდ-ისრით სროლა დაუწყეს. მუსლიმანთა ჯარების წინა რაზმები აირივნენ. უკან მდგომ რაზმებს ეგონათ დავმარცხდითო და გაიქცნენ. თავდავიწყებით გარბოდნენ მუსლიმანნი და ისე ეჩქარებოდათ განსაცდელიდან თავის დაღწევა, რომ ერთმანეთზე გადადიოდნენ და ბევრიც დაიხოცა“.

იბნ ალ-ასირის მიერ მოთხრობილი ეს საინტერესო დეტალი არა აქვთ აღნიშნული არც დავითის ისტორიკოსსა და არც მათე ურჰაელს; გოტიეს ერთ ცნობაში სწორედ ეს ფაქტი, ორასი მეომრის მეწინავეობა და თავდადება უნდა იგულისხმებოდეს, ოღონდ მას, როგორც ევ-

როპელს, ყველაფერი ეს იმ ორასი „ფრანგისათვის“ (ჯვაროსნისათვის) მიუწერია, რომლებიც იმ დროს დავით აღმაშენებლის ლაშქარში იბრძოდნენ. მოვუსმინოთ თვით გოტიეს: „მეფემ თითოული რაზმი დააწყო, ხოლო ორასი ფრანგი მეომარი დააყენა მოწინავეებად, პირველ დაკვრათა მოსახდენად... [და მტერიც] ეცემოდა ძირს ფრანგების ხელისაგან და უწესრიგოდ იფანტებოდა“. როგორც ჩანს, გოტიეს, „ფრანგების“ დამსახურების გაზვიადებით დაინტერესებულს, ალბათ, თავისებურად გადაუკეთებია იმდროინდელი საისტორიო წყაროებით თუ გადმოცემებით შემონახული ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ბრძოლის დროს გამოყენებული ტაქტიკური ხერხის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის ამ ტაქტიკურმა ხერხმა სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევართა ყურადღება მიიქცია. ა. სტროპოს მეფის მიეთ მტრის ბანაკში არც ისე დიდი რაზმის (ორასი მეომარი) საგანგებო დავალებით გაგზავნა და მათი უეცარი თავდასხმა მტერზე იმ ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებად მიაჩნია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართველთა ლაშქრის წარმატებას თურქთა ორიეე ფლანგზე თავდასხმის დროს.

ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ „მეფემან დავით, უშიშარმან და ყოვლად უძრავმან გულითა“, მართლაც, გამოიყენა ეს ეფექტური ხერხი. ცნობილ ქართველ სარდლებს დავითის შემდეგაც მიუმართავთ ასეთი ტაქტიკისათვის; მაგალითად, ერეკლე მეორემ დიდი ბრძოლა აზატ-ხანთან 1751 წ. ამგვარად მოიგო. ასე რომ, ეს ტაქტიკური ხერხი ფეცხო არ იყო ქართული სამხედრო ხელოვნებისათვის. მაგრამ, სხვა საქმეა, თუ ვის მიანდო დავითმა ამ დიდი და რთული საქმის განხორციელება, ვის მისცა ასეთი საგანგებო დავალება? ცხადია, საეჭვოა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ოპერაცია, რომელიც ქვეყნის და მეფისათვის თავგანწირვას მოითხოვდა, ყივჩაყებისათვის და, მით უფრო „ფრანგებისათვის“ (ჯვაროსნებისათვის) მიენდო; აღსანიშნავია ისიც, რომ იბნ-ალ-ასირი დავითის სამხედრო ძალებს საერთოდ „ყივჩაყთა ლაშქარს“ უწოდებდა და მხოლოდ ამიტომ იხსენიებდა იმ 200 მებრძოლს ყივჩაყებად.

ამრიგად, არც ისე დიდი რაზმის მოულოდნელმა თავდასხმამ ერთხანს დააბნია მტერი, ამავე დროს, საქართველოს ლაშქარმა მტრის ფლანგებს ორი მხრიდან შეუტია. ლაშქრის ერთი ნაწილი, თვით მეფის სარდლობით, ნიჩბისის ხეევით, ალ-ფარიკის ცნობით, დასავლეთიდან უტევდა მტერს; ხოლო დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დემეტრე დავითის ძე დაეშვა თავისი ლაშქრით და მთის ძირში საომრად დაწყობილ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს მედგრად შეუტია. „იქმნა სასტიკი ბრძოლა ორი მთის შორის, ისე რომ ლაშქართა საშინელი ხმაურისა-

გან ეს მთებიც იძახდნენო (ხმაურობდნენო)“ — წერს მათე ურჰაელი. როგორც კი ბრძოლა შენივთდა, შეიკრა და გამარჯვების სასწორი ქართველთა მხარეს გადაიხარა, მტრის ლაშქრის დიდმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ბრძოლის ველს, შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, „რამეთუ პირველსავე ომსა (პირველსავე შეტაკების დროს) იოტა (აიყარა) ბანაკი მათი და ივლტოდაო (გაიქცაო)“. ასევე წერს მათე ურჰაელიც — ბრძოლის შეკვრისას (ქართველებმა) გააქციეს თურქთა მთელი ჯარიო.

დავითის ისტორიკოსს თუ დავუჯერებთ, ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა რაღაც სამ საათამდე გაგრძელებულა; იგი წერს: „მეფესა დავითისი ესეოდენთა (ასე მრავალრიცხოვან მოლაშქრეთა) მიმართ შინაგანწყობა (შეტევა) სამ ჟამადმე იყო (სამ საათამდე გაგრძელდა) და ვერცა პირველსა კუეთებასა (შეტაკებას) შეუძლეს წინადადგომად“-ო.

თურქ-სელჩუკთა დამარცხებულმა ლაშქარმა დიდი ზარალი ნახა: „იმ დღეს, — წერს მათე ურჰაელი, — იქნა სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვამებით მდინარენი და მთათა ველები და ყოველნი მთათა ქარაფნი დაიფარნენ“ მტრის გვამებითო. მუსლიმანთა ლაშქრის დიდი ნაწილის ამოწყვეტაზე მიუთითებს თვით ალ-ფარიკიც: „მოიკლა მუსლიმანთაგან უთვალავი რაოდენობა და დარბეული იქნენო“. იბნ ალ-ასირის სიტყვებითაც, „მაჰმადიანთა ლაშქრის უმეტესობა დაიღუპა ბრძოლის ველზე“. „აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითაო“, — წერს დავითის ისტორიკოსიც; დახოცილთა შორის, მისივე სიტყვით, იყვნენ „სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი“. მაჰმადიან მოლაშქრეთა დიდი ნაწილი კი ტყვედ ჩაიგდეს ქართველებმა.

დიდგორის ბრძოლის აღმწერ ისტორიკოსებს ზოგიერთი ცნობა აქვთ დაცული თურქ-სელჩუკთა ლაშქრისადმი მიყენებული ზარალის შესახებაც. რა თქმა უნდა, დაუჯერებელია გოტიეს ცნობა, რომლის მიხედვითაც ამ ბრძოლის დროს საქართველოს „მეფის მახვილით მოისპო 400 000 კაცი“. ასევე, სარწმუნო არ არის ამ მხრივ მათე ურჰაელის მონაცემებიც: მისი სიტყვით, „იქმნა რიცხვი თურქთა ამოწყვეტილი ჯარისა ორმოცი ბევრი (400 000), ხოლო შეიპყრეს ოცდაათი ათასი კაცი“. საერთოდ კი, მათეს ცნობით, მტრის ყოველი ათასი მოლაშქრიდან ასიც კი არ დაჩენილა ცოცხალი. მართალია, ალ-ფარიკი არ მიუთითებს დატყვევებულთა რაოდენობაზე, მაგრამ მისი ზოგადი ხასიათის ცნობიდანაც კარგად ჩანს, რომ ქართველებს ტყვედ ჩავარდნიათ „მუსლიმანთა და არაბთა აურაცხელი რაოდენობა“; ასე რომ, დიდგორის ბრძოლიდან ოცდათორმეტი წლის შემდეგაც, ალ-ფარიკის თბილისში ყოფნის დროს, ზოგი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ქართველთა ლაშქარს ტყვედ წამოუყვანია არა მარტო უბრალო მო-

ლაშქრენი, არამედ მათი სარდლებიცა და გოლიათებიც. დავითის ისტორიკოსი აღფრთოვანებული წერდა: „გლეხებმაც კი ნახეს, როცა ქართველ მოლაშქრეებს არაბთა მეფეები მოჰყავდათ ტყვედ, ხოლო ტყვედ წამოყვანილ სხვა გოლიათებზე სიტყვის თქმა რაღა საჭიროაო“.

რა თქმა უნდა, დიდგორის ბრძოლამ, დაჭრილებისა თუ დახოცილების სახით, ბევრი ქართველი, ყივჩაყი, თუ ოსი მოლაშქრეც შეიწირა. მაგრამ საქართველოს ლაშქრის დანაკლისი, მტრის ჯარის დანაკლისთან შედარებით, იმდენად მცირე ყოფილა, რომ არც ერთ ძველ ისტორიკოსს მისი აღნიშვნა საჭიროდაც არ მიუჩნევია. დავითის ისტორიკოსი იმასაც კი წერს, რომ მეფემ „თვისნი სპანი დაიცვნა უვნებლად“, ყოველგვარი მნიშვნელოვანი ზარალის გარეშეო.

საქართველოს ლაშქარმა, მრავალრიცხოვან ტყვეებთან ერთად, დიდძალი ალაფიც (ნადავლი) იგდო ხელთ. მათე ურჰაელის სიტყვით, მტრის უპატრონო „ცხენებისა და დაყრილ იარაღ-საჭურვლისაგან დაიფარა ყოველნი პირნი ველთანი“. ალ-ფარიკიც კი იძულებულია აღნიშნოს: ამ ომში „მათ (ქართველებმა) დიდძალი სიმდიდრე წაართვეს მუსლიმანებს“-ო. ამ ნადავლს თვით მოლაშქრენი და სამეფო ხელისუფლება დაეუფლა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად (უფრო მეტად) ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, სრა-ფარდაგებითა და სხვათა უცხოთა ჭურჭლებითა (იარაღებითა) საბრძოლველითა თვითო სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა[8], სასმურთა ტურფათა (ძვირფასთა) და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა-რომელმან ქარტამან (ქაღალდმან) და მელანმან დაიტიოს აღწერად“ ყველაფერი ის, რაც ამ დროს ქართველების მიერ ნადავლის სახით იქნა აღებულიო. ვახუშტი ბაგრატიონი კიდევ აღნიშნავდა: „ალაფთა მრავალრიცხოვნობის შესახებ არაფერს ვამბობ, რადგან გლეხებიც კი ოქრო-ვერცხლის გარდა სხვას არ აიღებდნენ ნადავლისაგანო“.

ამ აურაცხელ ნადავლში მრავლად იყო ბრძოლის მონაწილე მთავარსარდალთა, დიდ მაჰმადიან მფლობელთა პირადი ნივთებიც. ფრიად საინტერესო ცნობა დაუცავს ამ მხრივ თამარ მეფის (1178—1213 წწ.) პირველ ისტორიკოსს, ცნობილი თხზულების — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ — ავტორს.

თამარის ეს ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლის ამბებს იხსენიებს საქართველოს ლაშქრის მიერ 1195 წ. შამქორის ომში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღწერის დროს და სხვათა შორის აღნიშნავს:

---

[8] ქოსი ანუ ქოსნაღარა — სპილენძის საკრავი, ჩასაბერი; ფილაკავანი — „სასროლი იარაღი ზღუდეების (სიმაგრეების) დასანგრევად“.

თამარმა იწყო შამქორის ბრძოლის შემდეგ მოპოვებული ნადავლის შეწირვა: „ხალიფას დროშა, რომელიც შალვა ახალციხელმა მოიტანა, მან გაგზავნა დიდ მონასტერში ხახულის ღვთისმშობლისათვის, მსგავსად თავისი მამის პაპისა (ე. ი. დავით აღმაშენებლისა), რომელსაც დიდგორის გაქცევის (ბრძოლის) შემდეგ დურბეიზ სადიყას ძის ქედისაგან (კისრისაგან) მოძარცული ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკი" შეუწირავს ამავე მონასტრისთვისო.

როგორც ჩანს, დიდგორის ბრძოლაში დამარცხებული და გზააბნეული „არაბეთის მეფის" დურბეიზისათვის ქართველ მოლაშქრეებს კისრიდან მოუგლეჯიათ მისი მფლობელის ძლიერებისა და ზვიადობის მაუწყებელი ძვირფასი, მოთვალულ-მომარგალიტებული ყელსაბამი, რომელიც ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად დავით აღმაშენებელს გელათის მონასტრისათვის შეუწირავს.

თამარის ისტორიკოსის ამ საინტერესო ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ მძიმე განსაცდელში აღმოჩენილა „არაბთა მეფე" — იგი მხოლოდ სასწაულებრივ შემთხვევას გადაურჩენია სამარცხვინო ტყვეობისაგან.

დიდგორის ბრძოლაში მოპოვებული ნადავლის ნაწილის გელათის მონასტრისათვის შეწირვის შესახებ ცნობას გვაწვდის თვით დავითის ისტორიკოსიც. მისი სიტყვით, მეფემ ახლად აშენებულ გელათს სხვა მრავალ „ყოვლად დიდებულ" და „ძნელად საპოვნელ ნივთთა" გარდა, უხვად შესწირა „იავარად მოხმულნი" (ნადავლად აღებული), „დიდთა და ხორასანთა მეფეთა ტახტნი, საყრდარნი (მისაყრდნობელთანი სასხდომები), კიდელნი ფერად-ფერადი და კვალად გვირგვინნი და მანიაკი... რომელნი მოუხუნა (წაართვა) **მეფეთა არაბეთისათა**, რაჟამს თვით იგინიცა ტყვედ მოიყვანნა, მასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა სახსენოდ და **სამადლობელად ძლევისა მის საკვირველისა**". აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში დავითის ისტორიკოსს პირველ რიგში მხედველობაში აქვს დიდგორის ბრძოლის მონაწილე „მეფენი არაბეთისანი" და ამ ბრძოლაში მოპოვებული მართლაც „საკვირველი ძლევა" (გამარჯვება). როგორც ვხედავთ, დავითს გელათისათვის, „გამარჯვების სამადლობელად" და „ღვთის სახსენებლად", შეუწირავს დიდგორის ბრძოლაში როგორც „იავარად მოხმული" ნივთები, ასევე ტყვეებიც.

ამრიგად, ქართველთა ლაშქარმა 1121 წ. 12 აგვისტოს დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ჯარებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ მოწინააღმდეგის დამარცხება დიდგორის ველზე ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მასზე საბოლოო გამარჯვებას. ეს კარგად ესმოდათ ამ დიდ წარმატებათა ორგანიზატორებს და ამიტომ იყო, რომ დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა კვალ-

დაკვალ მიჰყოლოდა ზურგშექცეულ მტერს, რათა მისთვის დაქსაქსული და დამარცხებული ძალების ხელახლა გაერთიანებისა და შემოტევის შესაძლებლობა არ მიეცათ.

გაქცეული თუ უკანდახეული მტრის დევნით დიდგორის ბრძოლის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ეტაპი დაიწყო. აქაც გამოჩნდა დიდი მხედართმთავრის ნიჭი და უნარი. დავითის ისტორიკოსის ცნობით, მეფე „მეოტთა (გაქცეულებს) სიმარჯვით და განკრძალულად (ფრთხილად) სდევნიდა". დამარცხებული და უწესრიგოდ უკანდახეული მტრის დევნა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. მათე ურჰაელის მიხედვით, ქართველთა და ყივჩაყთა ლაშქარმა რვა დღე ქალაქ ანისის საზღვრამდე სდია ილღაზის დაქსაქსულ ჯარებს და დიდი ზიანი მიაყენა მას. გოტიეს სიტყვით კი, დევნა თითქოს მხოლოდ სამი დღე გაგრძელდა და მტერმა ამ დროს გაცილებით მეტი ზარალი ნახა, ვიდრე თვით ბრძოლის ველზე. იბნ ალ-ასირსაც არ გამორჩენია მხედველობიდან ყოველივე ეს და საგანგებოდ მითითებული აქვს კიდეც, რომ ქართველებმა თურქებს 10 ფარსაგის[9] მანძილზე სდიესო.

როგორც ჩანს, ქართველთა ლაშქარს მართლაც მოუხერხებია დევნილი მტრის სრული დამარცხება და განადგურება. ისე რომ, მათმა სარდლებმა, თვით ილღაზმაც კი, ვერ შეძლეს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ძალის შემოკრება და დამარცხებული, ბრძოლაში დაჭრილი მთავარსარდალი, თავის სიძესთან ერთად. თვით ალ-ფარიკის ცნობით, მხოლოდ ოციოდე მხედრითურთ დაბრუნებულა თავის ქვეყანაში.

ილღაზის დაჭრისა და სამარცხვინო გაქცევის შესახებ წერენ როგორც მათე ურჰაელი, ისე გოტიე. ამ უკანასკნელის მიხედვით, „თვით ილღაზი, თავში დაჭრილი, თითქმის ყველა თავისიანის სიკვდილის თვითმხილველი... გადარჩა, მცირე პირთა თანხლებით და უსაჭურვლო და სანახევროდ მკვდარი დაბრუნდა სახლში, არაბთა მეფის (დუბეიისის) დახმარებით". დამარცხებული და შერცხვენილი დაბრუნდნენ, ილღაზთან ერთად, მათე ურჰაელის სიტყვით, სხვა სარდლებიც: „ძლივს მოახერხეს რა გაქცევა, სპარსთა სულთანი მელიქი (თოღრული) და ხაზი (ილღაზი) დაბრუნდნენ დიდად შერცხვენილნი თავიანთ ქვეყანაში".

ამრიგად, როგორც დიდგორის ველზე, ასევე მტრის კვალდაკვალ დევნისა და ხოცვის დროს, ქართველთა შედარებით მცირერიცხოვანმა ლაშქარმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. თურქ-სელჩუკთა დიდმა კოალიციურმა ლაშქარმა სასტიკი დამარცხება იგემა არა მარტო დიდგო-

---

[9] ფარსაგი, ფარსახი — გზის საზომი სპარსული ერთეულია, უდრის დაახლოებით ექვს-შვიდ კილომეტრს.

რის ველზე, საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, მათ მიერვე დაპყრობილ ტერიტორიაზე.

დიდგორის ველზე მოპოვებული გამარჯვება პირველ რიგში, ცხადია, იყო ქართველი ხალხის გამარჯვება დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობისათვის ბრძოლაში, მაგრამ იგი ამასთანავე ეხმაურებოდა ამიერკავკასიისა და საერთოდ, კავკასიის ხალხთა საერთო ინტერესებს, მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ. ამიტომაც იყო, რომ **კავკასიის ხალხებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ბრძოლის მოგებაში. ქართველთა ლაშქარში შედიოდა საქართველოს მფლობელობასა და გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების მოსახლეობაც: ყივჩაყები, ოსები, სომხები, შირვანელები და სხვა.**

დიდგორის ბრძოლა მოიგო საქართველოს სამეფოს ლაშქარმა და იმ მშრომელმა მოსახლეობამ, რომელმაც უზრუნველყო ეს ლაშქარი ცხენებით, იარაღ-საჭურვლით, სურსათ-სანოვაგითა და ყველაფერ იმით, რაც საჭირო იყო გამარჯვებისათვის.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვების მიღწევისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაშქრის ხელმძღვანელობას, სარდლობას; ამ მხრივაც საქართველოს ლაშქარი უნაკლო იყო: მის სათავეში იდგა ძველი საქართველოს ყველაზე გამოჩენილი მხედართმთავარი და უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე დავით მეოთხე, აღმაშენებელი.

ზემოთქმულის შემდეგ ყველა საღად მოაზროვნე მკითხველში გაოცებას გამოიწვევს გოტიეს ცნობისადმი მინდობილი ზოგი ისტორიკოსის მოსაზრება დიდგორის ველზე გამარჯვებაში „ორასი ფრანგისათვის“ გადამწყვეტი როლის მიკუთვნების შესახებ.

აი, რას წერდა ს. კაკაბაძე დიდგორის ბრძოლის 820 წლისთავისადმი მიძღვნილ, ჩვენ მიერ ზემოხსენებულ წერილში: **„გოტიეს ამ მეტად საყურადღებო ცნობაში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, რომ ომის ბედი ორასმა ფრანგმა (ევროპელმა) გადაწყვიტა.** ეჭვს გარეშეა, აქ იგულისხმებიან ევროპელი რაინდები, რომელნიც დავითის სამსახურში იმყოფებოდნენ და რომელნიც მოქმედებდნენ ქართველ რაინდებთან ერთად. მათი რიცხვი რამდენიმე ასი და შესაძლებელია, ერთი-ორი ათასი ყოფილიყო (იგულისხმებიან მძიმედ შეიარაღებული და საუკეთესოდ გაწვრთნილი რაინდები). მართლაც, სავსებით შესაძლებელია, რომ დიდგორის ბრძოლაში ამ მძიმედ შეიარაღებულ რაინდებს **გადამწყვეტი როლი** შეესრულებინოთ, მაგრამ მარტო ეს, რასაკვირველია, არ კმაროდა. საჭირო იყო სათანადო მხედართმთავრობაც“.

როგორც ვხედავთ, ს. კაკაბაძე სავსებით შესაძლებლად მიიჩნევს დიდგორის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი მიაკუთვნოს მძიმედ

შეიარაღებულ იმ ორას (თუნდაც ერთ-ორ ათას) „ფრანგს“, ჯვაროსანს, რომელიც ამ დროს დავითის ლაშქარში ითვლებოდა.

ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ, თუ როგორ აზვიადებდა გოტიე ყველაფერს და განსაკუთრებით კი „ორასი ფრანგის“ როლს დიდგორის ბრძოლაში. ყველა ისტორიკოს-მკვლევარისათვის ეს ადვილად შესამჩნევია და განა ვინმე დაიჯერებს, რომ იქ, სადაც ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი და 500 ოსი, გამარჯვება მოეპოვებინოს მხოლოდ 200 „ფრანგს“, თუნდაც კარგად შეიარაღებულს, იმ „ფრანგებს“ (ჯვაროსნებს), რომელნიც, უფრო მრავალრიცხოვანნი, არაერთხელ სასტიკად დაუმარცხებიათ სწორედ დიდგორის ბრძოლის წინა წლებში თურქ-სელჩუკებს, მათ არც ისე მრავალრიცხოვან მოლაშქრეებს. გოტიეს ცნობის ასე უკრიტიკოდ გამეორება, მისი ფრიად საყურადღებოდ და სანდოდ გამოცხადება, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა დიდგორის სახალხო ბრძოლის მრავალრიცხოვან მონაწილეთა თავგანწირვის და საერთოდ, ამ ბრძოლის დიდი მნიშვნელობის შეუფასებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ორასმა მძიმედ შეიარაღებულმა ფრანგმა“ კი არა, **საქართველოს ლაშქრის თავგანწირვამ, მოლაშქრეთა მარჯვედ მოქნეულმა ხმალმა, ქართველი გლეხისა და ხელოსნის მარჯვენამ და მამაცი ლაშქრის გონიერმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო დიდი გამარჯვება დიდგორის გადამწყვეტ ბრძოლაში.**

„ძლევაი საკვირველი“ — „გამარჯვება საკვირველი“ — ასე უწოდა დავითის ისტორიკოსმა დიდგორის ველზე მოპოვებულ გამარჯვებას. ქართლის გულში შემოჭრილი მრავალრიცხოვანი მტრის განადგურება ქართველთა შედარებით მცირერიცხოვანი ლაშქრით, მართლაც, „საკვირველი ძლევა“ იყო.

დიდგორის ველმა, „საკვირველი გამარჯვების“ ადგილმა, დღემდე შემოინახა 850 წლის წინათ მომხდარი ბრძოლის არაერთი ნაკვალევი. აღსანიშნავია, რომ მწერალ ლევან გოთუას მიერ გამოქვეყნებული მასალებით, დიდგორის ქედზე, სათოვლიასა და ნაბაღრების თავზე აღმართულ მთას ხალხი დღესაც „დ ა ვ ი თ ი ს მ თ ა ს“ ეძახის. ეს მთა ამავე სახელწოდებით აღნიშნულია რუკებზედაც. სწორად ფიქრობს ჩვენი სახელოვანი მწერალი, რომ მთის ამგვარი სახელი „დავით აღმაშენებელთან და დიდგორის გამარჯვებასთან“ უნდა იყოს დაკავშირებული.

ამას გარდა, დიდგორის უმაღლესი წერტილის ხელოვნურობის უტყუარი ნიშნების მქონე ყორღანი, ხალხში შემონახული გადმოცემით, „დიდგორის ბრძოლაში დაღუპულ ძმათა საერთო სამარეა“. დიდგორის ერთ-ერთი მაცხოვრებლის სიტყვით, ამ საერთო სამარეს გამარჯვებულმა „ლაშქარმა აუარ-ჩამოუარა და მუჭა-მუჭა, ზოგმა კი კალ-

თა-კალთა მიაყარა დიდგორის მიწა“ — და ასე შეიქმნა ეს ხელოვნური ბორცვიც.

ეს და სხვა მსგავსი გადმოცემა არ არის საფუძველს მოკლებული — დიდგორის ველი, მისი ბორცვები, ალბათ, მართლაც მრავლად ინახავს ჩვენთვის უცნობ და უსახელო თავდადებულ მებრძოლთა უკვე მტვრად ქცეულ ნაშთებსა და მათ იარაღ-საჭურველს. ამ ადგილების არქეოლოგიური შესწავლა, როგორც ზემოთაც ითქვა, მნიშვნელოვან ახალ მასალას შეგვძენდა აქ გამართული ბრძოლისა და მოპოვებული გამარჯვების მრავალი დეტალის დასაზუსტებლად.

შემთხვევითად არ მიგვაჩნია ისიც, რომ „დიდგორობის“ ხალხური, ყოველწლიური დღესასწაული აგვისტოში, მაინცდამაინც, დიდგორის ბრძოლის დამთავრებისა და მარიამობის (15 აგვისტო) მომდევნო კვირას იმართება. იქნებ ეს ხალხური დღესასწაული ამავე დროს არის „საკვირველი ძლევის“ ყოველწლიური დღესასწაული და დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის მებრძოლთა — დიდგორის გმირების — ხსოვნასაც ეძღვნება...

თავი V

დიდგორის ბრძოლის შედეგები და მნიშვნელობა

1. თბილისის შემოერთება

დიდგორის ველზე მტრის კოალიციური ლაშქრის დამარცხების, მისი საკმაოდ ხანგრძლივი დევნისა და საბოლოოდ განადგურების შემდეგ დავით აღმაშენებელს გზა ხსნილი ჰქონდა თბილისისაკენ. დიდგორის ბრძოლაში მეფემ დაამარცხა არა მარტო თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი, არამედ მან მოსპო იმ ქალაქების დამოუკიდებლობაცა და გაერთიანებაც, რომლებიც აქ კოალიციურ ლაშქარს იწვევდნენ დავითის წინააღმდეგ. დიდგორის ველზე არსებითად გადაწყდა თბილისის, დმანისისა და სხვა ქალაქთა ბედიც, დადგა მათი დამოუკიდებლობის აღსასრული. მას შემდეგ, რაც საქართველოს ქალაქების კავშირმა (თბილისმა და დმანისმა) ასე დიდი ომი გაუმართა სამეფო ხელისუფლებას, დავითი სავსებით დარწმუნდა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ქალაქები უბრძოლველად არ დათმობდნენ პოზიციებს და მათ კიდევ ახალი დამხმარე ძალების მოწვევა რომ არ ეცადათ, მეფემ გეზი პირდაპირ თბილისისაკენ აიღო. ასე რომ, ბრძოლა თბილისისა და სხვა ქალაქების დასამორჩილებლად არსებითად დიდგორის ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა.

თბილისის შემოერთებისათვის ბრძოლა დავით IV-ის დროს არ დაწყებულა. ბრძოლას თბილისისათვის ხანგრძლივი ისტორია აქვს და მისი ძირითადი ეტაპების მიმოხილვა კიდევ უფრო კარგად დაგვანახებს დიდგორის ბრძოლის ერთი უმთავრესი შედეგის დიდ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

თბილისის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიასთან. თბილისი, როგორც ქალაქი, წარმოშობის დღიდან (V ს. შუა წლები) არა მარტო ქართლის სამეფოს პოლიტიკური, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკური ცენტრიც იყო.

VIII საუკუნიდან საქართველოში არაბი დამპყრობლების ლაშქრობებმა, ხოლო შემდეგ გაბატონებამ და თბილისის საამიროს ჩამოყალიბებამ, ქალაქი ერთხანს მოსწყვიტა ქვეყანას და დააბრკოლა მისი ნორმალური განვითარება; მაგრამ ხალიფატის ფეოდალიზაციისა და თბილისის საამიროს თანდათან გამოცალკევების შემდეგ ქალაქმა ისევ დაამყარა შედარებით მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოს ზოგ კუთხესთან, მეზობელ ქვეყნებთან და ქალაქებთან... თბილისი მალე არა მარტო საქართველოს, მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად იქცა...

X—XI სს. მიჯნაზე წარმოქმნილ ერთიან საქართველოს და მის სამეფო ხელისუფლებას, შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით სჭირდებოდა ქალაქები. მათი, კერძოდ თბილისის, გათავისუფლება უცხო დამპყრობთა ბატონობისაგან და შემოერთება, დიდად შეუწყობდა ხელს ფეოდალური მონარქიის განმტკიცებას. საქართველოს ქალაქებსაც უკვე ჩამოყალიბებული, გაერთიანებული საქართველოს სამეფო ხელისუფლების მფარველობის ქვეშ ყოფნა ერჩიათ უცხოელთა ბატონობას და ამიტომაც ისინი, თავის მხრივ, მხარს უჭერდნენ სამეფო ხელისუფლების მისწრაფებას შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცებისაკენ.

გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ III-მ მნიშვნელოვნად შეავიწროვა თბილისის საამიროს ტერიტორია. თბილისი უკვე საქართველოს მეფის სამფლობელოებით იყო გარშემორტყმული და დღეს თუ ხვალ ქალაქიც მათ უნდა შეერთებოდა. მაგრამ იგი ჯერ კიდევ მაინც მაჰმადიან მფლობელთა ხელში რჩებოდა. გიორგი I-ის მეფობის დროს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს სამეფოს მთელი ძალები დიდმნიშვნელოვანი საგარეო ამოცანების გადაწყვეტას შეელია და ქართული მიწა-წყლის საბოლოოდ თავმოყრა და შემომტკიცება ვერ დასრულდა — თბილისი გაერთიანებული საქართველოს გარეთ რჩებოდა ისევ.

საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ თანმიმდევრული ბრძოლა თბილისისათვის XI ს. 30-იანი წლებიდან დაიწყო. ამ დროს საქარ-

თველოში ბაგრატ IV მეფობდა, ხოლო თბილისში ამირა ჯაფარი იჯდა. ქართველმა დიდებულებმა, კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა და ივანე აბაზასძემ, 1032 წ. თბილისის ამირა შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს. საქართველოს მეფეს გზა ხსნილი ჰქონდა თბილისისაკენ, მაგრამ მეფის გაძლიერების მოწინააღმდეგეებმა უასაკო ბაგრატს შეაცოდეს შეპყრობილი ჯაფარი და გათავისუფლება და ისევ თბილისის ამირად დატოვება ურჩიეს. ბაგრატმა მართლაც შეიწყალა ჯაფარი და „გაუტევა ტფილისს ზედა ამირად“.

მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ თბილისის შემოერთებისათვის ბრძოლა ისევ განახლდა, 1037 წ. ბაგრატ IV-მ თავისი ლაშქრით ალყა შემოარტყა თბილისს. ამჯერად ქართველებმა თბილისის აღება ხანგრძლივი გარემოცვით ცადეს; ალყა ორ წელს გაგრძელდა. თბილისში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, ქალაქი უკვე დანებებასაც აპირებდა, როცა ბაგრატ IV-მ, ისევ მოწინააღმდეგე დიდებულთა შთაგონებით, თბილისს უეცრად ალყა მოხსნა და ქალაქს გაეცალა. თბილისი ისევ გასაქცევად გამზადებულ ჯაფარს დარჩა — 1039 წ. ბაგრატ IV-მ მეორედ დაკარგა თბილისის შემოერთების შესაძლებლობა.

1045 წ. თბილისის ამირა ჯაფარი გარდაიცვალა. მის მემკვიდრეთა შორის დაიწყო ბრძოლა თბილისის ხელში ჩასაგდებად. ამით ისარგებლეს ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ჯაფარის მემკვიდრეები ქალაქიდან გააძევეს და ქალაქი თვით დაიჭირეს. თბილისის განმგებლობა ამგვარად „ქალაქის უხუცესების“ ანუ, როგორც ქართველი ისტორიკოსი უწოდებს, „თბილისის ბერების“ ხელში გადავიდა. მოქალაქენი და მათი ხელისუფალნიც, „ქალაქის ბერებიც“ ამჯერად საქართველოს მეფის მომხრენი აღმოჩნდნენ და გადაწყვიტეს თბილისი ბაგრატ IV-ისათვის ჩაებარებინათ და საქართველოსთან შეეერთებინათ. ამიტომ მოუწოდეს „ქალაქის ბერებმა“ ბაგრატ IV-ს. საქართველოს მეფე თბილისისაკენ გამოემართა; დიღმის ველზე მეფეს მოქალაქენი და ქალაქის უხუცესები შეეგებნენ და იგი დიდი ზეიმით ქალაქში შეიყვანეს: „იყო ხმობა ბუკთა და დუმბულთა... რომლისა ხმითა იძრვოდა ქვეყანა და იყო სიხარული ყოველმხრივ გასაკვირველი“ — მოგვითხრობს ისტორიკოსი. მეფე ქალაქს შემოატარეს, მოქალაქეთა წესისამებრ, ბაგრატ IV-ს თავზე აყრიდნენ ოქროსა და ვერცხლის ფულებს, შემდეგ კი ქალაქის კარებისა და ციხეების გასაღებები ჩააბარეს და ქალაქის ყოფილი ამირას სასახლის დარბაზში შეიყვანეს. მეფემ ქალაქსა და მის ციხეებში თავისი მოხელეები ჩააყენა, მაგრამ სანამ იგი ქალაქის მეორე ნაწილსაც (მტკვრის მარცხენა, თბილისის გამაგრებულ ნაპირს) შემოიმტკიცებდა, ამოქმედდნენ მეფის მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით კლდეკარის ერისთავი აქტიურობდა. მეფე იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და ჯავახეთს გადასულიყო.

XI ს. 50-იან წლებში ბაგრატ IV-მ ერთხელ კიდევ დაიჭირა თბილისი, მაგრამ არა დიდი ხნით, ამჯერადაც ისევ დიდგვარიანთა წყალობით უკვე მეოთხედ დაკარგა მეფემ თბილისის შემოერთების შესაძლებლობა. ამ დროიდან რამდენიმე წელი ისე გავიდა, რომ საქართველოს მეფეს თბილისისათვის ბრძოლა არ უწარმოებია. ამ ხნის მანძილზე ქალაქს ისევ, ძველებურად, „თბილისის ბერები განაგებდნენ“.

თურქ-სელჩუკების მეორე ლაშქრობამ საქართველოში 1068 წ. კიდევ რამდენიმე წლით გადადო თბილისის შემოერთებისათვის ბრძოლა. ამ ლაშქრობის დროს სულთანმა ალ-ფარსლანმა თბილისიც აიღო და თავის მოკავშირეს განძის იმდროინდელ მაჰმადიან მფლობელს, ფადლონს გადასცა. თბილისს ახალი ბატონი გაუჩნდა, მაგრამ ფადლონის ბატონობა ხანმოკლე აღმოჩნდა; ბაგრატ IV-მ შეძლო ხელთ ეგდო იგი. მეფეს ამჟამად არავინ უშლიდა ხელს თბილისის საბოლოოდ შემოერთებაში, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მეფის გაძლიერების მოწინააღმდეგე დიდგვარიანები ჩაერივნენ საქმეში და ბაგრატი აიძულეს თბილისში განმგებლად ისევ ძველი ამირების შთამომავალი მოეყვანა. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, მეფემ „სითლარაბი ძებნა, შემოიყვანა ტფილისად მემამულედ და მისცა მას ტფილისი“; თვით კი — თბილისის ირგვლივ მდებარე ციხეების აღებით დაკმაყოფილდა. ამრიგად, თბილისში ისევ ამირას ხელისუფლება გაჩნდა, მაგრამ თბილისის ამირა საქართველოს მეფის ყმადნაფიცობას(ვასალობას) აღიარებდა და ბაგრატ IV-ს 44 000 დრაჰკანსაც უხდიდა. ასე აღდგა თბილისში ერთხელ კიდევ ჯაფარიდების შთამომავალთა მფლობელობა. მაგრამ XI ს. 80-იანი წლებიდან ჯაფარიდების ეს უკანასკნელი მფლობელიც აღარ იხსენიება. როგორც წყაროებიდან ჩანს, ამ დროისათვის ჯაფარიდების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელიც გადაშენებულა.

ალ-ფარიკის ცნობიდან ირკვევა, რომ ჯაფარიდების მფლობელობა თბილისში მხოლოდ 1069 წლიდან 1082 წლამდე გაგრძელებულა. ამის შემდეგ კი, ალ-ფარიკისავე ცნობით, „ორმოცი წლის განმავლობაში თბილისი იყო მისი ხალხის ხელში... და **ყოველ თვეს განაგებდა ქალაქს ერთი მათგანი**“. როგორც ვხედავთ, ჯაფარიანთა გადაშენების შემდეგ, XI ს. 80-იანი წლებიდან მოკიდებული, ქალაქის განმგებლობა ისევ მოქალაქეთა, მის უხუცესთა, ანუ, როგორც წყარო ამბობს, „მისი ხალხის ხელში“ გადასულა. თბილისში ამგვარი მმართველობა, იმავე ავტორის ცნობით, ორმოცი წელი გაგრძელებულა. ქალაქის განმგებლობის „ხალხის ხელში“ გადასვლა ქალაქის თვითმმართველობის ქალაქის დამოუკიდებლობაში გადაზრდას, ანუ თბილისის ქალაქ-კომუნად გადაქცევას ნიშნავდა.

თბილისის გადაქცევა ქალაქ-კომუნად, როგორც ვხედავთ, გიორგი II-ის დროს მომხდარა. თვით გიორგის მეფობის ხასიათი, თავის მხრივ,

ხელს უწყობდა თბილისის მოქალაქეთა წარმომადგენლების გამარჯვებას. გიორგი II-ის დროს შექმნილი საგარეო და საშინაო პირობები საქართველოს მეფეს შესაძლებლობას არ აძლევდა ყურადღება მიექცია თბილისისათვის და ქალაქის დამოუკიდებლობის მოსპობა და მისი შემოერთება ეცადა.

დავით აღმაშენებელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეფობის პირველ ნახევარში არსებითად ნიადაგს ამზადებდა თბილისის შემოსაერთებლად და ამიტომაც იგი, სათანადო პირობების მომწიფებამდე, ქალაქისა და მის ხელისუფალთა შევიწროებას საჭიროდ არ მიიჩნევდა. კიდევ მეტი, დავითის მეფობა ობიექტურად ხელს უწყობდა თბილისის დამოუკიდებლობის განმტკიცებას — საქართველოს გაძლიერებული მეფის შიშით, მეზობელი მაჰმადიანი მფლობელები ვერ ბედავდნენ ეცადათ თბილისის დაპყრობა, მით უფრო, რომ დავითი წარმატებით ერეკებოდა მათ არა მარტო საქართველოდან, არამედ მისი მეზობელი ქვეყნებიდანაც.

ამასთანავე, სამეფო ხელისუფლება, როგორც ეს კარგად ჩანს ევროპის ქალაქების ისტორიის მაგალითებიდან, ყოველთვის ერთნაირ და მტრულ დამოკიდებულებას არ იჩენდა დამოუკიდებელი ქალაქებისადმი. პირველ ხანებში, ე. ი. მანამ, სანამ სამეფო ხელისუფლება დაადგებოდა მტკიცე ცენტრალიზაციის გზას, იგი მხარს უჭერდა ქალაქ-კომუნებს, დამოუკიდებელ საქალაქო თვითმმართველობას და მათ კიდეც იყენებდა მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალაქებიც ამ პერიოდში სამეფო ხელისუფლების მოკავშირეებად გამოდიოდნენ. საქალაქო თვითმმართველობის ამგვარი დამოკიდებულება ჩვენ უკვე დავინახეთ ბაგრატ IV-ისა და „ტფილელ ბერთა“ ურთიერთობის მაგალითზე; სამეფო ხელისუფლებისა და თბილისის ურთიერთობა კიდევ უფრო უნდა განმტკიცებულიყო დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ პერიოდში, როცა იგი დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ მსხვილ საერო და სასულიერო ფეოდალებთან. ამიტომ, ბუნებრივია, თუკი სამეფო ხელისუფლება ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ ფიქრობდა დამოუკიდებელი ქალაქების შევიწროებას, ქალაქ-კომუნების გაუქმებასა და მათ შემოერთებას.

მაგრამ XII ს. 20-იანი წლებიდან საქართველოში დაირღვა სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის მანამდე არსებული კავშირი. მტკიცე ცენტრალიზაციის გზაზე შემდგარ სამეფო ხელისუფლებას ერთიანი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დამოუკიდებელი ქალაქი-რესპუბლიკების დამორჩილებისათვის უნდა ეზრუნა, რომ დაესრულებინა ქართული მიწა-წყლის შემომტკიცების პროცესი. ცხადია, დამოუკიდებელი ქალაქები, თავის მხრივ, უბრძოლველად არ დათმობდნენ უკვე საკმაო ხნის მანძილზე მოპოვებულ თავისუფლებას. ამიტომ

იყო, რომ დავითის მიერ თბილისზე მფარველობის ხელის დადების ცდებს თბილისელი მოქალაქეები, მისი მმართველი ზედაფენა, მტრულად შეხვდნენ და ღამეშმარე ძალების ძიება დაიწყეს მეზობელ ქალაქებსა და ქვეყნებში. ასე რომ, დამოუკიდებელი ქალაქების კლასობრივმა ინტერესებმა განსაზღვრეს თბილელთა და დმანელთა ელჩობა მაჰმადიან მფლობელებთან და არა ნაციონალურმა მომენტებმა — მაჰმადიანური მოსახლეობის სიჭარბემ ქალაქებში, და ან კიდევ, თურქ-სელჩუკთა შემოსევების შემდეგ ქართველებსა და მაჰმადიანებს შორის გამწვავებულმა ურთიერთობამ.

თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა თბილისში „მოქალაქეთა შორის მაჰმადიანთა“ სიჭარბეზე. უდავოა, რომ ჯერ არაბთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა შემოსევების წყალობით, თბილისში მუსლიმანური მოსახლეობა შედარებით მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო საერთოდ, კერძოდ კი, თბილელ ვაჭართა შორის. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა თბილისის მოსახლეობის ამ ნაწილის გადამწყვეტ როლს საქალაქო ცხოვრებასა და მართვა-გამგებლობაში. ქართული დოკუმენტური, ნუმიზმატიკური თუ სხვა სახის არქეოლოგიური მასალა, ასევე ზოგი უცხოური წყაროს მონაცემებიც, საკმაოდ გვარწმუნებენ ქალაქის ქრისტიანული (ქართულ-სომხური, განსაკუთრებით კი ქართული) მოსახლეობის სიძლიერესა და მნიშვნელოვან როლში. ამას გარდა, საუკუნეების მანძილზე თბილისში მცხოვრები და მოსაქმე მუსლიმანური მოსახლეობა შეუძლებელია ადგილობრივი ქართული თუ საერთოდ, ქრისტიანული მოსახლეობისადმი დაპირისპირებულ და მისგან გამოთიშულ ძალად მივიჩნიოთ. ივ. ჯავახიშვილის საკმაოდ მართებული განცხადებით, „მუსლიმან მოქალაქეთა შვილები და შვილიშვილები“, ე. ი. მათი საქართველოში, მის ქალაქში აღზრდილი შთამომავლები, „საქართველოს ძლიერებისა და ბედნიერებისათვის იმნაირადვე ზრუნავდნენ, როგორც ჩვენი ერის ღვიძლი შვილები“.

ქართული ქრისტიანული და მუსლიმანური მოსახლეობის საუკუნეთა მანძილზე თანაცხოვრება თბილისში და საქართველოს ზოგ სხვა ქალაქში, მაჰმადიანთა მფლობელობის ხანგრძლივ პერიოდში თბილისის მჭიდრო კავშირი საქართველოს ცალკეულ კუთხეებთან და საერთოდ ქართულ სამყაროსთან, თბილისის გარემოცვა განსაკუთრებით XI ს. დაბდეგიდან საქართველოს ახლად წარმოქმნილი ფეოდალური მონარქიის მიერ და, აქედან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოებრივი წყობის დიდი გავლენა ქალაქზე განსაზღვრავდა თბილისის საქალაქო წყობის, მმართველობის, საქალაქო ცხოვრებისა და ყოფის თავისებურებას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამიტომაც არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ქალაქე-

ბის ქართველ მკვლევართა შორის ფეხმოკიდებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც „თბილისის საქალქო წყობილება 1122 წლამდე წარმოადგენდა აღმოსავლური საქალაქო წყობილების ზუსტ განმეორებას“.

ასე რომ, XII ს. 20-იანი წლებიდან დავით IV-ისაგან შეკვეწროებული თბილისელების მიერ ერთხანს მაჰმადიან მფლობელებზე აღებული ორიენტაცია, „ქალაქის მფარველის“ ძებნასთან დაკავშირებით, თბილისის „აღმოსავლურობით“, მის მოსახლეობაში მუსლიმანების სიჭარბით და საქალაქო ცხოვრებაში მათი გადამწყვეტი როლით არ შეიძლება აიხსნას.

ამაში ჩვენ, ზემოთქმულს გარდა, თბილისელთა მიერ არაერთგზის გადადგმული საწინააღმდეგო ნაბიჯიც გვარწმუნებს. ჯერ კიდევ XI ს. შუა წლებში, როგორც აღვნიშნეთ, „თბილელმა ბერებმა“ თვით მაჰმადიან მფლობელთა (ჯაფარის მემკვიდრეთა) წინააღმდეგ პირველ რიგში საქართველოს მეფე მოიწვიეს. ამგვარადვე, შექმნილი საშინაო და საგარეო ვითარების შესაბამისად მოქმედებდნენ თბილისელები შემდეგაც. ამიტომ იყო, რომ რაკი ტოღრულის მოწვევამ ვერ გაამართლა იმედები, ისინი საქართველოს მეფეს შეუთანხმდნენ და, როგორც აღინიშნა, მასთან დადეს მფარველობითი ხელშეკრულება.

მაგრამ თბილისის, როგორც საქართველოს ორგანული ნაწილის, საკითხი ვერც ამით გადაწყდებოდა; საქართველოს მეფის მიერ XII ს. 90-იან წლებიდან თბილისის მიმართ წარმოებული პოლიტიკიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი თბილისის შემოერთებას ცდილობდა. თბილისელები კი, თავის მხრივ, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ და საამისოდ ყოველგვარი ძალის გამოყენებაზე ფიქრობდნენ. მეზობელი მაჰმადიანი მფლობელები კი საქართველოს მეფისა და თბილისის ურთიერთდაპირისპირების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებაზე, თბილისის დაპყრობაზე ოცნებობდნენ. ამიტომ იყო, რომ მაჰმადიანთა კოალიციურმა ლაშქარმა სწორედ დიდგორს, თბილისის კართან, მის მისადგომებთან დაიბანაკა და გამარჯვების შემთხვევაში უპირველეს ამოცანად თბილისის აღება გაიხადა.

ეს ყველაფერი სავსებით ნათელი იყო დავით აღმაშენებლისათვის და როგორც კი დიდგორის ველზე „საკვირველი გამარჯვება“ მოიპოვა, თბილისისაკენ გაემართა. ამიტომაა, რომ ყველა ჩვენ მიერ ზემოდასახელებული ძველი ისტორიკოსი, დიდგორის ბრძოლის აღწერის შემდეგ, უშუალოდ თბილისის აღების ამბებს მოგვითხრობს. ყველა მათ, როგორც ჩანს, სავსებით სამართლიანად, თბილისის დამორჩილება დიდგორის ბრძოლის ერთ-ერთ პირველ შედეგად მიაჩნიათ.

დავითის ისტორიკოსი წერს: დიდგორის ბრძოლის „მეორესა წელსა აღიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა... და დაუმ-

კვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“.

თბილისის აღება, ალ-ფარიკის ცნობითაც, თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის განადგურებისთანავე მომხდარა: „მას შემდეგ, რაც დამარცხებულ იქნა (მუსლიმანთა) ლაშქარი, დაბრუნდა აფხაზთა მეფეც და თბილისთან დაბანაკებულმა ალყა შემოარტყა მას, ხოლო შემდეგ მახვილით დაეუფლა (თბილისს) და შევიდა ქალაქში ხუთას თხუთმეტ წელს (-1122 წელს). მან გაძარცვა იგი და ცეცხლს მისცა მისი დიდი ნაწილი. შემდეგ კი შეიწყალა მცხოვრებნი და კარგად ეპყრობოდა მათ. დაუდგინა მათ (მოქალაქეებს) ის პირობები, რომელიც თვით აირჩიეს“.

მეფის მიერ თბილისის იმავე წელს ბრძოლით აღების შესახებ მოგვითხრობს სხვა იმდროინდელი წყაროებიც. მათე ურჰაელი, მაგალითად, წერს: „ამავე წელს აიღო ქართველთა მეფემ დავითმა ქალაქი თბილისი... და სასტიკად ამოწყვიტა ქალაქი, ხოლო ხუთასი კაცი ძელზე გასვა და წამებით მოაკვდინა“.

ალ-ჯაუზის ცნობითაც, დიდგორის გამარჯვებისთანავე „დაეშვა დავითი თბილისს და დაიპყრო იგი მახვილით. მან გადაწვა და გაძარცვა იგი“. თბილისის აღების შესახებ შედარებით ვრცელი და საინტერესო ცნობა მოეპოვება იბნ ალ-ასირს; მისი სიტყვით, მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის დევნის დროს ქართველებმა ისევ ააოხრეს მუსლიმანური ქვეყნები და უკან შემობრუნებულებმა „ალყა შემოარტყეს თბილისს, ისინი (ქართველები) ებრძოდნენ მათ, ვინც იყო მასში (ქალაქში); ძლიერ შეავიწროვეს ისინი და მისი (თბილისის) მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში ჩააგდეს. ალყა გაგრძელდა 1122 წლამდე, როცა მათ ძალით აიღეს იგი (თბილისი). ქალაქის მოსახლეობამ, როცა დაინახა დაღუპვის საშიშროება, გაგზავნა ქართველებთან ყადი და ქათიბი და მშვიდობა ითხოვა; მაგრამ ქართველებმა არ შეისმინეს მათი თხოვნა, შეურაცხყვეს ისინი (ყადი და ქათიბი) და ძალით შევიდნენ ქალაქში, დაანგრიეს და გაძარცვეს იგი. გაქცეულებმა მოაღწიეს 516 (-1122—23) წელს ბაღდადამდე და მოუწოდეს მათ დასახმარებლად და დასაცავად. როცა გაიგეს, რომ სულთან მაჰმუდი იმყოფებოდა ჰამადანში, ისინი გაემართნენ მისკენ დახმარების სათხოვნელად და იგიც (სულთანი) გაემართა აზერბაიჯანისაკენ და შეჩერდა თავრიზში... საიდანაც მან გაგზავნა ქართველების წინააღმდეგ ლაშქარი“.

როგორც ვხედავთ, დავითის ისტორიკოსს გარდა, ყველა სხვა დანარჩენი წყარო ერთხმად მიუთითებს დიდგორის ბრძოლის წელსვე (1121 წ.) დავითის გალაშქრების შესახებ თბილისის ასაღებად. მათე ურჰაელის მიხედვითაც, მეფეს თბილისი, იმავე, დიდგორის ბრძოლის წელსავე აუღია. მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს. როგორც სხვა წყაროებიდან ირკვევა (ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი), დავითს, მართალია,

იმავე წელსვე გაულაშქრია თბილისის წინააღმდეგ, მაგრამ ქალაქი მხოლოდ შემდეგ, მეორე წლს, ე. ი. 1122 წ. აუღია; თბილისის აღების თარიღად 1122 წ. მიიჩნევს დავითის ისტორიკოსიც.

წყაროების ურთიერთშეჯერებით კარგად ირკვევა, რომ დავითს, დიდგორის ველზე დამარცხებულთა დევნის დამთავრებისა და გზადაგზა მაჰმადიანთა სამფლობელოების დალაშქვრის შემდეგ უკან შემობრუნებულს, თბილისისათვის ალყა შემოუტყამს, მაგრამ ქალაქის აღება მაშინვე არ უცდია. ეს გასაგებიცაა, დიდ ომგადახდილ და, ალბათ, საკმაოდ შეთხელებულ ლაშქარს შეტევისათვის, ქალაქის იერიშით აღებისათვის შევსება, ახალი ძალები სჭირდებოდა. ამასთანავე, მეფე ხანგრძლივი ალყით შეეცდებოდა ქალაქი მოეწყვიტა იმ მეზობლებისაგან, საიდანაც მას შეიძლებოდა დახმარების იმედი ჰქონოდა და ამავე დროს, ერთგვარად გაეტეხა დამოუკიდებლობას შეჩვეულ მოქალაქეთა წინააღმდეგობაც. ეს ასედაც მომხდარა: ალყაშემორტყმული ქალაქის მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა და მოქალაქეთა ელჩებს მშვიდობაც უთხოვნია, მაგრამ ზავის პირობებს, როგორც ჩანს, ქალაქის შემოერთებისათვის გამზადებული მეფე და მისი ლაშქარი ვერ დაუკმაყოფილებია და ქალაქი იარაღით აუღიათ.

იერიშით აღებული ქალაქი, პირველ სამ დღეს, მეფემ თავის ლაშქარს მიანება საძარცვავად, თვით კი ქალაქის ხელისუფალთ სასტიკად გაუსწორდა: ხუთასი თავკაცი, მათე ურჰაელის ცნობით, დავითმა სასტიკი წამებით დახოცა.

თბილისის ალყა, როგორც მოტანილი ცნობებიდან ირკვევა, დიდგორის ბრძოლის დამთავრებისთანავე, 1121 წ. აგვისტო-სექტემბერში უნდა დაწყებულიყო, ხოლო თბილისის აღება 1122 წ. დამდეგს მომხდარა.

ამრიგად, 1122 წლიდან თბილისი საქართველოს შემოუერთდა და ამით დაასრულა დავით აღმაშენებელმა ქართული მიწა-წყლის შემოერთება-შემომტკიცების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი.

თბილისის შემოერთება ამავე დროს ნიშნავდა ქალაქის დამოუკიდებლობის გაუქმებას. თბილისი ამიერიდან სამეფო ქალაქად, მეფისა და მისი შთამომავლობის მკვიდრ ქალაქად იქცა. მაგრამ, როგორც წყაროებიდან ირკვევა, ქალაქს თვითმმართველობა ერთბაშად კიდევ შეუნარჩუნებია. ამაში ჩვენ, ალ-ფარიკის ზემომოტანილი ცნობის გარდა, დავითის ისტორიკოსის ერთი მეტად საინტერესო მითითებაც გვარწმუნებს. დავითის ისტორიკოსი თბილისის შემოერთებაში ორ პერიოდს არჩევდა — პირველს, როცა ქალაქი ჯერ კიდევ „არასრულად შემოყენებულ იყო უღელსა ქვეშე მორჩილებისასა". ეს ის დროა, როცა მეფემ ქალაქი აიღო და, მართალია, სამეფოდ გამოაცხადა, მაგრამ მას ჯერ კიდევ შეუნარჩუნა თვითმმართველობა, ე. ი. ის ჯერ კი-

დევ არ იყო მთლიანად დამორჩილებული. მაგრამ ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე დაიწყო მეორე პერიოდი — მეფემ თბილისი „სრულიად შემოაყენა“ „უღელსა ქვეშე მორჩილებისასა“, ე. ი. მთლიანად დაიმორჩილა, ეს კი თვითმმართველობის გაუქმებაში გამოიხატა. როგორც ირკვევა, ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქს შორის თბილისის იარაღით აღების შემდეგაც გაგრძელებულა. თბილისმა, მართალია, აღიარა მეფის მორჩილება, ე. ი. დაკარგა დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მაგრამ მისმა გამგებლებმა ჯერ კიდევ მოახერხეს თვითმმართველობის შენარჩუნება. საქართველოს მეფე, რომელმაც ეს-ეს არის დაამთავრა დიდი ომი დიდგორის ველზე და თბილისისათვის ბრძოლა, იძულებული იყო ერთხანს შერიგებოდა ასეთ მდგომარეობას. ესეც მეფის ერთგვარი ტაქტიკური ნაბიჯი იყო. ერთი წლის შემდეგ, როცა მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა, თბილისის ბედიც გადაწყდა — დავით აღმაშენებელმა თბილისში თვითმმართველობაც გააუქმა და ქალაქი თავის მოხელეებს ჩააბარა საგანმგებლოდ. ეს უკვე ნამდვილად იყო არა ქალაქის განთავისუფლება, როგორც აქამდე წერს ზოგიერთი ისტორიკოსი, არამედ თბილისის „სრულიად შემოყენება უღელსა ქვეშე მორჩილებისასა“.

თბილისის დამორჩილება, ანუ მისი შემოყენება „უღელსა ქვეშე მორჩილებისასა“, პირველ რიგში ნიშნავდა დამოუკიდებელი საქალაქო მმართველობის გაუქმებასა და ქალაქში მეფის მოხელეების დანიშვნას. ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით, თუ ვინ იყო თბილისში საქართველოს მეფის მიერ დანიშნული პირველი განმგებელი, ქალაქის ამირად დანიშნული მოხელე, მაგრამ უეჭველია, რომ იგი მეფის ახლობელთა წრიდან იქნებოდა. რა თქმა უნდა, სარწმუნო არ არის ს. ერემიანის მოსაზრება, თითქოს დავითს ვაჭრამ არწრუნისათვის ებოძებინოს ამირათ-ამირას, ე. ი. თბილისის განმგებლის თანამდებობა, რომელიც შემდეგ არწრუნთა შთამომავლობის პირვილეგიად, მემკვიდრეობით თანამდებობად ქცეულა. ეს მოსაზრება არ დასტურდება არც მასალებითა და არც თბილისის შემდეგდროინდელი ისტორიით. აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელს არათუ თბილისში, არამედ თვით ანისშიაც კი, მისი შემოერთების შემდეგ, არ დაუნიშნავს სომეხი მოხელე. სამწუხაროდ, ჩვენ თითქმის არავითარი მასალა არ მოგვეპოვება ახლად შემოერთებული თბილისის სამოხელეო წყობის შესასწავლად და ამგვარი ზეპირი ვარაუდები შეიძლება მხოლოდ გარკვეული ტენდენციით შეთხზულად მივიჩნიოთ.

დავითი კარგად ხედავდა, რომ თბილისში ვაჭრობა-ხელოსნობის ერთ-ერთ წამყვან ძალას მაჰმადიანური მოსახლეობა წარმოადგენდა. მათი შევიწროება, დარბევა და ქალაქის საუკუნეობით განმტკიცებული წესების ერთბაშად მოსპობა თბილისს მახლობელი აღმოსავლეთის

ერთ-ერთი დიდი ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობას დაუკარგავდა. ამიტომ, როგორც თვით მაჰმადიანი ისტორიკოსები წერენ, მალე დაცხრა მეფის გულისწყრომა და მან თბილისელ მაჰმადიანებს მრავალგვარი შეღავათი უწყალობა. მას შემდეგ, რაც ქალაქი იერიშით აღებულ იქნა, დავითმა აღუთქვა მცხოვრებთ მფარველობა და კარგი მოპყრობა. დარბეული მოსახლეობა გაათავისუფლა იმ წლის გამოსაღებებისაგან და მუსლიმანთა თხოვნისამებრ, თავისი ბრძანებით, ქალაქის სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულთა შორის ურთიერთობის გარკვეული წესებიც შეიმუშავა. მაგალითად, ალ-ფარიკის ცნობით, დავითმა, ქალაქში მოსახლე მუსლიმანებისათვის თავისუფალი ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით, „დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის. მან მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულტნის სახელით, და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან (კათედრიდან) ილოცონ ხალიფა და სულთნისათვის. და არა მისთვის(საქართველოს მეფისათვის). მან დააწესა გამოსაღები ყოველწლიური, ქართველისათვის — 5 დინარი, ებრაელისათვის — 4 დინარი, ხოლო მუსლიმანისათვის — 3 დინარი. იგი ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს და აგრეთვე მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორიც მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმანებს შორის. მე თვით ვნახე, როცა მივედი მათთან (თბილისელ მუსლიმანებთან) 1153 წელს, თუ როგორ ძალაშია მუსლიმანთათვის დადებული ყველა ეს პირობები აქამდეო“.

საქართველოში მოსახლე მუსლიმანებთან სამეფო ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულების შესახებ ამასვე იმეორებენ სხვა მაჰმადიანი ისტორიკოსებიც: ალ-ჯაუზი, ალ-ყაიმი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ალ-ჯაუზის ახლახან ქართულად გამოქვეყნებული ცნობა ამ მხრივ ერთგვარად განსხვავებულ და საინტერესო მასალას გვაწვდის: „შემდეგ (მეფემ) მოალბო ქალაქის მცხოვრებთა გული და მათ თხოვეს მას ზოგი რამ. მან (დავით მეფემ) მისცა მათ ზოგიერთი პრივილეგია. ისინი აქამდე არსებობენ. იმ (პრივილეგიებში შედიოდა), რომ იგი (დავითი) არ დაკლავდა იქ (თბილისში) ღორს, ამოკვეთდა დირჰემებზე და დინარებზე ალლაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფას სახელებს, შეასრულებდნენ (მუსლიმი) მცხოვრებლები პარასკევ დღეს აზანსა და ხუტბას; არ შევიდოდა (ურწმუნო) აბანოში მუსლიმებთან ერთად და რომ არ შეავიწროებდა ურწმუნო მუსლიმს. ყველა ეს (პრივილეგია) დღესაც აქვთ მათ. დავითი ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი შვილი დიმიტრი,

ისმენდა ხუტბასა და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატიბსა და მუეზინებს მრავალ ოქროს, მან ააშენა ქარვასლები სტუმართათვის და სახლები მქადაგებელთათვის, სუფიებისა და პოეტებისათვის; დააწესა მათთვის სტუმართმოყვარეობა. და თუ მოისურვებდნენ ისინი წასვლას თბილისიდან, ნებას დართავდა და მოამარაგებდა მათ მრავალი ქონებით. იგი (დავითი) მეტ პატივს სცემდა მუსლიმებს, ვიდრე მათ სცემდნენ პატივს ისლამის მფლობელები".

როგორც ვხედავთ, ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის ცნობებს შორის, მსგავსებასთან ერთად, არსებითი განსხვავებაც არის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ალ-ჯაუზი არაფერს ამბობს იმ საგადასახადო შეღავათების შესახებ, რომელიც დავითს, ალ-ფარიკის ცნობით, თბილისის მუსლიმანური მოსახლეობისათვის მიუნიჭებია. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, ძნელი წარმოსადგენია ალ-ჯაუზს, რომელიც ყოველნაირად ცდილობს გააზვიადოს საქართველოს მეფის ღონისძიებანი ამ მხრივ, ასეთი მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათის აღნიშვნა გამორჩენოდა. მართლაც, სავსებით გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაებეგრა დავით აღმაშენებელს ყველაზე მეტად თბილისელი ქართველები, და რატომ უნდა მიენიჭებინა შეღავათები ამ მხრივ ებრაელებისა და განსაკუთრებით კი მუსლიმანებისათვის და ისიც არა ერთი წლით, არამედ ყოველწლიურად, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ალ-ფარიკი თანამედროვეა იმ ამბებისა, რომლებზედაც ის წერს, ამიტომ, ცხადია, მას უფრო სრული და სწორი ინფორმაცია ექნებოდა ამ მხრივ, ვიდრე XIII ს. მეორე ნახევრის ავტორს, ალ-ჯაუზს. ასე რომ, ალ-ფარიკის ცნობა საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს და იქნებ, იმაზე მიგვითითებს, რომ მეფემ მუსლიმანურ მოსახლეობას, რომელიც თბილისის აღების დროს უფრო დაზარალდა, ვიდრე სხვა დანარჩენი, მართლაც მიანიჭა გარკვეული საგადასახადო შეღავათები არა მუდმივად, არამედ ერთი ან ორიოდე წლის ვადით.

როგორც ერთს, ისე მეორე ავტორსაც საინტერესო ცნობები მოეპოვებათ ფულის ერთეულების არაბული წარწერებით მოჭრის შესახებაც. ოღონდ, ალ-ფარიკის ცნობით, მეფეს ფულზე ხალიფასა და სულთნის სახელები უნდა ამოეკვეთა, ალ-ჯაუზის ცნობით კი—ალაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფას სახელები. ამ განსხვავებულ ცნობას ფულზე ამოსაკვეთ სახელთა შესახებ ამჟამად ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია, რომ დავით აღმაშენებელი თბილისის მოსახლეობას შეჰპირებია არაბულ წარწერიანი, მაჰმადიან მფლობელთა სახელების მითითებით, მონეტების მოჭრას. არც ეს ცნობა უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. ასეთი მონეტის მოჭრა უდავოდ ხელს შეუწყობდა თბილისის საერთაშორისო სავაჭრო ასპარეზის შემდგომ გაფართოებას. მართალია, ზუსტად იმგვარი მონეტები, რომელთა შესა-

ხებაც მიუთითებენ ალ-ფარიკი და ალ-ჯაუზი, მონეტები ხალიფასა და სულთნის, ალაჰისა და მისი მოციქულის სახელებით, დავითის დროის დღემდე ცნობილ მონეტთა შორის ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ ამ ტიპის მონეტების მოჭრის შესაძლებლობის გამორიცხვა სწორი არ იქნებოდა: მართალნი უნდა იყვნენ ის მკვლევარები (ე. პახომოვი, დ. კაპანაძე), რომელნიც დავით აღმაშენებელს მიაკუთვნებენ ერთადერთ, „უწესოდ“ მოჭრილ მონეტას, შუბლზე სამსტრიქონიანი არაბული წარწერით — „მეფეთა მეფე (მახვილი მესიისა) დავით“. ამავე მონეტის ზურგზე მოთავსებულ დაზიანებულ წარწერაზე კიდევ ნუმიზმატები მუჰამედისა და ბარქიარუქის (1094—1105) სახელებს კითხულობენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მონეტა თბილისის შემოერთებისა და თბილისელ მუსლიმანთა „თხოვნისა“ თუ „პატივისცემის“ ნიშნად მოჭრილად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს. როგორც ჩანს, იგი გაცილებით ადრეა მოჭრილი, ვიდრე დავით აღმაშენებელი თბილისს შემოიერთებდა და მაშასადამე, იმ მონეტათა რიცხვს არ შეიძლება მიეკუთვნოს, რომელზედაც ასე საგანგებოდ მიუთითებდნენ ალ-ფარიკი და ალ-ჯაუზი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ მსგავსი მონეტები დავითს დიდგორისა და თბილისის შემოერთების შემდეგაც უნდა მოეჭრა. ამას გვაფიქრებინებს დავითის მემკვიდრის, დემეტრე I-ის (1125—1156) დროს სწორედ ამ ტიპის მონეტების მოჭრა არაბული წარწერებით, საქართველოს მეფის, „მესიის მახვილისა“, ხალიფასა და სულთნის სახელების მოხსენიებით. აღსანიშნავია, რომ დემეტრე I-ის დროსაც, ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის ცნობებით, თბილისელი მაჰმადიანები იმავე შეღავათით სარგებლობენ, რაც მათ დავით აღმაშენებელმა მიანიჭა.

ქ. დმანისი, როგორც ირკვევა, თბილისის მსგავსად, დამოუკიდებლობით სარგებლობდა და ამიტომ იბრძოდა სხვა ქალაქებთან ერთად საქართველოს მეფის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ქალაქების თავკაცთა ელჩობის შედეგად მოწვეული ძლიერი ძალა სასტიკად დამარცხდა და თბილისიც დამორჩილებული იქნა, დმანისს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო და თითქმის უბრძოლველად დანებდა საქართველოს მეფეს. 1123 წ. მარტს დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადმოსულმა დავითმა „აღიღო ქალაქი დმანისიო“, — წერს დავითის ისტორიკოსი, ისე რომ, იგი არაფერს ამბობს ქალაქის მიერ გაწეული რაიმე წინააღმდეგობის შესახებ.

თბილისისა და დმანისის დამორჩილებით ბოლო მოეღო უკანასკნელი დამოუკიდებელ-პოლიტიკური ერთეულების, ქალაქ-რესპუბლიკათა არსებობას საქართველოს ფეოდალური მონარქიის ტერიტო-

რიაზე. ქალაქების დამოუკიდებლობის გაუქმებამ, მათ მორჩილებაში მოყვანამ კიდევ უფრო გააძლიერა თვითმპყრობელი მეფე, ამიერიდან იგი თავის ინტერესებს უკარნახებდა არა მარტო საერო და საეკლესიო ფეოდალებს, არამედ ქალაქებსაც; მას კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა ქალაქების გამოყენებისა, მისი მოსახლეობის ექსპლოატაციისა.

თბილისისა და დმანისის შემოერთებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი განვითარებისათვის. თბილისისა და დმანისის შემომტკიცებით დასრულდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ქართული მიწა-წყლის თავმოყრისა და გაერთიანებისათვის.

თბილისის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელმა სამეფო რეზიდენცია გაერთიანებული საქართველოს პირველი სატახტო ქალაქიდან, ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ამიერიდან **თბილისი იქცა გაერთიანებული და ზრდადასრულებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად; ამიერიდან ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მესაჭის როლი თბილისს დაეკისრა, ამ დროიდან იწყება თბილისის, როგორც ერთიანი საქართველოს დედაქალაქის ისტორია.** ამასთანავე, თბილისის შემოერთება ნიშნავდა ქალაქის ნამდვილი აყვავების ხანის დაწყებას. თბილისს მშვიდობიანი განვითარების დრო დაუდგა და იგი მალე არა მარტო მთელი საქართველოს, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრად იქცა. თბილისმა უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ისტორიაში, იგი ყოველთვის, აღმავლობა-გაძლიერებისა თუ დაკნინება-განსაცდელის ჟამს, ქვეყნის ერთიანობისა თუ პოლიტიკური დაშლილობის ხანაშიც, იყო ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური ცხოვრებისა და კულტურის ცენტრი, ქართული მიწა-წყლის შეკრება-თავმოყრის ინიციატორი, ქართველი ხალხის დამრაზმველი ეროვნული დამოუკიდებლობისა თუ სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლასა და მშვიდობიან მშენებლობაში.

850 წელი შესრულდა თბილისის შემოერთების, მისი საქართველოს დედაქალაქად გადაქცევის დროიდან და დღესაც ხანდაზმული, მაგრამ მარად ახალგაზრდა ქალაქი წარმატებით უძღვება კომუნიზმის მშენებელი ქართველი ხალხის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

ამრიგად, თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის, მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ სავსებით დაადასტურა დავით აღმაშენებ-

ლის პოლიტიკური ალღოს სისწორე და დიდგორის ველზე და თბილისის შემოერთებისათვის მებრძოლთა თავგანწირვის დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

2. ცვლილებები საქართველოს საგარეო ურთიერთობაში

საქართველოს საზღვრებს შიგნით თურქ-სელჩუკებზე სრული გამარჯვებისა და მათი ძალების დაქსაქსვა-შესუსტების შემდეგ, საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დიდი შესაძლებლობა მიეცა ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ უფრო ფართო მასშტაბით, საქართველოს საზღვრებს გარეთაც წარმატებით ეწარმოებინა. დავით აღმაშენებელმა მეზობელი ქვეყნების ქალაქები გაწმინდა თურქ-სელჩუკებისაგან და ისინი საქართველოს დაუმორჩილა. მაგალითად, მან ჯერ კიდევ დიდგორის ბრძოლამდე შირვანის ქ. ყაბალა აიღო, ხოლო თბილისის შემოერთების შემდეგ ქ. განჯის დასჯაც გადაწყვიტა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ალ-ფარიკის ცნობით, 1122 წ. „ქალაქ განძაში მიწისძვრა მოხდა, მისი ნაწილი დაინგრა და დაიქცა მისი კედლებიც. შეფე დავითი გამოვიდა და მისკენ გაემართა, მან მცხოვრებთაგან დიდძალი ტყვე წაიყვანა და ცხვრებივით გაგზავნა ისინი ურმებით. მან გაძარცვა ყველაფერი, რაც კი იყო ქალაქში და მისი ხალხი თბილისში მოიყვანაო“. განძის ამგვარ აოხრებასა და გაძარცვას მისი დაპყრობა არ მოჰყოლია. იგი ერთხანს კიდევ დარჩა თურქთა ერთ-ერთ ძირითად საყრდენად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ განძის დალაშქვრას ამ დროს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქ დამპყრობელთა ძალების შესუსტების თვალსაზრისით. ამას გარდა, განძის წინააღმდეგ გალაშქრება, ისე როგორც თბილისისა და დმანისის შემოერთება, დიდგორის ბრძოლის ერთგვარი გაგრძელებაც იყო. სწორედ თბილელ-დმანელ-განძელნი იყვნენ უშუალო წამომწყებნი საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი დიდი მაჰმადიანური კოალიციისა და ცხადია, თბილისისა და დმანისის შემოერთების შემდეგ, განჯის დაუსჯელად დატოვება საქართველოს მეფეს, როგორც ჩანს, შეუძლებლად მიუჩნევია.

ამას გარდა, განძაში მოწყობილი ლაშქრობა, დიდგორის შემდეგ, დავით IV-ის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო რანისა და შირვანის საკითხის გადასაწყვეტად. ამას კარგად გრძნობდნენ იმდროინდელი მაჰმადიანი მფლობელები და მაშინვე შეეცადნენ უკვე საქართველოს მეფეს მიმხრობილი შირვანშაჰი დაესაჯათ და მორჩილებაში მოეყვანათ. ამიტომ იყო, რომ საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ მოწყობილი კოალიციური ლაშქრობის ორგანიზატორი და ამ ლაშქრობის

დიდი მარცხით გამწარებული სულთანი მაჰმუდი, დიდგორის ბრძოლის მეორე წელს, შირვანში შეიჭრა, შეიპყრო შირვანშაჰი, აიღო შემახია და საქართველოს მეფესაც დაემუქრა: „შენი ყმადნაფიცი ხელთა მყავს, ხარაჯას ვართმევ, შენ კი ან ძღვენი გამომიგზავნე ან თუ გინდა სამალავიდან გამოდი და მნახეო“. გათავხედებული სულთნის წერილს მეფემ ოცდაათი ათასი მოლაშქრის საომრად გამზადებით და შირვანისაკენ გალაშქრებით უპასუხა. როგორც კი გაიგო სულთანმა დავით აღმაშენებლის ასე სწრაფად მოსვლა, „ძალი და სიმრავლე სპათა მისთა“, ქალაქში ჩაიკეტა და დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „მრავალი დღის შიმშილითა და წყურვილით შევიწროებულმა“, „მრავალი ვედრების, ძღვენისა და მუდარის შეთვლით, როგორც მონამ გაჭირვებულმა, არა თუ ძღვენი და ომი, არამედ გასაქცევი გზა ითხოვა, ფრიად სიმდაბლით და არა სულთნურად“. ხოლო როცა დავით აღმაშენებელმა შემახიაში ჩაკეტილი სულთნის დასახმარებლად წამოსული რანის ათაბაგი სასტიკად დაამარცხა, ბაქია სულთანი „მასვე ღამესვე გაიპარა და სასდუნით (მწვირის გასადინარი ხვრელით) გაქცეული სხვა გზით წარვიდა სოფლად თვისად“.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, იბნ ალ-ასირი სულთნის გალაშქრებას შირვანში უშუალოდ დიდგორის ბრძოლას უკავშირებდა და მის გაგრძელებად მიიჩნევდა. მისი სიტყვით, დიდგორის ბრძოლაში დამარცხებულმა და აქედან „გაქცეულმა 516 (1122—1123) წელს მიაღწიეს ბაღდადამდე და მოუწოდეს მათ დასახმარებლად და დასაცავად. როცა გაიგეს, რომ სულთანი მაჰმუდი იმყოფებოდა ჰამადანში, ისინი გაემართნენ მისკენ დახმარების სათხოვნელად და იგიც (სულთანიც) გაემართა აზერბაიჯანისაკენ და შეჩერდა თავრიზში... საიდანაც მან გაგზავნა ლაშქარი ქართველების წინააღმდეგ... იმ წელს (1123 წ.) ერთობ გაძლიერდა ქართველთა ბოროტმოქმედება ისლამის ქვეყნებში და ხალხი, განსაკუთრებით დერბენდ-შირვანის მოსახლეობა, დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ამიტომ მათი საზოგადოების ბევრი დიდებული [წარმომადგენელი] სულთანთან წავიდა და შესჩივლეს [თავიანთი გაჭირვება], რასაც განიცდიდნენ მათგან (ქართველებისაგან) და თან აცნობეს, რომ სუსტნი არიან და მათ თავიანთი ქვეყნის დაცვა არ შეუძლიათო. სულტანი გაემართა მათკენ“. ამრიგად, იბნ ალ-ასირის მიხედვით, შირვანში სულტნის მიერ მოწყობილი ლაშქრობა განუპირობებია, ერთი მხრივ, დიდგორის ბრძოლაში მათ დამარცხებას და მეორე მხრივ, დარუბანდ-შირვანის მოსახლეობის შევიწროებას ქართველების მიერ. სხვა მაჰმადიანი ისტორიკოსი კიდევ სულთანის ლაშქრობის მიზეზად, შირვანის საქართველოს ყმადნაფიცად შესვლის შემდეგ, სულთნის ხაზინისათვის ყოველწლიური ხარკის, 40.000 დინარის, შეწყვე-

ტას მიიჩნევდა. როგორც ჩანს, ყმადნაფიცი შირვანის ყოველწლიური ხარკი ამიერიდან საქართველოს სამეფოს ხაზინაში მიდიოდა.

როგორც ქართული, ასევე მაჰმადიანური წყაროებიდან ირკვევა, რომ იმჯერად გაქცეულ სულთანსა და დავითის ლაშქარს შორის ბრძოლა არ მომხდარა, დავით აღმაშენებელს ამჯერად სულთნის ლაშქრის დევნა არ უწარმოებია და არც ქ. შემახიის და არც სხვა ციხეების აღება უცდია; მაგრამ ერთი თვეც არ იყო გასული ამის შემდეგ, დავითი „კვლავ წარვიდა შარვანს, აღიღო გულისტანი... მოირთო (შემოიერთა) შარვანი", გაწმინდა ის თურქ-სელჩუკებისაგან და საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა. ამგვარად, მეზობელი შირვანიც (აზერბაიჯანიც) ამჯერად გადაურჩა თურქ დამპყრობელთა გამანადგურებელ ბატონობას.

მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი შირვანის სამეფოს შემოერთების საკითხი. დავით IV-ს შირვანისათვის სულთნის წინააღმდეგ გამართულმა ბრძოლამ კარგად დაანახვა, რომ შირვანს ყმადნაფიცობის პირობით ველარ შეინარჩუნებდა. საჭირო იყო კიდევ უფრო კატეგორიული ღონისძიების მიღება. ამით აიხსნება, რომ სომხეთის საკითხის ძირითადად მოგვარების შემდეგ, დავითმა ისევ გაილაშქრა შირვანს. „აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულიად ყოველი შარვანი და დაუტევა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი". როგორც ვხედავთ, მრავალწლოვანი ბრძოლა შირვანისათვის, დიდგორზე გამარჯვების შემდეგ, საქართველოს სამეფო ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის წარმატებით დამთავრდა — შირვანი მთლიანად გათავისუფლდა თურქი დამპყრობლებისაგან და საქართველოს შემოუერთდა, მის უმთავრეს ციხეებსა და ქალაქებში საქართველოს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი იქნა ჩაყენებული; ხოლო შირვანის „განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა (მეფემ) აჩინა მწიგნობართუხუცესი თვისი სვიმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი... კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი. და განაგო მეფემან ყოველნი საქმე შირვანისა, აღავსნა კეთილითა და საბოძვრითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი" — წერს დავითის ისტორიკოსი.

შირვანის შემოერთების დროიდან, როგორც ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, უნდა იყოს შემოტანილი ქართველ მეფეთა ტიტულატურაში „შირვანშაჰის" წოდებაც. მართლაც, დავითს (და ცხადია, მის მემკვიდრეებსაც) ამიერიდან შეეძლო თავისი თავისათვის ეწოდებინა არა მარტო „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა", არამედ აგრეთვე „შირვანშაჰიც", მაგრამ რადგან შირვანის შემოერთება დავითის მეფობის ბოლო, უკანასკნელ წელს,

უფრო სწორად, უკანასკნელ თვეებში მოხდა, ჩვენ სათანადო მასალა, სადაც მეფე ამ ტიტულითაც იყო მოხსენიებული, ვერ შემოგვენახა[10].

ამრიგად, შირვანის გათავისუფლება თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან და მისი შემოერთებაც დიდგორის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო.

* * *

დიდგორის ველზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საქართველოს სამეფოს წარმატებით შეეძლო ეწარმოებია აგრეთვე ბრძოლები მეზობელი სომხეთის ყოფილი სამეფოების ტერიტორიების თურქ დამპყრობელთაგან გათავისუფლებისათვის. დავით აღმაშენებელმა განძის დალაშქვრისა და შირვანში სულთნის წინააღმდეგ გამართული პირველი ბრძოლების შემდეგ, 1123 წელს, აიღო „ციხენი სომხეთისანი, ბაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მინასგომონი და ტალანჯიქარი". ასე დაიწყო საქართველოს ლაშქრის ძლევამოსილი ბრძოლები სომხეთის გასათავისუფლებლად. სომეხი ხალხი იმედის თვალით უყურებდა დავითის გამარჯვებებს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ყოველნაირად ხელს უწყობდა მის შემდგომ წარმატებებს. სწორედ სომეხმა თავკაცებმა მიიწვიეს დავით IV ქ. ანისიდან მაჰმადიან მფლობელთა გასადევნად და ქალაქის გასათავისუფლებლად.

ანის-შირაქის ყოფილი სამეფოს დედაქალაქი, მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკური ცენტრი ქ. ანისი, იმ დროს ქართული წარმომავლობის მაჰმადიან მფლობელებს — შედადიდებს ეპყრათ. დავითის დროს ანისის ერთ-ერთი მფლობელი მანუჩარი 1118 წ. გარდაიცვალა, ხოლო მისი ადგილი მისმა შვილმა აბულ-

---

10 ბოლო წლებში აზერბაიჯანულ სამეცნიერო ლიტერატურაში, განსაკუთრებით ა. ა. ალი-ზადეს წერილებით, გავრცელდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართული წყაროების მონაცემები საქართველოსა და შირვანის ზემოაღნიშნული დამოკიდებულების შესახებ ტენდენციურად არის გამოცხადებული და სავსებით უარყოფილია არა მარტო საქართველოს სამეფოს მიერ შირვანის შემოერთების ფაქტი, არამედ შირვანზე საერთოდ საქართველოს რაიმე პოლიტიკური გავლენაც კი. ამ და მსგავსი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, თვალსაზრისის შესახებ ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგან ამ საკითხისადმი მიძღვნილ საგანგებო ვრცელ წერილში დოც. ნ. ასათიანმა სათანადო პირველწყაროების (ქართული, სომხური, მაჰმადიანური) მოშველიებით, ნათლად უჩვენა აღნიშნულ მოსაზრებათა უნიადაგობა. აღსანიშნავია, რომ ზოგი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი (მაგ., ზ. ბუნიატოვი) იზიარებს დოც. ნ. ასათიანის წერილის ძირითად დასკვნებს და ამ საკითხზე უსაგნო კამათის გაგრძელებას საჭიროდ არ მიიჩნევს.

ასვარმა დაიჭირა. იგი ქალაქის მოსახლეობის მიმართ აგრესიულ პოლიტიკასა და რელიგიური შევიწროების გზას დაადგა. XIIIს. სომეხი ისტორიკოსის ვარდანის სიტყვით, ანისის ამ „ქალების მოყვარულმა და მამაცობას მოკლებულმა“ მფლობელმა, ქ. ხლათიდან მოატანინა ვერცხლისაგან საგანგებოდ გამოჭედილი უზარმაზარი ნახევარმთვარე (ვარდანი მას „უზარმაზარ ნალად“ მოიხსენიებს) და ბრძანა იგი დაედგათ სომხური „კათოლიკე ეკლესიის“ გუმბათზე. ამას გარდა, აბულ-ასვარმა, თურქი დამპყრობლების შიშით, გადაწყვიტა 60.000 დინარად ქ. ანისი ქ. კარის სელჩუკ ამირასათვის მიეყიდა. ყოველივე ამან ქ. ანისის ძირითადი, ქრისტიანული მოსახლეობის უკმაყოფილება და მღელვარება გამოიწვია, თურქი დამპყრობლების ანისში მოწვევით შეშინებულმა სომხებმა, ქ. ანისის მოსახლეობის თავკაცებმა, ანუ როგორც წყაროებშია მითითებული, „ანისის თავადებმა“ გადაწყვიტეს დახმარებისათვის მიემართათ საქართველოს მეფისათვის. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „აგვისტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანასა წყაროთა ზედა მდგომსა“. ამასვე ადასტურებს ვარდანის ცნობაც: ანისის „აღელვებული ქრისტიანების მიერ დავითის მოწვევისა და ქალაქის მისთვის მიცემის“ შესახებ. XII ს. სომეხი ისტორიკოსის ანელის ცნობითაც „ქალაქ ანისისა და შირაკის ოლქის [მცხოვრებლებმა] გადაწყვიტეს გამოსავალი ეპოვათ იმით, რომ თხოვნის ხელი გაეწოდათ ქართლის მეფისათვის — დავითისათვის. მათ უღალატეს ამირა აბულ-სუვარს მანუჩარის ძეს, რომელიც ფლობდა ქალაქს მამის სიკვდილის შემდეგ და გაუღეს რა ქალაქის კარი, შემოუშვეს შიგნით ის მეფე [დავითი]“.

დავით IV-მ, როგორც კი მიიღო „ანელ თავადთა“ (თავკაცთა) მოწვევა, მაშინვე გასცა განკარგულება სამეფოში ლაშქრის სასწრაფოდ „წვევის წიგნები“ დაეგზავნათ. მართლაც, სამი დღის შემდეგ, ისტორიკოსის სიტყვით, მეფეს „სამოცი ათასი მხედარი წინაშე უდგა. წარემართა და ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“. ანისისა და მისი „მიმდგომი ქვეყნების“ აღება და გათავისუფლება, როგორც ქართველი ისტორიკოსი წერს, „უჭირველად“ დიდი სიძნელეების გარეშე მომხდარა. ამასვე ადასტურებენ სომეხი ისტორიკოსებიც; მაგ., სამუელ ანელის მიხედვით, „მაშინ შესვლისას (ქალაქის აღებისას) ერთ სულსაც არ მოსვლია სისხლის ზიანი“. და ეს იმიტომ, რომ ქართველთა ლაშქრობა ანისსა და მის „მიმდგომ ქვეყნებში“ გამათავისუფლებელი ლაშქრობის ხასიათს ატარებდა და სომეხი ხალხის დიდი ხნის სურვილის განხორციელებას ისახავდა მიზნად. ამიტომ იყო, რომ ანისის გათავისუფლებას დიდი სიხარულით შეხვდა სო-

მეხი ხალხი. ჩვენ მიერ ზემოხსენებული, XII ს. სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი აღფრთოვანებით წერდა: „განთავისუფლდა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანისი, რომელიც ტყვეობაში იყო სამოცი წელი და დიდებული და დიდი ეკლესია ანისისა, წმინდა კათოლიკე, რომელიც მიზგითად გადაექციათ. [დავითმა] შეკრიბა ეპისკოპოსები, ხუცესები და ბერები სომეხთა ქვეყნისა და აკურთხა წმინდა კათოლიკე დიდი ზეიმით. და იქმნა სიხარული ყოვლისა სახლსა სომეხთასა, რამეთუ ნახეს წმინდა კათოლიკე გათავისუფლებული მონობისაგან“... „და იყო დავით მეფე წმიდა და სათნო ყოვლად შემკული ღმთის მოსავობითა და კეთილი სამართლიანობით. იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოყვარული სომეხთა ტომს“... „დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“.

ქ. ანისი და მისი „მიმდგომი ქვეყანა“, ისე როგორც ადრევე გათავისუფლებული ლორე და ლორე-ტაშირის ყოფილი სამეფოს ტერიტორიები, დავით აღმაშენებელმა საქართველოს შემოუერთა; ანისის მცველად კი, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, „დაუტევნა აზნაურნი მესხნი“, ხოლო ქალაქისა და მისი ქვეყნების განმგებლობა, ვარდანის მიხედვით, ქართველ დიდებულებს, აბულეთსა და მის შვილს ივანეს, ჩაბარა. ანისის ყოფილი მფლობელი აბულასვარი კი, თავისი რვა შვილით, ზოგი ცნობით, აფხაზეთის ჭაობიან, ციებცხელებიან ადგილებში გაგზავნა. სხვა ცნობით კიდევ — თბილისს ჩამოიყვანა.

ანისის გათავისუფლებისა და შემოერთების შემდეგ დავითმა, ვარდანის ცნობით, კიდევ უფრო განავრცო საქართველოს საზღვრები, დაიპყრო ვანანდისა და არარატის პროვინციაში მდებარე ოლქები, ყველა ქვეყანა, რომელიც კი ერთ დროს სომეხთა მეფეებს — კვირიკესა და აბასს — ეკუთვნოდათ, კავკასიის მთა და ქვეყნები თვით კასპიის ზღვამდე, ხაბანდა დიდი სომხეთის არცახის პროვინციაში და სხვა.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის დროს გათავისუფლდა და საქართველოს უშუალოდ შემოუერთდა თურქ-სელჩუკების მიერ დაპყრობილი სომხური პროვინციების ძირითადი ნაწილი. ქვეყანაში შეიქმნა მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი ცხოვრების პირობები. ამასთან ერთად, დაიწყო ჯერ კიდევ უცხოელთა ბატონობის ქვეშ მყოფ სომეხთა მასობრივი გადასახლება და დამკვიდრება საკუთრივ საქართველოსა და მის მიერ შემომტკიცებულ პროვინციებში; სომხეთის უმთავრესი ოლქებისა და ქალაქების საქართველოსთან შეერთების დროიდან დადგა ახალი ხანა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობაში — მათი კავშირის ახალი ფორმების შემდგომი განმტკიცებისა და ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოების ხანა. ეს კიდევ

ერთი დიდი ისტორიული მნიშვნელობის შედეგი იყო დიდგორის ველზე მოპოვებული გადამწყვეტი გამარჯვებისა.

შირვანისა და სომხეთის შემოერთებით, ჩრდილო კავკასიის ხალხებზე ყმადნაფიცობის ხელის დადებით და საქართველოს გავლენის გაძლიერებით არსებითად დაიწყო საქართველოს მეთაურობით ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ხანგრძლივი ისტორიული პროცესი. ამას მოითხოვდა, ერთი მხრივ, ცალკეული სამეურნეო ოლქების ეკონომიკური დაახლოების ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ, მრავალრიცხოვან უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანების, ერთიანი თავდაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

* * *

თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებულმა წარმატებებმა, დამპყრობლების განდევნამ, სომხეთისა და შირვანის დიდი ნაწილის განთავისუფლება-შემოერთებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა საქართველოს სამეფოს პოლიტიკური საზღვრები და გაზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტიც. საქართველოს სამეფო, იმდროინდელი წყაროების მიხედვით, ვრცელდებოდა „ნიკოფსითგან (დღევანდელი კრასნოდარის მხარეში, სოჭსა, და ტუაფსეს შორის) დარუბანდამდის (დღევანდელი დერბეტის საზღვრამდე) და ოვსეთიდან (იგულისხმება ჩრდილო ოსეთი) არეგაწამდე“ (სომხეთში). დავით აღმაშენებელი უკვე საკმაოდ ვრცელი და ძლიერი ქვეყნის მეფე იყო. თავისი სიძლიერე საქართველოს სამეფომ ჯერ კიდევ დიდგორის ბრძოლაში დაამტკიცა.

კიდევ უფრო გაიზარდა გაძლიერებული საქართველოს სამეფოს საერთაშორისო გავლენა. მისი შორეული თუ ახლო მეზობელი ქვეყნები იძულებულნი ხდებოდნენ ანგარიში გაეწიათ მისთვის. მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანი მფლობელები ხომ არაერთგზის თვითვე დარწმუნდნენ მის უძლეველობაში: „არავინ წინ აღუდგა მას (საქართველოს მეფეს),—წერს დავითის ისტორიკოსი,—რამეთუ თვით სულთანი სადაც არ უნდა ყოფილიყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა და არცაღა თვით ძველად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა მიიჩნეოდა თავის ქონებად“ და რა შორსაც არ უნდა ყოფილიყო დავით მეფე, სულთანს მაინც „ეოცებოდა (თვალწინ ედგა) მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკვდილი“-ო.

დავით აღმაშენებლის მიერ არაერთხელ დამარცხებული მაჰმადიანი მფლობელები, რაკი იარაღით ვერაფერს გახდნენ, ათასგვარი საჩუქრებითა და ძღვენით ეძიებდნენ მისგან მშვიდობასა და მეგობრობას. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, მეფის შიშით ძილგამკრთალი სულთანი „ზედიზედ წარმოავლენდა მოციქულებს ძღვენით მის (დავითის) დასამშვიდებლად და აგზავნიდა დიდ საგანძურს, ძვირფასს, მრავალფერს, უცხო და იშვიათად საპოვნელ ფრინველებსა და ნადირთ და ეძებდა მშვიდობასა და სიყვარულს და ყივჩაყთაგან დაურბევლობას. არაფრად მიიჩნევდა წარსაგებლის სიმრავლეს (ხარჯის სიდიდეს), ოღონდ თვითონ მოეპოვებინა სიმშვიდე და სიცოცხლე თავისა თვისისაო“. ამრიგად, ერთ დროს საქართველოზე გაბატონებული სულთანი, ამჯერად მის მეფესთან უთვალავი ძღვენითა და საჩუქრებით მშვიდობის მაძიებელი, არსებითად საქართველოს სამეფოს მოხარკედ იყო ქცეული. ამიტომ ამბობდა დავითის ისტორიკოსი — მეფეზ „ს ულ ტ ა ნ ი დ ა ს ვ ა მ ო ხ ა რ კ ე დ თ ვ ი ს ა ო“.

დავით IV-ის მიერ მაჰმადიანურ სამყაროსთან დამყარებული ასეთი ურთიერთობის შემდეგ, გაუგებრად უნდა მივიჩნიოთ ზოგი მკვლევარის თვალსაზრისი დავითისა და მისი მემკვიდრის, დემეტრე I-ის დროის საქართველოზე მუსლიმანობის დიდი გავლენისა და მუსლიმანებისადმი ვასალობის შესახებ. ჯერ კიდევ ცნობილი ნუმიზმატი ე. პახომოვი, დემეტრე I-ის ზემოაღნიშნულ მონეტაზე ხალიფასა და სულთნის სახელების მოხსენიების მიხედვით, მივიდა ამგვარ დასკვნამდე. მისი აზრით, საქართველოს მეფე იძულებული გამხდარა ეცნო თავისი ვასალური დამოკიდებულება მუსლიმანი მფლობელებისადმი. ივ. ჯავახიშვილმა 1912 წ. თავის რეცენზიაში ე. პახომოვის ნაშრომზე ნათლად უჩვენა ამგვარი მოსაზრების არასწორობა და მიუთითა, რომ ქართულ მონეტებზე მუსლიმან მფლობელთა მოხსენიება პოლიტიკური დამოკიდებულების შედეგი არ ყოფილა, რომ ამგვარი წარწერები ქართულ მონეტებს უცხოელთა შორის საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც, განსაკუთრებით მაჰმადიანურ აღმოსავლურ სამყაროში, ფართო, თავისუფალი მიმოქცევის საშუალებას აძლევდა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი დღესაც იმეორებს ამ არასწორ მოსაზრებას. ინგლისელი მეცნიერის, ვ. მინორსკის აზრით, საქართველოს მეფის მიერ თბილისის მაჰმადიანური მოსახლეობისადმი მინიჭებული ისეთი შეღავათები, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი და დავითის ასე ფრთხილი დამოკიდებულება მუსლიმანი ქვეშევრდომებისადმი აიხსნება მუსლიმანთა დიდი გავლენით თბილისზე (განსაკუთრებით მისი შემოერთების შემდეგ) და საერთოდ საქართველოზე. ამის საბუთად ვ. მინორსკი ასახელებს იმდროინდელ საქართველოში არაბული ენის გამოცხადებას უმთავრეს დიპლო-

მატიურ, მეზობლებთან ურთიერთობის ენად, არაბული წარწერების გაჩენას ქართულ მონეტებზე, ბიზანტიური ტიპის ფულების მაგიერ მუსლიმანური ტიპის მონეტების მოჭრას და ქართველ მეფეთა ბიზანტიური ტიტულების გაქრობას.

საქართველოს სამეფოსა და აღმოსავლეთის მაჰმადიანი მფლობელების ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით კიდევ უფრო შორს წავიდა და არასწორ დასკვნამდე მივიდა რუსი მკვლევარი ო. ვილჩევსკი. მისი მტკიცებით, ე. პახომოვმა უდავოდ დაადასტურა დემეტრე I-ის ვასალური დამოკიდებულება აბასიდ ხალიფებისა და ირანელ-სელჩუკ სულთნებისადმი. ხოლო ივ. ჯავახიშვილის საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომელიც შემდეგ უკრიტიკოდ გაიმეორეს ა. ბიკოვამ და დ. კაპანაძემ, „მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს". ო. ვილჩევსკიმ თავის ამ თვალსაზრისის გასამტკიცებლად „ახალი საბუთიც" მოიშველია, რომელიც მისი აზრით, სავსებით ნათელს ხდის დემეტრე I-ის მონეტებზე გაკეთებული წარწერების მნიშვნელობას. ეს „ახალი საბუთი" დემეტრე I-ის თანამედროვის და მეხოტბის შირვანელი პოეტის ფალეკის ოდის ერთ-ერთი ადგილია, სადაც დემეტრე I თურმე „ხარკის დასავლეთიდან აღმოსავლეთში მომტანად" არის გამოცხადებული. ეს კი, ო. ვილჩევსკის დასკვნით, იმას ნიშნავს, რომ „დემეტრე დავითის ძე, ბაგრატიონთა საგვარეულოდან" სელჩუკებს ხარკს უხდიდა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ დავითის, დემეტრე I-ის თუ გიორგი III-ის და სხვების მიერ მოჭრილი მონეტები, არაბული წარწერებითა და მაჰმადიან მფლობელთა სახელების მოხსენიებით, საქართველოს მეფეების მეზობელ მაჰმადიან მფლობელებთან დამოკიდებულების ფორმების განსასაზღვრად არ გამოდგება.

ეს სავსებით ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ მსგავსი არაბულწარწერიანი და მუსლიმანური ტიპის მონეტები იჭრებოდა არა მარტო საქართველოში, რომელსაც უშუალო კონტაქტი ჰქონდა მაჰმადიანურ სამყაროსთან, არამედ საკმაოდ შორეულ ევროპულ ქვეყნებში და ისეთ სამეფოებსა და სამთავროებში, რომლებიც „ჯვაროსნულ ომს" უცხადებდნენ მაჰმადიან მფლობელებს. მაგალითად, ჰერცოგმა რობერტ სიცილიელმა (1072—1085 წწ.) მის მიერ მოჭრილი მუსლიმანური ტიპის მონეტაზე არაბული წარწერებით მოიხსენია არა მარტო თავისი, არამედ აგრეთვე მუჰამედის სახელიც. ამგვარადვე, სიცილიის პირველი მეფის როჟერ II-ის (1130—1154), საერთოდ, მუსლიმანური იერის არაბულწარწერიან მონეტაზე მოხსენებულია ფატიმიანი ხალიფა. მსგავს მონეტებს ჭრიდნენ ნორმანდიის მეფეები ვილჰელმ I (1066—1087), ვილჰელმ II (1153—1189) და ტანკრედი II (1189—1194); ხოლო შემდეგ, იმპერატორების — ჰენრიხ IV-ის

(1194—1197) და ფრიდრიხ II-ის (1197—1220) დროს, სამხრეთ იტალიისა და სიცილიის მონეტებზე, მართალია, ხალიფას სახელი არ მოიხსენებოდა, მაგრამ ჩვეულებრივ ამოკვეთილი იყო არაბული წარწერები და სიმბოლოები ქრისტიანულთან ერთად.

ამას გარდა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ რომის პაპები პალესტინის ეპისკოპოსებს წინადადებას აძლევდნენ ეკლესიიდან მოეკვეთათ ყველა ის, ვინც კი იერუსალიმის სამეფოში, ანტიოქიის სამთავროში თუ ტრიპოლიის საგრაფოში მოჭრიდა მონეტებს მუჰამედის სახელით. ცნობილია, რომ პაპის ამგვარ მითითებებს ანგარიშს არავინ უწევდა და აღმოსავლეთის ჯვაროსნულ (ევროპულ) სამეფოებსა და სამთავროებში გრძელდებოდა მონეტების მოჭრა არაბული წარწერებითა და მუჰამედისა და ხალიფას სახელების მოხსენიებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არავის მოსვლია აზრად, რომ სიცილიის, ნორმანდიის, იტალიისა თუ სხვა შუა საუკუნეების ევროპული თუ ჯვაროსნული აღმოსავლური სახელმწიფოების მეფე-მთავრები აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელთა ვასალებად და მოხარკეებად გამოეცხადებინა.

ამრიგად, აშკარაა, რომ მუსლიმანური ტიპის არაბულწარწერიანი მონეტები, მუჰამედისა და ხალიფას სახელით, საქართველოსა თუ ევროპის ქვეყნებში იჭრებოდა არა ამ სახელმწიფოების აღმოსავლეთის მაჰმადიანი მფლობელებისადმი ვასალური დამოკიდებულების გამოსახატავად, არამედ იმ საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ამ დროისათვის ასე ფართო ხასიათი ჰქონდა.

ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება ზედმეტი იყოს, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ ორიოდე სიტყვით შეევეხოთ ო. ვილჩევსკის მიერ ასე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ მიჩნეულ საბუთსაც — შირვანელი პოეტის, ფალაკის სახოტბო სიტყვებს.

ფალაკი, ისე როგორც მისი მასწავლებელი ხაკანი, დემეტრე I-ის მეხოტბე იყო. დემეტრე I-ის გარდაცვალებას ფალაკიმ საგანგებო ოდა უძღვნა, სადაც სხვათაშორის ნათქვამია:

„მეფეთა-მეფე (შაჰინშაჰი) აფხაზეთისა და შაქისა (დემეტრე), მ ე უ ფ ე ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ი ს ა (ეს ფ რ ა ზ ა ო. ვ ი ლ ჩ ე ვ ს კ ი ს გ ა მ ო ტ ო ვ ე ბ უ ლ ი ა ქ ვ ს), რ ო მ ე ლ მ ა ც ხ ა რ კ ი (ბ ა ჟ ი) მ ო ი ტ ა ნ ა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ შ ი დ ა ს ა ვ ლ ე თ ი დ ა ნ“.

ფალაკის ოდა, ირანული სახოტბო პოეზიისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ ყასიდას წარმოადგენს და ცხადია, მასში რეალური ისტორიული შინაარსის დანახვა გაძნელდებოდა. როგორც ვხედავთ, ფალაკი დემეტრე I-ს „ჰორიზონტების“, „სამყაროს მთელი თვალსაწიერის მეუფედ“ მიიჩნევს. ქვემოთ კიდევ, საქართველოს მეფე მის მიერ

„ქრისტეს მახვილად, მთელი ციურ სამყაროთა თავის ბრწყინვალე დროშის ქვეშ გამაერთიანებლად“ არის გამოცხადებული. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია რეალური ისტორიული ვითარების ამსახველად მივიჩნიოთ. მაგრამ თუ ო. ვილჩევსკის მსგავსად ფალაკის ზემომოტანილ სიტყვებში მაინც რეალური შინაარსის ძებნას დავიწყებთ, სავსებით საწინააღმდეგო დასკვნა უნდა გაგვეკეთებინა: ჯერ ერთი, ფალაკის მიერ „მიწიერი და ზეციური სამყაროს“, „მთელი ჰორიზონტის“ მეფედ მიჩნეული დემეტრე როგორ შეიძლებოდა მუსლიმან მფლობელთა მოხარკედ წარმოგვედგინა; ან კიდევ, რა საფიქრებელია, რომ თვით ფალაკის, რომელმაც არ დაიშურა სახოტბო სიტყვები დემეტრეს სიძლიერისა და სიდიდის შესაქებად, მის მიერ ასე განდიდებული მეფე, მასვე, ამავე საგანგებო ოდაში სხვების მოხარკედ გამოეცხადებინა.

ამას გარდა, საქმე შეიძლება იმაშიც იყოს, რომ „აღმოსავლეთში“, რომელსაც ამ შემთხვევაში ფალაკი იხსენიებს და სადაც დემეტრე I-მა „მ ო ი ტ ა ნ ა“ ხარკი დასავლეთიდან“, სწორედ იმ დროის პოლიტიკური საქართველო (რომელშიც ფალაკის სამშობლო შირვანიც ივარაუდებოდა) იგულისხმებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმდროინდელ წყაროებში (მათ შორის ქართულშიც) საქართველო „დასავლეთისაგან“ („ბიზანტიისაგან და მისი ყოფილი მცირეაზიური ტერიტორიებისაგან) განსხვავებულად „აღმოსავლეთად“ მოიხსენიებოდა. ამას გარდა, არ არის გამორიცხული ისიც, რომ ფალაკი შირვანელი, რომელმაც ასე საგანგებო ოდა შექმნა დემეტრეს გარდაცვალების გამო, მისი დაკრძალვის დროს სწორედ საქართველოში ყოფილიყო; ამაზე უნდა მიგვითითებდეს ამ შემთხვევაში ნახმარი ზმნა „მ ო ი ტ ა ნ ა“ (სპარს. „ა ვ ა რ დ“).

ასე რომ, თუკი ფალაკი შირვანელის ოდაში რეალური ვითარების ძებნას დავიწყებდით, დემეტრე I სხვა ქვეყნებიდან, „დასავლეთიდან“, ხარკის „აღმოსავლეთში“ (საქართველოში) „მომტანად“ უნდა მიგვეჩნია და არა პირიქით — აღმოსავლეთის მაჰმადიანი მფლობელებისადმი ხარკის „მ ი მ ტ ა ნ ა დ“, როგორც ეს ო. ვილჩევსკის წარმოუდგენია.

ამრიგად, დავით აღმაშენებელი თუ მისი მემკვიდრე, რომელნიც თავიანთ თავს „მესიის (ქრისტეს) მახვილს“ უწოდებდნენ და რომლებმაც მოღვაწეობის მთელი წლები თურქ დამპყრობლებისაგან, მათი ბატონობა-გავლენისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეალიეს და ამ ბრძოლაში გადამწყვეტი გამარჯვებებიც მოიპოვეს XII ს., საქართველოს ისტორიის გაყალბება იქნებოდა მუსლიმანების გავლენის თუ მოხარკეობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს მეფეებად ჩაგვეთვალა. მაგრამ თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც აღვნიშნეთ, მაჰმადიანურ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტას კი არ ნიშ-

ნავდა, არამედ ამ კავშირის ახალი სახით გაგრძელებასა და გაღრმავებასაც. არაბულწარწერიანი და მუსლიმანური ტიპის მონეტების მოჭრა, არაბული ენის ასეთი მდგომარეობა თუ მეფეთა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების გაქრობა საქართველოზე მუსლიმანობის გავლენის გაზრდით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ იმდროინდელი საქართველო უმთავრესად მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში იმყოფებოდა და ამ გარემოსთან ეკონომიკური თუ პოლიტიკური ერთიანობა ასეთი ღონისძიების გატარებას მოითხოვდა. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დავით აღმაშენებელი არა მარტო არაბულწარწერიან, არამედ მხოლოდ ქართულწარწერიან მონეტებსაც ჭრიდა, როგორც ეს ამ ბოლო წლებში გამოარკვია ინგლისელმა მეცნიერმა დ. ლანგმა. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ დავით აღმაშენებლის დროიდან გაქრა არა მარტო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები, არამედ მასთან ერთად ყველა ის სიმბოლური ნიშანიც, რაც საქართველოსა და მისი მეფის რომელიმე უცხო სახელმწიფოსაგან დამოკიდებულებას გამოხატავდა.

* * *

დიდგორის ველზე და საერთოდ თურქ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში დავით IV-ის მიერ მოპოვებულმა ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებმა კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხებზე. საქართველოს როლი ამ ხალხების შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურაში კიდევ უფრო გაიზარდა დავითის მეფობის ბოლო წლებიდან, განსაკუთრებით დიდგორის შემდეგ. კიდევ უფრო განმტკიცდა კიევის მთავრისა და საქართველოს მეფის ურთიერთობა განსაკუთრებით დავითის მემკვიდრის, დემეტრე I-ის დროს. ზოგი მკვლევარის აზრით, კიევის მთავრის ფართო, საერთაშორისო საეკლესიო ბრძოლაში საქართველოც იღებდა მონაწილეობას და საეკლესიო საკითხის გადაწყვეტაში მხარს უჭერდა კიევის მთავარს. გაძლიერებულ საქართველოსთან კავშირის შემდგომ განმტკიცებას ისახავდა მიზნად, ცხადია, კიევის მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძის ქორწინება საქართველოს მეფის ასულზე. კიევის მთავარი საქართველოს სამეფო სახლთან დამოყვრებით ფიქრობდა თავისი სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრების სიმშვიდის უზრუნველყოფას, ყივჩაყთა თავდასხმების თავიდან აცილებას, მით უფრო, რომ ყივჩაყები საქართველოს გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი და კიევში

დიდის პატივით ჩაყვანილი ქართველი მეფის ასულიც ხომ დედით ყივჩაყთა მთავარის ათრაქა შარაღანისძის შვილიშვილი იყო.

დავითის მიერ წარმოებულ ფართო შეტევებს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, ძლევამოსილ გამარჯვებას დიდგორში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთის ჯვაროსნული სახელმწიფოების მეფე-მთავრებისათვის, კერძოდ, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის. ამიტომ იყო, რომ ისინი დავითსა და მის ქვეყანას თავიანთ „წინა ბურჯად" თვლიდნენ თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამითვე აიხსნება აგრეთვე, რომ თურქ-სელჩუკებმა ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მოპოვების ერთ-ერთ პირობად გაძლიერებული საქართველოს მეფის დამარცხება, მისი თავიდან მოშორება მიიჩნიეს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ფრანგი კანცლერის სიტყვით, დიდგორთან გამარჯვება ილღაზს შესაძლებლობას მისცემდა თავისუფლად შესდგომოდა „ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანობის ამოწყვეტას". მაგრამ დიდგორის ველზე ილღაზისა და კოალიციური ლაშქრის დამარცხებამ თურქთა ეს გეგმები ჩაშალა. საქართველოს გამარჯვებამ გამათავისუფლებელ ომში ხელი გაუმართა ჯვაროსნებს ახლო აღმოსავლეთში, თურქთა ძალები შეასუსტა და დაქსაქსა. ილღაზმა ვერ შეძლო ჯვაროსნების წინააღმდეგ XII ს. 20-იან წლებში წარმატებით დაწყებული ბრძოლების გაგრძელება, მან, როგორც მხედართმთავარმა და პიროვნებამ, არსებითად დიდგორის ველზე დაამთავრა თავისი მოღვაწეობა და ცხოვრებაც. 1122 წ. იგი (იქნებ დიდგორს მიღებული ჭრილობისაგან) გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ზემოხსენებული გერმანელი ისტორიკოსი კუგლერი XII ს. 20-იან წლებში ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლებში არაერთხელ გამარჯვებული ილღაზის დაცემას დიდგორის ამბებს უკავშირებს. მისი სიტყვით, სწორედ იმ დროს, როცა ილღაზმა დიდ წარმატებებს მიაღწია ჯვაროსნებთან ბრძოლაში, მას ჩრდილოეთში გამოუჩნდა მრისხანე მოწინააღმდეგე საქართველოს მეფის, დავითის სახით, რომელმაც სისხლისმღვრელ ბრძოლაში სასტიკად გაანადგურა ილღაზი და ამით მის მიერ არაერთხელ დამარცხებულ ჯვაროსნებს ამოსუნთქვის შესაძლებლობა მისცა.

დიდგორის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების საერთაშორისო მნიშვნელობაზე მიგვითითებს აგრეთვე ის გამოხმაურებანიც, რაც ამ გამარჯვებამ პოვა იმდროინდელი ევროპული სახელმწიფოების შესაბამის ქრონიკებში. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საქართველოსთან ევროპელების ურთიერთობა ჯვაროსნებისა და საქართველოს ურთიერთობით არ უნდა ყოფილიყო შემოფარგლული — გაძლიერებულ აღმოსავლურ ქრისტიანულ ქვეყანასთან, საქართველოსთან კავშირის მაძიებელი დასავლეთ ევროპის ზოგი სახელმწიფოც უნდა ყოფილიყო, მაგრამ საა-

მისო სათანადო წყაროები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის გამომზეურებული.

დიდგორის ბრძოლის შემდეგდროინდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზემოგაკეთებული მოკლე მიმოხილვიდან კარგად ჩანს ის დიდი საერთაშორისო ასპარეზი, რომელზედაც იმ დროისათვის საქართველო აღმოჩნდა. შექმნილი საერთაშორისო ვითარების მეტ-ნაკლებად სწორ ასახვად შეიძლება მივიჩნიოთ დავითის ისტორიკოსის მიერ საქართველოს იმდროინდელი მეფის შესახებ ხატოვნად ნათქვამი შემდეგი სიტყვები: დავითის „ა ჩ რ დ ი ლ ს ა (ჩრდილქვეშ, საფარველქვეშ) შ ე კ რ ე ბ ი ლ ი ყ ვ ნ ე ს ე რ ნ ი, ტ ო მ ნ ი და ე ნ ა ნ ი, მ ე ფ ე ნ ი და ხ ე ლ მ წ ი ფ ე ნ ი ო ვ ს ე თ ი ს და ყ ი ვ ჩ ა ყ ე თ ი ს ა ნ ი, ს ო მ ხ ე თ ი ს ა და ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ა ნ ი (ე ვ რ ო პ ი ს ა ნ ი), შ ა რ ვ ა ნ ი ს ა და ს პ ა რ ს ე თ ი ს ა ნ ი“.

თურქ-სელჩუკებზე გადამწყვეტ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც. იგი მოასწავებდა პროგრესული, ინტენსიური მეურნეობის გამარჯვებას პრიმიტიულ-ექსტენსიურ მეურნეობაზე. თურქებისა და მათი ჯოგების განდევნამ, ბრძოლის ასპარეზის საქართველოს საზღვრებს იქით გატანამ ქართველი გლეხი დაუბრუნა თავის მამაპაპეულ მიწა-წყალს და მას დოვლათის მშვიდად წარმოების შესაძლებლობა შეუქმნა. კიდევ უფრო დაწინაურდა და გაფართოვდა ხელოსნობა და ვაჭრობა, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. მართალია, ზოგმა ქალაქმა დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა დაკარგა, მაგრამ ძლიერი მეფის მფარველობის ქვეშ მყოფმა, კიდევ უფრო გააფართოვა საშინაო თუ საგარეო ვაჭრობა. ძლიერი სამეფო ხელისუფლება უზრუნველყოფდა ვაჭრის პიროვნებისა თუ ქონების დაცვას, სავაჭრო გზების კეთილმოწყობასა და უშიშროებას. დავით აღმაშენებელმა ამ მხრივაც არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა, მაგრამ მასზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ფეოდალური საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა იმ დროისათვის იმდენად დიდი იყო, რომ დავითის ისტორიკოსი აღფრთოვანებით წერდა: „ვგონებ, ვითარმედ მამათა და პაპათაგან (მათ დროს) წაღებულნი ქვეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი, მრავალწილად უკუმოიზღუნა (უკანვე დაიბრუნა) ამან (მეფემ) ხმნემან. დამშუიდა ქვეყანა, აღივსო და გარდაეცა (მოიფინა) ყოვლითა კეთილითა, განავსო და აღაშენა ყოველი ოხერქმნილი (გაუკაცრიელებული) და გარდაემეტა ყოველთა ჟამთა (დროს) მშვიდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩვენი, ნაცვლად გარდასულთა ოხრებათასა“-ო.

როგორც ვხედავთ, ყველა ამ წარმატებასა და გამარჯვებას, მტრების მიერ მიტაცებული ტერიტორიების მრავალწილად უკან დაბრუნებას, მშვიდობის დამყარებას, გაოხრებულ ადგილთა მოშენებას, ქვეყნის დოვლათით ავსება-გამდიდრებას დავითის ისტორიკოსი საკუთრივ მეფეს მიაწერს და მისი პიროვნული ღირსებით ხსნის. ნამდვილად კი ყველაფერი ეს ქართველი ხალხის სისხლით, შრომითა და ოფლით იყო მოპოვებული. ხალხი იყო საშინაო თუ საგარეო გამარჯვების შემოქმედი, ქვეყნის ძლიერების ფუძე, მისი ხმალი და გუთანი; მაგრამ ამ ხალხს მაორგანიზებელი, წარმმართველი ძალა სჭირდებოდა. ასეთ ძალას კი ფეოდალურ ქვეყანაში მეფე და მისი ხელისუფლება წარმოადგენდა. ცხადია, ბევრი იყო დამოკიდებული სამეფო ხელისუფლების გონივრულობასა და უნარიანობაზე, ხალხის დიდი ძალის სწორი, კანონზომიერი გზით წარმართვაზე, ამიტომ ფეოდალური ხანის ოფიციალური ისტორიკოსები მხოლოდ მეფესა და მის ძალას ხედავდნენ, ხალხს კი ივიწყებდნენ, მათი გმირობისა და თავდადების შესახებ არაფერს ამბობდნენ. ამით აიხსნება, რომ ჩვენს ძველ საისტორიო თხზულებებში არ ჩანს იმ ქართველ გმირთა, ხალხის შვილთა სახელები, რომელთაც თავი დასდეს დიდგორის ველზე თუ სხვა ბრძოლებში და თავგანწირვით უზრუნველყვეს თავისი ხალხის გამარჯვება, მისი ნათელი მომავალი.

* * *

დიდგორის ველზე მომხდარი „ძლევაჲ საკვირველი“ იმდენად დიდმნიშვნელოვანი იყო და ისე ფართო გამოხმაურება პოვა იმდროინდელ მსოფლიოში, რომ ამ ბრძოლასა და დავით აღმაშენებელზე შეიქმნა და გავრცელდა სხვადასხვაგვარი ლეგენდები. ასეთი ლეგენდების წარმოშობას ხელს უწყობდა სხვადასხვა ენაზე დაწერილი საისტორიო მოთხრობები თუ წერილები დავითისა და ამ სახელგანთქმული ბრძოლის შესახებ. დიდგორის ბრძოლაში დავითის ლაშქრის მიერ მოპოვებული გამარჯვების შესახებ წერდნენ ამ ამბების თანამედროვენი ქართულად, სომხურად, არაბულად და ლათინურად, ე. ი. იმ დროის მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ „საკვირველი ძლევის“ შესახებ ცნობები ვრცელდებოდა მსოფლიოს ყველა კუთხეში.

დავითისა და დიდგორის ბრძოლის შესახებ გავრცელებულმა ამგვარმა ცნობებმა და იმ ურთიერთობამ, რომელიც საუკუნის მანძილზე საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის არსებობდა, როგორც ჩანს, დასაბამი მისცა ფართოდ გავრცელებულ ლეგენდას „მეფე-მღვდელმთავარ იოანეზე“. ეს ლეგენდა წარმოიშვა ჯვაროსანთა ლაშქრობების ხანაში

და გავრცელდა ჩინელებში, თურქებში, მონღოლებში, სპარსელებში, ინდოელებში, არაბებში, სომხებსა და ყველა იმ ევროპელ ხალხშიც, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ჯვაროსნულ ომებში. ლეგენდამ ლიტერატურული გზით შეაღწია რუსეთშიც. ასე რომ, იგი ფაქტიურად მთელ მსოფლიოში ფართოდ მოარულ ლეგენდად არის მიჩნეული. მისი ერთ-ერთი უძველესი ვარიანტი მოტანილია გერმანელი მემატიანის ოტო ფრაიზინგენის ქრონიკაში. მისი შინაარსი, ქრონიკის მიხედვით ასეთია: „ყაბალას კათოლიკე ეპისკოპოსი 1145 წელს ევროპაში ჩამოვიდა, რათა პაპისთვის შეეჩივლა სხვადასხვა საქმეთა შესახებ და ამავე დროს გერმანიის იმპერატორი და საფრანგეთის მეფე აემოძრავებინა მოკლე ხნის წინათ დაკარგული ედესის ხელახლა დაპყრობისათვის. ამასთან, ყვებოდა იგი: რამდენიმე წლის წინათ ვიღაც მეფე და ბერი იოანე, რომელიც სპარსეთისა და სომხეთის გაღმა, უკიდურეს აღმოსავლეთში ცხოვრობს და თავის ხალხთან ერთად ქრისტიანულ, მაგრამ ნესტორიანულ[11] ეკლესიას ეკუთვნის, სპარსელთა და მიდიელთა მეფე ძმებს სახელად სემიარდად ცნობილთ, თავს დაესხა და მათი რეზიდენცია ეკბატანი... დაიპყრო, დასახელებული მეფეები (ძმები) თავიანთი სპარსული, მიდიური და ასურული ჯარებით გაემართნენ მის წინააღმდეგ: ბრძოლა სამი დღე გაგრძელდა, ვინაიდან ორივე მხარე გაქცევას სიკვდილს არჩევდა. და ბოლოს, მღვდელმთავარმა იოანემ, რომელსაც ასე უწოდებენ ჩვეულებრივ, სპარსელები გააქცია და გაიმარჯვა. ამ გამარჯვების შემდეგ... მღვდელმთავარ იოანეს სურდა სწრაფად დახმარებოდა იერუსალიმის ტაძარს, მაგრამ ჯარი, რომელიც ტიგროსს მიადგა, ვერ გადავიდა გადასასვლელების უქონლობის გამო, შემდეგ იგი ჩრდილოეთით მიბრუნდა, ვინაიდან მას მოახსენეს, რომ იქ მდინარე ყინულითაა დაფარულიო“.

ამ ლეგენდამ საუკუნეთა მანძილზე მრავალგვარი ცვლილება განიცადა, რაც აძნელებს იმ ისტორიული პიროვნების ამოცნობას, რომელიც იოანე მეფე-მღვდელმთავრის ქვეშ იგულისხმებოდა, საამისოდ არაერთი მოსაზრება გამოითქვა ევროპულ ლიტერატურაში.

თუ დავუკვირდებით თვით ქრონიკის თხრობას, დავინახავთ, რომ მასში სრულიად აშკარად მოჩანს ამ ნახევრად ლეგენდარული ცნობების ანარეკლი, რომელიც დავით აღმაშენებლისა და დიდგორის ბრძოლის შესახებ აღწევდა ევროპელ ჯვაროსნებთან. როგორც ანსელუსის ზემომოტანილი წერილიდან ჩანს, ჯვაროსნების მიერ დავით აღმაშენებელი ჯერ კიდევ ადრე, „მიდიელებისა და სპარსელების“ წინააღმდეგ ბრძოლაში წინაბურჯად ყოფილა მიჩნეული, მისი ქვეყანაც ხომ „არ-

---

11 ნესტორიანობა — ერთ-ერთი მიმდინარეობაა ქრისტიანულ რელიგიაში, წარმოიშვა V საუკუნის ბიზანტიაში და გავრცელდა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც.

მენიისა და სპარსეთის მიღმა“ მდებარეობდა, ასე რომ, „არმენიისა და სპარსეთის მიღმა მცხოვრები“ „მეფე-მღვდელმთავარი“ სხვა ვინ უნდა იყოს, თუ არა დავით აღმაშენებელი, აღმოსავლეთის იმ უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფოს მეფე, რომელიც მაშინ ფართო მასშტაბის გადამწყვეტ ბრძოლებს აწარმოებდა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. მართლაც, როგორც ეს უკანასკნელ ხანებში გაირკვა, ამ ლეგენდის თავდაპირველ ვარიანტში მთავარ გმირად იოანე მეფე-მღვდელმთავარი კი არ ყოფილა დასახელებული, არამედ მეფე დავითი. ლათინურ ენაზე შეღგენილ XIII ს. ინგლისურ ქრონიკაში ნათქვამია: „მთელ საქრისტიანოში გავრცელდა ხმა, რომ მეფე დავითი, იოანე პრესვიტერად სახელდებული, აურაცხელი ჯარით დაიძრა ინდოეთიდან და უკვე დაიპყრო მიდია და სპარსეთიო“.

ამრიგად, იმდროინდელ მსოფლიოში ასე ფართოდ გავრცელებული ეს ლეგენდა დავით აღმაშენებელსა და მის დროს გადახდილ ომებზე იყო შექმნილი.

დიდგორისა და, საერთოდ, დავით აღმაშენებლის ბრძოლის ლეგენდარულ სამოსელში გახვევის საფუძველი იყო ის ისტორიული წყაროები, რომელნიც, მართლაც ნახევრად ფანტასტიკურად წარმოგვიდგენენ პატარა ქვეყნის მეფის მცირე, ორმოცდაათათასიანი ლაშქრის გამარჯვებას დიდი ქვეყნების მფლობელთა ნახევარმილიონიან და ექვსასათასიან ლაშქარზე. ის უცხოური თუ ქართული წყაროები, რომლებიც ამ ომის შესახებ მაშინ არსებობდა, დიდგორის ველზე გამარჯვებასა და მის სარდალს, დავით აღმაშენებელს ძველი ისტორიის ბევრ სახელგანთქმულ ომსა და დიდ ისტორიულ პირებზე მაღლა აყენებდა და მეტი შექების ღირსად მიიჩნევდა.

დავითის ისტორიკოსის სიტყვით, დიდგორის ბრძოლა ღირსი იყო აღეწერათ და შეექოთ ძველი დროის „დიდ და სახელოვან გამომეტყველებს“, სიტყვის ოსტატებს — ჰომეროსს, არისტობულს თუ იოსებ ფლავიოსს. მაგრამ არც ჰომეროსს, რომელმაც ტროადელთა ომი შეაქო, არც არისტობულს, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლებს ადიდებდა და არც იოსებ ფლავიოსს, რომელიც ვესპასიანეს ცხოვრებას აღწერდა, „ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად“ ე. ი. ბევრი არაფერი ჰქონდათ მოსათხრობი შედარებით იმასთან, რაც დავითმა გააკეთაო. მათ რომ ჰქონოდათ „ნივთად საქმენი დავითისანი“, კერძოდ, დიდგორის ბრძოლაში მისი ასე სწრაფი და ბრწყინვალე გამარჯვება და ეს აღეწერათ „ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა“, აი, მაშინ დასახელებული „სახელოვანნი გამომეტყველნი“ ღირსნი იქნებოდნენ „ჯეროვანისა ქებისაო“. რა საქებარია ტროადელთა ომი, რომელიც ოცდარვა წელიწადს გაგრძელდა, მაშინ როცა დავითმა დიდ-

გორის ველზე ეს დიდი ბრძოლა სამ საათამდე გამარჯვებით დააგვირგვინაო, — აცხადებს ისტორიკოსი.

როგორც ვხედავთ, დავითის ისტორიკოსის აზრით, დიდგორის ბრძოლა უფრო მეტი შექებისა და დიდების ღირსია, ვიდრე ტროადელთა თუ ალექსანდრე მაკედონელის ომები. მაგრამ თუ ეს უკანასკნელნი ასე დიდად ჩანან ისტორიაში, ვიდრე დავითი და მისი დიდგორის ბრძოლა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თვით კი არ იყვნენ დიდი, არამედ „დიდსა მიემთხვნენ მაქებელსაო“ (დიდი ჰყავდათ მაქებარნი) ჰომეროსისა თუ არისტობულის სახით. დავითის ისტორიკოსი ამითაც არ კმაყოფილდება; მისი სიტყვით, თვით ალექსანდრე მაკედონელიც მარტოოდენ ქართველთა ლაშქრით „ვერცარას იქმოდა კარგსა“. დავით აღმაშენებელმა კი, ამ პატარა ქვეყნის მეფემ თავისი მცირე ლაშქრით დიდი საქმეები გააკეთა — „კუერთხი მეფობისა ესოდენ დამდაბლებული“ „იპყრა ესრეთ მაღლად, ვითარ ვერვინ სხვამან“. და რომ „დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ან ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ან სხვათა დიდთა სამეფოთა, მაშინამცა გენახნეს ნაქნარნი მისნი, უაღრეს სხვათა ქებულთანიო“.

ასე ადიდებდა დიდგორის ბრძოლასა და, საერთოდ, დავითის მოღვაწეობას მისი თანამედროვე ისტორიკოსი. მაგრამ მას ესეც საკმარისად არ მიაჩნდა და დავითისა და დიდგორის ბრძოლის შესაქებად ძველ მეისტორიებსა და ენაწყლიან „გამომეტყველებს“ მოუხმობდა: მე ვერ შევძელი ყველაფრის ისე მოთხრობა, როგორც ეს დავითსა და მის ნამოღვაწარს ეკადრებოდა: მე კი არა, ძველი დროის „სახელოვან გამომეტყველებს“ უნდა ჰქონოდათ დავითის საქმე საქებრადო, — წერს იგი.

დიდგორის ბრძოლას ასეთივე შეფასებას აძლევენ დავითის სხვა თანამედროვენი. XII ს. პირველი ნახევრის ცნობილ ქართველ მოღვაწეს არსენ იყალთოელს ეპიტაფიის სახით დაუწერია დავით აღმაშენებლის შესახებ ოთხტაეპიანი ლექსი, რომელიც შემდეგ, როგორც ჩანს, ხალხში გავრცელებულა და არაერთხელ გამოქვეყნებულა, როგორც ხალხური პოეზიის ნიმუში. ამ ლექსმა, ლიტერატურული თუ ხალხური შემოქმედების გზით, ჩვენამდე ასეთი სახით მოაღწია:

ვინ ნაჭარმაგევს[12] მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამეხსნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელი დამესხნეს[13].

---

12 ნაჭარმაგევი — მეფეთა სადგომი ქართლში, გორის მახლობლად, მის ჩრდილოეთით.

13 XIX ს. ცნობილ ქართველ მოღვაწეს მ. საბინინს ეს „იამბიკო ხუცესი ... ებით წარწერილი“ დავითის საფლავის ქვაზე გელათში თვით უნახავს და უკვე თით-

როგორც ვხედავთ, ქართველი ხალხის წარმოდგენითაც დავითი იყო ის, ვინც მძიმე ბრძოლებით ქვეყნის საზღვრებს იქით გადარეკა ყველა ჯურის დამპყრობელი თურქების, სპარსელებისა და არაბების სახით, ვინც გააერთიანა და ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ ერთეულად აქცია იმერ-ამერი, ვინც ახლო თუ შორეული ქვეყნების მეფენი „მისსა ჩრდილსა (მფარველობის) ქვეშე“ შეჰყარა, „ნაჭარმაგევს პურად დასხა“ და მრავალ ომგადახდილ ქვეყანას მშვიდობა მოუპოვა...

ასე დაუკავშირა მადლიერმა ქართველმა ხალხმა საკუთარი სისხლითა და ოფლით მოპოვებული გამარჯვებანი ძველი საქართველოს გამოჩენილი მოღვაწის — დავითის სახელს.

დავით IV-ს ქართველმა ხალხმა „ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი“ უწოდა. ეს შემთხვევითი არ არის — ამ ერთი სიტყვით ხალხმა აღნიშნა ის დიდი დამსახურება, რაც დავით IV-ს ქართული სახელმწიფოებრიობის შენებასა და ქართული კულტურის განვითარებაში მიუძღვის.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძველ საქართველოს დავით აღმაშენებელზე უფრო დიდი და მრავალმხრივი მოღვაწე არ ჰყოლია. დავით აღმაშენებელმა დაასრულა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ქართული მიწა-წყლის გაერთიანება-შემომტკიცებისა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის. მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი გამარჯვება ბრძოლის ველზე, საქართველოსა და მისი მეზობლების გათავისუფლება უცხო დამპყრობთა გაბატონებისაგან და აგრეთვე თბილისის შემოერთება და გადაქცევა გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად—ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. მრავალმხრივი იყო დავით აღმაშენებლის საშინაო რეფორმები სამოხელეო წყობაში, საეკლესიო, სამხედრო, სასამართლო სფეროში და სხვაგან, რომელიც სრულ ანალოგიას ვერ პოულობს იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში. ფართო იყო თვით დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი: მისი დროის საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, — კავკასიის ხალხებთან, ოსებთან, ყივჩაყებთან; დავითის დროს საქართველომ ურთიერთობა დაამყარა ძველ (კიევის) რუსეთთან, ბიზანტიასთან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ჯვაროსნებთან. აღსანიშნავია, რომ თურქი დამპყრობლების მიერ გაწამებული სომეხი ხალხი დავით აღმაშენებელს „სომეხი ერის განმთავისუფლებლად, მფარველად და მეგობრად“ მიიჩნევდა; ევროპის ზოგი ქვეყანა კიდევ დავით აღმაშენებელსა და მისი დროის

ქმის გადაშლილი „ფრიადის ღონისძიებითა და ტანჯვით“ ამოუკითხავს. საინტერესოა, რომ მის მიერ ამოკითხული ოთხსტრიქონიანი წარწერა შინაარსობრივად სავსებით ემთხვევა ჩვენ მიერ ზემომოტანილ ლექსს.

საქართველოს „ურწმუნოთა“ (თურქ დამპყრობთა) წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ბურჯად“ თვლიდა.

დავით აღმაშენებელი, თავისი დროის დიდი პროგრესული მოღვაწე, განსაკუთრებულ ღონისძიებებს ატარებდა ქართველი ხალხის კონსოლიდაციისა და ქართული კულტურის განვითარების მიზნით. არსებითად დავით აღმაშენებლის დროს დასრულდა ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი. დავით IV, თვით დიდად განათლებული ადამიანი და მწიგნობარი, ქართული მწიგნობრობის, ქართული ენის და საერთოდ ქართული კულტურის შემდგომი გავრცელებისა და განვითარების მიზნით, ქმნიდა კულტურის ახალ და ძლიერ ცენტრებს. დავითის დროს, მისი ინიციატივით დაარსდა გელათის მონასტერი და გელათის აკადემია, რომელსაც, დამაარსებლის გეგმით, ისეთივე როლი უნდა შეესრულებინა ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, როგორსაც ასრულებდა ათენი ანტიკურ სამყაროში. გელათში — შუა საუკუნეების ქართული უმაღლესი განათლების ცენტრში — დავითმა შემოიკრიბა იმ დროს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები: კერძოდ, გელათში, დავითის პირადი მფარველობით, მოღვაწეობდნენ ცნობილი ფილოსოფოსები — იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, რომელთა ბრძოლამ აზროვნებისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების თავისუფლებისათვის ღრმა კვალი დაამჩნია იმდროინდელი ქართველი საზოგადოების შეგნებას.

დავითის ხელშეწყობით არსენ იყალთოელმა საფუძველი ჩაუყარა კულტურის მეორე დიდ ცენტრს, იყალთოს აკადემიას კახეთში; ხოლო ქართლში დავით აღმაშენებელმა კიდევ უფრო გააძლიერა შიომღვიმის მონასტერი. სამი უდიდესი ცენტრი საქართველოს სამ სხვადასხვა კუთხეში ემსახურებოდა ქართველი ხალხის კულტურული ერთობის შემდგომი განმტკიცების დიდ ეროვნულ საქმეს.

დავით IV, ადგილობრივი ქართული კულტურის ახალი ცენტრების ჩამოყალიბებასთან ერთად, აძლიერებდა და აფართოებდა უკვე არსებულს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთაც — ათონის მთაზე, პალესტინაში და სხვაგან. ამასთან ერთად, დავით IV სათანადო ცოდნისა და უმაღლესი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ აგზავნიდა ახალგაზრდობას, კულტურის ცენტრებს აარსებდა არა მარტო მონასტრებთან, არამედ აგრეთვე ქალაქებშიც, კერძოდ, თბილისში მან ააშენა საგანგებო სახლი მაჰმადიან მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტებისათვის, თავშესაყარად და პატივსაცემად.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებულია არა მარტო დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში, არამედ აგრეთვე ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაშიც.

ასე შეექმნა XII ს. პირველ მეოთხედში მყარი საფუძველი ქართველი ხალხის მომავალს...

მრავალი საუკუნე გავიდა დავითის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროიდან. 850 წელი შესრულდა „საკვირველი ძლევიდან“ და თბილისის შემოერთებიდან. ამ ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში ქართველ ხალხს არაერთხელ ჰქონია განსაცდელისა და ლხინის დღეები, არაერთხელ უზეიმია გამარჯვება თუ გაუზიარებია დამარცხებულის მძიმე ხვედრი, არაერთხელ განუცდია დიდგორის სიხარული და კრწანისის ტრაგედია, მაგრამ არასოდეს დავიწყებია თავისი წარსული, ქვეყნისათვის თავდადებული გმირი წინაპრების სახელი.

ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილს ასე იწყებდა: „არ ვიცი სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“... „დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა... წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო—მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია“.

მართლაც, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის მრავალსაუკუნოვან, მდიდარ წარსულზეა აღმოცენებული ჩვენი დღევანდელი დღე. ამიტომაა, რომ გამარჯვებულმა და ძლიერმა აწმყომ, კომუნისტური საზოგადოების მშენებელმა ქართველმა ხალხმა არ დაივიწყა შორეული ისტორიული წარსულის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები და თავის ახალ მატიანეში, სხვა მრავალთა შორის, ღირსეული ადგილი დაუთმო დიდგორის ბრძოლაში პროგრესისა და უკეთესი მერმისისათვის მებრძოლ თავდადებულ გმირებს.

საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში

კულტურის ესა თუ ის დონე იქმნება ამა თუ იმ ხალხის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების დონის შესაბამისად; მწერლობა, ხელოვნება, საზოგადოებრივი აზროვნება, თუ ხალხის კულტურის სხვა ფორმები შესაბამისი ეპოქის პროდუქტებია. ეპოქის პირმშონი არიან დიდი პიროვნებები, გენიოსები და სხვ., რომელნიც შემდეგ თვით ახდენენ გავლენას თავიანთ ეპოქაზე, წინ წევენ მას, ხელს უწყობენ ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შემდგომ განვითარებას, ამიტომაა, რომ დიდი პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, მის შემოქმედებაში თითქმის ყოველთვის მეტ-ნაკლები სისრულით აირეკლება ის ეპოქა, მისი სიდიადე თუ დაცემულობა, რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა.

ჩვენ რომ არაფერი გვცოდნოდა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან, მარტოოდენ მისი უკვდავი პოემის—„ვეფხისტყაოსნის"—შესწავლა-ანალიზი მიგვანიშნებდა, რომ მის ავტორს შეიძლებოდა ეცხოვრა მხოლოდ დიდი გარდატეხის ეპოქაში, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის ახალი, უმაღლესი საფეხურის ეპოქაში. ასეთი ხანა კი ფეოდალური საქართველოს ისტორიაში XII საუკუნე იყო.

ჩვენი ქვეყნის წარსულში XII საუკუნეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის მოამზადა წინამორბედმა საუკუნეებმა; მაგრამ ფეოდალური ქვეყნის პროგრესული ძალები განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა და გაძლიერდა, რაც ქართული მიწა-წყალი გაერთიანდა და ერთიან ფეოდალურ მონარქიას ჩაეყარა საფუძველი. ეს XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა. ერთიანი ფეოდალური საქართველოს წარმოქმნა მის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებულ ეკონომიკურ კავშირებს, ენობრივ და კულტურულ ერთობას დაემყარა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე უცხოელ მოძალადეთა (ბიზანტია, თურქ-სელჩუკები) წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობა. ძირითადი მაინც ქვეყნის საშინაო მდგომარეობა იყო. ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოშობა განაპირობა ფეოდალიზმის განვითარების ახალმა საფეხურმა,

მისმა მოწიფულობამ, რაც სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებაში გამოიხატა.

ქვეყნის ახალი ეკონომიკური აღმავლობის ნიადაგზე აღმოცენებული ერთიანი საქართველო თანდათან ძალას იკრებდა. მაგრამ მის ზრდა-განვითარებასა და გაძლიერებას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ ძლიერნი იყვნენ გაერთიანების მოწინააღმდეგე დიდგვარიანი ფეოდალები, რომელნიც ერთიან სამეფო ხელისუფლებაში თავიანთი პრივილეგიებისა და დიდი ხნის წინათ მოპოვებული მდგომარეობისა და უფლებების შემზღუდველ ძალას ხედავდნენ.

ქვეყნის გარეთაც არაერთი ძალა იყო, რომელიც ფეოდალური მონარქიის გაძლიერებას დაუპირისპირდა. ჯერ ერთი, არაბი დამპყრობლები, რომლებიც აქ VII ს. მეორე ნახევრიდან მოვიდნენ, საქართველოს, მის ზოგ (უკვე მცირე) ნაწილს მაინც თავიანთ კუთვნილებად მიიჩნევდნენ. მეორე მხრივ, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მეზობელი — ბიზანტიის იმპერია — ჩვენ ქვეყანას ვასალად თვლიდა და ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს მეფეები თავისი კარის მოხელეებად, მისი ნება-სურვილის შემსრულებლად გაეხადა. საამისოდ ბიზანტია არ ერიდებოდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას, უხვ საჩუქრებს, მაღალი საკარისკაცო ტიტულების მიკუთვნებას ქართველი მეფეებისათვის, დიდგვარიანი ფეოდალების მოსყიდვა-გადაბირებას და სხვა მსგავსი ხერხების გამოყენებას.

ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (975—1014) ღონისძიებებმა გამარჯვება მოუპოვეს ქვეყნის გამაერთიანებელ ძალებს. სამეფო ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა დამოუკიდებლობას შეჩვეულ ქართლის ერისთავთერისთავებსა, თუ კლარჯეთის მცირე ხელმწიფეებს. ბაგრატ III-მ ბევრი მათგანი სავსებით მოსპო. ზოგან კიდევ ამა თუ იმ კუთხის მემკვიდრეობითი მფლობელები (მაგ., კლდეკარის ერისთავი) თავის მოხელეებად აქცია. ამასთან, ჰერეთ-კახეთის შემოერთებითა და თბილისის საამიროს ტერიტორიის თანდათან შეზღუდვით, ბაგრატ III-მ ახლად წარმოშობილი საქართველოს სამეფოს ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აამაღლა მის მეზობელ სახელმწიფოთა თვალში. ამიტომაც იყო, რომ ბაგრატ III XI ს. ისტორიკოსს სუმბატ დავითის ძეს არა მარტო საქართველოს თვითმპყრობელ მეფედ, არამედ მთელი კავკასიის „ნებიერად გამგებლად" მიაჩნდა[1].

---

1 ბაგრატ „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთიდგან ვიდრე გურგანადმდე, ხოლო ადარბადაგანი და შირვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჟელმწიფობათა ნებიერად განაგებდა; მეფე სპარსთა თკს მეგობრად და ერთგულ ყო. და რა-

ქვეყნის შინაგანი ერთიანობის, მისი ძლიერების განმტკიცების, ე. ი. საშინაო პრობლემების ძირითადად გადაწყვეტის შემდეგ, სამეფო ხელისუფლებას საგარეო საქმეების, კერძოდ, ბიზანტიასთან ურთიერთობის მოწესრიგებისთვისაც უნდა ეზრუნა. ბიზანტიას უნდა ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდამოდ ეღიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას შეალია თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ბაგრატ III-ის მემკვიდრემ გიორგი I-მა. მისი მეფობის წლები (1014—1027) ბიზანტიასთან გამუდმებული ომებით აღინიშნა. ბიზანტიის იმპერიამ ნათლად დაინახა, რომ საქართველოს სახით, მის მეზობლად იზრდებოდა ძლიერი, არა მარტო თანატოლობისათვის, არამედ პირველობისათვის მებრძოლი სახელმწიფო. ბიზანტიასთან ომში გიორგი I-ის ცალკეული წარმატებების მიუხედავად, ქართული ფეოდალური მონარქიის საგარეო ურთიერთობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩებოდა. ამასთან, გიორგი I-ის მიერ მხოლოდ საგარეო საკითხებისადმი ყურადღების გამახვილებამ დააზიანა საშინაო პროგრესული ძალები და შეასუსტა ქვეყნის ერთიანობა — კახეთ-ჰერეთი ისევ განდგა ერთიანი ქვეყნიდან და თითქმის მთელი საუკუნე დასჭირდა მის ხელახლა შემოერთებას. ისევ განზე დაიწყეს ყურება ბაგრატ III-ის მიერ დამორჩილებულმა ერისთავებმა და უკვე ერთიანი საქართველოს მესამე მეფის, ბაგრატ IV-ის დროს (1027—1072) აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს სამეფო ხელისუფლებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა კლდეკარის იმდროინდელი ერისთავი ლიპარიტი, რომელსაც ბიზანტიაც უმაგრებდა ზურგს. ასე რომ, ბაგრატ IV-ის წინაშე ისევ ახალი სახით აღიმართა ყველა მისი წინამორბედის დროს არსებული სიძნელენი.

სამეფო ხელისუფლებამ, მომხრეთა ძალების განმტკიცების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება აღმავლობის გზაზე შემდგარ ქალაქებს მიაქცია; მისი მოსახლეობა — ვაჭრები და ხელოსნები — ფეოდალური დაჩსაქსულობის საწინააღმდეგო ძლიერ ძალად იქცეოდა, გაძლიერებული ქალაქები კი მეფის მოკავშირედ გამოდიოდა. ამან განაპირობა ბარგატ IV-ის მიერ წლების მანძილზე წარმოებული ბრძოლა თბილისის შემოსაერთებლად, ზრუნვა ახალი, სამეფო ქალაქების დასაარსებლად (ქ. ატენი), ძველთა გასაძლიერებლად და სამეფოდ გადასაქცევად. ასეთმა და სხვა მსგავსმა ღონისძიებებმა თავისი ნაყოფიც გამოიღო: ოცწლიანი ბრძოლის შემდეგ ბაგრატ IV-მ კლდეკარის ერისთავი დაამარცხა, კახეთ-ჰერეთზე თავისი გავლენა განახორციელა — ჰერეთ-კახეთის მეფეები საქართველოს მეფის ყმობას აღიარებდნენ[2],

---

მეთუ ბრძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე“ (სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გამოსცა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა, 1949, გვ. 68, § 82).

[2] „მატიანე ქართლისა“, ქართლის ცხოვრება, I, გამოსცა ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა,

შედარებით მოწესრიგდა ბიზანტიასთან ურთიერთობაც, ქვეყანა მოშენების გზას დაადგა. მეფის ხელისუფლებაც თანდათან ძლიერდებოდა; მაგრამ ამასთანავე ჯერ კიდევ ბევრი საშინაო საქმე რჩებოდა მოუწესრიგებელი, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა ეკლესია, რომელიც თანდათან ჩამოშორდა საქართველოს გაერთიანების საერთო საქმეს და ხშირ შემთხვევაში დაუპირისპირდა კიდეც მას. ეკლესია მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვარიანთა თაეშესაფრად იქცა. მაღალი საეკლესიო თანამდებობანი მათ ან მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული, ან კიდევ, დიდი თანხების გაღებით ნაყიდი. ასე რომ, ახლად წარმოშობილ სამეფო ხელისუფლებას, საეროსთან ერთად, საასულიერო ფეოდალების რეაქციული წრეც უპირისპირდებოდა.

ამიტომ იყო, რომ გიორგი მთაწმიდელმა ბაგრატ IV-ისაგან მოითხოვა საეკლესიო სფეროში გადამჭრელი ღონისძიებების მიღება, მაგრამ მოწინააღმდეგე, ძლიერ საერო ფეოდალებთან მრავალწლოვანი ბრძოლით მოქანცულ სამეფო ხელისუფლებას ამჟამად საამისო ძალა არ შესწევდა. ამას ზედ დაერთო საგარეო ვითარების გამწვავება. აღმავლობის გზაზე შემდგარ ქვეყანას ახალი, საშიში დამპყრობლები — თურქ-სელჩუკები — დაემუქრნენ.

1065 წლიდან თურქთა სულთანმა ორჯერ ილაშქრა საქართველოში — ჯერ სამხრეთ საქართველო ააოხრა, ხოლო შემდეგ ქართლი და არგვეთი. მართალია, ბაგრატ IV-ის მეფობის წლებში საქართველომ თავიდან აიცილა მძიმე სათურქო ხარკი, მაგრამ თურქთა თანდათან გაბატონება გარდუვალი გახდა.

მახლობელ აღმოსავლეთში თურქები განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდნენ, რაც ქრისტიანულმა ბიზანტიამ 1074 წ. ხელშეკრულებით აღმოსავლეთის ქვეყნების უდიდესი ნაწილი სელჩუკებს დაუთმო და საქართველო ამ ძლიერი დამპყრობლის პირისპირ მარტო დატოვა. 1080 წლიდან საქართველოში განსაკუთრებით გახშირდა თურქთა ჩამოსახლება-შემოსევები; დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობა". ამ დროს საქართველოში უკვე გიორგი II მეფობდა (1072—1089).

მეჯოგე-მომთაბარე თურქების გაბატონება საქართველოს მიწა-წყალზე განვითარებული ფეოდალური სოფლის მეურნეობის სრულ მოშლას ნიშნავდა. თურქებმა თავიანთი ჯოგების საძოვრებად აქციეს ქართველი გლეხის სახნავ-სათესი და საბაღვენახე ადგილები. მატერიალური დოვლათის შემქმნელი მწარმოებელი მოწყდა მიწას... თურქ-სელჩუკებისგან აყრილი გლეხობა იძულებული ხდებოდა მთებს შეხიზ-

---

თბ., 1955, გვ. 306; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 151.

ნოდა. განვითარებული ფეოდალური ქვეყნის ეს დიდი ტრაგედია შესანიშნავად ასახა დავითის ისტორიკოსმა:

„არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა, მოოჯრდა ქუეყანა და ტყედ გადაიქცა, და ნაცვლად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი, ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასულთა ოჯრებათასა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჰაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩჳლნი მიმოდატაცებულ... მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა მრწყველნი ქუეყანისანი“[3].

გიორგი II იძულებული გახდა მშვიდობის საძიებლად თვით ხლებოდა სულთან მელიქ-შაჰს ისპაჰანში. სულთანმა საქართველო თითქოს „გაათავისუფლა ზედამარბეველთაგან“, მაგრამ, სამაგიეროდ, „ხარაჯა ითხოვა, რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალთა“[4]. ეს ყოველწლიური სათურქო გამოსაღები, ცხადია, კიდევ უფრო აჩანაგებდა მწარმოებელ მოსახლეობას.

ფრიად მძიმე იყო „დიდი თურქობის“ შედეგები საქართველოსათვის: მეურნეობის ის სისტემა — მომთაბარული მეჯოგეობა, რომელსაც თურქ-სელჩუკები ნერგავდნენ, განვითარებული ფეოდალური ქვეყნის ინტენსიურ სოფლის მეურნეობას ანადგურებდა. თურქთა შემოსევები ანგრევდა აგრეთვე ქალაქებს, აქვეითებდა ვაჭრობასა და ხელოსნობას. აღმავლობის გზაზე შემდგარ ქალაქთა ერთი ნაწილი თურქების ხელში აღმოჩნდა. ყველაფერი ეს საფუძველს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეს, დაცემისა და გადაგვარებისაკენ მიაქანებდა მას[5].

თურქთა შემოსევამ და გაბატონებამ საგრძნობლად დაასუსტა სამეფო ხელისუფლება და გააძლიერა გაერთიანების მოწინააღმდეგე ძალები. დიდგვარიანთა ერთი ნაწილი თურქებს მიუვიდა. გიორგი II-ს დიდგვარიანებმა „ქვეყანა აუშალეს“ და მის ერთიანობას საფრთხე შეუქმნეს. ამასთან, კახეთის მეფემ, რომელიც ბაგრატ IV-ის დროს საქართველოს მეფის ყმობას აღიარებდა, არა მარტო უკუაგდო მისი მორჩილება, არამედ მაჰმადიანობაც მიიღო და მადლიერი სულთნისაგან კახეთიც დაიმკვიდრა[6]. გიორგი II-ის ღონისძიება კახეთის შემოსაერთებლად სავსებით უნიადაგო აღმოჩნდა; სამეფო ხელისუფლების უუნარო-

---

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.

4 იქვე, გვ. 231.

5 შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, № 6, 1954, გვ. 123; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ე. გაბაშვილის რედაქციით, 1957, გვ. 126.

6 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.

ბამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხს გული გაუტეხა და თურქთა უძლეველობის რწმენა შეუქმნა. მეურნეობას მოწყვეტილი გლეხობა ბრძოლის პასიურ ფორმებზე გადავიდა — მტერს გაეცალა და მთებსა და ციხეებს შეეხიზნა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „თჳნიერ ციხეთა სადმე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულება“[7].

ამრიგად, „დიდმა თურქობამ“ არა მარტო ქვეყნის ერთიანობა დაარღვია, არამედ ქართველობის, მისი სოციალური წყობის სრული მოშლისა და გადაშენების რეალური საფრთხე შექმნა. ასეთი განსაცდელის ჟამს არ ჩანდა მაორგანიზებელი ძალა, ფეოდალურ ქაოსში წესრიგის დამნერგავი, — ქვეყნის სათავეში უძლური სამეფო ხელისუფლება იდგა. ყველაფერ ამას კარგად ხედავდნენ იმდროინდელი პროგრესული მოღვაწენი, რომელთაც, ძლიერი ხელისუფლების შექმნის მიზნით, სამეფო კარზე გადატრიალება მოახდინეს — უუნარო გიორგი II აიძულეს ტახტზე უარი ეთქვა და თავისივე შვილი დავითი გაემეფებინა. ეს მოხდა 1089 წელს...

* * *

XI ს. მიწურულს საქართველოში შექმნილი საშინაო და საგარეო ვითარება სამეფო ხელისუფლებისაგან გადამწყვეტი და ეფექტური ზომების მიღებას მოითხოვდა. დავით IV-მ, აღმაშენებელმა, პირველი რიგის ამოცანად თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა მიიჩნია. მეფემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ერთგული, საშუალო და წვრილი აზნაურ-მოლაშქრენი და თურქთა მცირე რაზმებს ბრძოლები იქ გაუმართა, სადაც გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო. ხალხში თურქების უძლეველობის რწმენა თანდათან გაქრა და გამხნევებულმა ბარად ჩამოსვლა იწყო: გლეხობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა თავის მამაპაპეულ კარმიდამოს, ისევ იწყებოდა ხვნა-თესვა...[8].

ამავე დროს, საგარეო მოვლენებიც საქართველოს მეფის სასარგებლოდ ვითარდებოდა: 1092 წ. გარდაიცვალა მალიქ-შაჰი. მის მემკვიდრეთა შორის ტახტისათვის გაუთავებელი და დაუნდობელი ბრძოლა ატყდა; სელჩუკთა დიდი სახელმწიფო თანდათან დაიშალა და ახლად წარმოქმნილი, ურთიერთ ბრძოლაში გართული პოლიტიკური ერთეულები საქართველოსათვის ძველებურად ვეღარ იცლიდნენ. ამასთან, „ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად“ დასავლეთ ევროპი-

---

[7] იქვე, გვ. 324.

[8] დ ა ვ ი თ ი ს ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324.

დან ახლო აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ ჯვაროსნები. ევროპელთა ეს ლაშქრობა საქართველოს მეფეს ხელს უმართავდა. ჯვაროსნების მიერ XI ს. მიწურულს იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებამ კიდევ უფრო დაასუსტა თურქ-სელჩუკები და შექმნა ხელსაყრელი პირობები მათ მიერ დაპყრობილ ხალხთა განთავისუფლებისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი თავის თხზულებაში საგანგებოდ აღნიშნავს, როგორც მალიქ-შაჰის გარდაცვალების ამბავს, ასევე „ფრანგთა გამოსვლას" აღმოსავლეთში და ყველაფერ ამას უკავშირებს საქართველოში ყოველწლიური სათურქო ხარკის ამოკვეთას[9].

აღსანიშნავია, რომ ჯვაროსნების ლაშქრობა აღმოსავლეთში მოულოდნელი ამბავი არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფისათვის. როგორც ირკვევა, ჯვაროსნებსა და საქართველოს სამეფოს შორის გარკვეული ურთიერთობაც არსებობდა. ამ ურთიერთობის შედეგი იყო, როგორც ამაში ერთი ძველი ცნობა გვარწმუნებს, დავით აღმაშენებლის სიახლოვე ჯვაროსანთა ერთ-ერთ ბელადთან, ხოლო შემდეგ იერუსალიმის მეფესთან ბალდუინ I-თან (1110—1118): „დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მეფეს ბალდუინს საჩუქრებს უგზავნიდა და კარგ განწყობილებაში იყო მასთან"[10]. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ეს ბალდუინი „მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა" დავით აღმაშენებელთან[11].

მოტანილ ცნობაში არაფერი უნდა იყოს საეჭვო და დაუჯერებელი. როგორც ჯვაროსნებს, ასევე საქართველოსაც ერთმანეთთან კავშირი იმ დროისათვის აუცილებლად სჭირდებოდათ. ჯვაროსნებს საქართველო, როგორც ქრისტიანული ქვეყანა, სურდათ გამოეყენებინათ თურქების წინააღმდეგ; საქართველოსა და მის მეფეს კი ჯვაროსნების ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ მდგომარეობას უმსუბუქებდა და დამპყრობლებზე გამარჯვების ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა.

მართლაც, ზემოაღნიშნულმა საგარეო პირობებმა, რომლის შექმნაშიც თვით დავითის მონაწილეობაც არ არის გამორიცხული, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის წარმატებებს.

საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების შედარებით აღორძინების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა, ქვეყნის მთლიანობისა და ძლიერების აღდგენა-განმტკიცების მიზნით, პირველ რიგში იმ დიდგვარიან ფეო-

---

9 დ ა ვ ი თ ი ს ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325—326.

10 ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 70.

11 იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს შესავალი წერილი — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 1941, გვ. 7,1; შდრ. ი. ბ ე რ ა ძ ე, საქართველოსთან ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხისათვის, თ. ს. უ. შრომები, 87. 1960, გვ. 298.

დალებს გამოუცხადა ბრძოლა, რომელთაც მის წინაპრებს არაერთხელ „აუშალეს ქვეყანა". დავითის ღონისძიებანი ამ მხრივ სავსებით კატეგორიული იყო და არ ჰგავდა მის წინამორბედ მეფეთა მოქმედებას. იგი არ დაკმაყოფილდა ზოგ ერისთავთა მარტოოდენ წვრთნითა და მორჩილებაში მოყვანით. ზოგი საერისთავო, კერძოდ, კლდეკარისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად იყო ქცეული, სავსებით გააუქმა. საერთოდ, როგორც ირკვევა, ერისათვთა სამოხელეო ინსტიტუტი დავით IV-ს იმ დროისათვის შეუფერებლად მიაჩნდა და ცდილობდა ყოველთვის განკერძოების მოსურნე ერისთავთა საწინააღმდეგო სამეფო კარის ცენტრალური სამოხელეო აპარატი განემტკიცებინა და გაეძლიერებინა[12]. ამას თან სდევდა აგრეთვე პირადი ღირსებით, საქმის ცოდნითა და მეფის ერთგულებით გამორჩეულთა დაწინაურება წვრილი და საშუალო აზნაურთა ფენიდან. ყველაფერი ეს არსებითად დიდი რეფორმა იყო ფეოდალურ ქვეყანაში.

მსგავსი რეფორმები გაატარა დავით აღმაშენებელმა საეკლესიო სფეროშიაც. როგორც საერო-სამოხელეო აპარატი, ასევე ეკლესიაც, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, გაიწმინდა სამეფო ხელისუფლების ორგულ დიდგვარიანებისაგან, მაღალი საეკლესიო თანამდებობანიც, უღირსთა მაგიერ, ღირსეულებმა, მეფის მომხრე პირებმა დაიკავეს. მაგრამ ეკლესიის დასამორჩილებლად დავით აღმაშენებელმა ფეოდალური საქართველოს ისტორიაში განუმეორებელი ღონისძიება გაატარა — საერო (მწიგნობართუხუცესისა) და საეკლესიო (ჭყონდიდის ეპისკოპოსისა) თანამდებობანი ერთი პირის ხელში გააერთიანა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს კი საეკლესიო საქმეების განგებაც მიენდო. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, ამიერიდან „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა... ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა"[13].

სამეფო ხელისუფლების დიდ ყურადღებას მოითხოვდა არსებითად მოშლილი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის საქმეც. დავით აღმაშენებელმა, ჯერ ერთი, თვით შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრენი, მათგან მუდმივი, არც ისე დიდი, მაგრამ ძლიერი პირადი გვარდია — „მონა-სპა" შექმნა[14]. ამას გარდა, უფრო საიმედო და ორგანიზებული

---

12 შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 233— 234.

13 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352.

14 ზოგ ისტორიკოსის ვარაუდით, მონა-სპა შეიქმნა ყველაზე უფრო მისანდობ ყიჩაყთაგან, რაც სწორი არ არის. ასევე არასწორია იმ ავტორთა მოსაზრებანიც, რომელნიც დავით IV-ის მიერ გატარებულ სამხედრო რეფორმის არსს ყიჩა-

გახადა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოყვანილი ლაშქარი. დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ძირითადი არსი ქართველთა ლაშქრის გამრავლებისა, შეიარაღებისა და გაწვრთნისათვის, მასში დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვაში მდგომარეობდა. დავითის ისტორიკოსმა შესანიშნავად ასახა ყველა ის ღონისძიება, რაც ამ მხრივ სამეფო ხელისუფლებამ გაატარა. მისი სიტყვით, დავითის გამეფების დროისათვის ქართველთა ლაშქარი ფაქტიურად წარმოადგენდა „ტყუეობათა და ზემოჯსენებულთა ჭირთაგან“ შეთხელებულ „მცირე გუნდს მჯედრობისა“ და „იგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სივლტოლითა, უცხენო და უსაჭურველონი და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“[15]. დავით აღმაშენებელმა პირველ რიგში „განამრავლნა სპანი“, უზრუნველყო შეიარაღებითა და ცხენებით; ხოლო „უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძღომითა და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა გაეწუართნეს სპანი“, მოლაშქრეებში თავდადებისა და გმირობის განსამტკიცებლად მეფე უხვად აჯილდოებდა და „აქებდა მხნეთა, ხოლო ჯაბანთა კიცხავდა და აძაგებდა“ და იმასაც კი არ ერიდებოდა, რომ მათთვის სადედო ტანსაცმელი ჩაეცვა[16]. დისციპლინის განმტკიცების მიზნით კიდევ მეფემ ლაშქარში აკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი“, და ამგვარად, „ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“[17].

ყველა ამ ღონისძიებას თან ერთვოდა მტკიცე საპოლიციო-საჯაშუშო — „მსტოვართა“ — აპარატის შექმნა. მსტოვართა წყალობით, „არა-რა შორეული არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი განა სიტყვა ბოროტი თქმული, — არა რა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ქმნის ანუ თუ ეთქჳს, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა“, თვით „გულის-სიტყვანიცა“. „ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყჳსასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა“[18]. „ბოროტ სიტყვასა“ თუ მოქმედებაში შემჩნეულთ მეფე სასტიკად უსწორდებოდა. ასეთი დაუნდობელი ღონისძიებანი, დავითის ისტორიკოსის აზრით, „მრავალთა

ყების გადმოსახლებაში და ამათგან 40-ათასიანი ლაშქრის შექმნაში ხედავდნენ მხოლოდ.

15 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 358.

16 იქვე.

17 იქვე, გვ. 352.

18 იქვე, გვ. 354—355.

კეთილთა მიზეზ იქმნა... ორგულებასა და ზაკუასა და ღალატსა რასმე ვერვინ, დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა"[19].

ამრიგად, მკაცრი თვითმპყრობელური რეჟიმით ფიქრობდა დავით აღმაშენებელი ფეოდალური ქაოსისათვის ბოლო მოეღო და სამეფოში ერთგვარი წესრიგი დაემყარებინა. ყველაფერი ეს მეფესა და მის მომხრეთა დასს მომავალ გამარჯვებათა საწინდრად მიაჩნდათ.

ყველა ზემოაღნიშნული რეფორმა დავითის მეფობის პირველ წლებში, XI ს. მიწურულსა და XII ს. დამდეგს განხორციელდა. ასეთი ღონისძიებების გატარებამ სამეფო ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა მომდევნო წლებში ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად და თურქ დამპყრობელთა გასადევნად გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგა. ეს კახეთის საბოლოოდ შემომტკიცებითა და ერწუხის „დიდი და ხმაგასმენილი" ბრძოლით დაიწყო. კახეთის შემოერთებით ძირითადად დასრულდა ქვეყნის გაერთიანების საქმე; ხოლო ერწუხს, 1105 წ., ომმა დააგვირგვინა საქართველოს სამეფო ხელისუფლების საუკუნოვანი ბრძოლა კახეთის შემოსამტკიცებლად. ამას გარდა, ამ ომმა ცხადყო საქართველოს ძლიერება და მომზადებულობა გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

მართლაც, ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ მეფემ თურქსელჩუკებს ზედიზედ წაართვა მათ მიერ საქართველოში დაპყრობილი ქალაქები და ციხე-სიმაგრეები — ქალაქი სამშვილდე და მასთან ერთად ქვემო ქართლის ციხეების დიდი ნაწილი, ქალაქი რუსთავი, ციხეები — გიში, ლორე და აგარანი. საქართველო დამპყრობლებისაგან თანდათან თავისუფლდებოდა. ამასთაან, უკვე ამ წლებში საქართველოს სამეფომ თურქების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს საზღვრებს იქითაც გაიტანა — დამპყრობლებს მის მეზობელ ქვეყნებშიაც, კერძოდ, შირვანში (ახლანდელი აზერბაიჯანი) შეუტია.

ამრიგად, XII ს. ოციანი წლების დამდეგისათვის საქართველოს შიგნით თურქ დამპყრობლებთან ბრძოლა ძირითადად მოგებული იყო, საქართველოს სამეფოს თავდაცვითი ომი წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდებოდა — ჯერ კიდევ არაერთი ამოცანა იყო გადასაწყვეტი საბოლოო და მტკიცე გამარჯვების მოსაპოვებლად. ქვეყნის იმდროინდელი საგარეო და საშინაო მდგომარეობა სამეფო ხელისუფლებისაგან ახალი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა.

XII ს. ოციანი წლებისათვის მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში შეიცვალა. ჯვაროსნების პირველი ლაშქრობის შედეგად მოპოვებული წარმატებები თანდათან ქრებოდა. ევროპელი ჯვაროსნების მიერ აღმო-

---

19 •ქვე•

საელეთში დაარსებულ სამთავროებსა და თურქ-სელჩუკებს შორის ბრძოლები თანდათან ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ წარიმართა — 1119 წ. თურქებმა ხელახლა აიღეს ანტიოქია და საშინლად ააოხრეს იქაურობა. თურქები ძალას იკრებდნენ და მათი მრავალმხრივი ბრძოლით დაქსაქსული ძალებიც გაძლიერებული საქართველოს წინააღმდეგ ერთიანდებოდა. ყველაფერი ეს შეუძლებელია შეუმჩნეველი ყოფილიყო საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის.

მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ შემოერთებული არ იყო საქართველოს უძლიერესი ქალაქები — თბილისი და დმანისი. ცხადია, ქალაქი-რესპუბლიკები უბრძოლველად არ დასთმობდნენ დამოუკიდებლობას. ასე რომ, ქვეყნის შიგნითაც მნიშვნელოვანი ამოცანა იყო იარაღით გადასაწყვეტი. ყველაფერ ამისათვის კი საკმარისი არ ჩანდა საქართველოს ლაშქარი და აგრეთვე ის ღონისძიებანიც, რაც დავით IV-მ გამეფების პირველ წლებში გაატარა ლაშქრის რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით. ქართველთა ლაშქრის სიმცირე განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა საგრძნობი, რაც დავითმა ის, დანიშნულების მიხედვით, სამ ნაწილად გაჰყო: ლაშქრის ერთი ნაწილი „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად“ იყო განწესებული, მეორე, „თკით მის (მეფის—შ. მ.) თანა მყოფად“, პირად გვარდიად, „მონა სპად“, ხოლო მესამეს საკუთრივ მოლაშქრეები შეადგენდნენ, რომელნიც იყვნენ „დაუცხრომელ მიმოსვლისა ლაშქრობისა მისსა ზამთარ და ზაფხულ“[20].

ამასთან, აშკარა გახდა ისიც, რომ „ზამთარ და ზაფხულ დაუცხრომელი ლაშქრობა“ მწარმოებელ ფენებს დიდი ხნით წყვეტდა სამეურნეო საქმიანობას. ეს კი გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე: „დაუცხრომელი ლაშქრობა“ ეკონომიკური აღმავლობის შემაფერხებლად რომ არ ქცეულიყო, *სამეფო ხელისუფლებას უნდა შეექმნა მუდმივი ლაშქარი, ძირითადად, მოსახლეობის ხელოვნური გამრავლების გზით.*

საამისოდ კი, როგორც ცნობილია, სამეფო ხელისუფლების მიერ ყივჩაყები იქნა შერჩეული. საქართველოში ყივჩაყთა 40 ათასი კომლის გადმოსახლებით, დავით აღმაშენებელს მუდმივად ჰყავდა „წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“ მოლაშქრე[21]. მაგრამ, როგორც ვახუშტის ფრიად საინტერესო ცნობიდან ჩანს, მუდმივ ლაშქარში მარტოოდენ ყივჩაყები არ ყოფილან — მუდმივი ლაშქრის ერთ მესამედს ქართველები შეადგენდნენ, მისი სიტყვით, „აღმაშენებლისას [60] ათასი [მოლაშქრე] მარადის მცველად“ იყო დადგენილი[22]. 60-ათასიან „მა-

---

20 დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 335.

21 იქვე, გვ. 337.

22 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 14.

რადის მცველი", ე. ი. მუდმივი ლაშქრიდან 40 ათასს, როგორც აღვნიშნეთ, ყივჩაყები შეადგენდნენ, დანარჩენი 20 ათასი, ცხადია, ქართველები იქნებოდნენ.

ამრიგად, XII ს. ოციანი წლებიდან საქართველოს სამეფოს 60-ათასიანი მუდმივი ლაშქარი ჰყავდა; ესეც უმაგალითო ღონისძიება იყო ფეოდალური საქართველოს ისტორიაში.

მუდმივი ლაშქრის გარდა, მეფეს ჰყავდა თავისი პირადი ხუთიათასიანი გვარდია, „მცველად მისად", „მონასპა" — რჩეულნი და განსწავლულნი... მისანდონი და გამოცდილნი სიმჯნითა"[23]. ამასთან, ქვეყნის ლაშქრის ერთ ძირითად ნაწილს, დავითის ისტორიკოსის მოწმობით, შეადგენდნენ „სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი"[24]. ლაშქრის ამ სახეობას ვახუშტი ბაგრატიონი, „მარადის მცველად" დადგენილ ლაშქრისაგან განსხვავებით, „სხვა სპას, ქვეყნითგან გამოყვანილს და ერისთავთა ქვეშე დაწესებულთ" უწოდებს[25]; ეს ის ლაშქარი იყო, „რომელთა მოუწოდიან ჟამად". საჭიროების დროს საქართველოს ლაშქარი ივსებოდა აგრეთვე „როქის სპით", მეზობელი ქვეყნებიდან დაქირავებული ჯარით. ლაშქრის ასეთი ორგანიზაცია, რომელიც დავით აღმაშენებლის რეფორმების შედეგი იყო, ძირითადად შენარჩუნებული იქნა XII ს. მთელ სიგრძეზე.

მუდმივი ლაშქრის ორგანიზაციამ, „მონა-სპის" შექმნამ და აგრეთვე, საჭირო შემთხვევაში, „როქის სპის" მოწვევამაც მწარმოებელ მოსახლეობას შესაძლებლობა მისცა მკვიდრად და უშიშრად დაბრუნებოდა თავის საქმიანობას — სოფლის მეურნეობას, ხელოსნობასა და ვაჭრობას. ქვეყანა თანდათან კიდევ უფრო მოშენდა და იმ დროის კვალობაზე ძლიერი ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ დავითის საგანგებო ღონისძიებით, გამუდმებულ ბრძოლა-ლაშქრობათა გზით მოპოვებული შემოსავალი (ალაფი, ნადავლი), საჭურჭლე, ვახუშტის სიტყვით, „არღარა განიყოფოდა... სპათა ზედა"[26]. ის მთლიანად ხაზინაში მიდიოდა. სამაგიეროდ მოლაშქრეთა „პატივი სხვა იყო".

ზემოაღნიშნულმა არაერთმა რეფორმამ, კიდევ უფრო გააძლიერა სამეფო ხელისუფლება. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მეფე თანდათან თვითმპყრობლის უფლებებს იძენდა. არ იყო ქვეყნის ცხოვ-

---

23 დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.
24 იქვე, გვ. 337.
25 ვახუშტი, აღწერა, გვ. 14.
26 იქვე.

რების არც ერთი მხარე, რომელიც სამეფო ხელისუფლების კომპეტენციაში არ შედიოდა — მეფე ყველას და ყველაფერს თავის ძალაუფლებას უქვემდებარებდა და ხელისუფლების სრულ კონცენტრირებას ახდენდა, თვითპყრობელურ რეჟიმს ამყარებდა. ამ მხრივაც დავით აღმაშენებელს, მისი ისტორიკოსის სიტყვით, „ვერავინ ძეულთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა"[27]. თვითმპყრობელი მეფის „შიში დიდი და ზარი... განითქუა კიდეთა ქუეყანისათა. და განკრთეს ყოველნი მკჳდრნი ქუეყანისანი"[28].

ასევე, მალე გაისმა საქართველოსა და მისი მეფის ძლიერების შესახებ ქვეყნის კიდეებს, საზღვრებს გარეთაც. ეს განსაკუთრებით 1121 წ., დიდგორის ველზე ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ მოხდა[29]. დიდგორის ბრძოლას XII ს. საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო თვალსაზრისითაც. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ გაუხსნა გზა დავით IV-ს თბილისისა და დმანისისაკენ. ამ დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებით დასრულდა ხანგრძლივი ბრძოლა ქართული მიწა-წყლის გასაერთიანებლად და შემოსამტკიცებლად.

ამას გარდა, საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დიდი შესაძლებლობა მიეცა — თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ უფრო ფართო მასშტაბის შეტევითი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა, ქვეყნის საზღვრებს გარეთაც ბრძოლები გაეჩაღებინა; განძის დალაშქვრა, ანისის შემოერთება, ლაშქრობა შირვანში და მისი შემომტკიცება — იყო ასეთი პოლიტიკის პირველი მნიშვნელოვანი შედეგები, რომელმაც შემდგომი სრულყოფა გიორგი III-ის მეფობის დროს პოვა.

ყველაფერმა ამან კიდევ უფრო განამტკიცა ამიერკავკასიის ხალხების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა და საფუძველი ჩაუყარა ამ ხალხების კონსოლიდაციას საქართველოს მეთაურობით.

თურქ-სელჩუკებზე გადამწყვეტ გამარჯვებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც: თურქების დამარცხებამ არა მარტო საქართველო, არამედ არსებითად მთელი ამიერკავკასია იხსნა მომთაბარული, ექსტენსიური მეურნეობისა და შესაბამისი პრიმიტიული სოციალურ-სახელმწიფოებრივი წყობის გაბატონებისაგან: განვითარებული, ინტენსიური სოფლის მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრების ქვეყანა — საქართველო — ნორმალური გან-

---

27 დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.

28 იქვე, გვ. 256.

29 იხ. შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 1965.

ვითარების გზას დაუბრუნდა; კიდევ მეტი, მას შეექმნა ხელსაყრელი პირობები, შემდგომი ეკონომიკური აღმავლობისათვის.

ამიერკავკასიიდან თურქ დამპყრობელთა განდევნამ, სომხეთისა და შირვანის დიდი ნაწილის განთავისუფლებამ და შემოერთებამ უკვე XII ს. პირველი მეოთხედის დასასრულისათვის მნიშვნელოვნად გააფართოვა საქართველოს პოლიტიკური საზღვრები. ამ დროს იგი, დავითის ანდერძის მიხედვით, „ნიკოფსიიდან დარუბანდის ზღუამდე და ოვსეთიდგან არეგაწამდე“ აღწევდა[30]. განთავისუფლებულ ქვეყნებს დავითი უშუალოდ იერთებდა, სამეფოდ იპყრობდა. აკად. ნ. ბერძენიშვილის მართებული შენიშვნით, დავითს უთუოდ თავისი საგარეო პოლიტიკა ჰქონდა მხედველობაში, როცა წერდა: „სხუათა სოფლისა კიდეთა ვეძიებ დასაპყრობელად... ბოროტად გარდავსედ საზღაურთა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მოვხვეჭე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტო მკუდროდი ქუეყანასა ზედა“[31]. როგორც ჩანს, „ყმადნაფიცობას დავითი არ იწყნარებდა და მან, მართლაც, არაერთი „სახლი“ „შერთო“ თავის „სახლს“. დავითმა დაიპყრო ჰერეთ-კახეთის სამეფო, ლორის სამეფო, ანისის სამეფო, შირვანის სამეფო და ყველგან თავისი მოხელეები დასხა“[32].

მაგრამ დავითის ამგვარ საგარეო პოლიტიკას XII ს. მეორე მეოთხედში უკვე გაგრძელებელი აღარ აღმოაჩნდა. დემეტრე I-მა (1125—1156) ჯერ ანისი დათმო ყმადნაფიცობის პირობით, ხოლო შემდეგ განძა და მისი მიმდგომი ქვეყანაც დაკარგა.

XII ს. მთელ სიგრძეზე, დავითის მემკვიდრეთა შორის მხოლოდ გიორგი II იყო დავით IV-ის აქტიური საგარეო პოლიტიკური გეზის მიმდევარი. მან ჯერ ანისი უშუალოდ შემოუერთა საქართველოს (საამისოდ მას თორმეტწლიანი ბრძოლა დასჭირდა მაჰმადიან მფლობელებთან), ხოლო შემდეგ დვინიც; ამგვარად, დვინი-ანისი და მათი მიმდგომი ქვეყნები ისევ შევიდა საქართველოს საზღვრებში. მაგრამ ვერც გიორგი II-მ შეძლო ბოლომდე დავით აღმაშენებლობა. იგი იძულებული გახდა დავით IV-ის მიერ საქართველოს უშუალოდ შემოერთებული შირვანის უდიდესი ნაწილი ისევ დამოუკიდებელ ერთეულად (შირვან-შაჰით სათავეში) აღედგინა და ყმადნაფიცობის პირობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა. ყმადნაფიცობას, რომელსაც დავითი ასე უარყოფდა, თანდათან ისევ ეხსნებოდა გზა, განსაკუთრებით კი თამარის დროიდან (1178—1213).

---

30 დავითის ანდერძი — ს ა ბ ი ნ ი ნ ი, „საქართველოს სამოთხე“, 1882, გვ. 513.

31 ვალობანი სინანულისანი, იქვე, გვ. 516; შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 39.

32 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 40.

თამარის საგარეო პოლიტიკა არსებითად დაუპირისპირდა კიდეც დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის საგარეო-პოლიტიკურ გეზს. და ეს, ამ ორ პოლიტიკურ გეზს შორის არსებითი განსხვავება, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა[33], საგანგებოდ ხაზგასმულია თვით თამარის ისტორიკოსის, ბასილ ეზოსმოძღვრის მიერ. მისი სიტყვით, თამარი, წინააღმდეგ დავით აღმაშენებლისა, „არა იღუწოდა უმეზობლობისა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თჳსი მამული ძუელი კმა ყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად... შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა... ბჭედ ჯდა შორის თვისა თჳსისა და მეზობელთა მეფეთა“[34]. თამარმა, იმავე ისტორიკოსის სიტყვით, არათუ მოშალა მეზობლები და შეუერთა „სახლი სახლსა ზედა“, არამედ პირიქით, „რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად, კუალად აგნა... და ამის მოწმე არს სახლი შარვაშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქთა და ტრაპიზონელთა[35], არა უშუალოდ შემოერთება, მიმხეჭველობა და „წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრობისა“, არამედ დამორჩილება, მაგრამ თავისუფლადვე, ყმადნაფიცობის პირობით, დატოვება, მფარველობა...

საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკური გეზის ასეთი რადიკალური ცვლილება დავით IV-დან თამარის დრომდე, ცხადია, გამოწვეული იყო იმ მძიმე ბრძოლებით, რასაც სამეფო ხელისუფლება აწარმოებდა დიდგვარიანთა წინააღმდეგ გიორგი III-ისა და განსაკუთრებით თამარის მეფობის პერიოდში. აკად. ნ. ბერძენიშვილის სავსებით სწორი დასკვნით, „ეს იყო ერთადერთი მისაღები პოლიტიკური კურსი, როგორც მეფისათვის, რომელიც დიდად შეეიწროებული იყო დიდებულთა მხრით, ისე დიდებულთათვის, რომელთაც დიდი ჰქონდათ შიში მეფის გაძლიერებისა“[36].

XII ს. მიწურულისა და XIII ს. დამდეგის საქართველოს სახელმწიფო, თამარის დროინდელი საგარეო პოლიტიკის შედეგად, არსებითად საკუთრივ საქართველოსა და მისი ყმადნაფიცი ქვეყნებისაგან („სახლებისაგან“) შედგებოდა. ეს „სახლები“ — შირვანელთა თუ დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა თუ ქაშაგელთა, კარნუქალაქელთა თუ ტრაპიზონელთა — თამარის დროინდელი სახელგანთქმული ომებით იყო

---

33 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 39—40.

34 ბ ა ს ი ლ ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა, 1944, გვ. 36.

35 იქვე, გვ. 35; შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 39.

36 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 42.

შემომტკიცებული. შამქორის ომმა (1195 წ.), ლაშქრობამ 1204 წ. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და ტრაპიზონის სამეფოს დაარსებამ, ბასიანის ომმა 1202 წ., 1210 წ. ლაშქრობებმა ირანში საქართველოსაგან სხვადასხვა ფორმით დამოკიდებული გახადა აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ირანის აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო — „კავკასიის იმერნი ხაზარეთამდე და სკვითამდი"; ამრიგად, „ისტორიანისა და აზმანის" ავტორის სიტყვით, თამარმა „იპყრნა ზღვთ პონტოსით ზღუამდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიის იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკუთთამდი"[37].

აკად. კ. კეკელიძის სავსებით სწორი განმარტებით, აქ უფრო მეტი იგულისხმება, ვიდრე შავი ზღვიდან გურგანის (კასპიის) ზღვამდე მდებარე ტერიტორია, რომელიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან იყო შემოერთებული. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის განმარტებით, სპერი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გულისხმობს[38], „ზღვამდე გურგანისად" კიდევ — არა მარტო კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროებს, არამედ სახელდობრ, იმ ქვეყანას, სადაც თამარის დრომდე „ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწევნილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი", ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთს კასპიის ზღვისა, ქვეყნისა, გურგანისა[39]. ფხოველთა და დიდოთა მთაზე „წარდგომაც" და დურძუკ-ღუნძების დამორჩილებაც „არავის ექმნა არც პირველ, არცა შემდგომად"[40].

ყველაფერ ამის შედეგი იყო, ბასილ ეზოსმოძღვრის სიტყვით, თამარის დროის საქართველოს სამეფოს საზღვრის ორჯერ გაფართოება შედარებით იმასთან, „რომელნი მას დახუდეს": გარნა ლომი ბჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან: ვინ უნდეს ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი სულტანთა სასხდომნი, მისგან ახმულნი, მ ზ ღ უ ა რ ნ ი, რ ო მ ე ლ ნ ი მ ა ს დ ა ხ უ დ ე ს მ ა ს გ ა რ ე თ მ ი ს ს ა ს ა მ ე ფ ო ს ა, ო რ ა დ გ ა ნ ფ ა რ თ ო ე ბ უ ლ ნ ი... მერმე ცნას ერაყამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდად კერძ მარაღამდის"[41].

ასე იქცა XII საუკუნის საქართველო იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ, ასე გამოვიდა იგი მსოფლიოს დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე. ამიერიდან საქართველო არა

---

37 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 79—80.

38 შდრ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 21; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, შესავალი წერილი, ისტორიანი და აზმანი, გვ. 19.

39 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, იქვე.

40 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 138.

41 ბ ა ს ი ლ ი, ცხოვრება თამარისი, გვ. 19.

მარტო აღმოსავლეთის ქვეყნების გამათავისუფლებლის, არამედ დასავლეთის კულტურის დამცველის როლშიც გამოდიოდა. ქართული მონარქია როგორც ალექსანდრე მაკედონელის, ასევე ავგუსტ კეისრის საქმეთა მემკვიდრედ ცხადდება. ამიტომაც საქართველოს დროშაზე „გორგასლიანის“ და „დავითიანის“ გვერდით გაჩნდა „ალექსანდრიანიც“ და „ავღუსტიანიც“[42].

XII საუკუნის საქართველოს ტერიტორიისა და მისი გავლენის სფეროების ზრდამ თავისი ასახვა პოვა აგრეთვე ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში. თუკი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ III უბრალოდ „მეფედ“ ან „აფხაზთა მეფედ და კურაპალატად“, ან კიდევ, 1008 წლიდან „მეფეთა-მეფედ“ იწოდებოდა, დავით IV, აღმაშენებელი მისი მეფობის ბოლო წლებში იყო „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“ მეფე[43]; დავით IV-ს ბოლო წლებში შირვანის მეფის ტიტულიც უნდა მიეღო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის აღმნიშვნელი დოკუმენტები არ შემონახულა. სამაგიეროდ, ეს ყველაფერი კარგად ჩანს გიორგი III-ისა და თამარის ტიტულში. გიორგი III 1170 წ. საბუთში იწოდებოდა როგორც „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფე, შირვანშა და შაჰანშა და აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მფლობელი“[44]. თითქმის ასეთსავე წოდებებს ატარებდა თამარიც: „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შირვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელი“[45]. აღსანიშნავია, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, გიორგისა და თამარის ზემომოტანილი ტიტულატურა ნიშნავდა „მეფობისა და სულტნობის ერთად მქნელობასა... შირვანშას ყმად ყოლასა“[46], ხოლო „დასავლეთი და აღმოსავლეთი“ აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა სამყაროს მთლიანად“[47].

ამჟამად ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას ვრცლად შევეხოთ ქართველ მეფეთა ტიტულატურის ყოველ საინტერესო დეტალსა და ამასთან დაკავშირებით აღძრულ სხვა საკითხებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სამეფო წოდებანი, ერთი მხრივ, წარმოგვიდგენენ იმას, თუ რო-

---

42 შდრ. ნ. ბერძენიშვილი, თათართა ბატონობის ხანა, 1941, გვ. 7, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, 1948, გვ. 219.

43 შიო-მღვიმის ისტორიული საბუთები, გამოსცა თ. ყორდანიამ, გვ. 21; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, 1965, გვ. 92—100.

44 საქართველოს სიძველენი, III, დამატება, 1926, გვ. 2.

45 თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 37; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 1928, გვ. 88—89.

46 ისტორიანი და ებზმანი შარავანდედთანი, გვ. 108.

47 ს. ჯანაშია, ქართული ფეოდალური მონარქია, „საქართველოს ისტორია“, გვ. 220.

გორ განთავისუფლდნენ ისინი ბიზანტიური ტიტულებისაგან და, კიდევ მეტი, როგორ დაუპირისპირდნენ ბიზანტიის იმპერატორებს, ხოლო მეორე მხრივ, ამ წოდებათა გამრავლებას, ზრდას, შესაბამისად იმ ცვლილებებისა, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები განიცდიდა[48].

ქართველ მეფეთა ტიტულატურის ევოლუციაში ასახული იყო აგრეთვე საქართველოს სამეფოს საერთაშორისო გავლენის თანდათანობითი ზრდაც. განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს შორეული თუ ახლო მეზობელი ქვეყნები იძულებულნი ხდებოდნენ— „ზოგი სიხარულით, ზოგი შიშით და სინანულით“ — ანგარიში გაეწიათ მისთვის. ჯერ კიდევ ადრე, თავის მეფობის შუა წლებში, დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ მოაწესრიგა ბიზანტიასთან ურთიერთობა. ამასთან, დავითმა, როგორც კი თვითმპყრობელი მეფე გახდა, უარი თქვა ყველა იმ საკარისკაცო სამოხელეო ტიტულზე, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორები საქართველოს მეფეებს მათზე მფარველობის ხელის დადების ნიშნად მანამდე ანიჭებდნენ[49]; კიდევ მეტი, დავითის ისტორიკოსის სიტყვით, საქართველოს მეფემ „რამეთუ დასუა... მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსი“[50]. მომდევნო წლებში კი ბიზანტიასა და საქართველოს ურთიერთობა გამოიხატა საქართველოს მიერ ბიზანტიის საშინაო საქმეებში ჩარევითა და ტრაპიზონის სამეფოს ჩამოყალიბებით.

დავით აღმაშენებლის დროსვე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი საქართველოს ავტორიტეტის ამაღლებას მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელებში. ცხადია, შემთხვევითი არ არის დავითის ისტორიკოსის შემდეგი ცნობა: „არვინ წინ აღუდგა მას (საქართველოს მეფეს—შ. მ.), რამეთუ თჳთ სულანი მუნ სადა იყო ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თჳთ ძველად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თჳსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღჳძარსა სიკუდილი. ზედასა-ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენთა დამშჳდებად პირსა მისს... და ეძიებნ მშჳდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა“[51].

ამრიგად, საქართველოს მეფესთან ძღვენითა და საჩუქრებით მშვიდობის მაძიებელი სულთანი არსებითად საქართველოს სამეფოს მოხარკედ იყო ქცეული. ამიტომაც ამბობდა დავითის ისტორიკოსი — „მეფემ „სულტანი დასუა, მოხარკედ თჳსაო“[52].

---

48 შდრ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 396.

49 შდრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ქართული ფეოდალური მონარქიის განვითარება, „საქართველოს ისტორია“, I, 1948, გვ. 197.

50 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 351

51 იქვე, გვ. 346.

52 იქვე, გვ. 351.

კიდევ უფრო რეალურად ასახავდა XII ს. მიწურულისა და XIII ს. დამდეგის საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ვითარებას თამარის ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები: „რამეთუ მოაკლდებოდა ძალასა მაჰმადიანთასა და მცემელიცა ებანსა. რამეთუ ქრისტიანეთა ორღანონი ჴმოვანებდეს კიდით კიდემდე, დაშრტა სასოება მუსურმანთა, და ყოვლითურთ უღონონი ღონე ყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის-მოყუარე თამარ; ამისთჳს კუალად წარვიდეს ხალიფასა, არღარა პირველებრ, არამედ ფრიად შეცვალებით, და შესახვეწელთა სიტყუათა მოახსენებდეს, რათა ევედროს თამარს აღებად ხარკისა ოდენ მახვილი მსრველი დააყენონ და ჯაჭვი შემკურელი. რომელი-ესე იყო ხალიფამან და წარმოავლინა მოციქული ორ-გზის ამის პირისათჳს, და დიდნი და მრავალ-ფერნი სამეფონი ძღუენნი უცხონი წარმოგზავნნა, და დიდითა სიმდაბლითა შემოეხუეწა თამარს, რათა აღიღოს ხარკი და დააცადოს რბევა“[53].

დიდი იყო საქართველოს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ტომებზე, განსაკუთრებით კი ჩერქეზ-ოსებსა და ყივჩაყებზე. ამის საუცხოო დადასტურება იყო ოსეთის ყმადნაფიცობა, მათს გადასასვლელებსა და ციხე-სიმაგრეებში ქართველთა ლაშქრის ჩაყენება და თვით ყივჩაყთა გადმოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე. ეს გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველომ იპყრა „კავკასიის იმერნი ხაზარეთამდი და სკჳთთამდი“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთაშორისო კავშირები XII ს. ჩრდილოეთით უფრო შორსაც წავიდა: მაჰმადიანური გარემოცვის წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს სათანადო ურთიერთობა დაუმყარებია ქრისტიანულ კიევის რუსეთთან, მის დიდ მთავართან ვლადიმერ მონომახთან.

XVII ს. შუა წლების მოღვაწის პავლე ალეპოელის ფრიად საინტერესო ცნობით, „როდესაც უწმინდურნი (თურქები) აპირებდნენ საქართველოს დაპყრობას, მაშინ მეფე დავითი მოვიდა რუსეთში და თაყვანისცემით დახმარება ითხოვა და მისცეს რა დიდი ძალა, წავიდა და განდევნა უწმინდურნი თავის სამფლობელოდან და განთავისუფლდა მათგან“[54]. როგორც ირკვევა, როცა საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლების საკითხი დადგა, თუ თვით მეფე არა, საამისოდ მის მიერ „წარვლენილნი კაცნი სარწმუნონი“ არა მარტო ყივჩაყეთში, არამედ კიევში, მის მთავართანაც უნდა მისულიყვნენ. ყივჩაყებთან ასეთი ურთიერთობის დამყარება და შემდეგ საქართველოში თვით ყივჩაყების გადმოსახლება შეუძლებელია კიევის რუსეთის დიდ მთავართან სათანა-

---

53 ბასილ ეზოსმოძღვარი, ცხოვრება... თამარისი, გვ. 25.

54 პავლე ალეპოელის აღწერილობანი გამოსაცემად მოამზადა დოც. ნ. ასათიანმა.

დო მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე მომხდარიყო. ცხადია, კიევის დიდი მთავარი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ებრძოდა ყივჩაყებს, ყივჩაყებთან საქართველოს მეფის დაკავშირების ცდას მის საწინააღმდეგო მოქმედებად მიიჩნევდა, თუკი სათანადო განმარტებები წინასწარ არ ექნებოდა. სწორედ ეს მოლაპარაკება უნდა ჰქონდეს მხედველობაში პავლე ალეპოელს, როცა იგი რუსეთში დავითის წასვლასა და დახმარების თხოვნაზე მოგვითხრობს. როგორც ამ ელჩობის შედეგებიდან ჩანს, კიევის მთავარსა და საქართველოს მეფეს შორის საქართველოში ყივჩაყების გადმოსახლების შესახებ შეთანხმება მომხდარა. ვლადიმერ მონომახს ამის საწინააღმდეგო რა შეიძლებოდა ჰქონოდა? ჯერ ერთი, კიევის მთავარი „უწმინდურთა“ წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს დამხმარედ გამოდიოდა და ამავე დროს, კიევის რუსეთი 40.000 ყივჩაყის ოჯახის საქართველოში გადასახლებით თავიდან იშორებდა დაუძინებელი მტრის ერთ დიდ ნაწილს. ასე რომ, კიევის მთავარი საქართველოში ყივჩაყთა გადასახლებით თვითონაც იყო დაინტერესებული. საგულისხმოა, რომ იმდროინდელი რუსული მატიანეები ჩვენ მიერ ზემოხსენებულ ათრაქა შარაღანის ძეს და მასთან ერთად საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაყებს კიევის მთავრის მიერ საქართველოში განდევნილებად მიიჩნევდნენ[55]. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ყივჩაყების საკითხში საქართველოს მეფის „სარწმუნო კაცთა“ და კიევის მთავარს შორის შეთანხმება ადვილად იქნებოდა მიღწეული.

ცხადია, თურქ-სელჩუკებზე დავით აღმაშენებლის გამარჯვებებს კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინა საქართველოს კავშირი ერთმორწმუნე კიევის რუსეთთან. და ეს ასეც მოხდა. დავით აღმაშენებლის მემკვიდრის, დემეტრე I-ის დროს კიევის დიდი მთავარი იზიასლავი საქართველოს მეფის ასულზე დაქორწინდა. გაძლიერებულ საქართველოსთან კიევის რუსეთს ამჟამად კავშირი თვით სჭირდებოდა. კიევის მთავარი საქართველოს სამეფო სახლთან დამოყვრებით ფიქრობდა თავისი სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრების სიმშვიდის უზრუნველყოფას, ყივჩაყთა გამუდმებული თავდასხმების თავიდან აცილებას, მით უფრო, რომ ყივჩაყები საქართველოს გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი და კიევში დიდის პატივით ჩაყვანილი ქართველი მეფის ასულიც ხომ დედით თვით ყივჩაყთა მთავრის შვილისშვილი იყო[56].

ძველ რუსეთთან XII ს. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთი ნაწილის მიერ ანდრია ბოგოლუბსკის

---

[55] იხ. Ш. А. Месхиа, Я. З. Цинцадзе. Из истории русско-груз. взаимоотнош, გვ. 15—16.

[56] იქვე, გვ. 16—18.

ძის იურის შერჩევას თამარის საქმროდ და ცხადია, მათი ქორწინების ფაქტს[57].

როგორც ვხედავთ, საქართველოს სიძლიერისა და საერთაშორისო გავლენის ხმა XII ს. გასცილდა აღმოსავლეთის ახლო მეზობელ ქვეყანათა ფარგლებს და ჩრდილოეთის შორეულ ქვეყნებამდეც მიაღწია.

ქრისტიანული საქართველოს ასე გაძლიერებას XII ს. და მის წარმატებებს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში შეუძლებელია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა, განსაკუთრებით კი ჯვაროსნული ომების ორგანიზატორთა ყურადღება არ მიექცია. საქართველოს გამარჯვება განმათავისუფლებელ ომში, რომელსაც თურქ-სელჩუკთა ძალების შესუსტება მოჰყვა, ცხადია, ხელს უმართავდა ჯვაროსან დამპყრობლებს ახლო აღმოსავლეთში, იმდროისათვის საკმაოდ შეთხელებულ და დაქსაქსულ მათ ძალებს გაძლიერებისა და თავმოყრის შესაძლებლობას აძლევდა. ამიტომ იყო, რომ ჯვაროსნული ლაშქრობის მომწყობი სახელმწიფოები თუ აღმოსავლეთში ჯვაროსანთა მიერ დაარსებული სამეფო-სამთავროები დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიიჩნევდნენ. ახლო აღმოსავლეთში სულ სხვადასხვა ინტერესების მქონე საქართველოსა და ჯვაროსნების ასეთი ურთიერთსასარგებლო მოქმედება აუცილებელს ხდიდა მათ შორის სათანადო კავშირის დამყარებას. მაგრამ რაკი საქართველოს სახელმწიფოსა და ჯვაროსნების მიზნები თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში სულ სხვადასხვა იყო, მათი ურთიერთობა-კავშირი არ შეიძლებოდა მტკიცე და მუდმივი ყოფილიყო[58]. ჯვაროსნები აღმოსავლეთში მოდიოდნენ, როგორც დამპყრობლები; ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ტერიტორიები და ნადავლი ჩაეგდოთ ხელში, გაეხსნათ გზები ევროპის ხარბი ქალაქებისათვის და მეტი სიმდიდრე გაეზიდათ აღმოსავლეთიდან.

სულ სხვა მიზნებს ისახავდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ბრძოლა. საქართველოს სახელმწიფო ჯვაროსნების მსგავსად მუსლიმანობას კი არ ებრძოდა საერთოდ, არამედ თურქ დამპყრობლებს; საქართველო თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა, დამპყრობლებს ერეკებოდა თავისი ქვეყნიდან და არა მაჰმადიანებს, მუსლიმანებს. მუსლიმანობა კავკასიაში და საქართველოშიც საკმაოდ მნი-

---

57 ამ საკითხზე იხ. ი. ციცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1956, გვ. 67—170; შ. მესხიას და ი. ციცაძის ზემოხსენებული ნაშრომი, გვ. 18—21; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962, გვ. 122 და შემდეგი.

58 შდრ. ზ. ავალიშვილი, ჯეროსანთა დროიდან, გარშემო ერთი ომისა, პარიზი, 1929, გვ. 48—49 და შემდეგ.

შვნელოვან ადგილობრივ მოვლენასაც კი წარმოადგენდა[59]. ქართველებს დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ მუსლიმანებთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა; ამ ურთიერთობის გაწყვეტა დიდ ზიანს მოუტანდა საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებასაც. ეს კარგად ესმოდათ იმდროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს და ამიტომაც მათ საქართველოს ტერიტორიაზე თუ მის მეზობლად მოსახლე მაჰმადიანებისათვის „ჯვაროსნული ომი" არასოდეს გამოუცხადებიათ; პირიქით, თუ იმდროინდელი წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოში მოსახლე მაჰმადიანები აქ საკმაოდ კარგად გრძნობდნენ თავს, ზოგ შემთხვევაში, კიდევ უფრო უკეთ, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში. თვით ალ-ფარიკის ცნობით, თბილისის აღებისა და შემოერთების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა ქალაქში მოსახლე მუსლიმანებს თავისუფალი ცხოვრების პირობები შეუქმნა. ამ მიზნით, „დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის. მან მოჭრა მათთვის მონეტა ხალიფასა და სულთნის სახელით და მისცა მათ უფლება აზანისა და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის აბანოში, და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან ილოცონ ხალიფა და სულთნისათვის და არა მისთვის (საქართველოს მეფისათვის—შ. მ.)". დავით IV-მ დააწესა გამოსაღები ყოველწლიური ქართველებისათვის — 5 დინარი, ებრაელებისათვის — 4 დინარი, ხოლო მუსლიმანებისათვის — 3 დინარი... „იგი ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებსა და აგრეთვე მათს სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორიც მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმანებს შორის. მე თვით ვნახე, როცა მივედი მათთან 1153 წელს, თუ როგორ ძალაშია მუსლიმანთათვის დადებული ყველა ეს პირობა აქამდეო".

საქართველოში მოსახლე მუსლიმანებთან სამეფო ხელისუფლების ამგვარ დამოკიდებულებაზე იგივე აზრის არიან სხვა მაჰმადიანი ისტორიკოსებიც — ალ-ჯაუზი, ალ-ყაინი და სხვები.

ალ-ფარიკის ცნობებიდან ჩანს, რომ მუსლიმანების მიმართ ასეთივე დამოკიდებულება არ შეცვლილა დავით აღმაშენებლის მემკვიდრის, დემეტრე პირველის დროსაც. საქართველოს სამეფოს, რომელიც თავის თავს აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურჯად აცხადებდა, მუსლიმანების მიმართ ასეთი პოლიტიკის გატარებას უკარნახებდა საშინაო და საგარეო პირობები, მისი მჭიდრო ურთიერთობა აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროსთან და არა რომელიმე მეფის პიროვნული, კეთილი

---

59 იქვე, გვ. 50.

სურვილები, ან კიდევ, მუსლიმანობის დიდი გავლენა საქართველოზე, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ფიქრობს[60].

ცხადია, ასეთ პირობებში საქართველოს სახელმწიფოსა და ევროპელი ჯვაროსნების ინტერესები ახლო აღმოსავლეთში არ შეიძლებოდა ერთმანეთს დამთხვეოდა და ამიტომაც მათი კავშირი მხოლოდ დროებით, იმ მომენტისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარებით იყო გაპირობებული.

სავსებით ბუნებრივია, რომ თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში არაერთგზის გამარჯვებული საქართველო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მომწყობ სახელმწიფოებსა და პიროვნებებს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირეებად მიაჩნდათ და ამიტომაც მასთან უშუალო კავშირს ეძებდნენ, პირველ რიგში, აღმოსავლეთის ჯვაროსნული სამეფო-სამთავროები. ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ კიდეც და რეალური ვითარების ამსახველად მივიჩნიეთ ძველი ქართული წყაროს ცნობა ქარ-

---

60 პროფ. მინორსკის აზრით, საქართველოს სამეფო ხელისუფლების ასეთი ფრთხილი დამოკიდებულება მუსლიმან ქვეშევრდომებისადმი აიხსნება მუსლიმანთა დიდი გავლენით თბილისზე (განსაკუთრებით მისი შემოერთების შემდეგ) და საერთოდ საქართველოზე. ამის საბუთად პროფ. ვ. მინორსკი ასახელებს იმდროინდელ საქართველოში არაბული ენის გამოცხადებას უმთავრეს დიპლომატიურ (მეზობლებთან ურთიერთობის) ენად, არაბული წარწერების გაჩენას ქართულ ფულებზე, ბიზანტიური ტიპის ფულების მაგიერ მუსლიმანური ტიპის მონეტების მოჭრას და ქართველ მეფეთა ბიზანტიური ტიტულების გაქრობას (იხ. V. Minorsky, გვ. 31).

დავით აღმაშენებელი თუ მისი მემკვიდრენი, რომელნიც თავიანთ თავს „მესიის მახვილს" უწოდებდნენ და რომლებმაც მოღვაწეობის მთელი წლები თურქი დამპყრობლებისაგან, მათი ბატონობა-გავლენისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეალიეს და ამ ბრძოლაში გადამწყვეტი გამარჯვებებიც მოიპოვეს, შეცდომა იქნებოდა მუსლიმანების გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს მეფეებად ჩაგვეთვალა. მაგრამ თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც აღვნიშნეთ, მაჰმადიანურ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტას კი არ ნიშნავდა, არამედ ამ კავშირის ახალი სახით გაგრძელებასა და გაღრმავებასაც. არაბულწარწერიანი და მუსლიმანური ტიპის მონეტების მოჭრა, არაბული ენის ასეთი მდგომარეობა, თუ მეფეთა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების გაქრობა, საქართველოზე მუსლიმანობის გავლენის გაზრდით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ იმდროინდელი საქართველო უმთავრესად მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში იმყოფებოდა და გარემოსთან ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობა ასეთ ღონისძიებას მოითხოვდა. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დავით აღმაშენებელი არა მარტო არაბულწარწერიან, არამედ აგრეთვე მხოლოდ ქართულწარწერიან მონეტებსაც ჭრიდა. როგორც ეს ბოლო წლებში გამოარკვია ინგლისელმა მეცნიერმა დ. ლენგმა (იხ. მისი: Notcsan Caucaion Numismatic, N. ch. V. b. XVII. 1957, გვ. 138—146). დასასრულ, დავით აღმაშენებლის დროიდან გაქრა არა მარტო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები, არამედ მასთან ერთად ყველა ის სიმბოლური ნიშანიც, რაც საქართველოსა და მისი მეფის რომელიმე უცხო სახელმწიფოსაგან დამოკიდებულებას გამოხატავდა.

ბოლში, დავით აღმაშენებელთან „იერუსალიმის მეფის ბალდუინის“ საიდუმლოდ მოსვლის შესახებ, მაგრამ საქართველოსთან ევროპელების ურთიერთობა, როგორც ჩანს, ამითაც არ იფარგლებოდა და ამ გაძლიერებულ, აღმოსავლურ, ქრისტიანულ ქვეყანასთან კავშირის მაძიებელი დასავლეთ ევროპის ზოგი სახელმწიფოც უნდა ყოფილიყო. ამაში ჩვენ გვარწმუნებს ჯერ კიდევ XII ს. პირველი ათეული წლის საქართველოს შესახებ ცნობების გავრცელება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მაგალითად, XII ს. დამდეგს დასავლეთ ევროპაში ფართოდ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს მეფის, დავითის მეუღლემ (წყაროს მიხედვით, ქვრივმა) იერუსალიმში ჩატანილი ჯვარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში გაგზავნა. ეს საინტერესო ცნობა ეკუთვნის ღვთისმშობლის ტაძრის ხუცესს, იმდროისათვის იერუსალიმში მყოფ ანსელუსს, რომელსაც ეს ჯვარი, მისი სიტყვით, თვით დავითის ქვრივისაგან შეუძენია და სათანადო წერილითურთ 1108 წ. დიდი პატივით გაუგზავნია პარიზში, ღვთისმშობლის ტაძრის კრებულისათვის. ანსელუსის წერილები, როგორც ამ ჯვარის დიდი ღირსების მაუწყებელი დოკუმენტები, ჯვართან ერთად, საუკუნეთა მანძილზე დაცული ყოფილა პარიზის ხსენებულ ტაძარში და არაერთხელ გამოქვეყნებულა ევროპაში როგორც ლათინურ, ფრანგულ, ასევე ქართულ ენაზეც[61].

ჩვენ ამჟამად ამ ჯვარის თავისთავად საინტერესო ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები კი არ გვაინტერესებს (ეს საკმაოდ კარგად აქვს შესწავლილი ზ. ავალიშვილს), არამედ ის, თუ როგორ ვრცელდებოდა ცნობები საქართველოსა და მისი იმდროინდელი მეფის შესახებ ევროპაში. ანსელუსი თავის წერილში იტყობინებოდა: „ამ ჯვარს, დავით მეფე ქართველთა... (იგულისხმება დავით IV, აღმაშენებელი — შ. მ.) უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა: ის დავითი, რომელსაც მისი წინაპრებივით, კასპიის კარი ეჭირა და დაუცავს... ვისი ქვეყანა და სამეფო მიდიელთა და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“[62]. როგორც ვხედავთ, ევროპელ ჯვაროსნებს ჯერ კიდევ XII ს. დამდეგს, კარგად ესმოდათ საქართველოს მნიშვნელობა და მას იმედის თვალით უყურებდნენ, როგორც „წინა ზღუდესა და ბურჯს“ თავიანთი საქმიანობის წარმატებისათვის აღმოსავლეთში. საქართველოს მნიშვნელობა ევროპელ ჯვაროსანთა თვალში განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც დავით აღმაშენებელმა კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია თურქ დამპყრობლებთან ბრძო-

---

61 ანსელუსის წერილებისა და მისი გამოცემების შესახებ იხ. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, ერთი ჯვარის გარშემო, გვ. 34—36; 28—34.

62 იქვე, გვ. 29.

ლაში. როცა მან, ევროპელების წარმოდგენით, სენსაციური გამარჯვება მოიპოვა დიდგორის ველზე. ცნობა ამ დიდი გამარჯვების შესახებ ევროპაში იმავე წლებიდან გავრცელდა გოტიეს ლათინური ქრონიკის — „Bella Antochena"-ს — წყალობით. მაგრამ დავით აღმაშენებელს ევროპელები იცნობდნენ, როგორც მებრძოლს თურქთა წინააღმდეგ არა მარტო საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის გარეთაც. XII ს. და XIII ს. დამდეგს გავრცელებული ცნობით, დავით აღმაშენებლის ლაშქარი ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა იერუსალიმში. ამ მხრივ საინტერესო ცნობა დაუცავს თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს. იგი წერდა: „ლაშქარნი ახლისა დავითისანი (ე. ი. დავით აღმაშენებლის — შ. მ.) წყალობით დავითისათა იერუსალიმს ერთობდეს"[63]. როგორც თავის დროზე აკად. კ. კეკელიძემ განმარტა, დავით წინასწარმეტყველის რაზმებად აქ ალეგორიულად იგულისხმებიან ჯვაროსნები, რომელთაც თითქოს მიზნად ჰქონდათ დავით წინასწარმეტყველის სატახტო ქალაქის იერუსალიმის განთავისუფლება[64]. თამარის ისტორიკოსს, რომელიც დავითის დროიდან დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ცხოვრობდა, ეს ცნობა, ძველი წყაროების, ან კიდევ, გადმოცემების მიხედვით ექნებოდა შეტანილი თავის საისტორიო თხზულებაში. ასეთი ცნობა შეეძლოთ მათთვის მიეწოდებინათ თვით ჯვაროსნებსაც, რომელთაც, მისივე სიტყვით, გიორგი III-ისა და თამარის დროსაც ჰქონდათ კავშირ-ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოსთან. თამარის ისტორიკოსს იმ მეფეთა შორის, რომელნიც გიორგი III-ს „სძღვენობდეს", მოხსენებული ჰყავს მეფენი „იერუსალიმს ალამანთანი"[65]. ცხადია, რომ ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობაში საქართველოს მეფესთან იერუსალიმის ჯვაროსანი (ევროპელი) მეფეების ურთიერთობების შესახებ არის საუბარი. ამ ურთიერთობის ერთი კვალის მაუწყებელი უნდა იყოს აგრეთვე გიორგი III-ის თანამედროვის, იერუსალიმის მეფის, ბალდუინ III-ის (1143—1162) მოხსენიება 1154 წ. გადაწერილ ქართული სვინაქსარის მინაწერში[66]. ამ ურთიერთობის შედეგი იყო აგრეთვე სხვადასხვა სახის ფანტასტიკური ცნობებისა და ლეგენდების გავრცელება საქართველოსა და მის მეფეთა შესახებ. ევროპელთა მიერ XII ს. შუა წლებში

---

63 ისტორიანი და აზმანი, გვ. 106.

64 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, შესავალი წერილი, ისტორიანი და აზმანი, იქვე, გვ. 8.

65 ისტორიანი და აზმანი, გვ. 70.

66 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 522; შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, შესავალი წერილი, ისტორიანი და აზმანი, გვ. 7.

ჩაწერილი[67] ერთ-ერთი ასეთი ლეგენდის („მეფე-მღვდელმთავარ იოანე") გმირი, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სწორედ დავით IV იყო.

XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზემოგაკეთებული მიმოხილვიდან კარგად ჩანს ის ურთიერთობა, რაც საქართველოს მეფეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეფე-სულთნებთან ჰქონდა; ის ვრცელი საერთაშორისო ასპარეზი, რომელზედაც იმდროინდელი საქართველო აღმოჩნდა. ყოველივე ამის მეტ-ნაკლებად სწორ ასახვად შეიძლება მივიჩნიოთ დავითის ისტორიკოსის მიერ საქართველოს იმდროინდელი მეფის შესახებ ხატოვნად ნათქვამი შემდეგი სიტყვები: დავითის „აჩრდილსა შეკრებულ იყვნენ ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყიფჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი"[68].

კიდევ უფრო გაფართოვდა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ასპარეზი XII ს. მთელ სიგრძეზე, გაიზარდა საქართველოს მეფის „აჩრდილსა შეკრებილ" ერთა, ტომთა და ენათა რიცხვი. თამარის პირველი ისტორიკოსი ჩამოთვლის კიდეც იმ ერებსა და ქვეყნებს, რომელნიც „სძღუნობდეს და ძმობდეს" გიორგი II-ს. ესენი იყვნენ „მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი და ჰრომთანი და ჰინდოთანი და ჩინელნი და ეგრეთვე სულტანნი ხვარასნის, ბაბილოენისა, შამისა, ეგვიპტისა იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამანათი: სკკთნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარაზმელნი, ხუარზმშათი, ბეირუთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრამდე"[69]. როგორც არ უნდა იყოს გაზვიადებული თამარის ისტორიკოსის ეს ცნობა, აქ მოხსენებულ მეფეთა და სულთანთა გიორგი მესამისადმი „სძღუენობა"-„მონობის" შესახებ, იგი იმდროინდელი საქართველოს საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობის სწორ ამსახველად მაინც უნდა მივიჩნიოთ. გაძლიერებული საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ზემოდასახელებულ ქვეყნებთან, ცხადია, ეჭვს არ იწვევს.

XII ს. მეორე ნახევრის საქართველოს კავშირი რომ გრძელდებოდა არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთის ევროპელებთან — ალამანებთან, არამედ აგრეთვე საკუთრივ დასავლეთ ევრო-

---

[67] D. Oppert, Der Johannes Presbiters.... 1880, 13—14; იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, ფეოდალური მონარქია XII ს-ში, საქართველოს ისტორია, II, 1948, გვ. 224—225.

[68] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360.

[69] ისტორიანი და აზმანი, გვ. 70—71.

პის ქვეყნებთანაც, „რომთან“ და სხვ., ამას ცხადყოფს XII ს. დამდეგის საქართველოს მეფეთა, თამარის მემკვიდრეთა (ლაშა, რუსუდანი) რომის პაპთან ურთიერთობის მაუწყებელი დოკუმენტები. რომის პაპი XII ს. დამდეგს ჯერ კიდევ სასოებით შესცქეროდა აღმოსავლეთის უძლიერეს ქრისტიანულ სახელმწიფოს და მას ჯვაროსნების დასახმარებლად მოუწოდებდა. ასეთი მოწოდებით მიუმართავს რომის პაპს ლაშა-გიორგისათვის, როგორც ეს რუსუდანის ერთ-ერთი (1223 წ.) წერილიდან ჩანს: „დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანობის შესაწევნელად: ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში... აი, ამის გამო აქ დავრჩითო“ — იტყობინებოდა რუსუდანი. ამჟამად კი ჩვენ მზადა ვართ „წმინდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, საცა თქვენ ინებებთო“[70]. ამაზე ადრე კიდევ, 1220 წ. საქართველოს სამეფოს დასავლეთის ჯვაროსნებისათვის საომრად მზადყოფნა შეუთვლია და დაუფიცნია კიდეც — ომით აეღოთ პალესტინის ერთი დიდი და შესანიშნავი ქალაქი. საქართველოს არ სურდა ჩამორჩენოდა ფრანგებს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში[71]. ცხადია, ყველაფერი ეს დავით აღმაშენებლის დროს საფუძველჩაყრილი ურთიერთობის შემდგომი გაგრძელება და გაღრმავება იყო.

* * *

საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა და სიძლიერე, რა თქმა უნდა, აღმოცენებული და დამყარებული იყო ქვეყნის ეკონომიკურ საფუძველზე, მის შესაძლებლობაზე, მაგრამ ძლიერი პოლიტიკური ზედნაშენი, ცხადია, თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენდა, მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე და ყოველნაირად ხელს უწყობდა მის შემდგომ ზრდასა და განვითარებას.

საქართველოს სამეფოს ახლო თუ შორეულ მეზობლებთან პოლიტიკური კავშირი მისი ფართო საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა ხშირ შემთხვევაში განპირობებული და თავის მხრივ, განმტკიცებული იყო ეკონომიკური ურთიერთობით. ჩვენ, სამწუხაროდ, ამჟამად არა გვაქვს შესაძლებლობა ასევე შედარებით ვრცლად განვიხილოთ ეს ურ-

---

70 ვ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 7.

71 იქვე, გვ. 6—7.

თიერთობანიც და ვუჩვენოთ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა XII ს. ამიტომაც ამ რიგის საკითხებზე მხოლოდ ზოგადი მითითებებით დავკმაყოფილდებით.

ქართული მიწა-წყლის გაერთიანება, ფეოდალური მონარქიის ტერიტორიის ზრდა, ამავე დროს, იყო ქვეყნის სამეურნეო აღმავლობის მნიშვნელოვანი პირობაც. XII საუკუნე საქართველოს ისტორიაში არის მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის საბოლოოდ გაბატონების საუკუნე. ეს კი ნიშნავდა ინდივიდუალიზაციის გზით მიწის ფეოდალური საკუთრების განვითარებას, ე. ი. გვიანფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ტენდენციების გამომჟღავნებას[72]. მიწისმფლობელობის კერძო, სამამულო სისტემის გაბატონება კი, თავის მხრივ, უდიდესი პირობა იყო ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. XII—XIII სს., ფეოდალური ქვეყნის კვალობაზე, გაიზარდა მიწის განოყიერებული სახნავ-სათესი ფართობები, ფართოდ გაიშალა სარწყავი სისტემის მშენებლობა. მაგ., მარტო თამარის მეფობის დროს გაყვანილი იქნა ორი დიდი არხი — ალაზნის არხი, 120 კმ სიგრძისა, რომელიც 53.000 ჰექტარ მიწას რწყავდა და სამგორის, 20 კმ სიგრძისა[73]. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მეურნეობის ცალკეული დარგების, განსაკუთრებით მრავალწლიანი კულტურების — მევენახეობის, მეხილეობა-მებაღეობის, აგრეთვე მესაქონლეობა-მეფუტკრეობის და სხვა დარგების დაწინაურება-ინტენსიფიკაციას.

სოფლის მეურნეობის განვითარება ხელს უწყობდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ საშეფო ხელისუფლების ზრუნვას ძველი გზების შეკეთებისათვის, ახლის გაყვანისათვის, გზებზე ხიდებისა და სასტუმრო-ფუნდუკების აგებისათვის, რაც მთავარია, თვით ამ გზების დაცვისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით დავით IV-ისა და თამარის მიერ იქნა გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებანი[74].

ვაჭრობის განვითარებისათვის, ვაჭრების ქონებისა და პიროვნების დაცვის უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებით ეფექტური ღონისძიება უნდა ყოფილიყო გიორგი III-ისა და თამარის მიერ 1179 წ. მიღებული კანონი მეკობრეობისა და ავაზაკობის წინააღმდეგ. ლაშა-

---

72 შდრ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობა, XVI—XVIII სს., 1958, გვ. 143.

73 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. II, 1965, გვ. 420.

74 „რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა აღაშენა“, „რაოდენი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყენაო“ — წერს ისტორიკოსი დავით IV-ის შესახებ (ქართლის ცხოვრება, 1, 353). თამარმა კიდევ ბრძანა თბილისი უმოკლესი საქარავნო გზით დაეკავშირებინათ ჯავახეთთან და ამ მიზნით ზეკარის ორივე მხარეს აეგოთ მგზავრებისათვის სასტუმროები და ქარავანთათვის სამყოფელი (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 420).

გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, ამ კანონის მიღების შედეგად „ქარავანსა ვერავინ ძარცუიდა ამიერ და იმიერ... მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის კარსა., ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადვის. ოვსმან, მთიულმან და ყივჩაყმან და სუანმან ვერ იკადრონ პარვა და იყო მდიდრად ესე სამეფო“[75]. ყველაფერი ეს კი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო პირვანდელი დაგროვებისათვის, სავაჭრო კაპიტალის აქტივიზაციისა და ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ერთი იარაღის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

საქართველოს ეკონომიკურ კავშირს ახლო თუ შორეულ ქვეყნებთან უზრუნველყოფდა დიდი სავაჭრო გზები, რომელიც მასზე გადიოდა. ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან საქართველო ორი გზით ამყარებდა კავშირს — ერთი ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა იყო, რომელიც თერგის გასწვრივ მიემართებოდა იტილის, ვოლგის შესართავისაკენ და აქედან კი, ცენტრალური აზიისა და ინდოეთისაკენ[76]. ამას გარდა, ასეთი შორეული ეკონომიკური კავშირი ხორციელდებოდა აგრეთვე უძველესი გზით, რომელიც, მართალია, ადრეფეოდალურ ხანაში ჩაკვდა, მაგრამ განვითარებული ფეოდალიზმის ხანისათვის ისევ გამოცოცხლდა ამ გზით იტალიის ქალაქების დაინტერესების გამო. ეს იყო გზა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან რიონითა და კასპიის ზღვით ცენტრალური აზიისა და ინდოეთისაკენ[77]. საქართველო დაკავშირებული იყო აგრეთვე მახლობელი აღმოსავლეთის მთავარ სავაჭრო კვანძთან, ბაღდადთან, აქედან ეგვიპტესთან, ალექსანდრიასთან და სხვა ქვეყნებთან და ქალაქებთან.

სხვადასხვა სახის წყაროებიდან (წერილობითი, არქეოლოგიურ-ნუმიზმატური) ირკვევა, რომ XII ს. საქართველოსა და მის ქალაქებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ არაბებთან, სპარსეთთან, ბიზანტიასთან, სლავებთან, სომხებთან, ეგვიპტესთან, ჩინეთთან და სხვ. ამის ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლებოდა გამოგვეყენებინა დმანისის ნაქალაქარის გათხრების შედეგები, სადაც ერთი ქალაქის ფარგლებში დაახლოებით ერთსა და იმავე ხანაში (XII—XIII სს. მიჯნა) შეიძლება შევხვდეთ საგნებს, შემოტანილს ჩინეთიდან, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებიდან, თუ უფრო შორეული ქვეყნებიდან, აგრეთვე ადგილობრივ ნაწარმსაც. შემთხვევით არ იხსენიებს, რა თქმა უნდა, თამარის პირველი ისტორიკოსი „ალექსანდრიით ვაჭართაგან მიღებულს მატყლს“[78].

---

75 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, 1942, გვ. 241.

76 შდრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 29.

77 იქვე, გვ. 29.

78 ისტორიანი და აზმანი, გვ. 114.

XII—XIII სს. საქართველოს ქალაქების საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაზე მეტყველებს აგრეთვე აქ აღმოჩენილი იმდროინდელი მონეტები — ილდიგიზიდების, ეიუბიდების, რუმის სელჩუკების, ბიზანტიის, მოსულის ათაბაგების, ორთუკიდების, ჰალაბის ათაბაგების, ტრაპიზონის და სხვათა[79].

ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება-გაფართოებას თან სდევდა საქართველოს ქალაქებისა და მისი მოსახლეობის ზრდა და გაძლიერება. იმდროინდელ საქართველოში იყო შემდეგი ქალაქები: თბილისი, რუსთავი, დმანისი, ატენი, გორი, უფლისციხე, ჟინვალი, ალი, ზოვრეთი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, ხორნაბუჯი, თელავი, ქუთაისი, ვარდციხე, ბათომი, ფოთი, ცხუმი და სხვ.[80].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ XI ს. მიწურულსა და XII ს. დამდეგს ზოგმა ქალაქმა — თბილისმა, დმანისმა — მოიპოვა არა მარტო თვითმმართველობა, არამედ დამოუკიდებლობაცა და კომუნის ტიპის მმართველობაც. ამ მხრივ თბილისმა მნიშვნელოვნად გაუსწრო ევროპის ბევრ დიდ ქალაქს[81]. ქალაქი-რესპუბლიკების ჩამოყალიბება XI—XII სს. საქართველოში, ერთი მხრივ, მოქალაქეთა ზედაფენის, „მესამე წოდების" სიძლიერის მოწმობა იყო, მეორე მხრივ — მათი შემდგომი ზრდისა და განმტკიცების პირობაც. კიდევ უფრო იზრდებოდა დიდვაჭარ-ფინანსისტთა (აბულასანი, ზანქან ზორაბაბელი, ჰონენცი, უმეკი და სხვ.) წონა და გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კიდევ უფრო უახლოვდებოდა ეს წრე სამეფო კარს. დიდვაჭრები და მათი უხუცესები, შოთა რუსთაველის სიტყვითაც, „მეფის არიფებად" იყვნენ ქცეულნი:

„უსენ მივიდა, ხელმწიფე დაჰხვდა ნადიმად მჯდომელი,
უსენ არიფი მეფისა, მეფეცა მისი მდომელი,
წინა მიისვა, შეიძღვნა, ძღვენი მიართვა რომელი,
აწ ნახეთ მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრობელი"[82].

— წერს შოთა რუსთაველი ვაჭართუხუცესის უსენისა და მეფის ურთიერთობის შესახებ... და ეს სავსებით ასახავდა იმდროინდელ საქართველოში შექმნილ ვითარებას. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ არა-

---

79 თ. ლომოური, ფული რუსთაველის ეპოქაში, „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები", გვ. 310—313.

80 იმდროინდელი ქალაქების შესახებ იხ. Ш. Месхия, Города Грузии..., 1959, გვ. 38—45; 53—90.

81 იხ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962.

82 ეეფხისტყაოსანი, 1941, სტრ. № 1153.

ერთი მასალა გვაქვს მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად მასზე ვერ შევჩერდებით[83].

„მესამე წოდების“ წარმომადგენელთა გაძლიერება, მათი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე ახლებურ შინაარს აძლევდა XII ს. საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ მოძრაობას. ამიტომაა, რომ XII ს. მიწურული დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა საშინაო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც: დიდვაჭარ-ფინანსისტების გამოსვლა სახელმწიფოს მართვა-განმგებლობაში მონაწილეობის უფლებათა შემდგომი გაფართოებისათვის კიდევ უფრო ორგანიზებული ხდება. ამგვარი მოძრაობის სათავეში, თამარის მეფობის დასაწყისში, როგორც ცნობილია, სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი აღმოჩნდა[84].

ყუთლუ-არსლანის პროგრამა — მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების შეზღუდვა ახალი, საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი დარბაზის (პარლამენტის) დაარსებით — იმდროისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ მოძრაობამ აშკარა გახადა, რომ ფეოდალთა კლასის გვერდით დგებოდნენ და მის მაგიერ ისტორიის ასპარეზზე გამოსვლას იწყებდნენ ახალი სოციალური ფენები — „მესამე წოდების“ წარმომადგენლები. ეს კი ფეოდალური ურთიერთობის თანდათანობითი რღვევის, გვიანფეოდალური პერიოდის დადგომის კიდევ ერთი ნიშანი იყო...

მართალია, ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის პროგრამა ამჟამად ვერ განხორციელდა, ახალი სახელმწიფო დარბაზი არ შექმნილა, მაგრამ არსებულში, ამ მოძრაობის შედეგად, თავიანთი ადგილები დაიმკვიდრეს მოქალაქეთა წარმომადგენლებმა — დიდვაჭარ-ფინანსისტებმა (აბულასანი, ზანქან ზორაბაბელი და სხვ.) და კიდევ უფრო განიმტკიცეს გავლენა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. სამეფო დარბაზის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო[85].

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ახალი მოვლენები ასაზრდოებდა აგრეთვე იმდროინდელ ქართულ კულტურას, მის ახალ, მაღალ საფეხურს. მაგრამ ამაზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

---

83 იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 117—119.

84 ამ მოძრაობის შესახებ იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 155—186; შ. მ ე ს ხ ი ა, სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა ბუნებისათვის XII ს. საქართველოში, თ. ს. უ. საიუბილეო კრებული, 1961, გვ. 341—372 (აქვეა მითითებული სათანადო ლიტერატურაც).

85 შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 119 და შემდეგ.

ამრიგად, XII—XIII სს. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ერთხელ კიდევ ცხადყოფს ამ საუკუნეების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში, ამჟღავნებს ფეოდალური ურთიერთობის ახალი ხარისხის, მისი რღვევის ნიშნებს, ანტიფეოდალური ძალების განმტკიცებისა და გამარჯვების შესაძლებლობის ნიშნებს. სწორედ ასეთ ეპოქას შეეძლო წარმოეშვა შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“.

ყველა ეს ნიშანი სულ მალე იტყოდა კიდევ უფრო ახალსა და მნიშვნელოვან სიტყვას მსოფლიო ისტორიაში, რომ ფეოდალური საქართველოს ნორმალური, იმთავითვე აღებული გზით განვითარება არ შეფერხებულიყო და ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ ცვლილებებს ახალი მოვლენების წარმოქმნისათვის დიდი ხნით გზა არ გადაეღობა.

შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

(პროფ. იასე ცინცაძის წერილის გამო)

ჟურნალმა „მაცნემ“ 1968 წ. № 5-ში გამოაქვეყნა პროფ. ი. ცინცაძის პოლემიკური წერილი: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მე-12 საუკუნის ისტორიისათვის“. მკითხველი, ცხადია, მიხვდება, რომ აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის XII საუკუნე.

მაგრამ პოლემიკური წერილის შინაარსიდან მაინც კარგად ირკვევა, რომ იგი ძველი, XII ს., რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის, ერთმანეთთან არც ისე დაკავშირებულ მოვლენებს შეეხება.

სხვადასხვა დროის ორი განსხვავებული შინაარსისა და მნიშვნელობის მოვლენის ერთ წერილში მექანიკური გაერთიანების მიზეზად, როგორც ჩანს, ჩვენი ორ პრობლემაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ზოგი ადგილი გამხდარა.

პატივცემული პროფესორის პირველი შენიშვნა გამოუწვევია ჩვენი სამეცნიერო პოპულარული ნაშრომის, „დიდგორის ბრძოლის“ (თბ., 1965 წ.), ერთ ადგილს, რომელიც XVII ს. ავტორის პავლე ალეპოელის ცნობას შეეხება: „ჩვენ არ დაგვაკმაყოფილა პროფ. შ. მესხიას მიერ პავლე ალეპოელის ცნობების ანალიზმა და დასკვნებმა“ — წერს პროფ. ი. ცინცაძე (დასახელებული წერილი, გვ. 212). მაგრამ სანამ ცნობის ანალიზსა და დასკვნებზე შევჩერდებით, საჭიროდ მიგვაჩნია თვით პავლე ალეპოელს შევეხოთ.

პავლე ალეპოელი ანტიოქიის პატრიარქის შვილი, არქიდიაკონი, საქართველოში მამასთან ერთად 1664 წ. ჩამოვიდა. იგი კარგად ცნობილი ავტორია და არსებითად შემდგენელია იმ აღწერილობათა, რომელიც მისი და მისი მამის სხვადასხვა ქვეყნებში მრავალწლოვან (1652—1659 წწ.) მოგზაურობას შეეხება. ამ აღწერილობებით პავლე ალეპოელმა დიდი სამსახური გაუწია XVII ს. რუსეთის, უკრაინის, მოლდავეთ-ვლახეთის და სხვ. ისტორიის მკვლევარებს. იგი მკვლევართა მიერ დაკვირვებულ, სანდო და კეთილსინდისიერ ავტორადაა მი-

ჩნეული. მისი თხზულების პირველი მთარგმნელი გ. მურკოსი ხაზგასმით აღნიშნავდა: „По полнате и разнообразию содержания — это один из самых лучших и ценных письменных помятников о России середины XVII века и во многих отношениях превосходит записки тогдашних западноевропейских путешественников"[1].

პავლე ალეპოელმა, მამასთან ერთად, საქართველოში დაჰყო წელიწადი და ცხრა თვე (1664 წ. ივლისი—1666 წ. აპრილი). მეფე ალექსი მიხეილის ძის დროს საიდუმლო საქმეთა საგანგიოს თხოვნით, პავლე ალეოპოელმა შეადგინა საქართველოს აღწერილობა (შედგენილი ბერძნულად მაშინვე თარგმნა რუსულად), რომელიც უკანასკნელ დრომდე სავსებით უცნობი და გამოუყენებელი იყო საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მკვლევართა მიერ. ამჟამად კი, როგორც აღინიშნა, იგი გამოსაცემად მომზადებული აქვს დოც. ნ. ასათიანს. პავლე ალეპოელის ეს აღწერილობა მრავალმხრივ არის საინტერესო, განსაკუთრებით XVII ს. 60-იანი წლების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად.

ამასთან ერთად, პავლე ალეპოელს გაკვრით, აქა-იქ მოეპოვება ზოგი ცნობა საქართველოს ადრინდელი ხანის შესახებაც; სწორედ ამან მიიქცია თავის დროზე ჩვენი ყურადღება. ეს ცნობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სწორედ იმის გამო, რომ იგი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისეთ პერიოდს შეეხება, რომელიც ქართულ თუ რუსულ წყაროებში, როგორც არაერთხელ შენიშნა თვით პროფ. ი. ცინცაძემ[2] მეტად მწირად, ან კიდევ, სრულებით არ არის წარმოდგენილი. ეს, XII ს. პირველი მეოთხედი, საქართველოსა და კიევის რუსეთის ურთიერთობის ისეთი პერიოდია, როცა ორივე ქვეყნის იმდროინდელი ობიექტური პირობები ასეთი კავშირის არსებობას უსათუოდ გულისხმობენ.

ბუნებრივია, რომ ამგვარ ვითარებაში ყველა ცნობა, მათ შორის ნაგვიანევიც კი, მკვლევართა ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს და სათანადო ანალიზისა და კვლევის ობიექტად უნდა იქცეს.

---

[1] Г. Муркос, Путешествие антиохийского патриарха Макария в России в половине XVII в., описанное его сыном архедиаконом Павлом Аленийским. Русское обозрение, т. 37, № 2, 1693. გვ. 706. ეს და სხვა ცნობები პავლე ალეპოელის შესახებ ჩვენ მიერ ამოღებულია დოც. ნ. ასათიანის საგანგებო ნაშრომიდან, რომელიც გადაცემულია დასაბეჭდად პავლე ალეპოელის ცხობების თარგმანთან ერთად.

[2] ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 68, 171 და სხვა (ქვემოთ — „ძიებანი").

ახლა კი, თვით პავლე ალეპოელის ჩვენთვის საინტერესო ცნობა მოვიტანოთ (მოგვყავს მისი ქართული თარგმანი შესრულებული დოც. ნ. ასათიანის მიერ., ამ თარგმანით ვსარგებლობთ ზემოდასახელებულ ნაშრომშიც და იგივე აქვს გამოყენებული პროფ. ი. ცინცაძესაც თავის პოლემიკურ წერილში)[3]. „საქართველოში არსებულ [ეკლესიებსა და მონასტრებს] შორის ასეთი სიგრძე-სიგანის და სიდიდის ქვით [ნაგები] ქმნილების მსგავსი მონასტერი და ტაძარი არც ერთი არ არის. ეს სავანე დავით საქართველოს მეფემ ააგო, როგორც ამას ძველი წიგნები წერენ. როდესაც უწმინდურებმა საქართველოს დაპყრობა მოიწადინეს, მაშინ მეფე დავითი რუსეთში მოვიდა, თაყვანისცემით დახმარება ითხოვა და მისცეს რა დიდი ძალა, წავიდა და უწმინდურნი თავის სამფლობელოდან განდევნა და გათავისუფლდა მისგან“ (შდრ. ი. ცინცაძის დასახ. წერილი, გვ. 212).

ზემოთ საგანგებოდ ხაზი გავუსვით ჩვენთვის საინტერესო ადგილს, რომელიც დღემდე უცნობი იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისეთი ნაყოფიერი მკვლევარისათვის, როგორიც პროფ. ი. ცინცაძეა და ამიტომ ამ ცნობის პირველ კომენტატორებს (დოც. ნ. ასათიანს და ამ სტრიქონების ავტორს) გვეგონა, რომ ალეპოელის ეს ცნობა, პირველ რიგში, მის საგანგებო ყურადღებას მიიქცევდა და უფრო სპეციალური მსჯელობის და კრიტიკული შესწავლის ობიექტად იქცეოდა. მაგრამ ჩვენი ვარაუდი ამ მხრივ არ გამართლდა — პროფ. ი. ცინცაძე და ზოგი სხვაც[4] ყველაფერ ამის ხელაღებით უარყოფით დაკმაყოფილდნენ. კიდევ მეტი, პროფ. ი. ცინცაძემ პავლე ალეპოელის ზემომოტანილ ცნობას „ბუნდოვანი“ (იხ. გვ. 214), „უთავბოლო“ (გვ. 215), „ყალბი“ (იქვე), „ბუნდოვანი და უთავბოლო“ (გვ. 214) უწოდა და ამით ამ ცნობის რაიმე ღირებულების შესახებ საუბარი, როგორც ჩანს, საერთოდ ზედმეტადაც მიიჩნია.

---

3 რუსული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარების შესაძლებლობა არ გვქონდა ამ უკანასკნელის მიუკვლელობის გამო.

4 დოც. ნ. ნაკაშიძემ საკვირველ ჩათვალა შეენიშნა: „Не можем также согласиться с выдвинутой недавно Н. Асатиани и Ш. Месхиа гипотезой о переговорах Давида строителя с Владимиром Мономахом по половецкому вопросу, основанной на некритической интерпретации записок Павла Алеппского“ (Н. Т. Накашидзе, Грузино-русские политические отношения, 1968, с. 206, прим. 31), მაგრამ, ის კი არ მიიჩნია საკვირველ აღენიშნა მაინც, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს „некритическая интерпретация“?!

ჯერ ერთი, ალეპოელის ზემომოტანილ ცნობას არ ეტყობა არავითარი „უთავბოლობა“ და არც „ბუნდოვნება“. ყველა, არასპეციალისტი მკითხველიც კი, ადვილად მიხვდა იმას, რაზედაც არის საუბარი ამ სავსებით ნათელ ცნობაში. ამასთანავე, ეს ცნობა მართლაც რომ ბუნდოვანი იყოს მკვლევარის მოვალეობა მხოლოდ ამ ფაქტის აღნიშვნა კი არა, არამედ „ბუნდოვან ცნობაში“ გარკვევა და შესაძლო სინათლის შეტანაცაა.

კიდევ უფრო გასაოცარია პროფ. ი. ცინცაძის მიერ ამ ცნობის „ყალბად“ გამოცხადება. შეიძლება ცნობა არასწორი, სინამდვილესთან შეუფერებელი იყოს, მაგრამ არა გვგონია, რომ პავლე ალეპოელს, რომელიც საყოველთაოდ კეთილსინდისიერ ავტორად არის მიჩნეული, სიყალბე ჩაედინა და ასეთი ცნობა ხელოვნურად, ყოველგვარი წყაროს (წერილობითის თუ ზეპირის) გარეშე შეექმნა.

მაინც რატომ ჰგონია პროფ. ი. ცინცაძეს, რომ ეს „უთავბოლო“, „ბუნდოვანი“ და „ყალბი“ ცნობაა? საქმე თურმე იმაშია, რომ „ასეთი ცნობა დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკის შესახებ სხვა ძეგლებში, არც ძველში და არც ნაგვიანევში, არ მოიპოვება, ამის მსგავსიც კი არაფერი აქვს ნათქვამი ისეთ სახელგანთქმულ ავტორს, როგორიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსია“ (გვ. 212).

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია აღვნიშნოთ: სწორედ ის, რომ ასეთი ცნობა დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკის შესახებ სხვა ძეგ- აღნიშნული დავითის სახელგანთქმულ ისტორიკოსს, არ შეიძლება გამოდგეს ალეპოელის ცნობის „უთავბოლობის“ და „სიყალბის“ დასამტკიცებლად. მართლაც, მსგავსი ცნობა ჩვენთვის დღემდე ცნობილ წყაროებში არ არის დაცული, მაგრამ ეს ალეპოელის ამ უნიკალური ცნობის მნიშვნელობაზე უფრო მიგვითითებს და არა მის „სიყალბესა“ და „უთავბოლობაზე“. ამასთანავე, როგორც თვით პროფ. ი. ცინცაძე არაერთხელ მიუთითებს, „ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ქართული ძეგლების უმნიშვნელო ნაწილმა“..., „წყაროების დუმილი არ ნიშნავს მოვლენის არარსებობას“, კერძოდ, იმას, რომ „XII ს. რუსეთსა და საქართველოს კავშირი და ურთიერთობა არ ჰქონდა“. თუ ეს ასეა, და ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მაშინ, ცხადია, ობიექტურ მკვლევარს პავლე ალეპოელის ზემომოტანილი ცნობა სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის არსებული ფაქტისა და ჩვენამდე მოუღწეველი ძეგლების ცნობათა გვიანდელ ანარეკლად უნდა მიეჩნია და მისი სათანადო კრიტიკული შეფასებისთვისაც ეზრუნა.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, პროფ. ი. ცინცაძე ამგვარად არ მოიქცა და წყაროს ყოველგვარი მნიშვნელობის უარყოფითა და ხელაღებით უკუგდებით დაკმაყოფილდა.

ეს პროფ. ი. ცინცაძის მიერ ჩვენთან გამართული კამათის მხოლოდ ერთი მხარეა.

ახლა კი მეორე მხარეს, კერძოდ, პავლე ალეპოელის ზემომოტანილი ცნობისადმი დამოკიდებულების საკითხს, ან უკეთ, ჩვენ მიერ მკითხველისათვის მიწოდებულ ინტერპრეტაციას შევეხოთ, რომელსაც, როგორც ჩანს, განსაკუთრებით აღუშფოთებია პატივცემული პროფესორი.

პროფ. ი. ცინცაძე თავის პოლემიკურ წერილში დაბეჯითებით აცხადებს: „მაშასადამე, პავლე ალეპოელის ბუნდოვანი ცნობა დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს კ ი ე ვ შ ი „თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე მ ი თ“ მ ი ს ვ ლ ი ს შესახებ პროფ. შ. მესხიას ჭეშმარიტებად მიაჩნია“ (გვ. 212); ან კიდევ: „ახლა უკვე, როგორც დაინახავდა მკითხველი, პავლე ალეპოელის უ თ ა ვ ბ ო ლ ო და ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი ც ნ ო ბ ა თ ა ვ ი დ ა ნ ბ ო ლ ო მ დ ე ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა დ ა რ ი ს ა ღ ი ა რ ე ბ უ ლ ი“, ისევ, რა თქმა უნდა, შ. მესხიას მიერ (გვ. 213; ხაზგასმა ყველგან ჩვენია); კიდევ მეტი, ჩვენ თურმე ვამტკიცებთ პავლე ალეპოელის ყალბ ცნობას „დავით აღმაშენებლის მიერ „თაყვანისცემით“ კიევში, ვლადიმერ მონომახთან ყივჩაყების საქართველოში გადასასახლებლად „ნ ე ბ ა რ თ ვ ი ს“ მისაღებად, მისვლის შესახებ“[5] (იქვე, ხაზი აქაც ჩვენია). „ყველაფერი ეს სრულიად გაუგებარია ჩვენთვისო“ — დასძენს პატივცემული პროფესორი. მართლაც, რომ გაუგებარია ყოველივე ეს მით უფრო ჩვენთვის, ამ სტრიქონების ავტორისათვის, რომელსაც ამის მსგავსი არც ზემოდასახელებულ ნაშრომში („დიდგორის ბრძოლა“) და არსად სხვაგან არ უმტკიცებია.

მკითხველისთვის რომ ყველაფერი ნათელი იყოს, პირველ რიგში, თვით ალეპოელის ცნობა განვმარტოთ. პავლე ალეპოელის მიხედვით: ა. დავითი (იგულისხმება გელათის მშენებელი, ე. ი. IV, აღმაშენებელი) თვით „ჩავიდა რუსეთში თაყვანისცემით და დახმარება ითხოვა“. ბ. მისცეს მას (დიდი) დამხმარე ძალა და წავიდა (საქართველოში დაბრუნდა) და გ. ამ ძალით განდევნა უწმინდურნი თავისი სამფლობელოდან (იგულისხმება თურქ-სელჩუკები).

ალეპოელის ზემომოტანილი ცნობისა და ჩვენი კომენტარების ურთიერთ შესადარებლად იძულებული ვართ ეს ადგილი „დიდგორის ბრძოლიდან“ მოვიტანოთ უცვლელად და მთლიანად: „განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მაჰმადიანური გარემოცვის წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს ს ა თ ა ნ ა დ ო კ ა ვ შ ი რ ი დ ა უ მ ყ ა რ ე ბ ი ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ კ ი ე ვ ი ს რ უ ს ე თ თ ა ნ, მის დიდ მთავართან ვლადი-

---

5 იხ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი, გვ. 171.

მერ მონომახთან...“ (წიგნში აქ მოტანილია პავლე ალეპოელის ცნობა, რომელსაც არ ვიმეორებთ).

„როგორც ირკვევა, როცა ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების საკითხი დადგა, თუ თვით მეფე არა, საამისოდ მის მიერ „წარავლენილნი კაცნი სარწმუნონი“ არა მარტო ყივჩაყეთში, არამედ კიევში მის მთავართანაც უნდა მისულიყვნენ. ყივჩაყებთან ასეთი ურთიერთობის დამყარება და შემდეგ მათი საქართველოში გადმოსახლება შეუძლებელია კიევის რუსეთის დიდ მთავართან მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე მომხდარიყო. ცხადია, ეს უკანასკნელი (ე. ი. დიდი მთავარი — შ. მ.), რომელიც ათეული წლების მანძილზე ებრძოდა ყივჩაყებს, საქართველოს მეფის ყივჩაყებთან დაკავშირების ცდას მის საწინააღმდეგო მოქმედებად მიიჩნევდა, თუკი სათანადო განმარტებები წინასწარ არ ექნებოდა. სწორედ ეს მოლაპარაკება უნდა ჰქონდეს მხედველობაში პავლე ალეპოელს, როცა იგი დავითის რუსეთში წასვლისა და იქ დახმარების თხოვნის შესახებ მოგვითხრობს. როგორც ამ ელჩობის შედეგებიდან ჩანს, კიევის მთავარსა და საქართველოს მეფეს შორის ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლების შესახებ შეთანხმება მომხდარა. ვლადიმერ მონომახს ამის საწინააღმდეგო რა შეიძლებოდა ჰქონოდა: ჯერ ერთი, კიევის მთავარი, „უწმინდურთა“ (თურქ-სელჩუკთა) წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს დამხმარედ გამოდიოდა (იმ „დიდ ძალაში“, რომლითაც პავლე ალეპოელის სიტყვით, რუსები ქართველებს დაეხმარნენ, სწორედ გადმოსახლებულ ყივჩაყთა ეს დიდი რაოდენობა იგულისხმებოდა); და ამავე დროს კიევის რუსეთი ყივჩაყთა 40.000 ოჯახის საქართველოში გადმოსახლებით თავიდან იშორებდა დაუძინებელი მტრის ერთ დიდ ნაწილს. ასე რომ, კიევის მთავარი ყივჩაყთა საქართველოში გადასახლებით თვითონაც უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. საგულისხმოა, რომ იმდროინდელი რუსული მატიანეები, ჩვენ მიერ ზემოხსენებულ ათრაქა შარაღანის ძეს და მასთან ერთად საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაყებს, კიევის მთავრის მიერ საქართველოში განდევნილებად მიიჩნევდნენ; ასეთ ვითარებაში, ცხადია, ყივჩაყების საკითხში საქართველოს მეფის „სარწმუნო კაცთა“ და კიევის მთავარს შორის შეთანხმება ადვილად იქნებოდა მიღწეული[6]. მაგ-

---

6 როცა ამას ვწერდით, მხედველობაში გვქონდა დავითის ისტორიკოსის შემდეგი ცნობა: მეფემ „წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა“ (ქართლის ცხოვრება, I. გვ. 336). ჩვენი ვარაუდით, სრულებით არ არის გამორიცხული, რომ ყივჩაყეთს მისულ „სარწმუნო კაცებს“ გზა რუსი მთავრებისკენაც გაეგრძელე-

რამ ყველაფერი ეს თავის დროზე იმდენად დიდ დახმარებად ყოფილა მიჩნეული, რომ საგანგებოდ აღუნიშნავთ იმ „ძველ წიგნებს“, რომლებითაც პავლე ალეპოელი თავისი თხზულების შედგენისას სარგებლობდა.

ამ „ძველ წიგნში“ ისიც ყოფილა აღნიშნული, თუ როგორ განდევნა დავით მეფემ „უწმინდურნი თავისი სამფლობელოდან და განთავისუფლდა მათგან“. ცხადია, დავით აღმაშენებლის ამ გამარჯვებას კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინა საქართველოს კავშირი ერთმორწმუნე კიევის რუსეთთან. ასედაც მოხდა. დავით აღმაშენებლის მემკვიდრის, დემეტრე პირველის დროს კიევის დიდი მთავარი იზიასლავი საქართველოს მეფის ასულზე დაქორწინდა. გაძლიერებულ საქართველოსთან კიევის რუსეთს ამჟამად კავშირი თვით სჭირდებოდა. კიევის მთავარი საქართველოს სამეფო სახლთან დამოყვრებით ფიქრობდა თავის სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების სიმშვიდის უზრუნველყოფას, ყივჩაყთა გამუდმებული თავდასხმის თავიდან აცილებას. მით უფრო, რომ ყივჩაყები საქართველოს გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი და კიევში დიდი პატივით ჩაყვანილი ქართველი მეფის ასულიც ხომ დედით თვით ყივჩაყთა მთავრის შვილიშვილი იყო.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სიძლიერისა და საერთაშორისო გავლენის ხმა გასცილებია მახლობელი აღმოსავლეთის ფარგლებს და ჩრდილოეთის შორეულ მეზობლებამდეც მიუღწევია“[7].

ასე ვრცელი ამონაწერის გადათვალიერებაც კი ობიექტური მკითხველისათვის სავსებით საკმარისი იქნებოდა იმის დასანახავად, თუ როგორ „ვაღიარებთ ჭეშმარიტებად“ ალეპოელის ზემომოტანილ ცნობას, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნევთ ხაზი გავუსვათ ზოგ უმთავრეს მომენტს.

როგორც მკითხველი დაინახავდა: ა. მოტანილ ამონაწერში არსად არც ერთი სიტყვით ნათქვამი არ არის რუსეთში დავით მეფის „თაყვანისცემითა“ და „დახმარების თხოვნით“ ჩასვლაზე. ზემომოტანილ ტექსტში საუბარია მხოლოდ მეფის „სარწმუნო კაცთა“ კიევში ჩასვლის შესახებ და ისიც არა დახმარების სათხოვნელად, არამედ ყივჩაყთა საკითხში „სათანადო მოლაპარაკე-

---

ბინოთ, მით უფრო, რომ „ყივჩაყთა მიწა“ უშუალოდ ემიჯნებოდა რუსულ საძთავროთა ტერიტორიებს (შდრ. В. В. Алин, Половецкое нашествие, Вопросы истории, № 1, 1969, с. 137, 141).

7 შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 86—88. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებული ნაშრომის ხასიათი (სამეცნიერო-პოპულარული) და მოცულობა ამ საკითხზე ჩვენ მეტის თქმის, ან კიდევ, სხვადასხვა წყაროთა მოშველიებით, მოსაზრებათა დასაბუთების შესაძლებლობას არ გვაძლევდა.

ბისა და შეთანხმებისათვის“, „სათანადო განმარტებებისათვის“.

ამასთანავე, ჩვენ მიერ იქვე განმარტებულია, რომ პავლე ალეპოელს, ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა დავითის რუსეთში ჩასვლაზე მოგვითხრობდაო.

ბ. არსად არის ნათქვამი, რომ დავითს თუ მის „სარწმუნო კაცებს“ რუსეთში „დიდი დამხმარე ძალა“ მისცეს. პირიქით, ჩვენ განვმარტავთ, რომ პავლე ალეპოელის მიერ ამგვარად გადმოცემულ თხრობაში შეიძლება იგულისხმებოდა არა კიევის მთავრის მიერ მოცემული „დიდი ძალა“, არამედ დავითის მიერ საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაყთა დიდი რაოდენობა.

გ. თუ ალეპოელის ცნობით რუსეთი გამოდიოდა საქართველოსათვის დამხმარედ, ჩვენი განმარტებით, თვით საქართველოც ამ აქტით, ე. ი. ყივჩაყების გადმოსახლებით, ხელს უწყობდა კიევის სამთავროს გაძლიერებას, მას დიდ მოწინააღმდეგე ძალას აცლიდა. ასე რომ, ჩვენ საუბარი გვაქვს არა ერთი რომელიმე ძლიერის მეორისადმი დახმარებაზე, არამედ ორივე ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს ორივესთვის სასარგებლო მოქმედებაში ურთიერთშეთანხმებაზე.

დ. არსად ჩვენ მიერ არ არის აღნიშნული, რომ ან დავით მეფეს ან კიდევ „მის „სარწმუნო კაცებს“ კიევის მთავრისათვის ეთხოვოთ ყივჩაყების გადმოსახლების „ნებართვა“, როგორც ამას პროფ. ი. ცინცაძე მოგვაწერს. სხვა რომ არა იყოს რა, ეს უაზრობაა, რადგან ყივჩაყების მოშორება დიდი ხნის ოცნება იყო კიევის მთავრისათვის.

ვ. ალეპოელის მიხედვით, რუსებისაგან მიღებული ძალით გაათავისუფლა დავითმა „თავისი ქვეყანა“. ჩვენ კი განვმარტავთ; როგორც ჩანს, იმდროინდელ რუსეთში კარგად სცოდნიათ დავითის წარმატებები, თუ როგორ განდევნა „უწმინდურნი თავისი სამფლობელოდან და განთავისუფლდა მათგან“. ამ შემთხვევაში ქვეყნის განმათავისუფლებლად ჩვენ არათუ რუსების მიერ მოცემული „დიდი ძალა“, არამედ არც ყივჩაყები გვიგულისხმია, როგორც ეს კარგად ჩანს ჩვენივე ნაშრომის სათანადო ადგილიდან[8].

ამრიგად, პავლე ალეპოელის ცნობიდან გამომდინარე, ჩვენი კომენტარები სავსებით ნათელს ჰყოფენ, რომ მისი ცნობები „თავიდან ბოლომდე ჭეშმარიტებად კი არ მიგვიღია, არამედ მხოლოდ გვიანდელ ანარეკლად იმ ურთიერთობისა, რაც კიევის მთავარსა და საქართველოს

---

8 „დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა მუდმივი ლაშქარი არასოდეს გაუხდია თავის ძირითად და დასაყრდენ ძალად, როგორც ეს ზოგიერთ ისტორიკოსს ჰგონია“ (დიდგორის ბრძოლა, გვ. 63).

მეფეს შორის შეიძლებოდა არსებულიყო XII ს. პირველ მეოთხედში ყივჩაყების საკითხთან დაკავშირებით. მხოლოდ ასეთი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ალეპოელის ცნობიდან, თუკი მისი განმარტებით დავინტერესდებოდით და თუ არ უკუვაგდებდით მას ხელაღებით, პროფ. ი. ცინცაძის მსგავსად.

ყველაფერი ნათელია, მაგრამ მაინც გაურკვეველი რჩება ერთი რამ — თუ რისთვის დასჭირდა ყოველივე ეს პროფ. ი. ცინცაძეს?

როგორც ეს მის მიერ ერთგან დასმული კითხვის მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, პროფ. ი. ცინცაძეს ობიექტურობისაგან გადაახვევინა დავით მეფისა და მისი სახელმწიფოს „დაცვის" ინტერესმა. პროფ. ი. ცინცაძე წერს: აქ უნებლიეთ კითხვა წამოიჭრა — დავით აღმაშენებელი და მისი სახელმწიფო 1118—1120 წწ. (ყივჩაყთა გადმოსახლების წლებში) ან ამაზე უწინარეს, ან შემდეგში, კიევის დიდი მთავრის ყურმოჭრილი ვასალი და ხელქვეითი იყო, თუ რატომ უნდა შეეთანხმებინა თავისი საგარეო პოლიტიკა კიევის მთავრისათვის? (გვ. 214).

ზემოთქმულის შემდეგ, აშკარაა, რომ მოტანილი კითხვა სავსებით უმისამართოდაა დასმული. იგი არ ეხება თვით პავლე ალეპოელსაც კი, რომელმაც, მართალია, დავითი რუსეთში „თაყვანისცემით" (поклон) ჩასულად მიიჩნია, მაგრამ არც კი უფიქრია ეთქვა, რომ იგი „კიევის დიდი მთავრის „ყურმოჭრილი ვასალი" იყო. პროფ. ი. ცინცაძეს კარგად მოეხსენება, რომ რუსული „челобитие" თუ „поклон", ქართულად — „თაყვანისცემა", „თავის დაკვრა", თუ „მდაბლად თავის დაკვრა", მხოლოდ ოფიციალური, დიპლომატიური მიმართვის საყოველთაოდ მიღებული ტერმინი იყო და სრულებით არ ნიშნავდა ასე მიმმართველის ყმობას ადრესატისადმი. სახელდახელოდ ორიოდე მაგალითი გვინდა მოვიტანოთ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ახლო დროიდან: საქართველოს მეფე რუსუდანი რომის პაპს წერდა: „რუსუდან ქართველთა დედოფალი... უმდაბლესად თავს გიკრავთ და მოგესალმებით[9]; ან კიდევ „მთელი საქართველოს... მხედართმთავარი (ივანე) უმდაბლესად თავს გიკრავთ და მოგესალმებათ"[10]; შედარებით გვიანდელი მასალიდან: „Великому царю и государю... ниское челобитие" — წერდა კახეთის მეფე ალექსანდრე I 1491 წ. მოსკოვის დიდ მთავარს ივანე III-ს[11]. მაგრამ განა ვინმეს აზ-

---

9 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 7.

10 იქვე, გვ. 8; შდრ. აგრ. გვ. 9 და სხვ.

11 ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 236.

რად მოსვლია ასეთი მიმართვის გამო რუსეთან დედოფალი თუ ივანე მხარგრძელი რომის პაპის, ან კიდევ, ალექსანდრე I ივანე III-ის „ყურმოჭრილ ვასალად“ მიეჩნია?!

„ყურმოჭრილ ვასალობაზე“ ყოველთვის არ მიუთითებს აგრეთვე ერთი ხელისუფალის მიერ მეორისადმი რაიმე დახმარებისათვის თუნდაც თხოვნით მიმართვაც კი.

ამის გარდა, არც პავლე ალეპოელის და მით უფრო ჩვენ მიერ არსად ყოფილა ნათქვამი, რომ დავით აღმაშენებელი თუ მისი „სარწმუნო კაცნი“ კიევში საქართველოს მეფის „საგარეო პოლიტიკის შესათანხმებლად“ ჩამოსულიყვნენ. ზემოთ აღნიშნული იყო და იძულებული ვართ გავიმეოროთ, რომ კიევის დიდ მთავარს, ვლადიმერ მონომახსა (რომელიც იმ დროს ყივჩაყებთან ბრძოლის მთავარი ორგანიზატორი იყო) და საქართველოს მეფის „სარწმუნო კაცთა“ შორის ყივჩაყების საკითხზე წინასწარი განმარტება და შეთანხმების მიღწევა ორივე მხარისათვის აუცილებელი იყო. მხოლოდ ეს მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა „სარწმუნო კაცთა“ ელჩობას, ამას გვიკარნახებს იმ დროის რუსულ სამთავროებში ყივჩაყების წინააღმდეგ, ხოლო საქართველოში თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლით შექმნილი ვითარება. მაგრამ ასეთი განმარტებების მიწოდება, თუ ამ საკითხზე ორი სახელმწიფოებრივი ერთეულის ერთგვარი შეთანხმება განა რომელიმე ამ სახელმწიფოთაგანის სუვერენობის შელახვის (თავი რომ დავანებოთ ვასალობას) მაუწყებლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს? განა ამ შემთხვევაში საიდანმე ჩანს ერთი სახელმწიფოს ინტერესების კარნახი მეორის სუვერენობის საზიანოდ, ან კიდევ მეტი, ერთის ან მეორის „ყურმოჭრილი ვასალობის“ ფაქტი? ცხადია, არა! ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მსგავსი შეხვედრები და შეთანხმებები არაერთი იცის საკუთრივ საქართველოსა და საერთოდ მსოფლიო ისტორიამ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველოს სამეფოს მიერ კიევის რუსეთთან კავშირის დამყარება ჩვენ საქართველოს სიძლიერისა და საერთაშორისო გავლენის შორეულ ჩრდილოეთშიც გავრცელების მაუწყებლად მივიჩნიეთ და არა ჩრდილოეთის „ყურმოჭრილი ვასალობის“ ნიშნად. ასე რომ, „უნებლიეთ დასმული კითხვა“ არა მარტო უმისამართოა, არამედ სავსებით უადგილოც. ამას გარდა, ისიც კარგად ჩანს, რომ არც დავით აღმაშენებელი და არც მისი სახელმწიფო ამ შემთხვევაში პროფ. ი. ცინცაძის „დასაცავად“ არ გაგვიხდია. დასანანია ოღონდ, რომ ასეთმა და მსგავსმა უადგილო და ერთი შეხედვით, თითქოს პატრიოტულმა გამოსარჩლებამ შეიძლება უფრო მეტი ზიანი მოუტანოს საქართველოს ისტორიის კვლევას, ვიდრე ნიჰილიზმმა.

ჩვენს სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევში — „დიდგორის ბრძოლა“ — არც ადგილი იყო და არც აუცილებლობა ამჟამად ჩვენთვის

საინტერესო საკითხზე სათანადო დოკუმენტები და მასალები მოგვეტანა. მაგრამ რაკი პროფ. ი. ცინცაძემ ეს საკითხი ისევ წამოჭრა, იძულებული ვართ ზოგი დამატებითი მასალაც მივაწოდოთ მკითხველს, მით უფრო, რომ ჩვენი კრიტიკოსის კიდევ ერთი შენიშვნა სათანადო პასუხსა და განმარტებას მოითხოვს.

პროფ. ი. ცინცაძე წერს: „რუსულ მატიანეებში ხომ საგანგებოდ აღნიშნულია, რომ მონომახოსმა 1116 წელს წინა წლებში დარბეული ყივჩაყების ისევ ასაკლებად თავისი შვილი — მთავარი იაროპოლკი გამოგზავნა. მას დავალება შეუსრულებია, ყივჩაყების ბანაკის ცენტრში მათი სამი „ქალაქი“ აუკლია და ტყვეებით და ნადავლით დაბრუნებულა. 1120 წ. იაროპოლკი ისევ გაუგზავნია ვლადიმერს ყივჩაყთა დასარბევად, მაგრამ მას ყივჩაყები ვერ უპოვნია და უკან დაბრუნებულა.

გარკვეულია, რომ მდინარე დონეცკის მხარეში მცხოვრები ყივჩაყთა ტომები, აღმაშენებლის სიმამრის, ათრაქა შარაღანის ძის ხელქვეითნი, 1118—1120 წლებში საქართველოში არიან, მალე ბრძოლებში მონაწილეობას იღებენ და თუ რუსეთთან ამ საქმის გამო „შეთანხმება მიღწეული იყო“, ის ვეღარ გაიგეს კიევის ხელქვეით მყოფმა მთავრებმა, მათი დაუძინებელი მტრის ათრაქა შარაღანის ძის მორჩილი ყივჩაყები თავის ძველ ბუნაგში არ იქნებოდნენ? რაღა საჭირო იქნებოდა 1120 წელს კიდევ მათს დასარბევად ლაშქრობის მოწყობა?“ (გვ. 213—214). აქედან გამომდინარე, პროფ. ი. ცინცაძე კატეგორიულად დაასკვნის: მაშასადამე, „ა რ ა ვ ი თ ა რ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ს ა დ გ ი ლ ი კ ი ე ვ ი ს მ თ ა ვ ა რ თ ა ნ ა რ ჰ ქ ო ნ ი ა“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, იმის უტყუარ საბუთად, რომ კიევის მთავარსა და საქართველოს მეფეს შორის არავითარ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია, პროფ. ი. ცინცაძეს ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების შემდეგ რუს მთავართა მიერ 1120 წ. მოწყობილი ლაშქრობა მიაჩნია. თუკი მათ იცოდნენ, რომ ყივჩაყები საქართველოში გადაიყვანეს, რისთვისღა იყო ეს ლაშქრობა საჭირო, ყივჩაყები ხომ იქ აღარ იქნებოდნენო, სამართლიანად კითხულობს პროფ. ი. ცინცაძე.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ, წინააღმდეგ ი. ცინცაძის მტკიცებისა, ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ რუსმა მთავრებმაც და მემატიანეებმაც.

მას შემდეგ, რაც ვლადიმერ მონამახი ჩაუდგა ყივჩაყების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში, და განსაკუთრებით 1116 წლიდან, ყივჩაყების წინააღმდეგ მოწყობილი გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ, შარუკანის (ქართული შარაღანის) მემკვიდრეთა წელში გაწყვეტილმა ურდომ ოტროკის (ქართ. ათრაქას) მეთაურობით, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილო კავკასიისაკენ გადაინაცვლა და სწორედ ამის

შემდეგ მოხდა მათი ჩამოსახლება საქართველოში. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ყივჩაყთა მთელი მასა გადმოსახლდა საქართველოში და მათ ძველ სამყოფელზე არავინ დარჩენილა. ერთი დიდი ნაწილის თავიდან მოშორების შემდეგ ბრძოლის გაგრძელება იყო საჭირო ამ ნარჩენთა წინააღმდეგაც და სწორედ ამას ისახავდა მიზნად 1120 წ. მოწყობილი ლაშქრობა დონს იქით. რუსი მემატიანე წერს: 1120 წ. „Ярослав ходи на Половци за Дон и не обретя их воротися пять"[12]. რა იქმა უნდა, ამ მოკლე ცნობიდან სრულებით არ ჩანს ყივჩაყთა რა ნაწილის წინააღმდეგ იყო მოწყობილი ეს ლაშქრობა, რომელი ბანაკი არ დახვდა იქ მოლაშქრეებს. მაგრამ სავსებით მართებულად წერს ამ ცნობის გამო ვ. ვ. ალინი: „В 1120 г. русское войско еще раз ходило на половцев за Дон. Однако, напуганные предыдущими походами, остатки придонских половцев отступили, и русские возвратились, не обретя их"[13].

როგორც ვხედავთ, რუსმა მთავრებმა კარგად იცოდნენ, თუ ვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ისინი 1120 წ. ამასთანავე, ისიც კარგად ჩანს, რომ იაროსლავი და მისი თანმხლებნი უკვე საქართველოში გადახვეწილ ყივჩაყებს კი არ ებრძოდნენ დონს იქით, არამედ პირიქით, ყივჩაყთა დიდი ნაწილის საქართველოში გადახვეწით ისარგებლეს რუსმა მთავრებმა და შეუტიეს დასუსტებულ და შეთხელებულ რაზმებს, რომელთაც მოუსწრიათ, გაქცეულან და თავი აურიდებიათ ბრძოლისათვის[14]. აი, რატომ ვერ ნახეს ისინი რუსმა მოლაშქრეებმა და აი, რატომ გაბრუნდნენ რუსი მთავრები უბრძოლველად უკან. ესეც რომ არ იყოს, განა წარმოსადგენია, რომ ყივჩაყების წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლ და მათი ყოველი ადგილგადანაცვლებით დაინტერესებულ რუს მთავრებს არ სცოდნოდათ, ვერ გაეგოთ, ყივჩაყთა 40.000 ოჯახის საქართველოში გადასვლა, ე. ი. ის, თუ რა მოხდა ყივჩაყთა ცხოვრებაში 1116-დან 1120 წლამდე?

მთავარი და მთავარი მაინც თვით რუს მემატიანეთა ცნობაა, რომელიც კარგად მოეხსენება პროფ. ი. ცინცაძეს და მისი ვრცელი ანალიზიც კი აქვს მოცემული თავის ნაშრომში[15], მაგრამ ჩვენთან კამათის

---

[12] Полное собрание русских летописей, т. I, изд. II, Л., 1927. სვეტი 292.

[13] В. В. Алин, Половецкое нашествие, „Вопросы истории", 1968, № 1, с. 144; В. Т. Пашуто, Внешняя политика древней Руси, М., 1968 с. 204.

[14] რუს მთავრებს ასე ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაუშვიათ სხვა დროსაც. მაგ., ყივჩაყთა დიდი მასის ბიზანტიაში ლაშქრობით ისარგებლა 1095 წ. ვლ. მონომახმა და რუსულ სამთავროს საზღვრებთან დარჩენილი ყივჩაყთა ნაწილები სასტიკად გაანადგურა (იხ. ვ. ავალიანი, დასახ. წერილი, გვ. 14).

[15] იხ. ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 188—201.

დროს მას სავსებით გვერდი აუარა ალბათ იმიტომ, რომ ეს ცნობა დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რასაც ის ჩვენ მიერ ზემომოტანილ ამონაწერებში ამტკიცებდა.

ვოლინელი მემატიანე ვოლინისა და გალიჩის დიდი მთავრის, რომანის დახასიათებასთან დაკავშირებით იხსენიებს ვლადიმერ მონამახს და სხვათა შორის წერს: „Ревновавше бо дедоу своемоу Мономахоу погребившемоу поганые Измалтяны рекомые половци изгнавшего Отрока во обези за железная врата“[16].

პროფ. ი. ცინცაძე ამ ადგილს შემდეგნაირად თარგმნის: „ეჯიბრებოდა თავის პაპას მონომახს, რომელმაც დაღუპა უწმინდურნი, ყივჩაყებად წოდებულნი, განდევნა რა ოტროკი (აჯობებდა — ოტროკის განმდევნელს, შ. მ.) აფხაზეთში (საქართველოში) რკინის კარებს იქით“[17].

როგორც ვხედავთ, რუსმა მემატიანეებმა, ვლადიმერ მონომახის მთავრობიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგაც, კარგად იცოდნენ ყივჩაყთა არა მარტო განდევნის შესახებ, არამედ ისიც, თუ სად განიდევნენ ისინი, რომელ კარებს იქით და რომელ ქვეყანაში. აკი თვით პროფ. ი. ცინცაძე ამ ცნობის ანალიზის შემდეგ ასკვნის: „რუსულ წყაროში მოთხრობილი ამბავი, ვლადიმერ მონომახის მიერ ყივჩაყთა ტომისა და მათი ბელადის „ოტროკის“ საქართველოში განდევნის შესახებ, წარმოადგენს იმავე ფაქტის აღნუსხვას, რაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს მოთხრობილი, ყივჩაყთა ტომის და მათი ბელადის ათრაქა შარაღანისძის საქართველოში გადმოსახლების შესახებ“[18]. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგაც შეიძლება საეჭვოდ მიიჩნიოს პროფ. ი. ცინცაძემ „გაიგეს თუ არა“ (იცოდნენ თუ არა) „კიევის ხელქვეითმყოფმა მათი დაუძინებელი მტრის ათრაქა შარაღანის ძის მორჩილი ყივჩაყების“ ადგილსამყოფელი?

ასეთი უეჭველი ცნობით კი საფუძველი ეცლება პროფ. ი. ცინცაძის ერთადერთ საბუთსა და მასზე დამყარებულ კატეგორიულ მტკიცებას—„არავითარ შეთანხმებას კიევის მთავართან ადგილი არ ჰქონია“ (გვ. 214). ეს კატეგორიული მტკიცება ხომ პროფ. ი. ცინცაძემ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ „კიევის ხელქვეითი მთავართა“ მიერ XII ს. 20-იან წლებში ყივჩაყთა ადგილსამყოფელის უცოდინარობაზე დაამყარა!

ამ საკითხეზე დავა ჩვენ შეგვეძლო საწინააღმდეგო მოსაზრებით დაგვემთავრებინა და აღგვენიშნა: რაკი კიევის მთავრებსა და რუს

---

16 Полное собрание русских летописей, т. II, Спб, 1908, სვეტი 716.

17 ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 190.

18 იქვე, გვ. 201.

მემატიანეებს ასე კარგად სცოდნიათ ყივჩაყთა საქართველოში გადასახლების ამბავი, მაშასადამე, შეთანხმებაც კიევის მთავარსა და საქართველოს შორის თავის დროზე მიღწეული ყოფილა. მაგრამ ეს ალბათ არ დააკმაყოფილებდა პატივცემულ მკვლევარს და საჭიროდ მივიჩნევთ კიდევ ერთ გარემოებასაც მივაქციოთ მისი ყურადღება.

როგორც ვოლინელი მემატიანის ცნობიდან ჩანს, თვით მემატიანე (მაშასადამე, იმდროინდელი მმართველი ზედაფენებიც) ყივჩაყების „რკინის კარებს“ იქით, საქართველოში განდევნას ვლადიმერ მონომახის დიდ ღონისძიებად, მის დამსახურებად მიიჩნევდა და არა საქართველოს მეფისა, რომელმაც ეს ღონისძიება გაატარა და რომლის გარეშეც, რა თქმა უნდა, კიევის დიდი მთავარი ამ მხრივ ვერაფერს გააკეთებდა. მაგრამ მემატიანის ასე კატეგორიული ცნობა მონომახის მიერ ყივჩაყთა „რკინის კარებს იქით“, საქართველოში განდევნის შესახებ მაინც ყურადსაღებია და არ შეიძლება სრულიად უსაფუძვლო იყოს. ჩვენი აზრით, ეს ცნობა სწორედ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ აქტში (ყივჩაყთა გადმოსახლებაში) კიევის მთავარს მართლაც რაღაცნაირი მონაწილეობა უნდა მიეღო. ამაში კი შეიძლება კიევის მთავრისა და დავით მეფის „სარწმუნო კაცთა“ მოლაპარაკება და შეთანხმება იგულისხმო მხოლოდ, რომლის გარეშე, მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა ასე „გრანდიოზული წამოწყების“ წარმატებით დაგვირგვინება.

* * *

პროფ. ი. ცინცაძის სხვა შენიშვნები გამოუწვევია ჩვენს წიგნს — „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, რომელიც 1962 წ. გამოქვეყნდა და სადაც XII ს. არა მარტო თბილისის, არამედ საერთოდ საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხია აღძრული. მაგრამ პროფ. ი. ცინცაძეს ჩვენი წიგნის საერთო შეფასება არ ჰქონია მიზნად და არსებითად ერთ-ერთ საკითხზე გააკეთა თავისი კრიტიკული შენიშვნები და ისიც სხვა საკითხებისა თუ პრობლემებისაგან მოწყვეტით. ამან კი, ბუნებრივია, შენიშვნებს ერთგვარად ცალმხრივი და ნაკლული სახე მისცა.

ამასთანავე, პროფ. ი. ცინცაძეს ერთსა და იმავე საკითხზე გაბნეულად, სხვადასხვა გვერდებზე აქვს საუბარი და ჩვენც იძულებული ვართ, უმეტეს შემთხვევაში, ავტორის თანმიმდევრობას მივყვეთ და ამგვარადვე ვუპასუხოთ.

უმთავრესი, უკეთ, არსებითად ერთადერთი საკითხი, რომლის ირგვლივაც პროფ. ი. ცინცაძემ ასე ვრცელი კამათი აღძრა, XII ს. 80-

·იანი წლების ერთ-ერთი ქართველი დიდი მოხელის — აბულასანის — სოციალური ვინაობის საკითხია.

მართლაც, აბულასანის პიროვნება, მიუხედავად მისი ხანმოკლე მოღვაწეობისა, საინტერესოა და მისი სოციალური კუთვნილების გარკვევაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს XII ს. საქართველოს ისტორიის ზოგი პრობლემის შესწავლას.

აბულასანის ვინაობის შესახებ საკმაოდ ვრცელი და, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი მსჯელობა გავმართეთ დასახელებულ ნაშრომში (იხ. გვ. 110—144). ბუნებრივია, ამ საკითხთან დაკავშირებით გზადაგზა მოგვიხდა სხვა ავტორთა, მათ შორის პროფ. ი. ცინცაძის, მოსაზრებათა კრიტიკაც. როგორც ჩანს, სწორედ ეს იქცა მისი პოლემიკური წერილის მეორე ნაწილისა და ამ საკითხების ხელახლა აღძვრის საფუძვლად.

პროფ. ი. ცინცაძემ, აბულასანის ვინაობის დასადგენად, როგორც თვითონ აცხადებს, „გულდასმით გადასინჯა“ XII ს. მეორე ნახევრის წყაროები და დაასკვნა: „ასეთი მუშაობის ჩატარების შემდეგ ჩვენ შ. მესხიას მოსაზრებათა გაზიარება არ შეგვიძლიაო“ (იხ. გვ. 215).

აქვე, იგი მოკლედ და შემდეგნაირად გადმოგვცემს ჩვენს მოსაზრებასაც: „ხსენებულ ნაშრომში შ. მესხიას კონცეფცია არსებითად აბულასანის თავისებურ გააზრებაზეა აგებული. აბულასანი, პროფ. შ. მესხიას მტკიცებით, დიდებულ ფეოდალთა ფენიდან გამოსული პიროვნება კი არ არის, არამედ ვაჭართა ინტერესებით მოქმედი ისტორიული პირია. ის, პატივცემული მკვლევარის მტკიცებით, საქართველოს სახელმწიფოს სატახტო ქალაქის, თბილისის „კომუნის“ მეთაურად არის მეფის მიერ დადგენილი“ (გვ. 216). მოტანილ ამონაწერში ჩვენი მოსაზრებანი არაზუსტად და შეუსაბამოდ არის გადმოცემული. აბულასანი ჩვენ არსად ასე ხელაღებით „ვაჭართა ინტერესების“ დამცველად არ გამოგვიცხადებია და არც „ვაჭრად“ მიგვიჩნევია, როგორც ამას, ძალიან ხშირად და ალბათ გარკვეული მოსაზრებით[19], რატომღაც მოგვაწერს პროფ. ი. ცინცაძე. თუ სწორად უნდოდა გადმოეცა ჩვენი მოსაზრება პროფ. ი. ცინცაძეს, საჭირო იყო აღენიშნა,

---

19 ი. ცინცაძე ისე წარმოგვიდგენს საქმეს, რომ ჩვენ თითქოს ყველგან მხოლოდ ვაჭრებს ვახსენებთ და მათზე ვსაუბრობთ. მაგ.: „აძლევდნენ თუ არა ვაჭრებს ქალაქის ამირობას“ (გვ. 216); „აფრიდონი... და ყუბასარი ვაჭრები არ იყვნენ“ (იქვე); „გრიგოლ ბაკურიანი ვაჭარი არ ყოფილა“ (გვ. 221), აბულასანი დარბაზის წევრია, როგორც „გვაროვნული დიდებული“ და არა „ვაჭრობით“ (გვ. 222); შ. მესხიას აზრით, „აბულასანი გიორგი რუსის ჩამოსვლამდე ვაჭარი იყო“ (იქვე); „მთაქარ ეპისკოპოსობას ვაჭრები და მათი შვილები აღწევდნენ განა?“ (გვ. 222); „ვაჭარი აბულასანი ამირად დანიშნა“ (გვ. 223) და სხვ. ამაშია, ჩვენი აზრით, პროფ. ი. ცინცაძის კრიტიკულ შენიშვნათა დიდი ნაწილის უსამართლობის მიზეზი.

რომ აბულასანი, შ. მესხიას აზრით, „თ ბ ი ლ ი ს ი ს მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა ზედაფენას, მის მოწინავე წრეს ეკუთვნოდა“, და „მესამე წოდების ინტერესებს გამოხატავდა“, როგორც ეს ჩვენ არაერთგან აღნიშნული გვაქვს ჩვენს ნაშრომში (იხ. გვ. 115, გვ. 121 და სხვ.).

ვაჭარიც არის და ვაჭარიც, ვაჭართა შორის XII ს. „დიდვაჭრებიც“ იყვნენ, „ვაჭრებიც“ და „ყმავაჭრებიც“; მათი სოციალური და პოლიტიკური ინტერესების გაერთიანება-გათანაბრება ჩვენ აზრად არ მოგვსელია და ცხადია, მოქალაქეთა ზედაფენის დიდვაჭარ-ფინანსისტთა წრის, „მესამე წოდების“ წარმომადგენელს საერთოდ „ვაჭართა ინტერესებით მოქმედ ისტორიულ პირად“ ვერ მივიჩნევდით.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი იმასთან შედარებით, რასაც ზემომოტანილი ამონაწერის მეორე ნაწილი შეიცავს. თუ პროფ. ი. ცინცაძეს დავუჯერებთ, ჩვენ თურმე ვამტკიცებთ — აბულასანი „თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ო მ უ ნ ი ს მ ე თ ა უ რ ა დ ა რ ი ს მეფის მიერ დადგენილი“. ეს კი სავსებით მოულოდნელი იყო. საქალაქო კომუნა თავისთავად გულისხმობს არა მარტო ქალაქის დამოუკიდებელ თვითმმართველობას, არამედ ქალაქის სრულ დამოუკიდებლობასაც და, ბუნებრივია, ის გამორიცხავს ქალაქის სიუზერენის, მფლობელ-ფეოდალისა და მით უფრო, მის მიერ დანიშნული მოხელის განმგებლობას ქალაქში. მთელი ჩვენი წიგნი სწორედ ამ საკითხის მტკიცებას მიეძღვნა და ნუთუ გაუგებარი აღმოჩნდა ი. ცინცაძისათვის ეს სავსებით ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ თბილისში კომუნის არსებობის დროს მეფის მიერ დადგენილი განმგებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ან კიდევ ის, რომ თუ ქალაქს მეფის მიერ დანიშნული მოხელე განაგებდა, ქალაქს არ შეეძლო კომუნის უფლებით ესარგებლა? ასე რომ, ჩვენ ვწერთ თბილისის კომუნის გაუქმების შემდეგ ქალაქის განმგებლებად მეფის მოხელეთა დანიშვნის შესახებ (აბულასანიც ასეთ მოხელედ მიგვაჩნია) და არა მეფის მიერ „კომუნის“ მეთაურად მოხელეთა დანიშვნის შესახებ.

შესანიშნი, როგორც ჩანს, პროფ. ი. ცინცაძეს სხვაც არაერთი ჰქონია და სავსებით გაუგებარია მიზეზი, თუ რისთვის მოგვაწერა ჩვენ ასეთი უაზრობის მტკიცება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ აბულასანსა და მის ვინაობას. ჩვენს ნაშრომში აღნიშნული გვაქვს: „როგორც სათანადო მასალებიდან ჩანს, XII—XIII სს., მას შემდეგ, რაც თბილისში საქალაქო კომუნა მოისპო, საქართველოს მეფეები ქალაქის განმგებლებს თვით ნიშნავდნენ, მაგრამ მოქალაქეთა პრივილეგირებული ზედაფენიდან, დიდვაჭრებისა და ფინანსისტების წრიდან... ეს იყო სამეფო ხელისუფლების ერთადერთი დათმობა ამ წრისადმი, საქალაქო კომუნის გაუქმების შემდეგ“[20].

---

20 იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 117.

პროფ. ი. ცინცაძეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონს ეს დასკვნა და წერს: „ისტორიულ ძეგლებში დაცული ამის დამადასტურებელი არც ერთი ცნობა შ. მესხიას არ მოუტანია, პირიქით, ყველა ცნობა, რომელიც დღემდე გამოცემულ მასალებში ვიპოვეთ, შ. მესხიას დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ს“ (გვ. 216).

მართალია, საქართველოს მეფეთა მიერ თბილისში დანიშნულ ამირათა შესახებ ჩვენ მასალები გვაკლია, არათუ მასალები, ზოგ გამონაკლისს გარდა, ამირათა სახელებიც კი არ ვიცით (ესეც არაა შემთხვევითი — ფეოდალური არისტოკრატია და მათი იდეოლოგიის დამცველები — იმდროინდელი ისტორიკოსები, სხვა მოვლენებთან დაკავშირებით თუ არა, ღირსადაც არ მ ი ი ჩ ნ ე ვ დ ნ ე ნ ა ს ე თ პ ი რ თ ა მოხსენებას)[21] და ამიტომ მკვლევარს ამ მცირე მასალით უხდება მსჯელობა. ეს მცირე მასალა კი, რაც აბულასანის, ყუთლუ-არსლანისა და სხვა მსგავსთა შესახებ მოგვეპოვება, მოვიტანეთ და მაქსიმალურად გამოვიყენეთ კიდეც და არ ვიცით, რატომ მოეჩვენა პროფ. ი. ცინცაძეს „ისტორიულ ძეგლებში დაცული მასალების“ გაუთვალისწინებლობა ჩვენ მიერ. ეს რომ მართლაც ასე იყოს, ცხადია, მაშინ პროფ. ი. ცინცაძეს ჩვენთან ასე ვრცელი კამათის გამართვაც არ დასჭირდებოდა.

ახლა იმ მასალების შესახებ, რომელიც, თურმე, ჩვენი „დებულების წინააღმდეგ მეტყველებს“. პროფ. ი. ცინცაძეს სურს დაამტკიცოს, რომ ამირებად თბილისში მხოლოდ დიდგვაროვნები ინიშნებოდნენ და ამის საბუთად სხვადასხვა მასალას გვთავაზობს: წყაროში დავით აღმაშენებლის დროს მოხსენებულია ამირა ლ ი პ ა რ ი ტ ბ ა ღ ვ ა შ ი. გიორგი III-ის დროს, დემნა ბატონიშვილის განდგომის წლებში (1177—1178 წწ.), მეფის მხარეზე და აჯანყებულთა წინააღმდეგ იბრძვის „ ა მ ი რ ა პ ე ტ ი“ თ ბ ი ლ ი ს ი ს ქ უ რ დ ი. სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ ეს „ქურდი“ ივანე და ზაქარია მხარგრძელების ბიძაა. ამ „ქურდის“ ერთი და სარგის მხარგრძელის მეუღლეა. მას გიორგი III-მ ს ა რ დ ლ ო ბ ა მიანდო აჯანყებულთა წინააღმდეგ და მოწინააღმდეგენი სასტიკად დაამარცხა. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს იქ, სადაც კარის (ყარსის) დაპყრობის ამბავს მოგვითხრობს, აღნიშნული აქვს: „ხოლო მეფემან აიღო და მიუთვალა (sic) კარის მცუელად ახალციხელი ივანე და აჩინა მ ო ნ ა პ ი რ ე დ და უ ბ ო ძ ა ა თ ა ბ ა გ ო ბ ა და ა მ ი რ ა თ-ა მ ი რ ო ბ ა“ (გვ. 216, ხაზგასმა ყველგან ჩვენია)[22].

---

21 ეს კარგად ჩანს თუნდაც ბასილ ეზოსმოძღვრის თხზულებიდან, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

22 პროფ. ი. ცინცაძეს ეს ამონაწერიც არა აქვს ზუსტად მოტანილი. ისტორიკოსი წერს: „მეფემან აიღო და მიითვალა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალცი-

შევეხოთ ყველა ამ საბუთს ცალ-ცალკე:

ა. როგორც ვხედავთ, პროფ. ი. ცინცაძეს ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც დავითის ისტორიკოსის მიერ, მართლაც, „ლ ი პ ა რ ი ტ ა მ ი რ ა დ“ არის მოხსენიებული, „თბილისის ამირად“ მიაჩნია, თორემ თავის ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მას ვერ მოიშველიებდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ, მეტი რომ არა ვთქვათ, ერთგვარ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. თბილისი ამ დროს არც საქართველოს მეფის ხელში იყო და არც სხვა ვინმესი, რომ ქალაქის მფლობელს ლიპარიტისათვის თბილისის ამირას თანამდებობა ებოძებინა. საქმე იმაშია, რომ ლიპარიტის ამირობა ამ შემთხვევაში, ჯერ კიდევ არსებული (არაბთა მფლობელობის დროიდან მომდინარე) ტრადიციის მიხედვით, მხოლოდ „ქართლის ამირას“ სინონიმი იყო და ქართლის ერთი ნაწილის ერისთავობას გულისხმობდა. თბილისის საამიროს საკუთრივ თბილისის ტერიტორიით შეზღუდვის შემდეგ, „ამირობა ქართლისა“ (შდრ. ადრინდელი „ამირა ქართლისა და თბილისისა“) ქართველმა დიდებულებმა მიიკუთვნეს (ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ლიპარიტმა). აი, რას წერდა ივ. ჯავახიშვილი ყოველივე ამის შესახებ: „დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ წლებშივე „ლიპარიტ ამირაა“ მოხსენებული, ტფილისი კი მხოლოდ დავითის მეფობის უკანასკნელ წლებში, 1122 წ. იყო აღებული. მაშასადამე, ამირობის თანამდებობის არსებობა ტფილისის დაპყრობით არ ყოფილა გამოწვეული. თუ ლიპარიტის ამირობის დროს ტფილისი ჯერ კიდევ ტფილისის ამირას (არაბი მოხელის — შ. მ.) ხელთ იყო, სამაგიეროდ, ტფილისის ს ა ა მ ი რ ო ს მ ო მ ე ტ ე ბ უ ლ ი ნ ა წ ი ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ებ ს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ, თვით ქალაქს გარდა, თითქმის მთელი სანახები ქართველებს ეკუთვნოდათ. აი, სწორედ საამიროს ყოფილი სამფლობელოს შემოერთების დროს შეიძლება გაჩენილიყო პირველად საქართველოშიც ქართლის ამირას თანამდებობა“[23]. განმარტება საჭირო არ არის — ლიპარიტ ბაღვაში, მართლაც, ძირძველი აზნაური და დიდებული, თბილისის კი არა, ქ ა რ თ ლ ი ს ა მ ი რ ა ა და თბილისის საქალაქო მოხელეობასთან მას საერთო არა აქვს. ასე რომ, „ლიპარიტის ამირობა“ პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრების სასარგებლოდ ვერაფერს გვეუბნება...

ხელი ივანე“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 92). როგორც ვხედავთ, მეფემ ქ. კარი ივანეს კი არ მისცა („მიუთვალა“), როგორც ეს პროფ. ი. ცინცაძის მიერ არასწორად მოტანილი ამონაწერიდან გამოდის, არამედ თვით „მიითვალა“ (აიღო თავისად), ივანე კი მხოლოდ მის მცველად დატოვა.

23 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლი, ქართული სამართლის ისტორია, II, თავ. 1, გვ. 215. ამჟამად არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ამ დროს (X I ს. მიწურულიდან 1122 წლამდე) თბილისი არც არაბ ამირას ეკუთვნოდა და ქალაქი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა (იხ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 66—99).

ბოდნენ, ამის მეორე დამადასტურებელ საბუთად პროფ. ი. ცინცაძეს გიორგი III-ის დროს, ორბელიანთა აჯანყების ჩაქრობასთან დაკავშირებით, „თბილისის ამირაპეტად“ მოხსენიებული ქურდი მიაჩნია. მას კი, პატივცემული მკვლევარი, ზაქარია და ივანე მხარგრძელების ბიძად, ე. ი. სარგის მხარგრძელის ცოლის ძმად და მაშასადამე, სომეხ დიდებულად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში პროფ. ი. ცინცაძე, როგორც თვით აცხადებს, სომხურ წყაროებს ემყარება, თუმცა ამ წყაროებთაგან არც ერთი საგანგებოდ დასახელებული არა აქვს.

სანამ საკუთრივ სომხური წყაროების განხილვაზე გადავიდოდეთ, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ პროფ. ი. ცინცაძეს „ამირაპეტი ქურდი“ თვის ნაშრომშიც („ძიებანი“) ჰყავს დასახელებული და საინტერესოა, რომ, მისი აზრით, ამირაპეტობა არ უნდა ნიშნავდეს თბილისის ამირათამირობას[24]. მაგრამ ამას თავი დავანებოთ და თვით სომხურ წყაროთა ჩვენებაზე შევჩერდეთ.

გიორგი III-ის დროს მოხსენიებული „ამირაპეტი ქურდი“ დავით ქობაირელის მიხედვით გიორგი III-ის კ ე თ ი ლ მ ს ა ხ ურ ი ა და მისთვის თავდადებული პირი: „მეფის ბრძანებით მათ (აჯანყებულებს) დაედევნა კ ე თ ი ლ მ ს ა ხ ურ ი თბილისის ამირათმთავარი ქურდი“[25]. რაც შეეხება სარგის მხარგრძელის ცოლის ძმას, იშხან ქურდს, ისევ სომხური წყაროების მიხედვით, იგი გიორგი III-ის კეთილმსახური კი არა, მტერი იყო; ქურდი თავის ძმასთან, ვასაკთან ერთად, რომელიც დავით III-ის (დემეტრეს ძის) მიერ იყო განდიდებული, გიორგი III-მ გამეფებისთანავე განდევნა საქართველოდან და სამფლობელოებიც ჩამოართვა. მხითარ გოში, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა იშხან ქურდთან, წერს: „დავით III-მ მეტად განადიდა პატივით ქალაქის ტფილისის სატრაპი ვასაკი, იშხან ვაჰრამის შვილი და მისი ძმები სახელით ქურდი და სარგისი“[26].

როცა გიორგი გამეფდა, „მოისურვა ვასაკ იშხანის შეპყრობა, რადგან მის მიმართ გულისწყრომა ჰქონდა. ამის გამო გაიქცა ვასაკი თავის ძმასთან ერთად და მივიდა თეოდისიოპოლში... კარნუ ქალაქში... ამირამ, რომელსაც სალტუხი ერქვა (რაკი მის წინაშე ვასაკს დიდი დამსახურება ჰქონდა—შ. მ.), სიხარულითა და პატივისცემით მიიღო ისი-

---

24 იხ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი, გვ. 154, 157.

25 გ. მ ა ი ს ურ ა ძ ე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, იხ. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 264.

26 ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე მხითარ გოშის ალბანეთის ქრონიკა, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, თბ., 1968, II, გვ. 46, შდრ. М х и т а р Г о ш, Албанская хроника, Баку, 1960, с. 17—18.

ნი და მრავალი სოფლის გამგებლობაც უწყალობა... ვასაკი გარდაიცვალა, ხოლო მისი დროშა, საყვირი და გამგებლობაც მისცეს მის ძმას, რომელსაც ერქვა ქურდი და იმყოფებოდა იქ დიდი პატივით"[27].

როგორც სხვა მასალებიდან ირკვევა, იშხან ქურდმა თავისი სამფლობელოები მხოლოდ თამარის გამეფების და მასთან შერიგების შემდეგ დაიბრუნა და აქ, თავის ძველ სამფლობელოებში შეხვდა მას მხითარ გოშიც XII ს. მეორე ნახევარში[28].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „იშხან ქურდი", მანკაბერდელი დიდებული, რომელსაც წყაროები „სადუნ ქურდსაც" უწოდებენ, სომეხი ისტორიკოსების მიხედვით, „ახალი ტიპის", ოქროს წყალობით აღზევებული საგვარეულოს წარმომადგენელია. ამ საგვარეულოდან გამოვიდა XII ს. საქართველოს ისტორიაში, ასევე სავაჭრო ოპერაციებით კარგად ცნობილი, სადუნ მანკაბერდელიც[29].

ამრიგად, საეჭვოა, რომ სალდუხის მიერ სოფლების გამგებლად დანიშნული და იქ „დიდი პატივით" დარჩენილი იშხან ქურდი გიორგი III-ეს ისევ დაეწინაურებინოს და თბილისის ამირაპეტად დაენიშნოს. ჩვენ ამ შემთხვევაში, იქნებ, ორ სხვადასხვა ქურდთან გვაქვს საქმე: ერთი — გიორგის „კეთილმსახურია", ხოლო მეორე — მისი მოწინააღმდეგე. ასეც რომ არ იყოს, ქურდის „თბილისის ამირაპეტად" და ასევე „მეფის კეთილმსახურად" მოიხსენიება და არც ის, რომ მეფემ იგი მოწინააღმდეგის ერთ-ერთ რაზმს დაადევნა (კი არ უსარდლა, როგორც ი. ცინცაძე წერს), არაფერს გვეუბნება მისი დიდგვაროვნობის შესახებ. პირიქით, როგორც აღვნიშნეთ, მისი წარმომავლობა, „ოქროს" წყალობით აღზევება მხოლოდ საწინააღმდეგოზე მიგვითითებს და უფრო ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. როგორც ვხედავთ, არც ეს მეორე საბუთი გამოადგა პროფ. ი. ცინცაძეს ასეთი მტკიცებისათვის.

გ. ახლა პროფ. ი. ცინცაძის მესამე საბუთის — კერძოდ, ივანე ახალციხელის ქ. კარში (ყარსში) „ამირათ-ამირობის" შესახებ. მართლაც, ეს დიდგვარიანი ფეოდალი თამარის მიერ კარის „მცველად" და „ამირათ-ამირად" იყო დანიშნული (მაგრამ აქ ჩვენ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე). კარი, როგორც ცნობილია, სანაპირო ქალაქი იყო და მაშასადამე, მას განსაკუთრებული სტრატეგიუ-

---

[27] იქვე, გვ. 48. Албанская хроника, с. 18.

[28] შდრ. Киракос Гандзакеци, История, 1946, с. 107, 261, 273.

[29] Л. О. Бабаян, История Армении в XIII—XIV вв., М., 1969, с. 133—134.

ლი მნიშვნელობაც ჰქონდა საქართველოს საზღვრების დასაცავად და ბუნებრივია, თუკი პირველ რიგში მ ო ნ ა პ ი რ ე დ დადგენილი დიდებულისათვის თვით ამ სანაპირო ქალაქის დაცვის განმგებლობაც მიენდოთ. მსგავსი მაგალითი სხვაც იცის საქართველოს ისტორიამ. ბასილ ეზოსმოძღვარის მიხედვით, საქართველოში არაერთი ასეთი სანაპირო ერთეული იყო, რომელთა სათავეშიც მონაპირე ერისთავები იდგნენ და ბუნებრივია, მათვე ეკუთვნოდათ, დასაცავად და განსაგებად, სათანადო სანაპირო ქალაქებიც[30].

ამას გარდა, განა მტკიცება სჭირდება იმ ფაქტს, რომ ქალაქთა ერთი ნაწილი, განსაკუთრებით თამარის დროიდან, დიდებულთა განმგებლობაში იყო და მათ ჰქონდათ ესა თუ ის ქალაქი ან „საკუთრად“ თუ „სანახევროდ“, ან „საქონებლად“ თუ „სახარჯოდ“ და ფეოდალური მფლობელობის სხვა ფორმით[31].

ამრიგად, ამირობას სანაპირო ქალაქებში, ან კიდევ, ქალაქების ფეოდალური მფლობელობის ამა თუ იმ ფორმას, ჩვენთვის საინტერესო საკითხის — ქალაქის მართვა-განმგებლობაში მოქალაქეთა ზედაფენის მონაწილეობისა და, კერძოდ, თბილისის ამირა აბულასანის ვინაობის — გარკვევაში რაიმე მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა არ შეუძლია.

როგორც ვხედავთ, „ყველა ცნობა, რომელიც დღემდე გამოცემულ შასალებში“ პროფ. ი. ცინცაძეს უპოვნია, ვერაფერს „მეტყველებს შ. მესხიას მოსაზრებათა წინააღმდეგ“. ამას კარგად გრძნობს თვით პროფ. ი. ცინცაძე და აღნიშნავს: „მოტანილი ცნობები, მართალია, საეჭვოდ ხდის შ. მესხიას მოსაზრებას აბულასანის ვაჭრობაზე (sic!), მ ა გ რ ა მ მ ა ი ნ ც ა რ ა რ ი ს ს ა კ მ ა რ ი ს ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ დ ა ვ ა დ გ ი ნ ო თ ა ბ უ ლ ა ს ა ნ ი ს დიდი გვარიშვილობიდან წარმომავლობა“ (გვ. 216) და იქვე თვითვე მოჰყავს სათანადო მაგალითებიც გიორგი III-ს დროს „უაზნოთა“, „უგვაროთა“ კიდევ უფრო მაღალ თანამდებობაზე, ვიდრე თბილისის ამირობაა, დანიშვნის შესახებ (ნაყივჩაყარ ყუბასარისა ამირსპასალარად და „აზნაურის ყმისა“, აფრიდონისა, კიდევ, მსახურთუხუცესად); მაგრამ ეს მაინცდამაინც არ აკვირვებს პროფ ი. ცინცაძეს და დასძენს: „მართალია ესენი უგვაროები, დაბალი სოციალური წარმოშობისანი არიან, მაგრამ „ვაჭრები“ არ იყვნენო“, თითქოს ვინმეს ემტკიცებინოს სადმე და ოდესმე გიორგი III

---

30 ბ ა ს ი ლ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფეთა თამარისი, გამოცემა ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს, 1944, გვ. 23.

31 იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 96 და სხვ. შდრ. აგრ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, „მიმომხილველი“, III, 1951, გვ. 83—106.

მხოლოდ „ვაჭრებს“ აწინაურებდაო. თუმცა პროფ. ი. ცინცაძის მიერ მოტანილი მაგალითი მაინც კარგად უჩვენებს საქართველოს სამეფო ხელისუფლების იმდროინდელ საშინაო პოლიტიკურ გეზს და სწორედ ეს თავისთავად იძლევა ლოგიკურ დასკვნას — თუკი „აზნაურის ყმას“ მსახურთუხუცესობამდე შეეძლო მიეღწია, ნუთუ მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენელს არ შეეძლო თბილისის ამირობის მიღება? და ყოველივე ამის საუცხოო მაგალითი არ არის განა უგვარო ყუთლუ-არსლანის პიროვნებაც, რომელიც წყაროების მიხედვითაც და თვით პროფ. ი. ცინცაძის ადრინდელი მტკიცებითაც „სიმდიდრის წყალობით აღზევდა“ (დაწინაურდა) მეჭურჭლეთუხუცესის მაღალ თანამდებობამდე[32] და მზად იყო მალე ამირსპასალარობაც მიეღო. ყუთლუ-არსლანის პიროვნებაზე და მის ვინაობაზე ჩვენ აქ შეჩერებას არ ვაპირებთ, მაგრამ შევნიშნავთ კი, „სიმდიდრით აღზევებული“ შეიძლება სწორედ ის დაბალი წარმოშობის დიდვაჭარ-ფინანსისტი იყოს (და არა უბრალოდ „ვაჭარი“ როგორც ყოველთვის წერს პროფ. ი. ცინცაძე), რომელსაც ამ გზით მიუღწევია ასეთი დაწინაურებისათვის[33].

ჩვენს ზემოდასახელებულ ნაშრომში სხვა მაგალითიც მოვიტანეთ XIII ს. შუა წლების საქართველოს ისტორიიდან იმის შესახებ, თუ როგორი დიდი გავლენით სარგებლობდნენ დიდვაჭრები საქართველოს სამეფო კარზე და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს მაგალითები პროფ. ი. ცინცაძემაც მოიტანა (იხ. წერილის გვ. 216—217), მაგრამ იქვე შეგვნიშნა: „მონღოლების ბატონობის ხანის ფაქტით მე-12 საუკუნის მოვლენების“ ახსნა შეუძლებელიაო (გვ. 217). პროფ. ი. ცინცაძე განაგრძობს: მე-13 საუკუნე მონღოლების ბატონობის ხანაა, როცა ვ ა ჭ რ ე ბ ს დ ა პ ყ რ ო ბ ი ლ ქ ვ ე ყ ნ ე ბ შ ი ძ ნ ე ლ ბ ე დ ო ბ ი ს ა დ ა ს ა ე რ თ ო გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ი ს გ ა მ ო მ ე ფ ე ს თ ა ნ დ ა წ ი ნ ა უ რ ე ბ ა (s i c) დ ა დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა ე ღ ი რ ს ა თ, ამდენად, ასეთი ანალოგიები წინა საუკუნის მოვლენების დასადგენად არ გამოგვადგება და აბულასანის „ვაჭრობის“ (sic!) საკითხიც უნდა მოიხსნას“ (გვ. 224).

რაკი ჩვენ მიერ მოტანილი საბუთები ასე მიუღებლად მიუჩნევია პატივცემულ ავტორს, იძულებული ვართ მას იმავე წიგნში მითითებუ-

---

32 ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი, გვ. 147; გვ. 160—161; შდრ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნარკვ. II, გვ. 159—160. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ამ საკითხზე დამოწმებული აქვს პროფ. ი. ცინცაძეს და არსებითად იმეორებს მას. ივ. ჯავახიშვილი კი, როგორც ცნობილია, ყუთლუ-არსლანს „უგვაროდ“ და „სიმდიდრით აღზევებულად“, ხოლო მის დასს „სიმდიდრით აღზევებულთა დასად“ მიიჩნევდა.

33 ჩვენი მოსაზრებანი ყუთლუ-არსლანზე, თუ მკითხველს დაინტერესებს, შეუძლია ნახოს „თბილისის საქალაქო კომუნის“ 100—110 გვერდზე.

ლი სხვა მასალაც შევახსენოთ, უკვე XII საუკუნისა, თამარის დროისა. მხედველობაში გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ადგილი, სადაც მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლის, შოთა რუსთაველის მიერ შესანიშნავად არის გადმოცემული ეპოქის სულისკვეთება სამეფო ხელისუფლებისა და დიდვაჭრების ურთიერთობასთან დაკავშირებით. შოთა რუსთაველი, როგორც მაღალი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენელი, ზემოდან დაჰყურებდა ვაჭართა ფენას და თვით ვაჭართუხუცესს (ე. ი. დიდვაჭარს) ახასიათებდა როგორც „ცქაფი, უწრფელი, მსწრობელი“. მიუხედავად ამისა, იგი მაინც იძულებული იყო ხელმწიფისა და ვაჭართუხუცესის უსენის ურთიერთობის შესახებ პოეტურად ეთქვა:

„უსენ მოვიდა, ხელმწიფე დაჰხვდა ნადიმად მჯდომელი
უ ს ე ნ ა რ ი ფ ი მ ე ფ ი ს ა, მ ე ფ ე ც ა მ ი ს მ დ ო მ ე ლ ◦,
წინა მოისვა, შეიძღვნა, ძღვენი მიართვა რომელი,
აწ ნახო მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი მსწრობელი“[34].

როგორც ვხედავთ, ვაჭართუხუცესი ხელმწიფის „არიფად“, მასთან დაახლოებულ პირად, მის მეგობრად არის მიჩნეული; ამასთანავე, თვით „მ ე ფ ე ც მ ი ს მ დ ო მ ე ლ ა დ“, ამ მეგობრობის მოწადინედ; მეფესთან ასეთი სიახლოვე „მონღოლების ბატონობის დროის საერთო გაჭირვების გამო“ კი არ „ღირსებია“ დიდვაჭრებს, არამედ ეპოქის მოთხოვნილებით. არა გვგონია, რომ პროფ. ი. ცინცაძე „ვეფხისტყაოსანს“ მონღოლების ბატონობის დროს დაწერილად მიიჩნევდეს.

შესადარებლად საინტერესოა აქვე მოვიტანოთ კირაკოზ განძაკელის ერთი ცნობაც, რომელიც კარგად გამოხატავს მეფისა და დიდვაჭრის — უმეკის — ასეთსავე ურთიერთობას, ოღონდ მონღოლთა ბატონობის დროს. კირაკოზის სიტყვით, თბილისში გადმოსახლებული კარინელი „მდიდარი ვაჭარი... ქართველთა მეფის დავითის მამად იწოდებოდა“[35] და მასთან მჭიდრო ურთიერთობაში იყო. ობიექტური მკითხველი, ალბათ, დიდ განსხვავებას ვერ ნახავდა, ერთი მხრივ, უსენისა და მისი ხელმწიფის, ხოლო მეორე მხრივ, უმეკის და დავით ულუს ურთიერთობათა შორის. როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლებისა და დიდვაჭარ-ფინანსისტთა ურთიერთობის თვალსაზრისით მონღოლთა პერიოდში, თამარის დროიდან 30—40 წლის შემდეგ, რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ჰქონია, როგორც ამაში პროფ. ი. ცინცაძე გვარწმუნებდა.

---

[34] ვეფხისტყაოსანი, თბ.; 1966, სტროფი 1153; შდრ., შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 117.

[35] К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История, с. 184.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ XII საუკუნეს.

საეურნალო წერილის ფარგლები შესაძლებლობას არ გვაძლევს ვრცლად შევჩერდეთ იმ ცვლილებებზე, რაც XII ს. საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ხდება, მაგრამ გაკვრით მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ დიდვაჭრები და ფინანსისტები, მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენლები „ყმა-ვაჭრები" ან უბრალოდ „ვაჭრები" კი არ იყვნენ, როგორც პროფ. ი. ცინცაძეს წარმოუდგენია, არამედ ისინი, ვინც თავიანთი სიმდიდრის წყალობით ცდილობდნენ გატოლებოდნენ ფეოდალურ არისტოკრატიას და შეეძინათ ყველა ის ნიშანი, რაც აუცილებელი იყო მაღალ ფეოდალურ წრეში გავლენის მოსაპოვებლად, როგორც მიწა-მამულების, ასევე თანამდებობათა მოპოვების თვალსაზრისით. ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს იწვევს ქართველთა მფლობელობის დროს, XII ს. მიწურულს ქ. ანისში მცხოვრები სომეხი ქალაქენოდიტი (გაქართველებული სომეხი) ტიგრან ჰონენცი, რომელიც. ნ. მარის სიტყვით, უგვარო იყო, მაგრამ არა მარტო დიდვაჭარი, არამედ დიდი მემამულეც: „Тигран—Типичный для своей эпохи капиталист... это mutatis mutandis и банкир своего времени, дававший крупные ссуды под залог недвижимых имуществ, оставившихся затем, обыкновенно, на практике, за ними или за тем, за кем он пожелал бы закрепить их... Очевидно, происходил переход княжеских и дворянских вотчин в руки крупных капиталистов"[36].

ტიგრან ჰონენცის სოციალური სახე არ წარმოადგენდა რაიმე გამონაკლისს, იგი სწორედ ამგვარი გზით თანდათან იძენდა იმ ნიშნებს (ქონება, თანამდებობა, მამული), რომელიც მას ფეოდალურ საზოგადოებაში არა მარტო არსებობის, არამედ დიდი გავლენის მოპოვების შესაძლებლობასაც აძლევდა. მაგრამ ამავე დროს ასეთი პიროვნებები იყვნენ მართლაც სათანადო ცვლილებების, სიახლის შემტანნი მათსავე წარმომშობ ფეოდალურ საზოგადოებაში.

ასე წარმოიშვნენ და ამავე გზას ადგნენ XII—XIII სს. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში აბულასანი, ყუთლუ-არსლანი და ბევრი სხვა, რომელთა სახელები ისტორიამ, სამწუხაროდ, ვერ შემოგვინახა. მაგრამ მათი არსებობის გამორიცხვა XII—XIII სს. მიჯნის საქართველოს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორის უგულებელყოფად უნდა მივიჩნიოთ, რაც, რა თქმა უნდა, ამ დიდი გარდატეხების ეპოქის გაგებას ხელს ვერ შეუწყობდა.

---

[36] Н. Я. Марр, Ани, книжная история города и раскопки на месте городища, М.-Л., 1934, с. 34—35

XII საუკუნე — XIII ს. დამდეგი საქართველოს ისტორიაში ის ეპოქაა, როდესაც ქალაქები და, მაშასადამე, მისი ძირითადი მოსახლეობა, დიდვაჭარ-ფინანსისტები, ვაჭრები და ხელოსნები სამეფო ხელისუფლების, მეფის ტახტის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენად, მის გამამაგრებლად არიან ქცეულნი. ჩვენი ეს მოსაზრებაც ისევ ზეპირ განცხადებად რომ არ მოეჩვენოს პატივცემულ პროფესორს, საჭიროდ მივიჩნევთ აქვე მოვიტანოთ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან ერთი ადგილი, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე ყურადღების გარეშე რჩებოდა და სათანადოდ განმარტებულიც არ ყოფილა.

გიორგი III-ის მიერ ქ. ანისის აღებასთან დაკავშირებით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი წერს: მეფე გიორგიმ „ჴელთ იგდო ქალაქი (ანისი) ნებისაებრ თჳსისა და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან დამიჭირა სადგომად, ტ ა ხ ტ ი ს ა მ ი ს ი ს ა შ ე ს ა ნ ა ხ ა ვ ა დ დ ა გ ა ს ა მ ა გ რ ე ბ ლ ა დ"[37]. ამრიგად, XII ს. სამეფო ხელისუფლებისა და მისი ოფიციალური იდეოლოგიის მიერაც, ქალაქი მეფის ტახტის „შემნახავად და გამმაგრებლად" იყო მიჩნეული. ცხადია, ქალაქების ასეთი მნიშვნელობით იყო გამოწვეული ის საუკუნოვანი ბრძოლები ქალაქებისათვის, რომელსაც სამეფო ხელისუფლება აწარმოებდა, ერთი მხრივ, უცხო მოძალადეთა და ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ. სამეფო ტახტის „შემნახავ და გამმაგრებელ" ქალაქთა ძირითად მოსახლეობას კი სწორედ მისი „მკვიდრნი" „მოქალაქენი", მისი ზედაფენის წარმომადგენლები — დიდვაჭრები, ვაჭრები და ხელოსნები — შეადგენდნენ.

ჩვენს ზემოდასახელებულ წიგნში გარკვევით მივუთითეთ და სათანადო მასალებითაც დავასაბუთეთ[38], რომ „ქ ა ლ ა ქ ი ს მ კ ვ ი დ რ ნ ი" ან კიდევ „თ ბ ი ლ ი ს ი ს მ კ ვ ი დ რ ნ ი" — შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მოქალაქეთა, პ ი რ ვ ე ლ რიგში კი, მისი ზედაფენის, დივაჭრებისა და სხვების აღმნიშვნელი. ამიტომ ვფიქრობდით (და ახლაც ვფიქრობთ), რომ „თბილისის მკვიდრად" მოხსენებული აბულასანი თბილისის მოქალაქეთა სწორედ ამ ზედაფენას ეკუთვნოდა. პროფ. ი. ცინცაძეს ჩვენი ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, არ მოსწონს, პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იშველიებს და წერს: „განსვენებული მეცნიერის (იგულისხმება ივ. ჯავახიშვილი—შ. მ.) მოსაზრებანი „მკვიდ-

---

37 ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, II, 1959, გვ. 6. ჩვენ სავსებით მართებულად მიგვაჩნია თამარის ისტორიკოსის თხზულების ამ ადგილის ზემომოტანილი წაკითხვა, თუმცა ეს ადგილი სხვაგვარად აქვს გადმოცემული კ. კეკელიძეს (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 1941, გვ. 57).

38 იხ. საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 112—115.

რის“ შესახებ, რომ ის ზოგადი ცნების გამომხატველი სიტყვაა, სავსებით სწორია და მას საერთო არაფერი აქვს ამ ტერმინის შ. მესხიასეულ გაგებასთან“ (გვ. 217). მართლაც, ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „ყ ო ვ ე ლ ნ ი მ კ ვ ი დ რ ნ ი საქართველოსანი“ ან „ყ ო ვ ე ლ ნ ი მ კ ვ ი დ რ ნ ი სამეფოსანი“ და სხვა მსგავსი, რომელიც უხვად გვხვდება იმდროინდელ ქართულ წყაროებში, მხოლოდ ზოგადი ტერმინი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელშიც ივ. ჯავახიშვილისავე სიტყვით, „დიდებულები, ვაზირები, დიდი მოხელეები და სხვები ივარაუდებოდნენ. „მკვიდრთა“ წრეს „თავადნი“ და დიდვაჭრებიც ეკუთვნოდნენ“[39], მაგრამ ჩვენ ამ ზოგად — „ყოველნი მკვიდრ“ — ტერმინზე კი არა გვაქვს საუბარი, არამედ უფრო კონკრეტულზე, კერძოდ, „თ ბ ი ლ ი ს ი ს მ კ ვ ი დ რ ზ ე“. ამ კონკრეტულ ტერმინში კი შეუძლებელია ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები ეგულისხმათ.

პროფ. ი. ცინცაძე ვერ დაასახელებს ვერც ერთ ქართულ წყაროს, სადაც „თბილისის მკვიდრად“, გიორგი III-ის, ან კიდევ თამარის დროინდელი, რომელიმე დიდგვარიანი, თბილისში მცხოვრები ფეოდალი ყოფილიყოს დასახელებული. განა მტკიცება ´ სჭირდება იმას (თუმცა საამისო საბუთები ჩვენს წიგნში არაერთია მოტანილი და ამას აქ არ გავიმეორებთ), რომ „თბილისის მკვიდრად“ სწორედ ქალაქის ძირითადი მოსახლე და ქალაქში მოსაქმე, საქალაქო ცხოვრების აქტიური მონაწილე იგულისხმებოდა და არა დიდგვარიანი ფეოდალი, თუნდაც თბილისში მცხოვრები. ამიტომ, ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ თამარის ისტორიკოსი მხოლოდ ორგან ასახელებს „თბილისის მკვიდრთ“ — პირველ შემთხვევაში ასეთად ა ბ უ ლ ა ს ა ნ ს, თ ბ ი ლ ი ს ი ს ა მ ი რ ა ს მიიჩნევს, ხოლო მეორედ — დ ი დ ვ ა ჭ ა რ ზ ა ნ ქ ა ნ ზ ო რ ა ბ ა ბ ე ლ ს[40]. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს ფაქტიც საკმარისი იქნებოდა თვით ამ ტერმინის — „თბილისის მკვიდრის“ — გასაგებად და აბულასანის სოციალური კუთვნილების დასადგენად.

მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მივიჩნევთ პატივცემული პროფესორის ყურადღება მივაქციოთ საქართველოს ისტორიის პირველი სახელოვანი მკვლევარის, ვახუშტის განმარტებას თამარის ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობისა. ვახუშტის მიხედვით, აბულასანი იყო „კაცი ვაჭარი თბილისელი“[41]: აი, როგორ ესმოდა თამარის ისტორიკოსის

---

39 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნარკვ. I, გვ. 55.

40 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36—37.

41 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, განმარტებული დ. ბაქრაძის მიერ, ტ. 1, 1885, გვ. 198, იგივე გაიმეორა აბულასანის შესახებ დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ მ ა ც ; იხ. მისი, Грузинская история, ხელნაწერი, ინახება ლენინგრადში, 14, ფურც. 171.

მიერ აბულასანის „თბილისის მკვიდრად“ მოხსენიება ვახუშტის. პროფ. ი. ცინცაძეს, ალბათ, ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ ვახუშტი ბაგრატიონს ჩვენზე ნაკლებ არ ესმოდა „ქართლის ცხოვრება“ და იქნებ, უფრო უკეთაც გაეგო მისი ცალკეული ადგილები. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტის ეს ცნობა, რა თქმა უნდა, ცნობილია პროფ. ი. ცინცაძისათვის, მაგრამ მან ამ შემთხვევაში, ე. ი. ჩვენთან კამათის დროს, რატომღაც მას, ისე როგორც ბევრს სხვას, გვერდი აუარა.

ასევე, პროფ. ი. ცინცაძეს პოლემიკის დროს ყურადღების გარეშე დარჩა თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილ ეზოსმოძღვრის ცნობაც, რომელიც დიდ დახმარებას გაგვიწევდა აბულასანის სოციალური ვინაობის გაგებაში. ბასილ ეზოსმოძღვარი საერთოდ არ იხსენიებს იმ პირს, ვინც თამარის საქმროდ გიორგი უფლისწული დაასახელა და არც იმას, ვინც იგი ყივჩაყეთიდან თბილისში ჩამოიყვანა. მაგრამ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი ეს ისტორიკოსი გულისწყრომითა და სინანულით შენიშნავს: „წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ... და ესე ვერა კეთილად განაგის, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუენეს, რომელსა იგი მოიყუანებდეს“[42]. აშკარაა, რომ თამარის საქმროს საკითხის „არა კეთილად განმგებიცა“ და მის ჩამოსაყვანად გაგზავნილიც, ისტორიკოსის აზრით, არ იყო ღირსი ასეთი საქმის მინდობისა და მოხსენიებისაც კი, მაგრამ ვინ არიან ასე „უღირსნი“? ამის პასუხს თამარის პირველი ისტორიკოსი იძლევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ისტორიკოსის ცნობით, თამარის საქმროდ გიორგი უფლისწულის კანდიდატურა „თბილისის მკვიდრმა“ და „თავადმა“ აბულასანმა წამოაყენა; ხოლო მის ჩამოსაყვანად კიდევ, ასევე თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი გაიგზავნა[43]. პროფ. ი. ცინცაძემ, ს. ერემიანთან კამათის დროს, სავსებით მართებულად მიუთითა, რომ ბასილმა ზემომოტანილ ცნობაში აბულასანი აუგად[44], მის მიერ წამოწყებული საქმისათვის უღირს კაცად მოიხსენია; მაგრამ ვინ შეიძლებოდა მიეჩინათ ასე უღირს პიროვნებად ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს? ცხადია, სწორედ ისინი, ვინც მათ, მაღალ დიდგვარიანთა წრეს არ ეკუთვნოდა.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ პროფ ი. ცინცაძის კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ისევ აბულასანის ვინაობის გასარკვევად არის მოტანილი. ეს ანისის ტაძრის 1218 წ. ცნობილი ქართული წარწერაა.

---

42 ბ ა ს ი ლ ი, ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი, გვ. 16.

43 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36—37.

44 შდრ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი, გვ. 162.

წარწერის მიხედვით, ანელ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს ქ. ანისის ქართული სამწყსოსათვის საეკლესიო გამოსაღებები თანდათან გაუდიდებიათ, ამას კი „ქალაქის მკვიდრთა ქართველთა“ აღშფოთება გამოუწვევია და საქართველოს კათალიკოსი იძულებული გამხდარა საქმეში ჩარეულიყო, საეკლესიო გამოსაღებები მტკიცედ განესაზღვრა, საამისო გადაწყვეტილებაც ანისის ტაძრის კედელზე ამოუკვეთია და ადანყებულთათვის მიუმართავს: „მ კ ვ ი დ რ ნ ო ა მ ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს ა ნ ო ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ო... ნუ გეწყინების მათთუის ძალისაებრ მისაცემელი“ და რომ „უფროსად მხიარულებით მისცემდით“, ამიერიდან გამოსაღებები შეგვიმცირებია და ასე განგვიწესებიაო[45]. პროფ. ი. ცინცაძის ყურადღებას ამ შემთხვევაში იქცევს წარწერა — „მ კ ვ ი დ რ ნ ო ქ ა ლ ა ქ ი ს ა ნ ო“ და შენიშნავს: „აქ თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ც ხ ა დ ი ა „მ კ ვ ი დ რ ი“ მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა ზ ე დ ა ფ ე ნ ა ს ა რ ნ ი შ ნ ა ვ ს, ზ ე დ ა ფ ე ნ ა ს შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა მ ღ ვ დ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ა რ ც ე ჩ ი ვ ლ ა მ ღ ვ დ ლ ე ბ ი ს მ ი ე რ 100 დ რ ა მ ა ნ ი ნ ა ხ ი რ ი ს დ ა წ ე ს ე ბ ი ს გ ა მ ო“ (გვ. 217—218). მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ იჩივლა კონკრეტულად ასე უზომო გადასახადების გამო, არამედ ის, თუ ვინ არიან ეს „მ კ ვ ი დ რ ნ ი ქ ა ლ ა ქ ი ს ა ნ ი“, რომელთა დასამშვიდებლადაც გაუკეთებიათ დასახელებული წარწერა.

„მკვიდრნი ამის ქალაქისანი ქართველნი“, ცხადია, სხვა არავინ შეიძლება იყვნენ, თუ არა ქალაქ ანისის ქართული ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა. როგორც ამ წარწერიდანაც ჩანს, ანისის თუ სხვა „ქალაქის მკვიდრი“ ქალაქის მოსახლეობას, მის ძირითად მწარმოებელ ფენას გულისხმობდა და არა ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიას, რომელიც ანისში საერთოდ არც მოსახლეობდა. სხვა ჩვენ არაფერი გვიმტკიცებია ზემოთ, როცა „თბილისის მკვიდრის“, როგორც ტერმინის, გაგების შესახებ ვწერდით. ამასთანავე, არსად არ აღგვინიშნავს, რომ „მკვიდრნი ქალაქისანი“, ან მით უფრო „მკვიდრნი“ მხოლოდ მოქალაქეთა ზედაფენას ნიშნავდეს, ვწერდით და ვიმეორებთ—„მკვიდრნი ქალაქისანი“ პ ი რ ვ ე ლ რ ი გ შ ი ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას გულისხმობს, მაგრამ არა მარტო ამათ, არამედ საერთოდ „მოქალაქეთ“, ამ ტერმინის შუასაუკუნოებრივი გაგებით.

პროფ. ი. ცინცაძის მიხედვით კი, ანისის ტაძრის მოტანილ წარწერაში „ქალაქის მკვიდრნი“ სწორედ მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა დ ა ბ ა ლ ი ფ ე ნ ე ბ ი ს აღსანიშნავადაა ნახმარი[46]. ეს კი იმის საწინააღმდეგოდ

---

45 ი ხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში, თბ., 1934, გვ. 10—11.

46 პროფ. ი. ცინცაძის მტკიცებით, თუ ქალაქის დაბალი ფენების წარმომადგენლები არა, ასე მცირე თანხაზე — „100 დრამი ნახრზე“ — მაღალი წრეების წარ-

ლაპარაკობს, რასაც ასე თავგამოდებით ამტკიცებდა პროფ. ი. ცინცაძე თავის პ ო ლ ე მ ი კ უ რ წერილში. მართლაც, თუ „ქალაქის მკვიდრნს“ ამგვარად გავიგებდით, როგორც ეს ამ შემთხვევაში პროფ. ი. ცინცაძეს გაუგია, მაშინ „თბილისის მკვიდრი“ აბულასანი ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის კი არა, დაბალი ფენების წარმომადგენლადაც კი უნდა მიგვეჩნია. ასე რომ, მის მიერ დამოწმებული დოკუმენტი პატივცემული მკვლევარის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ უფრო გამოდგება, ვიდრე მის დასასაბუთებლად.

აბულასანის დიდგვარიანობის კიდევ ერთ საბუთად პროფ. ი. ცინცაძეს თამარის ისტორიკოსის მიერ აბულასანის „თ ა ვ ა დ ა დ“ მოხსენიებაც მიაჩნდა და წერდა: „აი ვინ არის აბულასანი — მკვიდრი თბილისისა, თ ა ვ ა დ ი მთელი საგვარეულოსი“. XII—XIII სს. ტერმინ „თავადის“ ყველგან და ყოველთვის „დიდი გვარეულობის თავადისა და მეთაურის“ აღმნიშვნელად მიჩნევა და ამის შესაბამისად, აბულასანის „მთელი საგვარეულოს თავადად“ გამოცხადება ჩვენ თავის დროზე პროფ. ი. ცინცაძის არასწორ მტკიცებად მივიჩნიეთ[47]. თავის უკანასკნელ პოლემიკურ წერილში კი ამ საკითხთან დაკავშირებით პატივცემულმა მკვლევარმა შენიშნა: „მართალი ბრძანდება პროფ. შ. მესხია, როცა აღნიშნავს, რომ „თავადი“ ყველგან და ყოველთვის დიდი გვარეულობის თავადს და მეთაურს არ ნიშნავს. ეს სიტყვა სხვა მნიშვნელობითაც იხმარება“ (გვ. 218). თუ ეს ასეა, მაშასადამე, აბულასანის „თავადად“ მოხსენიება მისი დიდგვაროვნობის თუ „მთელი საგვარეულოს მეთაურობის“ დასამტკიცებლად არ გამოგვადგება და კამათიც პროფ. ი. ცინცაძესთან ამ საკითხთან დაკავშირებით ამითაც შეგვეძლო დაგვემთავრებინა. მაგრამ, პროფ. ი. ცინცაძემ ხელახლა წამოჭრა ეს საკითხი და ტერმინის—„თავადი“—გასაგებად სხვადასხვა მასალების მოტანით და მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით შეეცადა დაემტკიცებინა, რომ „ამ ტერმინში ის შინაარსი მაინც არ იგულისხმება, რომელსაც შ. მესხია ვარაუდობსო“ (იქვე).

ჩვენი მიზნისათვის საჭირო არ იქნებოდა, ვრცელი მსჯელობა გაგვემართა ტერმინის „თავადი“ საერთო მნიშვნელობის დასადგენად. ეს დიდი ხანია კარგად არის გარკვეული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და ყოველგვარი მასალის მოტანისა და ძიების გარეშე შეიძლე-

---

მომადენლები როგორღა იჩივლებდნენ. ჯერ ერთი, „100 დრამა“ არც ისე მცირე თანხაა და ამის გარდა, საქართველოს კათალიკოსის ბრძანება მარტო დაბალ ფენებს კი არ შეეხებოდა, არამედ საერთოდ ქალაქის მოსახლეობას, რომელშიც, ცხადია, მისი ზედაფენაც ივარაუდებოდა, რომელსაც ასევე ემსახურებოდა ანისის ეს ქართული ეკლესია.

ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი, გვ. 152.

47 შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 112—116.

ბოდა აღგვენიშნა, რომ „თავადი“ XI—XIII სს. „თავს“, „უფროსს“, „თავკაცს“, „მთავარს“, „მეთაურს“ ნიშნავს და არა „თავადს“, ამ ტერმინის შემდეგდროინდელი (XIV ს-დან) სოციალური გაგებით. ამის შესაბამისად, XI—XIII სს. ქართულ ძეგლებში გვხვდება „თ ა ვ ა დ ი ლ ა შ ქ რ ი ს ა“, „თ ა ვ ა დ ნ ი ს ა მ ე ფ ო ს ა ნ ი“, „თ ა ვ ა დ ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი“, „თ ა ვ ა დ ი ა დ გ ი ლ ი ს ა“, „თ ა ვ ა დ ნ ი ს ო მ ხ ი თ ი ს ა“, „თ ა ვ ა დ ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ნ ი“, „თ ა ვ ა დ ნ ი ი მ ე რ ნ ი“, „ თ ა ვ ა დ ნ ი თ ა ვ რ ი ჟ ი ს ა ნ ი“, „ვ ა ჭ ა რ თ ა თ ა ვ ა დ ნ ი“, „ა ნ ე ლ ი თ ა ვ ა დ ნ ი“, „გ ა ნ ძ ე ლ ნ ი თ ა ვ ა დ ნ ი“, „ქ ა ლ ა ქ ი ს თ ა ვ ა დ ნ ი“, „გ ლ ა ხ ა კ თ ა თ ა ვ ა დ ნ ი“, „თ ა ვ ა დ ი ც ი ხ ე“, „ს ა ხ ლ ი თ ა ვ ა დ ი“ და სხვა მსგავსი.

ყველა ზემომოტანილი ტერმინი XI—XII სს. ქართულ წყაროებშია მიმობნეული და მათი ცალ-ცალკე დასახელება აქ საჭიროდ არ მივიჩნიეთ. მოტანილი მასალა ისედაც აშკარად მიუთითებს, რომ „თავადი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თ ა ვ კ ა ც ს, უ ფ რ ო ს ს, მთავარ რეზიდენციას („სახლი თავადი“), მთვარ ციხეს („თავადი ციხე“) და სხვა მსგავს აღნიშნავდა. მაგრამ აბულასანის (რომელიც ქართულ წყაროებში „თ ბ ი ლ ი ს ი ს მ კ ვ ი დ რ ა დ და თ ა ვ ა დ ა დ“ არის მოხსენებული) ვინაობის გასარკვევად ჩვენთვის უმთავრესია „ქალაქის თავადის“ და სხვა მსგავს ტერმინთა („განძელნი თავადნი“ „ანელნი თავადნი“) მნიშვნელობის დადგენა. ეს ჩვენ თავის დროზე გაკეთებული გვაქვს და აქ მოკლედ მხოლოდ მის შედეგებს გადმოგცემთ. ამ ტერმინების გაგებაში დიდ დახმარებას გვიწევს სომხური საისტორიო მწერლობის მონაცემები. მაგალითად, დავითის ისტორიკოსის მიერ მოხსენებული „ანელნი თავადნი“ მისი თხზულების სომხურ (XII ს.) თარგმანში „ჲავაგაც ანოჲ“-დ, „ანისის უფროსებად“, „უხუცესებად“ გადმოიცემა. „ანისის თავადები“ „ჲავაგაც ქალაქინ-“ის ფორმით მოხსენებული ჰყავს ვარდან დიდსაც, რაც შინაარსობრივად სავსებით ფარავს XI ს. ქართული წყაროს „ქალაქის ბერებს“ (უხუცესებს)[48]. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ სომხურში „ქალაქაცი გლხავორქენ“ — ქალაქის მოთავეები, თავკაცები. სწორედ ამათ, „ქალაქის თავკაცებმა“ („ქალაქაცი გლხავორენ“), „რომელიც ანისში ისხდნენ“, შესთავაზეს და გადასცეს კიდეც ბაგრატ IV-ს. ქ. ანისი[49]. „ანისის თავკაცები“ (გლხავორქნ“) მოხსენიებული ჰყავს აგრეთვე კირაკოზ განძაკელსაც[50].

---

48 სათანადო მასალა იხ .შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 36—37, 38.

49 იხ. იქვე, გვ. 37.

50 იხ. იქვე, გვ. 38. ჩვენ აქ არ ვასახელებთ თვით ამ სომხურ წყაროებს, მაგ-

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სომხური „ჯავაგაც ქალაქინ“ ან კიდევ „გლხავორქნ“ დიდებულებს, დიდგვარიანებს (სომხ. „იშხან“-ს) კი არ შეესატყვისება, არამედ მხოლოდ მოქალაქეთა (ქალაქის ძირითადი მოსახლეობის) „თავკაცებს“, „უფროსებს“, ანუ ქართული წყაროების „ქალაქის ბერებს“, „უხუცესებს“. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი არისტაკეს ლასტივერტელის მიერ მოხსენებულ ანელ „ქალაქის თავადებს“, „თავკაცებს“ („ქალაქაცი გლხავორქნ“) „ქალაქის ბერებს“ უწოდებდა და ამ ტერმინსაც ამგვარად თარგმნიდა[51].

ყოველივე ამის შემდეგ, სავსებით ნათელი უნდა იყოს ყველა ობიექტური მკითხველისათვის, თუ რას ნიშნავდა ქართული წყაროების მიერ აბულასანის „ტფილისის მკვიდრად“ და „თბილისის თავადად“ გამოცხადება. მართლაც, თბილისის ამირა, ბუნებრივია, თუკი არა მარტო „თბილისის თავკაცი“, „თავადი“ იყო, არამედ „ქალაქის თავადთა“ შორის უპირველესი „თავადიც“, მაგრამ არა ფეოდალური საგვარეულოსი, არამედ ქალაქის (თბილისის) მოსახლეობისა. ამიტომ წერდა ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1907 წ.: „თამარ მეფის ისტორიკოსი იხსენიებს აბულასანს... იგი „თავადი“ იყო ქალაქისა, უმთავრესი პირი“[52].

ჩვენი კამათის უმთავრესი საკითხის — თუ რას ნიშნავს აბულასანის „თავადად“ მოხსენიება — გარკვევის შემდეგ ზედმეტად მიგვაჩნია საერთოდ ტერმინის—„თავადი“—გასაგებად პროფ. ი. ცინცაძის მიერ მოტანილი ზოგი მასალის კომენტირებისას დაშვებულ შეუსაბამობათა შესახებაც ვილაპარაკოთ. ეს ახალს არაფერს შეგვძენდა და კიდევ უფრო გაავრცობდა ისედაც ვრცელ საჟურნალო წერილს. მით უფრო, რომ სადავო კიდევ სხვაც გვაქვს პატივცემულ მკლევართან.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ პეტრიწონის ტიპიკონის ის ადგილი, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის „ყ ა რ ს შ ი თ ა ვ ა დ ო ბ ა ს“ შეეხება და რომელსაც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტერმინ „თავადის“ გასარკვევად პროფ. ი. ცინცაძე. იგი წერს: „გრიგოლ ბაკურიანი, დიდი გვარიშვილის ქართველი მოღვაწე სარდალი, იყო ერთ დროს ყარსის „თავადი“, მაგრამ არასოდეს ვაჭარი არ ყოფილა“ (გვ. 221).

მართლაც, გრიგოლ ბაკურიანს ბიზანტიელ ხელისუფალთა მიერ (და არა საქართველოს მეფის მიერ) ყარსის „თავადობა“, ე. ი. ყარსის

რამ ყველაფერი ეს დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ნახოს უფრო ვრცლად დასახელებული ნაშრომის მითითებულ გვერდებზე, რომელთაც, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, არ გაცნობია პროფ ი. ცინცაძე.

51 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965. გვ. 142.

52 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 23.

(ყარსის) „მთავრობა“, განმგებლობა ჰქონია ჩაბარებული. ტიპიკონში ნათქვამია: „სხუაჲ ოქრობეჭდი ერთი უბრალოებისათვის კარს თ ა ვ ა დ ო ბ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა, ს ხ უ ა ჲ“[53]. „ოქრობეჭდი ორი განუკითხველობისათვის კარნუ ქალაქს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა“[35]. როგორც ვხედავთ, გრიგოლ ბაკურიანი კარის „თავადი“ კი არ იყო, არამედ იგი „თავადობდა“ კარში, ე. ი. ამ ქალაქს, ბიზანტიელ ხელისუფალთა დავალებით, განაგებდა, იქ მუშაობდა. თუ რას ნიშნავდა გრ. ბაკურიანის ასეთი „თავადობა“, კარგად ჩანს ტიპიკონის ამ ადგილის ბერძნული შესატყვისიდან: „Χρυσό-Βουλλον αφφώσεως τῆς ἐν τῷ κάρσε πράξεώς μου“.

როგორც ჩანს, ქართულ „თავადობას“ ბერძნული „πρᾶξεώς“ — საქმე, საქმიანობა, მუშაობა შეესატყვისება. აღსანიშნავია, რომ ამავე ტერმინით არის გადმოცემული ბერძნული ტექსტში გრ. ბაკურიანის კარნუ ქალაქში ანუ თეოდოსიუპოლში „მთავრობაც“ („τῆς εν Θεοδοσιοπόλει πραξεώς μου“). ასე რომ, გრ. ბ ა კ ურ ი ა ნ ი ს კარში „თავადობა“ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მისი კარში მუშაობას, კარში საქმიანობას, მის მთავრობას. აღსანიშნავია, რომ ტიპიკონის ამ ადგილის ბერძნული შესატყვისი შემდეგნაირად აქვს თარგმნილი ს. ყაუხჩიშვილს: „ოქრობეჭდი იმის შესახებ, რომ ყ ა რ ს შ ი ჩ ე მ ი მ უ შ ა ო ბ ი ს დ რ ო ს არაფერი ბრალი არ მედება. ორი ოქრობეჭდი იმის შესახებ, რომ თ ე ო დ ო ს ი უ პ ო ლ შ ი ჩ ე მ ი მ უ შ ა ო ბ ი ს დ რ ო ს არაფერი ბრალი არ მედება“[54].

ამრიგად, პეტრიწონის ქართული ტექსტის შემდგენლის „თ ა ვ ა დ ო ბ ა“ თუ „მთავრობა“, ერთი და იმავე შინაარსის ტერმინი, სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა „მუშაობას“ კარში თუ თეოდოსიუპოლში და სამწუხაროდ, ვერაფერს გვეუბნება ვერც გრიგოლ ბაკურიანის, მით უფრო, ვერც აბულასანის სოციალური ვინაობისა და თვით ტერმინ „თავად“-ის მნიშვნელობის შესახებაც.

ყოველგვარ გაუგებრობათა გასაფანტავად იძულებული ვართ მოკლედ მაინც შეეჩერდეთ თვით „ქალაქის თავადთა“ და „ქალაქის ამირას“ ურთიერთობასა და მოვალეობათა შესახებ.

ყოველ ქალაქში, ცხადია მოქალაქეთა არაერთი „თავადი“, თავკაცი იყო. ამას ამტკიცებს ჩვენ მიერ წიგნშიც და აქაც არაერთხელ მოხსენებულნი „ქალაქის თავადნი“, „განძელნი თავადნი“, „ბერნი ტფილელნი“ და სხვა. ამისვე დასამტკიცებლად წიგნში ივ. ჯავახიშვილის

---

[53] M i c h. T a r c h n i š v i l i, Tipicon Gregorii Bacuriani, 1954, გვ. 76, შდრ. ქოსის ვარიანტი, გვ. 130.

[54] გეორგიკა, V, 1963, გვ. 247, 249.

სათანადო მოსაზრებაც მოვიტანეთ: „ეს გარემოება ამტკიცებს, წერდა ივ. ჯავახიშვილი, რომ თავადი ქალაქში ერთი კი არა, არამედ რამდენიმე ყოფილა“[55]. მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენ იმის საჩვენებლად კი არ მოვიტანეთ, რომ „ქალაქის თავადნი“ „ქალაქის ამირას“ ნიშნავდეს. ძნელი მისახვედრი არ არის — მრავლობითში ნახმარი „თავადნი“ ამირას ან მოურავს არ შეიძლება უდრიდეს, როგორც ეს პროფ. ი. ცინცაძეს უფიქრია, ჩვენი მოსაზრებათა ბოლომდე გაუთვალისწინებლობის წყალობით. მაგრამ განა შეიძლება მოქალაქეთა ზედაფენიდან გამოსული თბილისის ამირა, ან კიდევ ანისის ამირა ქალაქთა ამ თავადებიდან, თავკაცებიდან გამოვრიცხოთ? ქალაქის ამირა, ამ შემთხვევაში თბილისის ამირა აბულასანი, რომელიც თვით მოქალაქეთა ზედაფენას ეკუთვნოდა, ბუნებრივია, პირველ რიგში სწორედ ქალაქის თავკაცთა, „თავადთა“ წრეში ივარაუდებოდა; კიდევ მეტი, იგი „ქალაქის თავადთა“ შორის უპირველეს „თავადად“ იქნებოდა მიჩნეული თავისი მოხელეობის, ქალაქის ამირობის წყალობით. აი, რას ვამტკიცებდით და რას ვამტკიცებთ ჩვენ. ასე რომ, ივ. ჯავახიშვილის ზემომოტანილ მოსაზრებასა და ჩვენს მოსაზრებას შორის თითქოსდა არსებული წინააღმდეგობა პროფ. ი. ცინცაძეს რომ შეუნიშნავს (იხ. გვ. 218), მხოლოდ მოჩვენებითია და გაუგებრობაზეა აღმოცენებული.

აქვე გვინდა შევნიშნოთ შემდეგიც: როცა ქალაქში მისი პატრონი ან კიდევ მისი განმგებელი ამირა არ იყო, ან კი, თუ ქალაქი დამოუკიდებლობით სარგებლობდა (ასეთი პერიოდები ჰქონდა თბილისსა და ზოგ სხვა ქალაქსაც), როგორც ეს ვრცლად გვაქვს გამოკვლეული[56], „ქალაქის თავადებს“, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქალაქის ბედიღბალის გადაჭრის უფლება ჰქონდათ“[57], მათ ებარათ ქალაქის „კლიტენიც“ და „ციხენიც“ და სხვა სიმაგრენიც და შეეძლოთ თავიანთი გადაწყვეტილების მიხედვით გადაეცათ ის მათთვის სასურველი მეფისა და სხვა მფლობელისათვის (ასე მოიქცნენ „ტფილელნი ბერნი“, როცა თბილისი ბაგრატ IV-ს ჩააბარეს, ასეთივე თხოვნით მივიდნენ „ანელნი თავადნი“ დავით აღმაშენებელთან და სხვ.)[58]. მაგრამ, როცა ქალაქს პატრონი ჰყავდა, ან კიდევ, ქალაქს მეფის მიერ დანიშნული მოხელე ამირა (მოურავი) განაგებდა, „ქალაქის თავადები“ ასე ვერ მოიქცეოდნენ, მათი უფლებები პატრონის თუ ქალაქის განმგებლის მიერ, ამ მხრივ, სავსებით იზღუდებოდა და მათ დაუკითხავად ქა-

---

55 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. I, გვ. 55; შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 115—116.

56 იხ. საქართველოს კომუნა თბილისში, გვ. 38—42.

57 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, ნაკ. I, გვ. 55; შდრ. საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 116

58 იხ. საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 40—41.

ლაქის ბედ-იღბალს, ცხადია, ვერ გადაწყვეტდნენ. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. კირაკოზ განძაკელის ცნობით, „ჩარმაღანმა გაუგზავნა მათ (ანისის თავადებს) დესპანები, რათა ისინი დამორჩილებოდნენ მას. ხოლო ქალაქში მყოფმა თავკაცებმა (თავადებმა, „გლხავორქნ“) ვერ გაბედეს პასუხი გაეცათ შემონათვალზე იშხან შაჰინშაჰისაგან დაუკითხავად, რადგანაც ქალაქი მის მფლობელობაში იყო“[59]. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ XII ს. საქართველოს საქალაქო წესწყობილების რეალურ ვითარებასთან სავსებით შეუსაბამოდ გვეჩვენება პროფ. ი. ცინცაძის არცთუ მაინცდამაინც ნათელი დასკვნა: „თავადობა“ კი ამ შემთხვევაში საგანგებო თანამდებობას აღნიშნავს ქალაქში. მოტანილი ცნობით თუ ვიმსჯელებთ, „თავადს“ ქალაქის დაცვა თუ სამხედრო ობიექტების მოვლა ევალება. „თავადი“ შეიძლებოდა რამდენიმე ყოფილიყო ქალაქში, ამირა კი ერთი. აბულასანი ხელისუფლების მიერ დაწინაურებული თბილისელი „თავადი“ იყო. აქ, წყაროში „თავადი“ არ შეიძლება ქალაქის თავკაცს ნიშნავდეს, იმიტომ, რომ ის „ამირად“ არის წოდებული (sic!) (გვ. 221).

ჩვენ მეტს ვერაფერს ვიტყვით — მკითხველისათვის მიგვინდვია ამ დასკვნის გაგებაცა და მის სისწორეზე სათანადო მსჯავრის გამოტანაც.

პროფ. ი. ცინცაძე ისევ უბრუნდება აბულასანის დიდგვარიანობას და პატივცემული მკვლევარის მიერ მოტანილ საბუთებსა თუ მოსაზრებებს კვალდაკვალ გავყვეთ.

პროფ. ი. ცინცაძის აზრით, „აბუსალანის გვარის დიდებულებაზე მეტყველებს ლურჯი მონასტრის კარიბჭის წარწერის ერთი ადგილი. ამ წარწერაში აბულასანის ძმა, „ქართლის მთავარეპისკოპოს ყოფილი“ ბასილი თავის თავს „ძედ (sic) კეთილ ნათესავის იობისძედ“ იხსენიებს. ჩვენ საგანგებოდ შევეკითხეთ ძველი ქართული ენის სპეციალისტებს, აკად. აკაკ. შანიძეს და პროფ. ილ. აბულაძეს, თუ როგორ გავიგოთ სიტყვები — „კეთილნათესავი“. სპეციალისტებმა დაგვიდასტურეს, რომ აქ კეთილშობილებაზე და გვარიანობაზეა საუბარი. თვით აბულასანსაც, ხატის წარწერაში (!) ეამაყება „იოსებისძეობა“. „აბულასანი ამ კ ე თ ი ლ ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ი ო ბ ი ს-ძ ე ყ ო ფ ი ლ ა და არა უაზნო, სიმდიდრით დაწინაურებული ვაჭარი“ (გვ. 222). როგორც ჩანს, ეს ერთ-ერთი (უკეთ, ერთადერთი) ძირითადი საბუთია, პატივცემული მკვლევარის აზრით, აბულასანის დიდგვარიანობის დასამტკიცებლად. მაგრამ სწორედ ეს მკვლევარისაგან მოითხოვდა მისთვის ჩვეული სიფრთხილის გამოჩენას, პირველ რიგში, იმის გარკვევას, თუ რამდენად სწორადაა წაკითხული ასე საინტერესო ადგილი, კერძოდ, „კეთილნათესა-

---

59 იქვე, გვ. 39.

ვი“, ხოლო ამის შემდეგ სათანადო სპეციალისტების მოსაზრებათა მოხმობას ამ ტერმინის შინაარსის გასარკვევად. მაგრამ პროფ. ი. ცინცაძეს, სამწუხაროდ, უმთავრესი მხედველობიდან გამორჩა — ლურჯი მონასტრის წარწერაში ასე საინტერესო სიტყვის სწორედ ეს მეორე ნახევარი არ იკითხება არც ახლა და არ იკითხებოდა იგი არც ნ. ბროსეს დროსაც. წარწერის ამ ადგილს ასეთი სახე აქვს: „ძე კეთილნ [...]სა იობისი“[60]. სწორედ ამის გამო ე. თაყაიშვილი შენიშნავდა: „Это слово в оригинале попорчено. Броссе читает: ნაშობსა, но остаткам букв должно быть ნათესავსა. У Иоселиани совсем не верно: ნაშრომსა“[61].

ზოგ სხვას კიდევ ეს სიტყვა შეიძლება აღედგინა, როგორც „კეთილნ [ამსახურ]სა“, ან კიდევ, სხვაგვარად. სწორედ იმის გამო, რომ ასე საეჭვო იყო ამ სიტყვის წაკითხვა, პროფ. ვ. ბერიძემ თავის საგანგებო გამოკვლევაში ეს ადგილი, როგორც აღვნიშნეთ, აღუდგენლად დატოვა, ე. ი. არც ე. თაყაიშვილისეული წაკითხვა მიიჩნია სარწმუნოდ.

ასე რომ, პროფ. ი. ცინცაძის მთელი მსჯელობა, როგორც ვხედავთ, ამ წყაროს ძირითადი სიტყვის საეჭვო წაკითხვაზეა დამყარებული, რაც, რა თქმა უნდა, ასე კატეგორიული დასკვნის გამოტანის უფლებას ვერ მისცემს მკვლევარს.

მაგრამ დავუშვათ, რომ აქ მართლაც „კეთილნათესავი“ იკითხებოდეს, იგი მაინც არ შეიძლება მიგვითითებდეს იობის ძეთა დიდგვაროვნობაზე; XII—XIII სს. ცნობილ დიდგვაროვანთა წარმომავლობა ქართულ ნარატიულ თუ დოკუმენტურ წყაროებში, „კეთილნათესაობით“ არსად აღნიშნულა. ამას გარდა, თვით იობისძენიც, იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან დიდგვაროვანთა შორის, რომელნიც ჩვენთვის ცნობილი არიან გიორგისა და თამარის ეპოქაში, არ მოიხსენიებიან.

ყველაფერი ეს კი საწინააღმდეგოზე უფრო მიგვითითებს — იობის ძენი, ბასილი თუ აბულასანი, სწორედ გიორგი III-ის დროს აღზევებულნი უნდა იყვნენ, რომელთაც ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები 1177 წ., დიდგვარიანთა აჯანყების შემდეგ შეექმნათ: თამარის გამეფების შემდეგ კი, შინაპოლიტიკური გეზის რადიკალურად შეცვლის გამო, მალევე ჩამოქვეითდნენ და გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან (ამ მხრივ საინტერესოა თვით ბასილის „მთავარეპისკოპოს-ყოფილობა“ და აბულასანის კარიერის საყოველთაოდ ცნობილი კრახი).

პროფ. ი. ცინცაძე არც ამით ამთავრებს აბულასანის დიდგვარიანობაზე მსჯელობას და კიდევ ერთ მოსაზრებას გვთავაზობს:

---

[60] იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ე, თბილისის ლურჯი მონასტერი, ქართული ხელოვნება, II, 1949, გვ. 96—97; შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 132.

[61] Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, в. IV, 1913, с. 150.

„არც ამ „იობ კეთილნათესავის“ მეორე შვილი ბასილი ყოფილა მცირე თანამდებობაზე, ის ქართლის მთავარეპისკოპოსად ყოფილა ერთ დროს... მთავარეპისკოპოსობას ვაჭრები და მათი შვილები აღწევდნენ განა?“ — კითხულობს პროფ. ი. ცინცაძე და იქვე დასძენს: „ჩვენ ეს საკითხი არ გ ვ ი ძ ი ე ბ ი ა ო“ (გვ. 222). „აბულასანი წყაროებში ხომ ერისთავთერისთავად და მეჭურჭლეთუხუცესადაც არის მოხსენიებულიო“ (იქვე).

ჩვენ არსად აღგვინიშნავს, რომ ან ბასილი ან კიდევ მისი მამა ვაჭარი ყოფილიყოს, მაგრამ დაბალი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლები რომ მაღალ საეკლესიო თანამდებობებს აღწევდნენ, ეს კი დიდ გამოძიებას არ მოითხოვდა და ისედაც ცნობილი უნდა იყოს პროფ. ი. ცინცაძისათვის, თუკი გაიხსენებდა 1103 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებასა და მის შედეგებს; ამასთანავე, თუ გაითვალისწინებდა გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკურ კურსსაც, რომელიც ამ შემთხვევაში სავსებით იმეორებდა დავით აღმაშენებლისას. ეს საშინაო პოლიტიკური გეზი კი ფართოდ უხსნიდა გზას დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებს როგორც საერო, ასევე საეკლესიო თანამდებობისაკენ. საამისო მაგალითი ჩვენ და თვით პროფ . ი. ცინცაძესაც არაერთი აქვს დასახელებული (გავიხსენოთ ფუბასარი, აფრიდონი, ყუთლუ არსლანი და თვით აბულასანიც). ასე რომ, ბასილის მთავარეპისკოპოსობა და აბულასანის ერისთავთერისთავობა თუ მეჭურჭლეთუხუცესობაც „უგვაროთა“ დიდებულობისაკენ გზის გაკვლევაზე უფრო მიგვითითებს, ვიდრე მათ დიდგვაროვნულ წარმოშობაზე.

ალბათ, განმარტება არ იქნებოდა საჭირო იმისა, რომ „დიდება“, „დიდებულება“ ერთია და დიდაზნაურობა ან დიდგვარიანობა კიდევ მეორე. დიდგვარიანობა, მართალია, ფეოდალურ ქვეყანაში „დიდების“ მოპოვების ერთი უმთავრესი წყაროა, მაგრამ არა ერთადერთი. „დიდებას“, „დიდებულებას“ აღწევდნენ არა მარტო დიდგვარიანი ფეოდალები, არამედ მათი ყმებიცა (ვასალები) და „სიმდიდრით ალაღებულნიც“ (ისევ გავიხსენოთ აფრიდონი და ყუთლუ-არსლანი). ამავე გზით აქვს მოპოვებული დიდება — ე. ი. ერისთავთერისთავობაც და მეჭურჭლეთუხუცესობაც, როგორ ირკვევა, აბულასანსაც. ამჟამად ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ შეუწყო ხელი მის ასე აღზევებას — გიორგი უფლისწულმა თუ მიქელ მირიანის ძემ, ფაქტია, რომ აბულასანი სწორედ იმ დროიდან წავიდა ასე წინ, რაც გიორგი უფლისწული თამარის ქმრად აქორწინეს და მეფედ მიიღეს. აღსანიშნავია, რომ პროფ. ი. ცინცაძე ამას ვერ უარყოფს, ოღონდ აბულასანი რატომღაც მაინცდამაინც ქართლის კათალიკოსის, მიქელ მირიანის ძის წყალობით დაწინაურებულად მიაჩნია და არა გიორგი „მეფე-ქმარისა“ (იხ. გვ. 222). არა გვგონია, რომ თამარის გა-

მეფეების პირველ წელსვე მწ. უხუცეს-ჭყონდიდელს, ე. ი. ვაზირის თანამდებობიდან გადაყენებულ კათალიკოსს უფრო მისწვდომოდა ხელი საერო საქმეებზე და ერისთავები და მეჭურჭლეთუხუცესები დაენიშნა, ვიდრე „მეფე-ქმარს“, ქართული წყაროების მიერ არაერთხელ „მეფედ“ წოდებულ გიორგის.

აბულასანი, „რომელიც ახლო დგას საქალაქო ფენებთან, თვით აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქალაქო ცხოვრებაში, მ ე ფ ი ს მ ო ხ ე ლ ე დ ი დ ე ბ უ ლ ი ა“ — ვწერდით ჩვენ 1951 წ.[62]. კიდევ უფრო გაიზარდა მისი მოხელეობა და მაშასადამე, „დიდებაც“, რაც გიორგი უფლისწული „მეფე-ქმრად“ იქცა. მაგრამ აბულასანის „დიდება“, „დიდებულება“ მოხელეობით იყო მოპოვებული და არა დიდგვარიანობით, აღვნიშნავდით 1962 თუ შემდეგ წლებშიც.

ამრიგად, თავისი წარმოშობით საქალაქო ფენებთან ახლოს მდგომი და საქალაქო ცხოვრების აქტიურ მონაწილედ მიჩნეული აბულასანის „მეფის მოხელე დიდებულად“ გამოცხადება ჩვენ მიერ, სრულებით არ ეწინააღმდეგება იმას, რასაც შემდეგ ვამტკიცებდით, — რომ აბულასანი თბილისში „მოქალაქეთა პრივილიგირებული ზედა ფენიდან, დიდვაჭრებისა და ფინანსისტების წრიდან გამოსული მოხელეა და „არა დიდგვარიან ფეოდალთა წრიდან“; მაგრამ ის მაინც, როგორც „მეფის მოხელე, დიდებული იყო“, რადგან „დიდება“, როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს გამოკვლეული, „მ ო ხ ე ლ ე ო ბ ა ს ა დ ა მ ა ს ზ ე დ ა ფ უ ძ ნ ე ბ უ ლ ს პ ა ტ ი ვ ს ე რ ქ ვ ა“[63]. აი, რა ვერ გაითვალისწინა პროფ. ი. ცინცაძემ და აი, რატომ მიიჩნია ჩვენი „მოსაზრება ოთხმოცდაათი გრადუსით შემობრუნებულად“ (იხ. ი. ცინცაძის წერილი, გვ. 223).

აბულასანის სოციალური ვინაობის გარკვევის შემდეგ საჭიროა ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ ახლად აღზევებულთა, „მესამე წოდების“ წარმომადგენელთა როლზე იმდროინდელ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; მით უფრო, რომ ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული გიორგი უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანისა და გამეფების საკითხთან. ეს კი პროფ. ი. ცინცაძესთან პოლემიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხიცაა. თავის დროზე ჩვენ არასწორად მივიჩნიეთ პროფ. ი. ცინცაძის მტკიცება და აღვნიშნეთ: არ უნდა იყოს მართალი ი. ცინცაძე, როცა რუს უფლისწულთან „მჭიდრო ურთიერთობაში“ მყოფნი, ე. ი. მისი მომხრეების დასი

---

62 შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, „მიმომხილველი“, II, გვ. 101.

63 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. I, გვ. 113; „მიმომხილველი“, II, გვ. 101.

მთლიანად „რეაქციულ დასად“ გამოაცხადა“[64]. სანამ ჩვენ ამ შენიშვნის სისწორის დასაბუთებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია თვით პროფ. ი. ცინცაძის პოლემიკური წერილიდან სათანადო ადგილი მოვიტანოთ: „პატ. შ. მესხია ჩვენ იმასაც გვიწუნებს, რომ გიორგი რუსი უფლისწული საქართველოს რეაქციულ ძალებთან დაკავშირებულ პიროვნებად მოვიხსენიეთ. ჩვენ ამას მართლაც ასე ვწერთ, მაგრამ ასეთი დასკვნა უშუალოდ ჩვენი კვლევა-ძიების შედეგად არ მოგვიტანია მაშინ... უმჯობესად მივიჩნიეთ საქართველოს ისტორიაში აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებით დავკმაყოფილებულიყავით, რადგანაც განსვენებულის ეს მოსაზრება გვეჭეშმარიტა მაშინ და ახლაც ვიზიარებთ მას“ (გვ. 224). როგორც ვხედავთ, გიორგი რუსის მომხრეთა დასი მთლიანად რეაქციულ დასად თურმე ივ. ჯავახიშვილს გამოუცხადებია და არა პროფ. ი. ცინცაძეს, რომელსაც მხოლოდ „ეჭეშმარიტა“ განსვენებული მეცნიერის ეს მოსაზრება. ვნახოთ, რას წერდა აკად. ივ. ჯავახიშვილი და რას წერს ი. ცინცაძე.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „დიდგვარიან ხელისუფალაზნაურთა დასმა ამის შემდეგაც კიდევ ორჯერ სცადა საქმე კვლავ თავის სასარგებლოდ მოეტრიალებინა. ამ დასს თავისი წადილისა და გეგმის განხორციელება საქართველოთგან გაძევებულ თამარის პირველ ქმარზე... დაუმყარებია და ორჯერვე მის გარშემო შემოყრილს უცდია ბრძოლის გაჩაღება. პირველად ამ დიდგვარიან აზნაურთა განახლებულ რეაქციას მეთაურობდნენ მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი, სამცხის სპასალარი ბოცო ჯაყელი (და შემდეგ ჩამოთვლილია გიორგის ყველა მომხრე, როგორც დასავლეთ, ასევე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან—შ. მ.)... დიდგვარიან აზნაურთა ეს მცდელობაც მისი დამარცხებით დამთავრდა. ამავე დროს, მეორე ამგვარი „უბედური რუსის“ პიროვნებასთან დაკავშირებული მცდელობა უფრო ამაო გამოდგა“[65].

სწორედ ეს ამონაწერი აქვს მოტანილი პროფ. ი. ცინცაძეს, ოღონდ არასრულად (იხ. გვ. 224) და იქვე დაასკვნის: „როგორც ვხედავთ, განსვ. მეცნიერი მე-12 საუკუნის ძვირფას წყაროს ემყარება, სადაც არც ერთი ვაჭარი დასახელებული არ არის... ამდენად ჩვენც მართებულად მივიჩნიეთ გიორგი რუსის სასარგებ-

---

64 იხ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 125, იქვე მითითებულია ი. ცინცაძის ნაშრომიდან სათანადო (გვ. 128, 130 და სხვ.) გვერდებიც.

65 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. II, 1929, გვ. 185—186.

ლ ო დ მ ო წ ყ ო ბ ი ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს შ ე ფ ა ს ე ბ ა, ვ ი თ ა რ ცა რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ს“ (გვ. 224—225).

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი, მართალია, გიორგი რუსის მომხრე „დიდგვარიან ხელისუფალ-აზნაურთა დასის“ შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ არაფერი აქვს ნათქვამი ამ დასის არც რეაქციულობისა და არც პროგრესულობის შესახებ; როგორც ჩანს, გიორგის მომხრეთა დასის რეაქციულობის მაუწყებლად პროფ. ი. ცინცაძეს, მის მიერვე ხაზგასმული, ივ. ჯავახიშვილის გამოთქმა — „აზნაურთა განახლებული რეაქცია“ — მიუჩნევია, რაც, რა თქმა უნდა, სრულ გაუგებრობად შეიძლება ჩაითვალოს. ნუთუ განმარტება სჭირდება იმას, რომ „განახლებული რეაქცია“ ამ შემთხვევაში „განახლებულ ცდას“, ისევ „განახლებულ მოქმედებას“, ან როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი ქვემოთ ორჯერ იმეორებს, გამეორებით „მცდელობას“ ნიშნავს და სხვას არაფერს.

ამრიგად, პროფ. ი. ცინცაძემ არასწორი დასკვნა გამოიტანა ივ. ჯავახიშვილის ზემომოტანილი ამონაწერიდან და სრულიად უადგილოდ დაიმოწმა იგი თავის არასწორ მოსაზრებათა დასამტკიცებლად.

ვნახოთ, რას წერდა თვით პროფ. ი. ცინცაძე: „ეს დასი („რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რუს უფლისწულს“) რ ე ა ქ ც ი უ ლ ი დ ა ს ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა შ ი“[66].

ამგვარ მოსაზრებას თუ დასკვნას, როგორც ვხედავთ, არაფერი აქვს საერთო ივ. ჯავახიშვილის ზემოაღნიშნულ შეხედულებასთან. მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროფ. ი. ცინცაძემ ამის გამო ხელი აიღოს თავის მოსაზრებაზე. როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი „ახლაც იზიარებს ამ აზრს“ (იხ. აგრეთვე, გვ. 225) გიორგი უფლისწულის მომხრეთა დასის მთლიანად რეაქციულად გამოცხადების შესახებ.

ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, გიორგი უფლისწულის მომხრე აღმოჩნდა თითქმის მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ასევე მას, როგორც ეს თავის დროზე სავსებით მართებულად მიუთითა ნ. ბერძენიშვილმა, მომხრეები საკმაოდ მრავლად ჰყავდა აღმოსავლეთ საქართველოშიც[67]. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმდროინდელი ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენებისაგან შემდგარი და სხვადასხვა კლასობრივი ინტერესე-

---

66 ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი, გვ. 128.

67 იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რ ე ც ე ნ ზ ი ა ი. ცინცაძის ნაშრომზე — „ძიებანი“, „მასალები“, ნაკ., 29, 1951, გვ. 320 და სხვ.

ბის მქონე ფართო მასის ხელაღებით, „მთლიანად რეაქციულ დასად“ გამოცხადება, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა.

მეორე, და რაც მთავარია, გიორგი უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანისა და მისი „მეფე-ქმრად“ კურთხევის მთავარი ინიციატორები სწორედ „მესამე წოდების“ წარმომადგენლები იყვნენ, ახლად აღზევებული აბულასანის და დიდვაჭარი ზაქან ზორაბაბელის მეთაურობით.

პროფ. ი. ცინცაძე კატეგორიულად უარყოფს ამ ფენის მონაწილეობას გიორგის საქართველოში ჩამოყვანის საქმეში და წერს: „მათ (ვაჭრებს — შ. მ.) ამ საქმის გადაწყვეტას არავინ ეკითხებოდა, ალბათ, და არც წყაროებში გვაქვს ჩვენ ამის შესახებ ცნობები“ (გვ. 224); ან კიდევ, „სრულიად არ ჩანს ვაჭრებთან პოზიცია“ (გვ. 225) და სხვა მსგავსი.

ჩვენ იძულებული ვართ ისევ შეეახსენოთ პროფ. ი. ცინცაძეს თბილისის ამირასა და თავადის აბულასანის პიროვნება და მისი გადამწყვეტი სიტყვა სამეფო დარბაზში გიორგი უფლისწულის სასარგებლოდ და ამ საკითხის გადაწყვეტა სწორედ აბულასანის წინადადების მიხედვით. აქვე ისევ უნდა გავიხსენოთ ბასილ ეზოსმოძღვრის ზემომოტანილი სიტყვები — თამარის საქმროს საკითხის „არა ღირს“ პიროვნებათა მიერ „განგების“ შესახებ. ამასთანავე, საჭიროდ ვთვლით საგანგებოდ შევჩერდეთ გიორგი უფლისწულის ყივჩაყეთიდან ჩამოყვანასა და საამისოდ გაგზავნილი დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელის პიროვნებაზე. თამარის პირველი ისტორიკოსი წერს: „მაშინ მომსმენართა მისთა (აბულასანის სიტყვისა.—შ. მ.) უკმეს ერთი მკვიდრთაგანი დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი. მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა წამოიყვანა და მოიყვანა უწინარეს პაემანთა მოყმე სახე-კეკლუცი... საჩენი გუარის შვილად“[68]. დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე დაეკისრა — იგი საქართველოს მეფის მეუღლის ჩამოსაყვანად გაგზავნილ პირებს უთავეს. როგორც ვხედავთ, დიდვაჭრებს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან საქმეს არათუ ეკითხებოდნენ, არამედ ანდობდნენ კიდეც. სწორედ ამაზე მიგვითითებს ზემომოტანილი ამონაწერიც, რომელიც სწორედ იმ ქართული წყაროებიდან არის ამოღებული, სადაც პროფ. ი. ცინცაძის მტკიცებით, „ვაჭართა“ (უკეთ, დიდვაჭართა) ასეთი როლის შესახებ თურმე ცნობები არ მოიპოვება.

ადრე კი პროფ. ი. ცინცაძე წერდა: „ის ფაქტი, რომ რუსი უფლისწულის კანდიდატურას ქართლისა და თბილისის ამირა (აბულასანი — შ. მ.) აყენებს და ყივჩაყეთიდან მისი მოყვანაც ვაჭარს — „დიდვა-

---

68 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37.

ჭარს“ მიენდო, იმის მაჩვენებელია, რომ ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ა მ ბ ე ბ ი ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ა ღ ე ბ მ ი ც ე მ ო ბ ა შ ი ჩაბმულ საქართველოს მოქალაქეებს უნდა მოჰქონდეთ“[69]. საინტერესოა, რომ პროფ. ი. ცინცაძეს, როგორც ჩანს, აბულასანიცა და ზანქან ზორაბაბელიც „აღებმიცემობაში ჩაბმულ საქართველოს მოქალაქეებად“ მიაჩნდა (სხვა არაფერი გვიმტკიცებია ჩვენ ზემოთ!); ამიტომ იცოდნენ მათ „ჩრდილოეთის ამბები“, თვით უფლისწულის პიროვნებაც, მისი ადგილსამყოფელიცა და მასთან მისასვლელი გზებიც; ამიტომაც გაიგზავნა დიდვაჭარი ზანქარ ზორაბაბელი ყივჩაყეთში. აი, რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემომოტანილი ამონაწერიდან.

მაგრამ ყივჩაყეთში მისასვლელი გზის მცოდნე სხვაც არაერთი მოიძებნებოდა იმდროინდელ საქართველოში და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ შეიძლებოდა „ჩრდილოეთის ამბების მცოდნე“ ეს დიდვაჭარი სხვებისთვის, უფრო ღირსეულთათვის, დიდგვარიანთათვის გაეყოლებინათ და თვით მისთვის უშუალოდ არ დაევალებინათ ამ საქმის თაოსნობა?

როგორც ცნობილია, მეფის თუ მთავრის მეუღლის ჩამოსაყვანად საგანგებოდ შეირჩეოდა ელჩობაც და მისი მეთაურიც. გავიხსენოთ თუნდაც კიევის მთავრის, იზიასლავის მიერ თავისივე შვილის, უფლისწულ მსტისლავის ორჯერ გამოგზავნა სადედინაცვლოს, საქართველოს მეფის ასულის შესახვედრად და კიევში ჩასაყვანად[70].

საქართველოში კი თამარის საქმროს ჩამოსაყვანად დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელზე უკეთესი ვერავინ შეურჩევიათ. ცხადია, ეს შემთხვევითი არ იყო — გიორგი უფლისწული სწორედ ამ წრის, „მესამე წოდების“ კანდიდატი იყო და მათვე დააგვირგვინეს, ბუნებრივია, მისი ჩამოყვანისა და თამართან დაქორწინების საქმეც. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ „მესამე წოდება“ მოქმედებდა და რომ გიორგი უფლისწულს აქ სხვა მომხრეებიც არ ჰყავდა. ეს რომ ასე არ იყო, კარგად ჩანს თვით დარბაზის სხდომის დასტურიდან და აგრეთვე უფლისწულის პირველი აჯანყების მონაწილეთა სიმრავლიდანაც.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთან კამათის დროს პროფ. ი. ცინცაძეს არც ერთხელ არ უხსენებია დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი. სავსებით გასაგებია, თუ რატომ არ იხსენიებდა თამარის ისტორიკოსი ბასილი ამ „არა ღირსი კაცის“ სახელს. როგორც ჩანს, დიდგვარიან ისტორიკოსს საძრახისად მიაჩნდა თამარის საქმროს ჩამოსაყვანად დიდვაჭრის დასახელება. მაგრამ ეს თუ გასაგები და გამართლებული იყო მაშინ, დიდ-

---

69 ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი, გვ. 102.

70 იქვე, გვ. 177 და შემდეგ.

ვაჭართა როლის უგულებელყოფა სავსებით გაუგებარია და გაუმართლებელია დღეს, თანამედროვე ისტორიკოსის მიერ.

ქალაქები, მათი მკვიდრნი — დიდვაჭარ-ფინანსისტები, საერთოდ „მესამე წოდება“, იყვნენ სწორედ იმ ძალის წარმომადგენლები, რომელნიც ახალ შინაარსს აძლევდნენ XII—XIII სს. ფეოდალურ საზოგადოებას და რომელნიც ახალი ურთიერთობისაკენ უბიძგებდნენ მას. სრულიად მართებულად შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი: „სოციალური განვითარების თვალსაზრისით ფეოდალურ საქართველოს XII საუკუნისათვის თავისი ზრდა ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა... ამის შემდგომ განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა მხოლოდ“[71]. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ XII—XIII სს. ქართული ფეოდალური საზოგადოება ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის გზაზე სწორედ ქალაქელებმა, მისმა მოსახლეობამ, „მესამე წოდებამ“, დიდვაჭარ-ფინანსისტებმა, ვაჭრებმა და ხელოსნებმა დააყენეს. ამ ახალი ძალის უგულებელყოფა, ცხადია, სავსებით გაუგებარს გახდიდა ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას XII ს. საქართველოს კულტურულსა და იდეოლოგიურ ცხოვრებაში.

ამ ახალ მოვლენებსა და ძვრებზე, ქალაქისა და საქალაქო ფენების, ანტიფეოდალური ძალების ზრდასა და განმტკიცებაზე დამყარებული იყო XII—XIII სს. მიმდინარე დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობანი, ყველა ის ზედნაშენური მოვლენა და მაღალი კულტურა, რითაც ასე გამოირჩევა XII ს. ფეოდალური საქართველო წინამორბედ და მომდევნო საუკუნეებისაგან. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ იმ დიდ ძვრებზე იყო დამყარებული აღორძინების ხანის რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენები, რომელიც დიდი ხანია შენიშნულია და ხაზგასმულია XII ს. ქართულ კულტურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში.

ყველაფერ ამის არსებითად უარყოფამდე მიგვიყვანს, ცხადია, ქალაქების, საქალაქო ცხოვრების, იმდროინდელი მთავარი ძალის—„ქალაქის მკვიდრთა“, საერთოდ, „მესამე წოდების“ არსებობისა და მათი როლის უგულებელყოფა იმდროინდელ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროფ. ი. ცინცაძის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ

---

71 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 125, იხ. აგრეთვე შ. მესხია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 150.

უფრო კარგად ჩანს ყუთლუ-არსლანისა და მისი პოლიტიკური დასის გამოსვლის შეფასებაშიც. „ჩვენ გადავსინჯეთ იმ დროის წყაროებში მოხსენებული ფინანსთა მინისტრები (sic) და მათ შორის ვაჭარი (sic) ვერ ვიპოვეთ... აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყუთლუ-არსლანის მთავრობის (sic) წინააღმდეგ გამოსვლის შ. მესხიასეული განმარტებანი გადასინჯვას მოითხოვს. ჩვენ განსვ. ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებანი ამავე საკითხზე უფრო დამაჯერებლად გვესახება წყაროების გაცნობის შემდეგო“ — წერს პროფ. ი. ცინცაძე (გვ. 226).

ჯერ ერთი, არსად გვიმტკიცებია და არც გვიფიქრია, რომ მეჩურჭლეთუხუცესად მხოლოდ „ვაჭრები“ ყოფილიყვნენ. მკვლევართა ყურადღებას ამჯერად „სიმდიდრით აღზევებული“ მეჩურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი იქცევდა, რომელიც თავისი წარმოშობით სწორედ იმ საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნოდა, რომელსაც აღზევებისათვის მხოლოდ სიმდიდრის წყალობით შეეძლო მიეღწია.

მეორე, ჩვენ ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის გამოსვლის შესახებ მხოლოდ განმარტებები არ მიგვიწოდებია მკითხველისათვის[72]. ამასთანავე, ამ საკითხის გადასაწყვეტად წყაროების თუ „ფინანსთა მინისტრების გადასინჯვა“ (sic) არ იქნებოდა საკმარისი.

მესამე, მართალია, ნ. ბერძენიშვილს ვრცლად და დასაბუთებულად არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება ამ დიდმნიშვნელოვანი მოძრაობის შესახებ, მაგრამ ამ მოძრაობას მაინც იგი უფრო დიდგვარიანთა გამოსვლად მიიჩნევდა, ვიდრე „მესამე წოდებისად“[73]. ს. ჯანაშია კი, ასევე გაკვრით გამოთქმული დებულების მიხედვით, სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგა.

ს. ჯანაშია წერდა: „ფეოდალური არისტოკრატია სრულ წარმატებას აღწევს გიორგის ქალის, თამარის დროს. ახლა დიდებულები (მსხვილი ფეოდალ-მემამულენი) ხდებიან სახელმწიფოს შეუზღუდველი პატრონები. თამარის მეფობის პირველსავე წელს ისინი აძევებენ სახელმწიფო აპარატიდან მათთვის ღრმად საძულველს, გიორგი III-ის მიერ დაყენებულ „უაზნო“ და „უგვარო“ მოხელეებს. მოწინააღმდეგე საზოგადოებრივმა ძალებმა სცადეს (1185) დაებრუნებინათ დაკარგული მდგომარეობა და დაეპყროთ ახალი პოზიციებიც აშკარა აჯანყების გზით. მეამბოხეთა მეთაური და მოძრაობის ბელადი ყუთლუ-არსლანი თავის დროს თამა-

---

72 იხ. შ. მესხია, სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა ბუნებისათვის XII ს. საქართველოში, თ. ს. უ. საიუბილეო კრებული, 1961, გვ. 341—371; შდრ. საქალაქო ომუნა თბილისში, გვ. 100 და შემდეგ.

73 იხ. საქართველოს ისტორია, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1958, გვ. 197.

რის მამის მიერ ფინანსთა მინისტრად (მეჭურჭლეთუხუცესად) დანიშნული“ იყო[74].

აშკარაა, რომ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა ს. ჯანაშიას თამარის გამეფების პირველ წლებშივე გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატიის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ძალების გამოსვლად და „უაზნოთა“ და „უგვაროთა“ მიერ „დაკარგულის მდგომარეობის დასაბრუნებლად“ მოწყობილ მოძრაობად მიიჩნდა.

მეოთხე, საკვირველია, თუ რატომ არ მოიხსენია პროფ. ი. ცინცაძემ ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც პირველმა საგანგებოდ შეისწავლა ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობა და იგი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „სიმდიდრით აღზევებულთა“ დასის გამოსვლად მიიჩნია[75]. ივ. ჯავახიშვილის ამ ძირითად დებულებებს დაემყარა „შ. მესხიასეული განმარტებანიც“. ასე რომ, ჩვენ ამ შემთხვევაში მარტო არ ვყოფილვართ და არც პირველი. ცხადია, ასეთი კარდინალური საკითხები ზეპირი განცხადებებითა და მომხრეთა ხმის უმრავლესობით ვერ გადაწყდება, თორემ პროფ. ი. ცინცაძის მომხრეთა გასამრავლებლად და მისი თვალსაზრისის „განსამტკიცებლად“ განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა პროფ. გ. სოსელიას მოსაზრებანი. იგი წერდა: „ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა, რომელიც... მსხვილი ფეოდალების სასარგებლოდ მეფის ხელისუფლების შეზღუდვას მოითხოვდა, უთუოდ რეაქციული იყო“[76]. ამის საბუთად პროფ. გ. სოსელიას, პროფ. ი. ცინცაძის მსგავსად, XII—XIII სს. საქართველოში „მესამე წოდების“ არარსებობა მიაჩნდა: „ფაქტი ის არის, რომ XII—XIII საუკუნეების საქართველოში მეფესა და ფეოდალებს შორის ან თვით ფეოდალებს შორის ბრძოლაში ვაჭარ-ხელოსანთა ფენას არ ვხვდებით, ე. წ. მესამე წოდება არ ჩანს“[77]. ამას წერდა პროფ. გ. სოსელია 1958 წ., მაგრამ მისი გამეორება დღეს, როცა XII—XIII სს. საქართველოს ეკონომიკური ცხოვრება, ქალაქები და საქალაქო წესწყობილება საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი, დიდი ხნის წინათ მოძველებულ და გარკვეული (ტენდენ-

---

74 ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 427—428. როგორც ჩანს, პროფ. ი. ცინცაძე თვით არ გასცნობია ს. ჯანაშიას მოსაზრებას და შეცდომაში შეუყვანია ჩვენი ნაშრომის ერთ ადგილს, სადაც ს. ჯანაშიას მოსაზრება არცთუ ისე ნათლად არის გადმოცემული (იხ. საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 102—103).

75 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. II, გვ. 155—186.

76 გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ, შ. გორკის სახ. სოხუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, X—XI, 1958, გვ. 95.

77 იქვე, გვ. 91.

ციური) მიზნით შეთხზულ მოსაზრებათა დაუსაბუთებელ რესტავრაციად უნდა მივიჩნიოთ. მით უფრო, თუკი პროფ. ი. ცინცაძე, მისივე განცხადებით, „ვითარცა არასპეციალისტი“, XII ს. საქართველოს ქალაქების, საქალაქო წესწყობილების საკითხების, კერძოდ, თბილისის საქალაქო კომუნის შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმულ „საყურადღებო მოსაზრებათა წინააღმდეგ კამათში“ ვერ ჩაერევა (გვ. 226). ეს საკითხები კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველაფერ იმასთან, რაზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი და მათი გათვალისწინების გარეშე პოლემიკას არ შეიძლება სრულყოფილი მეცნიერული სახე ჰქონდეს.

თავის დროზე ჩვენ გიორგი უფლისწულის მიერ მოწყობილი პირველი აჯანყება (1191 წ.) საქალაქო წრეების მიერ დაკარგულ უფლებათა აღდგენისათვის ბრძოლის ერთგვარ გაგრძელებად მივიჩნიეთ და ამ საქმის ორგანიზატორად და წამომწყებად ისევ საქალაქო წრეებთან დაკავშირებული „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი“ დავასახელეთ.

პროფ. ი. ცინცაძე, ცხადია, ვერც ამ მოსაზრებას გაიზიარებდა და შეგვნიშნავს: „თამარ მეფის ისტორიკოსები თამარ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში ვაჭრებს კი არ ხედავენ, ა რ ა მ ე დ დ ა ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ს“ და მოჰყავს სათანადო ამონაწერი თამარის ისტორიკოსის თხზულებიდანაც (იხ. გვ. 225). ასეთივე მოსაზრებას, სხვადასხვა ფორმით, პროფ. ი. ცინცაძე გაიმეორებს სხვადასხვა ადგილას (იქვე, იხ. აგრეთვე გვ. 226, 227). ამასთანავე დასძენს: „მეფე-ქმარს“ ხომ არ შეეძლო რაიმე საშინაო საქმეებში ჩარევა და რა სარგებლობა უნდა ენახათ მოქალაქეებს მისი რესტავრაციითო; „საქართველოში“ „ქალი მეფის“ ქმარი მეუღლეს მხოლოდ ლაშქრობის დროს ცვლიდა. მეფე ვალდებული იყო ლაშქარს ბრძოლებში გაჰყოლოდა, წყაროების მიხედვით მ ე ფ ი ს ქ მ ა რ ს ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს მ ე ტ ი ა რ ა ე ხ ე ბ ო დ ა-რ ა... ასეთ ვითარებაში „საქალაქო კომუნის“ დაკარგულ უფლებებზე გიორგი რუსის იმედეული ოცნებაც კი იმთავითვე განწირული ჩანდა და არც ქართველი დიდებულები რუსი უფლისწულის ისევ სასახლეში დასაბრუნებლად დაღვრიდნენ სისხლს“ (გვ. 226—227).

მოტანილ ამონაწერში რამდენიმე საკითხია წამოჭრილი, რომელ-ᲘᲐᲪ მოკლედ მაინც უნდა გავცეთ პასუხი.

რა თქმა უნდა, გიორგი უფლისწულის თავდაპირველ მომხრეებსა ა მის საქართველოში ჩამომყვანთ (აბულასანი, ზანქან ზორაბაბელი ა სხვ. მსგავსნი), რომელთა კარიერაც, როგორც ზემოთაც ითქვა, ᲘᲓᲐᲓ იყო დამოკიდებული მის მეფობაზე, შეუძლებელია გიორგის ᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ არ ეზრუნათ. ამას, საერთო ისტორიული პროᲡᲘᲡ გათვალისწინების გარდა, აჯანყების ორგანიზატორად წყაროᲗᲐᲗᲘᲡ მიერ „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის“ მოხსენიებაც გვიდას-

ტურებს: „მას ჟამსა ნაცვალი მეჭურჭლეთა-უხუცესისა, სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი, კეთილთა და ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი, საქმის მოციქულად წარავლინა რასათუსმე და მას კარნუ-ქალაქსა მისვლასა შინა შეიყარნეს რუსი და იგი ერთად, მიუდგეს იმერნი რათა რუსი სასახლესა შინა შეყვანილ ყონ"[78].

ნათელია, რომ აჯანყების ორგანიზატორი ამ საქმის მოსაწყობად საგანგებოდ კარნუ-ქალაქში ჩასული მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალია, ხოლო შემდეგ მათ მიუდგნენ „იმერნი" და სხვანიც.

აჯანყების მეთაურად მიიჩნევდა „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს" ივ. ჯავახიშვილიც[79].

მაგრამ ვინ შეიძლება იყოს იგი? თუ გავიხსენებდით გიორგი უფლისწულის მეფობის ბოლო წლებში აბულასანის მეჭურჭლეთუხუცესობას, სავსებით ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ის აბულასანთან დაახლოებული პირია. ამას გარდა, შეუძლებელია, რომ ისტორიკოსის მიერ „სჯულით ბარბაროზად და ქცევით ტარტაროზად" მოხსენიებული პირი ქართველი დიდგვარიანი დიდებული იყოს. არც ერთი დიდებული დიდგვარიანი, უფრო მეტი დანაშაულის მქონეც კი (ვთქვათ, მაგ., გუზანი), იმდროინდელ ისტორიკოსს ასეთი დამამცირებელი ეპიტეტებით არ მოუხსენებია და არც შეიძლებოდა მოეხსენებინა. სწორედ ეს და აგრეთვე მისი თანამდებობა და ამის წყალობით მისი აშკარა კავშირი საქალაქო წრეებთან გვაფიქრებინებს, რომ „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი" დიდგვარიანი ქართველი დიდებული კი არ არის, არამედ „ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი" (მეფეთაგან შეწყალებული, გაბედნიერებული) უგვარო, აბულასანისა და ზანქან ზორაბაბელის დასის წევრი. ამიტომაც ვწერდით ჩვენ: „აჯანყების ორგანიზატორებად" და „რუსის სასახლეში შეყვანის" ინიციატორებად ისევ იმ წრეთა წარმომადგენლები გამოდიან, რომლებმაც გიორგი რუსი ჩამოიყვანეს თამარის საქმროდ. მაგრამ ეს დასი, გიორგის განდევნითა და აბულასანის გადაყენებით წელში გატეხილი, ასეთი დიდი აჯანყების მოწყობისათვის საჭირო ძალას ვერ შექმნიდა. ეს მოძრაობა, ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც... გიორგი რუსის ჩამოყვანის დროს, ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვარიანთა ინტერესებს დაემთხვა... ამიტომ იყო, რომ ამ აჯანყების ძირითად ძალად უფრო დიდგვარიანი ფეოდალები... ჩანან, ვიდრე მოქალაქეთა წარმო-

---

78 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

79 იხ. ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. II, გვ. 185.

მადგენლები, როგორც პირველი, ასევე, მეორე სოციალური წრისათვის რუსი უფლისწული არც ისე ადვილად დასათმობი იყო"[80].

ასეთია ჩვენი დასკვნა და არა გვგონია, რომ პროფ. ი. ცინცაძის კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად მასში რაიმე ცვლილების შეტანა იყოს საჭირო.

მაგრამ მაინც საკითხავია, თუ მართლაც ასე უუფლებო იყო ეს „მეფე-ქმარი" და მას მარტო „ლაშქრობის მეტი არა ეხებოდა-რა", ასეთი მეფის იმედი უნდა ჰქონოდათ მის მრავალრიცხოვან მომხრეებს, საქალაქო ფენების წარმომადგენლებს თუ დიდგვარიან ფეოდალებს?

თუ პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრებას გავიზიარებთ „მეფე-ქმრის" ასეთი უუფლებობის შესახებ, მთელი ის გრანდიოზული აჯანყება, რომელიც 1191 წ. მოეწყო, სავსებით უმიზნოდ უნდა მიგვეჩნია, თუნდაც ამ დიდგვარიანებისათვის, რომელთაც პატივცემული მკვლევარის სიტყვით, „რუსის სასახლეში დასაბრუნებლად დაუღვრიათ სისხლი".

პროფ. ი. ცინცაძე ასეთ უხერხულობას კარგად გრძნობს და ამიოდ ცდილობს ამ დიდი აჯანყების მიზეზად „ამერ-იმერთა დიდებულების ღრმა წინააღმდეგობა", თუ „იმერთა" რაღაც „მიმძლავრება" და ან კიდევ, მეფის კურთხევაში მომხდარი შესაძლო ცვლილებები მიიჩნიოს (გვ. 225). მაგრამ განა პროფ. ი. ცინცაძისაგან ასე „უუფლებოდ" მიჩნეულ გიორგი უფლისწულს შეეძლო ამ „ღრმა წინააღმდეგობათა" გადაჭრა ან კიდევ „იმერთა" ხსნა „მიმძლავრებისაგან?" ასეთ წინააღმდეგობათა და შეუსაბამობათა ძირითადი წყარო „მეფე-ქმრის" უფლება-მოვალეობის არასწორი გაგებაა და ამიტომაც იყო, რომ ნ. ბერძენიშვილმა თავის დროზე 1191 წ. აჯანყების მიზეზების შესახებ პროფ. ი. ცინცაძის ამგვარი მოსაზრებანი დაუსაბუთებლად და მცდარად მიიჩნია[81].

ცხადია, „მეფე-ქმრის" უფლება შეუძლებელია მარტო „ლაშქრის გაყოლით" განისაზღვროს და აქამდე იქნეს დაყვანილი. ასეთი მტკიცების წინააღმდეგ არაერთი მაგალითის მოტანა შეგვეძლო თამარის „მეფე-ქმრის", თვით გიორგისა და განსაკუთრებით დავით სოსლანის მოღვაწეობიდან. ეს კი აუცილებელს გახდიდა პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრების საფუძვლიან გადასინჯვას. მაგრამ ამაზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ[82]. ოღონდ ის კი უნდა შევნიშნოთ, რომ თამარის „მე-

---

80 შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 141.

81 იხ. ნ. ბერძენიშვილის რეცენზია — იასე ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „მასალები", ნაკ. I, 1951, გვ. 319—324.

82 ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე საკმაოდ კარგად და საბუთიანად ნაჩვენებია დავით სოსლანის, როგორც მეფის, „მეფე-ქმრის" როლი XII ს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და არსებითად უარყოფილია პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრებანი ამ მხრივ (იხ. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთო-

ფე-ქმრის“ (გიორგის თუ დავითის) ასე „უუფლებო მეუღლედ“ გამოცხადება მხარს მისცემდა ზოგ ისტორიკოსს და მწერალს (მაგალითად, გ. ვერმიშევს), რომელთაც თამარის დროის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ბატონ-პატრონად „მეფე-ქალისა“ და „მეფე-ქმრის“ მოხელეები, კერძოდ, ძმები მხარგრძელები მიიჩნიეს.

ამით ვამთავრებთ პროფ. ი. ცინცაძესთან კამათს. როგორც ვნახეთ, მის პოლემიკურ წერილში აღძრულია XII ს. საქართველოს ისტორიის არაერთი კარდინალური საკითხი, რომელთა დიდი ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემასთან. სამწუხაროა ოღონდ, რომ ეს წერილი საკითხის მხოლოდ აღძვრისა და დაუსაბუთებელი კრიტიკის ფარგლებს ვერ გასცილდა. ალბათ, გვაპატიებს პატივცემული პროფესორი და მკითხველიც, თუკი საჟურნალო წერილში ვერ მოვახერხეთ ყველა საკითხზე კიდევ უფრო დეტალურად გაგვეცა პასუხი და ყველა საჭირო მასალა მოგვეტანა. მაგრამ იმედი გვაქვს ახლო მომავალში ამ საკითხებს ისევ დავუბრუნდებით და მოსალოდნელ პრეტენზიებსაც შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილებთ.

ზის ისტორიიდან (1958, გვ. 158—166), მაგრამ ყოველივე ამას პატივცემული მკვლევარი რატომღაც არავითარ ანგარიშს არ უწევს.

ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ მონასტრებში*

აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი წერდა: „სამონასტრო ცხოვრებისა და წესწყობილების საშუალო საუკუნეებში საერთო ცხოვრებაზეც დიდი გავლენიანობის გამო ამ საკითხების შესწავლაც აუცილებლად საჭიროა“[1]. ჩვენი წერილი ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მხოლოდ ერთ საკითხს შეეხება: ხელოსნურ წარმოებასა და შრომის ორგანიზაციას X—XII სს. ქართულ მონასტრებში.

* * *

VI საუკუნიდან მეუდაბნოებას საქართველოში თანდათან სამონასტრო წესწყობილება ცვლის[2]. სამონასტრო ცხოვრებამ „ქრისტეს მოყვარეთ“ ახალი მოთხოვნილებები წამოუყენა. უკვე „მ ძ ო ვ ა რ თ ა ს ა ხ ე დ“ არსებობით და მცირეოდენი „ჯ ე ლ ს ა ქ მ რ ი თ“ სულისათვის ზრუნვა ძნელდებოდა. საჭირო გახდა საცხოვრებელი შენობებისა და მონასტრების აშენება, რაც მარტოოდენ „გლახაკთა (მონაზონთა) ჯელით“ ვერ ხერხდებოდა. არც მშრალი და კეთილი ჰავა კმაროდა საარსებოდ და ხანძთელ მონაზვნებს მალე „სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქვეყანაჲ“-ც დასჭირდათ, რაც ხანძთის მონასტერს, ჯერ აშოტ კურაპალატმა და შემდეგ მისმა შვილებმა, „გაუჩინეს... უხუებით“[3].

---

* წაკითხულია მოხსენებად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XII სამეცნიერო სესიაზე 1943 წ. 29 ივნისს; იბეჭდება უცვლელად.

1 ქართ. სამ. ისტ., II, გვ. 35.

2 ვახტანგ გორგასალმა, ჯუანშერის სიტყვით, თავის ძუძუმტეს „უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა, და უბრძანა, რათა გამონახოს ჯევს ამას შინა სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი“ (ქი¯ს ცხ¯ბა, ანა დედოფლისეული ნუსხა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 119). იხ. აგრეთვე ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტ., II, 400 და შ.

3 გრ. ხანძთ. ცხბ¯ა, ია.

სამონასტრო, საზოგადო საკუთრების შეძენით თითქოს არ ილახებოდა ქრისტიანული მოძრაობის პირვანდელი იდეალი, რადგან ამ საკუთრებას ჯერ კიდევ თვით მონაზვნები ამუშავებდნენ. მაგრამ ცვლილებები სამონასტრო ცხოვრებაში ამით არ ამოწურულა. მონასტრები გაივსო „ქრისტეს მოყვარეებით". „ვითარცა ჯორციელად შეემატებოდა" ხანძთის მონასტერს, ეგრეთვე სულიერად შეეძინებოდა რიცხუსა მას წმიდათა კაცთსა"[4]. ათონის ივერთა მონასტერში, გიორგი მთაწმიდელის ცნობით, ექვთიმეს წინამძღვრობის დროს 300 სული იყო. ეს რიცხვი შემდეგაც არ შეცვლილა[5].

შედარებით ნაკლები ყოფილა მონაზონთა რიცხვი ჯვარის მონასტერში. პროხორი შავშელის სუნაქსარული ცხოვრების მიხედვით, პროხორიმ „შეკრიბნა... ძმანი მოღუაწენი... რიცხუთ ვითარ ოთხმეოცნი"[6]. შიომღვიმის მონასტერში კი, თუ ვ ა ხ უ შ ტ ი ს დაუჯერებთ, „ძველად იდგა ჭ(-5000) მონაზონნი"[7]. ვახუშტის ეს ცნობა, როგორც თვით ამბობს, ზეპირ გადმოცემაზეა დამყარებული („იტყვიანო", წერს ის) და შესწორებას მოითხოვს. ამ მხრივ არც არქიმანდრიტ დოსითეოსის განცხადება უნდა იყოს სანდო: „მღვიმესა შინა, — ამტკიცებს ის, — იყო დიდი კრებულობა, რომელსაც აღრიცხავს მეისტორიე მაშინ ყოფასა ორ-ორი ათასთა მონაზონთასა"[8]. ვფიქრობთ, დოსითეოსის ცნობა გარკვეული მიზნით გაზვიადებულია, მაგრამ შიომღვიმის მონასტერში მყოფ მემღვიმეთა მრავალრიცხოვნობა კი მაინც უდავოა.

საქართველოში მცირე მონასტრებიც იყო. ვაჰანის ქვაბში, მას შემდეგ, რაც ის მხარგრძელთა ხელში გადავიდა, მონაზონთა რიცხვი 51-ით განისაზღვრა, თუმცა მხარგრძელი გრძნობდა, რომ „სამართლობელ იყო რიცხჳსა ამის უმრავლესსა დაწესებაჲ"[9]. ილარიონ ქართველის მამის მიერ შექმნილ მონასტერში „შეკრბეს... ძმანი რიცხუთ ვითარ ათექუსმეტნი ოდენ"[10]. ხოლო იერუსალიმიდან დაბრუნებულ ილარიონ ქართველს, მამის მიერ აშენებულ მამათა მონასტერში, შეუკრებია „ძმანი ვითარ სამოცდა ათექუსმეტნი"[11].

„რით ცხოვრობდა ესოდენი სიმრავლე უკეთუ არა აქვნდა მამული მონასტერსა?" — შენიშნავდა დოსითეოსი თავის ზემოხსენებულ განცხადებაში, და მართლაც, შიომღვიმე, როგორც ცნობილია, საკ-

---

4 გრ. ხან. თ. ცხბ-ა, იბ. 1—2.

5 იოანე და ექვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ", გვ. 30; იქვე 224, აღაპი № 34.

6 საქ. მუზ. ფონდი 1661, 126 V.

7 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 62.

8 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვ. საბ., გვ. 87.

9 ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, გვ. 64.

10 ი. ქართვ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.", გვ. 71.

11 იქვე, გვ. 78.

მაოდ დიდი მამულის მფლობელი იყო. უფრო ძლიერ მფლობელს წარმოადგენდა ათონის ივერთა მონასტერი. მამულებით უზრუნველყოფილი იყო სხვა მონასტრებიც საქართველოში, ასე რომ, მონასტრები საშუალო საუკუნეებში ძლიერ ფეოდალურ ერთეულებად იქცა.

გრ. ხანძთელის დროს მხოლოდ „საყდართა საეპისკოპოსოთა" აღმაშენებელი მეფეები, და აგრეთვე დიდებულები, X—XII სს. „წმიდათა მონასტრებსაც" აშენებენ და სამონასტრო ცხოვრებაშიაც ერევიან. ჩნდება გარკვეულ პირთა საპატრონო მონასტრები. პატრონი ყოველნაირად ცდილობდა მონაზვნები უზრუნველეყო, რათა ისინი შემოწირულ სახმართა სანუქფოდ, პატრონისა და სხვა შემომწირველის სულისათვის მუდამ ჟამს მლოცველად მოცალენი ყოფილიყვნენ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია „ვაჰანის ქვაბის განგების" შემდგენელის მითითება: „ყ ო ვ ლ ი თ კ ე რ ძ ო უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ო ბ ი ს ა და უ მ ო ქ ე ნ ე ო ბ ი ს ა ძ მ ა თ ა ჲ ს ა მ ე ძ ი ე ბ ე ლ ი ვ ა რ... რ ა ჲ თ ა ა რ ა რ ა ჲ თ ი ყ ვ ნ ე ნ ნ ა კ ლ უ ლ ე ვ ა ნ ნ ი"[12].

მრავალრიცხოვან მონაზონთა მატერიალური უზრუნველყოფა საკუთრივ მათი შრომით უკვე შეუძლებელი იყო, რადგანაც ამგვარი საქმეებისათვის არც ისე მოცლილი იყვნენ. როცა სამონასტრო მეურნეობა მეტად გაიზარდა და გართულდა, მისწრაფება თავდაპირველი იდეალებისადმი შესუსტდა; მონაზონთა გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ საერო შრომას შეეძლო. სასულიერო ფეოდში საერო შრომა გაჩაღდა. თვით მონასტრებში კი გაჩნდა ძმობის გარეშე მყოფ დაქირავებულ „ხელოვანთა" თუ „არახელოვანთა" შრომაც. მაგრამ ჯერ კიდევ სამონასტრო შრომაში, ძმობაში მყოფთ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ და ჩვენც პირველ რიგში ხელოსნური შრომის ამ სახეზე შევჩერდებით.

* * *

„სოფლისა საცთაურისაგან" ლტოლვილნი თავდაპირველად უარს აცხადებდნენ საერო შრომის გამოყენებაზე სამონასტრო საქმეებში და ამიტომ თვით სწავლობდნენ მათი ცხოვრებისათვის საჭირო აუცილებელ ხელობას. ამით აიხსნება, რომ საალმშენებლო და ზოგი სხვა ხელობის მცოდნე სასულიერო პირები საშუალო საუკუნეებში მრავლად იყვნენ. მაგალითად, ბასილ ზარზმელის სიტყვით, სერაპიონი იყო

12 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 70.

„სხუათავე თანა... ფრიად შემკულ წესითა ხუროობისაჲთა“[13]. სააღ-მშენებლო ხელობის მცოდნე ყოფილა ილარიონ ქართველიც[14]. ეპი-გრაფიკულ ძეგლებში ხშირად მოიხსენიებიან მაშენებელი სასულიე-რო პირები. მაგ., გომარეთის წარწერებში „მიქელ ხუცესი გალატო-ზი“ იხსენიება[15], უბისის წარწერაში კი — „კალატოზი მამა მიქელი“[16]. მშენებლობის საქმეებს გარდა მონაზვნები ხელოსნობის სხვა დარგსაც მისდევდნენ. ერთ-ერთ მინაწერში, თაყაიშვილის ცნობით, „მონაზონი ოქროის მჭედელი“ მოიხსენიება[17]. მარტვილის ტაძრის ჯვარი[18], მასზე გაკეთებული წარწერის თანახმად, შესრულებული ყოფილა ბაგრატ IV-ის დროს „ჴელითა ივანე დიაკონისაითა“[19]. ხელობის სხვა დარგის წარმომადგენელი მონაზვნებიც იყვნენ. მაგრამ სამონასტრო ცხოვრებაში თითო-ოროლა ხელოვანი ბერი ბევრს ვერაფერს გახდე-ბოდა. თუ ილარიონ ქართველს შეეძლო ესწავლებინა თავისი მოწა-ფეებისათვის მცირე ყორის სენაკის აშენება და ამით დაკმაყოფილე-ბულიყო, სერაპიონ ზარზმელი, „ხუროობის ჴელის“ ასე კარგად მცოდ-ნე, იძულებული გამხდარა ხუროთმოძღვრად სხვა პირები მოეწვია: ჯერ გარბანელი და შემდეგ კი „ახალი ხუროთმოძღვარი“[20]. გრ. ხანძ-თელი და მისი მოწაფეებიც პირველად თვით შეუდგნენ მონასტრის აშენებას და როცა „შრომითა დიდითა“ შეამზადეს ადგილი, მაშენე-ბელი გალატოზები დიდებულმა აზნაურმა მიუბოძა.

თუ დროებით სამუშაოებში დასაშვები იყო ერისკაცთა შრომის გამოყენება, სამაგიეროდ შინაურ სამონასტრო ცხოვრებაში ცდილობ-დნენ მათი შრომა არ დასჭირვებოდათ და მონასტრებში ჰყოლოდათ ხელოვანი ძმები, რომელნიც ძმობაშიაც იქნებოდნენ და ამავე დროს თავიანთი ხელობით მონასტერს სათანადო სამსახურსაც გაუწევდნენ. ამით აიხსნება, რომ ექვთიმე მთაწმიდელი „მშრომელთა და მდაბალთა“ ძმობაში სიხარულით ჩარიცხავდა, ვიდრე იმას, ვისაც 1000 დრაჰკანი შემოჰქონდა[21]. ამგვარად, სამონასტრო ცხოვრება აუ-ცილებელს ხდიდა ხელოვან ძმათა შრომის გამოყენებას მონასტრებ-

---

13 სრპ. ცხბ-ა, გვ. 170.

14 ათ. კრებ., გვ. 87.

15 Е. Такайшвили. Арх. экск., IV, გვ. 83.

16 ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ., I, გვ. 46; შდრ. მისივე Арх. экск., V, გვ. 15.

17 ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ. სამეგრელოში, „ძველი საქართველო“, III, გვ. 189.

18 ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ., II, გვ. 65, 66.

19 შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, გვ. 27.

20 სრპ. ცხბ-ა, გვ. 172.

21 იოანე და ექვთ. ცხ-ბა, „ათ. კრებ.“, გვ. 46.

ში. თუ ძმობის „არახელოვანი“ წევრები, სულიერი ცხოვრებისათვის ზრუნვის გარდა, „საერთო საქმეს“, სამეურნეო სამუშაოებსაც ასრულებდნენ, „ხელოვანი“ ძმები ამგვარი სამუშაოსაგან თავისუფლდებოდნენ და თავიანთი სპეციალობის მიხედვით მუშაობდნენ. ხოლო რაკი „ხელოვანი“ და „არახელოვანი“ „ძმანი ყოველნი ძლიერად შურებიან“, გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, თანასწორობა მაინც არ ირღვეოდა და ყოველნი „უდრტვინველად და სიხარულით“ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს[22].

მონასტრებში გავრცელებულ ხელობას, რომელსაც ძირითადად ძმობაში მყოფი მონაზვნები მისდევდნენ, მწიგნობრობასთან დაკავშირებული ხელობანი წარმოადგენდა. ჩვენ მხედველობაში გვყავს ხელობის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ „ეტრატის შემქმნელნი“, „გადამწერნი“ ანუ „მწერალნი“, წიგნის შემკერავნი ანუ „მმოსველნი“, „მკაზმეველნი“ და სხვ... საშუალო საუკუნების ყოველ დიდ მონასტრეს ამგვარი ხელობის მქონე ძმები ჰყავდა, რადგან მონასტერი კულტურული ცენტრიც იყო და მონაზვნები პირველი მწერალნი და გადამწერნი იყვნენ ძველ საქართველოში[23]. ათონის ივერთა მონასტერს, მაგ., რამდენიმე „მწერალნი“[24] ჰყოლია. „მწიგნობრობის ჯელის“ მქონე ძმები პირველ რიგში თავისი მონასტრისათვის იღვწოდნენ და მისთვის საჭირო ეტრატს ამზადებდნენ, თუ წიგნებს სწერდნენ. ამავე დროს ისინი სხივისი დაკვეთითაც მუშაობდნენ და სათანადო სასყიდელსაც იღებდნენ. როგორც ცნობილია, „სასყიდელით წერაჲ“ ხელს არ უშლიდა სულის საქმისათვის ზრუნვას[25]; ამიტომ უსასყიდლოდ თითქმის არავინ სწერდა: „შემინდევით პირველისათჳს, უცბად უმეცრად ჩხრეკისათჳს. სხვაჲ ღონე არა მაქუნდა, საფასისაგან გლახაკად ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდა“-ო, მოგვითხრობს ერთ-ერთი გადამწერი[26]. „მწიგნობრობის ჯელის“ მქონე ძმები რომ მონასტრის გარესამუშაოებს სათანდო სასყიდლით ასრულებდნენ, ნა-

---

22 იოანე და ექვთ. ცხ¯ბა, „ათ. კრებ.“, გვ. 46, 48.

23 ამ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეში „დედათა“ მონასტრებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. აკად. კ. კეკელიძე წერს: „როგორც ირკვევა, პალესტინის „დედათა“ სავანეებში ისეთსავე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ, როგორც მამათა მონასტერში: წიგნების კითხვა, შეკეთება, გადაწერა, მოპოვება, ბიბლიოთეკის შედგენა, მწიგნობართა კადრების მომზადება აქაც ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა“ („ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები“, „ენიმკის“ მოამბე, XIII, გვ. 118).

24 იოანე და ექვთ. ცხ¯ბა, „ათ. კრებ.“, გვ. 45.

25 Матер. по арх., XII, გვ. 160.

26 М. Джанашвили. Опис., III, გვ. 61.

თლად გ. მთაწმიდელის თხზულებიდან ჩანს. გ. მთაწმიდელის სიტ-ყვით, თეოფანე ხუცესი იყო... „სწავლული ფრიად და ჴელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთაჲ... უფროის ათასხუთასისა დრაჰკნისა უწერიან წიგნნი მონასტერისანი შინა და გარე“[27]. თეოფანე ხუცესს როგორც მონასტერში, ისე მონასტრის გარეთაც უმუშავნია და თავისი ხელობით 1500 დრაჰკანი მოურეწია. ჩვენ არაერთი მსგავსი ცნობა გვაქვს შემონახული მინაწერებში მწიგნობრობასთან დაკავშირებულ ხელობის მქონეთა შესახებ, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შეეუდგებით.

მონასტრის ძმობაში სხვა ხელობის წარმომადგენლებიც შედიოდ-ნენ. მონასტრის აღაპებში ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობები მო-გვეპოვება. ათონის ივერთა მონასტრის აღაპში ნათქვამია: „აღაპი გა-ნუწესეთ გიორგი მჴედელსა ქართველსა, დიდად ემსა-ხურა ეკლესიისად მისსა სიცოცხლესა და შემდგომად სიკუდილისა მოსცა ეკლესიისა: მ: (=40) პროტოხარაგი“[28], ეს „ქართველი“ მჴედელი მონასტერშია; წინაღმდეგ შემთხვევაში როგორ შეეძლო თავის სი-ცოცხლეში სამსახური გაეწია საქართველოდან ათონის მონასტრისათ-ვის? აგრეთვე ის ძმობის წევრია. როგორც ჩანს, მისი მონაგები, სიკვ-დილის შემდეგ, მონასტრის საკუთრებად ქცეულა. ქვემოთ დავინახავთ, რომ ძველ ქართულ მონასტრებში ძმათა ქონების გადაცემის ამგვარი წესი არსებობდა.

მონასტრებს „ხარაზებიც“ ჰყოლიათ, რომელნიც აგრეთვე ძმობაში შედიოდნენ. ეს შემდეგი აღაპიდან ჩანს: „აღაპი გაუწესეთ ძმასა ჩუენსა ოქროპირსა ხარატსა. მოსცა ეკლესიისა სტამენონი ექუსას და პერპერაი ჩ: (=1000)“[29]. რაკი გიორგი „ძმად“ იწოდება, ის ძმობის წევრი იქნებოდა და თავის ხელობას მონასტერ-ში მისდევდა. ძმობაში მყოფი „ხარაზი“ ჯვარის მონასტერში ჰყო-ლიათ. ჯვარის მონასტრის აღაპებში „ხარაზი“ რამდენიმეჯერაა მოხ-სენიებული: „ამავე დღესა წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ ძმისა ჩუე-ნისა გიორგი ხარაზისაჲ“[30]. ხოლო 22 აპრილის ქვეშ აგ-რეთვე ნათქვამია: „ამასვე დღესა პანაშვიდი ძმისა ჩნი˜სა გი˜ს ხარაზისაჲ, მოგუცა ხუთასი დრამა დიდსა დაჭირვებასა შინა“[31]. ამგვა-რად, აქაც „ძმა გიორგი ხარაზია“ მოხსენებული. მონასტრის ძმობის წევრს, გიორგი ხარაზს, საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონია თავისი

---

27 იოანე და ექვთ. ცხბ˜ა, „ათ. კრებ.,“ გვ. 57.
28 ათ. კრებ., 27, აღაპ, № 123.
29 იქვე, 256—257, აღაპი 146.
30 ნ. მარი, აღაპი ჯუარის მონასტრისანი, 9, № 32.
31 იქვე, 54, № 209.

ხელობიდან: მას მონასტრისათვის 500 დრამის შეწირვა შეძლებია. მონასტრის ძმობაში სხვა ხელობათა მცოდნეებიც ყოფილან, მაგ., სახუროვნო და სხვა საქმეთა, რომელთაც ექვთიმე მთაწმიდელი ხშირად რჩევისა და დახმარებისათვის მიმართავდა: „წესი იყო მამისა ჩუენისაჲ... — წერს გიორგი მთაწმიდელი, — უკეთუ საკრებულოჲ რაჲმე არნ, ძმათა უკმის, რომელთა აქუნ მის საქმისა მეცნიერებაჲ, — გინა თუ სამჴედლოჲ იყვის გინა სახუროვნოჲ, გინა სავენაკეს, — და მათ თანა დაიურვის სამამოს“[32].

მონასტერს ყოველი ხელობის წარმომადგენელი არ შეიძლებოდა ჰყოლოდა. ზოგ შემთხვევაში მონასტრის წინამძღვარი მისთვის საჭირო ხელობის მქონე მონაზონს სხვაგან შოულობდა დროებით და სათანადო ხელშეკრულებით თავის მონასტერში ამუშავებდა. ამგვარი დასკვნის უფლებას ჩვენ იოანე ციმიხის (969—975 წწ.) მიერ 972 წ. დამტკიცებული ათონელების „ტეპიკონი“ გვაძლევს[33]. თუმცა მონასტრებში ხელოვანი ძმები საკმაოდ იყვნენ, მაგრამ ძმა ხელოსანთა შრომა მაინც საკმარისი არ აღმოჩენილა.

* * *

ათონის, შიომღვიმისა და სხვა დიდი მონასტრების რთული მეურნეობა და მრავალრიცხოვან მონაზონთა გაძლიერებული მოთხოვნილება აუცილებელს ხდიდა საერო ხელოსნური შრომის გამოყენებას მონასტრებში. ძმობაში მყოფ ხელოსანთა გვერდით ჩნდება ერისკაცდაქირავებულ და მსახურ-ხელოსანთა შრომაც.

გიორგი მთაწმიდელი თავის თხზულებაში წერდა: „ხოლო იყო რაჲ თორნიკ აღმოსავლეთს (ე. ი. საქართველოში—შ. მ.), მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა, სიმრავლე არა მცირედი და ენება, რაითა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკჳდრნი ყოველნი. გარნა, ვინაითგან ამისი ქმნაჲ შეუძლებელი იყო, იიძულნეს ბერძენთაცა შემოყვანებად, რამეთუ ჩუენ, ვითარცა ხედავთ, ზღჳსა რაჲთურთით გამოცდილებაჲ არაჲ გუაქვს, და ჩუენი ყოველი გასარომელი ზღჳთ შემოვალს, და მერმე თჳნიერ მჴედელთა და ხუროთა და გალატოზთა და მეევნაკეთა და ნავის-მოქმედთა და სხუათა ესე ვითართა

32 იოანე და ექვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.,“ გვ. 41.

33 Проф. П. Успенский, Восток Христианский, „История Афона“, ч. III, отд. I, Киев, 1877, გვ. 86.

ამის ესე ვითარისა ვრცელისა ლავრისა დამ-
ჭირვაჲ უღონო არს. და ესე ყოველი გამონახეს წმიდა-
თა მამათა ჩუენთა და, თუ უნდა და თუ არა, ვითარცა ვთქუთ,
შეიწყნარნეს იგინიცა"[34]. როგორც მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს,
ათონში მყოფ მონაზენებს სურდათ მონასტერში მხოლოდ ქართველე-
ბი ყოფილიყვნენ, მაგრამ ამის გატარება მათ ვერ შეძლებიათ, რადგან
ასეთი „ვრცელი ლავრისა დამჭირვაჲ" ხელობის გარკვეული დარგის
წარმომადგენელთა მონასტერში შეყვანის გარეშე შეუძლებელი იყო.
ისინი იძულებული გამხდარან აეყვანათ მონასტერში სამუშაოდ ბერ-
ძენი მჭედლები, ხუროები, გალატოზები, ნავისმოქმედნი და სხვ. ხე-
ლობის წარმომადგენლები. „ვრცელი ლავრის" მოთხოვნილება ბერძენ
ოსტატებზე ისე მწვავედ ყოფილა, რომ ქართველმა ძმებმა „უნდა თუ
არა, შეიწყნარეს იგინიცა".

ზემომოყვანილი ამონაწერიდან ვგებულობთ აგრეთვე, რომ ათო-
ნის ივერთა მონასტერს ჰყოლია მჭედლები, ხუროები, გალატოზები,
ნავისმოქმედნი ანუ „კალაფატნნი"[35]. ნავისმოქმედთა გარდა, ცალკე
იყვნენ „მ ე ნ ა ვ ე ნ ი". ამავე მონასტერში „მ ე ხ ა მ ლ ე" ანუ „ხარა-
ზი" ოსტატებიც იყვნენ. ამაზე გარკვევით გ. მთაწმიდელის თხზულება-
ში „ს ა წ ა ნ გ რ ო ს" მოხსენიებაა[36] მიგვითითებს. „საწანგრო" კი, რო-
გორც ცნობილია, „ს ა ხ ა რ ა ზ ო ს" ნიშნავდა.

ივერთა მონასტერს, ზემოხსენებულ ხელოსანთა გარდა, ნიადაგ
მსახური ხელოსნებიც ჰყავდათ. ასეთები იყვნენ: მ ე პ უ რ ე ნ ი, ანუ
ხაბაზნი და მ ზ ა რ ე უ ლ ნ ი. ხაბაზნი გ. მთაწმიდელის თხზულებაში
არაა მოხსენებული, მაგრამ მათი არსებობა ასეთ დიდ მონასტრებში
უდავოდ უნდა ვიგულისხმოთ. „მზარეული" და „სამზარეულო" კი
არაერთჯერ იხსენიება „იოანესა და ექვთიმეს ცხბ-ში"[37]. ყველა ზე-
მოხსენებულ ხელოსანთ, მონასტრის ძმათაგან განსხვავებით, ათონის
ივერთა მონასტერში, „ კ ე ლ ო ა ნ თ" უწოდებდნენ[38].

ივერთა მონასტერში ერისკაცთა შრომა სხვა დარგშიაც იყო გამო-
ყენებული. გ. მთაწმიდელის ცნობით, მონასტრის საჯორეში „ყოველ-
ნი ძმანი იყვნიან მეჯორედ: დ ა ო რ ნ ი ე რ ი ს გ ა ნ ნ ი ჰ ყ ვ ი ა ნ
მ ს ა ხ ო ბ ა ო დ და მხუეტლად"[39]. საერთოდ დაქირავებული მუ-
შები ხომ ხშირად იყვნენ გამოყენებული მონასტრის შინასამეურნეო

---

34 იოანე და ექვთ. ცხბ-ა, „ათ კრებ.," გვ. 13—14.
35 იქვე, გვ. 13, 50.
36 იქვე, გვ. 50.
37 იქვე, გვ. 40.
38 იქვე, გვ. 51.
39 იქვე, გვ. 48.

ცხოვრებისათვის. მაგ., ვენახის დასხმისათვის, მებოსტნედ, მებაღედ და სხვ. ათონის ივერთა მონასტრის ერთ აღაპში ნათქვამია: ქობულის ძეთა მიერ „შემოწირული ოქროჲ ესრე წარეგო: პირველად მიეცა ძმათა მისგან ევლოგიაჲ და გაიროქნეს მ უ შ ა ნ ი მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა-ნ ი სამსა ჯერსა, რომელთა დავასხმევინეთ ვენაჯი კე(=25) მოდი-საჲ“[40]. საერთოდ, მონასტრებში ამ დროისათვის დაქირავებულ ერის-კაცთა შრომის გამოყენება ჩვეულებრივი ამბავი იყო. მხოლოდ წინა-მძღვარი ყოველთვის აფრთხილებდა ი კ ო ნ ო მ ო ს ს „უ წ უ ე რ უ-ლ ო თ ა მ უ შ ა თ ა ნ უ შ ე ი წ ყ ნ ა რ ე ბ“-ო[41]. როგორც გიორგი მთაწმიდელის თხზულებიდან ირკვევა, ექვთიმეს წინამძღვრობის დროს, ივერთა მონასტერს ზოგჯერ კიდევ 40 ერისკაცი მუშა ჰყოლია: „ნუმცა რაჲ დააკლდების ეპისტატსა, რომელ არა შეწუხდეს და ო ც-დ ა ა თ ი ანუ ო რ მ ო ც ი მ უ შ ა ჲ არა მოცთუნოს, და ესთენი გან-ძი ბედით წაკდეს, რომლისაჲ თანაგუაც მათდა მიცემაჲ“[42] — ამბობ-და ექვთიმე მთაწმიდელი. გიორგი მთაწმიდელის მამასახლისობის დროს კე „მონასტრის მუშათა“ რიცხვი შემცირებულა. „დ ი დ ი ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ ი ს“ თარგმანში, რომელიც გ. მთაწმიდელს შეუსრუ-ლებია და, რომელიც 1155 წ. გიორგი თავდიდს გადაუწერია, დღესას-წაულთა სახელებისა და რიცხვის ნუსხის ტექსტის ბოლოს, ტექსტი-სავე ხელით და მელნით მიწერილია: „...ესე რომელ მცირედ არიან ს ა ე რ ო ნ ი უ ქ მ ე ნ ი ნუ გიკჳრს, რამეთუ ო ც ი მ უ შ ა კ ი შურე-ბის ყოვლადვე და ყოველთა წელთა ჩნს^ა მონასტერსა“[43]. გიორგი მთაწმიდელის დროისათვის, როგორც ამონაწერიდან ჩანს, ივერთა მო-ნასტერს ოცი მუშა ჰყოლია წინანდელ ოცდაათ-ორმოცის მაგივრად.

ყოველ დიდ მონასტერს ზემოხსენებული ხელობის წარმომადგენ-ლები და მუშები უნდა ჰყოლოდა. ზოგს მეტი და უფრო სხვა ხელობის წარმომადგენლები ჰყავდა, ზოგს კიდევ ნაკლები. ჩვენ მასალები არ

---

40 იქვე, 255, აღაპი № 145.

41 იქვე, გვ. 48.

42 იქვე, გვ. 50.

43 ჩვენ მიერ საქ. მუზეუმის ფონდის № 1661 (330 v) ხელნაწერის მიხედვით ზემომოყვანილი მინაწერი ამოწერილი აქვს თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა ს ფონდის № 222 ხელნაწერის მიხედვით (იხ. Опис., I, 244), სადაც „ო ც ი მ უ შ ა კ ი“ მაგიერ „ო თ ხ ი მ უ შ ა კ ი“ წერებულა; ამავე (A 222) ხელნაწერის ჩვენთვის საინტერესო ადგილების აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანშიც მო-ნასტრის ოთხ მუშაზეა მითითებული (იხ. მის· Литургич. груз. памятник и, с. 311; 489 — 490). ჩვენ შევამოწმეთ ხელნაწერის ის გვერდები (ქორდანიას მიხედვით 597, კ. კეკელიძის მიხედვით კი 596), სადაც ეს მინაწერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღნიშნული შინაარსის მინაწერი № 222 ხელნაწერის არც 597 გვერდზე იპოვება და არც 596 გვერდზე: ასე რომ, ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია გარკვევით ვთქვათ, ეს აშ-კარა შეცდომა ხელნაწერის გადამწერს ეკუთვნის, თუ მის აღმწერთ.

გვყოფნის შიომღვიმის მონასტერში საერო ხელოსნური შრომის პროცესის დასახატავად. დავით აღმაშენებლის „ანდერძის“ მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, სხვა კატეგორიის ხელოსანთა (კერძოდ, შეწირულთა) გვერდით, შიომღვიმეში მ ს ა ხ ურ თ ა არსებობაც. „ანდერძში“ ნათქვამია: „გამოსავალი ცხუარი ჯორსა იყიდდეს, მ ა ტ ყ ლ ი მ ს ა ხ ურ თ ა მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა თ ა და წუ(ლაᲲ ძმათა მიეცემოდის“[44].

ხელობის ასეთი დარგის წარმომადგენლები, როგორიც იყო მჭედელი, ხურო, კალატოზი, მკერვალი, ხარაზი და სხვ., ე. ი. ისეთნი, რომელთაც მონასტრებში სანიადაგო სამუშაო არ ჰქონდათ, ზოგ, შედარებით მცირე, უფრო საპატრონო მონასტრებში არც კი ჰყოლიათ. მაგრამ საჭირო შემთხვევაში მონასტრის პატრონი მონასტერს ამგვარ ხელოსანთ უგზავნიდა დროებით, საჭირო სამუშაოს შესასრულებლად; მონასტერი კი მათ არც ინახავდა და არც გასამრჯელოს აძლევდა, სამაგიეროდ ამ მონასტრებს ნიადაგმომუშავე მსახური ხელოსნები ჰყავდათ. ამგვარი დასკვნის უფლებას ჩვენ „ვაჰანის ქვაბთა განგება“ გვაძლევს. მხარგრძელთა საპატრონო მონასტერში, ვაჰანის ქვაბში 51 მონაზონს 10 მსახური ხელოსანი ემსახურებოდა. ძეგლის დამდებს მტკიცედ განუსაზღვრავს მსახურთა რაოდენობაც. მხარგრძელი აწესებს: „ხოლო მსახურნი: ი:(=10), რომელნიც ყოველსავე ტრაპეზისა და ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო Ჲ ს ა და ს ა ხ ა ბ ა ზ ო Ჲ ს ა სამსახურსა აღასრულებდნენ“[45]. ათი მსახური მონასტრის პატრონის მიერ სასადილოს, სამზარეულოს და სახაბაზოს სამსახურისათვის ყოფილა დადგენილი და მასში ძირითადად ხაბაზნი და მზარეულნი შედიოდნენ. თითქმის უნაკლოდ მოღწეულ „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ არაფერია ნათქვამი სხვა ხელობის მქონეთა შესახებ. ამდენად, ვფიქრობთ, არც ყოფილან სხვა დარგის ხელოსნები ვაჰანის ქვაბში, ქვაბის წინამძღვრის გამგებლობის ქვეშ. სახაბაზოსა და სამზარეულოს მსახურნი კი მონაზონთა მოსამსახურეებად მონასტრის პატრონის მიერ დაქირავებულ საერო პირებს წარმოადგენდნენ, არათავისუფალ წოდებისას[46].

* * *

მონასტრებში „შ ე წ ი რ უ ლ ი“ ხელოსნებიც იყვნენ. „შეწირულ“ ყმებად, როგორც აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი განმარტავდა, ეკლესიე-

---

44 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვ. საბ., გვ. 17.

45 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 64.

46 შდრ. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს შენიშვნა, იხ. „ვაჰანის ქვაბთა განგება“, გვ. 112.

ბისა და მონასტრებისათვის „სააღაპოდ“ შეწირულნი იგულისხმებოდ-ნენ[47]. „შეწირულნი“, სხვა ყმებთან შედარებით, უკეთეს პირობებში იყვნენ. „იმ შემთხვევაშიაც კი, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — როდე-საც ეკლესიისა და მონასტრისადმი შეწირული ყმა მიწის მოქმედი არ იყო, არამედ ხ ე ლ ო ს ა ნ ი, ან ვაჭარი, ან რაიმე სხვა თანამდებობის კაცი, მაშინაც შეწირვის დროს მისი მოვალეობაც გარკვევით იყო ხოლმე აღნიშნული“[48]. ხელოსნების შეწირვაზე, ან უფრო სწორად, ყმა გლეხთა ხელოსნებად შეწირვაზე მოგვითხრობს თამარ მეფის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი 1202 წ. ბოძებული სიგელი. ამ სიგელის მიხედვით შესაძლებელი ხდება შეწირულ ხელოსან-ქუქანკთა მდგო-მარეობის გათვალისწინებაც.

ანტონ ჭყონდიდელმა სთხოვა თამარს მემღვიმეთათვის შესაწირა-ვად „წყლის მკაზმავებიც“ ეწყალობებინა. თამარ მეფემ მწიგნობართ-უხუცესის ეს თხოვნაც შეიწყნარა: „დაგუაჯერა ღ˜ნ და ვისმინეთ ჰაჯაჲ და მოხსენებაჲ მისი, ვაზირისა ჩუენისაჲ ანტონ ჭყონდიდელ... მ˜წ უხუცესისა და პროტო-ოპერტიმოსისა და რომელ სხალტბას მის წყლისა მისგან მოღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის, მიწად ერთი და კუამლად ორი, ქოსოს ძენი, საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად მღუიმისა მონასტრისა შესაწირავად მისდა მიგუითავისუფლებია“[49]. ეს „გლეხი მიწად ერთი და კუამლად ორი“, თამარის მიერ ბოძებული, ანტონ ჭყონდიდელმა მღვიმის მონასტერს შესწირა და მათ თავიანთი მოვალეობა „შეწირულობის წიგნით“ მტკ˜ცედ განუსაზღვრა: „მე გაუ-ჩინე სამსახური მის წყაროსი... სხუაი სამსახური არცა რაი ეკლესიისა ედვას თუნიერ წყაროის კაზმვისაგან კიდე“[50]. რაკი ისინი „საუკუნოდ მის წყლისა მკაზმაევბად“ იყვნენ შეწირულნი, ქუქანკებს თავიანთი ხელობა მომდევნო თაობებისათვისაც უნდა გადაეცათ. მართლაც, სიგელში გარკვევით იყო ნათქვამი: „ორსავე სახლისაგან თუთოი შვილი მათი ქუქანკად გაისწავლებოდეს და ჰკაზმვიდენ მას წყაროსა“[51]. ამ-რიგად, ქოსოსძეთ ყოველ თაობაში წყლის მკაზმავი ხელოსნები, ქუქანკები უნდა მიეცათ მონასტრისათვის და ყოველივე ამით ამოი-წურებოდა ამ ორი კომლი ყმის „ყმური მოვალეობა და სამსახური“. აღსანიშნავია, რომ „ქუქანკობა ყველას კი არ უნდა შეესწავლა, წყლის „კაზმვა“ თვითეულის სახლის ყოველი წევრის მოვალეობა კი არ უნდა

---

47 იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. სამ. ისტ., III, გვ. 75.
48 იქვე, გვ. 76.
49 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვ. საბ., გვ. 26.
50 იქვე, გვ. 28.
51 იქვე.

ყოფილიყო, არამედ თითო კომლთაგან მხოლოდ ერთი უნდა ყოფილიყო ამ ხელობაში განსწავლული"[52].

ანტონ ჭყონდიდელის მიერ შეწირული ხელოსნები, ქუქანკები, როგორც მღვიმელთა სიგელიდან ჩანს, მონასტრის „წყაროს მკაზმავებად" საკმარისი არ აღმოჩენილა და მათაც, თავის მხრივ, სხვა ქუქანკებიც დაუყენებიათ: „ჩუენ დავხედენით ამას, რომელ ესენი ოდენ არა ეყოფოდეს მკაზმავად წყაროსა. მათითავე კითხვითა და ბრძანებითა ერთი მეორშაფათე გლეხი, სახელით პატარ და მეორე გლეხი გარეთ მოსული ქაჩაბურაჲსძე, ესენიცა წყაროსავე მიუყენენით მკაზმავად"[53]. ასე რომ, შიომღვიმის მონასტერს წყაროს მკაზმავად ოთხი ქუქანკი ჰყოლია.

ზემომოყვანილი სიგელები განსაზღვრავდნენ ქუქანკთა მოვალეობასა და უფლებას: „ჰქონდეს იგი წყალი და გლეხნი ქოსოს ძენი... სიმონ და გიორგი და ია ბერი და შვილნი და შვილისშვილნი მათნი... წმიდასა მამასა შიოს... არას ჟამსა შეეცვალოს და არცა რაჲ მას წყალსა და გლეხსა ზედა ჯელისუფალთა ჩუენთა ჯელი შეუვიდოდის. ყოველითურთ შეუვალი და თავისუფალი არს, რაიც ანტონ ჭყონდიდელმ[ნ] განუჩინოს სამსახური მის წყლისაჲ, მას ჰმსახურებდეს და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისა"[54]. — ასეა ჩაწერილი თამარის სიგელში — „საუფლოჲთა ჯელითა მისითა". ხოლო შემწირველმა, ანტონ ჭყონდიდელმა, შეწირულებს, როგორც აღვნიშნეთ, წყალსადენის მუშაობაზე ყურისგდება და, საჭირო შემთხვევაში, შეკეთებაც დაავალა. თუ შეკეთებისათვის საჭირო იქნებოდა „ნივთი რაიმე", თვით მონასტერს უნდა ეზრუნა: „თუ დიდი და ნივთნი რაიმე საქმე გამოჩნდეს, რომელი მათგანი არ იქნებოდეს, მონასტერი დაუდებდეს, ანუ თუით მემღუიმე და კრებული ჩამოვიდოდეს ღა ყოველითურთ უნაკლოდ ჰკაზმვიდენ"[55]. ამგვარადვე განუსაზღვრეს მემღვიმეებმა ვალდებულებანი მათ მიერ დაყენებულ ქუქანკებსაც: „უკეთუ ნივთიერი რაიმე საკაზმავი იყო, სხალტბურთა და სხუაგნურთა ძალითა ზედა მოვიდოდეთ და მოჭირვებით ჩუენ კრებულობით ვჰკაზმიდეთ"-ო, ნათქვამია მემღვიმეთა სიგელში[56].

ქუქანკთა მსგავს შეწირულ ხელოსანს წარმოადგენდა გრ. სურამელის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის შეწირული მეწისქვილე. მსახურთუხუცეს გრიგოლ სურამელს მღვიმელთათვის მის მიერ აშენე-

---

52 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტ., II, გვ. 76—77.
53 თ. ჟორდანია, შიომღვიმის საბ., გვ. 27.
54 იქვე, გვ. 26.
55 იქვე, გვ. 28.
56 იქვე, გვ. 27.

ბული წისქვილის მკაზმავად გლეხი უყიდნია და შიომღვიმის მონასტრისათვის შეუწირავს. „შეწირულობის წიგნით“ მეწისქვილე ქავთარულის მოვალეობა შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: „წისქუილთა რაცა საკაზმავი უნდოდეს ესევე ჰკაზმიდეს“[57]. ხოლო დანარჩენ ვალდებულებებისაგან, ქუქანკების მსგავსად, შემწირველმა „წისქვილის მკაზმავი“ შეუვალი გახადა: „ესე ქავთარული თქუენგან ნასყიდი გლეხი შეუვალი იყოს თქუენისა სახლისაგან... და ვინაითგან თქუენითა ოქროითა თქუენისა სულისათუის გიყიდია, არც რა ამის წაღმა საქმე უც მცხეთის სახლსა შესავლობად არაის თანად არა და არცა რაი სათათროჲ გამოჰვიდოდეს: მალი, ყაფჩერი, სალაშქროი“ და სხვ., მოგვითხრობს მემღვიმეთა სიგელი[58].

* * *

სამონასტრო ხელოსნური შრომის სახეობათა მოკლე განხილვის შემდეგ შრომის ანაზღაურების პრინციპსა და ორგანიზაციაზე შევჩერდეთ.

გ. მთაწმიდელის თხზულებიდან გარკვევით ჩანს, რომ ქართული საერო ყოფა-ცხოვრებით შედარებით უფრო უზრუნველყოფილ სავანეში კერძო საკუთრებისადმი მისწრაფება ისე ძლიერი ყოფილა, რომ ექვთიმე მთაწმიდელს ხშირად უხდებოდა საბეჭურთა, კვართთა, კუნკულთა და სხვა შესამოსელთა ცეცხლში ჩაგდება[59]; ამგვარი ღონისძიებებით იგი დაუნდობლად ებრძოდა კერძო საკუთრებისადმი მისწრაფებას. საქართველოს მონასტრებში კი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო თავდაპირველ იდეალებში ცვლილებები და მისწრაფება კერძო საკუთრებისადმი. „ვაჰანის ქვაბთა განგებიდან“ ირკვევა, რომ ზოგ მონაზონთაგანს „ორნატი“, „აგარაკი“ და „ვენაჯი“ ჰქონია „სამამულოდ“ და მხარგრძელს დასჯირვებია ამ უმსგავსოების ამოკვეთა: „ვინაჲთგან იპოვნეს მას შინა ვიეთნიმე მონაზონთაგანნი, რომელთა [მიეცა] მონასტრისაგან ორნატნი, აგარაკნი და ვენაჯი, რაჲთა აქუ[ნდეს]. ამათ, საფასეთაგან ჩემთა, მივეც ს[რულია]დი თითოეულსა რაოდენიცა ენება და ითხოვა და ყ[ოველი იგ]ი ტრაპეზსა მიუდგინე“[60]. ამრიგად „მოვსპე მამულობით ქონებაჲ აგარაკთა, ვენაჯთა და თუნდა ორნატ-

57 იქვე, გვ. 64.

58 იქვე.

59 იოანე და ექვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.“, გვ. 43.

60 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 61—62.

თა“-ო, მოგვითხრობს ძეგლის დამდები[61]. მონასტრის ორნატის, აგარაკის და ვენახის მფლობელ მონაზონთათვის მხარგრძელს თავისი საჭურჭლიდან სათანადო თანხა მიუცია, მამულები ჩამოურთმევია და „მემამულე“ მონაზვნები მონასტრის ტრაპეზზე დაუჯერებია.

ქართულ მონასტრებში, კერძო საკუთრების წინააღმდეგ ამგვარი ბრძოლის მიუხედავად, ძმათა ხელოსნური შრომა გამოყენებული იყო არა მარტო მონასტრისათვის, არამედ სხვა, კერძო შეკვეთების შესასრულებლადაც, გარკვეული მოგების მიზნით.

ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ძმობაში მყოფი ხელოსნები მონასტრის გარეთაც მუშაობდნენ სათანადო სასყიდელის მიღებით. „იოანე და ექვთიმეს ცხბაში“ მოხსენებულ თეოფანე ხუცესს, „ხელოვნებით მწერალს“, მონასტრის „შინა და გარეთ“ მუშაობით 1500 დრაჰკანი მოურეწია. ხოლო ამავე მონასტრის მჭედელს, ხარაზს და სხვ., თავიანთი მონაგების შეწირვით მონასტერში ლავრის დამაარსებლის თანაბარი აღაპი გაუჩენიათ.

ძმობაში მყოფ „ხელოვანთა“ შრომა რომ მოგების მიზნით გამოიყენებოდა და „ხელოვან ძმებს“ შეეძლოთ მონასტრის გარეშეც „მოერეწათ“, ამას გ. მთაწმიდელის თხზულების ერთი ადგილი გვიდასტურებს: „ყოველსავე ჯორციელისა საჯმრისაგან უზრუნველ ეყვნეს ძმანი და ყოველსავე იგი (ექვთიმე — შ. მ.) მისცემნ, ვიდრე საცვლადმდე და ნემსადმდე. და მიზეზი გარდაეკუეთა, რაჲთა არას ვინ ზრუნვიდეს და არცა გაჰყიდდეს და არცა იყიდდეს და არცა რას მ ო ი რ ე წ დ ე ს და ა რ ც ა რ ა ს მ ო ი გ ე ბ დ ე ს თ ჳ ნ ი ე რ მ ი ს ი ს ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ს ა“[62].

ასევეა ნათქვამი „დიდ სჳნაქსარშიც“: „უწყებაჲ ჯერ არს, რამეთუ თანა აც ძმათა, რომელნი კრებულსა შინა იყუნენ, რათა თჳსითა გულის სიტყუათა და დაფარულთა საქმეთა წინამძღუარსა აღუვრ˜დენ(!) ხ ო ლ ო გ ა ნ თ ჳ ი ს ე ბ უ ლ ი ს ა ს ა ჯ მ რ ი ს ა და ნ ა რ თ ა უ ლ ი ს ა და შ ე ს ა ძ ე ნ ე ლ ი ს ა და დ რ ა ჰ კ ნ ი ს ა დ ა დ რ ა მ ი ს ა, გ ი ნ ა ფ უ ლ ი ს ა, თ ჳ ნ ი ე რ მ ა მ ა ს ა ხ ლ ი [ს ი] ს ა გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი ს ა და ნ ე ბ ი ს ა, მ ო გ ე ბ ა ჲ ა რ ა ვ ი ს და ჯ ე რ ა რ ს ძ მ ა თ ა გ ა ნ ი ს ა, რამეთუ ესე სრულიად განგდებულ არს წმიდათა მამათა ჩუენთაგან და დიდისა ბასილისაგან“[63]. ამრიგად, მონასტრის წინამძღვრის უშუალო ნებართვა იყო საჭირო, რომ ამა თუ იმ ხელოვან ძმას მ ო რ ე წ ვ ი ს ა და მოგების უფლება ჰქოხოდა. ხოლო

---

61 იქვე, გვ. 81.

62 იოანე და ექვთ. ცხბ˜ა, „ათ. კრებ.“ გვ. 43.

63 საქ. ბუზ. ფონდი A, № 222, 595; H № 1661, 328—329. შდრ. К. Кекелидзе, Литург. груз. памятники, გვ. 311.

თუ წინამძღვარს „არა ჰკითხის“ და „გარდაჰჯდის მცნებასა მისსა“, მან „ფიცხლად ამხილის და ძლიერად განკანონის“ დამნაშავე[64]. მონასტრის ინტერესიც მოითხოვდა ხელოვან ძმათათვის მორეწვის უფლება მიეცა. როგორც ჩანს, მონასტერი თვით აწარმოებდა ხელოვან ძმათა მონაგების აღრიცხვას. ივერთა მონასტერში კარგად სცოდნიათ, თუ რამდენი მოურეწია თავისი ხელობით თეოფანე ხუცესს.

ათონელების საერთო ტიპიკონიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ კრძალავდა ძმათა მუშაობას მორეწვის მიზნით, პირიქით, ამგვარ შემთხვევებს ის კანონიერ სახეს აძლევდა კიდეც. ისმის კითხვა: შეეძლოთ თუ არა სამონასტრო პირობებში ძმობაში მყოფთ მონაგები დაეგროვებინათ? როგორც ირკვევა, ეს შესაძლებელი იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკვე საკმაოდ შელახულ ქრისტიანულ იდეალებში საკუთარი შრომით მონაგების შეძენა დასაშვები ჩანდა, და მეორე, იმიტომაც, რომ მონაგები ძირითადად მონასტრის სასარგებლოდ მიდიოდა.

როგორც „ვაჰანის განგებიდან“ ჩანს, მონასტრის ძმობაში მყოფთ ჰქონდათ უფლება „ქ ო ნ ე ბ ი ს ა“. თვით მხარგრძელს ვენახთა და აგარაკთა „მამულობით მქონებელთათვის“ სათანადო საფასე მიუცია. მანვე გაუჩინა მონაზონთა სხვადასხვა დასს, საერთო ტრაპეზს გარდა, მათი ღირსებისდა მიხედვით, 6-დან 3 დუკატამდე ფული, 8-დან 1 გრივამდე პური და 4-დან 1/4 საპალნემდე ღვინო[65]. ამიტომ გარეცელილ ძმებს ხშირად რჩებოდათ, „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ენით რომ ვთქვათ, „ნ ა ქ ო ნ ე ბ ი“[66], რომელიც გარდაცვალებულის ანდერძის მიხედვით უნდა „გ ა ნ ე გ ო თ“[67]. მაგრამ ქონება, როგორც აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს გამოკვლეული აქვს, „კერძო საკუთრება კიარ იყო, არამედ მფლობელობა“[68]. ამრიგად, მონასტრის ძმებს მფლობელობის უფლება ჰქონდათ. ასეთივე უფლება ექნებოდათ, მაშასადამე, ხელოვან ძმებსაც, რომელნიც თავიანთი ხელობით გარკვეულ თანხას მოირეწდნენ. სულ სხვა საქმე იყო „მ ა მ უ ლ ო ბ ი თ ქ ო ნ ე ბ ა ჲ“[69] და „მ ა მ უ ლ ო ბ ი თ მ ო გ ე ბ ა ჲ“[70], ანუ მემკვიდრეობით ქონება და შენაძენის, მოგებულის მემკვიდრეობით გადაცემა. სამონასტრო წყობის სისტემა სწორედ ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ილაშქრებდა და არა საერთოდ „ქონების“ წინააღმდეგ. ამიტომ ამბობდა მხარგრძელი: „მოვსპე მ ა-

---

64 იოანე და ექეთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.“, გვ. 43.
65 იხ. ვაჰანის განგება, გვ. 71.
66 იქვე, გვ. 84.
67 იქვე, გვ. 85.
68 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. სამ. ისტ., II, გვ. 409.
69 ვაჰანის განგება, გვ. 81.
70 იქვე, გვ. 82.

მ უ ლ ო ბ ი თ ქ ო ნ ე ბ ა ჲ აგარაკთა, ვენაჯთა და თუნდა ორნატთა“ და „მ ა მ უ ლ ო ბ ი თ მ ო გ ე ბ ა ჲ სენაკთა“ და სხვათაო.

რაკი მონასტრებში „მამულობით ქონებაჲ და მოგებაჲ აკრძალული იყო, ხელოვანი ძმები მათ მიერ მოგებულს ჭხოლოდ „განგებით“ დადგენილი წესის მიხედვით, მათთვის საჭირო ნივთებზე ცვლიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ნებადართული გაცვლა-გამოცვლა, როგორც ათონის მთაზე, ასევე საქართველოშიაც, ძალიან შორს წასულა და „განგებით“ დადგენილი წესის დარღვევაც დაუწყიათ. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ო ნ ო მ ა ხ ი (1042—1055 წწ.) მის მიერ 1046 წ. დამტკიცებულ ათონელთა ახალ „ტუპიკონში“ იძულებული იყო ეთქვა: „კარეის ლავრა, ამბობენ, ლავრის მაგივრად გადაიქცა სავაჭროდ, ისე რომ იქ იყიდება მონაზონთათვის აკრძალულიც კი... დავადგინეთ... იარსებოს მან ძველებური განგებით, ხოლო თუკი ვინმეს აღმოაჩნდება აკრძალული რაიმე... იგი განდევნილ იქნას ლავრიდან სამუდამოდ“[71]. ვერც ამ კანონმა უშველა და ათონის მთაზე ვალახთა და სხვა ერისკაცთა ჩამოსახლების შემდეგ, ა ლ ე ქ ს ი კ ო მ ნ ე ნ ი ს დროს, მონაზვნებს „განგებით“ ნებადართული გაცვლა-გამოცვლა, როგორც პატრიარქი ნიკოლოზის წერილიდან ჩანს, მათთვის სრულიად შეუფერებელი მიზნებისთვისაც გამოუყენებიათ[72].

XI ს. „ვაჭრობა, — წერდა ნ. ს კ ა ბ ა ლ ა ნ ო ვ ი ჩ ი, — მონაზონთა ჩვეულებრივ საქმედ გადაიქცა“. ამის ოფიციალურ საბუთად იგი ჩვენ მიერ მოხსენებულ კონსტანტინე მონომახის „ტუპიკონს“ ასახელებს. მას სხვა საინტერესო საბუთიც მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ მოვაჭრე მონაზონთა შორის ხშირად იყვნენ ისეთნიც, რომელნიც პირადი გამდიდრების მიზნით ვაჭრობდნენ და თავიანთი მონაგებით საკუთარ ოჯახსაც ინახავდნენ[73].

საქართველოს მონასტრებშიაც, როგორც ჩანს, ხშირად იმართებოდა ე. წ. „ს ა ვ ა ჭ რ ო ე რ ი ს კ რ ე ბ ა ჲ“, სადაც მონაზვნები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრება იძულებული გამხდარა თავისი სიტყვა ეთქვა ამ მხრივაც და ამიერიდან მაინც ამოეკვეთა ეს „სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი“: „ნუღარამცა კადრებულ ა რ ს ქ მ ნ ა ჲ ა მ ი ე რ ი თ გ ა ნ ნუცა მ ო ნ ა ს ტ ე რ თ ა შ ი ნ ა შ ე ქ მ ნ ა ჲ ს ა ვ ა ჭ რ ო თ ა ე რ ი ს კ რ ე ბ ა თ ა ჲ, ნუცამცა რაჲ სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა“[74]. ასე რომ, ს ა შ უ ა ლ ო ს ა უ კ უ ნ ე ე ბ ი ს

---

[71] П. У с п е н с к и й, История Афона, Ш₁, გვ. 176., წესი, 12.

[72] П. У с п е н с к и й, op. cit., 229—230.

[73] Н. С к а б а л а н о в и ч, Византийское гос. и Церковь, 1884, გვ. 445—436.

[74] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 65.

ქართული მონასტრები არა მარტო აწარმოებდნენ, არამედ ამ ნაწარმოებით ვაჭრობდნენ და საერო ცხოვრებაში ამ მხრივაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

რაკი მონაგების მემკვიდრეობით გადაცემა შეუძლებელი იყო, ძმის „ნაქონები", მისი სიკვდილის შემდეგ, მომგებლის „სულისათვის" მონასტერს რჩებოდა და, ქრისტიანული რწმენით, ყველაზე უფრო ღირსეულ საქმეს ხმარდებოდა. „ვაჰანის ქვაბთა განგება" ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას გვაწვდის: „არავის ძმათაგანსა ჯელმწიფების განღებად ნაქონებისა თჳსისა, ჟამსა ამიერ მიცვალებისა თჳსისა, რომელიმც თჳსთა გინა ნათესავთა უანდერძა იგი"[75]. ამრიგად, განგება კრძალავს „ქონების" მემკვიდრეობით გადაცემას. მხარგრძელს, ამ ბრძანების უკეთ გატარების მიზნით, სხვა ღონისძიებებისთვისაც მიუმართავს და „ქონების" მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად შვილობილის ან შვილის მონასტერში ძმად ჩარიცხვა აუკრძალავს[76]. ხელოვანის თუ რიგითი ძმის „ქონება" მონასტრიდან ვერ გავიდოდა, მონასტერს უნდა დარჩენოდა. გარდაცვალებული ძმაც სათანადო ანდერძს ტოვებდა თავისი „ქონების" შემდგომ მოხმარების შესახებ და, თუ უანდერძოდ გარდაიცვლებოდა, მონასტერი წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით ანაწილებდა მის ქონებას: „ძმაჲ რაჲ მიიცვალოს, თუ ანდერძი დაეწეროს, მისისა ანდერძისა მსგავსად განეგოს ყოველი საქმე მისისა სულისაჲ, ხოლო უკეთუ უანდერძოჲ აღესრულოს, რაჲცა იპოოს მისი, შუა გაიყოს და ნახევარი მაშინვე აჴმარონ სულსა მისსა, ვითარცა მოძღვარმან ბრძანოს და განაწესოს, და ნახევარი საეკლესიოდ დაიდვას საჴურჭლესა შინა მისისავე სულისათჳს" — მოთხრობილია „ვაჰანის ქვაბთა განგებაში"[77]. თუ გარდაცვალებულ ძმას საკმაოდ დიდი ქონება, მონაგები აღმოაჩნდებოდა. მისი სულისათვის მონასტერიც მეტად ზრუნავდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ხელოვან ძმებს (როგორც, მაგ., გიორგი მჭედელს. რომელსაც სიკვდილის შემდეგ 40 პროტოხორაგი დაუტოვებია, და სხვ.), რომელთაც მონაგების მეტად მოხვეჭის შესაძლებლობა ჰქონდათ, ვინემ სხვა რიგით ძმებს, ხშირად აღაპი აქვთ გაჩენილი ამა თუ იმ მონასტერში.

---

75 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 84.
76 იქვე, გვ. 81—82.
77 იქვე, გვ. 85.

* * *

მონასტრის ძმობაში ყველაზე გავრცელებულ ხელობას „ჯელი მწიგნობრობისაჲ“ წარმოადგენდა. ხელობის ეს დარგი რამდენიმე პირს აერთებდა და ამიტომ ხშირად გვხვდება მინაწერებში ცნობა ერთი ხელნაწერის ორი და სამი პირის მიერ გადაწერის შესახებ. ოშკათონის 978 წ. „დაბადების“ ანდერძში ნათქვამია „დაიწერა წ~ჲ ესე წიგნი ჯ ე ლ ი თ ა ს ა მ თ ა მ წ ე რ ა ლ თ ა ჲ თ ა, მიქელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა“[78]. ტბეთის სახარებაც დაწერილი ყოფილა „ჯ ე ლ ი თ ა ო რ თ ა მ წ ე რ ა ლ თ ა ჲ თ ა“[79]. ასევე, ათონის მონასტრის 1008 წ. ხელნაწერიც „დაიწერა... ჯელითა... არსენი, იოვანე და ოქროპირისაჲთა“[80]. მწიგნობრობის ხელობა ხშირად აერთებდა აგრეთვე მწიგნობრობასთან დაკავშირებულ ხელობის სხვა წარმომადგენლებსაც, მაგ., მწერალს, მმოსველსა და სხვ.: „ქ~ე... შეიწყალე საბა მწერალი და იოვანე მმოსელი“[81], „ლოცვა ჰყავ~თ ჩ~ნ უცბად მწერალთა და სერაპიონ მმოსელისა თჳს... მე ცოდვილმან თეოდორე შევკაზმე“[82]. უკანასკნელი მინაწერის მიხედვით ერთიანდებიან „უცბად მწერალნი“, „მმოსელი“ და „კაზმავი“. ზოგჯერ ორ პირს უწარმოებია ერთი წიგნის შემოსვა; „ესე წიგნი... შეიმოსა ჯელითა ძმათა სულიერთა მიქელ გრიგოლისათა“[83]. მსგავსი შინაარსის მინაწერების მოყვანა მრავლად შეიძლება.

„მწიგნობრობის ჯელის“ მქონე ძმებიდან, რომელნიც ერთ „დ ა ს შ ი“ იყვნენ მოქცეულნი, ერთი რომელიმე ამხანაგობის ხელმძღვანელი — „მწიგნობართა დასის“ უფროსი — უნდა ყოფილიყო. ამგვარი ორგანიზაციის არსებობა კულტურულ ცენტრებში, მონასტრებში უთუოდ საფიქრებელია, რადგან მწიგნობართა „დასი“, უფროსით სათავეში, სამეფო კარზედაც არსებულა. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს სამართლიანი შენიშვნით, „კურაპალატს შეუქმნია მთელი დასი წიგნების გადამწერთა“[84], რომელთაც საკუთარი „მ თ ა ვ ა რ ი“ — „მწერალთა ზედა მთავარი“ ჰყოლიათ; „მ წ ე რ ა ლ თ ა ზ ე დ ა მ თ ა ვ ა რ ი“ კურაპალატის (ალბათ, ბაგრატ III-ის) კარზე ყოფილა გიორგი მთა-

---

[78] A. Ц а г а р е л и, Свед., გვ. 73.

[79] იქვე, გვ. 20.

[80] იქვე, გვ. 86.

[81] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 22.

[82] A. Ц а г а р е л и, Свед., I, გვ. 86; შდრ. იქვე, გვ. 92.

[83] იქვე, გვ. 76.

[84] პროფ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მას. XI ს. სწავლა-აღზრდის შესახებ, „სწავლა-აღზრდის ისტ. საქართველოში“, კრ. I, გვ. 11.

წმიდელის ბიძა, გიორგი მწერალი: „გ ი ო რ გ ი მ წ ე რ ა ლ ი, მ წ ე-
რ ა ლ თ ა ზ ე დ ა მ თ ა ვ ა რ ი კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა თ ა“ — მოხ-
სენებულია „გ. მთაწმიდელის ცხ~ბაში“[85]. „მწერალთა ზედა მთავარი“
იყო „უპირატესი მწიგნობართა დასისაჲ“[86], გადაწერისა და წიგნის
განწყობის საქმის ხელმძღვანელი. „მწერალთა ზედა მთავარი“ მონას-
ტრის წინამძღვრის კონტროლს ავრცელებდა ხელოვან ძმებზე და მათი
შრომის აღრიცხვასაც აწარმოებდა.

ჩვენ არავითარი მასალა არ მოგვეპოვება იმის გასაგებად, ერთიან-
დებოდნენ თუ არა ძმობაში მყოფი სხვა ხელოსნები ერისკაც ხელო-
ვანთაგან განცალკევებულ ამხანაგობებში, თუ თავიანთი ხელობის მი-
ხედვით მონასტერში არსებულ საერთო სახელოსნოებში მუშაობდნენ.
ერთი კი ცხადია, რომ „ჴელოვან ძმათ“ მონასტრის წინამძღვარი უშუა-
ლოდ კონტროლს უწევდა.

საჭიროდ ვცნობთ ხაზი გაუსვათ შემდეგ მნიშვნელოვან გა-
რემოებასაც. მონასტერში, როგორც გ. მთაწმიდელის თხზულებიდან
ირკვევა, არა მარტო მწიგნობრობას ასწავლიდნენ, არამედ „ჴელოვ-
ნებასაც“ (ხელობასაც): „უკეთუ ძმათა ვიეთმე მოიყვანნიან თჳსნი ნა-
თესავნი უწვერულიო, მამასაცა ჰნებავნ, რაითამცა ისწავლეს ს წ ა ვ-
ლ ა ჲ და ჴ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ჲ. გარნა მონასტერსა არა დაიმჭირნის, არა-
მედ გარე სოფელთა გაგზავნნის... და მუნ აღიზარდნიან“[87]. ახალგაზრ-
დათა აღმზრდელებად კი ყოველ მონასტერს „მ ო ძ ღ ვ ა რ ი“ უნდა
ჰყოლოდა. ათონის ივერთა მონასტერში, ასევე შიომღვიმეში, „მოძ-
ღვრები“ ჰყოლიათ[88]. საერთოდ საქართველოს მონასტრებში, როგორც
რუის-ურბნისის კრების დადგენილებიდან ჩანს, ზოგან „ხუთნი და
ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი“ იყო მოძღვარი, რაც კრე-
ბას საჭიროდ არ მიუჩნევია და დიდ მონასტერში ორი, მხოლოდ მცი-
რეში ერთი მოძღვარი საკმარისად უცვნია[89]. ამრიგად, საშუალო საუ-
კუნეების ქართული მონასტერი არა მ ა რ ტ ო ს ა რ წ მ უ ნ ო ებ-
რ ი ვ-ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ცოდნის შეძენის ცენტრი ი ყ ო, ა რ ა მ ე დ
ს ა თ ა ნ ა დ ო ხ ე ლ ო ბ ი ს, ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს
მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი კ ე რ ა ც. ა მ მ ხ რ ი ვ ი გ ი მ ო გ ვ ა გ ო-
ნ ებ ს ხ ე ლ ო ს ა ნ თ ა ს ა კ ო რ პ ო რ ა ც ი ო ო რ გ ა ნ ი ზ ა-
ც ი ა ს (ა მ ქ ა რ ს), რ ო მ ე ლ ი ც ხ ე ლ ო ბ ა-ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ი ს

---

85 ათ. კრებ., გვ. 282.
86 ხრონოღრაფი გიორგი მონაზონისაჲ, გვ. 143.
87 იოანე და ეკვთ. ცხბ~ა, „ათ. კრებ.“, გვ. 48.
88 იხ. „ათ. კრებ.“, 261, აღაპი, № 155: შიომღვ. საბუთ., გვ. 61, 62, 65.
89 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 64—65.

სწავლებასა და ცოდნის გავრცელებას ხელს უწყობდა.

ხელოვან ძმებს რაიმე განსაკუთრებული პირობები არ ჰქონიათ მონასტრებში, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მძიმე სამუშაოს შემსრულებელთ, რომელთათვის „დიდი სჯნაქსარი“ შედარებით განსხვავებულ პირობებს აწესებდა.

აღსანიშნავია ‘ვრეთვე, რომ მათ, როგორც მომუშავეებს, ზოგჯერ ლოცვისაგან ათავისუფლებდნენ. ეპიტირიტები (დამხედვარნი) გაფრთხილებული ჰყავდა მონასტრის წინამძღვარს, რომ „ცისკარზე“ ყველა გამოცხადებულიყო, მაგრამ, „რომელნი ძლიერად შურებოდიან დღჱ და ყოველ არა მოეცალებინ ძილი, დღისი იგი შრომაჲ მათი ლოციადვე დაუთვალის“[90] და მათი ცისკარზე არგამოცხადება, ამდენად, საპატიოდ ითვლებოდა. სამაგიეროდ, მომუშავე ძმებს დღესასწაულებში. კვირა დღეებსა და ცუდ ამინდებში, ე. ი. არასამუშაო დღეებში, უნდა ელოცნათ[91].

„მწიგნობრობის ჯელის“ მქონე ძმებს სხვა უპირატესობაც ჰქონდათ, ათონის ივერთა მონასტერში აკრძალული იყო სახმართა ყიდვა,— მოგვითხრობს გ. მთაწმიდელი, — „თუნიერ ზეთისა და იგიცა. რომელნი მკითხველნი იყვნიან ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერლად აინთიან; სხუაჲ კულა არა იყო წესი, რაითამცა... კანდელსა ინთებდეს“[92]. ათონის ივერთა მონასტერში მხოლოდ „მწერლებს“ და საერთოდ, „მწიგნობრობის ჯელის“ მქონეთ ეძლეოდათ უფლება ზეთი ეყიდათ და ღამე კანდელი აენთოთ. ასე იქნებოდა სხვა მონასტრებშიც.

მონასტერში წინამძღვარი მომუშავე ძმათათვის აწესებდა სამუშაო და დასვენების დროს, სადაც ალბათ ხელოვან ძმათა სამუშაო დროის რეჟიმიც ივარაუდებოდა: „მშრომელთა და მაშურალთადა განაწესა მამასა და შემდგომად დაწესებულთა წარვიდიან და გამოისუენიან ვიდრე მეორედ რეკადმდე და მერე კულად ეკლესიადე მოვიდიან; უკუეთუ კულა დასხდიან (და სამუშაოზე არ გამოცხადდებოდნენ — შ. მ.) ეპიტირიტისთა მოიყვანიან“[93]. თუ ორგულობას გამოიჩენდა, სამუშაოზე მუდამ აგვიანებდა და წინამძღვრის გაფრთხილებასაც „ურჩ ექმნებოდა“, წინამძღვარი ან იკონომოსი სათანდოდ დასჯიდა დამნაშავეს[94].

---

90 იოანე და ექვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.“, გვ. 36.
91 იქვე, გვ. 41.
92 იქვე, გვ. 45.
93 იქვე, გვ. 37.
94 იქვე.

* * *

სულ სხვა პირობები და ორგანიზაცია ჰქონდათ მონასტერში მომუშავე ერისკაც-ხელოვანთ. საერთო ხელოსანთა შრომა, როგორც აღენიშნეთ, სხვადასხვაგვარი იყო. საშუალო საუკუნეების მონასტრებში ვხვდებით ისეთ ხელოსნებს, რომელნიც, რაკი მონასტრებში მუდმივი სამუშაო არ ჰქონდათ, მუშაობდნენ მხოლოდ დაწესებულ ვადებში, კვირაში რამდენიმე დღე, ან კიდევ საჭიროების მიხედვით. დანარჩენ დროს კი ან სოფლის მეურნეობას ანდომებდნენ ანდა თავიანთი ხელობით სხვაგან მუშაობდნენ[95]. ჩვენ, სამწუხაროდ, საჭირო მასალა არ მოგვეპოვება ამ საკითხის უკეთ შესასწავლად. არ შეგვიძლია რაიმე ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა დაქირავებულ ხელოსანთა შრომის ანაზღაურება. სამაგიეროდ შესაძლებლობა გვაქვს ათონის ივერთა მონასტერში მომუშავე დაქირავებულ მუშათა შრომის ანაზღაურებასა და ორგანიზაციაზე ვილაპარაკოთ და ამით დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ მონასტერში მომუშავე დაქირავებულ ხელოსანთა შრომის ფასიც.

გ. მთაწმიდელის მიერ თარგმნილ „დიდ სუნაქსარს" დართული აქვს: „სახელები და რიცხვი დღესასწაულთა და რომელთა დღეთა შინა დაეცადების საქმე, თვთოეულისათჳს აქა გვეუწყების". დღესასწაულთა და უქმეთა ჩამოთვლის შემდეგ მიწერილია: „საცნაურ იყავნ, [illegible] მეთუ ესე სადა ყ ო ვ ე ლ ნ ი სწერიან მიზდებულთაჲ (მუშაკთა. — შ. მ.) და ძმათაჲ ჯერ არს დაცადებაჲ საქმისაჲ, ხოლო სადა ყ ო ვ ე ლ ნ ი არა სწერიან, მათ დღეთა ძმანი ოდენ დააცადებენ საქმესა და მუშანი შურებოდიან. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ნ ო! წელიწადსა შინა მთა წმი[illegible] შჳდი დრაჰკანი უნდა მიცემად მუშაკისა და ესე რომელ მცირედ [illegible] საერონი უქმენი, ნუ გიკჳრს, რამეთუ ოცი მუშაკი შურების ყოვლადვე და ყოველთა წელთა ჩნ[illegible]ა მონასტერსა"[96].

ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ ა) ათონის ივერთა მონასტერში დადგენილი იყო საერო „მუშაკთა" და ძმათა უქმე, არასამუშაო დღეები. იმ უქმე დღეს, რომელსაც მიწერილი ჰქონდა „ყოველნი", ერისკაცნი და ძმებიც უქმობდნენ, ხოლო „სადა, ყოველნი არა სწერიან", მხოლოდ ძმები უქმობდნენ და დღესასწაულობდნენ. ბ) მონასტერი ერისკაც-მუშებს უქმე დღეებშიაც იმდენსავე ხელფასს აძლევდა, რამდენსაც სამუშაო დღეებში, ამიტომ ივერთა მონასტერში „საერო

---

[95] М. К у л и ш е р, Ист. экон. быта Зап. Европы, I, გვ. 70.

[96] საქ. მუზ. H ფონდი, № 1661, 330 V; შდრ. Ф. Ж о р д а н и я, Опис., I, გვ. 244; К. К е к е л и д з е, Литург. груз. памятники, გვ. 313; 489—490.

უქმენი“ ძლიერ შეუმცირებიათ. გ) უქმეთა ცხრილიდან[97] ჩანს, რომ წელიწადის 53 დღესასწაულიდან, როდესაც ძმები არ მუშაობდნენ, მონასტრის მუშები მხოლოდ ოცდაექვსს უქმობდნენ, დანარჩენ 27 დღესასწაულის დროს კი მუშაობდნენ. დ) თუ ამ ცხრილს შევუდარებთ სხვა მონასტერში დაკანონებულ უქმე დღეებს, ნათლად დავინახავთ, თუ რამდენად შეუმცირებიათ ივერთა მონასტერში „საერო უქმენი“. მაგ., როცა ნიკო შავმთიელის პანდექტებით 1 სექტ., 26 ოქტ., 4 და 27 დეკ., 9 მარტი, დიდი კანონის ხუთშაბათი და დიდი ხუთშაბათი მუშათა და ძმათათვის უქმეა, ივერთა მონასტერში მხოლოდ ძმებისთვისაა ეს დღესასწაულები უქმე[98]. ე) დასასრულ, ამავე ამონაწერიდან ჩანს, რომ ერისკაც-მუშაკს წელიწადში 7 დრაჰკანი ეძლეოდა; ამრიგად. გ. მთაწმიდელის დროს ივერთა მონასტერი წელიწადში „საერო მუშაკთა“ გასამრჯელოდ 140 დრაჰკანს ხარჯავდა.

სადღესასწაულო და სამუშაო დღეთა ცხრილში ალბათ „ერისკაცხელოვანთა“ სამუშაო დღეებიც ივარაუდებოდა; ასევე სრულებით გამორიცხული არ არის, რომ „საერო-მუშაკთა“ რიცხვში დაქირავებული ხელოსნებიც იგულისხმებოდნენ და ამდენად, 140 დრაჰკანში, რომელიც „საერო-მუშაკთათვის“ იხარჯებოდა, ეგების დაქირავებულ ხელოსანთა ხელფასიც იყო ნავარაუდევი.

ხელობის ყოველი დარგისათვის სათანადო სახელოსნო არსებობდა. ივერთა მონასტერში მჭედელთათვის „ს ა მ ჭ ე დ ლ ო“ იყო, მეხამლეთათვის „ს ა წ ა ნ გ რ ო“[99], მზარეულთათვის „ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო“[100], სახელოსნოები (სამჭედლო, საწანგრო, სახუროვნო და სხვ.), როგორც გ. მთაწმიდელის თხზულებიდან ჩანს, იკონომოსს ექვემდებარებოდა: „ხოლო საპარიკონომისოჲ და ს ა წ ა ნ გ რ ო ჲ და საჯორე და ს ა მ ჭ ე დ ლ ო ჲ და ხ უ რ ო ნ ი და კ ა ლ ა ფ ა ტ ნ ი და... ვენაჯი და მ ე ნ ა ვ ე ნ ი, ესე იკონომოსისა გასაგებელნი იყვნენ“[101]. რამდენადაც იკონომოსი წინამძღვრის თანაშემწე იყო სამეურნეო ნაწილში, იგი ხელოსანთა და სახელოსნოთა მთავარი განმგებელიც იქნებოდა. მაგრამ ხელოსნებს ერთი „მ ო ძ ღ ვ ა რ ი“ ანუ „უ ხ უ ც ე ს ი“ უნდა ჰყოლოდათ. გ. მთაწმიდელის თხზულებიდან ირკვევა, რომ იკონომოსს, მონასტრის მეურნეობისა და ქონების განმგებელს. დაქირავებული მუშებიც ექვემდებარებოდნენ: „ყოველადვე ეტყუნ ნეტარი მამაჲ

---

[97] К. К е к е л и д з е, Op. cit., გვ. 312—313.
[98] იქვე, გვ. 490.
[99] იოანე და ექვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.“, გვ. 50.
[100] იქვე, გვ. 45.
[101] იქვე, გვ. 50.

ჩუენი იკონომოსსა, ვითარმედ: „უწუერულოთა მუშათა ნუ შეიწყნარებ... ნურას ეხუეკ საფასისა დაკლებასა: უმჯობეს არს, რომელ დაგუაკლდეს ათი და თხუთმეტი დრაჰკანი და ძმათა სავანებელი არაჲ შეემთხჳსო“[102]. იკონომოსს, როგორც ჩანს, უნდა ეზრუნა მონასტრის მუშათა დაქირავებისა და მათი ხელფასით უზრუნველყოფისათვის, ამდენად იგი, სხვა საქმეებთან ერთად, ამ საქმის მწარმოებელიც იყო: მაგრამ, ამავე თხზულებიდან ჩანს, რომ მუშებს თავიანთი „უ ხ უ ც ე ს ი ც“ ჰყავდათ, რომელსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებოდნენ: „ყოვლისა უფროჲს ე პ ი ს ტ ა ტ ი ს ა თ ჳ ს, რომელ არს მ უ შ ა თ ა უ ხ უ ც ე ს ი, ჰვედრებნ მამაჲ ეფთჳმე და ეტყჳნ ვითა: „ნუმცა რაჲ დააკლდების ეპისტატსა, რომელ არა შეწუხდეს და ოცდა ათი ანუ ორმოცი მუშაჲ არა მუაცთუნოს, და ესთენი განძი ბედით წაჳდეს, რომლისაჲ თანა-გუაც მათდა მიცემაჲ“[103]. ჩვენი აზრით, რაკი მონასტერს თითოეული ხელობის მრავალი წარმომადგენელი არ შეიძლებოდა ჰყოლოდა (მაგ., მჭედელი ორი ან სამი იქნებოდა, ასევე ხურო და გალატოზიც), ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ს, მ უ შ ე ბ ი ს მ ს გ ა ვ ს ა დ, ე რ თ ი უ ხ უ ც ე ს ი — „ ჴ ე ლ ო ს ა ნ თ ა უ ხ უ ც ე ს ი“ — უ ნ დ ა ჰ ყ ო ლ ო დ ა თ, რ ო მ ე ლ ი ც მ ა თ ი უ შ უ ა ლ ო გ ა ნ მ გ ებ ე ლ ი ი ქ ნ ებ ო დ ა და ი კ ო ნ ო მ ო ს ზ ე დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ უ ლ ი პ ი რ ი[104].

საერო ხელოსნური შრომის ორგანიზაცია მონასტერში სულ სხვანაირი იყო, თუ მონასტერს ერთი და ორი ხელოსნის მაგიერ რამდენიმე სჭირდებოდა. მაგ., როცა შენობა იყო ასაგები და რამდენიმე მაშენებელი სჭირდებოდათ, მაშენებელ ხელოსნებს უფრო რთული ორგანიზაცია ჰქონდათ. „სრ~პ. ზარზმელის ცხბ~იდან“ ჩანს, რომ მონასტერში მშენებლობის საქმეს ხელმძღვანელობდნენ ხუროთმოძღვარი, მისი „თ ა ნ მ შ ე მ წ ე და გ ა ნ მ გ ებ ე ლ ი გ ა ლ ა ტ ო ზ თ ა“. ბასილ ზარზმელი მოგვითხრობს: „ჴელოვნებით განთქმულსა კაცსა მოუწოდა მიქელ ქუეყანისაგან ბერძენთაჲსა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა... რომელსა თ ა ნ ა შ ე მ წ ე დ ა ქ უ ნ დ ა გ ა ლ ა ტ ო ზ ი სახელით შუარტყლელი და ესე ორნივე ეყენეს მ ო ძ ღ ვ ა რ და მ ა ს წ ა ვ ლ ე ლ სიმრავლესა მუშაკთასა“[105]. ხუფათიდან მოყვანილი, ხელობით გან-

---

102 იოანე და ექვთ. ცხბ~ა, „ათ. კრებ.“, გვ. 46.

103 იქვე, გვ. 50.

104 დასავლეთ ევროპაშიაც, საშუალო საუკუნეებში, მონასტრის სხვადასხვა დარგის ხელოსნები ერთ პირს—„Ma ister“-ს ექვემდებარებოდნენ (М. К у л и ш е р, Ист. экон. быта Зап. Европы, I, გვ. 70, 71.

105 სრპ. ზარზმელის ცხბ~ა, გვ. 179$_{25-29}$.

თქმული კაცი, ხუროთმოძღვარი იქნებოდა, ხოლო გალატოზი შუარტყელელი მისი თანაშემწე ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ხუფათელის ხუროთმოძღვრობისა და გალატოზ შუარტყელელის თანაშემწეობის დროს, გალატოზებს ცალკე ჰყოლიათ „ განმგებელი“. საინტერესოა, რომ „ გალატოზთა განმგებელი“ ამავე დროს იყო „ძმათა იკონომოსი“: „იწყეს შენებად გულის მოდგინედ და ყვეს კაცი იგი განმგებელ არა თუ გალატოზთა, არამედ ძმათაცა იკონომოსობაჲ ერწმუნა“[106]. იკონომოსის ამგვარი თანამდებობა, „გალატოზთა განმგებლობა“, დროებითი უნდა ყოფილიყო — მშენებლობის დამთავრებამდე. ასეთივე იქნებოდა მშენებლობის სხვა ხელისუფალთა თანამდებობაც. მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი ზოგ მონასტერს შეიძლებოდა მაშენებელი ხელოსნები ან სულ არ ჰყოლოდა, ან თუ ჰყავდა, სხვა დარგის ხელოსნებთან აერთიანებდა და ერთი უხუცესის ხელქვეშ აქცევდა.

ყოველ მონასტერს, დიდს თუ პატარას, ჰყავდა მზარეულები, ხაბაზები და სხვა მსგავსი ხელობის ნიადაგ მსახური „ხელოვანნი“; როგორც აღვნიშნეთ, 10 მსახური, ხაბაზი და მზარეული ემსახურებოდა ვაჰანის ქვაბის 51 მონაზონს. ვაჰანის მონასტრის მსახურნი ყველაზე დაბლა იდგნენ. ისინი „მესამე დასში“ მყოფ მწირებთან იყვნენ გათანაბრებულნი, უფლებრივად და ეკონომიკურადაც. „ვაჰანის ქვაბის“ მსახურთ მონასტრის პატრონი, მათთვის „გაკუეთილ“ სახმარის გარდა, სატანისამოსი ფულსაც აძლევდა: „მესამისა დასისათა, ე. ი. არს მწირთა, ბოტინატი და დუკატი მიეცემოდის. ხოლო მსახურთა სატანისამოსლედ მწირთავე სწორედ ჰქონდეს ბოტინატი და დუკატი“[107]. „მესამე დასის“ მონაზვნები, აგრეთვე მსახურნი, მოკლებულნი იყვნენ პირველი და მეორე დასის მონაზვნებისათვის დაწესებულ „სასტუმრო პურსა და ღვინოს“.

ათონის ივერთა მონასტერში, როგორც გ. მთაწმიდელის თხზულებიდან ირკვევა, „ჯელოანთათვის“ სახმართა დაწესებული ნორმა არსებობდა, რომელიც, ჩანს, განსხვავდებოდა ძმათა ჩვეულებრივი ნორმისაგან. კელარს ევალებოდა არ დაეკლო როგორც ძმათათვის, ასევე „ჯელოანთათვის“ განკუთვნილი ნორმები: „მაშინ წესი ესე იყო, რომელ კელრისადა დაემცნა წინამძღუარსა საჯმარისა მიცემაჲ ძმათა და ჯელოანთაჲ: გინა თუ გაკუეთილი მათი გინა თუ მეტსა ვინ ითხოვნ. და ამისათჳს იკონომოსსა თანა არავინ რას მივალნ“[108]. როგო-

---

106 სრპ. ზარზმელის ცხბ-ა, გვ. 180.
107 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 71.
108 იოანე და ეკვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.“, გვ. 51.

რი იყო ხელოსანთა სახმარის ნორმა? ამ საკითხის შესასწავლად ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ ექვთიმე მთაწმიდელის მიერ გადმოქართულებულ, „დიდ სჯნაქსარს“[109]. „დიდ სჯნაქსარში“[110], აკად. კ. კეკელიძის სიტყვით რომ ვთქვათ, ივერთა მონასტრის ამ „კტიტორულ „ტჯპიკონში“[111], „ჯელოვანთა“ სახმარის ნორმის შესახებ ნათქვამია: „წმიდა მარხვის“ პირველ კვირას „მჭედელთა და მეჯორეთა და ნავის მოქმედთა და ხუროთა, უკეთუ შურებოდიან, მიეცემოდის მეექუსესა ჟამსა პური და კრასაული ღვინოი, თჳნიერ ორშაბათ — ოთხშაბათ — პარასკევისაჲ. რამეთუ ამათ დღეთა შინა არავის გჳნების ღუინისა სმაჲ, თჳნიერ სნეულთაჲსა“, მაგრამ თუ მომუშავე ერთხელ ჭამით არ დაკმაყოფილდებოდა, დამატებით მიეცემოდა მხოლოდ პური: „ხოლო სხუათა სამსახურებელთა, რომელთა ვერ ეძლოს დღესა შინა ერთგზის ჭამაჲ, მიეცემოდენ მათ პური, ხოლო თჳნიერ ღუინისა, რათა ჭამდენ წყლისა თანა“. დიდმარხვის შემდეგ კი, „მეჯორეთა და მჭედელთა მიეცემოდენ პირველ სამჯრისა პური და თითო კრასაული ღუინოჲ სადილად, ვითარცა მ ძ ი მ ი ს ა ს ა ქ მ ი ს ა მ ო ქ მ ე დ თ ა“. ამგვარადვე ეძლეოდათ ნავის მკეთებელთ და ხუროებს, თუ მუშაობდნენ; ასევე მევენახეებს „მიეცემოდეს დღეთა სხვლისათა, და ფრჭვნისათა და ჯოჯვისათა ოდენ მარტოდ, ეგრეთვე საპურის მსახურთა, ოდეს ცომი ჰქონდის“.

თუ მონასტერში „ორგზის დაეგებოდის ტრაპეზი“, არავის მიეცემოდა დამატებითი ულუფა „გარეშე მძიმეთა სამსახურებელთა აღმასრულებელთაჲსა“. მაგრამ „სხუათა დღეთა“, როცა „ერთგზის ისერებდენ ძმანი“ და „ორსა კრასეულსა სმიდენ“, მაშინ მჭედლებს, მეჯორეებს, ნავის მკეთებელთ და ხუროებს „მიეცემოდინ საზრდელად ორი კრასაული სხუაჲ, რომელთა ესე იქნების ოთხად, ორი სადილად და ორი ტრაპეზსა“, ე. ი. თუკი ძმები დღეში ორ-ორ კრასოულ ღვინოს მიირთმევდნენ, „ჯელოვანთ“ ორჯერ მეტი, ოთხ-ოთხი კრასოული, ეძლეოდათ. „ტჯპიკონი“ შემდეგ განაგრძობს:“ „ოდეს მოიწიოს

---

109 აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე წერს: „გიორგი მთაწმიდელმა გადმოთარგმნა „დიდი სჯნაქსარი“, ე. ი. მთლიანი სრული რედაქცია აიასოფიის ტჯპიკონისა, რომელშიც შეტანილია ელემენტები სტოდიელთა სავანისა და ათონის მონასტერთა ლიტურგიულ პრაქტიკისა. ეს ტჯპიკონი ერთადერთი იყო, რომელიც განაგებდა ჩვენს საღვთისმსახურო პრაქტიკას მეთორმეტე საუკუნემდე“ (ქართ. ლიტ. ისტ., I_2, გვ. 529; იხ. მისივე, Литург. груз. памятники, ეკ. 483—506).

110 ეს ძეგლი რამდენიმე ხელნაწერის სახითაა შემონახული (A № 193, Ж о р д а н и я, Опис., I, 216; A № 222, იქვე 292; A № 626, II, 116, და H № 1661); მიუხედავად ამისა, ჩვენ ამჟამად ვსარგებლობთ მხოლოდ A № 222 და H № 1661 ხელნაწერებით.

111 К. К е к е л и д з е, Литург. груз. памятники, ეკ. 485.

ხსენებაჲ წმიდისა“... „და ორგზის დაეგებოდის ტრაპეზი და ეწდეოდეს ძმათა ორი სამხრად და ორი სერობად“, მაშინ „ზემოხსენებულთა ჴელოვანთა თითო კრასოული მიეცემოდის თითეულსა მეტად, უკეთუ შურებოდიან“, ხოლო თუ არ მუშაობდნენ, „კმა ეყოფოდინ მათცა საზრდელი ძმათაჲ“[112].

ჩვენი აზრით, საჭმლის ეს ნორმა დაწესებული იყო არა მარტო ერისკაცხელოვანთათვის, არამედ საერთოდ მონასტრის „ჴელოვანთათვის“, რომელშიც ძმობაში მყოფნიც ივარაუდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ მონასტერში მომუშავე ერისკაცთათვის (ხელოვან და არახელოვანთათვის) ცალკე მზადდებოდა საჭმელი, რომელსაც ძმათა საჭმელისაგან განსხვავებით „ს ა ე რ ო ს ა ჭ მ ე ლ ს“ უწოდებდნენ[113].

თუ მსახურ და დაქირავებულ ხელოსანთ მონასტერი სათანადო გასამრჯელოს და სახმარსაც აძლევდა, შეწირულ ხელოსანთა შრომის ანაზღაურება უფრო სხვანაირად ხდებოდა. თუ შეწირული ხელოსანი ისეთ საქმეს აკეთებდა, რომელიც თავისთავად შემოსავალს იძლეოდა, მონასტერი ამ შემოსავლიდან ნაწილს შეწირულ ხელოსანს უტოვებდა. მაგ., გრ. სურამელის მიერ მონასტრის მეწისქვილედ შეწირული ხელოსანი სათანადო გასამრჯელოს შემდეგნაირად იღებდა: „ხრილისა ნახევარი ჩუენი იყოს და ნახევარი ამა ჩუენის მეწისქუილისა“-ო — ნათქვამია მემღვიმეთა სიგელში[114]. ხრილს გარდა „მეწისქუილე... საპატიოსა აიღებდეს“, ხოლო მინდის აღება, აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით. მეწისქვილეს, წელიწადში სამი დღის გარდა, აკრძალული ჰქონია: „ვინ გინდა მოფქვავი იყოს და ფქვიდეს, მინდა ნუ ვისი ნუ აიღების“[115]. მაგრამ „ს ა პ ა ტ ი ო“ იმდენი უნდა ყოფილიყო, რომ მეწისქვილეს ყოფნოდა და „წელიწადისთავს“ მონასტრის წინამძღვრისათვის ძღვენიც მიერთმია. სხვა გასამრჯელო წისქვილის მკაზმავს არ ჰქონია, სამაგიეროდ იგი შეუვალი იყო და ყოველგვარი გამოსაღებისაგან თავისუფლდებოდა[116].

იყვნენ შეწირული ხელოსნები, რომელნიც ისეთ საქმეს აკეთებდნენ, საიდანაც მონასტერს შემოსავალი არ შეიძლებოდა ჰქონოდა — მაგ., ქუქანკები. ამგვარ შემთხვევაში ან მონასტერი ან შემწირველი შეწირულს თავისთავისა და ცოლშვილის გამოსაკვებად მიწის ნაკვეთს აძლევდა და ყოველმხრივ შეუვალს ხდიდა. შიომღვიმის ქუქანკებს, რო-

---

112 საქ. მუზ. ფონდი A № 222, 593—594; ფონდი H № 1661, 327—328; შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, Литург. груз. памятники, გვ. 310; 495—496.

113 იოანე და ეფვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.“, გვ. 45.

114 თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვ. საბ., გვ. 64.

115 იქვე, გვ. 64.

116 იქვე, გვ. 64—65.

მელთაც ევალებოდათ მხოლოდ მონასტრის წყალსადენისათვის ზრუნვა, შემწირველი მიწაზე ასახლებს და ამით მოუშლელ სარჩოს უჩენს: „ამათ გლეხთა ორთავ სწორად მივსცენით მიწანი მონასტრისაგან სხალტბას, სახელდებით ბოტკოს და დიდვალს. დღისა ათისა და წყაროისა თავსა ორისა დღისა ვენაჯი, რომელი საკრებულო იდვა სხალტბას"[117].— მოგვითხრობს ანტონ ჭყონდიდელი თავის სიგელში. მემღვიმეებს კი თავის მხრივ დაუდასტურებიათ ზემოხსენებული მიწების გადაცემა ქუქანკებზე[118]. მიწა და ვენახი, რომელიც ქუქანკებს მიეცათ, და აგრეთვე მათზე მინიჭებული საგადასახადო შეუვალობა, იყო მთელი გასამრჯელო მათი საუკუნო სამსახურის სანუქფოდ.

* * *

საკორპორაციო წესდებათა მტკიცედ დაცვა შეუძლებელი იყო მხოლოდ იმქვეყნიურ ცხოვრებაში სულის წაწყმედის მუქარით. სამონასტრო ცხოვრების მკაცრი პირობები და შრომის ორგანიზაციის თავისებურება საკორპორაციო სამართლისა და სასჯელთა სისტემის არსებობას მოითხოვდა.

საკორპორაციო წესდების გატარების თვალყურის მადევნელად მონასტრებში საპოლიციო სფეროს სამი მოხელე — „ეპიტირიტისები" (დამხედვარნი) — ჰყოლიათ, რომელთაც ევალებოდათ სამუშაო და დასვენების დროის წესიერ გამოყენებაზე ზრუნვაც[119]. საკორპორაციო სამართალი დამნაშავეთა წინააღმდეგ სასჯელთა მთელ სისტემას ქმნიდა. საკორპორაციო სამართლის ორგანიზაცია და სასჯელთა სისტემა დეტალურად აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს განხილული და ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ[120].

აღსანიშნავია, სასჯელი ზოგჯერ ისე სასტიკი ყოფილა, რომ „შემდგომად ცემისა" „რომელმან-მე ორი მსგეფსი დაყვის ქუემწოლარემან და რომელმან-მე სამი"[121]. ზოგი სასჯელი კიდევ „ნაქონების განყოფას" — ქონების ჩამორთმევას — ითვალისწინებ-

---

117 იქვე, გვ. 28.
118 იქვე, გვ. 27.
119 ათ. კრებ., გვ. 36.
120 იხ. ქართ. სამ. ისტ. II, გვ. 345—356.
121 ოთანე და ექვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.", გვ. 39.

და[122], ზოგი საპატიმროში დამწყვდევას[123] და ზოგიც მონასტრიდან გაგდებას დროებით ან სამუდამოდ.

საკორპორაციო წესდება და შრომის პირობები ხშირად ძლიერ შფოთსა და ზოგჯერ „ამბოხებასაც“[124] კი იწვევდა მონაზონთა და მონასტრის ერისკაცთა შორის. აღსანიშნავია, რომ ათონის ივერთა მონასტერში „სახითა მყუდრო, გონებითა წრფელ და მდაბალ“ წინამძღვრის წინააღმდეგაც კი ჯერ მონაზონი ამხედრებულა მახვილით ხელში, ხოლო შემდეგ მონასტრის მებოსტნე[125].

---

122 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 79.

123 К. Кекелидзе, Литург. груз. пам., зз. 311.

124 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 73; იოანე და ექვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ“, გვ. 54.

125 იოანე და ექვთ. ცხბ-ა, „ათ. კრებ.“, გვ. 54—55.

წინამდებარე წერილის მიზანს არ შეადგენს ამქრული ორგანიზაციების ისტორიის მიმოხილვა. ამჟამად ვკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი შენიშვნით და, ძირითადად კი, იმ დოკუმენტების გამოქვეყნებას ვისახავთ მიზნად, რომელთაც, ჩვენი აზრით, სიახლე შეაქვთ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ამქრული ორგანიზაციების შესწავლის საქმეში.

* * *

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების ძირითად მოსახლეობას ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ. ქალაქებში მოსაქმე ხელოსნები, ვაჭრები თუ სხვა პროფესიის წარმომადგენელნი, ხელობის მიხედვით, ამქრულ ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებულნი. მოსაქმეობა ამქრული ორგანიზაციის საფუძველს შეადგენდა და ამდენად, სხვადასხვა სახის საქონლის მწარმოებელნი თუ ამ საქონლით მოვაჭრენი ცალკე ორგანიზაციებს, ასნაფებს (ამქრებს) ქმნიდნენ.

ხელოსანთა და ვაჭართა ამქრის სათავეში უ ს ტ ა ბ ა შ ი იდგა.

ჯერ კიდევ ს. ეგიაზაროვმა, XIX ს. პირველი ნახევრის აღწერილობითი წყაროების მიხედვით დაასკვნა, რომ კავკასიის ყველა ქალაქის ამქარში უსტაბაშს ამქრის წევრები ირჩევდნენ. მისი აზრით, აღმოსავლეთში გამონაკლისი ყოფილა მხოლოდ სპარსეთი, სადაც, შარდენის ცნობით, ამქრის თავები შაჰის მიერ ინიშნებოდა[1].

აღსანიშნავია, რომ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ზემოაღნიშნულმა მოსაზრებამ შემდგომი განვითარება და დასაბუთება პოვა. მკვლევართა აზრით, როგორც XIX ს., ასევე საქართველოში მეფობის

---

[1] С. Е г и а з а р о в, Городские цехи, Организация и внутреннее управление Закавказских амкаров, ЗКОИРГО, кн. XIV, вып. 2, 1891, с. 268, შდრ. იქვე, შენიშვნა 4.

დროსაც, უსტაბაშს „ამქრის წევრთა საზოგადო კრება“[2], ან კიდევ „ამქრის სრულუფლებიანი წევრების საერთო კრება“ ირჩევდა[3]. ამგვარი მოსაზრების საფუძველს ი. ახვერდოვის, ჰაქსტჰაუზენის, დუნკელ-ველინგის, ვაიდენბაუმის და სხვათა აღწერილობითი ხასიათის ცნობები შეადგენდა და არა ქართული დოკუმენტური მასალები. დოკუმენტებიდან კი ირკვევა, რომ თბილისში ამქრის თავი — უ ს ტ ა ბ ა შ ი — ამქრის წევრების მიერ კი არ ირჩეოდა, არამედ მეფის მიერ ინიშნებოდა.

გიორგი XII 1799 წ. წყალობის წიგნში წერდა: „ქ. ჩვენ მეფემან ყოვლისა საქართველოჲსამ, კახეთისა და სხვათა გიორგიმ ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ყმას, ერთგულსა და ნამსახურს, მოქალაქეს, იფრუმაანთ როსტომის შვილს ხატიას და მამასა შენსა მუშრიბს კაკალას, ასე რომ, ქალაქის ბ ა ზ რ ი ს ბ ა ზ ა ზ ბ ა შ ო ბ ა ს დაგვეაჯენით; ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ქალაქის ბაზრის ბაზაზბაშობა; ასე, რომ როგორც ამას წინათ ბაზაზბაში მოქცეულან (sic!), შენც ისე უნდა მოიქცეთ (sic!) და რაც ჩვენის სარქრისათვის და ან სხვისათვის ბაზარს ან ერთმეოდეს და ან ეძლეოდეს, ეს ყველა უთქვენოთ არ უნდა მოხდებოდეს და, რაც ამას წინათ ბაზაზბაშის რუსუმი და სარგო ქონდესთ, თქვენც ისე უნდა მოგეცემოდესთ. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ჩვენს სამსახურსა და ერთგულობასა შინა. აწე გიბრძანებთ ქალაქის მოურავო, მელიქ-მამასახლისო და ჩვენო მოსაქმენო, ეს ჩვენი ნაბოძები წიგნი თქვენც ასე დაუმტკიცეთ. აღიწერა ნოემბრის ი ვ (16), ქკს უ პ ზ (1799 წ.)“ [ბეჭედი][4]

როგორც ჩანს, ბაზაზბაშის ანუ ბაზაზების უსტაბაშის დანიშვნა ქალაქში ყოველთვის მეფის ბრძანებით ხდებოდა და ვაჭართა ამქრის ამ ხელისუფალის დანიშვნა, პირველ რიგში, ქალაქის მოხელეთ უნდა ცნობებოდათ, რომ მათაც მეფის ბრძანებული დაემტკიცებინათ.

ამავე საბუთიდან ირკვევა, რომ მეფის ბრძანებით განისაზღვრებოდა აგრეთვე ბაზაზბაშის უფლება, მოვალეობა და სარგოც.

მეფის მიერ თბილისში ინიშნებოდა არა მარტო ბაზაზბაში, არამედ სხვა ამქართა თავებიც. ამას გარდა, მეფეს შეეძლო, თუკი ამქრის თავი ამქრისა და მეფის სამსახურს წესიერად ვერ შეასრულებდა, თანამდებობიდან გადაეყენებინა იგი. 1800 წ. მეწვრილმანეები გიორგი XII წერდნენ:

---

2 გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ხელოსნობა თბილისში, 1926. გვ. 96.

3 ალ. ფ ი რ ცხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, თბილისის ამქრების 1865 წ. გამოსვლის ისტორიისათვის, თსუ-ს შრომები, XI, ნაკვ. პირველი, 1940, გვ. 40.

4 საქ. ცენტრარქივი, ფ. 227. № 977; შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 101.

„მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წ[ინაშ]ე მოსახსენებელი მათის მონის, ერთობლივ მეწვრილმანე[ე]ბისა. თქვენის ბრძანებით ასლანას უსტაბაშობაზედ ხელი ააღებინეთ. ჩვენ უიმისოთ იოლს ვერ წავსულვართ. გევედრებით, მოწყალება მიიღოთ — იმისი დანაშაული ჩვენ გვაპატივოთ — და ისევ ამაზედ უსტაბაშობის მოწყალობა მიიღოთ და უბოძოთ. მაისის კ ე (25), ქ კ ს უპ ⊕" (1800 წ.)[5]. როგორც ჩანს, მეწვრილმანეების უსტაბაშს ხელმწიფის წინაშე დანაშაული ჰქონია; თვით ამქარი კი თავისი უსტაბაშით უკმაყოფილო არ ყოფილა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის, როგორც მეფის მოხელე, დანაშაულისათვის თანამდებობიდან მეფეს ბრძანებით გადაუყენებია.

ამქრის თხოვნა, საზოგადო აზრი, მეფემ შეიწყნარა და ასლანას უსტაბაშობა ისევ უწყალობა: „ჩვენი ბრძანება არის ასლანავ, მერე თუ აღარ მოგვატყუებ და ჩვენს სამსახურზე ბეჯითად იქმნები, მეწვრილმანე[ე]ბის უსტაბაშობა ისევ შენთვის გვიბოძებია, მეწვრილმანეებო, ესენი დაგვიყენებია თქვენს უსტაბაშათა, მაისის კ თ (29), ქკს უ პ ⊕" (1800 წ.)"[6].

იოანე ბატონიშვილის სიტყვით, ამგვარადვე, მეფის მიერ უნდა დანიშნულიყო ვაჭართა და ხელოსანთა სხვა ამქრის უსტაბაშებიც. მისი ცნობით, თბილისში უნდა ყოფილიყო: ყასაბბაში, სირაჯბაში, ჩორქჩიბაში, ბაყალბაში, სარაჯბაში ანუ სარაჯების უფროსი: ყაზაზების უფროსი და სხვ., როგორც ვაჭართა, ასევე ხელოსანთა ამქრის უფროსები[7].

ვაჭართა თუ ხელოსანთა ამქრის უსტაბაშთა მოვალეობა ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა საქონლით უზრუნველყოფა და საჭირო თადარიგის მიცემა იყო.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, ყაზაზბაშისაგან „განიწესებოდეს ყასბები და სახალხო საკლავის რიგის მიმცემი ეს იყოს, რომ არ აკლ-

---

5 საქ. ცენტრარქივი, ფ. 227, № 823; შ. მ ე ს ხ ი ა, იქვე, გვ. 101—102.

6 იქვე, გვ. 825. გიორგი XII-ის 1800 წ. ბრძანება და მეწვრილმანეების თხოვნა გვაფიქრებინებს: ხომ არ ხდებოდა ამა თუ იმ ამქრის უსტაბაშობის სათანადო კანდიდატის წინასწარ შერჩევა თვით ამქრის წევრების მიერ? რამდენადაც ამქრის წევრთა საზოგადო აზრს მეფისათვის ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, საფიქრებელია, რომ ამქარი მომავალი უსტაბაშის კანდიდატს შეარჩევდა, რომელიც შემდეგ მეფეს და ქალაქის მოხელეებს უნდა დამტკიცებინათ.

ამ მოსაზრებას აძლიერებს დავით ბატონიშვილის მითითება: „Всякой цех избирает каждогодно старосту по утверждению моурава и городских старшин" (იხ. Жизнь—Обозрение Грузии... ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება, H: II, § 1000).

7 საქ. მუზეუმის ხელნაწ. ფ. H: 2155, გვ. 9—13.

დეს ხალხთა სახორცე"; სირაჯბაშის „დაკითხვით და ფასდადებით იყიდებოდეს ღვინო, კარგი კარგი ფასით და ცუდი ნაკლებ ფასით, აგრეთვე არაყი და სხვა სასმელები"; ჩორქჩიბაშისაგან ფქვილი „დაერიგებოდეს ქალაქთა მეფურნეთა, პურის მცხობელთა და ესევე მათ უწესდებოდეს ფასთა... აქუნდეს ესე გუარი თადარიგი, რომ არ აკლდეს პური მუნ მცხოვრებთა ხალხთა, ეგრეთვე ქერი, სიმინდი და ფეტვი ამის მიერ იყოს გასასყიდათ"; ბ ა ყ ა ლ ბ ა შ ს, მისივე სიტყვით, ბ ა ყ ლ ე ბ ი ექვემდებარებოდნენ და „ამის ფასდადებით გაიყიდებოდეს — ერბო, ყველი, ბრინჯი, სამარხვო, თევზი — ძველი და ახალი, ხიზილალა და რაც მედუქნის რიგია, — შესაძლიერისა ფასითა"; მ ე წ ვ რ ი ლ მ ა ნ ე თ ა უ ს ტ ა ბ ა შ ი ს მიერ „გაიყიდებოდეს, რაც საწვრიმალო რიგია: ჩაი, შაქარი, ყავა, ილი, მიხაკი, დარიჩინი და სხუანი საექიმო წამალნი და სხუანი საწვრილმანო; ეგრეთვე მინის იარაღი და ჩინისა"[8]. ბ ა ზ ა ზ ბ ა შ ი კი „დასდებდეს ფასსა მაუდსა, ფარჩათა, ჩითთა, ლეინთა, ბანბასა, მატყლთა და სხუათა საბაზაზოთა — ნიეთოეა". მესანთლეების უფროსი „დააფასებდეს წმინდა სამთელთა, ქონთა, სანათებთა ზეთებთა, ნავთთა და ესევითართა და ამას ეკითხებოდეს კეალად საპოვნის გამოხარშვა. რათა იმისი სუნი არ დადგეს ქალაქთა შინა... ესე დაუნიშნავდეს ადგილსა გამოსახარშავსა და ჩამოსასხმელთა სამთელთაც ესე დასდებდეს გასასყიდლად ფასსა".

ასევე უნდა განსაზღვრულიყო მეფის მიერ ხელოსანთა ამქრის უსტაბაშთა მოვალეობანიც. იოანე ბატონიშვილის სიტყვით, ს ა რ ა ჯ ე ბ ი ს უსტაბაშის დაფასებით უნდა გაყიდულიყო „სამხედრო იარაღი, უნაგირნი, თოქალთო და ცხენის იარაღი... აგრეთვე ფალნები". ხოლო ხ ა რ ა ზ ე ბ ი ს უ ს ტ ა ბ ა შ ი ს დაფასებით, „ქოში, წაღა, წაღაჩე, ჩექმა და სხვა ფეხსაცმელი" გაიყიდებოდა. ნ ა ლ ბ ა ნ დ ე ბ ი ს უ ს ტ ა ბ ა შ ს „ეკითხებოდეს ყოველი გუარის ნალის ფასი და ეს აძლევდეს რიგსა, რომ ყოველთვის იყოს ნალი მზად, ვითარცა სამხედროთათვის, ეგრეთვე გარეშე ხალხთათვის"[9]. ამგვარადვე იყოს განსაზღვრული მექუდეების, ქურქჩიების, მკერვალების, ოქრომქედლების, კალატოზების, ხუროების, მეჭურჭლეების, მხატვრების, დაბაღების, მღებრების, საფლავის ქვის მთლელების და ქალაქში სხვა მოსაქმეთა ამქრისთავის უფლება-მოვალეობანიც.

ამქრისთავთა მოვალეობის ამგვარად განსაზღვრა, ამ მოვალეობათა მათთვის დაკისრება მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, როცა ამქრისთავი მეფის მოხელე იყო და როცა ის თავის მოვალეობის შესრულებაში, ისე როგორც სხვა მოხელე, მეფის წინაშე აგებდა პასუხს. სწო-

---

8 საქ. მუზეუმის ხელნაწ. ფ. 2155, გვ. 9—13.
9 იქვე, გვ. 6—11.

რედ ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება, როცა თბილისში ამქრისთავებს თვითონ ნიშნავდა. ყველაფერი ეს კი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, თუ როგორ ცდილობდა მეფის ხელისუფლება საქალაქო ცხოვრების მოწესრიგებას გვიანფეოდალური ხანის საქართველოში.

ამქრის უსტაბაშები, რამდენადაც მეფის მოხელენი იყვნენ, ხელმწიფის წინაშე ამქრის სამსახურს თვითონ მეთაურობდნენ: ჩვენი სარქრისათვის თუ სხვა საჭიროებისათვის ბაზრის ბაზაზებს „ან ერთმეოდეს და ან ეძლეოდეს, ეს ყველა უთქვენოთ არ უნდა მოხდებოდეს“— წერდა გიორგი მეფე ბაზაზბაშობის წყალობის ზემომოტანილ წიგნში.

მართლაც, ბაზაზებიდან სამეფო საჭიროებისათვის, მეფისა და მის მოხელეთა ბრძანებით, სხვადასხვა საქონლის გარიგება უშუალოდ ბაზაზბაშის მიერ ხდებოდა. ამგვარ ბრძანებათა ბარათები ჩვენ რამდენიმე ათეული მოგვეპოვება.

1800 წ. მეფე უბრძანებდა ქალაქის მელიქ-მამასახლისს: „მელიქო დარჩიავ, ბაზაზბაშს კაკალს ბაზაზებიდამ, ამ ყაითუყოს ძმის მაქსიმეს ჯამაგირში, ორმოცდაათის მარჩილის ხამხალათის ფარჩა დღესვე გაურიგებინე და მოეც“[10]... ამგვარადვე, 1796 წ. ბაზაზბაშს ებრძანა: „ბაზაზბაშო კაკალო, ყათირჩიბაშ თრიას ბაზაზებიდამ ბზის მოსატანათ ექვსი წყვილი ბამბის ბარდანა მოეცა“; ან კიდევ: „ბაზაზბაშო კაკალო, ყაბიბეგის შვილს გაბრიელს რაც ჩვენგან განწესებული ჯამაგირი ჰქონდეს, იმის ორმოცი ტანი ფარჩა ახლავ ბაზაზებიდამ გაურიგე და მოეც, ამის გაურიგებლობა არ იქნება“[11].

მოხელე ბატონიშვილები ბაზაზბაშს ხშირად უბრძანებდნენ, როგორც პირადი საჭიროებისათვის, ასევე სხვა მოხელეთათვისაც სხვადასხვა საქონლის გარიგებას; „კაკალავ ბაზაზბაშო, ექვს უფროს ხევსურს საუფროსოთ ექვსი ლეინი და ექვსი თოფი სამი მოეც, ორი ლეინიც ორს თავგატეხილ ხევსურებს მოეც“ — წერდა იოანე ბატონიშვილი 1800 წ. „ბაზაზების უსტაბაშო კაკალავ, ორი ადლი ნარმა მოეც, ადლი აბაზიანი, ჩვენთვის“ — ბრძანებდა დავით ბატონიშვილი. ამგვარადვე, დავით ბატონიშვილი ბაზაზბაშს წერდა: „ბაზაზების უსტაბაშო კაკალო, ჩვენის დის მოახლეს, მონავარდისას, ხუთი მილანთუნის ნაშურ (?) მოეც ქობითა; ეს ბარათი ანგარიშში ჩაგვივარდება“; ან კიდევ: „ბაზაზბაშო კაკალავ, ჩვენის დის გაიანეს მსახურებს, ორს, ხუთი მილანთუნის ნაბადი მოეც“[12].

---

10 საქ. მუზეუმი. ფ. Sd. 328.
11 იქვე, ფ. Sd: 338.
12 იქვე, ფ. Sd 350; 348; 351, ფ. 353.

მსგავსი შინაარსის ბარათთა მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია მეფისა და მის მოხელეთა ამქრის უსტა-ბაშთან არსებული დამოკიდებულების ერთი მხარის გასარკვევად.

მეფის მოხელეთაგან სხვადასხვა საქმეთა გარიგება, ბაზაზბაშს გარდა, სხვა ამქრისთავებსაც ებრძანებოდათ: „ყასაბბაშო იოსებ, ამ მეღორეს ხუთი ლიტრა ღორის ქონის ფასათ ექვსი აბაზი უანგარი-შე“ — წერდა სულხან მდივანი 1799 წ.[13]; „ყასაბბაშო იოსებ, ჩვენს ანგარიშში ორმოცდაათი ლიტრა ღორის ქონი გამოგზავნე“; „იოსებ, ჩვენს მეჯორეს მიკირტუმას ერთი წყვილი წაღა და ნახევარი ლიტრა ძროხის ხორცი მიეც“ — წერდა მანუჩარ მდივანი[14].

რამდენადაც ამქარი სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, მეფის ზოგ მოხელეს თავისი სარგო ამქრის შემოსავლიდან ჰქონდა გა-რიგებული. ქ ა რ ხ ნ ი ს ნ ა ზ ი რ ს, როგორც სასახლის მეურნეობის დაწესებულებისა და საწყობების განმგებელს, საბუთების მიხედვით, ქალაქის ამქრები ემსახურებოდნენ. ქარხნის ნაზირს, დავით მაყა-შვილს, თავის სარგოთა შორის მითითებული აქვს: „ასნაფებიდამ მქონ-და რუსემი, ესეც იქნებოდა ჩემ წილად ათი თუმანი“[15]. ამგვარადვე მიუთითებდა ნაზირი ბარამ გურგენიძეც: „ასნაფებიდამ რუსუმი მქონ-და ასი რუბლი“[16]. ამქრის შემოსავლის მოწილენი ყოფილან მეფის მდივნებიც. მეფის ამ მოხელეთა გასტუმრებაც ზოგჯერ უსტაბაშის ან-გარიშზე ხდებოდა. მანუჩარ მდივანი ყასაბბაშ იოსებს წერდა: „ბა-ტონო იოსებ, ჩვენი მდივნობის სარგოს ანგარიშში ხუთი მინალთუნი გამოგვიგზავნე“[17]; ან კიდევ: „ბატონო იოსებ, ჩვენს სარგოში ორი მი-ნალთუნი გამოგვიგზავნე“[18] და სხვ.

როგორც ვხედავთ, თბილისის ამქრები მრავალმხრივ იყვნენ დამო-კიდებული სამეფო ხელისუფლებაზე: ამქრის უსტაბაში მეფის მიერ ინიშნებოდა, მტკიცედ იყო განსაზღვრული მისი მოვალეობა როგორც ქალაქის მოსახლეობის, ასევე სამეფო ხელისუფლების წინაშე. ამქრის საქმიანობას მეფის ხელისუფლება უწევდა კონტროლს. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ამა თუ იმ ამქრის მოქმედება სათანადო წეს-დებით განსაზღვრული უნდა ყოფილიყო.

XIX ს. ზოგ ზეპირ ცნობებზეც დაყრდნობით ჯერ კიდევ ს. ეგია-ზაროვმა მიუთითა, რომ ერეკლე I შეეცადა თბილისის მეტყაველების

---

13 საქართველოს ცენტრარქივი, ფ. 226, № 4792.
14 იქვე, № 4799, 4801, შდრ. აგრეთვე №№ 4797, 4807, 7779.
15 იქვე, ფ. 226, № 8980. შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, Op. c. გვ. 24.
16 იქვე, ფ. 2, №—49, ფურც. 152. შ. მ ე ს ხ ი ა, Op. c. გვ. 27.
17 იქვე, გვ. 226, № 7776.
18 იქვე, № 7777.

ამქრის ჩვეულებებისათვის კანონის, წესდების სახე მიეცა[19], მაგრამ რაკი მისი წყარო და განცხადებაც დაუსაბუთებელი ჩანდა, ეს შენიშვნები მივიწყებული იქნა და გავრცელდა მცდარი აზრი ამგვარი წესდებების საერთოდ არარსებობის შესახებ. ი. ახვერდოვის აზრით, ქართველი მეფეები, რომელნიც საგარეო საქმეებით და ტახტისათვის ბრძოლის ინტრიგებით იყვნენ გართულნი, ქვეყნის შინაგან ცხოვრებაზე, კერძოდ საქალაქო წესწყობილების მოწესრიგებაზე, არც კი ზრუნავდნენ. ამგვარი მოსაზრებისათვის საფუძველს ი. ახვერდოვს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი აძლევდა, სადაც თურმე სიტყვა არაა ნათქვამი ვახტანგის დროს არსებულ ამქრებზე. მისივე აზრით, საქართველოს ქალაქებში ამქრები არსებობდნენ სამეფო, ადმინისტრაციული ხელისუფლების ყოველგვარი დახმარებისა და ჩარევის გარეშე[20]. ქართულ წყაროებს გაუცნობელი ავტორის ამ ზერელე მოსაზრების წინააღმდეგ, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალისა" და სხვა არაერთ დოკუმენტთა გარდა, ლაპარაკობს ზემომოტანილი მასალებიც.

ქართულ ამქართა წესდების არარსებობისა და ამქრული წყობილების მოწესრიგებაში სამეფო ხელისუფლების ჩაურევლობის შესახებ გამოთქმულმა მოსაზრებამ სათანადო გამოხმაურება თანამედროვე მკვლევართა შორისაც პოვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით გ. გამყრელიძე 1925 წ. წერდა: „კანონმდებლობის მიერ ხელოსნობის მოწესრიგების პირველ ცდას ჩვენში ვახტანგ მეფის სამართალში ვპოულობთ, თუმცა ამქრული წყობილების შესახებ არც აქ და არც სხვა ძველ წყაროებში არ არის რა მოხსენებული. — ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერა ვპოვეთ რა"[21].

ალ. ფირცხალაიშვილმა კი უფრო კატეგორიულად მიუთითა: — „ვინაიდან თბილისის ამქრებს არ გააჩნდათ არავითარი დაწერილი სტატუტები, ამიტომ დასაშვებია მივმართოთ... ოფიციალურ აღწერებს, როგორც ამქრული უფლებების თავისებურ ბარათებს ან დაწერილ სტატუტებს, რომლებსაც დას. ევროპაში ჩვეულებრივად ადგენდა ქალაქის ხელისუფლება ან თვით ამქრები, ხოლო შემდეგ ამტკიცებდნენ ქალაქის საბჭოები"[22]. თუ რამდენად დასაშვებია დას. ევროპის ამქართა სტატუტების გამოყენება თბილისის ამქრული ორგანიზაციების შესასწავლად, ჩვენ ამ-

---

[19] С. Егиазаров, Городские цехи. с. XXVI.

[20] Ю. Ахвердов, Записки об Армарах, с. 10.

[21] გ. გამყრელიძე, ხელოსნობა თბილისში, გვ. 96.

[22] ალ. ფირცხალაიშვილი, თბილისის ამქრების 1865 წ. გამოსელა, გვ. 37. შენ. 3.

ჟამად არაფერს ვიტყვით; მაგრამ რაკი სამეფო ხელისუფლების მიერ თბილისის ამქრული ორგანიზაციების მოწესრიგებასა და ამქართა წესდების არარსებობა-არსებობის შესახებ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ზემოხსენებულ მოსაზრებათა უსაფუძვლობის დასამტკიცებლად, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენთვის დღემდე ცნობილი ქართული ამქრის წესდებები გამოვაქვეყნოთ:

„ჩვენ ერთობ მეწვრილმანე(ე)ბმა ესე პ ი რ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი დავდევით:

1. ჩვენში დიდი დიდათ უნდა იყოს და პატარა პატარათ და ერთმანეთის წინააღმდეგი არ უნდა ვიყუნეთ.

2. რაც საწვრილმანო მოვიდეს, ცოტა თუ ბევრი, საერთო(დ) უნდა ვიყიდოთ — ვინ(ც) თავი წილი აიღოს, თავი ხარჯი მისცეს, ვინც ნახევარი წილი აიღოს, ნახევარ(ი) ხარჯი მისცეს; ვინც ჩარექი წილი აიღოს, ჩარექი ხარჯი მისცეს.

3. ვინც მალვით საქონელი იყიდოს, საბუთი უყოთ, — იმ საქონლისა ნახევარი ჰამქრის მასრაფში მისცეს.

4. ვინც ახალი დუქანი გაიღოს, ჰამქრის იოლი გასწიოს.

5. ვინ(ც) ქვირა გასტეხოს, ხუთი აბაზი ჰამქრის მასრაფში მისცეს.

6. ვინც მკვდარზე დააკლდეს, აბაზი იოლი აქვს.

7. თუ ჰამქრის საქმე რამ იყოს, იგიდბაშმა შეატყობინოს და არ მოვიდეს, ხუთი აბაზი ჰამქრის მასრაფში უნდა მისცეს.

8. ვინც რომ იცოდეს თავის ჰამქრის საქონელი მიუყიდნია და ის საქონელი უკან მააცემინოს და თითონ მიყიდოს, იმისი ნახევარი ფასი წაერთოს და ჰამქრის გასაღებაში და მასრაფში მისცეს.

9. ვინც რომ ამ ზემოწერილის ძალით თავისი რასათი ხარჯის და ბეგარის მიცემა არ მოინდომოს, ჩვენი ძ მ ო ბ ი დ ა მ გავიდეს, არცა ჩვენთან საქონლის წილი მიეცესთ, არც იმასთან პური ვჭამოთ, არც იმის მკვდარზედ მივიდეთ.

10. რომელმაც სოვდაგარმა თავის მაზანდით საქონელი ჩვენ არ მოგვყიდოს, თითონ წ(ვ)რილად ყიდვა მოინდომოს, ერთობ ყველამ უნდა ველაპარაკოთ.

11. რომელიც ჩვენის ხელობის საქონელს ყიდდეს, იმასაც ერთობით ველაპარაკოთ.

12. თუ ბატონთან წასვლა იყოს, თუ მოხელესთან, თუ საქონლის სყიდვაზედ, ჩვენი ოსტატი* ასლანა და წილზედ ერთი კაცი წავიდეს, რაც ამათ გაარიგონ ჩვენი ყაბული არის.

ამ წიგნის ერთი სხუა იყო ბ ა ტ ო ნ ი ს და მ ო ხ ე ლ ი ს ა გ ა ნ დამტკიცებული და ჩვენგან ხელმოწერილი, ისევ ჩვენ ჰამქარში დაი-

* დედანში შეცდომითაა „ოსტატი", „ოსტატი" ამ შემთხვევაში „უსტაბაშს"-შეესატყვისება.

კარგა და ეს ახალი დავწერეთ. ენკენისთვის კვ (26) გასულს, ქკს უპ ზ (1799 წ.).

იმ დაკარგულს წიგნში რომ ჩემი საოსტატო რომ თუმანზედ აბაზი იყო დაწერილი, ახლა ორ შაურს დამაჯერეს და მეც ვიყაბულე. უსტაბაში ასლანა მე სტეფან ზოჰრაბოვი. [ხელრთვა].

ეს წერილი ქვემოთხსენებულის კაცებს ეყაბულებინათ და მეც თავიანთის ყაბულობის მოწმობა დამაწერინეს. დავწერე ამათის ყაბულობითა და მოწამეცა ვარ. ციხის-დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერ-არაქელ ტერ-მელიქსეთოვი, გიორგობის ვ(6) ქკს უპვ (1800 წ.) [ბეჭედი].

მესანთლე უსტაბაშ გოგიამ ამ წიგნის ყაბული (ვარ), ან პირობის.

მე შადინაანთ ნონია ყაბული მაქვს ამ წიგნის.

ამ წიგნის ყაბული მაქვს მე...?

მე ისაიამ ამ წიგნის ყაბული მაქვს.

მე ამ წერილის ყაბული მაქვს, ზაზა.

მე მელქოას და ასარადას ამ წიგნის ყაბული გვაქვს, ქრისტეშობის ა(1).

ქკს უპზ (1799 წ.).

მე მიზამ ამ წიგნის ყაბული მაქვს.

მე დინიბეგაანთ ოჰანეზამ ამის ყაბული ვარ.

მე არუთინამ ზემოწერილის ყაბული მაქვს.

მე ვართანამ ამ წერილის ყაბული მაქვს.

მე ზუთხინაანთ მიკირტუმამ ამ წერილის ყაბული მაქვს.

მე აბელამ ეს წიგნის ყაბული მაქვს ქრისტიშობისა ა (1), ქკს უპზ (1799 წ.).

შერმაზანა ამ წერილის ყაბული ვარ.

პეპანამ ამ წერილის ყაბული ვარ.

მე წიგნი არ ვიცოდი, პეპანას სიტყვით მე დავითამ დავწერე.

მე ოჰანეზამ ამ წიგნის ყაბული ვარ.

ამ წიგნის ყაბული მაქვს მე დავითამ. ქრისტეშობის ა (1), ქკს უპზ (1799 წ.).

გოგიას ყაბული არის"[23].

ჩვენ ამჟამად არ ვფიქრობთ ამ წესდების განხილვაზე შევჩერდეთ, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიჩნოთ შემდეგი: მოტანილი დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ამქრის წესდებას „პ ი რ ო ბ ი ს წ ი გ-

---

23 საქ. ცენტრარქივი, ფ. 227, № 324; საბუთის პირი; საბუთის ენა, აქაც და ქვემოთ, უცვლელადაა დაცული. ჩვენ გვეკუთვნის: რიცხვითი სათვალავები, განკვეთის ნიშნები, უბრალო ფრჩხილებში მოქცეული ჩამატებანი და ხაზგასმა. შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, Op. c., გვ. 034—035.

ნი“ ეწოდებოდა. ამ მოკლე „პირობის წიგნში“ აღნუსხულია მეწვრილმანეთა ამქრის ძირითადი ეკონომიკური ინტერესები: თორმეტი მუხლიდან ცხრა მაინც ამქრის წევრების ეკონომიკურ ინტერესთა ერთობას ქადაგებს. მაგრამ არც საყოფაცხოვრებო-იურიდიული მხარეა მივიწყებული (1, 6, 7 მუხლი). აქვე გაკვრით მითითებულია ამქრის ზოგი მოხელის (უსტაბაში, იგითბაში) მოვალეობასა და სარგოზე, ამქრის წევრთა საერთო მოვალეობა-ვალდებულებაზე და სხვა.

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ „პირობის წიგნს“, როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, „ბატონი“, ე. ი. მეფე და მისი მოხელე ამტკიცებდნენ; ხოლო შემდეგ, ამქრის წევრებისა და უსტაბაშის ხელმოწერილი წესდება ძალაში შედიოდა და ამქარში ინახებოდა.

დამახასიათებელია, რომ მეწვრილმანეთა ამქრის წესდებას ემოწმება მონათესავე, მესანთლეთა ამქრის უსტაბაშიც. როგორც ჩანს, ამა თუ იმ ამქრის წევრთა გარკვეული პირობის ურთიერთშეთანხმება ვერ უზრუნველყოფდა ბაზარზე კონკურენციის აცდენას და, ალბათ, ამიტომ, ამქრის წესდება მონათესავე ამქართანაც უნდა შეთანხმებულიყო.

ზოგჯერ კიდევ, ამავე მიზნით, ორი, თავიანთი საქმიანობით მონათესავე, ამქარი სათანადო პირობით შეიკვროდა. ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებს მეწვრილმანეთა ამქრების ქვემომოტანილი „პირობა“:

„ჩვენ მეწვრილმანე(ე)ბმა ეს პირობა დავდევით, რომ (1) ვინც კვირას გაჰყიდოს რამე, თორმეტი მინალთუნი ჰამქარს უნდა მისცეს. რომ სათხოვარი მოვიდეს იმაში მიეცეს და (2) მესანთლეებს, რომლისაც ნობათი იყოს, მაშინ საღამოს ლოცვა არ გამოვიდეს ვერას გაჰყიდის. (3) თუ საღამოს ლოცვის უწინ გაყიდოს რამე, იმანაც თორმეტი მინალთუნი ჰამქარს გასაღებაში უნდა მისცეს. (4) ამას გარდა, ჩუმნში დიდი დიდათ უნდა იყოს და პატარა პატარათა და (5) სოვდაგარიდამ უუსტაბაშოთ საწვრილმანო არ ვიყიდოთ და (6) სოვდაგრიდამ ოსტატმა თუმანზედ აბაზი საოსტატო გამოართოს.

მთიბათვის ბ (2), ქკს უპვ (1799 წ.).

მე ასლანა უსტაბაშს ამის ყაბული მაქვს ხელრთვა.

მე ოსტატი გოგია ამ წიგნის ყაბული მაქვს.

მე მესანთლე გოგია ამ წიგნის ყაბული მაქვს.

მე ზემონაწერის ყაბული მაქვს, მესანთლე ისამამ (?)

ამ ზემონაწერისა ყაბული მაქვს, მესანთლე გრიქულა.

ამ ზემონაწერისა მესანთლეთა ყაბული მაქვს...

ამ ზემონაწერის ყაბული მაქვს, მესანთლე გეურქ.

ამ ზემონაწერის ყაბული მაქვს, მესანთლე ოჰანეზა.

ამ ზემოთ ნაწერის ყაბული ვარ, მესანთლე ვართანა.

ამ ზემონაწერის ყაბული მაქვს მე, ფუღა(ა)ნთ ავეტიქა.

ამ ზემონაწერის ყაბული მაქვს მე, გეურქას მამა პეპანა.

ამ ზემონაწერის ყაბული მაქვს მე, სართამ.

ეს ჭ[ეშმარი]ტი გარიგება არის ღ[უ]თის სამსახურია და კაცის საამო.

ამის მოწმე ვარ მელიქი დარჩია [ბეჭედი].

მე მელქუას ამ ნაწერის ყაბული მაქვს.

მე შადინაანთ ნონია ამ წიგნის ყაბული მაქვს.

მე ზუთხინაანთ მიკირტუმა ამ წიგნის ყაბული მაქვს.

მე ფუღა(ა)ნთ სტეფანას შვილი კონიამ ამ წიგნის ყაბული მაქვს.

მე ეგანაშვილი თემურაზს ამ ზემო, ოსტატის ნაბრძანები, პიროობის ყაბული მაქვს.

მე მესანთლე დავითამ ამ ზემონაწერის ყაბული მაქვს.

მე გოგიამ ამ ზემონაწერის ყაბული მაქვს.

მე ქოჩორაშვილი გლახამ ამ წიგნის ყაბული მაქვს.

ამის ასლი ვნახე და ეს სავადი გადმოვწერე თანასწორად, მე გასპარა მე ავთანდილ ფუთუნოვი...

ამის ასლი ვნახე და ხელი მოვაწერე თავადი დარჩო ბუბუდოვი.

ამის ასლი ვნახე და ხელი მოვაწერე ფეთხაინის დეკანოზი ტერ. სტეფანა [ბეჭედი].

ამის ასლი ვნახე და ხელი მოვაწერე, თავლიდარი ნასყიდი მე ალადაღოვი.

გადმოვწერე ეს წერილები, თავადი დავით თუმანოვი.

სხვა ხელით: ასლთან თანასწორეთ არის შემოწმებული სოვეტნიკი თ[ავადი] დიმიტრი ორბელიანი.

კიდევ სხვა ხელით: ამ წიგნების ასლი სამი წიგნი მივიღე, ასლან ზორაბოვი"[24].

როგორც ჩანს, ამქრის წესდება „პ ი რ ო ბ ი ს წ ი გ ნ ა დ" იწოდებოდა, ხოლო ამქართა შორის შეთანხმება „პ ი რ ო ბ ა დ". ამქართა „პირობას", ორივე ამქრის უსტაბაშთა გარდა, ქალაქის მოხელე, მელიქი ადასტურებდა. მელიქი უნდა იგულისხმებოდეს მეწვრილმანეთა „პირობის წიგნშიც", სადაც საბუთის დამამტკიცებელ მეფის მოხელეზეა საუბარი.

ამქართა შეთანხმებას ორივე ამქრის წევრებიც ემოწმებიან; ამას ცხადჰყოფს მეწვრილმანეთა „პირობის წიგნის" დამადასტურებელთა გვარებისა და სახელების განმეორება მეწვრილმანეთა და მესანთლეთა

---

24 საქ. ცენტრარქივი, ფ. 227 № 325. საბუთი იბეჭდება უცვლელად. ამ შემთხვევაშიც ჩვენ კვადრატულ და უბრალო ფრჩხილებში მოქცეული ჩამატებანი და განაკვეთის ნიშნები გვეკუთვნის.

„პირობის“ ხელმოწერებს შორის. შეთანხმება სავსებით ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურება — მონოპოლია შესყიდვაში, გასაღებაში და სხვა.

* * *

1867 წ., როგორც ცნობილია, რუსეთის ხელისუფლებამ რეფორმები ჩაატარა: თბილისის ხელოსანთა შრომის ორგანიზაციას ახალი სახე მისცა. არსებულ ხელოსანთა 73 ამქრიდან მხოლოდ 17 ამქარი და 4 მუშათა არტელი შეიქმნა და მათთვის ახალი საერთო წესდებაც შემუშავდა. ამქრებში საუკუნეობით გამტკიცებული ჩვეულებანი რუსულ კანონმდებლობას შეეგუა და ამ მხრივაც „რუსეთთან შერწყმის“ პოლიტიკა მოხერხებულად გატარდა.

თუკი XIX ს. პირველ ნახევარში თბილისის ამქრობა ჯერ კიდევ ძლიერ ახლოს იდგა თავის ძველ ტრადიციებთან, 1867 წლის რუსული რეფორმების შემდეგ, ის სწრაფად მიდიოდა საკუთრებით გაქრობისაკენ.

მაგრამ თბილისში ჩატარებული რეფორმები, როგორც ირკვევა, სათანადო საფუძველს ვერ პოვებდა საქართველოს სხვა ქალაქებში და ხელოსანთა ამქრები ისევ მეფობის დროს არსებული ტრადიციების მიხედვით განაგრძობდნენ არსებობას და საკუთარ — 1867 წ. წესდებისაგან დამოკიდებული, — საამქრო წესდებათა შექმნას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქ. ქუთაისის მეპურეთა მიერ 1871 წ. შედგენილი ამქრის წესდება, რომელსაც აქვე უცვლელად ვაქვეყნებთ:

„ჩ ყ ო ბ-სა (1871) წელსა, იანვრის კ, ოცსა რიცხვსა, ქვემორე ამის ხელის მომწერმან, ქუთეისის მეპურეებმან დავსდევით ეს ხელწერილი:

1. ერთმანეთის[25] ნებით და თანხმობით, რომელი ჩვენ ამეერჩიეთ უსტაბაშათ ისეთივე ძველი უსტაბაში ნიკოლოზ მურისიძე და ასაყალოთ ისეთივე სიმონა ცუცხაშვილი და პეტრე კაციტაძე.

2. ამ ამორჩეულმან სამმა კაცმა უნდა მართოს საქმე ანქარში სვინდისიანად და კანონისამებრ — რაც შეეხებოდნენ, და აგრეთვე ჩვენ ამქარმან არ ვიწინააღმდეგოთ თქვენს წინაშე,

3. ამას გარდა, რომელმაც ჩვენს ანქარში დუქანს მოუმატოს შეცილებით, შტრაფი ეკუთნება ოცდახუთი მანეთი.

---

25 აქაც და ქვემოთ დედანში ყოველთვის წერია: „ერთქმანეთის“.

4. და ეგრეთვე, ვინც ჩვენს ანქარში ერთმანეთს უნებლათ მოჯა-
მაგირეს მოუმატოს და თავისთავის მეიმდომოს გასაყვანათ, იმ კაცმა
გარდაიხადოს შტრაფი, ერთი თუმანი გარდაიხადოს.

5. აგრეთვე შაგირდი ერთი ერთმანეთში ვინც შეაცდინოს და გაი-
ყვანოს, მას ეკუთვნება შტრაფი ერთი თუმანი, და

6. თუმცა დაულოცავმა კაცმა დალოცვილს ოსტატს შეაგინოს, ამ
კაცმა გარდაიხადოს ერთი ოქრო.

7. ეგრეთვე, ვინც ჩვენს ანქარში ახალი დუქანი გა(ა)ღოს, მან
გარდაიხადოს დუქნის გასაღები თხუთმეტი მანეთი.

8. ეს ხსენებული დუქნის გასაღები და სხვაცა შტრაფებიცა სა(ამ)-
ქროთ დაიდვას და დაიხარჯოს.

9. ეგრეთვე, ერთმა მეორეს ქუჩაში პური არ შეუტანოთ გასას-
ყიდლად და არც ერთმანეთს მიკიტანი წავართვათ პურის მომატებით.
უკეთუმცა მოუმატოს, ერთი ოქრო გარდაიხადოს.

10. ეგრეთვე, ვინც ანქარში წინააღმდეგობა გას(წიოს) ამ წესისა-
მებრ დაისაჯოს.

ამ წერილს ვწერ და თანახმა ვარ მეპურე სიმონა კაციტაძე.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: ხელს ვაწერ ნიკოლოზ მურისიძე
და რადგან ნიკოლოზ მურისიძემ წერა არ იცოდა, მისი თხოვნით, მის
მაგიერ ხელს ვაწერ პრაპორჩიკი საჩინო გეგელაშვილი.

იოსება ბოჭორიშვილი, მისა მაგიერათ ხელს ვაწერ ლევანი კარ-
სანიძე

მზრ...? კაციტაძე

ბეჟანა მაეტარაშვილი (?).

გიორგი ომიაძე.

ხელს ვაწერ სოფრომა ჩაჩაიძე.

ალმასხან მურუსიძე და რადგან მან წერვა არ იცოდა მისის ხელ-
ჩამორთმევით ხელს ვაწერ ალფრეზ წერეთელი.

ხელს ვაწერ დათიკო ქოქოსაძე.

ხელს ვაწერ სიმონ ქვ... ძე (?).

ხელს ვაწერ მამუკა მურდილაძე.

ხელს ვაწერ ეფრემ.

ხელს ვაწერ ოქრუა გოშაძე.

ლუარსაბ ლებანიძის თხოვნით ხელს ვაწერ სოლომონ დავლიანი-
ძე.

კიდევ საკუთარ ხელს ვაწერ სოლომან დავლიანიძე.

ხელს ვაწერ ვახტანგ მურუსიძე და უწერილობისა გამო მისისა,
მისის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ ოქროპირ
ვარღუსძე მიქიაშვილი.

თანახმა ვარ ამ წერილის როსტომა ქვემოკლიძე.

თანახმა ვარ ამა წერილის სოფრომა ბრეგვაძე"[26].

ქუთაისის მეპურეთა ამქრის ეს „ხელწერილი" მრავალმხრივაა საინტერესო.

როგორც XIX ს. თბილისში, ასევე ქუთაისშიაც ამქარს სამი არჩეული პირი, უსტაბაში და აღსაყლალები, მართავდნენ.

ამქარი ამ შემთხვევაშიც სამეურნეო კავშირის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც ცდილობს დაიცვას ამქრის წევრთა პროფესიონალური და ეკონომიკური ინტერესები.

აღსანიშნავია, რომ ამავე „ხელწერილში" განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „მოჯამაგირეთა" და შეგირდთა ურთიერთ წართმევა-გადაბირების აკრძალვას, დალოცვილი ოსტატისადმი პატივცემას და სხვა. რაც მთავარია, ქუთაისის მეპურეთა ამქრის „ხელწერილი" ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ამქრებს, არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც, მართალია, მოკლე, მაგრამ შინაარსიანი, დაწერილი წესდებები გააჩნდათ.

ქუთაისის მეპურეთა ამქრის „ხელწერილის" შედარება თბილისის ამქრების „პირობის წიგნსა" და XIX ს. პირველი ნახევრის აღწერილობით მასალებთან, კიდევ უფრო გაგვარკვევს ქართული ამქრისათვის დამახასიათებელ საერთო, ძირითად ნიშნებში.

ზემომოყვანილი საამქრო წესდებები შესაძლებლობას გვაძლევს შემდეგი ზოგადი ხასიათის დასკვნა გავაკეთოთ:

ხელოსანთა თუ ვაჭართა ორგანიზაცია, ამქარი, საქართველოში თავისი ძირითადი მიზნებით განირჩეოდა მაჰმადიანური აღმოსავლეთის მსგავსი ორგანიზაციებისაგან.

მუსლიმანურ აღმოსავლეთში, მათ შორის მცირე აზიაშიც, ამქარი უფრო სასულიერო-რელიგიური ძმობა იყო, ვიდრე პროფესიონალური გაერთიანება[27]. მ. გავრილოვის გამოკვლევით, ეკონომიკური ხასიათის საკითხები — სისტემატური დახმარება ამქრის ცალკეულ წევრებზე, მონოპოლია ნედლეულის შესყიდვაში, წარმოებაში, გასაღებაში და სხვ. — შუა აზიის ამქრებისათვის თითქმის უცხო იყო[28]. ამქრის ამგვარი მიზნის გამო, შუა აზიაში ოსტატის უპირველეს მოვალეობას შეადგენდა მოწაფისათვის ჯერ სარწმუნოებრივი დოგმატები ესწავლებინა, ხოლო შემდეგ ხელობა[29]. მოწაფის ოსტატად კურთხე-

---

26 ქუთაისის მუზეუმის საბუთთა ფონდი № 1950. რიცხვითი სათვალავები, განაკვეთის ნიშნები და ფრჩხილებში მოქცეული დამატებანი ჩვენ გვეკუთვნის.

27 В. Гордлевский, Из жизни цехов в Турции, „Записки кол. Востоковедов", II, в. 2, с. 241.

28 М. Гаврилов, О ремесленных цехах Средней Азии, „Изв. Сред. Аз. комитета", в. III, с. 228—29.

29 იქვე, გვ. 226.

ვის დროსაც გამოცდა ხელობაში კი არ ტარდებოდა, არამედ რელიგიის ცოდნაში[30].

ყოველივე ამის გამო მუსლიმანური აღმოსავლეთის ხელოსნური ორგანიზაციების აგებულება სავსებით ემსგავსებოდა აღმოსავლეთის რელიგიურ-მისტიკური ორდენების აგებულებას.

მართალია, XVII ს., ევლია ჩელების დროისათვის, მცირე აზიის ხელოსანთა ორგანიზაციებს რელიგიური ორდენების სახე ნაკლებად ჰქონიათ[31], მაგრამ მცირე აზიის ამქრულ ორგანიზაციებში რელიგიური მომენტი მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო.

ქართულ ამქარს, შეიძლება ითქვას, ისეთი საწყისი არ ჰქონია, როგორც ასნაფებს მუსლიმანურ აღმოსავლეთში (რელიგიური კავშირები) და ამდენად იგი თავიდანვე უფრო ეკონომიკურ-პროფესიონალური გაერთიანება იყო, ვიდრე რელიგიურ-მისტიკური.

რელიგიური სამოსლის ქვეშ, რომელსაც ქართული ამქრებიც ატარებდნენ (საერთო დღესასწაული, „საღვთო", ამქართა ფირები და სხვ.), ყოველთვის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი იგულისხმებოდა. ამას სავსებით ადასტურებს ჩვენ მიერ გამოქვეყნებული „პიროების წიგნი", ქუთაისის მეპურეთა „ხელწერილი" და ამქრის უსტაბაშთა უპირველეს მოვალეობათა განმსაზღვრელი დოკუმენტები, სადაც ყოველთვის მითითებულია ამქრის, ამქრისთავისა და მის წევრთა პროფესიონალურ-ეკონომიკურ მოვალეობა-ინტერესებზე და არაფერია ნათქვამი ამქრის რელიგიური მიზნების შესახებ.

---

[30] იქვე, გვ. 237.

[31] В. Гордлевский, ор. с., с. 243—244.

„ზუგდიდი“ თუ „ზუგდიდი“*

ზუგდიდის, საქართველოს ერთ-ერთი ძველი და მნიშვნელოვანი ცენტრის (ქალაქის) სახელწოდებამ ადრევე მიიქცია ყურადღება და ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში მისი შინაარსის შესახებ არაერთი მოსაზრებაც გამოითქვა.

პირველი მეცნიერი, რომელიც სახელწოდება „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიას, ამ სიტყვის შინაარსსა და წარმოშობას შეეხო იყო ცნობილი მოგზაური, არქეოლოგი და ეთნოგრაფი დიუბუა დე-მონპერე. დიუბუას მოსაზრება გარკვეულ ინტერესს იწვევს და საჭიროდ ვთვლით მთლიანად მოვიტანოთ იგი: „გამბას რუკაზე — წერდა იგი,— ლენხე (lēkhne) აღნიშნულია ლოგჰინე-ს (loghine) სახელწოდებით. იმერეთის მეფე ალექსანდრეს (1738 წ.) რუკაზე კი იგივე სახელი აღნიშნულია „ლიხინის“ (likhin) სახელწოდებით. ამავე სიტყვას აფხაზები „ლუქ'ჰინ“-ად (louk'hin) წარმოსთქვამენ; რუსები მას თავიანთ ახალ რუკაზე (1834 წ.) ლეჰნეს (lekhne') ეძახიან. მიხელ-ბეი და მისი ძმა საფჰირ-ბეი ამ სახელს ცვლიან სუუკ-სუთი (sououk sou — „ცივი წყარო“).

მეგრელები მას უწოდებენ მისთვის ნამდვილად უცნაურ სახელს ზუფუს (Zouphou), რასაც უეჭველად კავშირი აქვს ზ უ ბ დ ი დ თ ა ნ და ზ უ გ დ ი დ თ ა ნ (Zoubdidi et Zougdidi), დიდი ზუბუ, ზუბი (legrande zoubou, Zoup), სამეგრელოს დადიანების რეზიდენციასთან“[1].

როგორც ვხედავთ, დიუბუა ერთმანეთის პარალელურად ხმარობს ზუბდიდსა და ზუგდიდს. იგი, ეტყობა, კარგად იცნობდა იმერეთის 1737 წ. რუკას და „ზუბდიდი“-ც, სახელწოდების ეს ვარიანტიც აქედან უნდა ჰქონდეს აღებული. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ დიუბუა „ზუბდიდის“ პირველ ნაწილს, „ზუბ“-ს უკავშირებს „ზუფუს“. ამას გარდა, მანვე პირველმა გამოთქვა, ჩვენი აზრით, სავსებით

---

* წაკითხულია მოხსენებად ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეორე სამეცნიერო სესიაზე 1958 წ. 27 ნოემბერს.

[1] D u b o i s d e M o n t p é z e u t, Voyager autour du Caucase, t. I, Paris, 1839, გვ. 248.

სწორი მოსაზრება ზუგდიდის სახელწოდების „დიდი ზუბუ“ თუ „ზუბ“-ისაგან მომდინარეობის შესახებ.

ზუგდიდის, მისი სიძველეებისა თუ სახელწოდების, წარმოშობის საკითხს შეეხო აგრეთვე მარი ბროსეც. მკვლევართა შორის იგი პირველია, რომელმაც „ზუგდიდი“, მისი პირველი ნაწილი, „ზურგს“, „ზვინულ მიწას“, „დიდ ბორცვს“ დაუკავშირა. მ. ბროსეს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა პირვანდელი ზუგდიდის მდებარეობა, დღევანდელი „მანცხვარკარის“ (მაცხოვრის კარის) ტერიტორია, რომელიც მართლაც დიდი ბორცვის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამას გარდა, მ. ბროსე იმოწმებს ამ საკითხში „ორ განათლებულ ბატონიშვილს“ — გრიგოლ და კონსტანტინე დადიანებს, რომელნიც ამავე აზრისანი ყოფილან. ამრიგად, მ. ბროსეს უდავოდ მიაჩნდა, რომ ზუგ-ი ზურგისაგან წარმოსდგა და რომ ეს უეჭველად ბორცვს ნიშნავს[2].

როგორც მ. ბროსეს მოწმობიდან ჩანს, უკვე XIX ს. შუა წლებში, საკუთრივ სამეგრელოში, „განათლებულ მეგრელებში“ განმტკიცებული ყოფილა შეხედულება „ზუგდიდის“ „ზურგდიდისაგან“ მომდინარეობის შესახებ. ამას გარდა, უდავოდ იყო მიჩნეული აგრეთვე ზუგდიდის, ამ სახელწოდების სამთავრო-რეზიდენციის ადრინდელი მდებარეობა დღევანდელი მანცხვარკარის ტერიტორიაზე.

მ. ბროსეს ეს შეხედულება „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიის შესახებ გაიმეორეს საქართველოს ისტორიისა და სიძველეების შემდეგდროინდელმა მკვლევარებმა. პლ. იოსელიანიც „ზუგდიდს“ „ზურგისა“ და „დიდისაგან“ წარმომდგარ გეოგრაფიულ სახელად მიიჩნევდა და მას კიდევ ძველი ზუგდიდის მდებარეობის ფაქტიურ ამსახველად. პლ. იოსელიანსაც ამ შემთხვევაში მანცხვარკარი ჰქონდა მხედველობაში[3].

„ზუგდიდის“ ეტიმოლოგიას შეეხო აგრეთვე დ. ბაქრაძეც და მანაც საკუთარი გაიზიარა მის წინამორბედთა — მ. ბროსეს, პლ. იოსელიანის და სხვ. — მოსაზრება „ზუგდიდის“ „ზურგდიდისაგან“ წარმომავლობის შესახებ. დ. ბაქრაძე წერდა: „ზუგდიდი წარმოსდგა ქართული ზურგ-დიდისაგან, „დიდი ფერდობის“, ანუ სხვაგვარად, „დიდი გორასაგან“. და მართლაც, ახალი ზუგდიდის მახლობლად ბარზე, ვაკე ადგილს შორის აღმართულია დიდი გორა, და აი, მიზეზი სიტყვა ზურგდიდის ანუ ზუგდიდის წარმოქმნისა“[4].

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძე ანგარიშს არ უწევდა დიუბუას

---

[2] M. Brosset, Rapports sur un Voyage archéologigue dans la Géorgie, 1849, I, Rap. 7-e, გვ. 20.

[3] იხ. ლ. ცხაკაია, ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან, გაზ. „მებრძოლი“, 3. X. 1958.

[4] იხ. Кавказ в древних памятниках Христианства, 1875, გვ. 56.

მიერ გამოთქმულ საინტერესო მოსაზრებას და უეჭველად მიაჩნდა ზუგდიდის ზურგდიდისაგან წარმომავლობა.

მ. ბროსეს, პლ. იოსელიანისა და დ. ბაქრაძის ზემომოტანილი მოსაზრებანი მაშინაც, XIX ს. 50—70-იან წლებშიც, მაინცდამაინც ზუსტ მეცნიერულ განმარტებად არ მიაჩნდათ ქართველ მოღვაწეებს და ამიტომაც იყო, რომ ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ რაფ. ერისთავმა ეჭვი გამოთქვა ასეთ ეტიმოლოგისტთა სისწორის მიმართ, ხოლო მათი ახსნა კიდევ (ზურგდიდი — ზუგდიდი) „მეტისმეტად ნაძალადევად“ გამოაცხადა[5], მიუხედავად იმისა, რომ თვით რაფ. ერისთავიც შესაძლებლად მიიჩნევდა ძველი ზუგდიდის იმ გორაზე მდებარეობას, რომელიც დღეს მანცხვარკარის სახელითაა ცნობილი და სადაც დღემდე შემონახულია ძველი (XIII ს.) ეკლესია.

ალბათ, იმის გამო, რომ „ზუგდიდის“ ამგვარი ეტიმოლოგია სარწმუნოდ არ გამოიყურებოდა, ე. თაყაიშვილმა არ გაიმეორა იგი, თუმცა ზუგდიდის მდებარეობის შესახებ მას განსხვავებული მოსაზრება არ ჰქონია. ე. თაყაიშვილი 1913 წ. წერდა: „ძველი ზუგდიდი მომაღლო ადგილზე, გორაკზედ იყო გაშენებული, ახლა კი დაბლობზეა. ძველ ნაწილში, ვერს ნახევარზე ახალი ზუგდიდიდან, ეხლა დარჩენილია მარტო ლამაზი ძველი პატარა მაცხოვრის ეკლესია“[6]. ამასვე იმეორებდა იგი თავის ერთ-ერთ წერილში 1927 წელსაც[7]. ასე რომ, ძველი ზუგდიდის მდებარეობა გორაზე, ე. თაყაიშვილის აზრით, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, მას არ მიაჩნდა საკმარისად თვით სახელწოდება „ზუგდიდის“ წარმომავლობის ასახსნელად.

„ზუგდიდს“, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, საკმაოდ ვრცლად შეეხო ნ. მარი. პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. მარის აზრით „ზუგდიდს“ არაფერი აქვს საერთო არც „ზურგთან“ და არც „დიდთან“. ასეთი ახსნა, მისი აზრით, ქართველების მიერ ამ ტერმინის სუფიქსის „დ-ი“-ს გააზრებით. მისი ქართული „დიდის“ ნაწილად მიჩნევით არის მიღებული. ნამდვილად კი, ნ. მარის აზრით, „ზუგდიდის“ ფუძე უნდა იყოს ს უ გ, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს არქეტიპის ს გ უ-ს სახესხვაობას, მიღებულს ხმოვანთა და თანხმოვანთა ადგილმონაცვლეობით. ს გ უ კი ეთნიკური ტერმინია (ს კ უ თ უ, ს კ უ თ ა ს ფუძე ანუ მხოლოობითი რიცხვის ფორმა თავის მხრივ), რომელსაც დართული აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა „და“ და ამგვარად მიღებულია ს უ გ დ ა ანუ ს უ გ უ დ ა. რაკი საწყისი **ს** გამჟღერებით

---

5 იხ. ლ. ცხაკაიას დასახ. წერილი.

6 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, „ძველი საქართველო“, III, 1913, გვ. 193.

7 იხ. Известия Кавказского историко-арх. института, II, 1927. გვ. 62.

ქცეულა ზ-დ, ამავე დროს, მეგრული ენისათვის ჩვეულებრივი დისიმილაციით („უ-უ“ გადადის „უ-ი“-ში), ს უ გ უ დ ა ფორმას მოუცია ზუგიდ(ა)ი, ზუგიდი (ზუგდიდი)[8].

ნ. მარის ზემომოტანილი, ფრიად რთული და შორს მიმავალი ეტიმოლოგია „ზუგდიდისა“, თავისთავად ძალიან საინტერესო, მეტისმეტად ხელოვნურად გამოიყურება. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ფუძის (?) სუგ (ზუგ)-ის მიჩნევა ეთნიკურ ტერმინიდან მომდინარედ. მაგრამ მის დაკავშირებას სგუ-სთან, ჩვენი აზრით, საფუძველი ეცლება, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ზუგდიდის“ ფუძეს (?) შეადგენს არა ზ უ გ-ი, როგორც ნ. მარი ფიქრობდა, არამედ ზ უ ბ-ი, რომლის ს გ უ ს თ ა ნ დაკავშირება, ალბათ, გაძნელდებოდა.

როგორც ვხედავთ, „ზუგდიდის“ დაკავშირება ზურგ-დიდთან არც ნ. მარის მიერ არ იყო გაზიარებული. ასევე ეჭვის თვალით შეხედეს მას თავის დროზე რაფ. ერისთავმა, ე. თაყაიშვილმა და სხვებმა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ ხანებში ისევ გამოცოცხლდა ძველი მოსაზრებები და თანამედროვე მკვლევარებმა ისევ გაიმეორეს „ზუგდიდის“ „ზურგდიდისაგან“ წარმომავლობა. არქეოლოგი ნ. ხოშტარია ამის შესახებ წერდა: „ხშირია აგრეთვე სახელწოდებათა მესამე ჯგუფიც: დიხა ზურგა, ზურგანი, დიდი დიხა და ა. შ. სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, რომ თვით ზ უ გ დ ი დ ი ს სახელიც დაკავშირებული იყოს მსგავსი არქეოლოგიური ძეგლის არსებობასთან იქ, სადაც ძველ ზუგდიდს ვარაუდობენ, მანცხვარკარში: „ზურგდიდი“ — „ზუგდიდი“[9]. ასეთივე აზრი, უფრო კატეგორიული ფორმით, ნ. ხოშტარიამ გაიმეორა რამდენიმე წლის შემდეგაც: „ქალაქ ზუგდიდის სახელწოდება ასევე შეიძლება მომდინარეობდეს სიტყვა „ზურგიდან“: ზურგდიდი — ზუგდიდი (შდრ. მაგ., მთა გა-დიდი ვანის რაიონში)“[10].

ამრიგად, მკვლევართა ერთი ნაწილი (მ. ბროსე, პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ნ. ხოშტარია და სხვ.) „ზუგდიდს“ უკავშირებს „დიდ ზურგს“ და მაშასადამე, ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, როგორიცაა დიხა ზურგა, დიდი დიხა, ზურგანი და სხვ. მსგავსი. ამას გარდა, საამისო საბუთად მათ მიერ გამოყენებულია აგრეთვე ძველი ზუგდიდის მდებარეობაც, ამაღლებულ ბორცვზე, გორაზე, დღევანდელი მანცხვარკარის ტერიტორიაზე.

---

[8] Н. Я. М а р р, Термин „скиф“. Избранные работы, т. V, 1935, გვ. 31. შენ. 2.

[9] ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქ. სსრ აკადემიის „მოამბე“, ტ. V, № 2, 1944, გვ. 208.

[10] ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ურეკის არქეოლოგიური შესწავლა, „საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის მასალები“, I, 1955, გვ. 75.

უკანასკნელ წლებში გამოითქვა აგრეთვე ვარაუდი (ლ. ცხაკაიას მიერ) „ზუგდიდის“ „ზუგია“ (სასაკმევლო), „სუკთან“ (ბორცვი) და „ზუგისთან“ (სიმაგრესთან) დაკავშირების შესახებ[11]. მაგრამ ვერც ეს მოსაზრება პოულობს დასაბუთებას და საკმაოდ ხელოვნურად გამოიყურება. ყველა ზემომოტანილი ეტიმოლოგია უფრო მიმსგავსებულია „ზუგდიდის“ სახელწოდებასთან, ვიდრე დასაბუთებული.

რაც მთავარია, „ზუგდიდის“ ამგვარ ეტიმოლოგიას მხარს არ უჭერს თვით ამ გეოგრაფიული პუნქტის ადრინდელი, ისტორიული სახელი.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, ამ ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული პუნქტის ადრინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო ზ უ ბ ი. ხოლო მას შემდეგ, რაც იგი იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად, როგორც ჩანს, სხვა ამავე სახელწოდების (ზუბი) სოფლებისაგან (და ასეთი არაერთი იყო მის ირგვლივ) განსასხვავებლად დიდი ზუბი („ზ უ ბ დ ი დ ი“) ეწოდა.

მოვიტანოთ სათანადო მასალები.

ლევან II დადიანის ელჩი გაბრიელ გეგენავა რუსეთის სამეფო კარზე აცხადებდა: „А государь-де наш где живет то место словет З у б д и д и“[12].

ფედოტი ელჩინისა და პავლე ზახარევის საპასუხო ელჩობის (1639—1640 წწ.) მასალებშიც ნათქვამია: „А. начальной-де уних город, где царь леонт живет, славет Зубдиди“[13]. ასე რომ, თვით დადიანის ელჩის სიტყვით, მისი მთავრის რეზიდენციას ერქვა ზ უ ბ დ ი დ ი და არა ზუგდიდი. ამასვე ადასტურებს იმერეთის სამეფოს 1737 წ. რუკა, რომელიც შედგენილია იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ბრძანებით და გაგზავნილია მოსკოვში რუსეთის იმპერატორთან. 1937 წ. რუკაზე, დადიანის სასახლისა და ციხის (რეზიდენციის) ჩანახატს ზემოთ, ქართულად მიწერილია: „ზუბ-დიდი“[14].

სამეგრელოს (ოდიშის) მნიშვნელოვან პუნქტებთან ერთად ზ უ ბ დ ი დ ს ასახელებს გიულდენშტედტიც. აღსანიშნავია, რომ გიულდენ-

---

[11] ლ. ც ხ ა კ ა ი ა, ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან, გაზ. „შეგრძოლი“, 1958, 3, X.

[12] М. П о л и е в к т о в. Материалы по истории грузино-русских взаимо отношений, Тбилиси, 1937, გვ. 157.

[13] იქვე, გვ. 149.

[14] ЦГВИА, Ф. ВУА, № 11, შდრ. შ. ბ ე ს ა ნ ა ძ ე, ლიხთ-იმერეთის 1937 წ. რუკა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 193.

შტედტი საჭიროდ მიიჩნევს საგანგებოდ ხაზი გაუსვას, რომ ამ პუნქტს ჰქვია „ზუბდიდი“, იგი წერს: „Subdidi nicht Zugdidi“[15].

„ზუბდიდი“ ჩანს სამთავროს რეზიდენციის სახელად XVIII ს. ქართული დოკუმენტების მიხედვითაც. სოლომონ I-ის მიერ XVIII ს. 80-იან წლებში გაცემულ ორ დოკუმენტში ორივეჯერ ზუბდიდია მოხსენებული. 1778 წ. 10 იანვრის საბუთში ნათქვამია: „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისის ბატონებით შარვაშიძეები, ჯიქი ალალი (ალანი?) და ჩერქეზი და სხვანი კიდევ უცხო ჯარები იყო... ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით. ოდიში სრულიად უნდა მოეოხრებინათ. ჩვენ იმ დროს დადიანი კაცია შეერთებული გვყავდა, გვაცნობა ეს ჯარები ჩემზე მოვაო, თუ არ შემეწევით, წამახდენენო. წაველ ჯარით, მაშინვე მიველ ზ უ ბ დ ი დ ს, ისინიც ეგურის წყალს გამოსულიყვნენ“... და დავამარცხეთო[16].

ისევ ამ გამარჯვების შესახებ არის საუბარი სოლომონ I-ის მეორე სიგელში, რომელიც მან 1779 წ. უბოძა თავის ბაირახტარს ქაიხოსრო ლაშხიშვილს და სადაც ასევე ზ უ ბ დ ი დ ი ა ნახსენები: „აფხაზნი და თურქნი ურთიერთას შეითქვნენ ქრისტიანზე, ბრძოლად ხელყვეს. აქიდგან ჩვენ გავემართეთ ზუბდიდს და რუხვს შუა შევიბენით და ძალითა ღვთისითა... გავიმარჯვეთ, ესძლიეთ, გავაქციეთ, ამოვწყვიტეთ“[17].

აღსანიშნავია, რომ ზ უ ბ დ ი დ ი, როგორც გეოგრაფიული სახელი, იხმარებოდა არა მარტო XVII—XVIII სს., არამედ აგრეთვე XIX ს-შიაც, მის პირველნახევარში მაინც. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს დავით ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“, როგორც ნაბეჭდი, ასევე ვრცელი ხელნაწერი, რომელიც ამჟამად დაცულია ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხების ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში. დავით ბატონიშვილი სხვათა შორის წერდა: Егрос „построил город Егрис, называемый ныне зубдит“[18].

ამრიგად, მოტანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ დოკუმენტურ თუ ნარატიულ, რუსულ თუ უცხოურ წყაროებში, XVII—XIX სს. სამეგრელოს სამთავროს ცენტრი თითქმის ყოველთვის

---

[15] J. A. G ü l d e n s t e d t, Reisen durch Russland und in Caucasischen Gebürge, I, St. Ret., 1788, გვ. 415; შდრ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გამოსცა გ. გელაშვილმა, I, 1962, გვ. 324—325.

[16] საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1448 (226), № 3412.

[17] იქვე, ფ. 1448, № 9683.

[18] ИНА (ყოფ. ИВАН), М: 14, ფურც. 69; შდრ. Д а в и д ц а р е в и ч, Краткая история Грузии, Тифлис, 1883, გვ. 5.

წოდებულია ზუბდიდად და არა ზუგდიდად. ასე რომ, ამ შედგენილი გეოგრაფიული სახელის პირველი ნაწილი არა ზ უ რ გ ი, ს უ გ-ი ა, ზ უ გ ი ა თუ სხვა მისთანები, არამედ ზ უ ბ-ი.

უდავოა, რომ „ზუბ-დიდი“ ნაწარმოებია საკუთრივ გეოგრაფიული სახელის, „ზუბ“-ისაგან და ზედსართავ „დიდი“-საგან. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ სიტყვაწარმოებასთან, როცა ზედსართავი თან სდევს გასამარტავ სახელს და არა პირიქით. „ზუბ-დიდის“ მსგავსადაა ნაწარმოები „ჭალა-დიდი“, „ჭყონ-დიდი“ და სხვა მისთანანი; თვით ეს ფაქტი — ამ გეოგრაფიული სახელის ძველქართული წარმოება—თავისთავად მიგვითითებს ტერმინის და მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო თვით გეოგრაფიული პუნქტისა და მისი სახელის სიძველეზე.

„ზუბი“ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში საკმაოდ გავრცელებული გეოგრაფიული სახელია. დღევანდელი ზუგდიდის (ზუბდიდის) ირგვლივ, მახლობლად თუ მოშორებით, ძველად და დღესაც, არაერთი „ზუბი“ იყო და არის. მაგ., ჩხოროწყუს რაიონში არის ზ უ ბ ი ს სასოფლო საბჭო, ხობის რაიონში კი დღესაც ორი დასახლებული პუნქტია ზ უ ბ ი ს სახელწოდებით — ერთი მათგანი შედის ახალი ხიბულის სასოფლო საბჭოში, მეორე კიდევ — საჯიჯაოში. ამათ გარდა, ზ უ ბ ი ს ს ა ს ო ფ ლ ო ს ა ბ ჭ ო არის ცაგერის რაიონში. აღსანიშნავია, რომ იმერეთის 1737 წ. ქართულ რუკაზე ცაგერის ეკლესიის მახლობლად საგანგებოდ დატანილია „ზ უ ბ ი ს ც ი ხ ე“[19]. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ დავით დადიანის დროს სამეგრელოს სამთავროს რვა მაზრიდან ერთი ზ უ ბ ი ს მ ა ზ რ ი ს სახელწოდებას ატარებდა[20].

განსაკუთრებით საინტერესოა, ამავე თვალსაზრისით, დიუბუას მიერ ზუბის დაკავშირება ასეთივე გეოგრაფიულ სახელთან — ზუფუსთან. ეს კავშირიც უეჭველი ჩანს.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში საერთოდ 6 პუნქტი ყოფილა ზუბის, ზუფუს სახელწოდებით, საკუთრივ სამეგრელოში კი, თვით ზუბდიდის გარდა, სამი ზუბი იყო. ბუნებრივია თუკი, ზუბის სახელწოდების მქონე დასახლებულ პუნქტთა ასეთი სიმრავლის შემთხვევაში, ერთ მათგანს, კერძოდ იმ ზუბს, რომელიც თავიდანვე ალბათ გამოირჩეოდა მოსახლეობის სიმრავლით, მდებარეობით და სხვ., ხოლო შემდეგ მთავრის რეზიდენციადაც კი იქცა, დიდი ზუბი (ძველებური

---

[19] ЦГВИА, Ф. ВУА. № II; შდრ. შ. ბ უ რ ჯ ა ი ა ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 193.

[20] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX ს., „მიმომხილველი“, I, 1949, გვ. 29.

წარმოებით — ზუბ-დიდი) უწოდეს ყველა დანარჩენისაგან განსასხვავებლად.

მაგრამ, ზუბ-დიდი XVII საუკუნესა და შემდეგშიც, ერთადერთი სახელწოდება არ ყოფილა სამეგრელოს მთავრის რეზიდენციისა. ზოგჯერ იგი უცხოელებისა და ქართველების მიერ ზ უ გ დ ი დ ი დ ა ც იწოდებოდა. ამაში ჩვენ გვარწმუნებს ზოგი იმდროინდელი, უცხოური (კასტელის ალბომი) და ქართული (ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ დედანი და სხვა) წყარო, სადაც „ზუგდიდი“ იხსენიება.

ზ უ ბ-დ ი დ ი ს პარალელურად ზ უ გ დ ი დ ი ს გაჩენა, XVII ს-დან მაინც. ჩვენი აზრით, გამოიწვია თვით ამ ტერმინში (განსაკუთრებით ზ უ ბ შ ი) რაიმე შინაარსის ჩადების, მისი გააზრებისა და ახსნის ცდამ (ზუბის დაკავშირებამ ზურგთან და ამგვარად მასში გარკვეული შინაარსის ჩადებამ ზუბი შეცვალა ზუგ-ად). დამახასიათებელია, რომ ასეთ ახსნას აძლევდნენ ზუგდიდს, მ. ბროსეს სიტყვით, „განათლებული მეგრელები“ XIX ს. შუა წლებში.

ამას გარდა, მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქართულში მართალია ბ-ანი არ გადადის გ-ანში, მაგრამ მეტყველებაში გ-ანისა და დ-ონის (გდ-ს) მეზობლობა უფრო ასატანი, შესაწყნარებელი ჩანდა, ვიდრე ბ-ანისა და დ-ონისა (ბდ-სა). ყოველივე ამის შედეგი უნდა იყოს, რომ „ზ უ გ დ ი დ ი, განსაკუთრებით XIX ს-დან, საბოლოოდ ძლევს ზ უ ბ დ ი დ ს და ამ უკანასკნელის ადგილს იკავებს.

ცხადია, ინტერესს იწვევს თვით „ზუბის“ შინაარსისა თუ მნიშვნელობის გარკვევა: დასავლეთ საქართველოში ასე გავრცელებული ზუბ-ი, ზუფ-ი იქნებ დასავლურ-ქართული ეთნიკური ტერმინიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი იყოს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისათვის საგანგებო კვლევა-ძიება იქნებოდა საჭირო.

მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIII ს. საქართველოს ქალაქებში

(გორის ქეთხუდების საჩივარი)

საბუთი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, უკანასკნელ დრომდე, სანამ იგი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცემოდა, აკად. ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში ინახებოდა. ივ. ჯავახიშვილმა ამ დოკუმენტზე მიუთითა 1918 წ. თავის ცნობილ წერილში — „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.“[1]; მაგრამ ივ. ჯავახიშვილი მაშინ დოკუმენტის შინაარსს არსებითად არ შეხებია და ამიტომაც იგი, უკანასკნელ ხანებამდე, მკვლევართათვის უცნობი დარჩა. საბუთი კი მრავალმხრივ არის საინტერესო.

დოკუმენტი წარმოადგენს გორის მოსახლეობის მიერ ერეკლე II-ისადმი წარდგენილ საჩივარს; იგი, როგორც ადრე ივ. ჯავახიშვილმა გაკვრით აღნიშნა, შედგენილია გორის ქეთხუდების მიერ. ეს კარგად ჩანს თვით „საჩივრის“ ერთი ადგილიდან: „ამილახორს ნიხართან საქმე არა აქვს, ქეთხუდისა არის. ჩვენ ნიხრმიცემულს ჯარიმს იღებს“, ე. ი. ჩვენგან, ქეთხუდებისგან, ნიხრმიცემულებს ამილახორი აჯარიმებსო. აშკარაა. მთელი ეს საჩივარი ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლებს, ე. წ. „აღმორჩეულ მოქალაქეებს“, ანუ ქეთხუდებს შეუდგენიათ. მაგრამ ქეთხუდები ამ შემთხვევაში გამოდიან გორის მთელი მოსახლეობის სახელით, საჩივრის შინაარსი სწორედ ამაზე მიგვითითებს... და ეს არცაა გასაკვირი: ქალაქის მოსახლეობა ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ხშირად ერთიანი ფრონტით გამოდიოდა — ქალაქის მოსახლეობის ზედა და ქვედა ფენების ინტერესები ამ შემთხვევაში ერთიანდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ „საჩივარი“ შინაარსის მიხედვით მთელ მოსახლეობას ეკუთვნის, რაკი იგი ქეთხუდების მიერ არის შედგენი-

---

1 იხ. ჟურნ. „პრომეთე“, № 1, 1918, გვ. 35—61.

ლი, ჩვენ მას „გორის ქეთხუდების საჩივარი“ ვუწოდეთ. ამგვარადვე იხსენიებდა ამ დოკუმენტს ივ. ჯავახიშვილი.

„ქეთხუდების საჩივარი“ შედგენილია იესე ამილახორის გორში მოურავობის დროს. საჩივარი სწორედ მის წინააღმდეგ არის მიმართული. როგორც საბუთებიდან ირკვევა, იესე ამილახორი გორში მოურავად XVIII ს. 80—90-იან წლებში უნდა ყოფილიყო.

ერთი დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ 1795 წ. იესი ამილახვარი გარდაცვლილი იყო და გორის მოურავობა მის ძმისწულს, ოთარ ამილახორს ჰქონდა. იმავე დოკუმენტიდან ჩანს აგრეთვე, რომ ოთარ ამილახორი გორის მოურავად სწორედ იესეს შემდეგ დაინიშნა[2].

ამრიგად, „ქეთხუდების საჩივარი“ 1795 წლამდე, მის ახლო დროს, არის შედგენილი.

* * *

„გორის ქეთხუდების საჩივარი“ მრავალ საინტერესო ცნობას იძლევა XVIII ს. მიწურულის გორის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. მაგრამ იგი ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, როგორც კლასობრივი ბრძოლის ამსახველი დოკუმენტი და მხოლოდ ამ თვალსაზრისით შევეხებით მას.

ფეოდალური საქართველოს ქალაქების მმართველობა მეფეთა მიერ დანიშნული პირების ხელში იყო. ქალაქის მოხელეებს, როგორც ეს ჩვენ მიერ საგანგებოდ იქნა შესწავლილი[3], — მოურავებს, მელიქ-მამასახლისებს, ნაცვლებს და სხვებს — სამეფო ხელისუფლება ჯამაგირს კი არ აძლევდა, არამედ ამა თუ იმ ქალაქის სხვადასხვა სახის შემოსავლიდან განსაზღვრულ ნაწილს. ასე რომ, ქალაქი თვით კვებავდა მეფის მოხელეებს... ქალაქის მოხელეთა გასტუმრების ამგვარი წესი ფართო გასაქანს აძლევდა მეფის მოხელეებს თვითნებობისა და მოსახლეობის განუკითხავი ექსპლოატაციისათვის. რაც უფრო მეტი იქნებოდა ქალაქიდან მიღებული ამა თუ იმ სახის შემოსავალი, — გამოსაღებები, ჯარიმა, ბაჟი და სხვ. — მით უფრო მეტი იყო ამა თუ იმ მოხელის სარგოც, გასამრჯელოც. ამიტომაც ქალაქის შემოსავალზე მინდობილი მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე გაე-

---

2 საქ. ცენტრ. საისტორიო არქივი, ფ. 227, საბ. 758.

3 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1948, ნაკ. 26, გვ. 019—024.

ზარდათ ჯარიმების, ბაჟებისა და სხვათა რაოდენობა. ზოგჯერ კიდევ, მოხელეები საკუთარ გასამრჯელოდ მოსახლეობისაგან აშკარად მოითხოვდნენ გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ეს ამა თუ იმ დებულებით, „გარიგების წიგნით“ იყო განსაზღვრული. ასე რომ, მეფეთა მიერ ქალაქებზე გამოსაკვებად მიჩენილი პირები, ქალაქის მოურავით სათავეში, ქალაქებს უყურებდნენ როგორც პირადი გამდიდრების წყაროს, ქალაქის მოსახლეობას კიდევ როგორც ძარცვის ობიექტს.

ჩვენ არაერთი დოკუმენტი მოგვეპოვება, რომელიც ქალაქის მოხელეთა თვითნებობაზე, მათ მიერ უკანონოდ წართმეულ ჯარიმებსა თუ გამოსაღებებზე მოგვითხრობს, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენ მიერ ქვემოთ გამოქვეყნებულ დოკუმენტს.

როგორც „საჩივრიდან“ ირკვევა, ქალაქის მოსახლეობის განუკითხავი ექსპლოატაციით განსაკუთრებით თავი გამოუჩენია ქ. გორში, XVIII ს. 80—90-იან წლებში მოურავს იესე ამილახორს. მას ქ. გორში მანამდე არარსებული გამოსაღებები დაუწესებია, ზოგი კიდევ ხელოვნურად გაუზრდია. მაგ., თუკი გასამყრელო მანამდე 5 მინალთუნი იყო, დოკუმენტების სიტყვით, „ამან ჯერ თორმეტი მინალთუნი გახადა, ახლა თორმეტ თუმნათა გახადა“; ამის გარდა, ყოველ კომლს თითო ურემი შეშა ბეგარად დაადვა; მოურავი, რათა თავისი შემოსავალი გაეზარდა, მოქალაქეებს უდანაშაულოდ აჯარიმებდა და ჯარიმის სახით სამ, ზოგჯერ ხუთ თუმანს ართმევდა. იგი ამითაც არ დაკმაყოფილებულა. ქალაქის საგადასახადო დავთარი, რომელიც გადასახადის გამწერ „ამორჩეულ მოქალაქეებს“ უნდა ჰქონოდათ, მოურავს მათთვის წაურთმევია და სახლში შეუნახავს, რათა ვინც ქრთამს მოუტანდა — გადასახადი შეემცირებინა, ხოლო ვისაც მტრობდა — მოემატებინა. მოურავი ითვისებდა მოსახლეობის უფასო შრომასაც: ქალაქის ხელოსნებს უფასოდ ართევინებდა ბამბას, ფეიქრებს აქსოვინებდა, მღებრებს კი შეაღებინებდა. ამას გარდა, ქალაქის მოსახლეობა ვალდებული იყო მოურავისათვის, აგრეთვე უფასოდ, თივა მოეთიბა და საკუთარი ურმებით მისთვის მიეტანა. მოურავისაგან მოსვენება არ ჰქონდა გორელთა ხარებს, ურმებსა და მეურმეებს... მოურავს გამოსაღებები დაუწესებია ქალაქის მოსახლეობის ვენახებზე, ბაღებზე, ბოსტნებზე, ასე რომ, მოქალაქეების ვენახი, ბაღი და ჭირნახული გორელებისა კი არ იყო, არამედ მოურავისა. მოურავის თვითნებობა იქამდეც მისულა, რომ ქალაქის მოედანიც კი მოუხნავს და თავისთვის ბოსტნად გაუკეთებია. მადაგახსნილი მოურავი ამითაც არ დაკმაყოფილებულა და გორელებისათვის „ყოველ ჭირსა და ლხინზე ძღვნის“ მირთმევაც დაუკისრებია. გორის მოსახლეობას, როგორც ჩანს, განსაკუთრებით აწუხებდა ის, რომ მოძალადე მოურავი თვით გორში

იჯდა. მათი სიტყვით, არც ერთი „მოურავი აქამდე გორში არ მჯდარა“, ეს კი „თავს დაგვჯდომია“ და მთელი უბედურებაც, ანუ, როგორც საბუთშია ნათქვამი — „ჭირი“, მოურავის „აქ (გორში — შ. მ.) დგომით დაგვემართაო“, როგორც ჩანს, ქალაქის განმგებელად დანიშნული მოხელის მუდმივად ქალაქში ყოფნა მოსახლეობისათვის უბედურების, ახალ-ახალი უკანონო სათხოვრებისა და ბეგარის მომტანი იყო.

გორის მოსახლეობის ძარცვაში მოურავს, როგორც ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, თანამონაწილეებიც ჰყავდა — გორის მამასახლისი და „მოურავის ბიჭები“. ქალაქის ასე უკანონო ძარცვაში „მამასახლისი შეჰყრია მოურავს ამხანაგათა“, მოურავი „თავს დაგვჯდომია, მამასახლისი კი ბოლოსო“ — აცხადებდნენ გორელები. „მოურავის ბიჭები“ კი დუქნებს ამტვრევდნენ, მედუქნეებს იტაცებდნენ და შემდეგ თავს გამოასყიდვინებენო. მოურავმა, მამასახლისმა და მათ თანაშემწეებმა გორში ხალხი ისე ააწიოკეს, რომ „მაგათი შიშით ბაზარში ასნაფებიც (ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები — შ. მ.) ვეღარ დამდგარანო“.

ისედაც მძიმე საბატონო და სამეფო გამოსაღებებით დაბეგრილი ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა ქალაქის მოხელეთა ზემოხსენებული და სხვა მსგავსი თვითნებობანი. გორის განუკითხავად ექსპლუატირებული მოსახლეობა, ყოველივე ამის გამო, იძულებული გამხდარა მოურავის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსულიყო და ვრცელი საჩივარი, მოურავისადმი ბრალდებების წაყენებით, მეფისათვის მიერთმია.

სასამართლოში თუ მეფესთან საჩივრების წარდგენა და ამ გზით „სამართლის ძიება“ ფეოდალურ ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი პასიური ფორმა იყო. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა კლასობრივი ბრძოლის ეს ფორმა უფრო მრისხანე სახეს იღებდა და ქალაქის მოსახლეობის მასიურ, ანტიფეოდალურ გამოსვლად იქცეოდა. ასეთი იყო სწორედ გორელების ერთიანი პროტესტი თავგასული მოხელისა და დიდი ფეოდალის წინააღმდეგ.

გორელები, როგორც საბუთიდან ჩანს, ერეკლე II-ს თბილისში „ქვეყნის გაფუჭების მოსახსენებლად“ ხლებიან. ჩვენს ასეთ დიდ გასაჭირზე საჩივარი ნუ გაგიკვირდებათ — აცხადებდნენ ისინი — სხვა ქვეყნებში უბრალო საქმეებზედაც კი ჩივიან, „პეტრე ჯემწიფეს (პეტრე I — შ. მ.) ერთმა ბაყალმა სამს ჭერამზედა უჩივლაო“.

იმდენად კატეგორიული იყო გორის მოსახლეობის საჩივარი, რომ მეფე იძულებული გახდა მისთვის ყურადღება მიექცია და 1795 წ., უკვე ახალი მოურავისათვის, ოთარ ამილახორისათვის მტკიცედ განესაზღვრა უფლება, მოვალეობა და სარგო. განსაკუთრებით აღსანიშნა-

ვია, რომ 1795 წ. გორის მოურავის ახალი დებულება თვით გორის მოსახლეობის წარმომადგენლების მიერ იყო შედგენილი. გორელების მიერ წარდგენილ ახალ დებულებაზე ერეკლე II-ს წაუწერია: „ბატონო ამილახვარო, რაც გორელებს ამ არზმით ამილახვრის სარგო, განწესება თითოეულათ მოუხსენებიათ, ამას უნდა დასჯერდეო". გორის ახალი მოურავიც თავის მხრივ უმატებდა: „ჩვენ მის უმაღლესობის ოქმი რომ ვნახეთ, მის ბრძანებას დავმორჩილდით და რაც იმაში განწესება სწერია, იმას დავჯერდით". ამ მინაწერს ქვემოთ მოსდევს გორელების მიერ შედგენილი ახალი დებულება, რომლის ჩვენთვის ცნობილი პირიც, სამწუხაროდ, ისეა დაზიანებული (ტექსტის ერთი ნახევარი მოხეულია), რომ მისი სისრულით აღდგენა შეუძლებელი ხდება. გადარჩენილი ნაწილიც კი აშკარად მეტყველებს, რომ ახალი დებულება საგრძნობლად ზღუდავდა გორის მოურავის უფლებას და სარგოს და აფართოებდა ქეთხუდების როლს საქალაქო მმართველობაში.

გორელებმა ახალ მოურავს პირობაც დაადებინეს: „იმის გარდა, რაც ეს წერილი დაგვიდვია, ამის მეტი ჩემი სამოურაო გორში არა მოვიმოქმედო რა; ჩვენი ოჯახისა და თქვენი ოჯახების მშვიდობისათვის მოგეცით ეს წერილი; დღეს და დღეის იქით არა ჩვენ და არა თქვენ ამაზედ მეტნაკლებობა არა მოვინდომოთ რა. თუ რომელმაც ამაზე ნაკლები მოვინდომოთ, ღვთისაც და ჯელმწიფისაც წინააღმდეგი იქნება"[4].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ქალაქის მოსახლეობის ანტიფეოდალური გამოსვლა საჩივრებითა და პროტესტებით ზოგჯერ ისე მწვავე და მასიურ ხასიათს იღებდა, რომ სამეფო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა მისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. გორელების ერთიანი გამოსვლა, ქალაქის მსხვილი ვაჭრების, მოსახლეობის ზედაფენების მეთაურობით, როგორც ჩანს, გამარჯვებით დამთავრდა. მეფე იძულებული გახდა თავისი მოხელე, ძლიერი ფეოდალი თვით მოქალაქეთა მიერ შედგენილი „გარიგების წიგნისათვის" დაემორჩილებინა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქალაქის მოსახლეობის ამგვარი ანტიფეოდალური გამოსვლები ფეოდალური საქართველოს ქალაქებში ისე ხშირ და საშიშ სახეს იღებდა, რომ თვით მეფეც „ვერ ბედავდა" „ქვეყნის დაუკითხავად" ქალაქზე ახალი გადასახადები გაეწერა. გორელები მეფეს სხვათა შორის წერდნენ: თქვენ როცა გინდოდათ „ქვე-

---

4 საქ. ცენტრ. საისტ. არქივი, ფ. 227, საბ. № 758.

ყნის შესამატად და მტრის დასაწყნარებლად სალეკო“ გამოსაღები გაგეწერათ, „რამდენი ხანი ამის მასლათი ქართლისა და კახეთის ბერთან და დარბაისელთან გქონდათ... რომ თითქმის ვერც კი ბედამდით, რომ ერთი რამ არაფერი შესაწუხარი“ ქალაქის მოსახლეობას არ შემთხვეოდა და ეს ამილახვარი ვინღა არის, „ამდენი უდები რომ დაგვდვაო“.

1795 წ. შედგენილი ახალი „სამოურაო დებულებიდან“ ირკვევა, რომ გორელების ეს ანტიფეოდალური გამოსვლა ერთადერთი არ იყო, გორელები ადრეც ამხედრებულან ქალაქის ფეოდალური მოხელეების წინააღმდეგ: ქართლში ერეკლე I-ის მეფობის დროსაც (1688—1703) გორის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მოურავის თვითნებობით შეეიწროებული, თბილისს „პირველს მეფე ერეკლესთან ჩასულან და უჩივლიათ“. ამ შემთხვევაშიც, ერეკლე I იძულებული გამხდარა მოურავის ყველა ძველი „დებულებანი“, რომლის ძალითაც გორის მოურავი მოქმედებდა, „დაეყენებინა“, გაეუქმებინა და „სხვა ახალი განჩინება“ მიეცა. ეს ახალი განჩინება შედარებით ხელსაყრელი ყოფილა ქალაქის მოსახლეობისათვის და ამიტომაც გორელები, მათი ხელმეორედ გამოსვლის დროს, XVIII ს. 90-იან წლებშიც, მის ისევ განახლებას მოითხოვდნენ. მაგრამ. ერეკლე I მიერ დადგენილი ახალი დებულება გორის შემდეგდროინდელ მოურავებს, რაკი მათ უფლებასა და გაზრდილ მადას შესამჩნევად ზღუდავდა, გადაუმალავთ და ერეკლე II-ის მეფობის დროს, თუმცა მეფე მის დაუყოვნებლივ მოძებნას ბრძანებდა, არ გამოუჩენიათ; ერეკლე II 1795 წ. თებერვლის პირველს წერდა: „მაგრამ რომელიც პაპის ჩვენის მეფე ერეკლისაგან განწესების წიგნი არის, თუ ის წიგნი არ გამოჩნდა არას გზით არ იქნება, ის უნდა გამოაჩინონ; თუ ის წიგნი არ გამოაჩინეს, ამ განწესებას აღარ მივსცემთ, კიდეც მოუშლით. ასე იცოდეს — ამილახვარის ოჯახში უნდა იპოვნოს ეს წიგნი, რათ უნდა დაიკარგოს ის. ძველი წიგნები, რომელიც ყოფილა, ჩვენ უნდა გვიჩვენონ. სამი — ოთხი ოჯახი არის ამილახვრიანთი და იმათ ოჯახებში იქნება, უნდა რომ იპოვნონ და მოგვართვან, გავშინჯოთ და გავასწოროთ ის საქმე“[5]. მიუხედავად ამ ბრძანებისა, ოთარ ამილახვარი ირწმუნებოდა — „მეფის ერეკლისაგან ბოძებული წიგნი არ გვქონდა რომ გამოგვეტანაო“[6]. როგორც ჩანს, გორის მოურავებს გორის მოსახლეობის ბრძოლით მოპოვებული ეს წიგნი მოუსპიათ და ქალაქის მოსახლეობის ძარცვისათვის ძველებურად

---

5 საქ. ცენტრ. საისტ. არქივი, ფ. 227, № 758.

6 იქვე.

ისევ ხელი მიუყვიათ. ყოველივე ამან კი გორის მოსახლეობის ახალი მასობრივი გამოსვლები გამოიწვია. ამის ერთი, ჩვენთვის ცნობილი, შედეგი იყო გორის ქეთხუდების ის საჩივარი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ[7].

* * *

„გორის ქეთხუდების საჩივარი“ დაწერილია 14 1/2 × 172 სმ ზომის ქაღალდის გრაგნილზე XVIII ს. გაკრული მხედრულით[8]. სასვენ ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ერთი წერტილი იხმარება, რაც ჩვენ არ დაგვიტოვებია — სასვენი ნიშნები ჩვენ დავსვით. ძეგლის ენა კი უცვლელად დავტოვეთ: გავასწორეთ მხოლოდ აშკარა, „კალმის შეცდომები“, რაც მრგვალ ფრჩხილებში ჩავსვით. „საჩივრის“ პირველი ხუთი სტრიქონი საგრძნობლად დაზიანებულია. ჩვენ მიერ აღდგენილი ადგილები, ამ და სხვა სტრიქონებში კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული.

ძეგლის ენას ახასიათებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ა-მეტობა“: „გავდებია“, „დაგომა“, „მოგავიხასენებია“ და მისთანანი; ამათ გარდა, ტექსტში „ბრძანეთ“-ის მაგივრად ყველგან წერია „ბაძნეთ“. ყველა ეს ჩვენ მიერ გასწორებულია, მაგრამ სქოლიოში მითითებულია ის ადგილები, სადაც „ა-მეტობასთან“ თუ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე.

გორის ქეთხუდების საჩივარი ერეკლე II-ს

ქ. ჩვენს მოწყალეს ჯელმწიფეს [მ]ოვახსენებ. მრავალჯერ მოგახსენე[თ] [ჩვენი] დაჭირება ამილახორისაგან, მაგრამ თქვენ]ი[მოუცლელობით პასუხი არ მოგვეცა.

ჯ. პირველის ეს — რამდენიმე ამილახვარი ყოფილა, მაგრამ არა ამილახვარი გორში არ მჯდარა.

ქ. მეორე ესა არს — ამილახვარს ეს ქვეყანა ასრე უდებით არ გაუბეგრავს.

ქ. მესამე ესა — ეს კაცი რომ უშვილო გახლავთ მოსულა, ქაიხოსროს შვილებისათვის საბოლოს აკეთებს, [უ]მართლობით გვბეგრავს.

---

7 აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საჩივრებით მასიური გამოხვლები არ ყოფილა ფეოდალური საქართველოს ქალაქებში კლასობრივი ბრძოლის ერთადერთი ფორმა, მაგრამ ამაზე ჩვენ საგანგებოდ სხვაგან შევჩერდებით.

8 ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმი, ფ.: 7120.

ქ. მეოთხე — ჩვენც ვალი გვაქვს თქვენის ჯელმწიფობისა. პირველი თქვენი შვილების საბოლოვო მოგახსენოთ, რომ ეს ქვეყანა არ გაფუჭდესთ. მასუკან ჩვენის შვილების ვალიც გვაქვს, რომ უსამართლო უდებით არ დაგვეკარგნენ.

ქ. მეხუთეს ამას მოგახსენებთ — ჩვენი მოურაობა რომ მისცემიათ, ეს ქვეყანა რომელს გაუბეგრავს ასე.

ქ. მეექვსე ესა, — ღმერთმან[9] განაძლიეროს თქვე[ნი] ჯელმწიფობა, — ამ თქვენს დროში ამათი ოთხი ამილახვარი მჯდარა:

ქ. გივი ამილახვარი,

ქ. ამირინდო ამილახვარი,

ქ. რევაზ ამილახორი,

ქ. ეს იასე ამილახორი.

ამ ამილახორის წინ ეს სამი ამილახვარი მჯდარა. მოკითხული ბძანეთ[10], რაც ამის ქვეით მოგვიხსენებია[11], ვის დროს გვდებია[12] და ან ვის გაუგონია, რაც ამან თავის ძალითა არ გვიყო:

ქ. პირველი — გორში დგომა[13], რომ ერთი თავს დაგვჯდომია და მეორე ბოლოს.

ქ. მეორე — საღავითის დადება.

ქ. მესამე — ახალწლის შაქარი.

ქ. მეოთხე — საჩექმე.

ქ. მეხუთე — გასამყრელო ხუთი მინალთუნი გვაძე(ს); ამან ჯერ თორმეტი მინალთუნი გახადა, ახლა თორმეტ თუმნათა გახადა.

ქ. მექვსე — კომლზე[14] თითო ურემი შეშას დადება, იასაულით გვ[ა]ზიდვინებს.

ქ. მეშვიდე — შარითა და უსამართლოთაი და 'შარით (sic) ჯარიმის რთმევა ხუთ თუმნობით და სამ თუმნობითა.

ქ. მერვე — მესანთლების ლიტრობით სანთელი[ს] წართმევა ყოველწლივა.

ქ. მეცხრე — საპალნეზე ღვინის ბაჟის დადება.

ქ. მეათე — გორის დავთრის წართმევა, შინ დადება. ქრთამს აიღებს — მოუკლებს[15] და ვისიც მტრობა უნდა — მოუმატებს.

---

9 დედანშია ქარაგმით — „ღ თნ“.
10 დედანშია — „ბაძნევ“.
11 დედანშია — „მოგავიხასენებია“.
12 დედანშია — „გავდებია“.
13 დედანშია — „დაგომა“.
14 დედანშია — „კომბლზე“.
15 დედანშია — „მოუკალებს“

ქ. მეთერთმეტე — გლეხიკაცის ჯარიმა რომ ბოგანოზედ არ არის.

ქ. მეთორმეტე — ამილახორს ნიხრთან საქმე არა აქვს, ქეთხუდისა არის; ჩვე[ნ] ნიხრმოცემულს ჯარიმას იღებს.

ქ. მეცამეტე — ვინც ბაზარში უამასოთ ორაგულს გასჭრის, თუმნის ჯარიმის წართმევა.

ქ. მეთოთხმეტე[16] — ბამბის დართვა, ფეიქრების ნართის შეყრა[17] და მუქთათ მოქსოვა და შეწითლების მუქთათ შეღება.

ქ. მეთხუთმეტე — ყოველწლივ კონის ჩადგმა[18] თავისთვინ.

ქ. მეთექვსმეტე — ყოველწლივ ჩვენი ჩაყრილი ოჩახების ჩახრეკა, რომ ეხლა ოთხაბაზ[ა]თ თევზი იყიდება.

ქ. მეჩვიდმეტე — მეიდნის მოხვნა და ბოსტანთ გაკეთება, რომ ჩვენი საქონელი მეიდანზე ვეღარ გადის.

ქ. მეთვრამეტე — ხორაგზე ბაჟის დადება ახალციხიდამ და იმერეთიდამ მოსულის.

ქ. მეცხრამეტე — ჩვენი გათიბული თივების ზიდვა ურმებითა[19].

ქ. მეოცე — ვენახი არ არის ჩვენი, ბაღი და ბოსტანი და ჭირნახული მუდამ.

ქ. ჩვენს ცხენებს მოიტაცებენ და თვითა ჰყავთ, რომ იმათ ხელში კვიცებს[20] იგებენ და ისე ძლივ ვართმევთ ამათ ბიჭებს.

ქ. კალოებზე თითო ურემი ბზეს გვართმევს.

ქ. მუდამ წელიწადს ხარს არა აქვს მოსვენება, ურემსა და გლეხს[21] კაცსა წყალის დაწყვეტაზედ.

ქ. ამისი ბიჭები დუქნებს ამტვრევენ, შენს სახასო კაცს იტაცებენ[22] ტყუილათ[23] და ჯარიმისთვინ თავს ასყიდვინებენ.

ქ. ყოველწლივ თქვენს იჯარადარს, ვინც იქნებიან, სარგოს გარდა ზოგს ორ თუმანს ართმევს, მეტსა, ზოგს სამსა.

ქ. თქვენი სახასობის სიგლეხისა და ოქმების წართმევა.

ქ. ჭირსა და ლხინზე ძღვნის დადება.

ქ. მაგათი შიშით ბაზარში ასნაფებიც ვეღარ დამდგარან.

---

16 დედანშია — „მეთოთხამეტე".
17 დედანშია — „შეყარა".
18 დედანშია — „ჩადგამა".
19 დედანშია — „ურამებითა".
20 დედანშია — „კავიცებს".
21 დედანშია — „გლეხას".
22 დედანშია — „იტნებენ".
23 დედანშია — „ტყაუილათ".

ქ. ჩვენ კიდევ ამას მოგახსენებთ[24], თქვენს მეფობაში რამდენი ამილახორი გხლებიათ და რამდენიმე მამასახლისი, ამ ქვეყანის ასე გაბეგვრაზედ რომელი მამასახლისი შეჰყრია მოურავს ამხანაკათა.

ქ. თუ ტყუულს[25] მოგახსენებთ, თავის სარგოს გარდა ამდენი უდები რომ ამილახორს გაუჩენია და ნება, ახლა თქვენ უბრძანეთ[26] მამასახლისსა — თქვენ რაღა გამსახუროთ ეს ქვეყანა.

ქ. ჩვენო მოწყალევ, დაჭირებული კაცი ღმერთს[27] შესცოდამს, მოხსენებისათვის[28] ნუ გაგვიწყრებით[29] — პეტრე ჯემწიფეს ერთმა ბაყალმა სამს ჭერამზედ უჩივლა.

ქ. ახლა ამ შენის ქვეყანის გაფუჭებას მოვსულვართ და სამართლით[ვი]ნ ვჩივით.

ქ. ამისთვის თქვენს უმაღლესობას ბევრჯერ უბრძანებია[30]: მე თქვენი მოვლის ვალი მაქვს და თქვენ — სამსახურისა.

ქ. ჩვენო მოწყალევ, ეგების თქვენს საკადრისთ ვერ გვემსახუროს ამის მიზეზით, რომ ეს ჭირი თქვენ შეუტყობრივ გჭირებია. როდესაც ჭალასა[31] მდგარა ამილახორი, ამდენს მოსახსენებელში არც ერთი არ გვჭირებია, ამათი აქ დგომით დაგვემართა.

ქ. მოგახსენებთ, რევაზ ამილახორი ლეკის მიზეზით ცოტას ხანს ამ ქვეყანას ხიზნათ გახლდათ. ახლა, ღმერთმან[32] განძლიეროს თქვენი ჯელმწიფობა, თქვენის დოვლათით[33] ორმოცის წლის ხარაბა სოფლები აშენდა და ყველა თავის ალაგას წავიდა და ამათგან კი არა გვეშველა რა. წყალობას ვითხოვთ — ამისი სამართალი გვეღირსოს.

ქ. ჩვენო მოწყალევ, ღმერთმან განგაძლიეროსთ, თქვენ რომ ქვეყანის შესამატათა და მტრის დასაწყნარებლათ, სალეკო ოცდა ათი შაური და კოდნახევარი პური დაზდევით, რომ არ დებულიყო რამდე-

---

24 დედანშია — „მოგახასენებთ“.
25 დედანშია — „ტყაულს“.
26 დედანშია — „უბაძნეთ“.
27 დედანშია ქარაგმით — „ღ̄თს“.
28 დედანშია — „მოხასენებისათვის“.
29 დედანშია — „გაგვიწყარებით“.
30 დედანშია — „უბავნებია“.
31 დედანშია — „ჭალს“.
32 დედანშია ქარაგმით — „ღ̄თნ“.
33 დედანშია — „დაოვლთით“.

ნიმე ხანი ამის მასლათი ქართლისა და კახეთის ბერთან და დარბაი-სელთან გქონდათ ამისი მასლათი (sic), რომ თითქმის[34] ვერც კი ბე-დამდით, რომ ერთი რამ არაფერი შესაწუხარია და ქვეყანაზედაც[35] არის. ახლა ამ ამილახორმა ამდენი უდები რომ დაგვდვა, ვისი მასლა-თით დაგვდვა და ან ვის შესამატარა — ეს მოგახსენოსთ[36].

ქ. შენს მოწყალებას ვევედრებით, რომ ჩვენი საჩივარი მოიხსე-ნიოთ და ღმრთიული[37] სამართალი გვღირსოთ.

---

34 დედანშია — „თითქამის".
35 დედანშია — „ქაევეყანაზედაც".
36 დედანშია — „მოგახასენოსთ".
37 დედანშია ქარაგმით — „ღთიული".

ისევ ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიის შესახებ

(პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის შენიშვნების გამო)

პროფ. ალ. ფირცხალაიშვილმა ზემოთ დაბეჭდილ სტატიაში — „შენიშვნები შ. მესხიას წერილებზე“ — ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები აღძრა და გააკრიტიკა ჩვენ მიერ სხვადასხვა წერილში წამოყენებული ზოგი მოსაზრება.

პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის პირველი შენიშვნა შეეხება საკითხს — ქართლ-კახეთის სამეფოში ამქრის უსტაბაშს ამქრის წევრები ირჩევდნენ, თუ იგი სამეფო ხელისუფლების მიერ ინიშნებოდა?

ჩემ მიერ გამოქვეყნებული „მასალების“ შესავალ წერილში, რომელსაც პატივცემული პროფესორი იმოწმებს, ამ საკითხს საგანგებოდ არ შევხებივარ და მოკლედ შენიშნული მაქვს: „ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართულ წყაროებს გაუცნობელ მკვლევართა... და აღმწერელთა გავლენით გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ თბილისში ამქრის უსტაბაშს „ამქრის წევრთა საზოგადო კრება“... ან კიდევ „ამირის სრულუფლებიანი წევრების საერთო კრება“... ირჩევდა. ამ მოსაზრებათა წინააღმდეგ ლაპარაკობს „მასალებში“ გამოქვეყნებული გიორგი XII-ის 1799 წ. და 1800 წ. ბრძანებები ბაზაზბაშისა და მეწვრილმანეების უსტაბაშის დანიშვნის შესახებ“ („მასალები“... გვ. 034).

ეს დასკვნა პროფ. ალ. ფირცხალაიშვილს არასწორად მიაჩნია და საამისოდ რამდენიმე მოსაზრება წარმოადგინა:

1. პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის აზრით, რაკი ამქარი ძირითადად ხელოსანთა ორგანიზაცია იყო, ვაჭართა ამქრის შესახებ მასალები ქართული ამქრული ორგანიზაციების შესასწავლად შეუძლებელია გამოვიყენოთ.

პატივცემული პროფესორის ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

ქართული ამქრული გაერთიანებები თავისი წარმოშობის მიზეზებით საგრძნობლად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის მსგავს ორგანიზაციებისაგან[1]. ქართული ამქრული გაერთიანების წარმოშობის საფუძველი იყო არა მარტო ხელოსნობა, არამედ ქალაქის მოსახლეობის საქმიანობა საერთოდ. ამიტომაც, ქართული ამქარი მხოლოდ ხელოსანთა ორგანიზაცია არასოდეს ყოფილა. ამქარში, კერძოდ, თბილისში, ერთიანდებოდნენ არა მარტო ხელოსნები და ვაჭრები, ცალკეული დარგების მიხედვით, არამედ სხვა საქმიანობის მიმდევარნიც, მაგ., მუშები, ექიმები, მემუსიკენი, მებალახეები, მათხოვრებიც კი და სხვა საქმიანობის წარმომადგენლებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. მსგავსი მოვლენა დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისთვისაც. მაგ., ოსმალებში, XVII ს., ასნაფებში გაერთიანებულნი იყვნენ არა მარტო ხელოსნები და ვაჭრები, არამედ ისეთი პირებიც, რომელთაც ქალაქის მეურნეობასთან უშუალო კავშირი არ ჰქონდათ, მაგრამ ქალაქის მოსახლეობას სხვადასხვაგვარ სამსახურს უწევდნენ. ასე რომ, ყოველი მამაკაცი, პროფესიული ნიშნის მიხედვით, გაერთიანებული იყო ცალკე ორგანიზაციაში[2]. ასევე იყო, შარდენის ცნობით, სპარსეთის ქალაქებში, შუა აზიის ამქრებში და სხვა[3].

ამგვარად, ვაჭართა ამქრებში გაერთიანება, საქართველოს (ასევე სხვა ქვეყნების) ამქრული ორგანიზაციების ისტორიაში, შემთხვევით და მიბაძვით წარმოშობილი კი არ არის, როგორც პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი ფიქრობს, არამედ ქართული ამქრული ორგანიზაციისათვის სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ასე რომ, ვაჭართა ამქარი ისევე დამახასიათებელია ამქრული ორგანიზაციებისათვის საქართველოში, როგორც ხელოსანთა ამქარი. მაშასადამე, თუ ჩვენ გვსურს შევისწავლოთ ქართული ამქრული ორგანიზაციები, მათი ბუნება და ისტორია, ცხადია, უნდა გამოვიყენოთ არა მარტო ხელოსნური ორგანიზაციების, არამედ ვაჭართა ამქრების შესახები მასალებიც. ამიტომაც ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს, გიორგი მეფის ბრძანებებს შა-

---

1 ქართული ამქრების ამგვარი ნიშნების შესახებ მიუთითებდნენ ე. ვაიდანბაუმი (იხ. მისი „Путеводитель", გვ. 113), ნ. დუნკელ-ველინგი (იხ. მისი „Статист. опис г. Тифлиса", გ. 57). ი. ახვერდოვი და ქართული ამქრის სხვა შემსწავლელნიც.

2 А. А. Аджян, Рем. пром. Константинополя в перв. пол. XVII в., тезисы, с. 4—5; В. Гарбузова, Эвлия Челеби о стамбульских ювелирах XVII в., Труды отдела Востока, гос. Эрмитаж, т. III, с. 318.

3 М. Гаврилов. О рем. цехах Средней Азии, ИСАК, в. III, 1928, с. 225.

ზაზბაშისა და მეწვრილმანეების უსტაბაშის დანიშვნის შესახებ, ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება ამქრული ორგანიზაციების შესასწავლად, როგორიც მსგავს მასალას ხელოსანთა ამქრების შესახებ.

ცხადია, ჩემ მიერ წამოყენებული მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს ამქრის უსტაბაში მეფეთა მიერ ინიშნებოდა, მოტანილია არა ერთი დოკუმენტი, როგორც პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი შეგვნიშნავს, არამედ ჯერჯერობით მოპოვებული მხოლოდ ორი საბუთი. იქნებ ეს ორი უტყუარი დოკუმენტი, ამ მოსაზრების დასადასტურებლად, საკმარისი არ იყოს — ეს სხვა საქმეა; მაგრამ ისეთი ავტორის წინააღმდეგ, რომელსაც რაიმე საბუთი სრულებით არ მოეპოვება და მხოლოდ ზოგადი ხასიათის მოსაზრებებიდან გამოდის, ორიოდე საბუთიც კი საკმარისი ჩანს.

2. პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის წარმოდგენით ამქარი, „როგორც ყველა სხვა ფეოდალური ინსტიტუტი, შინაგანი მმართველობის იმუნიტეტით სარგებლობდა, მაშასადამე, უსტაბაშის დანიშვნაც მისი საქმე იყო". მეფის მიერ უსტაბაშის დანიშვნა ამ იმუნიტეტის დარღვევა იქნებოდა (გვ. 484).

ამჟამად არას ვამბობ იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია პატივცემული პროფესორის ზოგადი განცხადება, რომ „ყველა ფეოდალური ინსტიტუტი შინაგანი მმართველობის იმუნიტეტით სარგებლობდა". აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხელოსანთა თუ ვაჭართა ამქრულმა ორგანიზაციებმა, განვითარების გარკვეულ საფეხურზე, მართლაც რომ „შინაგანი მმართველობის იმუნიტეტი" დაკარგეს. ამაში ჩვენ ფეოდალური საქართველოს საქალაქო ცხოვრების განვითარების შესწავლა გვარწმუნებს.

ფეოდალური არისტოკრატიისა და მოქალაქეთა ზედაფენის ინტერესთა ერთიანობამ X—XIII სს. საქართველოს ქალაქები ფეოდალურ არისტოკრატიას დაუმორჩილა. საქართველოს ყველა ქალაქი ან მეფეს ეკუთვნოდა, ან კიდევ სხვა დიდებულს. საქალაქო მმართველობაც, ძირითადად, მეფის თუ დიდებულთა მიერ დანიშნულ მოხელეებს ეპყრათ. საქართველოში არ არსებობდა ე. წ. „თავისუფალი ქალაქი", ან „ქალაქი-რესპუბლიკა"[4]. თბილისის შემოერთების შემდეგ (1122 წ.) მოქალაქეთა წარმომადგენლების — „ქალაქის ბერების" (უხუცესების) — ხელისუფლება თანდათან შეიზღუდა და მალე გაქრა კიდევაც.

ფეოდალური არისტოკრატიის საქართველოს ქალაქებზე გაბატონება კიდევ უფრო აშკარა გახდა გვიანფეოდალურ ხანაში. ამიერიდან მოქალაქეთა ხელისუფლების წარმომადგენელიც — ქალაქის მამასახ-

---

4 ამ საკითხზე საგანგებოდ იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ქალაქების სოციალური ისტორიიდან.

ლისიცა და მელიქიც — მეფის მიერ ინიშნებოდა. ამრიგად, ქალაქი, მისი მმართველობა მეფის ხელისუფლებას დაექვემდებარა. მაგრამ სამეფო ხელისუფლება ამითაც არ დაკმაყოფილდა: ის მოქალაქეთა ისეთ გაერთიანებათა დამორჩილებასაც ცდილობდა, რომელიც, კ. მ ა რ ქ ს ი ს სიტყვით, „გაერთიანებული თავადაზნაურობის წინააღმდეგ“ საბრძოლველად იყო წარმოშობილი. ასეთ ორგანიზაციებს ადრე ამქრები წარმოადგენდნენ. სამეფო ხელისუფლება ამქრულ ორგანიზაციათა საქმიანობაშიც აქტიურად ჩაერია და ამიერიდან ამქრისთავებიც კი ან მეფეთა მიერ ინიშნებოდნენ, ან კიდევ ამქრის მიერ შერჩეული კანდიდატი ქალაქის დიდმოხელეთა (ქალაქის მოურავი და მამასახლისი) მიერ მტკიცდებოდა. ამას ჩვენ მიერ ადრე მოტანილი საბუთები (რომელთაც აქ არ გავიმეორებთ) სავსებით ადასტურებენ[5].

ამგვარად, თავის დროზე „გაერთიანებული თავადაზნაურობის წინააღმდეგ“ წარმოშობილი ორგანიზაცია — ამქარი — თვით თავადაზნაურობის ინტერესებს დაექვემდებარა, რაც გვიანფეოდალურ საქართველოში ამქრული ორგანიზაციების პირვანდელი სახის და შინაარსის გადაგვარებაზე მიგვითითებს.

აი, რა მოსაზრებიდან გამოვდიოდი, როცა XVIII ს. ქართლ-კახეთის სამეფოში ამქრის „შინაგანი მმართველობის იმუნიტეტის“ არარსებობის შესახებ ვლაპარაკობდი, აი, თუ როგორ და რატომ დაკარგა ამქარმა „შინაგანი მმართველობის იმუნიტეტი“.

პროფ. ალ. ფირცხალაიშვილს კარგად მოეხსენება, რომ გვიანფეოდალური საქართველო, ამ თვალსაზრისითაც, ერთადერთი არ ყოფილა. ჯერ კიდევ პროფ. ს. ეგიაზაროვმა, შარდენის ცნობებზე დაყრდნობით, სავსებით სამართლიანად მიუთითა, რომ XVII ს. სპარსეთის ქალაქებში ამქრის თავები თვით შაჰის მიერ ინიშნებოდნენ[6].

4. პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი მიგვითითებს: ამქრის უსტაბაშები ირჩეოდნენ XIX ს., მაშინ, როცა ცარიზმის მიერ ამქარი ყოველნაირად შევიწროებული იყო; ქართველი მეფეების დროს, როცა ამქარს უფრო მეტი გასაქანი ჰქონდა, ცხადია, იგი უსტაბაშის არჩევაში უფრო თავისუფალი იქნებოდაო (იხ. გვ. 484).

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, საქართველოს ფეოდალური ჩიხიდან გამოსვლის მეტი შესაძლებლობა შეუქმნა. სამეფო ხელისუფლების გაუქმებამ საქართველოს ქალაქებზე ფეოდალური არისტო-

---

5 იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1949, გვ. 141—145. ამ წერილს პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი რატომღაც არ შეეხო.

6 С. Е г и а з а р о в, Городские цехи, ЗКОИРГО, кн. XIV, вып. 2, с. 268. შდრ. იქვე, შენიშვნა 4.

კრატიის ბატონობა შეარყია... ამქრულმა ორგანიზაციებმაც თავიანთი „მმართველობის იმუნიტეტი“, ასე თუ ისე, აღიდგინეს — XIX ს. მთელ სიგრძეზე ამქრისთავებს თვით ამქარი ირჩევდა. ასე რომ, წინააღმდეგ პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის მოსაზრებისა, XIX ს. პირველ ნახევარში, ქართულ ამქრებს, „მმართველობის იმუნიტეტის“ თვალსაზრისით, უფრო მეტი გასაქანი ჰქონდათ, ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს.

მე აზრად არ მომსვლია მემტკიცებინა, რომ XIX ს. საქართველოში ამქრისთავი ინიშნებოდა. როცა ქართველ მეფეთა ხელისუფლება არ არსებობდა, ამქრისთავს ქართლ-კახეთის მეფე ვერ დანიშნავდა. ჩემ მიერ მოტანილი საბუთები XVIII ს. მიწურულს შეეხება და არა XIX საუკუნეს. ასე რომ, პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის მიერ ჩემ წინააღმდეგ მოშველიებული 1847 წ. საბუთი — ღვინით მოვაჭრეთა შუამდგომლობა ამქრის უსტაბაშის არჩევის უ ფ ლ ე ბ ი ს (ისიც არჩევის უფლების!) მიღების შესახებ — თავის ძირითად მიზანს ცდება.

პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის მეორე შენიშვნა ქართული ამქრის წესდებების (სტატუტების) არსებობას შეეხება. ადრე პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი უარყოფდა ამგვარი წესდების არსებობას. ჩემ მიერ „მასალებში“ გამოქვეყნებული მეწვრილმანეთა ამქრის „პირობის წიგნი“ ამ თვალსაზრისით მას არ აკმაყოფილებს, რადგან ის ვაჭართა (მეწვრილმანეთა) ამქრის წესდებაა, და არა ხელოსანთა. ამას გარდა, იმიტომაც, რომ „ეს „პირობის წიგნი“ არ შეიცავს მთელ რიგ ცნობებს, ამქარს რომ მოეთხოვება“.

უკვე ზემოთ მივუთითეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ვაჭართა ამქარის შესახებ მასალებს ქართული ამქრული ორგანიზაციების შესასწავლად და ამიტომ პატივცემული პროფესორის ამ შენიშვნაზე ხელახლა ვერ შევჩერდებით. რაც შეეხება იმას, რომ მეწვრილმანეთა ამქრის წესდება „არ შეიცავს მთელ რიგ ცნობებს, ამქარს რომ მოეთხოვება“, ეს არ შეიძლება მისი გამომცემლის ბრალი იყოს. ჩვენ ვერც მეწვრილმანეთა ამქარს ვუსაყვედურებთ ამას, იმ ორგანიზაციას, რომელმაც თორმეტმუხლიანი წესდება შემოგვინახა და ამით შესაძლებლობა მოგვცა საბოლოოდ უკუგვეგდო პროფ. ალ. ფირცხალაიშვილისა და სხვების არასწორი ვარაუდი ქართულ ამქართა ჩაწერილი სტატუტების არარსებობის შესახებ.

ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქმე არც ისეა, როგორც პატივცემული პროფესორი წარმოგვიდგენს. ამქრის წესდების 12 მუხლში მოკლედ გადმოცემულია ამქრის ეკონომიკური ინტერესები, იურიდიული და საყოფაცხოვრებო მხარეები. არც ამქრის წევრთა უფლება-მოვალეობაა მივიწყებული...

ამ საკითხზე კამათს არ გავაგრძელებთ; მხოლოდ პროფ. ალ. ფირცხალაიშვილს შევახსენებთ ჩემ მიერ გამოქვეყნებულ მეორე დოკუმენტს: ქუთაისელ მეპურეთა ამქრის წესდებას, რომელიც ქართული ამქრების ძველი ტრადიციების მიხედვით, „ამქართა შევიწროების დროს", 1871 წ. არის შედგენილი[7].

ამრიგად, დავა საკითხზე — არსებობდა თუ არა ქართული ამქრების ჩაწერილი სტატუტები — გადაწყვეტილად უნდა მივიჩნიოთ: ჯერჯერობით ორი ამგვარი წესდება მოგვეპოვება[8]. საარქივო მასალებზე შემდგომი მუშაობა კი ახალ დოკუმენტებსაც შეგვძენს და უსაფუძვლო ეჭვსაც საბოლოოდ გაფანტავს.

პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის შემდეგი შენიშვნები შეეხება ჩემს წერილს — „ქარგლობის ინსტიტუტის საკითხისათვის გვიანფეოდალური ხანის ქართულ ამქარში"[9].

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წერილზე პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის შენიშვნები არც ისე ნათელია. ამას გარდა, პატივცემული პროფესორი, ხშირ შემთხვევაში, სრულიად დაუმსახურებლად, მომაწერს ისეთ მოსაზრებებს, რაც ჩემ მიერ გამოთქმული არ ყოფილა. მოვიტანოთ სათანადო მაგალითები:

1. ტერმინ „ქარგალი"-ს ქართულ ენაში დამკვიდრების დროის შესახებ შევნიშნავ: „Но термин „Kargari" „Kargali" в известных нам грузинских документах позднефеодального периода не встречается. Поэтому можно предполагать, что этот термин утвердился в грузинском языке не ранее XIX века" (გვ. 379).

როგორც ვხედავთ, მე ვლაპარაკობ ქართულ ენაში ტერმინ „ქარგლის", ე. ი. ამ უცხოური სიტყვის (და არა ქარგლობის ინსტიტუტის), დამკვიდრების დროის შესახებ. პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი კი, მოაქვს რა ეს ამონაწერი, შეგვნიშნავს: „აქედან გამომდინარეობს, რომ შ. მესხიამ გვიანფეოდალურ ქართულ დოკუმენტში ვერ ჰპოვა ტერმინი „ქარგალი" და ამიტომ ასკვნის, თითქოს გვიანფეოდალურ ხანაში ქარგლები არ არსებობდნენო" (გვ. 485—486). აშკარაა, რომ ამგვარი

---

7 შ. მესხია, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, გვ. 150—151.

8 აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩემ მიერ გამოქვეყნებულ წესდებებს გარდა არსებობს სხვაც. 1898 წ. ჟურნალ „Հումայ"-ში გამოქვეყნებულ იქნა თბილისელ ოქრომჭედელთა ამქრის წესდება (იხ. „Հումայ", 1898, ტ. I, გვ. 328—333; ტ. II, გვ. 193—209).

9 პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი სარგებლობს ამ წერილის არა ძირითადი, ქართული ტექსტით, არამედ რუსული თარგმანით. მეც იძულებული ვარ რუსულ ტექსტს მივმართო.

დასკვნა ჩემი ნათქვამიდან არ გამომდინარეობს და ამიტომ მე ასეთი რამ არც გამიკეთებია.

2. მე ვწერ: „Отсутствие упоминаний о подмастерьях в позднефеодальных грузинских документах следует считать последствием исчезновения различия между мастерами и подмастерьями и, значит, отсутствием в это время категории подмастерьев“ (იქვე). ე. ი. ქარგალთა კატეგორიის (ამგვარი ინსტიტუტის) მოუხსენებლობა გვიანფეოდალურ დოკუმენტებში, გვაფიქრებინებს ოსტატსა და მასზე დაქვემდებარებულ პირს (XIX ს. ტერმინით — ქარგალს) შორის განსხვავების არარსებობას, ქარგალთა კატეგორიის არარსებობას.

პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი კი ჩემი ამ მოსაზრებიდანაც თავისებურ დასკვნას აკეთებს: „აქედან კი გამომდინარეობს, რომ ადრინდელ ფეოდალურ ხანაში „ქარგალი“ არსებობდა, მხოლოდ შემდეგ „ქარგალი“ გაუთანაბრდა ოსტატს და ამიტომ გვიანფეოდალურ ხანაში ტერმინი „ქარგალი“ ხმარებიდან ამოვარდაო“ (გვ. 486).

ჯერ ერთი, ადრინდელ ფეოდალურ ხანას ჩემს წერილში სრულებით არ შევხებივარ და, მაშასადამე, არც ის მითქვამს, არსებობდა თუ არა ქარგლობის ინსტიტუტი იმ დროისათვის. რაც მთავარია, ჩემ მიერ არ ყოფილა აღნიშნული, რომ ტერმინი „ქარგალი“ ოდესმე ხმარებიდან ამოვარდა, პირიქით, წერილში ვამტკიცებდი, რომ ტერმინი „ქარგალი“ ქართულ ენაში XIX ს. დამდეგიდან ჩნდება: მაშასადამე, ჩემი აზრით, ეს ტერმინი ქართულ ენაში მანამდე არ ყოფილა და რაც არ ყოფილა ხმარებაში, ცხადია, არც ამოვარდებოდა ხმარებიდან.

როგორც ვხედავთ, პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი ამ შემთხვევაში მომაწერს იმას, რის საწინააღმდეგოსაც მე ვამტკიცებდი.

3. პროფ. ალ. ფირცხალაიშვილს მოაქვს რა ჩემ მიერ დამოწმებული შატბერდის ეკლესიის წარწერა, წერს: „ამ ტექსტში ოსტატის შემდეგ ხსენებული არიან არა „ქარგლები“, არამედ „ამხანაგები“ და აქედან შ. მესხია დაასკვნის, რომ იმ დროს ამქრებში ქარგლები არ არსებობდნენ, თითქოს მათი ადგილი „ამხანაგებმა“ დაიკავეს (გვ. 487). ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, სამწუხაროდ, ხსენებული წარწერა მე არ მაძლევდა და ამიტომაც მის შესახებ იქვე მოკლედ შევნიშნავდი: „Из этой недатированной надписи неясно значение интересующего нас слова „amxanagi“, но примечательно упоминание „amxanagni“ (таварищей) в месте с мастерами“ (გვ. 379). სავსებით ნათელია, თუ რამდენად შორდება ჩემი აზრი ამ წარწერაში მოხსენებული „ამხანაგის“ შესახებ იმას, რასაც პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი მომაწერს.

4. იმის დასამტკიცებლად, რომ ტერმინი „ამხანაგი“ ვაჭართა და ხელოსანთა შორის ხშირად ხმარებული და გავრცელებული იყო, წერილში მომაქვს ამონაწერი „ქალაქის მოურავის სარგოდან“. ამის გამო პატივცემული პროფესორი შეგვნიშნავს: „ამ ამონაწერის „ამხანაგებში“ შ. მესხია ამქრის წევრებს — ოსტატს და ქარგლებს გულისხმობს, რაც რასაკვირველია, შეცდომაა“ (გვ. 487). ნამდვილად კი ჩემ მიერ ამ მასალების შესახებ აღნიშნული იყო: „Из этой выписки видно, что под „товарищем“ подразумевалось лицо, входящее в амкар мясников. А из „Товарищеских книг“ видно, что в торговле лица, связанные между собою определенными условиями, считались „товарищами“, несмотря на их социальные различия. Как выясняется из указанных материалов, термин „товарищ“ употреблялся среди торговцев не совсем в том же значении, как среди мастеров-ремесленников. Но нас сейчас интересует не это, а то, что документы позднефеодального периода свидетельствуют о распространенности термина „товарищ“, имеющего уже определенное значение среди ремесленников и торговцев“ (გვ. 380).

განმარტება საჭირო არ არის, ისედაც ნათელია, თუ როგორ არასწორად გადმოსცა პროფ. ალ. ფირცხალაიშვილმა ჩემი დასკვნა „მოურავის სარგოში“ მოხსენებული „ამხანაგის“ შესახებ და თუ როგორ უსაფუძვლოდ „დამიჭირა“ „შეცდომაში“.

5. პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი შეგვნიშნავს: „უფლებრივად და ქონებრივადაც, როგორც იმავე შ. მესხიას შრომიდან ჩანს, გვიანფეოდალურ ხანაში ქარგალი ოსტატთან გათანაბრებული არ იყო. ამიტომ გაუგებარია, თუ რაში მდგომარეობდა ეს გათანაბრება“ (გვ. 486). პატივცემულმა პროფესორმა რატომღაც ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ მე ჩემს წერილში ვლაპარაკობ არა ოსტატისა და ქარგლის უფლებრივ და ეკონომიკურ გათანაბრების შესახებ, არამედ ოსტატისა და „ოსტატის ამხანაგის“ უფლებრივად და ეკონომიკურად თითქმის გათანაბრების შესახებ. დასკვნის სახით ჩემს წერილში ნათქვამია: „Как юридическое, так и экономическое положение „товарища мастера“ мало отличалось от положения того мастера, „товарищем“ которого он считался. А существование категории „товарищей“, почти уравненных в правах с мастерами, указывает на неразвитость института подмастерьев в позднефеодальном грузинском цехе“ (გვ. 381). ამგვარ დასკვნას სათანადო კონკრეტული მასალა უძღვის წინ (იხ. იქვე, გვ. 379—381). საკვირველია, თუ რატომ დარჩა გაუგებარი ყოველივე ეს?

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის თავისთავად საინტერესო შენიშვნებს, სამწუხაროდ, ვერ გავიზიარებ. მიუხედავად ამისა, დიდად დავალებული ვარ პატივცემული პროფესორისაგან, რაკი მან არ დაიზარა ჩემს წერილებზე სათანადო შენიშვნები გაეკეთებინა და ზოგ საკითხზე ჩემი ყურადღება კიდევ უფრო გაემახვილებინა. წარმოდგენილი შენიშვნები მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ პროფ. ალ. ფირცხალაიშვილს მსჯელობის დროს სათანადო კონკრეტული მასალებიც მოეშველიებინა. ისტორიას ხომ, პატივცემული პროფესორის სამართლიანი განცხადებისა არ იყოს, „როგორც ყოველ მეცნიერებას, კონკრეტულობა უყვარს“.

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქები*
(XVII—XVIII სს.)

წინამდებარე ნაშრომი მიზნად არ ისახავს მოგვცეს გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ყოველმხრივი შესწავლა. ნაშრომის უმთავრეს მიზანს შეადგენს, არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით, წარმოგვიდგინოს გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების გარეგნული სახე. რაც შეეხება ქალაქების ისტორიის სხვა მხარეს, კერძოდ ვაჭრობა-ხელოსნობას გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში, საქალაქო წესწყობილებას და სხვა ძირითად საკითხებს, ზოგი მათგანი ავტორს უკვე გაკეთებული და მოხსენებულიც აქვს და ზოგი კიდევ მომავალ სამუშაოდ აქვს დასახული. ყველა ამ ვრცელი სამუშაოს წარმოდგენა ერთ მოხსენებად ამჟამად შეუძლებელია.

ამას გარდა, გამოკვლევა გარკვეული ქრონოლოგიური საზღვრებითაცაა შემოფარგლული. იგი უმთავრესად XVII—XVIII სს. ქალაქების შესახებ მოგვითხრობს. აქ არ ვეხებით XIX ს. პირველი ნახევრის ქალაქებს, რაკი ამგვარი სამუშაო შარშან იქნა ჩატარებული. რთულდება საუბარი XV—XVI სს. ქალაქების შესახებაც. ნაშრომის შევსება ამ მხრივ, აგრეთვე, მომავლის საქმეა.

აღნიშნულ შრომაში ქართულ ისტორიკოსთა მოთხრობისა და სხვა სახის წყაროებს გარდა, უმთავრესად გამოყენებულია მოსკოვის ცენტრალური სამხედრო-საისტორიო არქივის ВУА ფონდის მასალები, სადაც დაცულია გვიანფეოდალური ხანის ქალაქების გეგმები, მათი განხილვა და შესწავლა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ის ბევრს საინტერესოსა და ახალს იტყვის საქართველოს ქალაქების შესახებ. ამიტომაც გადავწყვიტეთ მათზე საგანგებოდ შეჩერება და იქ დაცული მასალების სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროებით შევსება.

მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-საისტორიო არქივში დაცულია არა მარტო რუსული თუ ფრანგული გეგმები, XVIII—XIX სს. დამ-

---

* წაკითხულია მოხსენებად 1950 წ.

დეგს შედგენილნი, არამედ აგრეთვე ქართულიც, თავისთავად საინტერესონი, მაგრამ ამათ შესახებ ჩვენ დეტალურად ქვემოთ ვილაპარაკებთ.

გვიანფეოდალური ხანის ქალაქები, ისე როგორც საერთოდ საქართველოს ქალაქები, როგორც ცნობილია, პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა დაგვისახელა და აგვიწერა. ამავე საგანს შეეხო პლატონ იოსელიანიც გასული საუკუნის 50-იან წლებში. ამ ლიტერატურას ჩვენ სხვა დროსაც შევხებივართ და ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის ფონდში: 5 (№ 2503) დაცულია ხელნაწერი სათაურით: „ქალაქნი საქართუ[illegible]ლოჲსანი უწინარეს განყოფილებისა და შ[illegible]დ განყოფილებისა სამ სამეფოდ ამ დროამდის ვითარ ისაჯელებოდნენ და ანუ აწ ვითარ ისახელებიან, ანუ ვისგან აღშენებულან და ანუ რომელს წელსა და ოდეს მოოხრებულან შენნი და ცალიერნი, გინა თუ დაბად ქმნილნი, ანუ სრულიად მოოხრებულნი, ანბანსა ზედა აღწერილ არიან ადვილ პოვნისათჳს“.

ხელნაწერი დასრულებული არ არის, ქალაქები ჩამოთვლილია მხოლოდ თბილისამდე. არც თბილისია სრულად აღწერილი. ხელნაწერის ავტორი არ ჩანს, არც ის, თუ როდის არის შედგენილი. იგი, XVIII ს. დასასრულს თუ XIX ს. დამდეგს უნდა იყოს დაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის წყაროს ძირითადად ვახუშტის ნაშრომი შეადგენს, იგი მაინც საინტერესოა. ეს მისი სათაურიდანაც კარგად ჩანს. ავტორს განუზრახავს მოეცა საქართველოს ქალაქების ისტორია, გაერჩია ის დაბათა თუ სხვა დასახლებულ პუნქტთაგან და სხვ.

ამ ნაშრომში მოკლედ განხილულია შემდეგი ქალაქები: არჯევანი, ატენი, ახალგორი, ახალდაბა, ალი, აწყური, ახალციხე, ახალქალაქი, არმაზი, ბათო, გორი, გომარეთი, გრემი, გარდაბანი, დმანისი, ზუფუ, თამარაშენი, პალიასტომი, ყელეთი, თბილისი...

აქ ჩამოთვლილ ქალაქთა განხილვისას, ჩვენ ავტორის მიერ მოწოდებულ სათანადო მასალას ქვევით მოვიტანთ.

საქართველოს სახ. მუზეუმის სხვა მასალათა შორის აქვე მოვიხსენიებთ ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანის საინტერესო ნაშრომს — „თელავის აღწერა“, რომელიც 1857 წ. ყვარელის ციხეში დაუწერია და რომელიც შეიცავს არა მარტო ქალაქის შესახებ, არამედ სხვა მხრივაც საინტერესო ცნობებს. ეს აღწერილობაც ქვემოთ იქნება მოტანილი.

ცნობები XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქების შესახებ

ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერის“ მიხედვით, მისი დროისათვის, ქართლში შემდეგი მცირე და დიდი ქალაქები იყო: „ოფრეთი, მცირე ქალაქი და ციხე მისი“[1], „მცირე ქალაქი ბოლნისი“[2], „წინწყარო ქალაქი მცირე, მოსავლიანი, კეთილ ჰავიანი, მაღალ ადგილზედ მდგომი“[3], თბილისი[4], ახალქალაქი[5], „ატენი მცირე ქალაქი“[6], „მძორეთი მცირე ქალაქი“[7], „მცირე ქალაქი ახალ-გორი[8], გორი[9], „მცირე ქალაქი ცხინვალი“[10], „თამარაშენი მცირე ქალაქი“[11], „ალი ქალაქი მცირე“[12], „სურამი მცირე ქალაქი“[13], „ახალდაბა მცირე ქალაქი“[14].

ამრიგად, ვახუშტის დროისათვის, ქართლში 14 მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტიდან ორი იყო ქალაქი (თბილისი, გორი), დანარჩენი 12 კიდევ „მცირე ქალაქი“ ყოფილა.

ვახუშტი ცალკე იხილავს აგრეთვე კახეთსა და მის ქალაქებსაც. კახეთში ვახუშტის დროისათვის იყო მხოლოდ თელავი „სასახლე და ციხე“[15]. სხვა ძველი მნიშვნელოვანი ქალაქები კახეთისა — უჯარმა, ყალეთი, ყინვანი, ხორნაბუჯი, გიში, ჭერემი, გრემი და სხვ. იმ დროისათვის მოოხრებული და დაბად ქცეული ყოფილა.

სამხრეთ საქართველოში, სამცხე-საათაბაგოში ვახუშტის მიხედვით იყო: აწყური — „ქალაქი და ციხე დიდშენი“[16], ახალციხე[17], გოკია — „ქალაქი მცირე“[18], „ბარალეთი მცირე ქალა-

---

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 36 (ქვემოთ ყველგან „აღწერა“).

2 იქვე, გვ. 37.

3 იქვე, გვ. 47.

4 იქვე, გვ. 52—54.

5 იქვე, გვ. 56.

6 იქვე, გვ. 57.

7 იქვე, გვ. 58.

8 იქვე, გვ.. 68.

9 იქვე, გვ. 73—74.

10 იქვე, გვ. 76.

11 იქვე.

12 იქვე, გვ. 80—81.

13 იქვე, გვ. 81.

14 იქვე, გვ. 83.

15 იქვე, გვ. 100.

16 აღწერა, გვ. 124.

17 იქვე, გვ. 125.

18 იქვე, გვ. 129.

ჭი"[19], ახალქალაქი[20], „მცირე ქალაქი „ქოლა"[21], „სათლე ქალაქი მცირე"[22], ართვინი, „ქალაქი მცირე"[23], „ართანუჯი — ქალაქი მცირე და ციხე მაგარი კეთილშენი"[24], „ოლთისი ქალაქი კარგი და კეთილ ჰაოვანი"[25], „ბასიანი (ასანყალა) არა დიდი ქალაქი"[26], „ქალაქი მცირე ისპირა"[27], „ქალაქი ბაიბურდი"[28], ხოფჯადარიზა (იქვე გვ. 142).

ამრიგად, ვახუშტის მიხედვით, იმ დროისათვის ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალზე 15 მნიშვნელოვანი პუნქტი — 4 ქალაქი და 11 მცირე ქალაქი — იყო.

დასავლეთ საქართველოში, ანუ როგორც ვახუშტი უწოდებს, ეგრისში მისი დროისათვის იყო ჩხარი. „ეს ყოფილა ქალაქი, არამედ აოხრდა ლევან დადიანისაგან. აწ არს დაბა"[29], „ჩიხორი ქალაქი მცირე"[30], ქუთაისი[31], რუხი[32], „ზუფუ მცირე ქალაქისაებრ"[33], „ქობულეთი მცირე ქალაქსავით"[34], „ბათომი მცირე ქალაქი და ციხე კარგი"[35], „გონია მცირე ქალაქი და ციხე"[36]. ამათ გარდა დასავლეთ საქართველოში, ვახუშტის სიტყვით, არაერთი სავაჭრო პუნქტი იყო. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ოზურგეთი, ანაკრია, ზუგდიდი, ფოთი, ონი, ხოტევი, საჩხერე, შორაპანი და სხვ. ვახუშტის ზემომოტანილი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ჩამოთვლილი პუნქტებიდან მხოლოდ ქუთაისი იყო ქალაქი; ასე რომ, ვახუშტის გაგებით, მისი დროისათვის დასავლეთ საქართველოში ერთი ქალაქი იყო მხოლოდ, დანარჩენნი კიდევ

---

19 იქვე, გვ. 130.
20 იქვე, გვ. 130—131.
21 იქვე, გვ. 133.
22 იქვე, გვ. 135.
23 იქვე, გვ. 136.
24 იქვე, გვ. 137.
25 იქვე, გვ. 138.
26 იქვე, გვ. 139.
27 იქვე.
28 იქვე, გვ. 141.
29 აღწერა, გვ. 153.
30 იქვე, გვ. 154.
31 იქვე, გვ. 151.
32 იქვე, გვ. 167—8.
33 იქვე, გვ. 171.
34 იქვე. გვ. 175.
35 იქვე, გვ. 176.
36 იქვე.

მცირე ქალაქებსა და სავაჭრო პუნქტებს, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, ყასაბას წარმოადგენდნენ.

დაახლოებით ასეთსავე ცნობებს გვაწვდიან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების შესახებ უცხოელი ავტორებიც.

თუ რუს ელჩებს, თავად მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევს დავუჯერებდით, XVII ს. 40-იან წლებში „Городов никаких в грузинской земле нет. А которые малые городки в грузинской земле встарь бивали, и как шах ваевал грузинскую землю, и те городки шах разорил и разбил до подошвы"[37], კიდევ მეტი, ამავე ავტორების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში არათუ ქალაქები, არამედ ბაზრებიცა და ბარმარკებიც კი არ ყოფილა. იქვე ნათქვამია: „А в какову цену что купят, того не ведомо, потому что в грузинской земле базарови съезжих ярмоках нигде нет, и ничего не продают"[38].

ერთ დროს სახელგანთქმული გრემი ამ დროისათვის ნახევრად დანგრეული და მცირედ დასახლებული ყოფილა; ასე რომ, მას ჩვენი ავტორები სოფელს უწოდებენ და არა ქალაქს ან კიდევ მცირე ქალაქს. რა თქმა უნდა, რუსი ელჩების ამ ცნობას ჩვენ უყოყმანოდ ვერ გავიზიარებთ. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოსათვის, როსტომის წინა ხანაში მაინც, ქალაქთა და სავაჭრო ადგილთა სიმცირე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო.

ასევე გაზვიადებულად უნდა იყოს წარმოდგენილი ლამბერტის მიერ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს მდგომარეობა XVII ს. 30-იან—50-იან წლებში. იგი თავის „აღწერის" საგანგებო თავში, რომელიც ვაჭრობას მიეძღვნა, წერს: „საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის არც დუქნები აქვთ და არც მოედნები, ისე რომ, ვერსად ნახავთ, რომ ხალხი იკრიბებოდეს სანოვაგის საყიდლად. მხოლოდ სომხების ქალაქში (იგულისხმება რუხი—შ. მ.), რომელიც აშენებულია აწინდელი მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე დუქანი, სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი"[39].

რაკი სამეგრელოში ქალაქები თითქმის არ ყოფილა, ლამბერტის სიტყვით, სავაჭრო ადგილებს მეგრელებისათვის წარმოადგენდა — „ერთი ბაზრობა, რომელიც იმართება სამეგრელოში და მეორეა თურქთა გემები, რომელნიც ყოველ წელიწადს მოადგებიან სავაჭროდ სამე-

---

[37] Посольство кн. Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию, 1640—1643, Док., изд. М. Полиевктов, Тбилиси, 1928. с. 160.

[38] იქვე, გვ. 160.

[39] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგ. ალ. ჭყონიასი. თბ., 1933. გვ. 156.

გრელოს ნაპირებს"[40]. ბაზრობა, მისივე ცნობით, საეკლესიო ცენტრებთან იმართებოდა, მაგ., წიფურიას, ილორის, ბედიის, კორცხელის ეკლესიებთან. მაგრამ ეს ბაზრობანი მრავალრიცხოვან ხალხს უყრიდა თავს: „ამ ბაზრობაზე ძალიან ბევრი ხალხი იკრიბება; ზოგჯერ შეიყრება ოც ათას კაცამდე, — წერს ლამბერტი — სექტემბრის პირველ ოთხშაბათს გზავნიან წინ კაცებს წკნელისაგან კარვების გასაკეთებლად, რათა ხალხს თავშესაფარი ადგილი ჰქონდეს, ხუთშაბათს კი მოდიან ვაჭრები თავის საქონლით. სომხებს მოაქვთ აქ ნაირ-ნაირი შეღებილი და სახეებიანი ტილოები და ირანულ-თურქული შალები"[41].

დამახასიათებელია, რომ დადიანის სამფლობელოში ლამბერტის „სომხების ერთი ქალაქის" (რომელიც დადიანს დაუარსებია), რუხის მეტი ქალაქი დასახელებული არა აქვს. ზუგდიდი, რომელიც მისი სიტყვით, დადიანის მშვენიერი სასახლით იყო ცნობილი, ქალაქი არ ყოფილა.

შესამჩნევი ცვლილებები დასავლეთ საქართველოში არც შარდენის დროისათვის (1672—1673 წწ.) მომხდარა. აქ, შარდენის მიხედვით, მნიშვნელოვანი საქალაქო პუნქტები, ქ უ თ ა ი ს ს გარდა, იყო რუხი[42], და ანარგია ანუ ა ნ ა კ ლ ი ა, რომელიც ოდესღაც „იყო დიდი ქალაქი სახელად ჰერაკლე"[43] და ჩ ი კ ა რ ი ს ი, რომელიც შარდენის სიტყვით, სკანდიდან 1 ეჯზეა[44], ხოლო ქუთაისიდან რვა ვერსზე[45] და რომელიც იმერეთში „ქალაქად ითვლება". ასე ახლოს მყოფი სკანდასა და ქუთაისთან, ჩხარი უნდა ყოფილიყო. შარდენი მას სოფელს უწოდებს, და მართლაც, ვახუშტის სიტყვით, ერთ დროს ქალაქი ჩხარი, ლევან დადიანის მიერ აოხრებული, მისი დროისათვის უკვე დაბა იყო.

შარდენს სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი დასავლეთ საქართველოში მისი მოგზაურობის დროს არ შეხვედრია.

არც აღმოსავლეთ საქართველოში იყო მრავალრიცხოვანი ქალაქები. „საქართველოში, წერს შარდენი, ცოტაა ქალაქები. კახეთის სამეფოში რამდენიმე ქალაქი ყოფილა უწინ; ახლა ისინი სულ დანგრეულებია ერთის გარდა, რომელიც კახეთადვე (?) იწოდება. ტფილისში ყოფნის დროს მითხრეს — ის ქალაქები დიდები და მდიდრულად ნაგები იყოო; ამასვე აფიქრებინებს კაცს ის, რაც კიდევ მთელად დარ-

---

40 იქვე, გვ. 157.

41 იქვე, გვ. 156.

42 შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1948. ვ. ბარნოვის თარგმანი, გვ. 31, 35.

43 იქვე, გვ. 16, შდრ. ლამბერტი, გვ. 121.

44 შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 65.

45 იქვე, გვ. 70.

ჩენილა, თვით ნანგრევებიც"[46]. შარდენის მიერ აღწერილი სურათი კახეთის იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ კარგად უდგება ვახუშტის ზემომოტანილ ცნობას. მართლაც, ვახუშტის დროისათვის კახეთში თითქოს მხოლოდ ერთი ქალაქი ჩანს. ოღონდ, შარდენის მიერ მოხსენებული ქალაქი, „კახეთადვე" წოდებული, ქართული წყაროებისათვის უცნობია.

ქართლში შარდენს მხოლოდ ოთხი ქალაქი ეგულება: „ქართლში, წერს ის, მხოლოდ 4 ქალაქია — გორა, სურამი, ალი და ტფილისი"[47]. ამათგან სურამი, შარდენის სიტყვით, უფრო დაბაა, ვიდრე ქალაქი[48], ხოლო ალი კი პატარა სოფელია[49]. ამით აიხსნება, ალბათ, რომ ვახუშტი ალსაც და სურამსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მცირე ქალაქებს უწოდებს.

შარდენი იყო ახალციხეშიც, მას გაუვლია აწყურშიც (უსკერში) და სხვა ქალაქებიც შეხვედრია საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ზოგის სახელს, სამწუხაროდ, არ იხსენიებს[50].

XVIII ს. 30—40-იანი წლების დასავლეთ საქართველოს მდგომარეობას, ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით, განსაკუთრებით კარგად წარმოგვიდგენს მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-საისტორიო არქივის ВУА ფონდის № 20501 ატლასში (ფ. 11) დაცული იმერეთის სამეფოს რუქა, სადაც ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი აღნიშნულია შენობების ნახატების სახით[51].

რუქა შედგენილია იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის დროს და გაგზავნილია რუსეთში ანნა იოანეს ასულის მეფობის (1730—1740) ჟამს. საამისო მითითება თვით რუქაზეა მოცემული, რომელსაც ამ რუქის პირველი აღმწერელი ამბ. ი. მათურელი რატომღაც არ იხსენიებს. ქუთაისის გეგმის ქვემოთ, რუქაზე ქართულად მიწერილია: „მეფე მელეთინწკის ალექსანდრე მართლმადიდებელი გვირგვინოსანი თანადგომითა პატრიარქისა ჩვენისა გრიგოლისათა და ყოველთა ერთათა და [დიდე] ბ[ულ]თა ქარტასა მელეთინსკისასა მოვართმევთ დიდსა ჯემწიფესა იმპერატორიცას ანნას იოანნას [ასულს] ჯელითა მი-

---

46 შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 80.

47 იქვე, გვ. 81.

48 იქვე, გვ. 82.

49 იქვე, გვ. 63.

50 იხ. იქვე, გვ. 54.

51 რუქის აღწ. იხ. ი. მათურელი — „იმერეთის ახლად აღმოჩენილი რუკა", ლიტ. ხელ., 1950 წ. სექტ., № 39. რუქა, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონია ივ. ჯავახიშვილს და მისი ერთი ადგილი კიდევაც გამოაქვეყნა „პრომეთეში", ასე რომ, ის „ახლად აღმოჩენილი" არ არის და ამით ქართველ ისტორიკოსებს ადრეც უსარგებლიათ.

ტროპოლიტის ტიმოფესი“. იქვე არის ამავე შინაარსის რუსული მინაწერიც: „Сия карта к ея Императорскому Величеству отправлена с Митрополитом Тимофеем Кутаисским от милитинского царя Александра с согласия патриарха Григория и всех Князя“. როგორც სხვა ცნობიდან ირკვევა, ეს რუქა გაუგზავნიათ 1737 წ. (იხ. ი. მათურელის ხსენებული წერილი), ასე რომ, იგი 1737 წ. უკვე ყოფილა შედგენილი.

აღვნიშნოთ დასავლეთ საქართველოს უმთავრესი პუნქტები ამ რუქის მიხედვით. ჩრდილოეთის საზღვარი იწყება კაპოეტის წყლით და პირველი პუნქტი, რომელიც აქვე გვხვდება არის „ბიზვინტის ღ´თის მშობლის დიდი კათოლიკე ეკლესია, საკათალიკოზო“. აქვე, ქვემოთ მისივე ნავთსაყუდელი, შემდეგ კიდევ ზუფუ, „ანაკოფიას ციხე“, „სოხუმის ციხე, ქართულად აყუ ქვიან. ორთუღიანი ფაშა ზის. 1723 (?) ამ ქ´კს ააშენეს თათართ, სამოცი თოფი ძეს დიდი, ასი კაცი (დგას)“, სოხუმის მახლობლად, აღმოსავლეთისაკენ „ცხომის ციხე, ცარიელი“, ქვემოთ, ზღვის კიდეზე „ანაკლიის ციხე, თათართ უჭირავს, სოხუმს მყოფთ ხელქვეშეთ აფიცარი დგას“... „რუხის ციხე. თათართ უჭირავს. ხან დადგება, ხან წავა“. მის მეზობლადაა ნაჩვენები „ზუბდიდი“, კოცხერის საყდარი; „ფოთის ციხე“ — ქართულად, ძველად ქალაქიც ყოფილა, ფასუს ქვიან. ორთუღიანი ფაშა ზის. 1727 ამ ქ´კს ააშენეს თათართ, ორმოცდაათი თოფი ძეს დიდი“.

ბათომის მარჯვნივ, მდინარეთა შესართავთან აღნიშნულია „ქ ა ჯ ე თ ი ს ც ი ხ ე“, ხოლო მის ზემოთ, ორ მდინარეს შუა „ქ ო ბ უ ლ ე თ ი ქ ა ლ ა ქ ი“. აღნიშნულია აგრეთვე „ოზურგეთი და მისი საყდარი, ქ ა ლ ა ქ ი“, ტეხურის ნაპირზე — „ნაქალაქევი“, ქვემოთ — „თეკლანა“ და „სენაკები“ — ეკლესია, რომელსაც რუსულად მიწერილი აქვს: „Церковь Сенакебн“, ნოქალაქევის პირდაპირ, ტეხურის ნაპირზე „ბანძა-ფაღას სასახლე“, ზემოთ „მარტვრის ეკლესია სამიტროპოლიტო“.

ცალკე მნიშვნელოვან პუნქტადაა აღნიშნული „ხონი და წმინდის გიორგის საყდარი, სამთავარეპისკოპოსო და ვაჭრობაც არის ყას[ა]ბაა“. რიონსა და ყვირილას შესართავს ზემოთ, ყვირილას მარცხენა ნაპირზე — „ვარდის ციხე და სასახლე. ვერცხლის ლითონი დიაღ კარგი და რკინისა ქანი მრავალი. ახლად აღშენებული მეფის ალექსანდრესაგან“. შემდეგ, განსაკუთრებით კარგად არის შესრულებული ქ უ თ ა ი ს ი ს ც ი ხ ე და ქ ა ლ ა ქ ი, ციხე-დარბაზი გეგუთი, რომელზედაც მიწერილია: „ციხე-დარბაზი გეგუთისა, ტახტი მეფეთა“, იქვე ქვემოთ — „ქარის საყდარი“ და ქვემოთ კიდეე — „გეგუთი“.

ყურადღებას იპყრობს შორაპნის ციხე, რომელზედაც მიწერილია: „ასი კაცი დგას შ ო რ ა პ ა ნ ი. თათარმა დაიჭირა, ყასაბა[ა]“. ასევე აღსანიშნავია, „ქ ა ლ ა ქ ი ჩ ხ ა რ ი წმინდის გიორგის მონასტერი, ახლად აღშენებული მეფის ალექსანდრესაგან ქ^კს აქეთ ჩღლზ (1737)“, „ქალაქი ჩიხორი სამწთ(?) საყდარი“, „ონი, ვერცხლის ლითონი, გოგირდიც აქ გამოვა, ყასაბაა“, „ს ა ჩ ხ ე რ ე, ყასაბაა“, „ჭ ა ლ ა ტ ყ ე ყ ა ს ა ბ ა ა“ და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე რუქაზე აღნიშნულია აგრეთვე სანაოსნო მდინარეებიც და ისიც თუ ნავი სანამდე ამოვა. მაგალითად, ფოთს ზემოთ, რიონზე მიწერილია: „ამ ციხეს ზეით ხომალდი შემოვა და ჩუქდური“ (?); რიონს გასწვრივ, კიდევ ზევით, „აქამდის ფოთიდამ ზარბაზნიანი ნავი დიდი მოვა“[52]. ვარდციხეს ქვემოთ მიწერილი აქვს: „აქამდის მოდიოდა უფრო ნავი ფარმას (?) ციხიდამ და რიონის თვალიდამ (!)“; შორაპნის ქვემოთ ასევე მიწერილია: „საჭილაოს ნავი ამოვა ყვირილის წყლით, შორაპნამდის, ციხემდის ამოვა“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, რუქა მრავალმხრივაა საყურადღებო. იმერეთის სამეფოში XVIII ს. 30—40-იან წლებში, რუქის შემდგენელის მიხედვით, იყო ქალაქები: „ქობულეთის ქალაქი“, „ოზურგეთი და მისი ...ქალაქი“, „ქუთაისის ციხე და ქალაქი“, „ქალაქი ჩხარი“, „ქალაქი ჩიხორი“ ე. ი. სულ 5 ქალაქი. ამათ გარდა, იყო ე. წ. ყასაბა, ადგილები, სადაც სავაჭრო ნაგებობანი იყო და ვაჭრობაც წარმოებდა. ასეთებს რუქის შემდგენელის მიხედვით შეადგენდნენ: საჩხერე, ჭალა-ტყე, ონი, ხონი, შორაპანი; ამათ გარდა, იყო აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი პუნქტებიც — ანაკლია, აყუ, ფოთი, რუხი, ვარდციხე და სხვ....

ასე რომ, XVIII ს. 30—40-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ისეთი უმწეო მდგომარეობა როდი იყო, როგორც ეს დახატული აქვთ ჯერ ლამბერტსა და შემდეგ კიდევ შარდენს XVII ს. 40—70-იან წლებისათვის.

მნიშვნელოვანი გარდატეხა აღმოსავლეთ საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში ერეკლე II-ის მოღვაწეობის დროიდან იწყება. ერეკლეს მრავალმხრივი ღონისძიებები, გადაელახა აღმოსავლეთ საქართველოსათვის „ძნელბედობის ჟამის“ მწარე შედეგები — ბრძოლა ლეკიანობის წინააღმდეგ, ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის პირობების შექმნა, საქალაქო ცხოვრების მოწესრიგება — იყო ის მნიშვნელოვანი პირობები, რომელიც ხელს უწყობდა ვაჭრობა-ხელოსნობის შემდგომ განვითარებას და, მაშასადამე, ქალაქების აღორძინებასა და გამრავლებას.

ქართლ-კახეთის სამეფოს ოფიციალური ცნობით, 1770 წლისათ-

---

52 ეს მინაწერი შეცდომით წაუკითხავს ი. მათურელს.

ვის ქართლ-კახეთში სულ 8 ქალაქი იყო: „არს ქალაქი თფილისი, და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელი ქართველნი, სომეხნი, ფრანგნი და თათარნი კომლი ოთხი ათასი. არს ქალაქ გორი და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, ფრანგნი და სომეხნი, კომლი ხუთასი. არს ქალაქი წილკანი და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი ხიზნით 700 კომლი. არს ქალაქი სურამი და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი, კომლი ორასი. კახეთს არს ქალაქი თელავი და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი და სომეხნი ხიზნით და თელავის ბოლოს სოფლით კომლი 740. ქიზიყს არს ქალაქი სიღნაღი და ამას შინა მკვიდრობენ სომეხნი კომლი 100. არაგვზე არს მ ც ი რ ე ქ ა ლ ა ქ ი ა ნ ა ნ უ რ ი და მას შინა მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი 100 კომლი. ქსანზე მცირე ქალაქი ა ხ ა ლ გ ო რ ი და მას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი და სომეხნი კომლი 140“[53].

აქ მოხსენებულ ქალაქთაგან პირველად გვხვდება წ ი ლ კ ა ნ ი ქალაქად. ადრე ის არ არის მოხსენებული საქართველოს ქალაქთა შორის და არც ამის შემდეგ შეგვხვედრია. უკვე ქალაქთა რიცხვში არ იხსენიება შარდენისა და ვახუშტის დროინდელი მცირე ქალაქი ალი. სამაგიეროდ ჩნდებიან ანანური და სიღნაღი, როგორც ქალაქები. თუ ვახუშტის ცნობებს შევუდარებთ ზემომოტანილს, დავინახავთ, რომ კახეთს XVIII ს. მეორე ნახევარში შედარებით დაწინაურება ეტყობა. თელავი მნიშვნელოვან ქალაქად იქცა, ამას გარდა, თუ ანანურსა და წილკანს კახეთისად მივიჩნევთ, იმდროინდელ კახეთში 4 ქალაქი ივარაუდებოდა. კახეთის შემდგომი წინსვლა ამაზეც არ შეჩერებულა.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე

ზოგადი ხასიათის მიმოხილვის შემდეგ გადავიდეთ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების გარეგანი სახის დახასიათებაზე. ქალაქების რიგი დაცული იქნება ანბანის მიხედვით.

1. ა ნ ა ნ უ რ ი

ანანური, როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანდა, ვახუშტის დროს ჯერ კიდევ ქალაქად არაა მიჩნეული, ხოლო 1770 წ. ოფიცია-

53 საქართველოს წარსულის სასტატისტიკო და საეკონომიო შესასწავლად, გაზეთი „კვალი“, 1894 წლის № 11.

ლურ მასალაში იგი უკვე არაგვზე მდებარე მცირე ქალაქად მოიხსენიება, სადაც იმ დროისათვის მხოლოდ 100 კომლი მოსახლე იყო. ანანური და ანანურის ციხე არაერთხელ აქვთ მოხსენებული XVIII ს. ქართველ ისტორიკოსებს[54].

ანანურის, ადრევე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრის, XVIII ს. II ნახევარში ქალაქად გადაქცევა შემთხვევითი მოვლენა როდია. იგი დაკავშირებულია ამ დროისათვის დიდი ხნით გადაკეტილი ჩრდილოეთის მნიშვნელოვანი გზის გახსნასთან. თეიმურაზ II 1755 წ. თავის ერთ სიგელში საგანგებოდ აღნიშნავდა: „ამას წინათ არას დროსა და ჟამს არა ქნილიყო, რომ ოსეთზე ქარავნის გზა ყოფილიყო და ამ მთის გზაზედ ქარავანი, ვაჭარი და სოვდაგარი მოსულიყო და ამ გზიდამ ქალაქში სავაჭრო მოეტანათ და აწ ღმერთმან ჩვენს მეფობაში უამრავი წყალობა მოიღო ჩვენზედან, ჩვენც... შემოგწირეთ, რაც ოსეთის გზით ვაჭარნი და ქარავანი ქალაქს მოვიდოდეს, ორ წილს ჩვენი მებაჟე ჩვენთვის აიღებდეს და მესამედს კათალიკოზ პატრიარქის მებაჟეს მისცემდეს და პატრიარქს მიართმევდეს ამ გზიდამ მოსულს მებაჟეს“[55]. როგორც ვხედავთ, 1755 წლისათვის ეს სავაჭრო გზა ახლად გახსნილი იყო, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა გამო, პირველ ხანებში ამ გზით შემოსულ საქონელზე ბაჟი „მსუბუქათ იყო განწესებული“, ხოლო შემდეგ კი, როცა „ოსეთის გზით“ დიდი რაოდენობით იწყო საქონელმა შემოსვლა, მისი ბაჟიც სხვასთან გაუთანაბრებიათ. ეს კარგად ჩანს ერეკლე II-ის 1771 წ. 24 სექტემბრის სიგელიდან: „რაც ოსეთის გზაზე საქონელი მოვა და იმაზე ბაჟი აიღება, იმისი მესამედი ნეტარხსენებულ მამას ჩვენს სვეტის ცხოველისათვის მიურთმია და ჩვენც მივართვით. რადგან იმ შეწირულობის ჟამს (ე. ი. 1755 წ. — შ. მ.) ოსეთის გზიდამ მოსულის საქონლის სახტარი მსუბუქათ განწესებული ყოფილიყო და მას უკან ჩვენ ჩელიექი განვაწესეთ, ამაზე ლაპარაკი შეიქმნა. ეხლა ჩვენ ასე განგვიწესებია: ოსეთის გზაზე მოსულის საქონლის ჩელიექის თუმანზედ რომ ხუთი შაურს აიღებთ, იმისი მესამედი კათალიკოზის მებაჟეს უნდა მისცეთ“[56]. როგორც ჩანს, სამოცდაათიანი წლებისათვის ეს გზა ისეთსავე მოძრავს და მნიშვნელოვანს წარმოადგენს, როგორც საქართველოს სავაჭრო გზა. ამ გზის ამგვარი მნიშვნელობის აღდგენა იყო ის ძირითადი მიზეზი, რომ ადრე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ანანური XVIII ს. II ნახევარში ჩრდილოეთიდან მომავალ საქონლის გამტარ ქალაქად იქცა.

---

54 იხ. სეხნია ჩხეიძე, „ქ. ცხ.“, II, გვ. 342; შდ. იქვე, პაპუნა ორბელიანი, გვ. 343 და სხვ.

55 Акты, I, с. 1133.

56 იქვე, გვ. 1136.

ანანური ერთადერთი არ ყოფილა. ამავე გზაზე წარმოიშობა და შემდეგ, XIX ს. დამდეგს ქალაქად იქცევა დუშეთიც.

ანანურს ერეკლეს დროისათვის თავისი მოურავი ჰყავდა. ქალაქის მოსახლეობა მის მფლობელს, უფლისწულს მახტას უხდიდა. ანანურის ყოფილი მოურავი ბარამ ფისაძე 1803 წ. ციციანოვს მოახსენებდა: „მე ანანურის მოურავი გახლავარ, როდესაც ანანურის მახტას მოვკრებდი და იმის უგანათლებულესობის მეფის ძეს ირაკლიეიჩს მივართმევდი, ათის თავს მე ვიღებდი“[57].

1803 წ. რუსეთის ხელისუფლებამ ანანური სამაზრო ქალაქად აქცია. მაგრამ იმის გამო, რომ მის მახლობლად მდებარე დუშეთი უფრო ძლიერი და მზარდი აღმოჩნდა, ერეკლეს დროინდელი, სავაჭრო გზის გახსნასთან დაკავშირებით წარმოშობილი ქალაქი, თანდათან ქვეითდებოდა, მოსახლეობა მცირდებოდა. სავაჭრო გზა ერთადერთი ძალა ვერ აღმოჩნდა ქალაქის გამძლეობისათვის. თუკი 1770 წლისათვის ანანურში 100 კომლი მოსახლე იყო, ერმოლოვის 1821 წ. ცნობის მიხედვით, ქალაქში XIX ს. დამდეგს და შემდეგაც, 20-იან წლებამდე, სულ 38 კომლი მოსახლე ყოფილა[58]. მართლაც, 1819 წ. სხვა ცნობითაც, ანანურში იყო მხოლოდ 219 სული მცხოვრები[59].

ყოველივე ამის გამო, ანანურს, სენატის 1821 წ. 4 თებერვლის ბრძანებით, სამაზრო ქალაქის ღირსება წაერთვა და იგი ისევ დუშეთს დაუბრუნდა. მიუხედავად ამისა, ამის შემდეგაც ანანური მაინც იწოდებოდა დუშეთის მაზრის ქალაქად[60].

როგორი იყო ანანურის სახე? ჩვენ მოგვეპოვება ვახუშტის აღწერილობის გარდა, ანანურის 1806 წ. გეგმა. ვახუშტი ბატონიშვილი ანანურის შესახებ წერს: ამ ჴევისა (ვეძათ ჴევი. — შ. მ.) და არაგვის კიდეზედ არის ანანური. ძველად იყო ეკლესია მცირე, არამედ წელსა ქრისტესა ჩღდ (1704) აღაშენა ერისთავმან ეკლესია გუმბათიანი, დიდი. გარემო მოავლო ზღუდე ქვიტკირისა და მაღალს კლდესა ზედა ქმნა კოშკი და ციხე. ჰგონებდა სიმაგრედ თჳსად და მომავალთა თჳსთა, არამედ ექმნა საბრხედ და მომწყვეტელ ძეთა და ნათესავთა მისთა“[61].

ხსენებული გეგმა ასახავს იმ ცვლილებებს, რაც ანანურის გარეგან სახეს XIX ს. დამდეგამდე განუცდია. გეგმა რუსეთის ხელისუფლების მიერ არის შედგენილი. მინაწერში ნათქვამია: „План города Ананура предлагаемого во оном внов возвести казенные Его Император-

---

57 საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, № 8958.

58 Акты, VI, ч. I, с. 39.

59 საქ. ცენტრ. არქ., ფ. 16, № 24 20, ფ. 145.

60 საქ. ცენტრ. არქ., ფ. 16, № 4229, ფ. 58.

61 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 64.

ского Величества присудственные и вне оного прочие для воинских чинов и нижних чиновников строения со оплотам по местному по желанию полисадом укрепления и двух каменных Сашен. Апреля... дня, 1806-го года"[52]. გეგმას თან ახლავს ვრცელი განმარტება და აქ არა მარტო არსებული მდგომარეობაა ასახული, არამედ ისიც თუ რა უნდა გაკეთებულიყო მომავალში.

ანანური, გეგმის მიხედვით, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, არაგვისა და მდ. არკალას (ასე უწოდებს გეგმის შემდგენელი) შესართავთან, მათ შუა მდებარეობს. ქალაქის აღმოსავლეთის წვერი მდინარეთა შესართავიდან იწყება და თავდება დასავლეთით, მაღალი მთის წვერით. კაიშაურიდან მომავალი გზა ქ. ანანურს შუაზე ჭრის. ამ გზის მარცხნივ (თბილისისაკენ პირით) ქალაქში შემოყვანილია მდ. არაგვიდან წყლის არხი, ორ ძირითად ტოტად, რომელიც შემდეგ ხუთ ტოტად იშლება და ისევ უერთდება არაგვს. ამ არხის მოვალეობას ბალ-ბოსტნის მორწყვა შეადგენდა.

კაიშაურიდან მომავალ გზაზე გეგმით უნდა აგებულიყო ქალაქის ერთი ბასტიონი, ე. ი. ქალაქის ჩრდ.-დასავლეთ კუთხეში; მეორე ბასტიონი ქალაქის ჩრდ. კუთხეში იყო ნავარაუდევი; მესამე, — ჩრდილო-აღმოსავლეთით; მეოთხე — აღმოსავლეთით, მდინარეების შესაყართან; მეხუთე — სამხრეთ-აღმოსავლეთით; მეექვსე და მეშვიდე — სამხრეთით და აქვე უნდა აეგოთ ნახევარბასტიონი. ამას გარდა, ძველადვე იყო და გეგმაზედაც აღნიშნულია „მთის კოშკი" („Нагорная башня"). ბასტიონები კედლებით უნდა ყოფილიყო შეერთებული, მაგრამ ამჟამად არც ამ კედლების, რომელიც მთელ ტერიტორიას შემოსაზღვრავდა, და არც ამ ბასტიონების კვალიც არ არის. გეგმა სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი. ანანურს თავისი ძირითადი სახე უცვლელად შერჩა. ძველ ანანურს საკუთარი კედლები ჰქონდა. ციტადელი, რომელიც არაგვისაგან მოშორებით, მისკენ დაქანებული ტერიტორიის ყველაზე მაღალ ადგილზე იყო აღმართული, ქალაქთან ერთად, კედლებით იყო შემოსაზღვრული, მას ექვსი კოშკი ჰქონდა, ოთხი ჩრდილო-აღმოსავლეთით და ორიც სამხრეთ-აღმოსავლეთით. ციტადელს გარეთ, საერთო კედლებში იყო მომწყვდეული მცხოვრებთა სახლები, დუქნები და სხვ. ნაგებობანი. ქალაქის ძველი კედლით შემოზღუდული ტერიტორიის ჩრდილო- და სამხრეთ-აღმოსავლეთით შემდეგ გაჩენილი მოსახლეობა და მათი კვარტალები ეკრა. ადრე, ქალაქის ძირითადი გზა, რომელიც ჩრდილოეთიდან თბილისისაკენ მო-

---

[52] ЦГВИА, ВУА, ფონდ № 21626.

ემართებოდა, გადიოდა ციტადელის კედლის სამხრეთით, 1806 წლისათვის კი კაიშაურიდან მომავალი გზა ქალაქის ძველ კედლებს სამხრეთ-აღმოსავლეთით უვლიდა.

ქალაქის ყველაზე მაღალ, ამავე დროს, დავაკებულ ადგილზე იყო ცალკე კედლებით შემოსაზღვრული ციტადელი, რომელიც ძველად ქალაქის მფლობელს ეჭირა და რომელშიც იმჟამადაც რუსული ადმინისტრაცია იყო მოკალათებული. აქ, ქართული ეკლესიის გარდა, იყო სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი, საყარაულო, კომენდანტის საცხოვრებელი და სხვ. ქალაქის ციტადელს და საკუთრივ ქალაქის კედლებს ჩრდილოეთიდან იცავდა ორი კოშკი.

დღევანდელ ანანურს შერჩენილი აქვს როგორც ციტადელის კედლები კოშკებითურთ, ასევე, ალაგ-ალაგ, ქალაქის კედლები და ეს ორი კოშკიც. ასეთი იყო ქ. ანანურის გარეგანი სახე 1806 წლისათვის.

2. ა წ ყ უ რ ი

სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვან ქალაქთა შორის ვახუშტი აწყურსაც ასახელებს. იგი წერს: „თიხრევის-ჯევს ზეით, მტკვრის კიდეზედ სამჯრით არს აწყვერი ქალაქი და ციხე დიდშენი. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი, არამედ წარჩინებულნი მოჰმადიანნი... აქ არს ხიდი მტკვარსა ზედა“[63].

აწყურს, უსკერის სახელით, როგორც პატარა ქალაქს, იხსენიებს შარდენიც. იგი წერს: „სამი ეჯის იქით ახალციხის ვაკე ვიწროვდება, მთები ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ნახევარი ეჯის სიგანე ვაკის მეტი აღარ რჩება. ამ ადგილას არის მაგარი ციხე ოსმალებისა, აშენებული კლდეზე, მტკვრის მარჯვნივ კლდე გარშემოზღუდულია წყვილის კედლით. ციხის გარშემო გაშენებულია პატარა ქალაქი ახალციხის მაგვარად. ამ ადგილს უსკერი ჰქვია. აქ არის სანჯაყი, ჯარი, მხედრობა, მებაჟე“[64].

აწყური, როგორც ქალაქი, აწყურის მოქალაქენი, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, XV ს. ამბებთან დაკავშირებით არის მოხსენებული. იაყუბ ყაენი და მისი ლაშქარი, 1486 წ. ახალციხის აოხრების შემდეგ, „მოადგეს ციხესა და ქალაქსა აწყურისასა და მოწვეს აწყური და მოაოხრეს ქალაქი და ციხესა ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად და წარსვლა ინებეს“. მაგრამ დიდებულებმა ციხის კლიტენი მიანებეს, მოლაშქრეები მიეტივნენ და იავარ ჰყვეს სა-

---

63 აღწერა, 124.

64 შ ა რ დ ე ნ ი, მოგზ. საქ-ში, გვ. 56.

ჭურჭლე საყდრისა"[65]. ამის შემდეგ, „დატყვევდა აწყურისა ღუთის-მშობელი... და მოქალაქენი და რაცა ციხესა შიგან იყო დიადი სული წაასხეს და წარვიდა ყაენი მისსა საყაენოსა"[66].

მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცულია აწყურის 1828 წ. შედგენილი გეგმა, რომლის მიხედვით შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ XIX ს. დამდეგამდე აწყურს თავისი სახე დიდად არ შეუცვლია. გეგმას მიწერილი აქვს: „Крепость Ацхур. Снята глазомерно Мингрельского пехотного полка Прапорщиком Мамонтовым, Августа 20-го дня, 1828-го года"[67]. გეგმას, სამწუხაროდ, განმარტება არ ახლავს, მაგრამ მისი ძირითადი სახის აღდგენა მაინც შესაძლებელი ხდება.

აწყურის ციხე-სიმაგრე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ გორაკზეა გაშენებული. ციტადელი, რომელიც გორაკის უმაღლეს წერტილზეა მოთავსებული, ცალკე კედლებით არის შემოვლებული, ხოლო მთელი ციხე კიდევ მეორე კედლით, რომელიც ერთ მხარეს ციტადელის კედლებს უერთდება. მართლაც, შარდენის არ იყოს, აწყურის ციხეს ორი კედელი ჰქონია. ციტადელისა და ციხის სამხრეთით, შედარებით დავაკებულ ადგილზე შეფენილია მოსახლეობა, აქვე არის მეჩეთის ნანგრევებიც. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ციხე-სიმაგრე და მოსახლეობა მტკვრის მარცხენა ნაპირს ხიდით უერთდება. ასე რომ, ვახუშტის მითითება აწყურში ხიდის არსებობის შესახებ დასტურდება. ხიდის თავთან, მის ჩრდილოეთით, სამოსახლო ნაგებობანი და მეჩეთია აღნიშნული. აქვე გეგმის შემდგენელს მიუწერია: „Форштат". აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა, როგორც მტკვრის მარჯვენა, ასევე მარცხენა ნაპირზე, კედლებით არ არის დაცული. მოსახლეობის თავშესაფარს ციხე წარმოადგენდა, ხოლო ქალაქის მფლობელის საჯდომს კიდევ — მისი ციტადელი. ამას გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი გზა, რომელიც კი აწყურში შემოდის, არ გადის ციხეში. გზები ციხეს ან ირგვლივ უვლიან, ან კიდევ ციხის ქვემოთ, მტკვრის ნაპირებს მიჰყვებიან.

აწყურის ქალაქის მოსახლეობა ადრევეც დაუცველი ყოფილა. ალბათ, ამით აიხსნება რომ იაყუბ ყაენმა, როგორც ეს ზემომოტანილი ცნობიდანაც ჩანდა, ადვილად მოაოხრა ქალაქი, ხოლო ორი კედლით გამაგრებულ ციხეს კი „ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად". ქალაქის ხიდი დიდ დახმარებას უწევდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მყოფ

---

65 შედგი ქ. ცხოვრებისა. „ქ. ცხ-ბა", II, გვ. 262.

66 იქვე, გვ. 263.

67 ЦГВИА, ფონდი ВУА, № 21660.

მოსახლეობას. მოსალოდნელი საშიშროების შემთხვევაში იგი ხიდზე გავლით ადვილად აღწევდა ციხეს... შემთხვევით არ არის, რომ იაყუბ ყაენმა აწყურის მოქალაქენი ხელთ იგდო სწორედ ციხეში. ციხეში იყო აგრეთვე განძეულთა საჭურჭლეც. „უბრძანეს (ეპისკოპოსსა. — შ. მ.), რათა ხატი ყოვლად წმიდისა აწყურისა ღუთის მშობლისა ციხესა საჭურჭლესა შინა დაასვენოს“[68].

როგორც ვხედავთ, ოსმალთა ბატონობის დროს აწყურის გარეგან სახეს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია.

3. ახალ-ქალაქი

ახალ-ქალაქი საქართველოს უძველეს ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის. იგი X საუკუნიდან არსებობს და, ამ დროიდან მოკიდებული ვიდრე დღემდე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ძველი ახალ-ქალაქი, როგორც ეს ვახუშტის ცნობიდან და ნაქალაქარის ტერიტორიაზე დღემდე არსებული ნანგრევებიდან ჩანს, ორი მდინარის — ჯავახეთის მტკვრისა და ახალქალაქის წყალის — შესართავზე ყოფილა გაშენებული, აქ იყო ახალქალაქი ვიდრე XIX ს. 30-იან წლებამდე, სანამ რუსეთის ხელისუფლებამ იქვე მახლობლად ახალი ახალ-ქალაქის შენება არ დაიწყო. ახალ-ქალაქის შესახებ ვახუშტის შენიშნული აქვს: „ახალ-ქალაქი არს ამ ორთა მდინარეთა (ჯვარის მტკვარი და ახალქალაქის წყალი — შ. მ.) შესართავს შორის. ეს იყო ქალაქი მოზღუდვილი და ციხე ძლიერი. არამედ შეიმუსრა მრავალგზის გარნა აწ აღაშენა კვალად შავშეთის ბეგმან ქართლიდამ“[69].

ახალქალაქის გარეგანი სახის შესასწავლად ჩვენ XIX ს. 30-იანი წლების ორი გეგმა მოგვეპოვება. ორივე კარგად წარმოგვიდგენს, თუ როგორი სახე უნდა ჰქონოდა ქალაქს გვიანფეოდალურ ხანაში. გეგმას, რომელიც 1828 წ. იყო შედგენილი, ჩვენ პირველს ვუწოდებთ, მეორე კიდევ 1838 წ. უნდა იყოს შედგენილი. პირველი თუკი არსებულ მდგომარეობას აგვიწერს, მეორე ახალ სიმაგრეთა ასაგებ ადგილებსაც აღნიშნავს.

პირველ გეგმას მიწერილი აქვს: „План крепости Ахалкалак взятой Российскими войсками 24го Июля 1828го года под предводительством... Паскевича...“ გეგმის ქვედა, მარჯვენა კუთხეში მიწერილია:

---

68 შედეგი ქ. ცხოვრებისა, „ქ. ცხ-ბა“, 11, გვ. 262.
69 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, 130—131.

„Снята инструментально Гереловым .. Яншниковым, 24, 25 и 26 числа июля 1828го года“[70].

გეგმის მიხედვით, ძველი ახალ-ქალაქი მოქცეული ყოფილა გეინდარს სუს (ჯავახეთის მტკვარი — შ. მ.) და თავფარავან ჩაის (ახალ-ქალაქის წყლის) მიერ შექმნილ დაქანებულ კალთებიან ნახევარკუნძულზე. ძველი ქალაქის ჩრდილოეთი წვერი ამ მდინარეთა შესაყარზე იწყებოდა. ქალაქის ტერიტორია, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ არის გაწეული, იქ, სადაც ის ყველაზე უფრო ვიწროვდება, გადაკეტილია ორი კედლით. კედლებსა და ხევებს შუა მოქცეულია ქალაქის სასიმაგრო ნაგებობანი. კედლებით შემოსაზღვრულ ტერიტორიის აღმოსავლეთ კუთხეში, თავფარავან-ჩაის მხრისაკენ, არის ოთხკუთხი ფორმის A პუნქტი, თავისი საკუთარი კედლებით, რომელსაც გეგმის შემდგენელი ციტადელს უწოდებს. ციტადელის სამხრეთისაკენ მიქცეული კედელი ორი კოშკითაა გამაგრებული. სიმაგრის კედლები არა მარტო ყელს გადაკეტავენ, არამედ კედლები მიჰყვებიან აგრეთვე გეინდარ სუსა და თავფარავან-ჩაის მიმართულებებს და უერთდებიან სიმაგრის ჩრდილოეთ კედელს. ასე რომ, მთელი სიგრძე, ოთხივე მხრივ კედლითაა შემოსაზღვრული. სხვა ტერიტორიაზე, რომელიც ხევების მიერ შექმნილი ბუნებრივი ზღუდეებით იყო შემოფარგლული, ამ დროისათვის კედლების კვალი აღარ ჩანს.

მაგრამ, ვახუშტის მითითებით, ქალაქიც ადრე „მოზღუდვილი“ ყოფილა. ამაში „ქართლის მატიანის“ მითითებაც გვარწმუნებს, ახალქალაქის ზღუდის მშენებლობის შესახებ ბაგრატ IV-ის დროს. მაგრამ ვახუშტისა და შემდეგი ხანისათვის ეს ზღუდე, „მრავალგზის შემუსვრის“ წყალობით, მოშლილა და ქალაქის დაცვა ბუნებრივი ზღუდეებისათვის და ციხისათვის მიუნდვიათ. ქალაქის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე, ე. ი. იმ ტერიტორიაზე, რომელიც ციხის ჩრდ. კედელსა და მდინარეთა შესაყარს შორის არის მოქცეული, მოსახლეობის კვალი XIX ს. დამდეგისათვის აღარ ჩანს და ამის გამო გეგმის შემდგენელს მიუწერია კიდეც: „Бывший форштат“. ყოფილი „ფორშტატის“ ტერიტორიაზე იმ დროისათვის, მის ჩრდილოეთის წვერზე, იყო Б პუნქტი, ეკლესიის ნანგრევები, ხოლო თითქმის შუა ნაწილის დასავლეთ კუთხეში, გეინდარ სუსკენ E პუნქტი, მინარეთი. ნაქალაქარის ამ ტერიტორიას ჩვენ პირობით „ჩრდილო ფორშტატს“ ვუწოდებთ. „ჩრდილო ფორშტატში“ ამ დროისათვის სხვა ნაგებობანი არ არის აღნიშნული. „ჩრდილო ფორშტატი“ ციხეს ერთადერთი კარით უერთდება. აქ ციხის ჩრდილო კედლის თითქმის შუა ადგილზე არის პუნქტი—

---

[70] ЦГВИА, ф. ВУА, № 4265.

კარი. ამავე კარით შედიოდა ციხე-სიმაგრეში, „ჩრდილო ფორშტატში“ აღმოსავლეთიდან, თავფარავან-ჩაის გადალახვით შემოსული, ახალციხის გზა.

ციხე-სიმაგრის მეორე მნიშვნელოვანი და უმთავრესი კარი მის სამხრეთის კედელზე იყო. ისიც B პუნქტით არის აღნიშნული. აქ თავს იყრიდა სამხრეთის უმთავრესი გზები; ერთ მათგანზე გეგმის შემდგენელს „ყარსისაკენ მიმავალი გზა“ მიუწერია. ეს მეორე კარი მოქცეული იყო სამხრეთის კედელზე ციტადელსა და C პუნქტს, მეჩეთს შორის. ციხე-სიმაგრეს მესამე კარიც ჰქონდა. იგი მოქცეული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის, გეინდარ სუს გაყოლებით გაკეთებულ, კედლის შუა ნაწილში, მაგრამ მას უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა; როგორც გეგმის შემდგენელს შენიშნული აქვს, აქ გადიოდა გვირაბი წყლისაკენ, გეინდარ სუსკენ. ამგვარივე გვირაბი წყლისაკენ ციხეს ჰქონია ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელზე; გვირაბი ციტადელიდან გადიოდა თავფარავან-ჩაისაკენ. ის გეგმის შემდგენელს D პუნქტით აქვს აღნიშნული და მიწერილია: „Покрытые спуски к воде“.

ციხის ტერიტორია ციტადელითურთ სხვადასხვა ნაგებობებითაა დაფარული, მაგრამ მათ გეგმაში, სამწუხაროდ, ახსნა არ მოეპოვებათ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ციხის სამხრეთი კედლის წინ, თავის დროზე, გაშლილი ყოფილა მოსახლეობა, რომელთა კვალი მაშინ უკვე აღარ იყო, მაგრამ რომელზედაც გეგმის შემდგენელს მიწერილი აქვს: „Бывший форш[тат]“. მას ჩვენ „ჩრდილოეთის ფორშტატისაგან“ განსხვავებით, „სამხრეთის ფორშტატს“ ვუწოდებთ, თუ „ჩრდილო ფორშტატი“ მდინარეთა მიერ შექმნილი ხევებით და ციხით ყოველ მხრივ ასე თუ ისე დაცული იყო, „სამხრეთ ფორშტატის“ ერთი მხარე სავსებით დაუცველია.

როგორც ვხედავთ, გვიანფეოდალური ხანის ახალქალაქი თავისი გარეგანი სახით ჩვეულებრივი ტიპის ქალაქია: შუაში ციხითა და ციტადელით და ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ კიდევ წინა ქალაქებით. თავდაპირველად, ცხადია, ციხე, ციტადელი და „ჩრდილო ფორშტატი“ უნდა ყოფილიყო, „სამხრეთ ფორშტატი“ კი შემდეგდროინდელი წარმონაქმნია.

ახალქალაქის მეორე გეგმა[71] სავსებით იმეორებს პირველს, ოღონდ იქ გეინდარ სუ კირხბულახად არის მოხსენიებული, ამიტომაც ამ გეგმაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

გეგმა სიზუსტით ემთხვევა ყოველივე იმას, რაც დღესაც ნაქალაქარის ტერიტორიაზე არის დარჩენილი. 1947 წ. ისტორიულ-არქეო-

---

[71] ЦГВИА, ф. 349 (л), оп. 3. д. 2864.

ლოგიურმა ექსპედიციამ, ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, დაათვალიერა და შეისწავლა ახალ-ქალაქის ნაქალაქარი. აშკარად ირკვევა, რომ „ჩრდილო ფორშტატიც“, მიუხედავად იმისა, რომ ის ბუნებრივი ზღუდეებით იყო დაცული, ერთ დროს კედლით ყოფილა შემოსაზღვრული. ამას ადასტურებს ჩრდილო-დასავლეთით ჯერ კიდევ შერჩენილი კედლის და გამავალი კარების ნაშთიც.

ციხის ტერიტორიაზე დღესაც არის საკმაოდ დიდი ქარვასლის ნაშთი, იგი უფრო დიდია, ვიდრე თავფარავნის ქარვასლა. თავდაპირველად ქარვასლას ერთ მხარეს 9 მილი, ე. ი. 9 განყოფილება ჰქონია, ამდენივე იქნებოდა ქარვასლის მეორე მხარეც, რომელიც შემდეგ ამოულესიათ და ახალი კედლისათვის შეუერთებიათ. ეს ალბათ მას შემდეგ მოხდა, რაც ახალ-ქალაქის ქარვასლა თავის მნიშვნელობას თანდათან კარგავდა და ციხე კიდევ უმთავრესად თავდაცვის როლს იკუთვნებდა. სამხრეთის კედელზე, ციტადელის კოშკთან დღესაც არის მეჩეთი, როგორც ეს 1828 წ. გეგმაშია აღნიშნული. ამ კოშკსა (ციტადელის) და მეჩეთს შუა მოქცეული იყო ახალ-ქალაქის უმთავრესი კარი.

აღსანიშნავია, რომ „სამხრეთ-ფორშტატის“ კვალი, რაკი ეს ადგილი ამჟამად ახლად გაყვანილი გზებით არის გადასერილი, არ ჩანს.

4. ახალციხე

XVII—XVIII სს. ახალციხის გარეგანი სახის აღსადგენად მოგვეპოვება როგორც წერილობითი წყაროები, ასევე ახალციხის გეგმაც, რომელიც მისი განთავისუფლების შემდეგ იქნა შედგენილი.

პირველ რიგში წერილობითი წყაროების ცნობებზე შევჩერდეთ. ახალციხე, ისე როგორც სხვა იმდროინდელი ქალაქები, ციხედ და ქალაქად იყო დაყოფილი. XVს. ამბებთან დაკავშირებით ქართველ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: იაყუბ ყაენის მეომრებმა „მოიცვეს სრულიად და იავარ-ჰყვეს ქვეყანა სამცხესა და მერმე მოადგეს ციხესა და ქალაქსა ახალციხისასა... გატეხნეს ციხე და დაწვეს ქალაქი და დაიპყრეს ჴელთა მესხნი და დარბაისელნი ციხოვანნი“[72]. ახალციხე, ციხე და ქალაქი, არაერთხელ აქვთ მოხსენებული სეხნია ჩხეიძეს[73], ომან ხერხეულიძეს[74] და სხვა ქართველ ისტორიკოსებს. მაგრამ მათ არ მოუციათ ამ ციხე-ქალაქის აღწერა.

შარდენს ახალციხის გარეგანი სახის შესახებ შემდეგი ცნობა მოეპოვება: „ახალციხე არის კავკასიის მთაზე აშენებული ციხე: იგი

---

72 შედეგი ქ. ცხოვრებისა, „ქ. ცხ-ბა“, II, გვ. 262.

73 ქ. ცხ-ბა, II, გვ. 310.

74 იქვე, გვ. 491, 493.

დგას ოცამდე სხვადასხვა გორებს შუა. ამ გორებიდან ადვილად შეიძლება ყოველმხრივ მისწვდეს ტყვია. გარს ორი კედელი და კოშკი არტყია. კედლებიცა და კოშკებიც ძველებურად არიან ქონგურებით მოცულნი. ციხეს მცირე არტილერია აქვს. იქვე ახლო, გორებზე და მაღლობებზე, დაბაა გაშენებული. დაბაში ოთხასზე მეტი სახლია, რომლებიც თითქმის ყველა ახალია, ამ ცოტახანშია აშენებული. იქ ძველი არაფერია სომხის ორი ეკლესიის გარდა. დაბაში ცხოვრობენ ოსმალები, სომხები, ქართველები, ბერძნები და ებრაელები. ქრისტიანებს აქ აქვთ ეკლესიები, ებრაელებს — თორა. აქ არის აგრეთვე ახალი ქარვასლა, რომელიც ხისაგან არის აშენებული, როგორც თითქმის სხვა ყველა აქაური სახლი. ახლო ჩამოუდის მდინარე მტკვარი... ახალციხის ფაშა ციხეში ცხოვრობს... სპარსეთის ისტორია ამბობს — ციხე ქართველების მიერ არის აშენებული და ოსმალებმა წაართვეს უკანასკნელი საუკუნის დამლევსო. ოსმალებს მოუმატებიათ ამ ციხისათვის ახალი შენობები, როგორც მეორე ციხისათვის, რომელიც სამი დღის სავალზე არის იქიდან და იწოდება დამანად"[75]. შარდენის ეს ცნობები შემდეგ, ოდნავ შეკეთებული, გაიმეორა დე-ლა-პორტმაც.

იქნებ ახალციხეში ახალ შენობების აგებაზე მიუთითებდეს XVI ს. დასასრულის ამბებთან დაკავშირებული ცნობა ოსმალთა მიერ ახალციხის შენების შესახებ. ქორონიკონსა სოე (=1587 წ.) „ამავე ქორონიკონსა ახალ-ციხე და გორი აღაშენეს ურუმთა"[76].

XVIII ს. პირველი ნახევრის ახალციხის შესახებ ვახუშტის შემდეგი საინტერესო ცნობა მოეპოვება: „აქა არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოთ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს... ამ ახალციხეს უდის წყალი თვსი სამჯრით და დასავლით ლიკანის ჴევი, რომელი გამოსდის ფერსათს და მოდის სამკრეთად. ხოლო ქალაქი არს მოზღუდვილი ქვიტკირის სამის ზღუდით. მას შინა მოსახლენი არიან წარჩინებულნი და ჩენილნი მოჰმადიანი და ვაჭარნიც. გარნა სახლობენ სომეხნი, ურიანი და მცირედნი მესხნიცა. გარემოს ქალაქსა წალკოტნი, ვენახნი და ხილნი მრავალნი"[77].

შევადაროთ შარდენისა და ვახუშტის აღწერილობანი ახალციხის გეგმებს. ახალციხის გეგმები (სამი ასეთი გეგმაა მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში) გადაღებულია მის ალყასთან დაკავშირებით 1828 წ. სამივე ძირითადად ერთმანეთს იმეორებენ, განსხვავება მათ შორის მხოლოდ მასშტაბშია. ახალციხის სამხედრო ოპერაციებით დაინტერესებულ პირისათვის სამივე აუცილებელია.

---

75 შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 56.

76 შედეგი ქ. ცხოვრებისა, „ქ. ცხოვრება", II, გვ. 298.

77 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 125.

ჩვენი მიზნისათვის კი ერთი, ყველაზე ვრცელი გეგმაც საკმარისია და სწორედ მის განმარტებას შევუდგებით. გეგმას მიწერილი აქვს: „План осады крепости Ахалциха с 5 по 16 Августа и взятия оной штурмом 15го сего же месяца россистскими войсками под предводительством,.. Паскевича - Эреванского", გეგმა შედგენილია 1828 წ. კოლოკოვისა და საზანოვის მიერ[78].

გეგმის მიხედვით ქ. ახალციხე გაშენებულია მდ. ფოცხავის (Фоцхо-чай) მარჯვენა, წყლისკენ დაქანებულ გორაკებზე. ახალციხე გეგმის შემდგენელს სამ ნაწილად აქვს დაყოფილი: I. Цитадель, II. Крепость და III. Город.

ციტადელი მდ. ფოცხოვის ერთი ტოტის მარჯვენა, ყველაზე მაღალ ნაპირზეა გაშენებული. მას საკუთარი კედლები აქვს. ციტადელის ქვემოთ, ასევე შედარებით მაღალ გორაკზეა მოთავსებული ციხე (Крепость). ციხის ტერიტორია გაცილებით დიდია, ვიდრე ციტადელისა და თავისი კედლით, რომელიც მდინარის ნაპირამდე ჩადის, ციტადელს ერთ საერთო, კედლებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაში აქცევს. ასე რომ, ციხე თავისი კედლებითაა წარმოდგენილი. ამას გარდა, ციტადელსა და ციხეს კიდევ მესამე კედელი, კოშკებით გამაგრებული, იცავს. ეს მესამე კედელი გასდევს მთის კალთებს და უვლის ირგვლივ ციხის ნაგებობებს. ეს ფაქტიურად მესამე კედელია, რომლითაც ციხე-სიმაგრე დაცული იყო ქალაქის მხრიდან. ახალციხის მშენებლებს ეს მესამე კედელიც საკმარისად არ მიუჩნევიათ და ქალაქი და ციხე-სიმაგრე კიდევ მეოთხე კედლითაც გამოუყვიათ. ასე რომ, სავსებით მართალი იყო ვახუშტი, როცა მიუთითებდა, რომ ახალციხე „ᲛᲝᲖᲦᲣᲓᲕᲘᲚ არს ქვიტკირის სამი ზღუდითო". ვახუშტის, როგორც ჩანს, მხედველობაში არ მიუღია ცალკე კედლების მქონე ციტადელი.

ციტადელს და ციხეს მდინარისაკენ გასასვლელი არა აქვს. აქედან იგი სავსებით მიუვალი ჩანს. სამაგიეროდ ციხე-სიმაგრე, ჩრდილოეთით ერთადერთი კარით, რომელსაც გეგმის შემდგენელი XIII პუნქტით აღნიშნავს და რომელსაც „Крепостный ворота"-ს უწოდებს, უერთდება ქალაქს. ეს კარი გაკეთებულია ქალაქის თითქმის შუა ადგილზე.

ახალციხის ქალაქი გაშლილია ფერდობის შედარებით ვაკე და დაქანებულ კალთებზე, ციხე-სიმაგრის წინ, მის მარჯვნივ და მარცხნივ, ნახევარ წრის მსგავსად, ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. ქალაქი, ციხისაგან დამოუკიდებლად (ციხეს

---

[78] ЦГВИА, ф. ВУА, 5018.

პირდაპირ გასასვლელი არა აქვს და იგი ფოცხოვის მარცხენა ნაპირს ქალაქის მეშვეობით უერთდება), ერთადერთი ხიდით მდ. ფოცხოვზე, დაკავშირებულია მის მარცხენა ნაპირთან და აქედან შემომავალ გზებთან. მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, ახალციხის პირდაპირ, მოსახლეობა არ ჩანს.

ახალციხის ქალაქში ორი პატარა ხევი გადის, რომელნიც ფოცხოვს უერთდებიან. ქალაქი კედლით არ ყოფილა შემოვლებული, მაგრამ მას მდინარის ნაპირიდან მოკიდებული, ნახევარ წრედ, ირგვლივ სიმაგრენი და თხრილები ჰქონია.

ქალაქის დასავლეთისა და აღმოსავლეთის სასაზღვრო სიმაგრეები გეგმის შემდგენელს V პუნქტად აქვს აღნიშნული და განმარტებულია: „Полисад со рвом". დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეს Полисадები ერთმანეთს ნახევარწრიული (გეგმის შემდგენლის: VI ров) თხრილებით უერთდებიან. ამრიგად, ქალაქი კედლის მაგიერ გამაგრებული ყოფილა თხრილით, მაგრამ რაკი ეს მაინც საკმარისად არ მიუჩნევიათ, ქალაქს ირგვლივ თხრილებზე კოშკებიც აღუმართიათ. ეს კოშკები გეგმაში VII პუნქტებადაა აღნიშნული და განმარტებულია: „Бастiны защищающие города". ამგვარი 4 კოშკია აღნიშნული, ხოლო მეხუთე, რომელიც ქალაქის დასავლეთ საზღვარზე, მდინარის მაღალ ნაპირზეა აგებული, ცალკე პუნქტად (IX) არის მიჩნეული და განმარტებულია: „Укрепленная Башня Кая-даг".

ქალაქში ოთხი გზა შემოდიოდა: ერთი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, მეორე ჩრდილოეთიდან, მესამე ჩრდილო-დასავლეთიდან და მეოთხე აღმოსავლეთიდან. ყველა ეს გზა კოშკებთან გაივლიდა. ამ გზების შემოსასვლელებთან, თხრილებთან, ყოველთვის ზემოაღნიშნული კოშკები იდგა. ასე რომ, ეს კოშკები ქალაქის კარების როლს ასრულებდნენ. მაშასადამე, ახალციხის ქალაქს ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით ოთხი კარი ჰქონდა, ოთხივე კოშკებით დაცული. მეხუთე კარიდან, რომლითაც ქალაქი ხიდით მარცხენა ნაპირს უერთდებოდა, გადიოდა სამხრეთის მიმართულებით ქალაქში შემოსული ყველა ზემოაღნიშნული გზა და პირიქითაც, ამ ხიდით შემოდიოდა ყველა გზა სამხრეთიდან წამოსული. აღსანიშნავია, რომ აქ, ხიდისთავთან, მარჯვენა ნაპირზე, მცირე ნაგებობის გარდა, რაიმე სიმაგრე არ ჩანს.

დანარჩენი განმარტებანი, რომელიც გეგმას თან ახლავს, რუსეთის ლაშქრის სამხედრო მოქმედებას შეეხება და ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არ არის.

ახალციხე ციტადელით, სამმაგკედლიანი ციხით, ქალაქის თხრილშემოვლებული და კოშკებით გამაგრებული, 5 კარით, ტიპური გვიანფეოდალური ხანის ქალაქია.

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქებს შორის გორი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო.

გორის შესახებ მრავალი აღწერილობითი ხასიათის წყარო არსებობს, ასევე სხვა სახის ცნობები გაფანტულია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაშიც, ყველა ამ წყაროს მიხედვით, გორის სათანადო გეგმაც რომ არ გვქონოდა, მისი გარეგნული სახის აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა. მოვიტანოთ ზოგი ამგვარი ხასიათის ცნობა.

XV ს. ვენეციელი მოგზაური ამბროზიო კონტრინი მოიხსენიებს გორში ხის ციხესა და მის „საერთოდ კარგ ქალაქს"[79].

XVII ს. 70-იანი წლების გორის შედარებით ვრცელი აღწერა მოეპოვება შარდენს: — „გორი პატარა ქალაქია, მდებარეობს ვაკეზე, ორი მთის შუა, მტკვრის ნაპირას, ერთი გორის ძირში, რომელზედაც ციხე არის აშენებული. ციხის მცველები სპარსელები არიან. ეს ციხე აუშენებია გურჯისტანის უკანასკნელი ომის დროს, 40 წლის წინათ, რუსტენ ხანს, რომელიც სპარსეთის ჯარის სარდალი იყო. ციხის გეგმა მიუღგენია ერთ მისიონერს, რომელიც მაშინ გორში იმყოფებოდა... ციხე ძალიან მაგარია. მოხერხებულ ადგილზეა აშენებული... თვით ქალაქი პატარაა, სახლები და ბაზრები მიწურებია. მცხოვრებლები სულ ვაჭრები არიან და ამიტომ საკმაოდ შეძლებულნიც. აქ უხვად არის ყოველგვარი ხორაგი და იაფად იყიდება"[80]. შარდენის მიხედვით, გორში არის „ციხე მაგარი" და „თვით ქალაქი პატარა". ასევე. ეს ორი ძირითადი ელემენტია აღნიშნული გორის სხვა აღწერილობებში.

ვახუშტი ბატონიშვილს მოთხრობილი აქვს: „არს გორსა ზედა ციხე დიდი დასავლით არს გვირაბი, ჩატანილი ლიახვამდე, ქვითკირისა. ამის გარმოხვეული ლიახვიდან ლიახვამდე ქალაქი". „აგ მეფემან სვიმონ წარუხვნა ოსმალთა და შემუსრა ციხე. პთ მეფის როსტომის მეფობას აღაშენა შასეფიმ კვალად ციხე, და მიერით ეპყრათ ყიზილბაშთა. ედ მეფის ვახტანგის ჟამს იყო ცარიელი, შემდგომად დაიპყრეს ურუმთა, მერმე შანადირ დაარღვია ციხე; არამედ და ძალყოფილი ოსმალთა და ლეკთა და ყიზილბაშთაგან შემცირდა ქალაქიცა. და არს შენობა უმეტეს ქვიტკირისა, ეკლესიანი კეთილშვენიერნი გარნა ერთი შემუსრეს ოსმალთა სომხისა. აქა პთ მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რიგისა, წალკოტ სავარდოთა, დიდი; ავაზანი წყლიანი

---

79 კ ო ნ ტ ა რ ი ნ ი ა მ ბ რ ო ზ ი ო, მოგზაურობა, თარგმანი ალ. ჭყონიასი, „მოამბე", 1892, XI.

80 შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 81—82.

დიდ-დიდნი მშვენიერნი. ჟდ მეფემან ვახტანგ განაახლა; შემუსრეს ოსმალთა... გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი[81].

როგორც ვხედავთ, არაერთხელ დანგრეულა ციხე და შემცირებულა ქალაქი, მაგრამ გორს თავისი ძირითადი სახე მაინც არ დაუკარგავს.

გორის ციხისა, ქალაქისა, გალავნისა და კარების შესახებ არაერთხელ არის მითითებული XVII—XVIII სს. ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში. მაგ., სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: გივი ამილახვარმა გორის ციხეს ოთხი კაცი მიუჩინა, „გათენდა, ამ ოთხმა კაცმა შეიდეს ძელები მხართა, იყო ნიშანი ამათი, რომ ციხის კარზე ერთი იქით დაუდვან, ერთი აქათ, რომ ციხის კარი ვეღარ მოუგდონ. გააღეს კარი ციხისა და გამოვიდნენ ციხიდამ ურემნი, ჩამოვიდნენ ქალაქსა გორისასა, აიტანეს ძელები და დაუგდეს კართა ზედა იდროეს, გამოვიდა დამალული ჯარი, თურმე ყარაულმა იგრძნა მოასწრეს კარი ქვეით გალავნისა, შეიქნა ცემა გორში“. ამ ოთხმა კაცმა დიდი ომი გადაიხადა და შემდეგ „გამოვიდნენ მშვიდობით, ჩამოვიდნენ კარსა გალავნისასა, მოკლეს მცველნი კარისა, დალეწნეს კლიტენი“[82]. როგორც ვხედავთ, სეხნია ჩხეიძის ამ ცნობაში ლაპარაკია გორის ციხეზე, ციხის კარზე, გორის ქალაქზე, რომელიც „ქვეით გალავნის“ ქვემოთ არის გაშლილი, „ქვეით გალავანს“ თავისი კარი, „კარი გალავნისა“ აქვს, რომელიც კლიტით იკეტება და რომელზედაც დგანან „მცველნი კარისა“.

გორის ქალაქისა და ციხის შესახებ ლაპარაკობს პაპუნა ორბელიანიც: „გორს ისევ ავღანის ჯარი იდგა... დაცალეს გორის ქალაქი და ავიდნენ, გაამაგრეს ციხე გორისა. ხალხიც აიყარა და მთებში შევიდა... ამაში ქსნის ხევის ჯარი მიუსივა გორის ქალაქსა და აიკლეს“[83]. გორის „გალავნის კარების“ შესახებ მიუთითებს ომან ხერხეულიძეც: „ოსმალებმა თედო წმინდიდან ქართველ ყიზილბაშნი „გამოაქციეს და მოჰყვნენ გორის გალავნის კარებამდე“[84]. გორის ციხის მშენებლობის შესახებ და გორის უბნებზე მოგვითხრობს ფარსადან გორგიჯანიძეც: როსტომ მეფეს „გორიდამ ამბავი მოუვიდა — წუხელს ბატონი თეიმურაზ გორს დაესხა და ნაპირის სახლები ციხის ძირს მოვასხითო და ბაზარს ზეით გზები შეუკარითო და უბანსა და უბანს თავისივე კაცები უჩინეთო და თავთავის უფროსმან კაცმან ცოლშვილნი ციხეში შემოასხესო... ქვეით გორელებს ვერ შემოუვიდნესო“[85].

---

81 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 74.

82 ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, ქ. ცხოვრება, II. გვ. 338.

83 პ ა პ უ ნ ა, ქ. ცხოვრება, II, გვ. 396.

84 ო მ ა ნ ი, ქ. ცხოვრება, II, გვ. 48.

85 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, ტ. II, 1925 წ., გვ. 243.

გორის ციხისა და ქალაქის აღწერა მოეპოვება დელაპორტს, რომელიც ძირითადად შარდენს იმეორებს (აღსანიშნავია, რომ ამ ქალაქს დელაპორტის ქართულ თარგმანში „მცირე ყასაბა“ ეწოდება), იაზიკოვს[86], კლაპროტს[87], ა. თუმანიშვილს[88] და სხვებს, რომელზედაც ჩვენ ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ და გორის 1802 წ. გეგმების განხილვით დავკმაყოფილდებით, რომელიც აღწერილობით ცნობებს ავსებს და ნათელ წარმოდგენას გვაძლევს XVIII ს. დასასრულის გორზე. ჩვენ ხელთა გვაქვს გორის სამი გეგმის ფოტოპირი. პირველი № 20548 შედგენილია კატალოგის ჩანაწერის მიხედვით, 1802 წ., გეგმის მინაწერის მიხედვით წარმოადგენს ასლს, გადაღებულს ინჟ. ნაბორნის მიერ. ამ გეგმას განმარტება ახლავს, მაგრამ არა აქვს მხარეთა მაჩვენებელი. სამაგიეროდ, მეორე გეგმას (№ 20547), თუმცა მხარეთა მაჩვენებელი აქვს, განმარტებები არა აქვს. ეს ორი, ამრიგად, ერთმანეთს ავსებენ. მესამე კიდევ, 1824 წ. რომ შეუდგენიათ (№ 21868), გვიდასტურებს, თუ როდის და ვის მიერ არის შედგენილი პირველი ორი ზემოხსენებული გეგმა. 1824 წ. შედგენილ გეგმას მიწერილი აქვს: „Город Гори снятой инструментально в 1802 году полковником Дренякиным, а исправленный в 1824 году капитаном Жихаревым“. 1824 წ. გეგმა ძირითადად იმეორებს ორ წინახსენებულს. მაშასადამე, ზემოხსენებული გეგმები 1802 წ. პოლკ. დრენიაკინის მიერ ყოფილა გადაღებული.

ჩვენ ამჟამად 1802 წ. გეგმაზე ვილაპარაკებთ. გორის ცენტრალურ ნაწილს, გეგმის მიხედვით, წარმოადგენს ციხე, რომლის ერთი წვერი იწყება ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მეჯუდსა და ლიახვის შესართავიდან, დაქანებული გადამღობი კედლებით და მიხვეულ-მოხვეული გზით წყლისაკენ, ამოდის ზევით, გორის თხემზე. წყლისკენ ამ ჩასასვლელი გზისა და კედლების შესახებ კლაპროტი შენიშნავდა: „ჩასასვლელი გზა რომ დაცული იყოს და ციხეს წყალი არ მოაკლდეს, შემდეგნაირად მოუწყვიათ: ხსენებული კედლის პარალელურად მიემართება, შედარებით დაბალი, ორი კედელი. ისინი ერთმანეთისაგან დაშორებულია 20 ნაბიჯით. მათზე (მათ შორის) გაყვანილია ხუთი გადამღობი კედელი, რომლებიც სამი საჟენის სიმაღლისანია“[89]. ციხის ჩრდ.-დასავლეთ

---

[86] А. Цагарели, Грамоты, I, გვ. 447.

[87] J. Klaproth, Reisen in der Kaucasus und nach Georgien, II, Halle. 1814. გვ. 325—327.

[88] Опис. груз. города гори, Спб, 1816. შდრ. დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორიიდან, თბ., გვ. 7—9.

[89] J. Klaproth, Reisen in der Kaucasus und nach Georgien, II, Halle. 1814. გვ. 326.

წვერში, მდინარეთა შესართავზე ამ გეგმის მიხედვით არის C პუნქტი— Бассейн, წყლის შესაკრებელი, რითაც ციხე მარაგდებოდა. კლაპროტი ამ აუზსაც აგვიწერს: „პარალელური კედლების ბოლოები ერთმანეთს მდ. ლიახვთან უკავშირდებიან 4 საჟენის სიმაღლის კედლით, რომელსაც ნახევარრკალის ფორმა აქვს. ამ კედლის ძირში მიმდინარეობს ლიახვი, აქედან იღებენ წყალს და ასხამენ აგურისაგან გაკეთებულ წყალშესანახ აუზში. აუზს 12 საჟენი სიგანე, 16 საჟენი სიგრძე და 14 საჟ. სიმაღლე აქვს“[90].

C პუნქტიდან, ე. ი. წყლის აუზიდან, გეგმის მიხედვით, გადამღობ კედელთა საპირისპირო კუთხეების გავლით მოემართება გზა ციხის შიდა ტერიტორიისაკენ. გადამღობ კედლებთან გზა ციხის ტერიტორიაზე შემოსასვლელთან იკეტებოდა კოშკით, სადაც იყო გეგმის შემდგენლის მიხედვით b პუნქტი: „сход к троверзам“. გრძელი ოთხკუთხედის ფორმის ციხის შიდა ტერიტორია კედლებით იყო შემოსაზღვრული. ერთი კედელი ჩრდილო-დასავლეთის კუთხიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართება, მეორე კიდევ — დასავლეთიდან, მათი შესაყარი აღმოსავლეთია. აქაც იქმნება ციხის ვიწრო წვერი. ციხის ამ კედლებს და შიდა ტერიტორიას შემდეგნაირად აგვიწერს კლაპროტი: „ლიახვის დონიდან 16 ფუტის სიმაღლეზე (გორის ციხის განაკვეთის 1802 წ. გეგმით, უმაღლესი წერტილი ციხის შიდა ტერიტორიისა ლიახვის დონიდან 24 საჟენი, ე. ი. დაახ. 50 მ. იყო. — შ. მ.)[91], კლდიან მთის წვერზე მდებარეობს ციხე. ის წარმოადგენს გრძელ ოთხკუთხედს, რომელსაც 200 ნაბიჯი სიგრძე და 60 ნაბიჯი სიგანე აქვს. კედლები ერთი ფუტის სისქისა და სამი ფუტის სიმაღლისაა“[92]. ციხის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, მის აღმოსავლეთ წვერთან გეგმის შემდგენელს აღნიშნული აქვს d პუნქტი — წმ. გიორგის სახელობის ქართული ეკლესია. ამ ეკლესიის შესახებ ა. თუმანიშვილი თავის აღწერილობაში შენიშნავდა: „ციხის აღმოსავლეთ ნაწილში აშენებულია ქვითკირის წმ. გიორგის საყდარი და სანოვაგისა და სამხედრო საჭურვლის შესანახი საწყობები“[93].

ამავე ტერიტორიაზე, თითქმის ცენტრში, გეგმის შემდგენელი u პუნქტს აღნიშნავს და განმარტავს: „Яма выкладенная кирпичом в которую сажали преступников“.

ციხის შიდა ტერიტორია ერთადერთი კარით უერთდებოდა მის

---

[90] კ ლ ა პ რ ო ტ ი, გვ. 326.

[91] ВУА, 20547.

[92] კ ლ ა პ რ ო ტ ი, გვ. 326.

[93] Описание гор. Гори, с. 17, 20.

გარე ტერიტორიას. ეს კარი პუნქტადაა წარმოდგენილი გეგმაში და განმარტებულია: „Вход в крепости Гори“. ციხის კარის შესახებ თუმანიშვილი წერს: „შიგ შესვლა სხვანაირად არ შეიძლება თუ არა ერთი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული კიბით. კიბე იწყება კედლის გარეთ, მიემართება მაღლა და თავდება ციხის შესავალთან, სადაც კიბისა და შესავლის დასაცავად აშენებულია კოშკები“[94].

ციხის ზემოაღწერილი კედლები დაცული იყო, როგორც ეს გეგმიდან ჩანს, 23 კოშკითა და ბურჯით. მაგრამ ყველაფერი ეს საკმარისად არ მიუჩნევიათ და სამხრეთ-დასავლეთით კიდევ დამატებითი კედელი შემოუვლიათ. ეს კედელი, რომელიც, კლაპროტის სიტყვით, შიდა კედლიდან 20 ნაბიჯით იყო დაშორებული, გეგმის მიხედვით, იწყებოდა ლიახვიდან და თავდებოდა ციხის აღმოსავლეთ წვერთან. ციხის შიდა და გარე კედელს შუა რაიმე ნაგებობა, ან კიდევ მოსახლეობის კვალი არ ჩანს. ციხის ეს გარე კედელი აგრეთვე კოშკებით იყო გამაგრებული. ამ გეგმის მიხედვით 10-ზე მეტი კოშკი ითვლება. სწორი ყოფილა თუმანიშვილი, როცა აღნიშნავდა — გორის „ციხეში 35 მთავარი კოშკი იყო“[95]. ციხეს მეორე მხრით, ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთით, მსგავსი კედელი არ ჰქონია და იმ მხარის დაცვა ციხის ერთადერთ კედელს, გორაკის დაქანებულ კალთებსა და მდ. მეჯუდას ჰქონია დაკისრებული. ციხის გარე კედელი ერთადერთი კარით უერთდებოდა, ერთი მხრივ. ციხის შიდა კედლის კარს, ე. ი. ციხეს და მეორე მხრივ კიდევ, ქალაქს.

გორის ციხეს, როგორც ვხედავთ, ცალკე გამოყოფილი არა ჰქონია ციტადელი, ციხის მთელი ტერიტორია ამგვარ როლს ასრულებდა. აქ თავმოყრილი იყო როგორც ციხის გარნიზონი, ასევე მისი მფლობელების სხვადასხვა ნაგებობანი. ამ მხრივ დამახასიათებელია პაპუნა ორბელიანის შემდეგი მითითება: „დედოფალი საქართველოსი ანახანუმ წაბრძანდა გორს, თან იახლენენ დარბაისელთა ჯალაბნი, რომელნი იყოფებოდნენ ქალაქსა შინა, აღაშენა სახლნი გორის ციხესა შინა და დადგა მას შინა ერთი ზაფხული“[96]. აქ დედოფლის დროებით სადგომზეა ლაპარაკი. უფრო საინტერესო ცნობა მოგვეპოვება გორის მოურავის ადგილსამყოფელის შესახებ. ირკვევა, რომ გორის მოურავი გორის ციხეში იჯდა. 1801 წ. 25 თებერვალს შედგენილ დაკითხვის წიგნში ჩანიშნულია: „Допрос князя Отару Амилахвару. I-ое. как тебя зовут, какого звания и где жительство имеешь. II-а I-ое. Зовут меня

---

[94] Описание гор. Гори, გვ. 17, 20.

[95] იქვე, გვ. 20.

[96] პ ა პ უ ნ ა, ქ. ცხოვრება, II, გვ. 470.

Отар Амилахваров, грузинской князь, жительство имею в крепости Горы"[97].

ამას გარდა, გორის ციხე და მისი კოშკები, საჭირო შემთხვევაში, ქალაქის მოსახლეობის თავშესაფარი იყო. გორის ციხე არაერთხელ დაუნგრევიათ და ხელახლა აუშენებიათ. საამისო მითითება ჩვენ არაერთი მოგვეპოვება XVII—XVIII სს. ქართულ საისტორიო მწერლობაში.

გორის ციხის არაერთხელ დანგრევა-აშენებაზე მოგვითხრობს ვახუშტის თხზულებიდან ზემომოტანილი ამონაწერი. XVII ს. მისი აგების სურათიც კია შემონახული ცნობილი კასტელის წყალობით. კასტელის ნახატიდანაც კარგად ჩანს, რომ გორის ციხეს ისეთივე სახე ჰქონდა იმ დროისათვის, როგორიც შემდეგ ხანებში.

გორის ციხის შენება-შეკეთების შესახებ სხვადასხვა მასალებიდან[98] მოვიტანთ მხოლოდ 1797 წ. ერეკლეს დროინდელ საბუთს, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა გამო. ერეკლე ბრძანებდა: „ქ ღ´თით გალავნის შენობის დაიდვა და როგორც ამ სიით დაგვიწერია ყველანი ამგვარად უნდა მოეხმარონ:

ქ. თითონ ერთობით გორელებმა საკირის ქვა უნდა მოაჭრევინონ, მოატანინონ და სამყოფი საკირეები ჩადგან და თვითონვე დააწვევინონ. ქ. კიდევ გორელებმა უნდა მოაჭრევინონ სამყოფი აგური და თვითონვე დააწვევინონ.

ქ. ამ საკირეებისათვის და აგურის დასაწვავად რაც ხე მოუნდესთ, ეს ერთობით საციციანომ, საჯავახიანომ, სათარხნომ და სხვათ გაღმამჯრელთ უნდა მოუტანონ სამყოფად, ქარელიდამ მოკიდებული ძეგვამდინ.

ქ. რაც კირის სარევი ქვიშა და გალავნის საშენებელი ქვა მოუნდეთ, ერთობით ვაკე-ქართლმა უნდა მოუტანოს და მუშაც თავის დროს რიგით ვაკე-ქართლიდამ უნდა მოვიდეს და იმუშაონ კალატოზებთან, მუხრანიდამ მოკიდებული ჭალით საყარამდინ.

ქ. ღ´თით მასალა რომ მომზადდეს და კალატოზები შენობას მოჰყვენ, იმათი სასმელ-საჭმელი გორელებმა უნდა აძლიონ და ჯელფასი, რაც გორში იჯარა მუშაობს, ყველადამ შეხვედრით უნდა მისცეთ"[99].

---

97 ЦГВИА, ф. 26, опись 152, № 20.

98 იხ. ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 240; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 125 და სხვ.

99 ლენინგრ. აღმოსავლეთმცოდნ. ინსტიტუტი, ხელნაწ. განყ. E 160, აქ ფურცელი არაა აღნიშნული.

გორის ციხის აღწერის შემდეგ გადავიდეთ გორის ქალაქის გარეგანი სახის აღწერაზე 1802 წ. გეგმის მიხედვით.

გორის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა შეფენილიყო ციხის ქვემოთ, განსაკუთრებით მის სამხრეთ და აღმოსავლეთ კალთებზე. ნაწილობრივ კიდევ სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთით. ქალაქის მოსახლეობა, ე. ი. საკუთრივ ქალაქიც კედლებით იყო შემოსაზღვრული. ქალაქის ჩრდ.-დასავლეთის კედელი იწყებოდა გორაკის ჩრდილოეთის ძირიდან, მოემართებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ერთბაშად უხვევდა აღმოსავლეთით, სწორხაზად, აქედან დასავლეთით; მაგრამ სამხრეთ კედელი ასე სწორხაზობრივად როდი მოდიოდა — დასავლეთიდან იგი ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთით, აქედან დასავლეთის მიმართულებით, ხელახლა სამხრეთით და ისევ დასავლეთით მიემართებოდა და თავდებოდა ლიახვის ჭალის შედარებით მაღალ ნაპირზე. აქედან მოკიდებული ვიდრე ციხის ჩრდილო-დასავლეთ წვერამდე ქალაქის ტერიტორიას, მცირე ადგილის გარდა, სადაც ქალაქის კარი იყო, კედელი არ ჰქონია. აქედან ქალაქის დაცვა მდ. ლიახვსა და მის ჭალებს ჰქონდა დაკისრებული. ქალაქის კედლები გეგმის შემდგენელს r-ით აქვს აღნიშნული და შემდეგნაირად განმარტებული: „Стена городовая, из земляного незженного кирпича". როგორც ვხედავთ, ქალაქ გორს XVIII ს. ბოლოს ალიზის კედელი ჰქონია შემოვლებული. ამით აიხსნება, ალბათ, ის, რომ ქალაქის კედლის ნაშთი დღევანდელ გორში არსად ჩანს და ზოგ ისტორიკოსს „გორის ქალაქი" ამიტომ „დაუცველ ქალაქად" წარმოედგინა. ასევე, შეუძლებელია ვილაპარაკოთ XVIII ს. გორის ქალაქის ქვითკირის კედლით დაცვის შესახებ[100]. აღსანიშნავია, რომ 1824 წ. გორის გეგმით, ალიზის კედლის ძირითადი ნაწილი გორის ახალ მოსახლეობას უკვე გადაულახავს და თითქმის აღარ ჩანს.

გორის ქალაქს სამი კარი ჰქონდა. ყოველ მათგანს თავისი სახელი ერქვა. ქალაქის ჩრდილოეთ კედელს თითქმის შუაზე ჭრიდა ე. წ. „იმერეთის კარი" („Ворота Имеретинские"); აღმოსავლეთ კედლის ცენტრალურ ნაწილში გადიოდა „მუხრანის კარი" („Ворота Мухранские"), ხოლო ლიახვის ჭალის მაღალ და გამაგრებულ ნაპირზე, სამხრეთ-დასავლეთით იყო „თურქეთის კარი" („Ворота Турецкие").

ქალაქის კედლებს შიგნით ამ დროისათვის მოქცეული ყოფილა სამოქალაქო, საპოლიციო და სხვა უწყებათა და მცხოვრებთა ნაგებობანი. მცხოვრებნი ქალაქის კედლებს გარეთ XVIII ს. დასასრულს

---

[100] Цагарели, Грамоты, I, с. 447, დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორიიდან, თბ., 1947, გვ. 7.

და 1802 წ. ჯერ კიდევ არ ჩანს. ქალაქს კედლებს გარეთ იყო ზოგი ეკლესია, სასაფლაოები და წისქვილები. ცალკეულ კედლებს შიგნით კიდევ 1802 წ. ყოფილა 5 ქართული და ამდენივე სომხური ეკლესია. შენობების უმეტესობა, რომლებიც ყოველი მხრიდან, გარდა ჩრდილო-დასავლეთ კუთხისა, ერტყა ციხეს, და რომლებიც გეგმის შემდგენელს X-ით აქვს აღნიშნული, მიწური ყოფილა. ნაგებობათა მცირე რაოდენობა იყო ქვითკირისა, რომელთაც გეგმის შემდგენელი Z-ით აღნიშნავს.

ციხეს მოშორებით, ნახევარწრის მსგავსად, სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, უვლის ქუჩა, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე ჩამწკრივებული ყოფილა გორის ყველა სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობა. ეს ნაგებობანი ქალაქის შუაგულშია, გარკვეული გეგმის მიხედვით, მოქცეული. ქალაქის სხვა ნაგებობებს რაიმე დაგეგმვის, კვარტალებად დაყოფის ნიშანი არ ეტყობა, გარდა სახელოსნო-სავაჭრო ნაგებობებისა. აღსანიშნავია, რომ ამავე ხაზზე იზრდებოდა სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა რიგები XIX ს. 20—30-იან წლებშიც, როგორც ამაში გორის 1824 წ. გეგმა გვარწმუნებს.

სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობებს გეგმის შემდგენელი Y-ით აღნიშნავს და დუქნებად (Лавки) განმარტავს. დუქნები, გარდა ამ ორი მწკრივისა, არსად გეგმის შემდგენელს სხვაგან არა აქვს აღნიშნული.

სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა ამ მწკრივებს გულისხმობდა ალბათ ფარსადან გორგიჯანიძე, როცა „გორის ბაზრის“ შესახებ ლაპარაკობდა.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის კედლებს შორის, ზოგ შემთხვევაში, მოქცეულია ვენახი და ბაღიც. მაგრამ ვენახი, ბაღბოსტანი, საყანე ადგილები კიდევ, დიდი რაოდენობით, ქალაქს გარს ერტყა, მის კედლებს გარეთ იყო. 1802 წ. გეგმაში ეს საგანგებოდ არის აღნიშნული და სავსებით ადასტურებს ვახუშტის მითითებას, რომ გორს „გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი“.

6. დუშეთი

დუშეთს XVIII ს. ქართველი ისტორიკოსები (ვახუშტი, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე და სხვ.) ქალაქად არ ასახელებენ. აქ ისინი მხოლოდ ციხესა და ერისთავის სასახლეს მოიხსენიებენ. პაპუნა ორბელიანი წერდა: „აღაშენა ციხე დუშეთისა ჯიმშერ ერისთავმა და ცდილობდა შემატებასა ამა ქვეყნებისასა, მეფენიც ჯეროვნად უსმენდნენ“[101]. ეს მოხდა XVIII ს. 50-იან წლებში, როცა თეიმურაზმა და

101 პაპ. ორბელიანი, ქ. ცხოვრება, II, გვ. 449.

ერეკლემ „არაგვის ერისთავის მამული მთლივ მთა და ბარი საუფლის-წულოდ გაურიგეს“[102] ვახტანგ ერეკლეს ძეს. ამ დროიდან იწყება დუშეთის შემდგომი დაწინაურება, რაც, ერთი მხრივ, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ჩრდილოეთის სავაჭრო გზის გახსნასთანაც იყო დაკავშირებული.

პაპუნა ორბელიანი, დუშეთის ციხის გარდა, მოიხსენიებს აქვე ერისთავის სასახლესაც. იგი წერს: „ხუნძახის ბატონის მოლაშქრენი მოვიდნენ დუშეთს, დაწვეს სასახლე ერისთავის“[103]. მეორე ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე დუშეთს „კობიას“ ციხეს უწოდებს. იგი აღნიშნავდა: ხუნძახის ბატონი „მოვიდა არაგვზედ და დუშეთს შემოადგა (რომელ არს ციხე კობია) და აღიღო“[104]. ამრიგად, XVIII ს. პირველ ნახევარში დუშეთი ქალაქად არ არის მოხსენებული. აქ იყო მხოლოდ ციხე და სასახლე ამ ადგილების მფლობელთა.

პლ. იოსელიანის ცნობით, დუშეთი ერეკლეს 1784 წ. ბრძანებით ქალაქის ხარისხამდე იყო აყვანილი[105]. ამით აიხსნება, რომ ერეკლეს 1770 წ. ოფიციალურ ცნობაში დუშეთი ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის ქალაქებს შორის არ იხსენიება.

საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დუშეთი ერთხანს, 1803 წლამდე სამაზრო ქალაქი იყო, ხოლო შემდეგ მისი სამაზრო ქალაქობა გააუქმეს და ანანურს გადასცეს. მაგრამ როგორც აღნიშნული იყო, ანანურმა კონკურენცია ვერ გაუწია საქალაქო განვითარებისათვის შედარებით უკეთესი პირობების მქონე დუშეთს და სენატის 1821 წ. 4 თებერვლის ბრძანებით, დუშეთს პირვანდელი ღირსება ისევ დაუბრუნეს. ბრძანებაში ნათქვამი იყო; „Упраздненный город Душети восстановить, 2. уезду Ананурскому называться Душетским“[106].

დუშეთის გარეგანი სახის აღსადგენად ჩვენ მოგვეპოვება მისი გეგმა. გეგმას მიწერილი აქვს: „План города Душета с показанием окрестной оного сытуации“. გეგმის შემდგენელი და შედგენის დრო არ ჩანს. მაგრამ იგი, უდავოდ, 1802 წ. არის შედგენილი, როცა დგებოდა აღმოსავლეთ საქართველოს გეგმები საერთოდ. ამას ასაბუთებს ისიც, რომ გეგმა დადასტურებულია პოლკოვნიკ ტიხონოვის მიერ,

---

102 იქვე.

103 იქვე, გვ. 455.

104 ომან მდივან-ბეგ ხერხეულიძე, ქ. ცხოვრება, II, გვ. 488.

105 Пл. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, с. 45. მისივე, Описание города Душета, Тифлис, 1860.

106 Акты, VI, ч. I, № 53, с. 39.

რომელიც საერთოდ 1802 წ. შედგენილ გეგმებს ადასტურებდა. გეგმის მასშტაბი — ინგლისური დიუმი — უდრის 25 საჟენს. გეგმას თან ახლავს განმარტებები და ციხის სიგრძედი და განივი ჭრილის პროფილიც.

დუშეთის გამაგრებულ ნაწილს წარმოადგენს სწორი ოთხკუთხედის ფორმის ციხე, რომელსაც გეგმის შემდგენელი A პუნქტით აღნიშნავს და განმარტავს, როგორც „Крепость". ციხის ყოველ კუთხეში მრგვალი კოშკები დგას. ამათ გარდა, ორი ნახევარწრიული კოშკი მოხაზულია ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლებზე, ერთი ამგვარივე ჩრდილო-დასავლეთის კედელზე, მის შუა ადგილზე. ციხის შიგნით ნაგებობანია აღნიშნული. უმთავრესი მათ შორის ციხის ქალაქისაკენ მოქცეულ ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელზეა მიდგმული და B პუნქტადაა აღნიშნული. ეს გეგმის განმარტების მიხედვით იყო „Дом царевича Вахтанга". ვახტანგის სასახლის გვერდით, აღმოსავლეთისაკენ აღნიშნულია C პუნქტი: „Новая недостроенная церковь". ციხის თითქმის ცენტრში იყო Д პუნქტი: Деревянная церковь".

ვახტანგ ბატონიშვილი აქ მოხსენებულ დუშეთის სასახლისა და სხვათა შესახებ გრაფ კოჩუბეის 1805 წ. 11 თებერვალს მოახსენებდა: არც რუსული ვიცი და „არც იკონომია და არცა სხვანი სახმარნი საქმენი" და აქ როგორ გავძლო. უკვე ორმოცდა მესამე წელიწადში ვიმყოფები და „აღარა მაქვს სასწავლოში შესვლის ჟამია", უმჯობესია გამიშვათ ჩემს მამულში და თუ მაინცდამაინც დამტოვებთ, შემინარჩუნეთ არაგვი, იქაური შემოსავალი აქ ფულად მომეცითო, „რომ ჩემი მამული, რომელიც მამის ჩემისაგან მბოძებიეს, უმრავლეს ათას ოთხასისა კომლისა არის და მაქვს იქ სასახლე დუშეთსა შინა, თვით ჩემგან აღშენებული და აგრეთვე ბაღი და ვენახი ჩემგანვე დასხმული, რომელთაგანაც ვსარგებლობდი მე არა მცირედ. და იქაურისა იჯარისა, ბაჟისა და სამღებროს შემოსავალიც ჩემი იყო"[107].

დავუბრუნდეთ ისევე ციხის აღწერას. აღნიშნულ ნაგებობათა გარდა ციხეში გეგმის შემდგენელს აღნიშნული აქვს W პუნქტი: „Обывательские землянки". ასეთი საცხოვრებლები როგორც ციხის ცენტრალურ ნაწილში, ასევე მის კედლებთანაც (შიგნით) ყოფილა.

სასახლის წინ, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით და განსაკუთრებით აღმოსავლეთით მოსახლეობა იყო გაშლილი. აქ ყველგან W პუნქტები — „Обывательские землянки" — არის აღნიშნული. მოსახლეობას შორის, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე, ჩამწკრივებული ყოფილა „Купеческие лавки", ეს დუქნები, გეგმის მიხედვით, თითქმის ერთ სწორ ხაზზე არიან ერთიმეორის მიყოლებით.

---

[107] ЦГИАЛ, ф. канц. МВД, д. 31, л. 112.

ქალაქის ტერიტორიაზე იყო ერთი სომხური ეკლესია; ქალაქის აღმოსავლეთ წვერთან ქართული ეკლესია, ქართული ეკლესიის მახლობლად, უფრო აღმოსავლეთით იყო ოთხკუთხა ფორმის ორი კოშკი (башни). როგორც გეგმიდან ჩანს, საკუთრივ ქალაქი კედლებით არ ყოფილა შემოსაზღვრული. ქალაქის მოსახლეობის დაცვა თვით ციხესა და ქალაქის ტერიტორიაზე აგებულ კოშკებს ჰქონდა მინდობილი. დამახასიათებელია, რომ ქალაქის დასახლების ბოლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე გამაგრებული იყო კედლებით. იგი ქალაქის მხრით იყო შეკრული. ეს კედლები გეგმის შემდგენელს J პუნქტით აქვს აღნიშნული, რომელიც „Разваленные каменные стены"-ს ნიშნავს. კედლების შიგნით იყო „Разваленная Башня". როგორც ვხედავთ, ქალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, საიდანაც ორი გზა შემოდიოდა, კედლები და კოშკები იცავდა, მაგრამ ეს კედლები 1802 წლისათვის დანგრეული ყოფილა. სხვა სასიმაგრო ნაგებობანი საკუთრივ ქალაქს არ ჰქონია. ციხის სამხრეთ-დასავლეთით, საყანე ადგილებს მიღმა იყო „Царевича Вахтанга сады", „Виноградный сад" და ამაშივე „Дом для садовника", სხვა ბაღები ქალაქის ირგვლივ არ ჩანს და იგი მთლიანად საყანე ადგილებითაა დაფარული.

ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთის მახლობელ მთაზე, მის ორ უმაღლეს წერტილზე 1802 წლისათვის იყო „Разваленные церкви".

დუშეთში გზები შემოდიოდა თითქმის ყოველი მხრიდან, კერძოდ: აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთიდან.

ასეთი იყო დუშეთი 1802 წლისათვის.

7. თ ბ ი ლ ი ს ი

ქალაქ თბილისის გარეგნული სახის შესასწავლად ჩვენ მოგვეპოვება არა მარტო შედარებით უხვი წერილობითი წყაროები, არამედ ქალაქის გრაფიკული გამოსახულებანიც. თბილისის უძველეს გრაფიკულ გამოსახულებად ჯერჯერობით შარდენის „მოგზაურობას" დართული ჩანახატი ითვლება (XVII ს. 70-იანი წლები); შემდეგ ტურნეფორის ნახატი (1700 წ.); ხოლო XVIII ს. პირველი ნახევრის, 30—40-იანი წლების თბილისს ვახუშტის ცნობილი გეგმა წარმოგვიდგენს. ამ გეგმათა შედარებითი და აღწერილობითი წყაროების მოშველიებით XVII—XVIII სს. თბილისის გარეგნული სახის აღდგენა თითქმის უნაკლოდ შესაძლებელი ხდება. ამგვარი სამუშაო სხვა მიზნით და სხვა დროს ჩატარებული მაქვს[108] და ამჟამად შარდენის, ტურნეფორის და ვახუშ-

---

108 იხ. ჩემი „თბილისის ისტორია", თავი III — ქალაქის ტერიტორია და გარეგანი სახე.

ტის გეგმებზე თუ აღწერილობით წყაროებზე მხოლოდ იმდენად შევჩერდებით, რამდენადაც ეს საჭირო იქნება აქ წამოჭრილ საკითხთა გარკვევისათვის. ამჟამად მხოლოდ იმ გეგმებს განვიხილავთ, რომელნიც დღემდე ცნობილი და განხილვის საგანი არ ყოფილა.

თბილისი, ისტორიული წყაროების მიხედვით ძირითადად, ისე როგორც სხვა გვიანფეოდალური ხანის ქალაქები, ორ ნაწილად იყოფოდა — ქალაქად და ციხედ. ერთს „თბილისის ქალაქს“ უწოდებდნენ და მეორეს კიდევ — „ტფილისის ციხეს“. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი. XVI ს. ამბებთან დაკავშირებით, „ქ. ცხოვრების“ ერთ-ერთ გამგრძელებელს აღნიშნული აქვს: „მოადგა მეფე სვიმონ ციხესა ტფილისისასა და ეგონა მოქალაქენი გამოვლენო, ყაენის შიშით მოქალაქენი არ მოუვიდნენ“. ან კიდევ „უსეინ ბეგ სპითა ურიცხჳთა... ღამე შემოვიდა ციხესა შინა ტფილისისასა“[109]. ამავე ავტორის მიხედვით „თბილისის ციხე“ უპირისპირდება „თბილისის ქალაქს“; იგი წერს: მეფე სიმონი „მიიყვანეს დაჭერილი ტფილისის ქალაქს“[110]. „ციხე ტფილისისა“ და „ქალაქი ტფილისისა“ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან განსხვავებით, მოხსენებული აქვს სეხნია ჩხეიძესაც[111]. ასევე ესმის თბილისის ორი ძირითადი ნაწილი პაპუნა ორბელიანსაც. იგი წერს: მეფის ბრძანებით აიღეს გალავანი და „გააერთნეს ციხე და ქალაქი თბილისისაო“[112]. მაგრამ ამგვარი მითითებანი იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ ან ციხე ან კიდევ ქალაქი მთლიანი იყო და რომ თბილისს სხვა ნაწილები არ ჰქონდა. სწორედ ამ ნაწილების განხილვაზე გვექნება ამჟამად საუბარი.

1949 წ., მოსკოვ-ლენინგრადში მივლინებისას, სხვა ქალაქთა გეგმებთან ერთად გადავაღებინე და შევისწავლე თბილისის 7 გეგმა. ამათგან 3 გეგმა, რომელიც XIX ს. პირველ ნახევარს ეკუთვნის, ჩემ მიერ უკვე განხილულია, და აქ მათზე სიტყვას არ გავაგრძელებ. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს პირველი ოთხი გეგმა, რომელიც XVIII ს. ეკუთვნის. ოთხი გეგმიდან ორი დათარიღებულია; ერთი, ფრანგული გადაღებულია 1782 წ., მეორე, რუსული, 1800 წ. ორი უთარიღოა და არც შემდგენელია აღნიშნული — ამ შემთხვევაშიც ერთი ფრანგულია და მეორე რუსული. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ორი უკანასკნელი გეგმა სქემატურად მოხაზავს თბილისის ციხესა და ქალაქს, მიუთითებს ძირითად ნაგებობებს. ქალაქის თუ ციხის ნაგებობათა დეტალური ახსნა მოცემული არ არის.

---

109 შედეგი ქ. ცხოვრებისა, II, გვ. 286.
110 იქვე, გვ. 287.
111 სეხნია ჩხეიძე, ქ. ცხოვრება, II, გვ. 310.
112 პაპუნა ორბელიანი, ქ. ცხოვრება, II, გვ. 429, შდრ. გვ. 442.

პირველ რიგში მათ დათარიღებას შევეცადოთ. დავიწყოთ ფრანგული გეგმით, რომელსაც პირობით „თბილისის პირველი გეგმა“ ვუწოდოთ.

თბილისის პირველ გეგმაში[113] მტკვრის მხოლოდ მარჯვენა ნაწილია წარმოდგენილი. მარცხენა ნაპირი, ავლაბარი არაა ნაჩვენები. გეგმა ინსტრუმენტალურად გადაღებული არ არის, ჩვეულებრივი სქემატური ჩანახაზია და სიზუსტეც, ამის გამო, ვერ არის დაცული. გეგმას ფრანგული განმარტება აქვს 16 უმთავრესი პუნქტისა, ხოლო რუსულად აწერია: „План города Тифлиса“. აღსანიშნავია, რომ ამ გეგმაზე, კერძოდ, მდინარე მტკვარზე ფრანგული მინაწერის წინ (Kura ou Cyrus) მიწერილია XVIII ს. ხელით, ქართულად — „მეგობარი წყალი“. ასე რომ, ეს ფრანგული გეგმა XVIII ს. ქართველსაც ჰქონია ხელთ. თუ ეს მტკვრის ჩვენთვის დღემდე უცნობი, ქართული მეტსახელი არ არის, იგი იქნებ თბილისიდან მოსკოვს გადახვეწილი ქართველის მინაწერი იყოს თავისი ძველი „მეგობარი წყლის“, მდ. მტკვრის მოსაგონრად. ეს გარემოება მხედველობაშია მისაღები.

გეგმით თბილისის ერთ უმთავრეს ნაწილს ქალაქის ციხე წარმოადგენს. გეგმის შემდგენლის მიხედვით ციხის უმთავრესი კედელი, რომელიც სოლოლაკის თხემს გასდევს, ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ გრძელდება (როგორც ეტყობა, გეგმის შემდგენელს მხარეების მაჩვენებელი არასწორად აქვს გაკეთებული) და იქ სრულდება მრგვალი კოშკით, რომელთანაც მოხატულია შედარებით დიდი სამეფო გვირგვინი (?). ეს, გეგმის მიხედვით, მე-9 პუნქტია და განმარტებულია: „Forteresse schah Nadir“ — „შაჰ-ნადირის სიმაგრე“. ესეც დამახასიათებელია და დამათარიღებელიც. ამ პუნქტს ვახუშტი ბატონიშვილის გეგმა და ასევე სხვა ჩვენთვის ცნობილი გეგმები და აღწერილობები „შოტახტს უწოდებს[114]. „ნადირ-შაჰის სიმაგრიდან“ კედელი ერთბაშად უხვევს და მიემართება მდ. მტკვართან. ეს კალას კედლებია.

სოლოლაკის თხემის კედლების მეორე, გეგმის მიხედვით, ჩრდილოეთ წვერიდან, ნახევარწრის მსგავსად, კედელი ჩამოდის თითქმის მდ. მტკვრის ნაპირამდე, აქედან უხვევს აღმოსავლეთისაკენ, ეყოფა ქალაქს კედლით, მიემართება ზემოთ, ე. ი. ჩრდილოეთით და უერთდება ისევ სოლოლაკის თხემის კედლებს. ამრიგად, გეგმით შემოხაზულია თითქოს არაწესიერი წრე; ეს გეგმის განმარტების მიხედვით არის „Forteresse ancienne“ — „ძველი ციხე-სიმაგრეები“. ციხე-სიმაგრეს სხვა კედლები არა აქვს, ე. ი. შემდგენელს საჭიროდ არ მიუ-

---

[113] ЦГВИА, ф. ВУА, 22657.

[114] იხ. ვახუშტის გეგმის პირი, Сб. Свод. о Кавказе, VII, 1880, с. 290 — 291.

ჩნევია ყველა დეტალის ჩვენება და მხოლოდ ციხის ძირითადი კედლები მოუხაზავს. გეგმით, ციხის ჩრდ.-დასავლეთის კედელზე, ციხის კარების მარჯვნივ და მარცხნივ სამ-სამი კოშკი ყოფილა, რომელთა შემაერთებელი ხაზები სამკუთხედებს ქმნიდნენ; ამ კოშკების ჩათვლით ციხე-სიმაგრეს 11 კოშკი იცავდა. როგორც ვხედავთ, გეგმის შემდგენელს ამ შემთხვევაშიც არა აქვს დაცული სიზუსტე. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გეგმით ქალაქისაგან ციხე კედლითაა გამოყოფილი. მაშასადამე, გეგმა იმ დროსაა შედგენილი, როცა ციხისა და ქალაქის გამომყოფი კედელი ჯერ კიდევ არსებობდა, ე. ი. XVIII ს. 50-იან წლებამდე.

ჩვენ გვაქვს პაპუნა ორბელიანის ერთი მეტად საინტერესო ცნობა; იგი წერს: „ბრძანა მეფემან (ერეკლე—შ. მ.) და აღიღეს გალავანი ქალაქისა, რომელი იყო ციხესა და ქალაქს შუა და გააერთნეს ციხე და ქალაქი თბილისისა“[115]. თუ როდის მოხდა ეს, პაპუნას აღნიშნული არა აქვს, მაგრამ მისი თხრობის თანამიმდევრობიდან ირკვევა, რომ ციხისა და ქალაქის გამყოფი გალავნის აღება 1747—1751 წწ. შორის მომხდარა. მაშასადამე, თბილისის გეგმა, რომელშიც ქალაქისა და ციხის გამომყოფი კედელი იყო აღნიშნული, 1750 წ. შემდეგ ვერ იქნებოდა შედგენილი. მართლაც, შარდენს[116] ღა ვახუშტის[117] თავიანთ ნახატებსა თუ გეგმებში საკმაო სიზუსტით აქვთ ნაჩვენები თბილისის ციხისა და ქალაქის გამყოფი კედლები. თბილისის შემდეგდროინდელ, დათარიღებულ გეგმებში კი (1782, 1800 წწ. გეგმები) ეს კედელი არ ჩანს.

მაშასადამე „თბილისის პირველი გეგმა“ 1750 წელზე გვიანდელი არ არის. ამას გარდა, შაიტახტის სახელით ცნობილი კოშკი „პირველი გეგმით“ „ნადირ-შაჰის სიმაგრედ იწოდება. ამ სიმაგრეს ნადირ-შაჰის სახელი არ შეიძლებოდა რქმეოდა ნადირის გახელმწიფებამდე და ქართლში მოსვლამდე, ე. ი. 1736 წლამდე. ამრიგად, გეგმა 1736—1750 წწ. შორის, უკეთ რომ ვთქვათ, XVIII ს. 40-იან წლებში უნდა იყოს შედგენილი. ყოველივე ეს ძალაუნებურად გვაფიქრებინებს — „მეგობარი წყალი“ ამ გეგმის შემმოწმებლის, უკვე ცნობილი კარტოგრაფის, ვახუშტის ხელით ხომ არ არის მიწერილი?

შევეხოთ გეგმაში მოხსენებულ უმთავრეს პუნქტებს: „მეფის სასახლე“. იგი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო, გეგმის მიხედვით ქალაქის ჩრდ.-დასავლეთის კედლიდან არც ისე შორს. დაახლოებით ამ ადგილზე უჩვენებს მეფის სასახლეს შარდენიცა და ვახუშტიც. სამეფო სახლის წინ, აღმოსავლეთით გეგმის შემდგენელი აღნიშნავს „მოი-

---

115 პ ა პ უ ნ ა, ქ. ცხოვრება, II, გვ. 429.

116 შ ა რ დ ე ნ ი, მოგზ. გვ. 92—93.

117 ვ ა ხ უ შ ტ ი, Сб. Свед. о Кавказе, т. VI.

დანს“. მოედნის წინ და ირგვლივ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე არის აღნიშნული ნაგებობანი, რომელთაც გეგმის შემდგენელი „Pasar“-ს უწოდებს, ე. ი. საავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა რიგები. მეტეხის ხიდსა და ციხის ქვედა კედელს შორის აღნიშნულია „თათრის მოედანი“. ამ სახელით ეს მოედანი დიდხანს იყო (და არის) ცნობილი. სამეფო სახლის მახლობლად, მტკვრის დინების მიმართულებით, მის ნაპირზე იყო სიონი. ამავე ადგილზე აქვთ აღნიშნული სიონი შარდენსა და ვახუშტისაც. სიონის პირდაპირ, მეფის მოედნის წინ იყო მეჩეთი. აღსანიშნავია, რომ არც შარდენი და არც ვახუშტი ამ ადგილზე მეჩეთის არსებობაზე არ მიუთითებენ. სამაგიეროდ, დაახლოებით ამავე ადგილზე მეჩეთს აღნიშნავს თბილისის 1782 წ. გეგმა. გეგმის შემდგენელს ციხის წინ, კალას ტერიტორიაზე, „თათრის მოედნის“ მახლობლად აღნიშნული აქვს „ცხელი აბანოები“. თუ გეგმის შემდგენელი აქ ცნობილ აბანოების უბანს გულისხმობს, მაშინ ისინი ციხის და ქალაქის კალას კედლების გარეთ, ე. წ. „ძველ თბილისში“ (იმდროინდელი წოდებით) იყო და არა თვით კალაში. აქ გეგმის შემდგენელს სიზუსტე ვერ დაუცავს. ამათ გარდა კალაში, სოლოლაკის დაქანებულ კალთებზე აღნიშნულია მონასტერი, მის მახლობლად კიდევ ფეთხაინი; ქვემოთ, კალას თითქმის ცენტრალურ ნაწილში და მეფის სასახლის მახლობლად, მის გვერდით, მტკვრის დინების საწინააღმდეგოდ — „პატრიარქის საჯდომი (სახლი)“[118]; დანარჩენი სამი ქალაქის კარების სახელწოდებანი უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ დავაზუსტეთ. სამივე კარი გეგმის შემდგენელს კალას ჩრდილო-დასავლეთის კედელზე აქვს აღნიშნული.

ასეთია თბილისის გარეგანი სახე XVIII ს. 40—50-იან წლების გეგმის მიხედვით. გადავიდეთ ამავე დროის თბილისის რუსულ გეგმაზე, რომელსაც პირობით „თბილისის მეორე გეგმას“ ვუწოდებთ. ეს გეგმაც დაუთარიღებელია. არც შემდგენელი, არც მხარეთა მაჩვენებელი და არც განმარტებანი არ ახლავს. გეგმაზე აღნიშნულ რამდენიმე პუნქტს იქვე აქვს სათანადო განმარტება. გეგმას XVIII ს. ხელით აწერია: „План города Тифлиса“[119]. ამ გეგმის შესახებ არც კატალოგში მოიპოვება რაიმე მნიშვნელოვანი, დამათარიღებელი ცნობა.

გეგმაში წარმოდგენილია როგორც ციხის კედლები, ასევე ქალაქისა და ავლაბრის გამაგრებული ნაწილი. ე. ი. ციხისა და ქალაქის კედლებით შემოსაზღვრული ტერიტორია. ამ გეგმის მნიშვნელობა მხო-

---

118 ეს სამი უკანასკნელი ვახუშტის არა აქვს. ასლით ასეა, შემოწმება უნდა.
119 ЦГВИА, ф. ВУА, 22658.

ლოდ ამაში მდგომარეობს. იგი ნათლად წარმოგვიდგენს ქალაქის კედლების მიმართულებასა და საერთოდ, ქალაქის სიმაგრეებს.

ქალაქისა და ამავე დროს ციხის აღმოსავლეთით კედელი, გეგმის მიხედვით, მოყვება სოლოლაკის წყლის (ანუ წავკისის, დაბახანის ხევის) მარცხენა ნაპირს და ჩამოდის მტკვრის კიდემდე, ზემოთ კი გასდევს ამავე მდინარეს, სოლოლაკის თხემს, ტეხილი ხაზით მიდის ე. წ. შაიტახტამდე. მაგრამ ამ კედლების შიგნით ცალკე გამოყოფილია ციხე. ციხე თავისი ციტადელით ქალაქისაგან ორი კედლით იყოფა. პირველი კედელი განჯის კარის მახლობლად იწყება და მოემართება ქალაქის აღმოსავლეთის კედლის პარალელურად, მტკვრის ნაპირამდე არ აღწევს, უხვევს დასავლეთით და შემდეგ ერთბაშად მიემართება ზემოთ და უერთდება ქალაქის სამხრეთის კედელს. ეს არის მისი მთელი ტერიტორია, რომელიც შიგნით კიდევ კედლებით, ხუთ მცირე და მეექვსე დიდ განყოფილებად არის დაყოფილი. ერთ-ერთ განყოფილებაზე გეგმის შემდგენელს მიუწერია: „Крепость". ციხის შედარებით პატარა კედლებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაში შემოდის წავკისის წყლის გადალახვით განჯიდან მომავალი გზა და აქვე არის „განჯის კარიც".

ის გარემოება, რომ ქალაქისაგან ციხე გამოყოფილია თავისი საკუთარი კედლებით, ამ გეგმის დამათარიღებლად უნდა მივიჩნიოთ. იგი, მაშასადამე, როგორც ზემომოტანილი მსჯელობიდან ჩანს, XVIII ს. 50-იანი წლების შემდეგ არ შეიძლება იყოს შედგენილი. ასე რომ, ეს გეგმა XVIII ს. პირველ ნახევარს ეკუთვნის.

განვაგრძოთ აღწერა: აღმოსავლეთის კედელს, აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლების მიერ შექმნილ კუთხეში, აქვს ერთადერთი ოთხკუთხა კოშკი. აღმოსავლეთის კედელში გაჭრილია გასასვლელი, რომლითაც ქალაქი უერთდებოდა აბანოების უბანს. აქ „აბანოების კარი" იყო (ეს გეგმის შემდგენელს აღნიშნული არა აქვს).

ქალაქის სამხრეთის კედელზე ორი მთავარი კოშკია აღნიშნული, შაიტახტში კიდევ სამი კოშკი, რომელნიც კედელთან ერთად სწორ ოთხკუთხედს ქმნიან. შაიტახტში გამოდიოდა და შიგნითა მხრიდან სამხრეთის კედელს მიჰყვებოდა „Пропуск вод в крепость". ეს წყალი ციხეში შედიოდა. ციხე ძირითადად, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ წყლით მარაგდებოდა. შაიტახტიდან კედელი ეშვებოდა თავქვე და ტეხილ ხაზად, სათანადო ბურჯებით მიემართებოდა ქვემოთ. ეს ქალაქის დასავლეთი კედელია, აქედან იგი ერთბაშად უხვევდა მტკვრისაკენ და მის ნაპირამდე ჩადიოდა. აქ გეგმა იმეორებს სხვა, მასზე ადრინდელ (შარდენი, ვახუშტი) გეგმებს. მტკვრის გაყოლებით ქალაქს ამ დროისათვის კედელი არ ჰქონია.

ქალაქის ტერიტორიაზე სულ 6 პუნქტია აღნიშნული. ამათგან მტკვრის კიდეზე — „Дворец“, მის წინ ოთხკუთხა ფორმის — „Площадь“, საიდანაც გადის გზა, რომელიც უერთდება „თათრის მოედნიდან“ წამოსულ გზას და მიემართება ზემოთ, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთის კუთხისაკენ. სასახლის გვერდით გეგმის შემდგენელი აღნიშნავს — „М: Сиони“ და იქვე მახლობლად — „Ц. Карис сакдари“. ამათ გარდა, ქალაქის ტერიტორიაზე აღნიშნულია სამი ეკლესია და სხვა არაფერი. ქალაქის დასავლეთის კედლის გარეთ იყო „Царские сады“, აღმოსავლეთის კედლის მახლობლად „М. Кашуети“ და მის გასწვრივ, მტკვრის კიდეზე „М: Армянскои“, ამ შემთხვევაში, ცხადია, ვანქი იგულისხმება.

ქალაქი, გეგმის მიხედვით, იქ, სადაც მტკვარს ყველაზე ვიწრო კალაპოტი აქვს, ერთადერთი ხიდით უერთდება მტკვრის მარცხენა ნაპირს. აქ გეგმის შემდგენელი აღნიშნავს კედელშემოვლებულ მეტეხს. კედლებს შიგნით კიდევ—„М. Метехи“. გეგმის შემდგენელი, ცალკე, ქალაქისა და ციხის კედლებს გარეთ სეიდაბადს გადამყურე მაღლობზე აღნიშნავს „Крепость Нарекала“-ს. სხვა რაიმე პუნქტი გეგმაში აღნიშნული არ არის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თბილისის 1782 წ. გეგმა, რომელსაც განმარტებები დართული აქვს ფრანგულ ენაზე[120]. გეგმა ფერებშია შესრულებული და წარმოადგენს თბილისის 4 ძირითად ნაწილს: ციხეს, ქალაქს ანუ კალას, ისანსა და ძველი თბილისის მხოლოდ ერთ, კერძოდ, აბანოების უბანს. გეგმას დართული აქვს ვრცელი ექსპლიკაცია, რომელიც 90 ნიშნის განმარტებას შეიცავს. შემდგენელი არ ჩანს, გეგმის მასშტაბია 1 დიუმი — 100 საჟენი. გეგმის შედგენის დრო მის მინაწერშია აღნიშნული: „საქართველოს დედაქალაქ თბილისის გეგმა. თბილისი გაშენებულია ორი მთის ფერდობზე და მდინარე მტკვარზე. რეზიდენცია, სადაც საქართველოს (ქართლის) მპყრობელი ერეკლე ცხოვრობს, გადაღებულია 1782 წელს. ქალაქ თბილისი, განაგრძობს შემდგენელი, სამ რაიონადაა დაყოფილი. ესენია: დასავლეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის კვარტალები. ქალაქის დასავლეთს დაბალი ადგილი უჭირავს და ეწოდება კალა (ყალა), აქ არის მეფისა და ქართველთა საცხოვრებელი სახლები. სამხრეთის რაიონს ქალაქის ყველაზე მაღლობი ადგილი უჭირავს და სწორედ მას ეწოდება თბილისი. ამ ნაწილ-

---

[120] ЦГВИА, ფ. ВУА, 22656. ამ გეგმის ძნელად წასაკითხ ფრანგულად შედგენილ ექსპლიკაციის განმარტებებში დიდი დახმარება ვაგვიწია ბ. გიორგაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ში სომხები ცხოვრობენ, აღმოსავლეთის რაიონს მდინარე მტკვარი ჰყოფს და მას ეწოდება ავლაბარი“.

გეგმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ არა მარტო შეფისა და სხვა დიდებულთა, არამედ სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობანიცაა აღნიშნული, რაც სხვა გეგმებში ჩვენ არ გვხვდება. არ შევუდგებით ციხისა და ქალაქის კედლების მიმართულებათა ხელახლა წარმოდგენას. ამ შემთხვევაში ეს გეგმა განსაკუთრებულს არაფერს იძლევა. მხოლოდ აქ აღარ არის ციხისა და ქალაქის ერთმანეთისაგან გამომყოფი ის კედლები, რომელნიც XVIII ს. პირველი ნახევრის გეგმებშია წარმოდგენილი.

გეგმის შემდგენელი თბილისს ძირითადად ოთხ ნაწილად ყოფს: დასავლეთი ნაწილი, რომელსაც ის კალას უწოდებს, სამხრეთი, რომელსაც ის ქალაქის მეორე კვარტალს უწოდებს და რომელშიც შედის, კალას ერთი ნაწილის გარდა, თვით ციხე, და ძველი თბილისი (აბანოების უბანი); მესამე ნაწილი ავლაბარია, მეოთხეს კიდევ იგი მონასტრების უბანს უწოდებს და მხედველობაში აქვს გარეუბანი. განვიხილოთ თითოეული მათგანი შემდგენლის თანმიმდევრობის დაცვით.

„პირველი კვარტალი, რომელსაც ეწოდება „კალა“, გეგმის შემდგენლის მიხედვით შეიცავს: „წყლის კარს“. წყლის კარი გეგმის მიხედვით ქალაქის ჩრდილოეთის კედელზე იყო, დღევ. ბარათაშვილის სახ. ხიდის მახლობლად, იმ ხევზე გავლით, რომელიც აქ მტკვარს უერთდება. ამ ხევზე ყოფილა ხიდიც. ალბათ, ამ ხევის გამო ეწოდა ამ კარს „წყლის კარი“. „წყლის კარი“ ისტორიული წყაროებითაც ცნობილია. ქალაქის ერთ კარს ამავე ადგილზე აღნიშნავს ვახუშტიც, ოღონდ მას იგი რატომღაც „მოედნის კარს“ უწოდებს (იხ. მისი გეგმის ექსპლიკაციის № 23). ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ვახუშტიზე უფრო სწორი 1782 წ. გეგმის ავტორი უნდა იყოს; 1800 წ. გეგმა კი ამ კარს უკვე „მუხრანის კარს“ უწოდებს.

„წყლის კარიდან“, გეგმის მიხედვით, პირდაპირ გზა მიდიოდა „საქართველოს პატრიარქის სახლისაკენ“; აქვე, ამ სახლს უკან, მტკვრის ნაპირისკენ იყო „პატრიარქის ეკლესია“, ხოლო მის გვერდით კიდევ „ანჩისხატის ეკლესია“. ანჩისხატიდან მტკვრის დინების მიმართულებით ჩამწკრივებულია ოთხი, თეთრი ფერის ნაგებობანი; ესენი გეგმაში ერთი ნომრის ქვეშ არის შეტანილი და განმარტებულია, როგორც „სამეფო სახლის კარი“ (სასახლეები). სასახლეებთან იყო წმ. გიორგის ეკლესია“ და „ერეკლე მეფის ეკლესია“ (სალოცავი კაპელა). ამ სასახლეებს გარდა, მეფე ერეკლეს ცალკე ბინა, სახლიც ჰქონია. ის ერთ-ერთი სასახლის უკან, მტკვრის პირზე იყო. ამავე ხაზზე იყო აგრეთვე „ცალკე ბინა ერეკლე მეფის ბავშვებისათვის“, „საქართველოს უფლის-

წულის სახლი“, „ღვთისმშობლის ეკლესია“, „სტამბა“, „ნათლისმცემ-ლის ეკლესია“ და „მეფის ცხელი აბანოები, რომელშიც აკვედუკებით (წყალსადენი მილებით) გამოყვანილია წყალი“. ამ ანსამბლში ჩვენს ყურადღებას იქცევს სტამბა და აბანო.

აბანო, ანჩისხატიდან თუ დავითვლით, მეოთხე და ყველაზე დიდი სასახლის უკან ყოფილა. აბანოსა და მტკვარს შუა კიდევ იყო ნათლის-მცემლის ეკლესია. სტამბა ანჩისხატიდან მესამე სასახლის უკან, ზედ მტკვრის ნაპირზე იყო. ამრიგად, იმ ადგილებში, რომელიც გაითხარა და რომელიც ადრე ზარაფხანის ნაშთებად იყო მიჩნეული, ზარაფხანა არაა საძებარი. იქ, ჩვენი აზრით, სამეფო სტამბა იყო 1782 წლისათვის, ხოლო იქვე, მის მეზობლად მეფის აბანო. ზარაფხანა კიდევ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ დროისათვის სხვაგან ყოფილა.

მეოთხე სასახლის დასავლეთის ფასადის წინ, ერთ ხაზზე იყო „ია-რაღების სახელოსნო“, ხოლო ამავე სასახლის სამხრეთ კედელთან გეგ-მის შემდგენელი მეჩეთს აღნიშნავს. მესამე და მეოთხე სასახლის წინ არის მოედანი, რომელთანაც სასახლეები მოკლე ქუჩებით იყვნენ შეერ-თებულნი. მეოთხე სასახლისა და მოედნის ირგვლივ იყო სამღებროს ქუჩა (რიგი), ოქრომჭედლების ქუჩა (რიგი), საფეიქრო (დრაპების) სახელოს-ნოები, რკინეულობისა და აბრეშუმეულის სახელოსნოები და მეფეხ-საცმელეების სახელოსნოები. ეს ის ადგილებია, რომელსაც „თბილისის არსებული გეგმის“ შემდგენელი „ბაზარს“ უწოდებს, და რომელთა შე-სახებ შარდენი შენიშნავდა: „სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი... მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული და ბოლოს გრძელი ბაზარია სასახლის პირდაპირ. მშვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან“[121].

ზემოაღნიშნულ რაიონში გეგმის შემდგენელი ათავსებს კიდევ შემდეგ მნიშვნელოვან პუნქტებს: „სომხების ეკლესია, რომელსაც ეწოდება სურბნიშანი“, დიღმის კარიდან ქალაქში შემომავალ გზაზე, მესამე სასახლის წინ — არსენალი; სურბნიშნის ეკლესიის ხაზზე, დიღ-მის კარსა და სურბნიშნის ეკლესიას შორის „სომხების ეკლესია, რო-მელსაც ეწოდება ჯიგრაშენი“ (?). ამას გარდა, ქალაქის ამ პირველ კვარ-ტალში იყო კიდევ ორი კარი: ერთი დასავლეთ კედელზე, მის თითქმის შუა წელში, „რომელსაც ეწოდება „მაღლა კარი“ და მეორე — დასავ-ლეთისა ჩრდილოეთის კედლების შესაყარ კუთხესთან, „კარები, რო-მელსაც ეწოდება „დიღმის კარი“. ამავე ადგილებზე კარები აღნიშნული აქვს ვახუშტისა და 1800 წ. გეგმის შემდგენელსაც. ოღონდ „მაღლა კარს“ ვახუშტი „კოჯრის კარს“ უწოდებს, ხოლო 1800 წ. გეგმის შემ-

---

121 შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 95.

დგენელი კი — „წავკისის კარს“. მეორე კარს კი ვახუშტიც „დიღმის კარს“ უწოდებს.

ამრიგად, ქალაქის პირველი კვარტალი, რომელიც გეგმის შემდგენლის მიხედვით, ქართველებით იყო დასახლებული, მოიცავდა აღმოსავლეთით სასახლეების უბანს სიონამდე, ჩრდილოეთით — მუხრანის ხიდამდე და დასავლეთით — კოჯრის კარამდე. ეს უბანი, მართლაც, იმდროინდელი თბილისის ყველაზე უფრო დაბალი რაიონი იყო.

ქალაქის მეორე კვარტალში გეგმის შემდგენელი მტკვრის მარჯვენა ნაპირის ყველა დანარჩენ ნაწილს გულისხმობს. ქალაქის მეორე კვარტალში შედიოდა: „რომიდან წარმოგზავნილი კაპუცინების კათოლიკური ეკლესია“, „სომხების ახალი ეკლესია“; პირველ მათგანს, სწორედ იმ ადგილებზე, ვახუშტიც აღნიშნავს და მას „ლათინთა საყდარს“ უწოდებს, მეორე კი ვახუშტის აღნიშნული არა აქვს. ამ კვარტალში ეგულება გეგმის შემდგენელს ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული ფეიქართა, მერკინეთა, მეაბრეშუმეთა და მეფეხსაცმელეთა სახელოსნოებიც. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო „ნათლისმცემლის ეკლესია“ და „სიონის ეკლესია“. ნათლისმცემლის ეკლესია ვახუშტის აღნიშნული არა აქვს. სიონის წინ იყო „მეფის ქარვასლა, სადაც ცხოვრობს le lexi“ (?). ვახუშტის გეგმის მიხედვითაც, სწორედ ამ ადგილზე იყო „მეფის ფუნდუკი“[122]. ქარვასლის მახლობლად, სამხრეთ-დასავლეთით იყო „სომხების ეკლესია ნორაშენი“; ვახუშტიც აღნიშნავს ამავე ადგილზე ეკლესიას და მას „სომხის საყდარს“ უწოდებს. „სომხის საყდრის“ სამხრეთით იყო „ეკლესია, რომელსაც ეწოდება „ჯვარისა“. ეს ეკლესია ვახუშტის აღნიშნული არა აქვს. „ჯვარისას“ ქვემოთ, აღმოსავლეთით მტკვრის გეგმის შემდგენელს აღნიშნული აქვს „მეჩეთი“. ამ უკანასკნელის ჩრდილოეთით და სიონისა და მეფის ფუნდუკის სამხრეთით იყო ერთ ხაზზე „მექვაბეთა სახელოსნო“ (რიგი); არც ერთი მათგანი ვახუშტის არა აქვს აღნიშნული. „მექვაბეთა რიგის“ აღმოსავლეთით და სიონის სამხრეთით, მტკვრის კიდეზე იყო „ქარვასლა ვაჭრებისა“, ეს იმ ადგილზეა ნაჩვენები, სადაც ვახუშტი „თბილელის ქარვასლას“ აღნიშნავს. „მექვაბეთა რიგის“ სამხრეთით იყო „სომხების ეკლესია ზააკაშენი“ (?) ამავე კვარტალში, დასავლეთისაკენ აღნიშნულია კიდევ ერთი მეჩეთი. არც ერთ მათგანს ვახუშტი არ იხსენიებს. მეჩეთის დასავლეთით, მის მახლობლად იყო „სომხების ეკლესია მოღნისი“. ამავე ადგილზე ვახუშტიც აღნიშნავს „მოღნისს“. მოღნისის ჩრდილო-დასავლეთით და „ლა-

---

122 გეგმის 1880 წ. გამოცემის რუსულ ექსპლიკაციაში ვახუშტის გეგმის ეს ადგილი „Канюшная“-ღ არის თარგმნილი (შდრ. ვახ. ბერიძე, ანალები, 1, გვ. 137, შენ. 2).

თინთა საყდრის“ სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქის დასავლეთის კედელთან იყო „მეფის ზარბაზნების ჩამოსასხმელი“ „ქარხანა“. ეს „ქარხანა“ დაახლოებით იმ ადგილას ყოფილა, სადაც ვახუშტის დროისათვის იყო „ბეჟანის ბაღი“. აქვე მახლობლად იყო „სომხების ეკლესია სახელად კოსმანე“, ხოლო დასახლებული ტერიტორიის გარეთ, სოლოლაკის კალთებზე იყო „სომხების ბერთა მონასტერი“, „სომხების ეკლესია ფეთხაინი“ („Petkain“); „ებრაელების სინაღოღა“ და „სომხების ეკლესია კეთილ საყდარი“ (?); მეტეხის ხიდის მახლობლად არასწორი სამკუთხედის ფორმის მოედანი, რომელსაც გეგმის შემდგენელი „თათრების, მწვანილეულობისა და სხვა სანოვაგის, ბაზარს“ უწოდებს. ეს ის ადგილია, რომელსაც „თათრების“ ან კიდევ „ციხის მოედანს“ უწოდებენ. აქვე ქვემოთ, იქ, სადაც მტკვარი, კალაპოტის დავიწროებისა გამო, ერთბაშად უხვევს აღმოსავლეთისაკენ (აქედან ის ვიწრო კალაპოტში ექცევა და მეტეხის ხიდს გაივლის) იყო ზარაფხანა („la monnaie“), მეტეხის ხიდისთავთან იყო მეჩეთი, მის პირდაპირ, ხიდის მახლობლად, მტკვარზე ყოფილა „მინის საწარმო“, ხოლო ამავე მხარეს, ზედ ხიდის თავთან იყო „საბაჟო“ („la gouane“), „მეორე საბაჟო“ კიდევ, როგორც გეგმის შემდგენელი უწოდებს, ყოფილა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, აგრეთვე ხიდის თავთან. ამავე უბანში, „თათრის მოედნის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით, იქ, სადაც ციხის კედელი წყდებოდა, იყო „ციტადელის სომხური ეკლესია, სახელად წმ. იოვანე“, ხოლო მის აღმოსავლეთით, ქალაქის აღმოსავლეთ კედელთან აგრეთვე სომხების ეკლესია ყოფილა.

აქედან იწყება ციხის ტერიტორიის აღწერა, რომელიც გეგმის შემდგენელს მეორე კვარტალში აქვს აგრეთვე ნავარაუდევი. ციხის აღმოსავლეთ კედელთან, ციხის ტერიტორიაზე იყო „მინერალური წყლების ცხელი აბანოები“, ხოლო მის ზემოთ, აღმოსავლეთ კედლის კუთხეში — მეჩეთი; ციხის (ძველი ციტადელის) კედლებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე იყო „ციტადელის კარები, რომლის სიმაღლე არის სამოცი [ფუტი], ძველად სპარსელი ხანების რეზიდენცია“. აქვე იყო „წყლის რეზერვუარი, რომელიც აკვედუკებით ივსება“. წყალი, რომელიც ამ რეზერვუარს ავსებდა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, გამოყვანილი იყო წავკისის წყლიდან და მიემართებოდა სამხრეთის კედლის გასწვრივ, აქედან შემოდიოდა ციტადელში. ამ აკვედუკებისა და რეზერვუარების შესახებ შემდეგ მოგვითხრობს ფარსადან გორგიჯანიძე: მარტყოფს გამარჯვებული სააკაძე და თეიმურაზ I „ქალაქის ციხეს შემოადგენ,... ნარინყალას წყალი დაუწყვიტეს...“ (გორელი გორგაჯანიშვილი გიორგი). „იმ ღამეს ერთის კაცით ასულიყო და ხის ღარები აღებული ისრევე თავის ალაგზედ დაეწყო და სარსარავის წყალი მი-

[უ]შვა და გათენებამდისინ ნარინყალაში ედინა და ჭები და აბაბრები (sic) აევსოთ"[123]. აკვედუკები იმ დროისათვის, როგორც ჩანს, ხის ღარები ყოფილა.

ციტადელის ტერიტორიაზე იყო აგრეთვე „ბერძნების ეკლესია", „მინერალური ცხელი აბანოები", „სატუსაღო" და „კარები, რომელსაც ეწოდება განჯის კარი".

შემდეგ ნაწილს აბანოების უბანი შეადგენს, რომელსაც გეგმის შემდგენელი ისევ ქალაქის მეორე კვარტალში ათავსებს. აბანოების უბანი, როგორც გეგმიდან ჩანს, კარებით იყო შეერთებული კალას ტერიტორიასთან. ამ კარებს „აბანოების კარი" ეწოდებოდა[124]. აბანოების კართან, წავკისის (სოლოლაკის) ხევის მარჯვნივ იყო „მინერალური წყლების ცხელი აბანოები". ხოლო წავკისის ხევის შესართავთან, მტკვრისა და ამ მდინარის მიერ შექმნილ კუთხეში ყოფილა „კასრების (?) სახელოსნო", აქვე, მის მეზობლად, მტკვარზე „წისქვილი" იყო გაშენებული. ამით მთავრდება მეორე კვარტლის აღწერა. ამის შემდეგ გეგმის ავტორი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადადის: „მესამე ნაწილი, რომელსაც ეწოდება ავლაბარი". აქ პირველი პუნქტი კარებია. „კარები მდინარე მტკვარზე, რომელსაც ძველად სილური (?!) ერქვა". ამ კარებს, როგორც ცნობილია, „ავლაბრის კარს" უწოდებდნენ[125]. ვახუშტის „ავლაბრის კარი" მტკვარზე კი არა აქვს ნაჩვენები, არამედ ავლაბრის გამაგრებული ნაწილის აღმოსავლეთ კედელზე. მეტეხი და მისი ტერიტორია, გეგმის მიხედვით, გალავანშემოვლებულია. გალავნის შიგნით გეგმით ოთხი პუნქტია აღნიშნული: მეტეხი, რომელსაც გეგმის ავტორი შეცდომით სომხების ეკლესიად მიიჩნევს და კედელშემოვლებული ტერიტორიის შუაგულში „სურსათ-სანოვაგის ბაზარი", „სალხინო სახლი" (ხალვათ ხანა?) და ბერძნების ეკლესია კედლებს გარეთ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო „წისქვილები".

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გეგმის ავტორი ქალაქის გარეუბნების აღწერაზე გადადის: „წყლის კარის" პირდაპირ, მტკვრის შენაკად ღელეს მარცხენა ნაპირი ამ დროისათვის შედარებით დასახლებული ყოფილა. აქ, მტკვრის ნაპირზე იყო კედლებით შემოსაზღვრული „სომხის ბერების მონასტერი". ამ შემთხვევაში, ცხადია, იგულისხმება ვანქი, რომელსაც ვახუშტიც ამავე ადგილზე აღნიშნავს. ვანქის აღმოსავლეთით, მტკვრის ნაპირზე იყო წისქვილი, ვანქის დასავლეთით კი-

---

123 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. გვ. 233.

124 არც ვახუშტი და არც ამ გეგმის შემდგენელი ამ კარის სახელს არ იხსენიებს, მაგრამ მისი სახელწოდება ცნობილია მოურავის სარგოს, კლაპროტისა და პაპუნა ორბელიანის მიხედვით (იხ. ქ. ცხოვრება, II, გვ. 412).

125 ვახუშტის გეგმა, შედეგი ქარ. ცხოვრებისა, 502; 1800 წ. თბილისის გეგმა;

დევ „სომხების სასაფლაო“, რაც ვახუშტისაც აქვს აღნიშნული. ამ უკანასკნელის ჩრდილოეთით იყო ყაბახი, რომელიც ვახუშტის გეგმითაც აქვეა ნაჩვენები. ყაბახის დასავლეთით ქაშვეთია ნაჩვენები, რომლის სამხრეთ-დასავლეთით იყო „ეკლესია სახელად კალოუბანი“ და ერთი სომხური ეკლესიაც, რომლის სახელი გეგმის ექსპლიკაციაში გაურკვეველია. ვახუშტიც აღნიშნავს ამ პუნქტს და მას „სომხის საყდარს“ უწოდებს. კალაუბანსა და სომხურ ეკლესიას შორის ვახუშტის მიერ აღნიშნული „არაგვის ერისთავის სასახლე“ 1782 წ. გეგმაში არ ჩანს. არც ციციშვილის სასახლეა აღნიშნული. იქნებ, ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყოს.

ქალაქის დასავლეთის კედლების გასწვრივ, მის გარეთ, გეგმის შემდგენელი „მიწურ სახლებს“ აღნიშნავს, დასავლეთი კედლის დასავლეთით იყო „ბატონიშვილი გიორგის ბაღი“, „მეფე ერეკლეს ბაღი“ და „დედოფლის ბაღი“. „დედოფლის ბაღის“ სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში ყოფილა „ნანგრევები, რომელიც ძველად საქართველოს მეფეთა საცხოვრებელი იყო. წავკისის წყლის ერთი ტოტის მარცხნივ, დედოფლის ბაღის მახლობლად ყოფილა „ვერცხლისა და სხვა ლითონების ჩამომსხმელი სარეწაო“, ხოლო ამავე ტოტზე, ორსავე ნაპირზე, სარეწაოს სამხრეთით იყო წისქვილები.

სოლოლაკის და სოლოლაკის წყლის გადაღმა იყო მაჰმადიანების სასაფლაო, ხოლო მის დასავლეთით, შედარებით ვაკე ადგილზე ყოფილა „მინდორი, სადაც ხალხი ქვითა და ხის ხმლებით შეიარაღებული საომრად მიდის“.

ვახუშტისა და 1782 წ. გეგმის ურთიერთშედარება გვარწმუნებს, რომ ქალაქის კედლებსგარე ტერიტორია ვახუშტის გეგმის შედგენიდან ნახევარი საუკუნის გავლის შემდეგაც ისევე დაუსახლებელი იყო, როგორც მის დროს. 1782 წ. გეგმით ამ უბანში არც ერთი ისეთი პუნქტი არ არის ნაჩვენები, რომელიც ვახუშტის არ ჰქონოდეს აღნიშნული. ასევე დაუსახლებელი იყო 1782 წლისათვის მტკვრის მარცხენა მხარეც. გეგმის შემდგენელი აქ ორ ძირითად პუნქტს აღნიშნავს — „ქართველების მონასტერს“ და „სომხების მონასტერს“, სხვა დანარჩენ ტერიტორიას კი იგი სოფელს უწოდებს.

ასეთი იყო თბილისის გარეგანი სახე XVIII ს. 80-იანი წლებისათვის. ჩვენ მოგვეპოვება თბილისის 1800 წ. გეგმაც. მას პირობით „თბილისის მეოთხე გეგმას“ ვუწოდებთ[126]. ЦГВИА-ში დაცულია ორი ამგვარი გეგმა, ერთი დედანია, თვით შემდგენლის, ჩუიკოს მიერ ხელმოწერილი, მეორე კიდევ მისი ზუსტი ასლია. ეს უკანასკნელი უფრო

---

[126] ЦГВИА, ф. ВУА, 22660.

კარგადაა შენახული და თავის დროზე ამ უკანასკნელით ვსარგებლობდი.

გეგმას მიწერილი აქვს: „План города Тифлиза, Резиденции царства Грузинского с описанием его частей и вных главных публичных строений. Сочинен 1800 года“.

გეგმის მასშტაბი — 1 დიუმი უდრის 25 საჟენს. მასშტაბიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად დეტალურია ეს გეგმა. მას თან ახლავს ვრცელი ექსპლიკაცია, რომელიც დროის სიმცირის გამო, ჩემ მიერ მთლიანად არ ყოფილა გადაწერილი, იმ იმედით, რომ გეგმის ფოტოპირში შესაძლებელი იქნებოდა მისი წაკითხვა. მაგრამ. ეს არ გამართლდა... ასე რომ, ამჟამად მოკლებული ვარ შესაძლებლობას ამ ვრცელი გეგმით დეტალურად ვილაპარაკო 1800 წ. თბილისის სახის შესახებ. ამ მხრივ ნაშრომს შევსება დასჭირდება.

სამაგიეროდ, მოგვეპოვება ჩანაწერები უმთავრესი პუნქტებისა, რომელიც გეგმაში იყო აღნიშნული. ეს უმთავრესი პუნქტებიც მოგვცემს გარკვეულ წარმოდგენას 1800 წ. თბილისის შესახებ და ამიტომაც მათზე შეჩერებას საჭიროდ მივიჩნევთ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით განხილული გეგმების ურთიერთშედარებას, საჭიროდ ვთვლით ოღონდ ერთ საკითხზე, კერძოდ, ქალაქის კარებზე საგანგებოდ შევჩერდეთ. როგორც ცნობილია, XVII—XVIII სს. თბილისს, ქართული და უცხოური წყაროების მითითებით ექვსი კარი ჰქონდა. თბილისის „მოურავის სარგოში“ გარკვევით არის მითითებული „ნავროზზედ ზარბაზნები რომ გაცვივდება, სამი დღე ქალაქის მოურავისა არის ბაჟი, ქალაქის ექვსის კარისავე შემოსავალი“[127].

ქალაქის ექვს კარზე მიუთითებს კლაპროტიც. იგი წერს: „თბილისში ექვსი მთავარი კარია: Kojiris-kari (ეს უნდა იყოს „კოჯრის კარი“— შ. მ.) დასავლეთ კედელზე; Djoua-kari (ეს „დიღმის კარი“ უნდა იყოს—შ. მ.); Tschilis-kari მტკვრის პირზე (აქ „წყლის-კარი“ უნდა იყოს აღნიშნული, რომელიც, მართლაც, მტკვრის ნაპირზე იყო—შ. მ.); „ავლაბრის კარი“, ხიდის წინ; „აბანოს კარი“, საიდანაც მიდიან აბანოებში და „განჯის კარი“, ნარიყალას სიმაგრის ქვემოთ, საიდანაც გზა გადის განჯაში სოლოლაკის დაბლობით“[128]. ყველა აქ ჩამოთვლილი „კარები“ ცნობილია როგორც წყაროებით, ასევე თბილისის სხვადასხვა გეგმების მიხედვით.

მაგრამ ვახუშტის გეგმას ამ თითქოს ნათელ საკითხში ერთგვარი

---

127 საქ. სიძვ., II, § 4. გვ. 523.

128 იხ. კლაპროტის თხზულებიდან თბილისის აღწერის რუსული თარგმანი: Старый Тифлис, с. 69.

დისონანსი შეაქვს. ვახუშტის გეგმით, ქალაქში მის დროს ექვსი კი არა, შვიდი კარი ყოფილა. დავიწყოთ ჩრდილოეთის კედლიდან. ჩრდილოეთის კედელზე ვახუშტის ორი კარი ეგულება, ერთი — მუხრანბატონის სახლის პირდაპირ, ე. წ. მუხრანის ხიდის მახლობლად და მას იგი „ქვემო კარს“ უწოდებს; მაგრამ აქ ხიდი ღელეზე არ ჩანს, რომლითაც კალაში შესვლა შესაძლებელი იქნებოდა. ამავე კედელზე, იქვე მახლობლად, პირველის დასავლეთით იყო „მოედნის კარი“. აქ მართლაც ჩანს ხიდი, მაგრამ თუ რატომ ეწოდებოდა „მოედნის კარი“, არცთუ ისე ნათელია. ამას გარდა, ამ სახელით აქ კარს არ იცნობს სხვა ჩვენთვის ცნობილი წყაროები.

ქალაქის დასავლეთის კედელზე, ვახუშტის გეგმით, კიდევ ორი კარი იყო: დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების მიერ შექმნილ კუთხეში იყო „დიღმის კარი“, ხოლო ზემოთ კიდევ „კოჯრის კარი“. ეს კარები ეჭვს არ იწვევს და ამ კედელზე მართლაც ორი კარი იყო ცნობილი. სამხრეთის კედელზე ერთადერთი და მთავარი კარი იყო. ვახუშტი და სხვა ყველა წყარო მას „განჯის კარს“ უწოდებს. კალას კიდევ ჰქონდა მის აღმოსავლეთ კედელზე კარი, რომელიც მას აბანოების უბანთან და სეიდაბადთან აერთებდა. ეს გასასვლელი ვახუშტის აღნიშნული აქვს, მაგრამ ამ კარების სახელს არ იხსენიებს. აქ კი კარების არსებობა უდავოა და მას „აბანოების კარი“ ეწოდებოდა. მას იხსენიებს პაპუნა ორბელიანი: „განჯის კარი და აბანოების კარიც ქართველთა დაიპირესო“[129]. ამავე კარს იხსენიებს „მოურავის სარგო“[130] და როგორც ზემოთ ვნახეთ, კლაპროტიც. „აბანოების კარი“ განუმარტებლად აღნიშნულია 1782 წ. გეგმაში, ხოლო 1800 წ. გეგმაში „აბანოების კართან“ დასმულია — 20, რომელიც ექსპლიკაციაში განმარტებულია როგორც „Банные ворота“, ამრიგად, აქ მნიშვნელოვანი კარის არსებობა უდავო ფაქტია. ის ვახუშტის გამორჩენია ოღონდ.

ავლაბრის კედელში კიდევ გადიოდა „ავლაბრის კარი“. ამ კარს ამავე სახელწოდებით იცნობს როგორც წერილობითი წყაროები, ასევე ჩვენთვის ცნობილი გეგმებიც.

ამრიგად, გამოდის, რომ ვახუშტის მიხედვით, ქალაქში შვიდი კარი იყო: „ქვემო კარი“, „მოედნის კარი“, „დიღმის კარი“, „კოჯრის კარი“, „განჯის კარი“, „აბანოების კარი“ და „ავლაბრის კარი“, რაც ჩვენთვის ცნობილ წყაროებს ეწინააღმდეგება. უდავოა, რომ ამ შემთხვევაში ვახუშტის შეცდომა უნდა ჰქონდეს დაშვებული ჩრდილოეთის კედლის კარების განმარტებისას. არც გეგმებით და არც წყაროებით ჩრდილოე-

---

129 ქ. ცხოვრება, II, გვ. 412.
130 საქ. სიძვ., II, გვ. 523—524.

თის კედელზე ორი კარი არ ყოფილა. კლაპროტი მტკვრის პირზე ერთ კარს — წყლის კარს — იხსენიებს, რასაც ვახუშტი ქვემო კარს უწოდებს. 1782 წ. გეგმაში, ჩრდ. კედელზე ერთადერთი კარია აღნიშნული, და მას, როგორც ზემოთ ვნახეთ, „წყლის კარს“ უწოდებს გეგმის შემდგენელი. ასევე 1800 წ. გეგმაშიც აქ ერთადერთი კარია აღნიშნული, ოღონდ მას, გასაგები გარემოებებისა გამო, იმჟამად „მუხრანის კარი“ ეწოდებოდა. „წყლის კარს“ იხსენიებს „მოურავის სარგოც“[131] და იოანე ბატონიშვილიც. ამ ორი უკანასკნელი გეგმით „წყლის კარი“ იქ იყო, სადაც ვახუშტი „დაბლა კარს“ უჩვენებს. ოღონდ, ორივე გეგმით, აქ ხიდი იყო (ვახუშტი აქ ხიდს არ აღნიშნავს). მაშასადამე, ამავე კედელზე ე. წ. „მოედნის კარისათვის“ ადგილი აღარ რჩება, ამ სახელწოდების კარი შეიძლებოდა ყოფილიყო იქ, სადაც მოედანი, კარის შემწეობით, რაიმე უბანს უერთდებოდა. ასეთად კი იმდროინდელ თბილისში „ციხის მოედანი“ ანუ „თათრის მოედანი“ უნდა ყოფილიყო, რომელიც გარკვეული კარებით ვახუშტის დროს ჯერ ციხეს, ხოლო შემდეგ აბანოების უბანს ანუ ძველ თბილისს, სეიდაბადს უერთდებოდა.

ამრიგად, „მოედნის კარი“ ვახუშტის გეგმაში ჩრდილოეთ კედელთან შეცდომითაა მოხსენიებული და იმ კარის სახელწოდება უნდა იყოს, რომელსაც ვახუშტი გეგმაში აღნიშნავს, მაგრამ რომლის სახელსაც იმავე პუნქტზე არ იხსენიებს, ე. ი. სხვა წყაროებით „აბანოების კარის“ სახელით ცნობილი კარებისა. ამრიგად, ვახუშტის „მოედნის კარი“, რომელიც შეცდომით თითქოს ჩრდილოეთის კედელთან უნდა ყოფილიყო, ნამდვილად, სხვა წყაროებით ცნობილი, „აბანოების კარია“. ვახუშტის „ქვემო კარი“ კიდევ 1782 წ. გეგმის „მოურავის სარგოსა“ და კლაპროტის „წყლის კარსა“ და 1800 წ. „მუხრანის კარს“ შეესატყვისება. ამგვარი შესწორების შემდეგ ცხადი გახდება, რომ თბილისს, ვახუშტის გეგმის მიხედვითაც, ექვსი კარი ჰქონდა და არა შვიდი, როგორც ეს დაშვებული შეცდომის გამო შეიძლებოდა წარმოგვედგინა.

ვახუშტის დასავლეთის კედელზე ორი კარი აქვს აღნიშნული — დიღმისა და კოჯრის. პირველი, ე. ი. „დიღმის კარი“ ყველა წყაროში ამ სახელწოდებითაა ცნობილი (იხ. 1782 წ. გეგმა — 23; „მოურავის სარგო“, 1800 წ. გეგმა — 23, იოანე ბატონიშვილის პროექტი და კლაპროტის ზემომოტანილი ცნობა); მეორე, ე. ი. „კოჯრის კარი“ კი სხვადასხვა სახელწოდებითაა წარმოდგენილი. 1782 წ. გეგმა მას „მაღლა კარს“ (maglakarri) უწოდებს, ხოლო 1800 წ. გეგმა — „წავკისის კარს“; „მოურავის სარგოს“ იოანე ბატონიშვილის პროექტში და კლაპროტის Reisen-ში კიდევ იგივე კარი „კოჯრის კარის“ სახელითაა ცნო-

---

131 იხ. მისი პროექტი, საქ. მუზეუმი, H 2155, გვ. 37.

ბილი. ამრიგად, უდავოა, რომ ვახუშტის, „მოურავის სარგოსა“ და კლაპროტის „კოჯრის კარი“ უდრის 1782 წ. გეგმის „მაღლა კარსა“ და 1800 წ. გეგმის „წავკისის კარს“. სხვა კარების („განჯის კარი“, „ავლაბრის კარი“) სახელწოდება და მდებარეობა კიდევ ეჭვს არ იწვევს.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, შემდეგს მივიღებთ: თბილისს XVIII ს. 6 კარი ჰქონდა. ქალაქის ჩრდილოეთ კედელზე, მტკვრის პირის მახლობლად ერთი კარი იყო, რომელსაც ვახუშტი „ქვემო კარს“ უწოდებს, სხვა ყველა წყარო კიდევ „წყლის კარს“, გარდა 1800 წ. გეგმისა, სადაც იგი „მუხრანის კარად“ იწოდება, ე. ი. „ქვემო კარი“, „წყლის კარი“ და „მუხრანის კარი“ ერთი და იმავე კარის სხვადასხვა სახელწოდებაა.

ქალაქის დასავლეთის კედელზე ორი კარი იყო. პირველს „დიღმის კარს“ უწოდებს ყველა წყარო. მეორეს კიდევ ზოგჯერ „კოჯრის კარი“, ზოგჯერ „მაღლა კარი“ და „წავკისის კარიც“ ეწოდებოდა. ე. ი. „კოჯრის კარი“, „მაღლა კარი“ და „წავკისის კარი“ ერთი და იმავე კარის სხვადასხვა სახელწოდებაა.

სამხრეთის კედელზე ერთადერთი კარი იყო და იგი XVII—XVIII სს. ყველა წყაროში „განჯის კარის“ სახელითაა ცნობილი.

აღმოსავლეთის კედელზე კიდევ ერთი კარი იყო, რომელსაც ცნობილი წყაროები „აბანოების კარს“ უწოდებენ. ვახუშტის მიერ შეცდომით ჩრდ. კედელთან ნაჩვენები „მოედნის კარი“ „აბანოს კარის“ სხვა სახელწოდება უნდა იყოს.

ქალაქის მეექვსე კარი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ავლაბრის კედლებთან იყო და მას ყველა წყარო „ჰავლაბრის//ავლაბრის კარს“ უწოდებს.

8. თ ე ლ ა ვ ი

თელავი საქართველოს ძველ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის. ვახუშტი ბატონიშვილი თელავის შესახებ წერდა: „თურდოს ჯევის სამხრით არს თელავი, რომელი ჰყო კვირიკემ პირველ გამეფებულმან კახეთს და ცერეთს, სასახლე დიდი, და ვითარცა ქალაქი, ხოლო მისცვალა მცირედთ მეფემან არჩილ და განაახლა. აწცა არს სასახლე და ციხე და მაგრობენ მას შინა“[132]. როგორც ჩანს, ვახუშტის ცნობით, არჩილ მეფეს (1664—1675) ძველი თელავისათვის სახეც და ადგილიც მცირედ შეუცვლია. ასე რომ, ერეკლეს დროინდელი თელავი იქ აღარ იყო (როგორც ქვემოთ დავინახავთ), სადაც ძველი, X და შემდეგი საუკუნეების თე-

---

132 აღწერა, გვ. 100.

ლავი მდებარეობდა. ვახუშტის დროისათვის თელავში, მართალია, ციხე და სასახლე ყოფილა, მაგრამ ქალაქის სახე მაინც არ ჰქონია. თელავის, როგორც ქალაქის აღდგენა, უდავოა, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ხანასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ერეკლე II მას ჯერ კიდევ XVIII ს. 50-იან წლებში აღადგენდა. პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „კახ ბატონი წაბრძანდა კახეთს და განასრულა გალავანი თელავისაო"[133]. აქვე, უკვე ადრე, არსებობდა „სახლი მეფისა"[134].

XVIII ს. თელავის გარეგანი სახის წარმოსადგენად ჩვენ მოგვეპოვება თელავის გეგმა. იგი 1802 წ. არის გადაღებული. გეგმაზე მიწერილია: „План города Телави с прикосновением к оному населенных месть положении снятого инструментально 1802 года"[135]. ჩვენ ხელთ გვაქვს გეგმა, რომელიც ნამდვილი ფოტოპირია გადაღებული ვინმე Купчинов-ის მიერ. გეგმას ხელს აწერს, ჩვეულებრივ, Полковник Тихонов. მასშტაბი—1 დიუმი 25 საჟენია. გეგმას ერთვის „Профил города Телави", რაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქალაქის სიმაგრეთა განლაგებაზე.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ე. წ. ძველ თელავს, XVIII ს. თელავი, გეგმის მიხედვით, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა. ქალაქის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მაღლობის შუა წელში აღმართული „Замок царской" (მეფის ციხე). ციხეს არასწორი ოთხკუთხედის ფორმა აქვს. მეფის ციხის აღმოსავლეთ კედელზე მიშენებულია აგრეთვე კვადრატული ფორმის კედლებიანი ციხეც. ესენი ერთად „სამეფო ციხეს" ქმნიან. მინაშენი ერთადერთი კარით არის შეერთებული უმთავრეს (პირველ) ციხესთან. „Замок царской" — შედგება სხვადასხვა ნაგებობათაგან, რომელთა უმრავლესობას გეგმის ექსპლიკაციაში ახსნა არა აქვთ, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელზე მიშენებული წმ. გიორგის ეკლესიისა. მეფის სასახლე ჩვენ მიერ ზემოხსენებული მინაშენის შუაგულში იყო, ის გეგმის შემდგენელს პუნქტად აქვს აღნიშნული და განმარტებულია: „Дом бывшего 'царя Эраклия". მინაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელთან, გარეთ იყო მიდგმული „Дом патриарха Антония" და ორი ეკლესია. ამავე ნაწილის სამხრეთის კედელთან, შიგ იყო ბაღი. მეორე ნაწილს კარი ჰქონდა სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედელთა მიერ შექმნილ კუთხეში. კარიდან გასასვლე-

---

133 ქ. ცხოვრება, II, გვ. 451.

134 იქვე, გვ. 356.

135 ЦГВИА. ф. ВУА 22647.

ლი მიემართებოდა მის პირდაპირ, ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართული Რრგვალი კოშკისაკენ — „Башня“. მას, ალბათ, კარების დაცვა ჰქონდა დავალებული. „Замок царской“-ს პირველ ნაწილს ოთხი კარი ჰქონდა. მისი უმთავრესი კარი ჩრდილო-დასავლეთის კედელზე იყო. სწორედ ამ კედლის წინ იყო შეფენილი თელავის ძირითადი მოსახლეობა. ციხის კარებიდან სამი ძირითადი მიმართულებით — ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, სწორ ხაზად გამართული იყო სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა, დუქანთა მწკრივები — Лавки. ასე რომ, თელავის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს „Замок царской“-ს ჩრდილო-დასავლეთით გაშლილი ადგილი წარმოადგენდა. თელავის მოსახლეობა „სამეფო ციხის“ სხვა მხარეებთანაც იყო შეფენილი, იგი ციხეს ირგვლივ ერტყა.

ქალაქის ამ ნაწილს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი „მეფეთა გალავანს“ უწოდებს და იგი ქალაქის სიმაგრეთა საერთო სათვალავის მიხედვით მესამედ მიაჩნია (პირველად მიჩნეული აქვს ძველი თელავი). აი, რას მოგვითხრობს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი თელავის ამ ნაწილის შესახებ: „მეფეთა მესამე გალავანში აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის გალავნის კუთხესთან არის ეკლესია კარის ღვთის მშობლისა მეფის ირაკლის მეორის აშენებული, რომელშიც ვარაყშერეული მშვენიერი კანკელია და ეს კანკელი მეფეს ირაკლის შეუწირავს, თავისი პირველი შვილი ვახტანგი რომ გარდაიცვალა, ჩხეიძის ქალთან ნაყოლი. იმის დანარჩენი ნივთები გაუყიდვიანებია, იმის ფულით ის კანკელი მოუტანინებია მოსკოვში გაკეთებული საუცხოოს ეკლესიის ხომლებით და ამით დაუმშვენებია ის ეკლესია.

ამავ გალავნის ბოლოს, კუთხესთან, სამხრეთის გარედგან ზედ მოდგმულია სომხების ეკლესია, თელავის წმ. გიორგისა. ამას ჰყავს ბევრი მლოცველი და ღამის მთევლები. ამ გალავანშივე მეფეთ სასახლე ყოფილა ქვიტკირისა, ახლა დაქცეულია მხოლოდ სალხინოს მეტი და წინა ოთახებისა. აქვეა ქვიტკირით ჩატანილი გვირაბი გალავნის ძირს, ქვევით, ჩრდილოეთის მხარისაკენ... ამაში გამოსდის მშვენიერი წყარო, მეტად კარგი სასმელი და ავსებს ქვიტკირის აუზს, იქიდგანაც გარეთ გავა მიწაში. მე რომ ამ მეფეთ სასახლის ნახვა მოვინდომე, მიხეილ ქობულაშვილმა წამიყვანა. შემდგომად ჩემთა ნათლიმამამ, ჩემი სიძის ძმამ და მთელი გალავანი დამატარა... ამ მეფეთ სასახლის სანახავად რომ წავედით, მივედით და აღმოსავლეთის მხარეს მეიდნის ნაპირისაკენ გალავნის კარები შევიარეთ, რომელშიც მომცრო გაშლილი მოედანი დაგხუდა, იქვე, კარებთან, გამწვანებული მოლით და დასასრულზე ის ეკლესია ზეით რო ითქვა. ჩემს მარცხნივ მხარეს იყო მეფეთ პატარა

შესაქცევი, წალკოტი გალავნის კედლის ძირში. ამის გვერდით ის სასახლე. ამასთან, მარჯვნივ მხარეს რომ მოვიხედე, გალავნის მაღალი კედელი დავინახე, ამათ შუა პატარა მინდორი მოხდენოდა საუცხოოდ. ეს თელავი და ეს გალავანი ორჯერ თუ სამჯერ მინახავს, მაგრამ ფიქრში არ მომსვლია მისი ასე გაჩხრეკა"[136].

თელავის მეორე ნაწილს „მეფის ციხის" ჩრდილო-დასავლეთით, მაღალ გორაკზე აგებული ოთკუთხი ფორმის ციხე წარმოადგენდა. ის იყო, გეგმის შემდგენლის მიხედვით, „Замок Григория Вахова" (უნდა იყოს Вахвахова). ციხე ყოველი მხრიდან კედლებით იყო შემოსაზღვრული. ციხის კედლებს შიგნით მრავალი ნაგებობაა აღნიშნული, მაგრამ ექსპლიკაციაში არ არის განმარტებული, გარდა ერთისა — წმ. ანას (ნინას) ეკლესია. ციხეს ჩრდილო-დასავლეთით „Абанус цхали" („აბანოს წყალი") ჩაუდის, სამხრეთ-აღმოსავლეთით კიდევ მდ. თელავი. იგი ჰყოფს მას ქალაქისა და „მეფის ციხისაგან". გრ. ვახვახიშვილის ციხეში ჩრდილო-დასავლეთიდან წამოსულ გზებს შორის ერთი შემოდიოდა, დანარჩენები თელავის ცენტრისაკენ, ქალაქისაკენ მიემართებოდა. ამ ციხის ირგვლივ მცხოვრებთა სახლები თითქმის არ ჩანს (სულ სამია აღნიშნული), ციხის ირგვლივ ტერიტორია უმთავრესად ყანებსა და ბაღებს უჭირავს.

როგორც ეს თელავის მეორე, 1819 წ. გეგმიდან ჩანს[137], აღნიშნული ციხე იმ დროისათვის ვახვახიშვილს კი არ ეკუთვნოდა, არამედ ყორჩიბაშიშვილებს. თელავის 1819 წ. გეგმის შემდგენელი მას „Крепость князя Корчибашева"-ს უწოდებს. ყორჩიბაშიშვილებს ეკუთვნოდა ეს ციხე XIX ს. 50—60-იან წლებშიც.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი ყორჩიბაშიშვილების ციხეს „მეორე გალავანს" უწოდებს. იგი წერს: „ამ გალავნის (ძველი თელავის, — შ. მ.) დიდი ხევის გადმოღმით მეორე გალავანია, პირველ გალავნიდგან აღმოსავლეთისაკენ, თავადი ყორჩიბაშიშვილებისა, ეგრეთ ქვითკირისა, სადაც თვითონ დგანან ამ გალავანში"[138].. „თ᾽ა ყორჩიბაშიანთ მეორე გალავანშია კ᾽დ ძველი ეკლესია ღვთაება უცვალებლისა. იტყვიან იმ ეკლესიის ხატისას ანჩისხატის პირიღვთისას გვანდეს"[139].

თელავის მესამე ნაწილი, „მეფის ციხის" სამხრეთ-აღმოსავლეთით,

---

136 ალ. ჯ ა მ ბ ა კ უ რ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თელავის აღწერა, საქ. მუზ. S 1650, გვ. 4—7.

137 ЦГВИА, ф—ВУА, № 22649.

138 ალ. ჯ ა მ ბ ა კ უ რ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

139 იქვე, გვ. 4.

შდ. კურდღელაურის სათავესთან, მის მარჯვენა ნაპირზე აღმართული არასწორი, ოთხკუთხა ფორმის ციხე იყო. ეს იყო „Замок Реваза Вахвахова". ამ ციხის უმთავრესი კედელი მეფის ციხისაკენ არის მიმართული და სწორედ აქედან აქვს ერთადერთი შესასვლელიც. ციხის შიგნით, ერთი ქართული ეკლესიის გარდა, მრავალი სხვა ნაგებობაც ყოფილა, რომელთა განმარტებებიც არ არის ექსპლიკაციაში. 1819 წ. და შემდეგაც ეს ციხე ისევ ვახვახიშვილებს ეკუთვნოდათ.

ვახვახიშვილების ციხეს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი თელავის „მეოთხე გალავანს" უწოდებს. „ამ მეფეთ გალავანსა იქით არის კ˜დ აღმოსავლეთისაკენ, მეოთხე გალავანი, პატარა ხევის გაღმით, რომელშიც თვით პატრონები დგანან — ვახვახიშვილები. ორთა გვართა ამათ ˜ვა ყორჩიბაშიშვილებს და ვახვახიშვილებს მოსაწონად უნდა ჰქონდეთ თავი, რომ თავის გალავნებში დგანან და იქითგან გადაჰყურებენ მეტად მოსაწონ ბუნებას"[140]... „თავადთ ვახვახიშვილების გალავნისა რაღა ითქუას? იქაც არის ეკლესია წმ. ნათლისმცემლისა, სადაც გადასახედავში ერთი გაკიდებულსავით სახლი არის როდისამე ვახვახიშვილისა, წინ გრძელისა და განიერის ფიცრის სარბენით"[141].

ყველა ამ გალავანს შორის, მეფის გალავანი, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის სიტყვით, „უფრო დიდი იმ გალავნებზე, უფრო მკვიდრი შენობა და უკან სამხრეთისაკენ ლამაზი ასპარეზის" მქონია[142].

თელავის 1802 წ. გეგმის შემდგენელს აღნიშნული აქვს ქალაქში შემომავალი გზებიც — შალაურიდან, სიღნაღიდან, კონდოლადან, ცივის მთიდან, კურდღელაურიდან, გულგულადან, რუისპირიდან და სხვ.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ახალი თელავის (ერეკლეს დროინდელს) სამივე ციხეს დასავლეთით, თითქმის სწორხაზად, უელის ხევი, რომელსაც ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი „დიდ ხევს" უწოდებს. 1802 წ. გეგმის შემდგენელს ეს ხევი მოწითალო ფერით აღუნიშნავს, ეს ხევი ჰყოფდა ძველსა და ახალ თელავს ერთმანეთისაგან.

„დიდი ხევის" ჩრდილო-დასავლეთით გეგმაზე ˜აღნიშნულია „Старая Телави". ძველ თელავს სამი მხრიდან — ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით — კედელი ჰქონია. კედლებს ირგვლივ ამაგრებდა კოშკები. ჩრდილო-დასავლეთით კედელი არ ჩანს, იქნებ იმ დროისათვის დანგრეული იყო, ან კიდევ, ძველ თელავს ამ მხარით გორაკის დაქანებული ფერდობი იცავდა. მას ერთადერთი კარი აღმოსავლეთიდან ჰქონია. ძველ თელავში XIX ს. დამდეგსაც მოსახლეობა იყო.

---

140 იქვე, გვ. 3.
141 იქვე, გვ. 3.
142 იქვე, გვ. 6—7.

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი „ძველ თელავს“ „პირველ გალავანს“ უწოდებს და მის შესახებ შემდეგ საინტერესო ცნობებს გვაწვდის: „ამ ოთხ გალავანში პირველი გალავანია დასავლეთის მხარეს, მეტად ძველი და არა აქვს სათოფეები დატანებული. ეს ამას აცხადებს — მშვილდისრობის დროისაა“[143].

ჩვენი ავტორის დასკვნა სავსებით მართებულია, მაგრამ ამაზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

„პირველი გალავანი რომ ვთქვით, განაგრძობს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, იმ გალავანში არის ძველი ეკლესია წმ. გიორგისა, ადრე ქართველებისა ყოფილა, შემდეგ მეფეს ირაკლის მეორის დროს, განჯიდგან რომ სომხები მოსულან თელავში, იმ გალავანში დასახლებულან; მეფეს ირაკლისაც ის ეკლესია იმათთჳს უბოძებია: სადაც ძველად მეფეები მდგარან და ძველი ქალაქიც იქ ყოფილა. დღესაც იმ გალავანში რამდენიმე კომლულნი დგანან. მითამ შეჰფარვიან იმის სიმაგრესა“[144].

თელავის „ორივე გალავნის“ შესახებ ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი შენიშნავდა: „ორი ეს გალავანი დგას ერთს ხაზზედ, მაღლობიდგან გადამჭვრეტელი დაბლა, პირმიმართული ჩრდილოეთის კავკაზის მთისაკენ. სადაც ამ ოთხს გალავნებს შორის დგანან. საკუთარ სახლებში, ზოგიერთნი თელაველები და სცხოვრობენ წესისამებრ“[145].

ჩვენს ხელთ არის თელავის 1819 წ. გეგმაც, რომელიც კარგად წარმოგვიდგენს იმ ცვლილებებს, რაც თელავის გარეგან სახეს განუცდია 17 წლის განმავლობაში; ამ გეგმის შესახებ ჩვენ ადრე გვქონდა საუბარი და ამჟამად აღარ გავიმეორებთ.

დასასრულ, სხვადასხვა მოსაზრებებით, საჭიროდ მიმაჩნია მოვიტანო ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის შემდეგი სიტყვები XIX ს. 50-იანი წლების თელავის შესახებ: „პირველად ამ ღამეს ვნახე თელავის საზოგადოობა და მეტად კარგის გონებით დავინახე მე ისინი. აქაური საზოგადოობაცა მიქცეული ყოფილა ევროპიულს შექცევაზედ, როგორც ჩვენი ქ. ტფილისელებისა, თუმცა აქაურთა ქალთა ქართულად აცვიათ, მარამ უყვართ ახალი კეკლუცი მორთვა და თავისთავის დაშვენება ...აჰა შესრულდა ორი საათი, საზოგადოებამაც გაიწია სადილისაკენ, მოშორებულს ხეივანში სტულზედ დასასხდომათ. ეს სამოცი მეტი სული ეიქნებოდით, ქალი და კაცი, თავადაზნაური, რუსის ჩინოვნიკები, თელავის მოქალაქეები, ყველანი ცოლებით და გასათხოვარი ქალე-

---

143 ალ. ჯ ა მ ბ ა კ უ რ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 1.
144 იქვე ,გვ. 4.
145 იქვე, გვ. 3.

ბით. კარგი ეს არის, ეს საზოგადოება ერთმანეთს არ თაკილობენ და თანხმობა აქუსთ ურთიერთშორის"[146].

როგორც ვხედავთ, XIX ს. პირველი ნახევარი თელავისათვის მრავალგვარი სიახლისა და გარდატეხის მომტანი ყოფილა.

9. სიღნაღი

სიღნაღი, როგორც პუნქტი, მოხსენებულია XVIII ს. ქართველ ისტორიკოსთა მიერ, მაგრამ იგი XVIII ს. პირველ ნახევარში ქალაქი არ ყოფილა. ვახუშტი თავის „აღწერაში" მას არც კი იხსენიებს. სიღნაღის ქალაქად გადაქცევა ისევ ერეკლეს ხანას მიეწერება. 1770 წ. ოფიციალურ ცნობაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სიღნაღი უკვე ქალაქად ითვლებოდა.

შემთხვევითი არ არის, რომ ომან ხერხეულიძე სხვა ციხე-ქალაქთა გალავნებთან ერთად, სიღნაღის გალავნის განახლებასაც ერეკლე II-ს მიაწერს. ომან ხერხეულიძე, აჯამებს რა ერეკლეს სხვადასხვაგვარ საქმიანობას, წერს: „ხოლო თვით მეფემ ირაკლიმ განაახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა, ბოჭორმისა, ჭოეთისა, გალავანი სეფირელისა, საუბისა, გრემისა, ფიდისა, პატარძეულისა და ნორიისა"[147].

ერეკლეს დროისათვის, ჩემი აზრით, ხელახლა წარმოშობილი ქალაქი, რომელშიც 1770 წ. მხოლოდ 100 კომლი იყო, XIX ს. დამდეგიდან თანდათან იზრდება და მის პირველ ნახევარში მთელ აღმოსავლეთ საქართველოში უმნიშვნელოვანეს ქალაქად იქცევა.

ერეკლეს დროინდელი სიღნაღის გარეგანი სახის წარმოსადგენად ჩვენ მისი ორი გეგმა მოგვეპოვება. პირველი[148] თეთრად ნახაზია, მეორე[149] კიდევ შავად. ძირითადად ჩვენ პირველ გეგმას ვემყარებით, თუმცა ვიყენებთ მეორესაც, რომელიც პირველს ავსებს.

ამ გეგმებს გარდა, მოგვეპოვება ამავე არქივში დაცული სიღნაღის 1826 წ. აღწერილობაც. ამ აღწერილობაში ნათქვამია: „სიღნაღის ციხე აშენებულია ერეკლე (მეორის) დროს მოსახლეობის ლეკთა თავდასხმებისაგან დასაცავად. ციხის კედლებს მთის კალთებზე უჭირავს დაახლოებით 5 ვერსი. მასზე არის 43 კოშკი, კედლები აშენებულია სოფლების რიცხვის მიხედვით. ციხეს თავდასხმის დროს თავს აფარებდნენ სოფლები ოჯახითა და მთელი ქონებით. ციხეში მიწის ნახევარი (ე. ი.

---

146 ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

147 ომან ხერხეულიძე, ქ. ცხოვრება, II, გვ. 499.

148 ЦГВИА, ф. ВУА 22588.

149 იქვე, № 20546.

ციხის მიერ შემოსაზღვრული მიწის ნახევარი — შ. მ.) იერუსალიმის ეკლესიას ეკუთვნის... ნაგებობანი ციხის შიგნით თითქმის არ არის. კედლები აგებულია მთის ციცაბო ხევებზე. იქ არის მცირე წყარო. ქალაქი მთაზეა გაშენებული და გარშემორტყმულია სოფლებით: ანაგით, ვაქირით, საქობოთი, ქედელით და ნუკრიანით"[150].

აქ მოტანილი აღწერა სავსებით შეესატყვისება იმას, რაც ზემოდასახელებულ გეგმებშია აღნიშნული. პირველ გეგმას მიწერილი აქვს: „План города Сигнаха". Чертил колон-важатый Миргородский"· ხელს აწერს — „Полковник Тиханов". ასე რომ, გეგმა, თუმცა შედგენის წელი არ ჩანს, უდავოდ 1802 წ. ეკუთვნის. მასშტაბი —1 დიუმში 25 საჟენი. გეგმას, სამწუხაროდ, ექსპლიკაცია არ ახლავს, მაგრამ უმთავრეს კოშკზე ზედვე მიწერილია მათი სახელწოდებანი. სხვა მხრივაც გეგმა გასაგები ჩანს. სიღნაღსა და მისი ციხის გარდა გეგმაში წარმოდგენილია მათ ირგვლივ მდებარე სოფლებიც, რომლებზეც ჩვენ ამჟამად არ შევჩერდებით.

გეგმის მიხედვით სიღნაღი გვიანფეოდალური ხანის თავისებური ტიპის ქალაქია. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ციხის 5 ვერსის სიგრძის კედლებით შემოსაზღვრული ტერიტორია და საკუთრივ ქალაქი, რომელსაც მსგავსი კედლები არ გააჩნია. ციხე ამ შემთხვევაში რეზიდენტის, ქალაქის მფლობელის საჯდომად კი არაა გამოყენებული, როგორც ეს სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო, არამედ მხოლოდ ქალაქისა და ახლო მდებარე სოფლების თავშესაფრად. ამიტომ უჭირავს ციხეს ასე დიდი ტერიტორია, ის ქალაქის ტერიტორიის 3—4-ჯერ აღემატება. ციხის კედლები იწყება ქალაქის სამხრეთის წვერიდან, ერთი ნახევარი წრის მსგავსად მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით, მეორე კიდევ იმავე პუნქტიდან ჩრდილო-დასავლეთით, ნახევარწრიულად. კედლები ერთდებიან ჩრდილოეთით, ყანჩაეთის მთის წვერზე. ეს არაწესიერი წრისებრი კედელი, ამ 5 ვერსის მანძილზე, არსად არ არის გაწყვეტილი, გარდა ერთი მცირე ადგილისა, სადაც მთის დაქანებული კალთები ჩანს და რის გამოც ციხის ტერიტორია აქ ბუნებრივად დაცული იყო. ციხის ამ კედლებს ირგვლივ უვლის კოშკები და კარები.

ციხის უმთავრესი კარი მათი კედლების სამხრეთ შესაყარზეა, ამ მხარიდან იყო გაშლილი ქალაქი მის წინ. კართან ორი მრგვალი კოშკი დგას. თვით კარს კი მიწერილი აქვს — „В. Mardcupo" (უნდა იყოს „მაღარო", ამას ადასტურებს სიღნაღის შავად ნახაზი გეგმა, სადაც „Marapo", ე. ი. „მაღარო" არის მიწერილი). ამ კარიდან იწყება კარებისა და კოშკების მთელი წყება. გავყვეთ კედლის ჩრდილო-აღმოსავ-

---

[150] ВУА 18481, с. 100 11.

ლეთის მიმართულებას. მაღაროდან პირველი კოშკი ხსენებული მიმართულებით არის „კოშკი ბოდბისა“, შემდეგ „კოშკი ველისციხისა“. აქვე კიდევ „ბოდბის კარი“, შემდეგ — კოშკი ქიზიყისა ანუ „გორის ბურჯი“, მის ზემოთ „კოშკი მაჩხაანისა“, მაჩხაანის კოშკს ქვემოთ, ე. ი. „გორის ბურჯსა“ და „მაჩხაანის კოშკს“ შუა იყო „მაჩხაანის კარი“. მაჩხაანის კოშკს ზემოთ ისევ მეორე, „მაჩხაანის კოშკი“[151], ხოლო შემდეგ „კოშკი საქობო“. საქობო კოშკთან, ცოტა ზემოთ, კედელი წყდება, 30—40 საჟენის შემდეგ კედელი ისევ იწყება და აქვე იყო „კოშკი ანაგისა“. მის ზემოთ, სადაც მდ. მერუბაანთ ხევი გადიოდა ციხიდან (ეს არის ის მცირე წყარო, რომელსაც 1826 წ. აღმწერელი იხსენიებს), ორი კოშკი იყო აღმართული და აქ „მაშნაარის კარი“ იყო (вор. Машнарские). შემდეგი კოშკი ბაკურციხისა იყო, მის ზემოთ კიდევ კარდანახისა და ვაქირისა. აქვე იყო „ვაქირის კარიც“[152]. ვაქირის კოშკი ყანჩაეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ წვერზე იყო აღმართული, აქედან ციხის კედელი იღებდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებას, გასდევდა ყანჩაეთის მთის თხემს. აქ ორი კოშკია გეგმით აღნიშნული, მაგრამ მათი სახელები არ ჩანს. პირველი კარი უკვე დასავლეთის მიმართულებით წამოსულ კედელზე იყო — „ზიარბ ხოველის კარი“ („в. Зиарб ховелинские“). აქვე, მის მახლობლად, ქვემოთ, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით იყო ამავე სახელწოდების კოშკი. ამ უკანასკნელის ქვემოთ „კოშკი ნარიყალა“ („Наринкале“)[153], შემდეგ „კარი შილდისა“ და „კოშკი შილდისა“, „კოშკი კახეთისა“, მეორე „კოშკი კახეთისა“, ციხის უმთავრესი კარის დასავლეთით — „კოშკი მეფის ანუ ჯუღასი“ (Цар. или Джугаская) და ბოლოს „მოგასწროს კარსა“ და მეფის კოშკს შორის „Баш. Мирзанская“ (კოშკი მირზანისა), აქვე იყო ამავე სახელწოდების კარიც[154].

თუ ზემომოტანილი ცნობის მიხედვით ვიმსჯელებთ, სიღნაღის ციხის კოშკების სახელწოდებათა მიხედვით, ციხის კედლებისა და კოშკების მშენებლობაში მონაწილეობა მიუღიათ შემდეგ სოფლებს: მაღაროს, ბოდბეს, ველისციხეს, მაჩხაანს, საქობოს, მაშნაარის, ბაკურცი-

---

151 „მაჩხაანის კარი“ და „მაჩხაანის კოშკი“ მეორე, სიღნაღის გეგმის შავშია აღნიშნული და ჩვენც მის მიხედვით შემოგვაქვს აქ. პირველ გეგმაში ეს ორი არ ჩანს.

152 შემოტანილია სიღნაღის გეგმის შავის მიხედვით.

153 „ნარიყალები“ სხვა ციხეებსაც ჰქონდა — იხ. დ. გერიტიშვილი, ზემო ქართლის სადროშო, გვ. 57, საქ. სიძვ., 1, გვ. 205.

154 შემოტანილია სიღნაღის გეგმის შავის მიხედვით.

ხეს, კარდანახს, ვაქირს, შილდას, მირზაანს, ჯულასა და სხვებს. უმრავლესობა სიღნაღის ახლოს, ზოგი კიდევ საკმაოდ მოშორებით მდებარეობდა. ამ ფაქტიდანაც (და ზემომოტანილი მაგალითით გორზე) კარგად ჩანს, თუ რას ნიშნავდა ძველი სახელმწიფო ბეგარა — „სამსახურებელი ციხეთა“.

ზემოხსენებულ სოფლებს, 5 ვერსის სიგრძის კედლის გარდა, 23 კოშკი (ამათგან 6 უსახელოა) და რვა კარი აუშენებიათ.

ციხის ცენტრალური კარის წინ გაშლილი იყო ქალაქის მოსახლეობა. იგი ძირითადად ციხის სამხრეთით იყრიდა თავს და ნაწილობრივ კიდევ აღმოსავლეთით. კარებთან, ციხის შიგნით ჩანს მოსახლეობის კვალიც. მოსახლეობა იყო აგრეთვე კედლებს შიგნით, ნარიყალას კოშკიდან ვიდრე შილდის კარამდე. საცხოვრებელი სახლები აღნიშნულია აგრეთვე ციხის ტერიტორიის ცენტრშიც, კერძოდ. მერუბაანთ ხევის სათავესთან. ხოლო ციხის მთელი დანარჩენი მთაგორიანი ტერიტორია სავსებით ცარიელი იყო.

ციხის ცენტრალური კარებიდან სამხრეთის მიმართულებით მიმავალი ქუჩის ორივე მხარეს სწორ ხაზად ჩამწკრივებული იყო ნაგებობანი, რომელთა განლაგება იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი სიღნაღის სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა (დუქანთა) რიგებს წარმოადგენდა. დუქანთა ასეთივე მეორე რიგი სამხრეთის (ცენტრალური) კარებიდან მიემართებოდა აღმოსავლეთისაკენ. ამგვარ ნაგებობათა კვალი ჩანს ციხის შიგნით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების პარალელურადაც. სხვა ნაგებობანი უსისტემოდ იყო ციხის ირგვლივ განლაგებული. ციხის კედლებს გარეთ დასახლებაზე გეგმის შემდგენელს მიწერილი აქვს: „Город Сигнах“.

ქალაქის დაცვა მარტო ციხეს არ ჰქონია დაკისრებული. ქალაქის შედარებით ღია ადგილებზე კედელი იყო, სხვაგან კიდევ კოშკები იყო აღმართული. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტერიტორიას, სამხრეთიდან მოკიდებული აღმოსავლეთისაკენ, შედარებით მაღალ ადგილებზე, მთის წვერებზე აღმართული 10 კოშკი იცავდა. ყველა მათგანი უსახელოა გარდა ერთისა, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთის კუთხეში იყო და რომელსაც „საქობოს კოშკი“ ეწოდებოდა.

ასეთი იყო XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დამდეგის სიღნაღი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1826 წ. სიღნაღის აღმწერელის ერთი ცნობა; იგი, აღწერს რა სიღნაღს, უყურადღებოდ არ ტოვებს მის ძველ ნაგებობებსაც და საამისოდ ცალკე ქვეთავსაც გამოჰყოფს: „Древния „здания“. 1. Крепость Чуети именовавшыхся в древности Хорнабуджи, стены от времени разрушаются, построена в 2-ой Столетии“. იგივე ავტორი სიღნაღის ტერიტორიაზე მეორე ძველ სიმაგრეზედაც

მიუთითებს, რომელსაც იგი ვახტანგ გორგასალს მიაწერს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვენ არ გვაინტერესებს[155].

როგორც ვხედავთ, ავტორი ლაპარაკობს სიღნაღის ტერიტორიაზე ძველი ქართული საისტორიო მწერლობით საკმაოდ ცნობილი ქალაქის, ხორნაბუჯის ნაშთების შესახებ. ეჭვი არ არის, რომ რუსი ავტორის Чусти იგივეა, რაც ვახუშტის ჭოეთი. ვახუშტი „აღწერაში“ შენიშნავდა: „ხოლო ყარაღაჯის სამჯრით, სადაცა დასწყდების Ცერეთის მთა ანუ ციკის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ კლდესა ზედა შენ არს ციხე მაგარი და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოჯრდა“[156]. კარგად ჩანს, რომ უსახელო ავტორისა და ვახუშტის მიხედვითაც შემდეგში ჭოეთი რქმევია.

ამრიგად, 1826 წ. სიღნაღის აღმწერს ჭოეთი ანუ ძველი ხორნაბუჯი შემდეგდროინდელ სიღნაღში ეგულება.

ქართულ საისტორიო გეოგრაფიაში ხორნაბუჯის ადგილმდებარეობა ზუსტად არ არის დადგენილი. ვახუშტი, როგორც ვნახეთ, მას ყარაღაჯის სამხრეთით ეძებდა. მის მიერვე მოცემული სხვადასხვა განმარტებებიდან ჩანს, რომ ხორნაბუჯი მას, მართლაც, ციკის მთის ბოლოს ეგულებოდა, თუმცა მის მიერვე შედგენილ რუქაზე ხორნაბუჯს იგი ყარაღაჯის ჩრდილოეთით ათავსებს.

ივ. ჯავახიშვილიც „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნში ზუსტად ვერ არკვევს ხორნაბუჯის მდებარეობას[157], მაგრამ რუქაზე ყარაღაჯის ჩრდილოეთით, მდ. ალაზნის მახლობლად, მის მარჯვენა ნაპირზე ათავსებს. ეს ვახუშტის ცნობებს არ შეესაბამება. ვახუშტი, როცა „ციხეთის მთის“ დასასრულის შესახებ ლაპარაკობს, შენიშნავს: მთა იგი „მერმე წარმოვალს და მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე[158]. ამას გარდა, ვახუშტის სიტყვით, „ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბისკევი, პირველ წოდებული ბოდბა, გამომდინარე ციკის მთისა: ამ ჯევს ზედა არს ბოდბის ეკლესია გუმბათიანი“[159]. გასამეორებელია ზემოთქმულიც, რომ ხორნაბუჯი, ვახუშტის სიტყვით, არის იქ, „სადაცა დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ციკის მთა“[160].

ამრიგად, ზემომოტანილ განმარტებათა მიხედვით, ხორნაბუჯი უნდა ვეძიოთ ციკის მთის დასასრულს, მაღაროს მახლობლად და ბოდბის ხევის, ბოდბის აღმოსავლეთით, ე. ი. ნამდვილად ყარაღაჯის სამ-

---

155 ЦГВИА, ВУА. 18481, с. 106 11.
156 აღწერა, გვ. 97.
157 იქვე, გვ. 40, 44.
158 იქვე, გვ. 87.
159 იქვე, გვ. 97.
160 იქვე.

ხრეთით და არა მის ჩრდილოეთით. როგორც ჩანს, ვახუშტის რუქაზე შეცდომა დაუშვია, მაგრამ მისივე მითითებებით ეს ადვილად სწორდება. რა პუნქტი უნდა იყოს ზემოხსენებულ მიდამოებში ისეთი, რომელიც ჩვენ შეიძლება ხორნაბუჯად ვივარაუდოთ? რა თქმა უნდა, ის პუნქტი, სადაც ჯერ კიდევ XIX ს. დამდეგს ამ ძველი ქალაქის ნაშთები ჩანდა, ე. ი. შემდეგდროინდელი სიღნაღი.

მართლაც, სიღნაღთან „დასწიდების ცივის მთა", სიღნაღთანავეა ვახუშტის მიერ მოხსენიებული მაღარო და სიღნაღის დასავლეთით, იქვე, მახლობლად ბოდბის ხევი და ბოდბე. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ვახუშტი გეოგრაფიულ სახელწოდება „სიღნაღს" არც კი იცნობს და ეს ადგილი თავის „აღწერაში" არც კი შეაქვს. იქნებ XVIII ს. მეორე ნახევარში სიღნაღად წოდებული პუნქტი ამავე საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ჭოეთად იწოდებოდა და ამ სახელით იცნობდა მას ვახუშტიც.

უნდა აღინიშნოს შემდეგიც. XVIII ს. მეორე ნახევარში, მას შემდეგ, რაც სიღნაღი გეოგრაფიულ სახელად განმტკიცდა, მის პარალელურად არსებობს აგრეთვე ჭოეთიც. ომან ხერხეულიძე ზემომოტანილ ამონაწერში აღნიშნავდა: „ირაკლიმ განაახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა, ბოჭორმისა, ჭოეთისა" და სხვა[161]. ამ შემთხვევაში, ცხადია, სიღნაღის ტერიტორიაზე მდებარე უძველესი ციხე-სიმაგრე ივარაუდება, რომელიც არათუ მაშინ, როცა ომან ხერხეულიძე ერეკლეს ისტორიას წერდა, არამედ XIX ს. დამდეგსაც ძველებურად ჭოეთად იწოდებოდა.

ამრიგად, ვახუშტის მითითებათა საფუძველზე, ძველი ხორნაბუჯი სიღნაღის ტერიტორიაზე ან კიდევ მის ახლო მიდამოში უნდა ვეძიოთ. მაგრამ რაკი XIX ს. დამდეგს სიღნაღის ტერიტორიაზე მიუთითებდნენ ძველ სასიმაგრო ნაგებობას, რომელიც მაშინაც ჭოეთად, ხოლო ძველად ხორნაბუჯად იწოდებოდა, ცხადია, შემდეგდროინდელი სიღნაღის ტერიტორია უნდა იყოს, იქ, სადაც ძველი ხორნაბუჯი მდებარეობდა.

მაშასადამე, XVIII ს. მეორე ნახევრის სიღნაღი XII—XIII სს. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის, ხორნაჯუბის ნანგრევებზე ყოფილა აღმოცენებული[162].

---

161 იხ. ომან ხერხეულიძე, ქ. ცხოვრება, II, გვ. 494.

162 ჩვენ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების სხვა გეგმები არ მოგვეპოვება, მაგრამ არსებობდა სხვა მნიშვნელოვანი პუნქტებიც, ქალაქებიც, რომელთა შესახებ ჩვენ ამჟამად მხოლოდ ორიოდე ცნობის მოტანით დავკმაყოფილდებით.

თმოგვი საქართველოს ძველ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის. მისი ისტორია მრავალმხრივ დაკავშირებულია X—XIII სს. საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურის ისტორიასთან. განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ ამ ქალაქს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს გვიანფეოდალურ ხანაშიც. XVI ს. ამბებთან.

ამათ გარდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახუშტის მცირე ქალაქად მოხსენიებული აქვს სურამიცა და ალიც. სურამი ასევე ქალაქად იხსენიება XVIII ს. 70-იან წლებში, ალი კი — არა. ალისა და სურამის შესახებ სათანადო ცნობები მოეპოვებათ ძველ ქართველ და უცხოელ ავტორებს. შარდენი სურამის შესახებ წერდა: „სურამი უფრო დაბაა, გორზე ორჯერ პატარაა, მაგრამ ციხე დიდია და კარგად ნაგები. ამ ციხეშიაც ასი მეციხოვნე დგას“ (შარდენი, გვ. 82).

დელაპორტი, რომელიც შარდენის ცნობებს ემყარებოდა, არსებითად იმეორებს მას. დელაპორტის ცნობები მის ქართულად მთარგმნელს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული: „სურამი ჭ ̄ ტ დ ვთქუათ არა სხუა რამე არს ვითარ სოფელი პატივდებული მახლობელ მისდამი მდებარეობისათჳს ციხისა, რლ ̄ იცა საკმაოდ დიდ არს და მშუჱნიერად აღშენებულ, გარნა ყოველსა მას თანა ჰყავს ციხის მცუჱლნი მხოლოდ ასნი კაცნი გლეხნი უკუჱ სოფელთა შ ̄ ა ვითარ ამისთა ეგრეთვე სხუთაცა ქალაქთა სცხოვრობენ გომურთა შ ̄ ა გარნა ყოველსა შინა არიან კოშკნი ანუ ციხენი, სადაც იგინი მიილტვიან ცოლთა და შვილთა თანა დროსაშ ̄ ა ლეკთა ზედა დასხმისასა“ (ჩემი შენიშვნ., № 5, 47—48).

სურამისა და მისი ციხის შესახებ საინტერესო ცნობა დაცული აქვს პაპუნა ორბელიანს. გივი ამილახვარი სურამის ციხეში იჯდა, მოლაპარაკების შემდეგაც შიგ დარჩა და ხელმწიფის წყალობას ელოდებოდა. ამასობაში „ციხის კაცნი ჩვენს ჯარში მოდიოდის და ჩვენი ჯარის კაცნი ციხეში შვილდს ერთმანეთში ვაჭრობდიანო“—მოგვითხრობს პაპუნა. ხოლო მისი ციხის შესახებ შემდეგს აღნიშნავს: ხელმწიფეს „ეთხოვნა სურამ ციხის სურათი, მხატვარიც იქიდამ გამოეგზავნა. დახატეს მაშინვე და გაუგზავნეს. რა ჩავიდა გაშინჯა ციხის სიმაგრე... და ებრძანა: „მაგ ციხეს ირგვლივ ისეთი გალავანი შემოავლეთ, რომ კაცს გადასვლა არ შეეძლოსო და გარს ამ გალავანს ჯარი მოუყენეთო და

დაკავშირებით, იხსენიება არა მარტო „თმოგვის ციხე“ (შედეგი ქ. ცხოვრებისა, ქ. ცხოვრება, II, გვ. 292), არამედ თმოგვის ქალაქიც: „გაემართნეს პატრონი ყვარყვარე და პატრონი მანუჩარ და ერეკლე სახლსა ზედა ღუთისა, მიეედით ზედათმოგვს და თმოგვის ქალაქი მოვარბიეთ და ივივე ზედა თმოგვს ამოველთ“ (იქვე, გვ. 290).

განსაკუთრებით საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ომან ხერხეულიძის თხზულებაში ხერთვისიც ქალაქად არის მოხსენებული. ომანის სიტყვით, ერეკლე II-მ, ლეონის წინადადებით, 1771 წ. ხერთვისი აიღო, თავისი მეციხოვნენი ჩაუყენა. მაგრამ ისევ გამოიყვანა და ქართველმა მეციხოვნეებმა „მრავალი ტყვე და საქონელი გამოიტანეს და ძვირფასი ნივთები იშოვეს, რომელშიც ესახლენ მდიდარნი ხალხნი და არს იგი ხერთვისი ქალაქი და ამის გამო აქვნდათ მრავალნი სიმდიდრე“ (ქ. ცხოვრება, II, გვ. 493). მაგრამ ამ ქალაქებზე და სხვა მათს მსგავსზე ჩვენ ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ, რაკი სათანადო გეგმები არ მოგვეპოვება.

თქვენ ჩამოეცალენითო, ეგ სანამდის იყოსო, რომ თითონვე შემოიხვეწოსო“ (პაპუნა, გვ. 377, 378).

სამწუხაროდ, სურამის ეს ჩანახატი ჩვენამდე არ მოღწეულა...

ალი, XVII ს. ქალაქად წოდებული, ვახუშტის დროს მცირე ქალაქი იყო. შარდენი მას, მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ქალაქთა შორის იხსენიებდა, „პატარა სოფელს“ უწოდებდა (გვ. 63). ერეკლეს დროს ალი ქალაქად უკვე აღარ ითვლებოდა.

დელაპორტი ამ შემთხვევაშიც შარდენს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მე კნინლა არა რაჲმე მაქუს თქმად ალისათჳს, არა დიდისა ქალაქისა, მდებარისა ორმეოცთა ვერსთა ზედა პირუელისაგან (გორისაგან. — შ. მ.) შ˜ს მთათა წ˜ე ერთისა იწროჲსა განსავლელისა, რ˜ლი დაიკეტების ხის კარითა მიერ“ (ჩემი შენ., № 5, 48).

ალის ციხეს მოიხსენიებს ომან ხერხეულიძე: დაღესტნის ჯარებმა 1757 წ. „ალის ციხე აღიღეს და მრავალნი სულნი ტყვე ჰყვეს“ (ქ. ცხოვრება, II, გვ. 489). ალი და სურამი მათ მოხერხებულ მდებარეობაზე (გზა) და მნიშვნელოვან ციხეებზე იყო დამოკიდებული.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე

1. რ უ ხ ი

დასავლეთ საქართველოს ქალაქებს შორის XVII საუკუნეში მოიხსენიება რ უ ხ ი ც. რუხი, როგორც „ციხე-დიდშენი“, მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს და მის აშენებას იგი ლევან დადიანს მიაწერს: „ანაკრიის აღმოსავლით, ამ მდინარეზედ არს რუხის ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესა ჩქმზ (1647 წ.)... შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩღკე (1725 წ.)... და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების კაჟი ჩახმახისა“[163].

როგორც ვხედავთ, ვახუშტის დროისათვის, ოსმალთა მიერ განადგურებული რუხის ციხე უკვე ქალაქად აღარ ითვლებოდა და თუ მას დავუჯერებთ, სახეც კი ჰქონია შეცვლილი.

ვახუშტის გარდა, რუხის დაარსებას ლევან დადიანს მიაწერს როგორც არქანჯელო ლამბერტი, ასევე ფარსადან გორგიჯანიძეც. ფარსადან გორგიჯანიძე წერდა: დადიანმა გიორგი იმერთა მეფე ხელთ იგდო. მეფის გამოსასყიდლად ჩხარის სომხები შესთავაზეს „და რაც ჩხარში

---

163 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 241.

ვაჭარნი ესახლნეს სომხები, რომ დადიანმან რუხის ქალაქი იმაებით ააშენა, მეფე დაიხსნეს". როგორც ჩანს, ლევან დადიანამდე არსებული პუნქტი რუხი ჩხარელი სომეხ-ვაჭრების საშუალებით მას ქალაქად უქცევია. ამგვარსავე ცნობას გვაწვდის ლამბერტიც: სამეგრელოში „საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის არც დუქნები აქვთ და არც მოედნები, ისე რომ ვერსად ვერ ნახავთ, რომ ხალხი იკრიბებოდეს სანოვაგის საყიდლად. მხოლოდ სომხების ქალაქში, რომელიც აშენებულია აწინდელ მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე დუქნები, სადაც იყიდება ტილო"[164]. ცხადია, ამ შემთხვევაში „სომხების ქალაქად" ჩხარიდან ჩამოყვანილი სომხებით დასახლებული რუხი იგულისხმება.

ჩხარელებით რუხის დასახლების შესახებ ცნობა მოეპოვება თვითონ ლევან დადიანსაც ილორის წმ. გიორგის დიდ ხატზე გაკეთებულ წარწერაშიც: „ამავე ჟამსა ავყარეთ სრულებით ქალაქი ჩხარი, მოვასხით ზუგდიდის და დავასახლეთ ადგილსა რუხისასა"[165].

რუხს რომ შემდეგ წლებშიც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, შარდენის ცნობიდანაც ჩანს. იგი სამეგრელოში უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა[166]. ზოგ შემთხვევაში თვით მთავარიც კი რუხის ციხეში იჯდა. შარდენი მოგვითხრობს: „ხონთქარმა წაართვა მთავრობა ლევანს, რომელიც რუხშია და მისცა ახალგაზრდა მთავარს, რომელიც ახალციხეში იყო აღზრდილი"[167].

XVIII ს. დამდეგისათვის რუხის ციხე და ქალაქი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გაანადგურეს. ამის შემდეგ ის წყაროებში მხოლოდ ციხედ მოიხსენიება. მიუხედავად ამისა ინტერესს მოკლებული არ არის ამ ციხის გეგმები, რომელნიც წარმოდგენას მოგვცემენ მის ადრინდელ სახეზე.

პირველი მათგან რუხის ჩანახატია, ვიდრე გეგმა და იგი ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ 1737 წ. იმერეთის რუქაზეა მოთავსებული. ამ გეგმაზე რუხის ციხის სათოფურებიანი კედლები და სამი კოშკიდა ჩანს. ერთი მათგანი მაღალია, მრგვალი ქონგური აქვს. რუხის ციხეზე ჩანახატის გამკეთებელს მიწერილი აქვს: „რუხის ციხე: თათართ უჭირავს, ხან დადგება ხან წავა". სხვა რაიმე განმარტება ციხის შესახებ არ ჩანს.

რუხის ციხეს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა XVIII ს. 70-იანი წლებისთვისაც და ალბათ, ამით აიხსნება, რომ რუსეთის ხელისუფ-

---

164 ლ ა მ ბ ე რ ტ ი, გვ. 156.

165 დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი, ოდიშის ხატების ზედ-წარწერანი, ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყ. E 48, გვ. 3. შდრ. Brosset, Voyage, VIII, 99(?)

166 შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 31.

167 იქვე, გვ. 35.

ლებამ საჭიროდ მიიჩნია ამ ციხის როგორც გეგმაც, აგრეთვე პროფილიც გადაეღო.

გეგმას მიწერილი აქვს: „Карта сочиненая 1770 го году, ноября 15 го дня о положеню крепости РУХ в Мингрелиу нине названой крепости святого Павла“. „Сочинил капитан Зорнак“. მასშტაბი — 1 დიუმში 10 საჟენი. მხარეების მაჩვენებელი არა აქვს.

რუხის ციხე გაშენებული იყო მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე, მისგან მოშორებით. მდ. ენგური მას დასავლეთიდან უვლის. გეგმაზე აღნიშნულია ეს მდინარე და მიწერილი აქვს — „река Егури“. თვით ციხე გარშემორტყმულია მდინარე რუხით. ციხე მდ. რუხის მარჯვენა ნაპირზეა. მდინარე ციხეს სამი მხრიდან — აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან — უვლის. სამხრეთიდან კი, — გეგმის მიხედვით, გორაკები აკრავს. მდ. რუხის მიმდინარეობა ციხის ირგვლივ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი, თითქოს, ხელოვნურად იყოს სამივე მხრიდან ციხეს შემოვლებული.

რუხის ციხეს კვერცხის ფორმა აქვს, ირგვლივ კბილანიანი, სქელი კედლებით. კედლებს შიგნით მოთავსებულ მთელ ტერიტორიას გეგმის შემდგენელი „Крепость“-ს უწოდებს.

ციხის კედლებზე სამი კოშკია, ერთი სამხრეთით, მეორე აღმოსავლეთით და მესამე ჩრდილოეთით. ციხეს ერთადერთი შესასვლელი აქვს და იგი აღმოსავლეთის კოშკში გადის. სხვა მხრიდან იგი შეუვალია. ყველა კოშკი ოთხკუთხი ფორმისაა. ციხის შიდა ტერიტორიაზე, მის სამხრეთ-დასავლეთის კედელთან ცალკე კედლებით, რომელნიც სამკუთხედს ქმნიან, გამოყოფილია „Кремль в крепости“. ამ ე. წ. „კრემლს“ ჩრდილოეთით ერთი კარი აქვს, ამ კართანვე დგას მეორე კოშკიც. ამ ერთადერთი კარით კრემლი უერთდებოდა ციხის ტერიტორიას. გეგმის შემდგენელს იგი ექსპლიკაციაში განმარტებული აქვს: „Ход в кремль“.

კრემლსა და ჩრდილო-დასავლეთის კედლებს შორის იყო ნაგებობანი—„Сарай в которих хлеб ис турецкого пшона спрятан буд“. ამათ გარდა, ციხის მთელ დანარჩენ ტერიტორიაზე იყო სახლები—„Хати турецких обивателов“. თუ გეგმის მიხედვით ვიმსჯელებდით, ეს სახლები ერთ ხაზზე სამ გრძელ რიგად იყვნენ ჩამწკრივებულნი.

ციხის კედლებს გარეთ მოსახლეობა არ ყოფილა. XVIII ს. 70-იანი წლებში რუხს, როგორც ჩანს, მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია. ოსმალთა იქ ბატონობის დროისათვის მას ქალაქის სახე დაუკარგავს.

აღსანიშნავია, რომ მდ. რუხზე წისქვილები ყოფილა გამართული. გეგმაზე სამი წისქვილია აღნიშნული და სამივე ციხის კოშკებთან: ერთი აღმოსავლეთის კოშკთან და ორიც ჩრდილოეთის კოშკთან.

გეგმას დართული აქვს ჩანახაზი — „ციხე პერსპექტივაში“ („Крепость в перспективе“).

2. ფოთი

ფოთის შესახებ ჩვენ ამჟამად არაფერს ვიტყოდით, რომ მისი ორი საინტერესო გეგმა და ჩანახატი არ გვქონდეს. ფოთი გვიანფეოდალურ ხანაში ქალაქი აღარ იყო, მაგრამ მას, როგორც ციხეს და ამავე დროს ნავსადგურს შავი ზღვის სანაპიროზე. სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამიტომ საჭიროდ ვცანით, როგორც ჩანახატის, ასევე გეგმის გამოქვეყნებაც. ჩანახატი 1737 წ. ეკუთვნის და იგი ჩვენ მიერ ზემოხსენებულ იმერეთის რუქაზეა მოთავსებული. რუქის შემდგენელს უცდია ფოთი იმგვარად წარმოედგინა, ჩაეხატა, როგორც ეს სინამდვილეში იყო და არ დაკმაყოფილებულა მარტოოდენ ამ პუნქტის აღნიშვნით. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ იმერეთის რუქის ავტორის ჩანახატი სავსებით უდგება ფოთის უკვე სათანადო ნარაღებით გადაღებულ გეგმას. ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ იმერეთის რუქის შემდგენელი მის მიერ აღნიშნულ პუნქტებს იმგვარად ჩახატავდა, როგორც ეს სინამდვილეში იყო.

იმერეთის რუქის მიხედვით, ფოთის ციხეს, რომელიც რიონის მარცხენა ნაპირზე იყო, ოთხკუთხი, უფრო სწორად, კვადრატის ფორმა ჰქონია; ყოველ კუთხეში ოთხკუთი ფორმის კოშკები (ბასტიონები) აქვს აღნიშნული გეგმის შემდგენელს. ციხის შიდა და გარე ნაგებობანი არ არის აღნიშნული. ციხის შიგნით ჩაწერილია ქართულად: „ქ. ფოთის ციხე: ქართულად. ძველად ქალაქიც ყოფილა. ფასუს ქვიან: ორი: თუღიანი. ფაშა. ზის: 1723 ქ^ კ ს. ააშენეს თათართ. ორმოცდაათი თოფი. ძეს დიდი“.

ქვემოთ, ციხის კედლებს გარეთ კიდევ მიწერილია: „ნავთსაყუდელი“. როგორც ვხედავთ, XVIII ს. დამდეგისათვის მხოლოდ მოგონება იყო დარჩენილი ფოთის ანუ „ფასუსის“ ქალაქობის შესახებ. მაგრამ მას ამ დროისათვის, როგორც ციხეს და ნავთსაყუდელსაც, დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ამიტომაც აქვს ის საგანგებოდ აღნიშნული იმერეთის რუქაზე მის შემდგენელს.

ფოთის ციხეს, ამავე ჩანახატის მიხედვით, სამი კარი ჰქონია, სამივე მათგანზე მათი სახელწოდებანია მიწერილი. ერთი, დასავლეთით, რომელიც ზღვისაკენ იყო მიქცეული, „სტანბულის კარ“-ად იწოდე-

ბოდა. ჩრდილოეთ კედელზე, ანუ რიონის ნაპირზე აღმართულ კედელში იყო „წყლის კარი“; მესამე კიდევ აღმოსავლეთის კედელზე იყო და მას „საქართველოს კარი“ ეწოდებოდა. კარებთან მაღალი, წაწვეტებულ გუმბათოვანი სახურავებით ორ-ორი კოშკი ყოფილა აღმართული. მათ კარების დაცვა ევალებოდათ.

„საქართველოს კარს“ ქვემოთ მიწერილია ქართულად: „ორასი კაცი დგას“, ე. ი. იმდროინდელ ფოთის ციხეში ორასი კაცი იდგა.

ფოთის ციხეს ამგვარივე სახე ჰქონდა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც. ჩვენ ფოთის ციხის 1811 წ. გეგმა მოგვეპოვება[168]. ამ გეგმას მიწერილი აქვს: „План Потийской крепости с близь лежащего ситуациею. Сочинен при потийской инжинерной команде. Августа 29 дня 1811 года“. ქვემოთ: „Подлинной подписал инжинер Капитан Мешков“. მასშტაბი — 1 დიუმში 20 საჟენი. გეგმას ახლავს ექსპლიკაცია.

გეგმის მიხედვით ფოთის ციხე რიონის შესართავიდან მოშორებით, მის მარცხენა ნაპირზე იყო აღმართული. ციხე-სიმაგრეს ოთხკუთხედის ფორმა აქვს. ყოველ კუთხეში დგას ბასტიონი, ე. ი. კედელს ოთხი ბასტიონი უვლის. ციხის კედელში იყო მომწყვდეული შემდეგი ნაგებობანი: „Мечет турецкая, каменная, с черепичною крышею, годная, но крыше не исправная, занята солью“. „Баня турецкая, каменная со сводами и куполом, годная, занята арестантами“. „Пороховой магазейн каменный, со сводам покрыт черепицею, без полов и стелажей, годный“. „Цейгауз (Zaughaus, სამხედრო საქონლის (საჭურველი) საწყობი—შ. მ.) каменный, черепич. крышею, ветхой, занят вещьми артил. ведомства“. „Провиантской магазейн, деревянный, негодний“. „Вновь строющийся соляной магазейн“. „Офицерской дом... турецкаго построения“. ამას გარდა, იმ დროისათვის ციხეში ყოფილა „Строении деревянныя с черепич. крышами... из материалов из бывшею Турецкого форштата“. როგორც ჩანს, ციხეს თავისი წინაქალაქიც—„ფორშტატიც“ ჰქონია. ასეთი „ფორშტატები“ ჰქონდათ, როგორც ზემოთ ვნახეთ, აწყურს, ახალქალაქსა და სხვ. ოსმალთა მიერ მიტაცებულ ციხე-ქალაქებს. XIX ს. დამდეგისათვის ეს „ფორშტატი“ აუღიათ და მისი მასალით ციხის შიგნით სხვადასხვა ნაგებობანი აღუმართავთ. ციხეში იყო აგრეთვე „Церковь полковая“, გაუბტვახტები და ოფიცერთა და ჯარისკაცთა საცხოვრებელი სახლები.

ამრიგად, XIX ს. დამდეგისათვის (ასე იყო ალბათ ადრეც) ციხის

---

[168] ЦГВИА, ВУА, 22371.

შიდა ტერიტორია მთლიანად დათმობილი ჰქონია სამხედრო დანიშნულების ნაგებობებს. ციხეს ერთადერთი, სამხედრო სიმაგრის როლი ჰქონდა დაკისრებული. მთელი დანარჩენი ნაგებობანი ციხის კედლებს გარეთ, უმთავრესად რიონის გასწვრივ, მარცხენა ნაპირზე, ციხის აღმოსავლეთით იყო.

ციხის აღმოსავლეთით, მისგან არც ისე მოშორებით იყო „Провиантской магазейн, плетневой, покрыт камышом".

ციხის ჩრდილოეთ კედელსა და რიონს შორის, რიონის კიდეზე მოქცეული იყო, ირგვლივ ხეებით შემორტყმული, ოთხკუთხი შენობა „Дом принадлежащий мингрельской правительнице".

ზემოხსენებული მაღაზიების წინ, აღმოსავლეთით იყო რამდენიმე „Хлебныя печи" და სხვა ნაგებობანიც, რომელთა ერთი ნაწილი ეჭირა სამხედრო სახელოსნოებსა და საჯინიბოებს, ნაწილი კიდევ იყო „Маркитанския лавки" და სხვ. ციხის გარეთ იყო ერთი აბანო.

„მარკიტნების" დუქნების მახლობლად იყო ბორანი რიონზე, რიონის მარჯვენა ნაპირიდან გზა მიემართებოდა რედუტ-კალეში.

ასეთი იყო ფოთის ციხისა და მისი მიდამოების სახე XIX ს. პირველ ათეულში.

3. ქუთაისი

ქუთაისი გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. ქუთაისის გარეგანი სახის შესახებ ჩვენ აღწერილობითი ხასიათის არაერთი წყარო მოგვეპოვება. მათ შორის უძველესია ნიკოფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის ელჩობის მუხლობრივ აღწერაში დაცული ცნობები.

ამ ცნობების მიხედვით, ქუთაისი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: ქვის კედლებიანი „დიდი ქუთაისისა" და „პატარა, ქვედა ქალაქ (город) ქუთაისისაგან"[169]. „დიდი ქუთაისი" კიდევ ორ ნაწილად იყოფოდა. აქ ცალკე იყო გამოყოფილი ციტადელი, რომელსაც ელჩები „Кремль-город"-ს უწოდებენ[170].

„დიდი ქუთაისი" რიონის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ გორაკზე იყო. აი, როგორ აღწერენ მას ელჩები: „Город Кутаиси, Каменной; стены в вышину сажени в три, толстина городу в большую са-

---

[169] Посольство.. Толочанова и Иевлева в Имеретию 1650—1652, документы издал... М. Полиевктов, Тифлис, 1926, с. 157.

[170] იქვე, გვ. 156.

жень. А на городе, по стене, против соборной церкви, четыре полаты болших; а сказывали, что в тех полатах жили каталикосы. Да по городу же пятнадцать бешен болших и малых". დიდი ქუთაისის კედლები და კოშკები ამ დროისათვის, ელჩების ცნობით, არაერთ ადგილას ყოფილა მორღვეული ოსმალთა ზარბაზნების წყალობით. ელჩთა იქ ყოფნის დროს, ხელახლა აკეთებდნენ მორღვეულ კედლებს და კოშკებს[171]. „А около болшего города, мерою, тысяча двесте тридцать сажен болших. А стоит город на горе, надрекою Реонью, высоко"[172]. აქვე, „в болшом городе Кутаисе" იყო ბაგრატის ცნობილი ტაძარი, რომელსაც ელჩები გაცვიფრებაში მოუყვანია, და რომელსაც ისინი დეტალურად აღწერენ[173]. ჩვენ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ელჩების აღწერილობით ამავე, „в болшом городе" იყო კრემლიც, რომელიც საკუთარი კედლებით ყოფილა შემოსაზღვრული. აი, როგორ აგვიწერენ ელჩები მას: „Да в том же в болшом городе Кутаисе кремль город, позад соборные церкви, в углу; четвероуголен, стены в вышину десяти сажен, толстину по менши сажени. Около его, по стенам, сем башен, в вышину сажен по двенадцати. Около города двесте две сажени болших. Ворота у города одни и затворы железные. В кремле городе церковь каменная во имя страстотеропца Георгия; в ней стенное письмо. А в церкве посланники не были...

Царевы полаты устроены по городовой стене; в полатах бывало стенное писмо. Перед полатами, в сенех, стоят три пушки полковые"[174].

ამრიგად, კრემლი ციხის კუთხეში ცალკე კედლებით ყოფილა შემოვლებული, რომელსაც შვიდი კოშკი იცავდა. კრემლი ციხეს ერთადერთი კარით უერთდებოდა. აქვე იყო წმ. გიორგის სახ. ეკლესია, და მეფის პალატა-დარბაზები — კედლის გასწვრივ, რომელსაც იცავდა სამი ზარბაზანი.

ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ მეფის საჯდომი XVII ს. შუა წლებისათვის რიონის მარჯვენა ნაპირზე, ციტადელში იყო და არა მარცხენა ნაპირზე, საკუთრივ ქალაქში, როგორც ეს XVIII ს. 30—40-იანი წლების მასალებიდან ირკვევა.

---

171 იქვე, გვ. 152.
172 იქვე.
173 იქვე, გვ. 152—156.
174 იქვე, გვ. 156.

„დიდ ქუთაისს“, ე. ი. ციხეს გარდა, იყო მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე „ქვედა ქალაქი ქუთაისიც“: „Да около города каменного большого Кутаиса и меншего нижнего города Кутаиси ж, по обе стороны реки Реони, обведен ров, и сделана осыпь каменная и по осыпи поставлены башни деревяния для приходу бою ратных людей. А кругом около той осыпи, по стене, версты с четыре“[175]. „ქვედა, პატარა ქუთაისს“, როგორც ვხედავთ, კედელი არ ჰქონია და მას ირგვლივ შემოვლებული თხრილები და ხის კოშკები იცავდა მხოლოდ. თხრილები შემოვლებული ჰქონია აგრეთვე „დიდ ქუთაისსაც“.

ამრიგად, აღწერილობით კარგად ვხედავთ ქალაქის ორ ძირითად ნაწილს: ერთი რიონის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ გორაზე აგებული ციხე, რომელშიც არის აგრეთვე კრემლიც. და მეორე, მარცხენა ნაპირზე, „პატარა ქალაქი“. ამ უკანასკნელის აღწერილობა ელჩებს, სამწუხაროდ, არა აქვთ.

ამგვარადვე წარმოგვიდგება XVII ს. შუა წლების ქუთაისი სხვა მასალებითაც.

ლევან დადიანის ერთ-ერთ წარწერაში ხატზე შემდეგნაირად არის გადმოცემული მის მიერ აოხრებული ქუთაისის ციხე და ქალაქი:

„გაველაშქრენით მეფესა ალექსანდრესა და მის ძმასა (?) მამუკაზედ და მივედით ქუთაის ციხის საბრძოლველად... უყავით ღამით იერიში და საყდარი (სოფია წმინდისა, — შ. მ.) წავართვით და ჯებირის გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველიდგან ნაშენები და ის... გაემაგრებინა (სოფია წმინდის ტაძრიდან ზარბაზნებით). დაუწყვეთ სროლა... და წავართვით ის ქვის პალატები. ციხის ზედან სასახლეს ზარბაზნები ვერ მიუტანეთ, მისატანი ალაგი არ გვქონდა, ჩამოვედით დაბლა რიონის პირს და დავსდექით, სასახლის ქვის სახლებს დაუწყეთ ზარბაზნებით სროლა... და დავამტვრიეთ ის ახალი ქვის პალატი თვით ალექსანდრე მეფისაგან აღშენებული. გაუსიეთ ლაშქარი გაღმა ქუთაის ქალაქს, დავწვით და მოვაოხრეთ... და წამოვედით გამარჯვებული.... ერთი კვირა არ გასულა, ისევე ვქენით ილღარი... გათენების დროს დავესხით ქუთაის სასახლესა და ქალაქსა“[176].

აქედანაც კარგად ჩანს, რომ მეფის სასახლე ანუ „ციხის ზედან სასახლე“ ქუთაისის ციხეში იყო; მეორე ნაწილი იყო „გაღმა ქუთაის ქალაქი“. ამრიგად, ქუთაისი „ქუთაისის სასახლედ“ ანუ „ქუთაისის ci-

---

175 იქვე, გვ. 157.

176 ИВАН. Н. 47, დიმიტრი მეღვინეთხუცესეული, მოგზაურობა იმერეთში, გვ. 39—41; შდრ. Зап. кавк. Геогр. общ. VI, 61(?) ლევან დადიანის მიერ აქ გადახდილ ომზე და მისი ზარბაზნების შესახებ იხ. ლამბერტი, გვ. 92—93.

ხედ“ და ქალაქად იყოფოდა. XVIII ს. შუა წლებში იმერეთის მეფე „ქუთაისის სასახლეში“ ანუ „ქუთაისის ციხეში“ იჯდა.

ზემოაღწერილი სახე ჰქონდა ქუთაისს შარდენის დროსაც. შარდენი მოგვითხრობს: „ქუთაისი გაშენებულია მთის კალთაზე, მდინარე ფაზისის ნაპირას. მეექვსე საუკუნის ბერძენთა ისტორიკოსები ამ ქალაქს უწოდებენ ქოთეზად; ამბობენ, დიდი ადგილი უჭირავსო. აქ ახლა მხოლოდ ორასი სახლია. ბატონების სახლები და მეფის სასახლე. არც სიმაგრეები აქვს, არც კედლები, ყოველმხრივ ღიაა. იმ მხარის გარდა, საიდანაც ზღუდავენ მდინარე და მთები. მდინარის გაღმა, დაბის პირდაპირ, უფრო მაღალ მთაზე, ვიდრე ის მთა, რომლის ძირშიც გაშენებულია ქალაქი, დგას ქუთაისის ციხე, შიგ არ ვყოფილვარ. ციხე კარგად მოჩანს იმ მთიდან, რომელიც მის პირდაპირ არის. აქვს კოშკები, ბურჯები და წყვილი კედელი, რომელნიც მაღალი და მკვიდრი უნდა იყვნენ“[177].

შარდენის ამ ცნობას სავსებით იმეორებს დელაპორტიც, მას სხვა რაიმე დამატებითი ცნობა თვით არ ჰქონია.

როგორც ჩანს, შარდენი რიონის მარცხენა ნაპირზე, საკუთრივ ქალაქში ყოფილა, ციხე კი მას თვით არ უნახავს. ქალაქში იმ დროისათვის, სამოსახლოებს გარდა, ყოფილა მეფის სასახლეც. ქალაქი დაუცველი იყო. მას არც ამ დროს ჰქონია კედლები. მეორე ნაწილს ქუთაისისას, შარდენის ცნობების მიხედვითაც, ძლიერი ციხე წარმოადგენდა.

ქ. ქუთაისის გარეგან სახეს იმერეთის 1737 წ. რუკა წარმოგვიდგენს. ქუთაისის ეს ჩანახატი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აკად. ივ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1918 წ. გამოაქვეყნა და მიუთითა, რომ გეგმა ამოღებული იყო იმერეთის ახლად აღმოჩენილ XVIII ს. პირველი ნახევრის რუკიდან[178]. მაგრამ ივ. ჯავახიშვილს არც ჩანახატისათვის და არც რუკისათვის არავითარი ცნობა და განმარტება არ დაურთავს.

იმერეთის რუკაზე ცენტრალური და ყველაზე დიდი ადგილი ქ. ქუთაისის ჩანახატს უჭირავს.

ჩანახატის მიხედვით, ქუთაისს ორ ნაწილად ჰყოფს მდ. რიონი. რიონის მარჯვენა ნაპირზე არის ქალაქის სასიმაგრო ნაგებობა. აქ დგას ოთხკუთხი ფორმის კედლებით შემოსაზღვრული ციხე. ასე უწოდებს მას რუკის ავტორი, მაგრამ ეს უნდა იყოს ის ციტადელი, „Кремль-город“, რომელზედაც რუსი ელჩები წერდნენ. ციხის ანუ „დიდი

---

177 შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 66—67.
178 „პრომეთე“, № 1, 1918.

ქუთაისის“ კედლები ამ ჩანახატში არ ჩანს, ეს რუკის შემდგენელს რა-ტომღაც არა აქვს აღნიშნული. ციტადელს, ქართულად, და შემდეგ რუ-სულად, მიწერილი აქვს: „ქუთაისის ციხე; თათარნი დგანან: ხუთასი. კაცი დგას“; რაკი ციხე „თათართ ეჭირა“, მეფე აქ ველარ იქნებოდა, მისი საჯდომი ამ დროისათვის მდ. რიონის მარცხენა ნაპირზეა.

ქუთაისის ციხის გვერდით დგას „ქუთაისის ეკლესია: დიდი სარ-ქიერო: თათართ აქვსთ. უწირავ ულოცავად: გუმბადიც: მოაქცევეს“. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარს (ეს ბაგრატის ტაძარია) ამ დროისათვის გუმბათი მოქცეული ჰქონია, ქუთაისის ჩამხატავს იგი გუმბათით აღუ-ნიშნავს: ეს ორი ძირითადი ნაგებობა აქვს აღნიშნული რიონის მარჯვე-ნა ნაპირზე. ეს ნაგებობანი ავტორს მდ. რიონსა და გუბის წყალს შო-რის მოუქცევია. რა თქმა უნდა, აქ სიზუსტე არ არის დაცული. აქვე, ციხიდან არც ისე შორს, ჩანახატის ავტორი ათავსებს ციხე-დარბაზ გეგუთს ნახევარსფერული გუმბათით, ორსართულიან ნაგებობას, რომელსაც მიწერილი აქვს: „ციხე დარბაზი: გეგუთისა ტახტი მეფეთა“. აქვე, ქვემოთ იყო „კარის საყდარი“.

მდ. რიონის მარჯვენა ნაპირი ერთადერთი ხიდით უერთდებოდა მის მარცხენა ნაპირს. ჩანახატში ხიდი რიონზე კარგად ჩანს. ხიდის თავთან, მარცხენა ნაპირზე იდგა კოშკი, რომელსაც მიწერილი აქვს: „ჯიდის კარი“. ამ კარით „ციხე ქუთაისისა“ უერთდებოდა „ქუთაისის ქალაქს“. რიონის მარცხენა ნაპირზე სხვადასხვა სახის ერთსართულიანი ნაგებო-ბებია აღნიშნული, მათზე მიწერილია: „ქუთაისის ქალაქი“ (слободы). ქალაქის ბოლოს იყო გუმბათიანი „კარის საყდარი“ და მის გასწვრივ კიდევ რამდენიმე ნაგებობა. რიონის ნაპირზე კოშკი ჩანს და კედელი. მათზე ხატის შემდგენელს მიწერილი აქვს: „სამეფო სასახლე: და ტახ-ტი“ („Дворцы“).

სამეფო სასახლე კარის საყდრითურთ, XVIII ს. პირველ ნახევარ-ში უკვე რიონის მარცხენა ნაპირზე იყო და არა მარჯვენაზე (როგორც რუსი ელჩების აქ ყოფნის დროისთვის). „ქვედა, პატარა ქუთაისი“ XVIII ს. პირველ ნახევარში უკვე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე „დიდი ქუთაისი“.

„პატარა, ქვედა ქუთაისი“ თანდათან იზრდებოდა. აქ თავს იყრი-და ძირითადი მოსახლეობა. ეს კარგად ჩანს ქუთაისის 1820 წ. ტოპო-გრაფიული გეგმიდან[179]. გეგმის შემდგენელი უცნობია. ამას გარდა, როგორც ეტყობა, გეგმას უნდა ჰქონოდა ექსპლიკაცია, მაგრამ მას ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ექსპლიკაციის გარეშე კი იმ ნაგებობათა ახსნა, რო-მელიც გეგმაზეა აღნიშნული, შეუძლებელია.

---

[179] ЦГВИА, ф. ВУА № 22110.

მიუხედავად ამისა, გეგმით კარგად ირკვევა, რომ XIX ს. დამდეგს ქუთაისის ძირითადი მოსახლეობა რიონის მარცხენა ნაპირზე იყო. მარჯვენა ნაპირზე, მაღალი მთის წვერზე, ტაძარს გარდა, ციხის კედლები და სხვა სიმაგრეთა ნაშთები იყო შერჩენილი. ამავე მხრიდან მოდიოდა გზა მარნიდან, რომელიც გადიოდა ამჟამადაც ერთადერთ ხიდზე და ქუთაისის ქალაქში შედიოდა. ხიდის თავიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ქუჩის ორსავე ნაპირზე ერთ ხაზად ჩამწკრივებული ნაგებობანი ქალაქის დუქნები უნდა იყოს. მოსახლეობა კიდევ ძირითადად თავს იყრიდა ხიდიდან მარჯვნივ, რიონის ნაპირზე, მისი დინების საწინააღმდეგოდ.

უმთავრესი გზა მოდიოდა თბილისიდან, ჯერ ის ქალაქში შემოდიოდა, გაივლიდა დუქნების მწკრივს, ხიდს და გადიოდა მარჯვენა ნაპირზე.

გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ ექსპლიკაცია არ ახლავს, კარგად გვიჩვენებს იმ ზრდას, რაც ქალაქს „პატარა, ქვედა ქუთაისს“ განუცდია XVII ს. შუა წლებიდან ვიდრე XIX ს. დამდეგამდე. დღეს ქალაქის უმთავრეს ნაწილს სწორედ ეს ძველი „პატარა ქალაქი“ წარმოადგენს. მდ. რიონის მარჯვენა ნაპირს კი თავისი ძირითადი მნიშვნელობა დაკარგული აქვს. და ეს ამ დროისათვის უკვე გასაგებია... ქუთაისი განვითარების ახალ გზაზე იყო შემდგარი. XVII—XVIII სს. ქუთაისი კი ტიპური გვიანფეოდალური ხანის ქალაქს წარმოადგენდა.

4. ჩხარი და მისი მსგავსი „ქალაქები“

გვიანფეოდალურ დასავლეთ საქართველოს ქალაქთა შორის მოიხსენიება ჩხარიც. შარდენი მას ჩიკარისის სახელით მოიხსენიებს, და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის დროის იმერეთში ის ქალაქად იყო მიჩნეული. „სკანდიდან ჩიკარისი გავიარეთ. აქამდინ სულ ერთი ეჯია. ამ სოფელში ორმოცდა ათი კომლია. იმერეთში ის ქალაქად ითვლება, თუმცა ქალაქობისა არა ეტყობა რა“[180].

ჩხარი ქალაქადაა მოხსენიებული და მისი ჩანახატიც მოიპოვება 1737 წ. დასავლეთ საქართველოს რუკაზე. რუკაზე აღნიშნულია უგუმბათო ეკლესია და მასზე მიწერილია: „ქალაქი ჩხარი, წმიდის გიორგის მონასტერი. ახლად აღშენებული მეფის ალექსანდრესაგან ქ-ეს აქეთ ჩღლზ (1737)“. ეს „ქალაქი“, ისე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა მსგავსი „ქალაქები“, განსხვავდება ჩვეულებრივი გვიანფეოდალური ხანის ქალაქებისაგან. მათ რაიმე დამცველი არა აქვთ, არც კედლები, არც კოშკები და მათი წარმოშობა დაკავშირებულია საეკლე-

---

180 შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 65.

სიო მნიშვნელოვან პუნქტებთან. ამგვარი ე. წ. ქალაქები, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი.

ჩხარი ქალაქადაა მოხსენიებული ლევან დადიანის ზემომოტანილ წარწერაშიც. იქ ნათქვამია: „კიდევ გავილაშქრენით იმერეთზედ თვესა თებერვალსა, მივედით აჯამეთს დავსწვით... მივედით ჩხარის ქალაქს და იქ დავსდგით, სოფელნი დასწვეს“[181].

ჩხარი ქალაქად აქვს მოხსენიებული ლევან დადიანს ილორის წმ. გიორგის დიდი ხატის წარწერაშიც. აქ ნათქვამია: „ამავე ჟამსა ავყარეთ სრულებით ქალაქი ჩხარი მოვასხით ზუგდიდს და დავასახლეთ ადგილსა რუხისასა“[182]. ჩხარს იხსენიებს ვახუშტიც: „ამ ჯევზედ (ჩხარულა — შ. მ.) არს მთის ძირას ჩხარი. ეს ყოფილა ქალაქი, არამედ აოხრდა ლევან დადიანისაგან. აწ არს დაბა არს აქა ეკლესია უგუმბათო“ (აღწერა, გვ. 153). როგორც ჩანს, ლევან დადიანის ზემოხსენებულ ლაშქრობას თავისი გავლენა მოუხდენია იმერეთის ამ ქალაქზე.

ჩხარის ტიპის ქალაქებს დას. საქართველოში მიეკუთვნება აგრეთვე ჩიხორიც. ჩიხორი, როგორც ქალაქი, მოიხსენიება ლევან დადიანის ზემომოტანილ 1644 წ. მოჭედილ ხატის წარწერაში: ჩხარის განადგურების შემდეგ, მოგვითხრობს ლევან დადიანი, „ვარდის გორა და ჩიხორის ქალაქი დავწვით[183]. ჩიხორი, როგორც მცირე ქალაქი, თავის „აღწერაში“ შეუტანია ვახუშტის: „ზუსას მდინარის დასავლით, არს ჩიხორი, ქალაქი მცირე: მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“ (აღწერა, გვ. 154). ჩიხორი, როგორც ქალაქი, მოხსენიებული და აღნიშნულია იმერეთის 1737 წ. რუკაზედაც: „ქალაქი ჩიხორი, სამწთ... (?) საყდარი“. ამავე რუკიდან ჩანს, რომ ჩიხორი, როგორც ქალაქის მსგავსი დასახლების მქონე, დაკავშირებული იყო საეკლესიო პუნქტთან, ამიტომ მას ჩვენ ჩხარის მსგავს ქალაქთა ტიპს მივაკუთვნებთ.

ამგვარსავე პუნქტს დასავლეთ საქართველოში, XVIII ს. პირველ ნახევარში და შემდეგაც, წარმოადგენდა ხონი. ხონი, როგორც ასეთი პუნქტი, შეიძლება კიდევაც ტიპურად მივიჩნიოთ. მისი გარეგანი სახე 1737 წ. იმერეთის რუკის შემდგენელს კარგად, შედარებით დეტალურად ჩაუხატავს.

ხონის უმთავრეს პუნქტს წარმოადგენს წმ. გიორგის საყდარი, სამთავრეპისკოპოსო; ეს უყრის აქ თავს ქალაქის ტიპის დასახლებას. მართლაც, ხონის იმდროინდელი ჩანახატის მიხედვით, წმ. გიორგის საყდარს ირგვლივ სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობები არტყია. ჩანახატის

---

[181] ИВАН, Н 47. გვ. 41, შდრ. Зап. Кавк. геогр. общ., VI.

[182] ИВАН, Е 48, დ. დ ა დ ი ა ნ ი, ოდიშის ხატის წარწერანი, გვ. 3.

[183] ИВАН, Н 47, დ. მ ე ღ ვ ი ხ ე თ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, მოგზაურობა, გვ. 41.

ავტორს ქართულად მიუწერია: „ხონი და წმინდის გიორგის საყდარი სამთავრეფისკოპოსო და ვაჭრობაც არის ყასაბაა“.

მსგავსი პუნქტები დას. საქართველოში სხვაც იყო, კერძოდ, „ოზურგეთი და მისი საყდარი, ქალაქი“, „საჩხერე ყასა[ბა]“, „ჭალატყე ყასაბა“, „ლაილაშის ქვეყანა და ქალაქი“ და სხვ., ე. ი. ისეთი პუნქტები, რომელნიც ან საერო ან კიდევ სასულიერო მნიშვნელოვან პუნქტებთან იყვნენ წარმოშობილნი. საჩხერე, ოზურგეთი ვახუშტისაც აქვს მოხსენიებული როგორც მნიშვნელოვანი პუნქტები. საჩხერის შესახებ ვახუშტი წერდა: „ყვირილას სამხრით კიდეზედ არს საჩხერე, მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ“[184]. ხოლო ოზურგეთზე შენიშნავს: „შემოქმედის ქვეით არს ოზურგეთი, სასახლე დიდშენი, კეთილ-პალატოვანი, გურიელისა, აქავ სახლობენ ვაჭარნი სომეხ-ურიანი და ვაჭრობენ[185]. ამგვარი პუნქტები, რომელნიც ზოგ შემთხვევაში ქალაქად იყვნენ წოდებულნი, ასე თუ ისე, აკმაყოფილებდნენ ფეოდალური ნატურალური მეურნეობით ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

5. ანაკლია და მისი მსგავსი „ქალაქები“

გვიანფეოდალურ ხანაში ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტები წარმოიშობოდა არა მარტო საერო და სასულიერო მნიშვნელოვან ცენტრებთან, არამედ აგრეთვე ციხე-სიმაგრეებთან, რომელნიც ძველიდანვე არსებობდნენ და რომელთაც გვიანფეოდალურ ხანაშიც თავიანთი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდათ დაკარგული.

ერთ-ერთ ამგვარ პუნქტს დასავლეთ საქართველოში ანაკლია წარმოადგენდა. იგი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო შავი ზღვის სანაპიროზე, ზოგი უცხოელი ავტორის მიხედვით ერთ დროს სახელგანთქმული ქალაქიც კი ყოფილა.

მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ანაკლია XVII ს. პირველ ნახევარშიც. აქ, ლამბერტის ცნობით, საეპისკოპოსო კათედრალი არსებულა[186].

ანაკლიის შესახებ შარდენი წერდა: „ეს სოფელი ზღვიდან ორი ვერსით არის დაშორებული და შესანიშნავი ადგილია სამეგრელოში. სოფელში ასი კომლია, მაგრამ სახლები ისე დაშორებულია ერთიმეორისაგან, რომ ერთიდან მეორემდის მანძილი ორ ეჯს უდრის. ამ სოფელში ყოველთვის იმყოფებიან ოსმალოები, რომლებიც ყიდულობენ მონებს და აგრეთვე ნავებსაც მონების გადასაყვანად. ამბობენ, რომ ის

184 აღწერა, გვ. 156.

185 იქვე, გვ. 175.

186 ლ ა მ ბ ე რ ტ ი, გვ. 121.

იმ ადგილას არის გაშენებული, სადაც ოდესმე იყო დიდი ქალაქი სახელად ჰერაკლე"[187]. ანაკლიას შარდენი მეორე ადგილსაც მოიხსენიებს როგორც „სოფელსა და მცირე ნავთსადგურს"[188].

ანაკლიას მოიხსენიებს ვახუშტიც და მის შედარებით გაძლიერებას რუხის დაცემას უკავშირებს: „ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესსა ჩღვ (1703)... აწცა უპყრავთ მათვე"[189]. ეს ციხე, ვახუშტის სიტყვით, რუხის დანგრევის შემდეგ, მისივე ქვებით, ოსმალებს უმტკიცესად აუშენებიათ: რუხი „შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩღკე (1725)... და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად"[190]. ანაკლიის ციხე აღნიშნულია იმერეთის 1737 წ. რუკაზედაც. ანაკლიის ციხეს, ისე როგორც შავი ზღვის სანაპიროს სხვა ციხეებს (ფოთი, აყუ და სხვ.), კვადრატული ფორმა ჰქონია. ციხის შიგნით ჩამხატველს მიწერილი აქვს: „ანაკლიის ციხე თათართ უჭირავს. სოხუმს მყოფთ ხელქვეშეთ აფიცარი დგას".

აღსანიშნავია, რომ 1804 წ. რუკაზე, რომელსაც ეწოდება „Карта части Мингрелии" და რომელშიც შავი ზღვის სანაპირო, მდ. ენგურის შესართავი და მისი მიდამოებია წარმოდგენილი, ანაკლია მოხსენებულია, როგორც ქალაქი. მდ. ენგურის შესართავთან მიწერილია: „Гор. Анаклеа"[191].

გვიანფეოდალურ ხანაში ანაკლია, როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ქალაქად არ იყო მიჩნეული, მაგრამ ზღვისპირა მნიშვნელოვან ციხესთან, რომელსაც ნავსადგურიც გააჩნდა, ვაჭრობა წარმოებდა, და ზემოაღნიშნული პუნქტების მსგავსად ისიც ყასაბა იყო. ანაკლია შის ახლომდებარე ფოთსა და ყულევს, რომელიც XIX ს. პირველ ნახევარში ძლიერდება, კონკურენციას ვეღარ უწევს და მალე, როგორც ციხეც, მნიშვნელობას კარგავს. შემთხვევითი არ არის, რომ XIX ს. პირველ ნახევარში უკვე მისი „ციხეც და კოშკიც დაქცეული" იყო. დ. მეღვინეთხუციშვილი თავის „მოგზაურობაში", 1850 წ. აღნიშნავდა: „მოველ ანაკლიას შავი ზღვის პირზედ. აქ არის ციხე და კოშკი დაქცეული".

მსგავს მნიშვნელოვან პუნქტს შავი ზღვის სანაპიროზე წარმოადგენდა აყუს (სოხუმის) ციხეც. იმერეთის 1737 წ. რუკაზე სოხუმის ოთხკუთხი ციხე და მისი ამგვარივე კოშკებიცაა შემორჩენილი. შიგ

---

187 შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 16.

188 იქვე, გვ. 38.

189 აღწერა, გვ. 167.

190 იქვე, გვ. 168. ЦГВИА, ф. ВУЛ 20497.

191 ИВАН, Н 47.

ავტორს ჩაუწერია: „სოხუმის ციხე, ქართულად აყუ ქვიან. ორთუღიანი ფაშა ზის. 1723 ამ ქკ-ს ააშენეს თათართ, სამოცი თოფი ძეს დიდი ას[ი]კაცი [დგას“].

სავაჭრო პუნქტები იყო დასავლეთ საქართველოს სხვა ციხეებთანაც. ზოგი მათგანი გვიანფეოდალურ ხანაში ქალაქადაც კი არის მიჩნეული. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ძველი ციხე-ქალაქი შორაპანი. შორაპანი გვიანფეოდალურ ხანაში უმთავრესად ციხე იყო. მას, როგორც სტრატეგიულ პუნქტს, თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ამით აიხსნება, რომ იმერეთის რუკის შემდგენელმა საგანგებოდ ჩახაზა ამ ციხის გარეგანი სახე .და თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ იგი ყოველთვის ცდილობდა ზუსტად გადმოეცა ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პუნქტის სახე, ცხადი გახდება ამ ჩანახაზის მნიშვნელობა.

შორაპნის ციხე, ჩანახატისა და ვახუშტის ცნობების მიხედვითაც, მოქცეული იყო ყვირილისა და ძირულის შესართავით შექმნილ სამკუთხა გორაზე. ციხეს ამგვარივე კედლები ჰქონდა, ე. ი. სამკუთხედის ფორმისა. მათ შესაყართან, მდინარეთა შესართავისაკენ, იდგა გუმბათოვანი კოშკი. ჩანახატიდან კარგად ჩანს, რომ ერთი კარი ციხისა სწორედ აქ იყო, ამ კოშკში გადიოდა. ამას გარდა, ციხეს კოშკი ჰქონია მდ. ძირულისაკენ და ასევე ყვირილისკენაც, ორივე კოშკი სათოფურებიანი და ქონგურებიანია. ორივეზე გასასვლელი ჩანს — კარები. იქნებ ამ კოშკიდან, კერძოდ, ყვირილაზე მდგომ კოშკიდან იყო „გვირაბი დიდი ჩასული წყალამდე“, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ვახუშტი[192]. ციხის უკანა კედელზე, რომელიც კეტავდა ამ სამკუთხა ციხეს, აღმართული იყო გრძელი და მაღალი (ორსართულიანი?) ნაგებობა (სასახლე?). ნაგებობის წინა ფასადი ციხის შიდა ტერიტორიისკენაა მოქცეული. ამ ნაგებობის (სასახლის) წინ იდგა უგუმბათო ეკლესია. სხვა ნაგებობანი შორაპნის ჩამხატველს ციხის ტერიტორიის შიგნით არა აქვს აღნიშნული. ორსართულიან ნაგებობას ზემოთ ქართულად მიწერილი აქვს: „ასი კაცი დგას“, ხოლო ციხის შიდა ტერიტორიაზე წერია: „შორაპანი თათარმა დაიჭირა. ყასაბა[ა]“.

ვახუშტის დროისათვის შორაპანი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო: „არს დიდ შენობა ფრიადი... ეს შემუსვრილი აღაშენა გიორგი აბაშიძემ. არამედ შეამუსვრინეს მასვე ოსმალთა. მერმე მისცა ზურაბ აბაშიძემ ოსმალთა“[193].

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ XVII ს. დასასრულის ერთ-ერთი ხატის წარწერაში მოიხსენიება „შორაპნის ციხე და ქალაქი“. ტა-

---

192 აღწერა, გვ. 154.
193 იქვე.

ბაკონის ეკლესიის ხატის წარწერაში ვკითხულობთ: „ბრძანებითა ღთი˜სათა ძალითა და შეწევნითა ხატისა ამაღლებისათა, მე ჩხეიძემ ბოქაულ უხუცესმა ბატონმა თეიმურაზ ჟამთა გამოცვლილობითა, ძველთაგან ჩვენის სახლის დანაკარგი შორაპნის ციხე და ქალაქი მეფის ბაგრატის ბრძანებით, ძალით ჩემის ჯრმლით დავიჭირე, რადგან ჩემმა მოწყალემ ამოდენი ხელი მომიმართა“, ამიტომაც შევამკვე-ო, „ქ˜კს ტოდ“ (1686 წ.)[194].

მოტანილი ამონაწერი თავისთავად საინტერესო ცნობებს შეიცავს. ვახუშტის მიხედვით, უკვე შემუსვრილი შორაპანი გიორგი აბაშიძეს აღუშენებია, მაგრამ ოსმალებმა ხელახლა დაანგრევინეს მას იგი. ყველაფერი ეს 1701—1707 წწ. შორის უნდა მომხდარიყო. ამ წლებში იყო გიორგი აბაშიძე იმერეთის განმგებლად. ასე რომ, შორაპნის „ციხისა და ქალაქის“ დანგრევა XVII ს. მიწურულს მომხდარა, XVIII ს. დამდეგს ის აღუდგენიათ, მაგრამ ისევ, ოსმალთა წყალობით, დანგრეულა. XVIII ს. დასაწყისიდანვე იგი ზურაბ აბაშიძის წყალობით ოსმალთა ხელში გადასულა. ამიერიდან, ე. ი. XVIII ს. დამდეგიდან დაკარგა დანგრეულმა შორაპანმა, როგორც „ქალაქმა“, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი მნიშვნელობა. XVII ს. 80-იან წლებში ის ჯერ კიდევ ქალაქად ხსენებული, XVIII ს. პირველ ნახევარში, არც ვახუშტისა და არც იმერეთის 1737 წ. რუკის მიხედვით, ქალაქად აღარ იწოდება. მაგრამ აქ, როგორც მნიშვნელოვან გზაზე მდებარე ციხესთან, ამ დროისათვის ვაჭრობა მაინც წარმოებს. ამიტომ უწოდებს მას იმერეთის 1737 წ. რუკის შემდგენელი „ყასაბას“.

მსგავსი, მნიშვნელოვან სიმაგრეებთან თუ საბაჟოებთან დაკავშირებული, სავაჭრო პუნქტები დას. საქართველოში სხვაც იყო. მაგ., ონი იმერეთის ხსენებული რუკით, „ყასაბად“ იწოდება. იქ მიწერილია „ონი, ვერცხლის ლითონი, გოგირდიც აქ გამოვა“, „ყასაბა[ა]“. ხოლო 1800 წ. ერთ იმერულ საბუთში „ონის ქალაქი“-ც არის მოხსენიებული, სადაც იმერეთის მეფის მებაჟე იჯდა. საბუთში ნათქვამია: „სრულიად იმერთა მეფე სოლომონ გიბრძანებ ვინცავინ ჩემს საბრძანებელში მოხელენი, მებაჟენი ანუ მეციხოვნენი ხართ ჰიდროთშია, ონის ქალაქშია, წესშია, ხოტევ ციხეშია თუ აქ ქუთაისშია ანუ სხუაგან სადაც ჩემს საბრძანებელშია, ამ ჩუენმა აზნაურიშვილმან გიორგიმ პაიჭაძემ გამოიაროს, ამას არსად ხმა არ გასცეთ, ან არ აწყენიოთ რა და არა სთხო-

---

[194] ИВАН. Н. 47. დ. მ ე ღ ვ ი ნ ე თ-ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, მოგზაურობა იმერეთში, გვ. 57. აქ თარიღის ამოკითხვაში შეცდომა უნდა იყოს. ბაგრატ იმერთა მეფე, რომელიც წარწერაში იხსენიება, ვახუშტის ცნობით 1681 წ. გარდაიცვალა (იხ. იმერეთის ისტორია, აღწერილი ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, თბ., 1902, გვ. 44).

ეოთ რა და თუ სადმე ბარგებისათვის ცხენი დასჭირდეს, ანუ კაცი დაუყოვნებლად მისცეთ და ყოველგან კარგად დაუხდეთ და ემსახუროთ თორემ თუ ამას კაცმან აწყენინა რამე ჩუენდა მოღალატედ მოვიკითხავთ იცოდეთ.
თებერვლის ე(5), წელსა ჩყ (1800)"[195].

ვახუშტი ბატონიშვილი, ისე როგორც იმერეთის 1737 წ. რუკის შემდგენელი, ონს ისეთ ადგილად მოიხსენიებს, სადაც ვაჭრობა იყო და არა ქალაქად: „ჯეჯორის შესართავს ზეით და რიონის სამხრით არს ონი, სახლობენ ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ" — წერს ვახუშტი[196]. მსგავსი სავაჭრო პუნქტები, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, დასავლეთში სხვაც იყო, მაგრამ მათზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ, რაკი ისინი ქალაქთა რიცხვს არ შეიძლება მივაკუთვნოთ, ან კ^დევ, როგორც ვახუშტი ამბობს, „არა აქუსთ მართველობა და განწყობილება ქალაქთა"[197].

ზოგადი დასკვნები გვიანფეოდალური ხანის ქალაქთა ტიპების შესახებ

ზემოგანხილული მასალები შესაძლებლობას გვაძლევს ზოგადად წარმოვიდგინოთ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე.

როგორც ვხედავთ, იმდროინდელი საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: საკუთრივ ქალაქი, რომელიც უმთავრესად ვაჭარ-ხელოსნებით იყო დასახლებული, და ციხე, რომელიც ქალაქის მფლობელის საჯდომსაც წარმოადგენდა და რომელშიც თავს აფარებდა ქალაქის მოსახლეობა. გვიანფეოდალური ხანის ქალაქების ციხეების ერთ მიზანს ქალაქის მოსახლეობის დაცვა შეადგენდა. ამ დანიშნულების შესასრულებლად იყო იგი წარმოშობილი ქალაქთან ერთად. მაგრამ ამავე დროისათვის ქალაქთა ციხეები გვიანფეოდალური ხანის სამხედრო-სტრატეგიული პუნქტებიც იყო და, ისე როგორც მასზე ადრე, იმჟამადაც არა მარტო ქალაქის, არამედ მის ირგვლივ მყოფი მოსახლეობის თავშესაფარსაც წარმოადგენდა საჭირო შემთხვევაში. ჩვენ არაერთი მასალა მოგვეპოვება, რომელიც ქალაქთა ციხეების ამგვარ დანიშნულებაზე მიგვითითებს, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთს მოვიტანთ.

იოანე ბატონიშვილი თავის პროექტში სხვათა შორის წერდა:

---

195 ქუთ. მუზ. საბუთ., გვ. 787.
196 აღწერა, გვ. 160.
197 იქვე, გვ. 117.

„ტფილის ქალაქს გაუახლდეს ციხე, გაამაგრონ შაიტახტი მელიქის სასახლესთან კლდის ძირას. კოშკი კოჯრის კარზედ გაკეთდეს კარგი, დიდი კოშკი აგრეთვე დიღმის კარზედ და წყლის კარზედ გალავანი გაუახლდეს, ავანანთ ჯევი ამოიწმინდოს და სხუა თხრილიც შეერთდეს და ამის შიგნიდამ კიდეე გაუკეთდეს ალიზის დაბალი გალავანი ჯებირად. მეტეხი გამაგრდეს კარგად, ავლაბრის ასავალს დედოფლის სასახლის პირდაპირ კირაკოზას ბაღთან იმ კლდეზედ დაიდგას კარგი ბურჯი დიდი სანგარივით, ერთიც ქუაბის თავს დაიდგას ამგვარი ბურჯი. წინ კლდეზედ სადაც სავალია, გალავანი გაევლონ. უკან მახათას მხარეს კარგი დიდი თხრილი გაევლოს სუპკარაპეტის ჯევიდამ, სადაც მტკუარს დაჰყურებს ძუელი თხრილი, იმას შემოუარონ. შიგნიდამ გაევლოს გალავანი, გაუკეთდეს ხიდი სამსა თუ ოთხს ადგილას, ამასაც გაუკეთდეს სანგრები კოშკის სახედ... და აქ (ასე გამაგრებულ თბილისში — შ. მ.) დაიხიზნებოდეს სომხით საბარათოსშვილი, მარტყოფლები, ნათლუღი, ავჭალა, დიღომი, მცხეთა, ძეგვი და სხვა წვრილი სოფლები“[198].

მეზობელი წვრილი სოფლების თავშესაფარი იყო სხვა ქალაქთა ციხეებიც და ზოგჯერ კიდეე თვით ქალაქიც კი, თუ იგი კედლებით იყო დაცული. ასე რომ, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქთა ციხეები ქალაქისა და მისი მიმდგომი თემების მოსახლეობის დამცველი იყო, მაგრამ უმთავრესად კი იგი მაინც ქალაქის დაცვას ისახავდა მიზნად.

ისეთ ქალაქთა რიცხვს, რომელთაც ციხეები გააჩნდათ, გვიანფეოდალურ საქართველოში ეკუთვნოდნენ: ანანური, აწყური, ახალქალაქი, ახალციხე, გორი, დუშეთი, თბილისი, თელავი, სიღნაღი, რუხი, ქუთაისი. დასახლებულ ქალაქებში სასიმაგრო ნაგებობანი ქალაქს ემსახურებიან.

გვიანფეოდალურ საქართველოში სხვა ტიპის ქალაქებიც არსებობდა. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქალაქის ტიპის ისეთი დასახლებანი, რომელნიც თავს აფარებდნენ სხვადასხვა თვალსაზრისით მნიშვნელოვან (მთავრის რეზიდენცია, სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ციხეები და სხვ.) სიმაგრეებს. ამ შემთხვევაში ქალაქები ციხეების, გამაგრებული ადგილების დამატებებს წარმოადგენენ, მასთან არიან შეკედლებულნი.

ამას გარდა, გვიანფეოდალურ ხანაში არსებობდა სავაჭრო-სახელოსნო პუნქტები, ე. წ. ქალაქები, რომელნიც მნიშვნელოვან პუნქტებად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ სავსებით დაუცველნი იყვნენ.

ამრიგად, გვიანფეოდალური ქალაქები, მათი დაცვის თვალსაზრისით, ოთხ ძირითად ტიპად შეიძლება დავყოთ.

---

198 საქ. მუზ. H 2155, გვ. 37—38.

პირველ ტიპს ეკუთვნოდნენ ქალაქები, რომელთაც ციხის გარდა იცავდა ქალაქის კედლები ან მისი მსგავსი სასიმაგრო ნაგებობანი (თხრილები და სხვ.). ასეთებს გვიანფეოდალურ ხანაში მხოლოდ უმთავრესი ქალაქები შეადგენდნენ: 1. ახალციხე, რომლის ქალაქი ირგვლივ თხრილშემოვლებული და ყოველ შემოსასვლელთან კოშკებით იყო გამაგრებული, 2. გორი, ალიზით კედლებითა და სამი კარით; 3. თბილისი თავისი კედლებით და 4. ქუთაისი, რომლის „ქვედა ქალაქი", ე. ი. საკუთრივ ქალაქი, რუსი ელჩების სიტყვით, თხრილშემოვლებული ყოფილა.

მეორე ტიპს გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქთა უმეტესობა ეკუთვნოდა. ეს ისეთი ქალაქებია, რომელთა დაცვა მინდობილი ჰქონდა ციხეებს. ამგვარ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნოდა: ანანური, აწყური, ახალქალაქი, დუშეთი, თელავი, სიღნაღი, რუხი. აქ დასახელებულ ქალაქთა შორის ზოგი თავისებურია, კერძოდ, სიღნაღი, თავისი ვრცელი ციხით, თელავი სამი ციხით და ახალქალაქი ჩრდილო და სამხრეთ „ფორშტატებს" შორის მოქცეული ოთხკუთხა ციხით. მიუხედავად ამისა, მათი დანიშნულება ძირითადად ერთი იყო.

მესამე ტიპს მიეკუთვნებიან გვიანფეოდალური ხანის ის ქალაქები, რომელნიც სტრატეგიულად თუ სხვა თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტებთან გაჩნდნენ, ამ პუნქტებს არიან შეკედლებულნი და მას აფარებენ თავს. ასეთი ქალაქის ტიპის დასახლებანი უმთავრესად დასავლეთ საქართველოში იყო, სადაც, გვიანფეოდალურ ხანაში, პირველი და მეორე ტიპის ქალაქები იშვიათად გვხვდება. მესამე ტიპს ჩვენ ვაკუთვნებთ ისეთ დასახლებებს, როგორიც იყო ფოთის ციხესთან, ოზურგეთში, ანაკლიის, სოხუმის, შორაპნის, ონის, ხოტევის და სხვ. ციხეებთან და რომელნიც XVII—XVIII სს. მასალებში ხშირად ქალაქებად არიან მოხსენებულნი.

მეოთხე ტიპის ქალაქებს მიეკუთვნებიან ის სავაჭრო-სახელოსნო დასახლებანი, რომელნიც სასულიერო მნიშვნელოვან პუნქტებთან წარმოიშვნენ და რომელნიც არ ყოფილან დაცულნი არც კედლებით და არც მათთვის განკუთვნილი საგანგებო ციხეებით. ასეთებს მიეკუთვნებიან წილკანი (აღმ. საქ-ში, XVIII ს. 70-იან წლებში), ჩხარი, ხონი, ჩიხორი და სხვ. ტიპურად მათ შორის შეიძლება მიჩნეულ იქნეს ხონი, რომელიც, 1737 წ. იმერეთის რუკის მიხედვით, წარმოშობილი იყო მნიშვნელოვან საეკლესიო პუნქტთან დაკავშირებით, და რომლის სავაჭრო ნაგებობანიც ამ ეკლესიის ირგვლივ იყრიდა თავს.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: საქართველოს იმ ნაწილში, სადაც პირველი ორი ტიპის ქალაქი იშვიათად არსებობდა, ე. ი. საქა-

ლაქო ცხოვრება შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული, ძირითადად მესამე და მეოთხე ტიპის ქალაქის მსგავსი დასახლება იყო გავრცელებული. ამგვარს გვიანფეოდალურ ხანაში, განხილული მასალების მიხედვით, დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა.

ზემოდასახელებული ქალაქები სიმაგრეების თვალსაზრისითაც არ იყო ერთნაირი. მაგალითად, ზოგი ქალაქის ციხე საკუთრივ ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა — ციხედ და ციტადელად, ანუ როგორც XI—XIII სს. უწოდებდნენ „დედა-ციხედ". ციტადელი, „დედა-ციხე" უმთავრეს სასიმაგრო ნაგებობას წარმოადგენდა და იგი რეზიდენტისთვის იყო განკუთვნილი. ზოგ ქალაქს კიდევ მარტო ციხე გააჩნდა, რომელშიც ქალაქის მფლობელი თუ განმგებელი იმყოფებოდა და საჭირო შემთხვევაში, მოსახლეობაც აფარებდა თავს. იყო ისეთი ციხეც, რომელიც მარტო თავშესაფრად იყო გამოყენებული.

ამგვარი თვალსაზრისით გვიანფეოდალურ საქართველოში ორი ძირითადი ტიპი გამოირჩევა:

პირველ ტიპს მიეკუთვნება ქალაქები, რომელთაც ციხე აქვთ და მასთან ერთად ცალკე გამოყოფილი ციტადელიც. განხილული მასალების მიხედვით ასეთი ქალაქები იყო: ანანური, აწყური, ახალქალაქი, ახალციხე, თბილისი, რუხი, ქუთაისი.

ციტადელი აქ ყველგან რეზიდენტის, ქალაქის მფლობელის ან მისი ხელისუფალის საჯდომი იყო, ციხე კი მოსახლეობის თავშესაფარი. ხოლო XVII ს. და XVIII ს. დამდეგს, მას შემდეგ, რაც ციხე და ქალაქი გაერთიანდა, როცა ციხის ცალკე კედლები ერეკლემ მოშალა და ქალაქის მფლობელის სასახლე და მასთან დაკავშირებული სხვა ნაგებობანი საბოლოოდ საკუთრივ ქალაქში იქნენ გადმოტანილნი, ციტადელს უკვე თავისი პირვანდელი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

მეორე ტიპს მიეკუთვნებიან ისეთი ქალაქები, რომელთაც მხოლოდ ციხე გააჩნიათ და ეს უკანასკნელი ასრულებს ციტადელის როლსაც. ციტადელი აქ ცალკე გამოყოფილი არ არის. ციხეში ან თვით კედელშემოვლებულ ქალაქშია რეზიდენტის სამყოფი, იგივეა მოსახლეობის თავშესაფარიც. ასეთ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის გორი, დუშეთი, თბილისი (XVIII ს. შუა წლებიდან), თელავი, ოზურგეთი, ანაკლია, სოხუმი, შორაპანი და სხვ.

ზემოაღნიშნული ტიპებიდან გამონაკლისს შეადგენდა სიღნაღი, რომლის ციხე მხოლოდ ქალაქისა და მისი ახლო სოფლების თავშესაფარს წარმოადგენდა. ციხეში არც ციტადელია გამოყოფილი, აქ არც მისი მფლობელის თუ განმგებლის საჯდომია. სიღნაღი და მისი ციხე ამ მხრივ განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი ყველა ქალაქისა და მისი ციხისაგან.

ასეთია ის ზოგადი დასკვნები, რომელიც წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული გვიანფეოდალური საქართველოს გეგმები, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც მასშტაბები გააჩნიათ, შესაძლებლობას გვაძლევენ ვიმსჯელოთ ციხისა თუ საკუთრივ ქალაქის ტერიტორიის სიდიდისა და მასთან დაკავშირებით მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. მაგრამ ყოველივე ამაზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ახალი მასალები XVIII ს. საქართველოს ქალაქების ისტორიისათვის

ქალაქების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევის საქმეში. ამით აიხსნება, რომ ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა ყურადღება საქართველოს როგორც ანტიკური და ფეოდალური ხანის, ასევე ბურჟუაზიული და სოციალისტური ეპოქის ქალაქების შესწავლისადმი.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, როგორც ცნობილია, ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას საერთოდ და ქალაქებს კერძოდ. ამასთანავე, დოკუმენტური მასალაც ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების შესახებ არც ისე უხვია: საქართველოში საუკუნეების მანძილზე შექმნილ ვითარებათა წყალობით ნადგურდებოდა არა მარტო მატერიალური კულტურის ძეგლები, პირველ რიგში თვით ქალაქებში, არამედ აგრეთვე სულიერი კულტურის ძეგლებიც, მათ შორის მდიდარი საქალაქო არქივები.

ამიტომაც ყოველ მასალას, რაც კი საქართველოს ქალაქებს, მათ პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ წარსულს შეეხება, დიდი მნიშვნელობა აქვს.

იმ მასალათა შორის, რომელიც დაცულია ჩვენს (როგორც რუსეთის — მოსკოვი, ლენინგრადი, ასევე საქართველოს) სიძველეთა საცავებში, ამჟამად ყურადღებას იქცევს მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალური სამხედრო-ისტორიული არქივის (ЦГВИА) ВУА ფონდში დაცული მასალების ერთი ნაწილი, კერძოდ, XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს ქალაქების გეგმები.

ამ არქივებში მუშაობა გვიხდებოდა ჯერ კიდევ 1949 წ. და აქ მოპოვებული ზოგი წყარო ჩვენ მიერ არა მარტო გამოყენებულია ცალკეულ ნაშრომებში, არამედ ზოგი მათგანი ცალკე გამოქვეყნებულია კიდეც[1].

---

1 იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, მსკი, ნაკვ. 30, 1954; მისივე, ძეგლი ერისთავთა. მსკი, ნაკვ. 30, 1954.

ასევე, ჩვენ მიერ გამოვლენილი გეგმები ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებისა გამოყენებული იყო ამ პერიოდის ქალაქებისადმი მიძღვნილ საგანგებო ნაშრომში[2], კერძოდ, მის იმ თავში. სადაც საუბარია ფეოდალური ხანის ქალაქების გარეგან სახეზე; ეს მასალა, ნაწილობრივ, დაედო საფუძვლად აგრეთვე ჩვენს ხელნაწერ ნაშრომს — „XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს ქალაქები", რომელიც წაკითხული იყო მოხსენებად ისტორიის ინსტიტუტში 1949 წ. დეკემბერში.

თვით გეგმათა ფოტოასლებიც, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის დირექციის ხელშეწყობით, იმავე წელს (1949) გადმოღებულ იქნა და ინახება ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების არქივში.

ასე რომ, ამ მასალის გაცნობისა და გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა ჰქონდათ დაინტერესებულ პირებს და ზოგი იქ დაცული გეგმათაგანი, ამა თუ იმ მკვლევარის სამეცნიერო ინტერესებისამებრ, გამოყენებული იყო კიდევაც.

მიუხედავად ამისა, ეს მასალა დღემდე მაინც სისრულით არ ყოფილა შემოტანილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ მასალათა მნიშვნელობა კი, უდავოდ, დიდია. იგი საინტერესოა არა მარტო საქართველოს ქალაქების შემსწავლელთათვის და საერთოდ ისტორიკოსებისათვის, არამედ მომიჯნავე დარგის წარმომადგენელთათვისაც. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ამ მასალის პუბლიკაცია მისი მიკვლევიდან ათი წლის გასვლის შემდეგ მაინც. ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არ იქნება ამ მასალის ამომწურავი პუბლიკაცია. ჩვენი წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს არსებითად გააცნოს მკითხველს ამ საინტერესო მასალის ძირითადი შინაარსი და ხელი შეუწყოს ამ მასალით მკვლევართა დაინტერესებას და მის ყოველმხრივ გამოყენებას.

მასალები
აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების შესახებ

I

§. 1. **თბილისი.** ქ. თბილისის გარეგანი სახის შესასწავლად ჩვენ, წერილობით წყაროებთან ერთად, მოგვეპოვება ქალაქის გრაფიკული გამოსახულებანიც. თბილისის უძველეს გრაფიკულ გამოსახულებად შ ა რ დ ე ნ ი ს „მოგზაურობას" დართული (XVII ს. 70-იანი წლების) ჩანახატი ითვლება, რომელსაც თან ახლავს არც ისე ვრცელი ექსპლიკაციაც.

---

[2] იხ. Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси 1959, с. 391—426.

შემდეგდროინდელი თბილისის გარეგან სახეს წარმოგვიდგენს ტ ურ ნ ე ფ ო რ ი ს ჩანახატი (1700 წლისა), ხოლო XVIII ს. პირველი ნახევრის თბილისს სრულყოფილად წარმოგვიდგენს ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს გეგმა. ცნობილია აგრეთვე თბილისის 1785 წ. გეგმა, რომელიც შედგენილია პ ი შ ჩ ე ვ ი ჩ ი ს მიერ.

თბილისის ამ გეგმებს, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის არა მარტო გარეგანი სახის შესასწავლად, შეემატა საკუთრივ ქალაქისა და მისი მიდამოების არაერთი სხვა გეგმაც. თბილისისა და მისი მიდამოების სხვადასხვა დროს შედგენილი გეგმები, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, დაცულია მოსკოვის ცენტრალური სამხედრო-ისტორიული არქივის ВУА ფონდში.

განვიხილოთ ეს გეგმები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს თბილისის ძირითადი, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე, ნაწილის სქემატური გეგმა[3], რომელსაც თან ახლავს ფრანგულ ენაზე შედგენილი მოკლე განმარტება (ექსპლიკაცია). გეგმა დათარიღებული არ არის, მაგრამ იგი XVIII ს. პირველ ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს. ამ გეგმიდან კარგად ჩანს, რომ ქალაქისაგან მისი ციხე ჯერ კიდევ საგანგებო კედლით იყო გამოყოფილი. ასეთი გეგმა კი არ შეიძლებოდა შედგენილიყო XVIII ს. 50-იანი წლების შემდეგ.

პაპუნა ორბელიანის მონათხრობით, 1747—1751 წწ. შორის „ბრძანა მეფემან (ერეკლე II—შ. მ.) და ა ღ ი ღ ე ს გ ა ლ ა ვ ა ნ ი ქ ა ლ ა ქ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ი ყ ო ც ი ხ ე ს ა დ ა ქ ა ლ ა ქ ს შ უ ა დ ა გ ა ა ე რ თ ნ ე ს ც ი ხ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი თ ბ ი ლ ი ს ი ს ა“[4]. როგორც ჩანს, XVIII ს. 50-იანი წლებიდან თბილისის ციხესა და ქალაქს კედელი უკვე აღარ ჰყოფდა და მაშასადამე, ეს გეგმა, რომელიც ქალაქსა და ციხეს ცალ-ცალკე კედლებით ასახავს, XVIII ს. 50-იან წლებამდე უნდა იყოს შედგენილი. ამასთანავე, ამავე გეგმიდან ჩანს, რომ იგი არ შეიძლებოდა XVIII ს. 30—40-იან წლებზე ადრე შეედგინათ. აქ ერთ-ერთ, ცალკე მეცხრე პუნქტად არის დასახელებული „შაჰ-ნადირის სიმაგრე (ციხე)“ (Forteresse du Schah-Nadir). ცხადია, ამ სიმაგრეს შაჰ-ნადირის სახელი არ შეერქმეოდა მის გახელმწიფებამდე და ქართლში მოსვლამდე, ე. ი. 1736 წლამდე. ამრიგად, თ ბ ი ლ ი ს ი ს ე ს გ ე გ მ ა შ ე დ გ ე ნ ი ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს 1736—1747 წწ. შ ო რ ი ს.

გეგმით არ ჩანს აგრეთვე შემდგენელის ვინაობა. მას არა აქვს მასშტაბიც.

---

[3] ЦГВИА, ф. ВУА, № 22657.

[4] ქართლის ცხოვრება, II, 1851, გვ. 429.

აღსანიშნავია, რომ გეგმას აქვს როგორც რუსული მინაწერი, — „План города Тифлиса“ — ასევე ქართულიც. გეგმის შემდგენლის მიერ შემოხაზულ მტკვრის კალაპოტში ჩაწერილია XVIII ს. ხელწერით — „მ ე გ ო ბ ა რ ი წ უ ა ლ ი“.

გეგმაში ჩატანილია იმდროინდელი თბილისის 16 ძირითადი პუნქტი. აი, ეს პუნქტებიც: 1. მეფის სასახლე (მტკვრის ნაპირზე), მის წინ, აღმოსავლეთით — 2. მოედანი (Meidan), 3. ბაზარი (Pasar), 3-ით აღნიშნულია სასახლისა და მისი მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთითა და დასავლეთით რამდენიმე რიგი. მეტეხის ხიდის პირდაპირ აღნიშნულია — 4. „თათრის მოედანი“ (Meidan des tartares), 5. სიონი, 6. მეჩეთი, 7. აბანოები (Bains chauds), ცალკე კედლებით და კოშკებით შემოსაზღვრული ტერიტორია, 8. ძველი ციხე-სიმაგრე, შაიტახტის ტერიტორიაზე, 9. შაჰ-ნადირის ციხე-სიმაგრე, 10. მონასტერი, 11. ფეთხაინი, 12. ცენტრალური კარი, 13. ბაღის კარი, 14. შუა კარი, 15. სურბნიშანი და, 16. პატრიარქის სახლი ჩრდილოეთის კედელთან.

მიუხედავად იმისა, რომ გეგმა ძალიან სქემატურია, ის მაინც საინტერესო ჩანს. საინტერესოა, რომ გეგმის შემდგენელი ერთ ხაზზე ჩამწკრივებულ ამა თუ იმ დარგის ხელოსანთა რიგებს ბაზრებს უწოდებს და ასეთს იგი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში 9-ს აღნიშნავს. გეგმა საინტერესოა სხვა თვალსაზრისითაც.

საყურადღებოა აგრეთვე თბილისის, ასევე სქემატური, რუსულ ენაზე შედგენილი განმარტებებით, იქვე დაცული გეგმა. ამ გეგმაშიც ქალაქი და ციხე ერთმანეთისაგან გამოყოფილია და ეს გეგმაც, ჩვენი აზრით, XVIII ს. პირველ ნახევარში უნდა იყოს შედგენილი[5].

გეგმაზე აღნიშნულია თბილისის ციხის, ციტადელისა და ქალაქის კედლები, ასევე ძირითადი, უმთავრესი კოშკებიც. აქ, ზემოგანხილული გეგმისაგან განსხვავებით, წარმოდგენილია მტკვრის მარცხენა ნაპირიც, მეტეხის კედლები და მეტეხის ტაძარიც.

საკუთრივ ციხეში ცალკე კედლებით გამოყოფილია ციტადელი. გარკვევით ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთის უმთავრესი კარი, „განჯის კარი“, რომელიც წავკისის ხევზე გავლით შემოდიოდა ციხეში. ასევე, გეგმაზე დატანილია აბანოები და ამ უბნის ციხისა და ქალაქის ტერიტორიასთან შემაერთებელი კარიც. ქალაქის, კალას კედლებს შიგნით აღნიშნულია სულ რამდენიმე პუნქტი, მათ შორის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სასახლე (дворец), მის წინ ოთხკუთხი მოედანი (площадь), მრგვალი ბაზრით და აქედან გამავალი ძირითადი ქუჩით. ცალკე აღნიშნულია სიონი (м.Сиони) და კარის საყდარი (ц. Карис сакдари). ამათ გარდა,

---

[5] ЦГВИА, ф. ВУА, № 22658.

ქალას ტერიტორიაზე გეგმის შემდგენელი აღნიშნავს სამ ეკლესიას და ძირითად გზებს.

აღსანიშნავია, რომ გეგმის შემდგენელს, საგანგებოდ, წყვეტილი ხაზებით, პუნქტირებით აღუნიშნავს წყალსადენის მიმართულება შაიტახტიდან ვიდრე ციტადელამდე: „пропуск воды в крепость“.

ციხისა და ქალაქის კედლებს გარეთ გეგმის შემდგენელი აღნიშნავს სოლოლაკზე „მეფის ბაღებს“ („Царские сады“), ხოლო დღევანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე კი „დედოფლის ბაღებს“ („Царицынь сады“), დაახლოებით იქ, სადაც ვახუშტის გეგმით აღნიშნულია „ციხის ბაღი“.

ქალაქსა და ციხის ტერიტორიის გარეთ აღნიშნულ პუნქტებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოლოლაკის ქედის გადაღმა, თელეთის ქედის ჩრდილო კალთებზე კედლებით შემოსაზღვრული და კოშკებით გამაგრებული ციხე, რომელსაც გეგმის შემდგენელი „ნარეყალას ციხეს“ („Крепость Нарекала“) უწოდებს.

ციხისა და ქალაქის კედლებს გარეთ აღნიშნულია კიდევ რამდენიმე პუნქტი: ქაშვეთი (М: Кашуети), სოფხური ეონასტერი, როგორც ჩანს, ვანქი; მთაბორის მთის კალთებზე — „ცხელი წყლები“ (Горячие воды) და მაჰმადიანთა სასაფლაო („Турецкие кладбище“).

როგორც პირველი, ასევე მეორე გეგმა თბილისის მხოლოდ ძირითად პუნქტებს ასახელებს ქალაქის ისტორიის გასათვალისწინებლად და, კერძოდ კი ქალაქის ციხე-სიმაგრეთა და ზღუდე-კედელთა ძირითად მიმართულება-განლაგების შესასწავლად.

მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცულ თბილისის XVIII ს. გეგმათა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1782 წ. შედგენილი გეგმა, რომელსაც ახლავს აქვე აღნიშნული ოთხმოცდაათი პუნქტის განმარტება ფრანგულ ენაზე[6]. გეგმის შემდგენელი უცნობია. იგი ექსპლიკაციის შესავალში წერს: „გეგმა ქალაქ თბილისისა, საქართველოს დედაქალაქისა, რომელიც გაშენებულია მთების კალთებზე, მდინარე მტკვარზე, საქართველოს მეფის ერეკლეს რეზიდენციისა, გადაღებული 1782 წ.“.

ქალაქი თბილისი იყოფა სამ ნაწილად, კერძოდ: ჩრდილოეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი. ჩრდილოეთის კვარტალს უჭირავს ქალაქის ყველაზე დაბალი ადგილი, რომელსაც კალა ეწოდება და რომელიც წარმოადგენს საქართველოს მეფის საცხოვრებელს. სამხრეთის ნაწილს უჭირავს ქალაქის ყველაზე უფრო ამაღლებული ადგილი, რომელსაც

---

[6] ЦГВИА, ф. ВУА, № 22656.

საკუთრივ თბილისი ეწოდება და რომელიც წარმოადგენს სომეხთა საცხოვრებელ უბანს. აღმოსავლეთის ნაწილი სხვებისაგან გამოყოფილია მდ. მტკვრით და ავლაბრად იწოდება.

თბილისის ეს გეგმა მრავალმხრივაა საინტერესო[7]. ჯერ ერთი, იგი წარმოგვიდგენს ერეკლე II-ის დროინდელ, XVIII ს. 80-იანი წლების, აღმავლობის პერიოდში მყოფ თბილისს, მის ეკონომიკურ და გარეგან სახეს. ამასთანავე, იგი XVIII ს. თბილისის დღემდე ცნობილ გეგმათა შორის ყველაზე უფრო დეტალურია, სადაც დასახელებულია 90 პუნქტი და მათ შორის არა მარტო ციხე-სიმაგრეები, საერო და საეკლესიო უმთავრესი შენობები, არამედ სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობები, სტამბა, ზარაფხანა, სავაჭრო რიგები და სხვ., რაც თბილისის სხვა გეგმებზე ჩვეულებრივ არ არის აღნიშნული.

თბილისის პირველ ნაწილში (კვარტალში) ანუ კალაში, ეკლესიებსა, მეფის საგვარეულოსა და პატრიარქის სასახლეებს გარდა, გეგმის შემდგენელს მე-12 ნომრით აღნიშნული აქვს სტამბა, რომელიც, როგორც ამ გეგმიდან ირკვევა, მოთავსებული იყო თავის ადრინდელ (ვახტანგ VI-ის დროინდელ) ადგილსამყოფელში, კერძოდ, მტკვრის ნაპირზე, ნათლისმცემლის ეკლესიის გვერდით და მეფის აბანოების უკან. ეს ადგილი, რომელიც ადრე ზარაფხანად იყო მიჩნეული, ამ გეგმის მიხედვით და სხვა მასალებით (მათ შორის არქეოლოგიური დაზვერვითაც) სავსებით დასტურდება, რომ ეკუთვნოდა მეფის აბანოებსა და სამეფო სტამბას[8]. ამ საკითხის გარკვევაში, ცხადია, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს განხილულ გეგმას.

აღსანიშნავია, რომ სტამბა ჩვენთვის ცნობილ XVIII ს. თბილისის სხვა გეგმებში არ არის მოხსენებული.

თბილისის ამავე რაიონში, სამეფო სახლის ერთ-ერთი მოედნის წინ გეგმის შემდგენელს ჩატანილი აქვს მ ე ი ა რ ა ღ ე თ ა (მეჩახმახეთა) დუქნები; მის გაგრძელებაზე მ ღ ე ბ ა რ თ ა ქუჩა, ზემოთ ო ქ რ ო მ ჭ ე დ ე ლ თ ა ქუჩა. ამავე რაიონში, მეფის სასახლის საერთო კომპლექსის წინ ცალკე პუნქტად აღნიშნულია ა რ ს ე ნ ა ლ ი.

კალას რაიონს ანუ კვარტალს გეგმის შემდგენელი უწოდებს „სასახლის უბანს“, „წყლის კარიდან“ („მუხრანის კარიდან“) მოკიდებუ-

---

7 თბილისის ეს გეგმა უკვე გამოყენებულია ჩვენ მიერ, როგორც პოპულარულ-სამეცნიერო (იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის ისტორია, თბ., 1952), ასევე მონოგრაფიულ ნაშრომში (იხ.: Города и городской строй феодальной Грузии). თბილისის ეს გეგმა, მისი ექსპლიკაციის რუსული თარგმანითურთ, გამოქვეყნა ვ. ც ი ნ ც ა ძ ე მ (იხ. მისი, Тбилиси, 1953, Таблица 13). ვ. ცინცაძემ რატომღაც საჭიროდ არ მიიჩნია მიეთითებინა, თუ სად არის იგი დაცული.

8 იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, რამდენიმე შენიშვნა თბილისის სიძველეთა შესახებ, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 31 VIII, 1957.

ლი ვიდრე „მაღლა კარამდე“ ანუ „კოჯრის კარამდე“. ამ რაიონში გეგმის შემდგენელი აღნიშნავს ქალაქის სამ კარს: „წყლის კარს“, „სიგონის“ ანუ „დიღმის კარს“ და „მაღლა კარს“. დანარჩენს, მტკვრის მარჯვენა ნაპირის რაიონს, მაღლა კარიდან და სასახლის უბნიდან მოკიდებული ციხისა და აბანოების უბნის ტერიტორიის ჩათვლით, გეგმის შემდგენელი მიიჩნევს მეორე ნაწილად, რომელსაც ეწოდება თ ბ ი ლ ი ს ი. ამ რაიონში იგი აღნიშნავს მემაუდეთა დუქნებს, მერკინეთა და მეაბრეშუმეთა ბაზარს, ნათლისმცემლის მეორე ეკლესიის წინ მეფეხსაცმელეთა დუქნებს, სიონის წინ მეფის ქარვასლას, მექვაბეთა დუქნებს, ვაჭრების ქარვასლას (მტკვრის ნაპირზე), ზარბაზნების ჩამოსასხმელ სამეფო ქარხანას, რომელიც გაშენებული ყოფილა კოჯრის კარს ზემოთ, კათოლიკების და მოღნისის ეკლესიებს შორის, იქ, სადაც ვახუშტის გეგმით XVIII ს. პირველ ნახევარში იყო „ბეჟანას ბაღები“ და რომელსაც ქალაქის მხოლოდ კედელი გამოყოფდა მეფისა და დედოფლის სოლოლაკის ბაღებისაგან. როგორც ჩანს, ერეკლე II-ს „ბეჟანას ბაღები“ „ზარბაზნების ჩამოსასხმელ ქარხნისათვის“ გამოუყენებია.

ქალაქის ამავე ნაწილში, „თათრის ბოსტნეულობისა და სხვა სურსათ-სანოვაგის ბაზრის“ მახლობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ავლაბრის ხიდის მარცხენა მხარეს, მეჩეთის უკან გეგმის შემდგენელი საგანგებოდ აღნიშნავს ზ ა რ ა ფ ხ ა ნ ა ს (Monnoie). აქვე, მეჩეთის პირდაპირ, მტკვრისა და ავლაბრის ხიდის მარჯვენა ყურეში იყო „შ უ შ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა“. შუშის ქარხანასა და მეჩეთს შუა, ავლაბრის ხიდის თავთან კიდევ — „საბაჟო“, ხოლო აბანოების უბნისა და ქალაქის შემაერთებელ კარზე იყო „მეორე საბაჟო“.

ციხის რაიონში გეგმის შემდგენელი სხვა პუნქტთა შორის აღნიშნავს ცივი მინერალური წყლების აბანოებს, სატუსაღოებს, „განჯის კარს“, წყალსაცავებს, რომელიც ივსებოდა აკვედუკებით გამოყვანილი წყლით, ციხის კარს, სადაც ადრე იყო ირანის ხანების რეზიდენცია და სხვ.

ქალაქის ამ ნაწილში გეგმის შემდგენელი ვარაუდობს აგრეთვე აბანოების უბანსაც, სადაც მას, თბილი მინერალური წყლების აბანოებს გარდა, მტკვრის ნაპირზე აღნიშნული აქვს დ ა ბ ა ხ ა ნ ა და წ ი ს ქ ვ ი ლ ე ბ ი.

ქალაქის მესამე ნაწილს ანუ „ა ვ ლ ა ბ ა რ ს“ იგი იწყებს ხის ხიდით მდ. მტკვარზე. შემდეგ ასახელებს მეტეხის ეკლესიას, რომელსაც იგი შეცდომით სომხურად მიიჩნევს, სურსათ-სანოვაგის ბაზარს, გიორგი ბატონიშვილის ქალაქგარეთა სასახლეს და მეტეხის კედლებს გარეთ, მტკვრის ნაპირზე წისქვილებს. ქალაქის კედლებს გარეთ მდებარე ყვე-

ლა დანარჩენ ტერიტორიას არსებითად მეორე ნაწილად გამოყოფს გეგმის შემდგენელი და მათ რატომღაც „სამონასტრო გარეუბანს“ უწოდებს. აქ, სხვადასხვა მონასტრებსა და ეკლესიებს გარდა, აღსანიშნავია ავანაანთხევის შესართავთან წ ი ს ქ ვ ი ლ ე ბ ი, დღევანდელი კომისრების ბაღის რაიონში საასპარეზო მოედანი (ყაბახი), მიწისქვეშა სახლები, სოლოლაკის რაიონში, მეფის, დედოფლის და გიორგი ბატონიშვილის ბაღები, ამ ბაღებს ზემოთ, სოლოლაკის წყაროებზე „ვ ე რ ცხ ლ ი ს ა და სხვა მ ი ნ ე რ ა ლ თ ა გ ა მ ო ს ა დ ნ ო ბ ი ქ ა რ ხ ა ნ ა“ და მის პირდაპირ, სოლოლაკის ხევზე წისქვილები. აღსანიშნავია, რომ აქვე, დედოფლის ბაღის ზედა კუთხეში ყოფილა მეფის ადრინდელი სამყოფელის (სასახლის) ნანგრევები.

გეგმის შემდგენელი წავკისის ხევის გადაღმა საგანგებოდ უჩვენებს „მინდორს, სადაც მიდიოდა ქვებითა და ხის ხმლებით შეიარაღებული ხალხი საომრად“.

როგორც ვხედავთ, 1782 წ. ფრანგულ ენაზე შედგენილი თბილისის გეგმა მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა თბილისის არა მარტო გარეგანი სახის შესასწავლად, არამედ მისი იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებაც. გეგმა ასახელებს არაერთ სახელოსნო უბანსა და ბაზარს, სხვადასხვა მსხვილ სარეწავებს და ამავე დროს, შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად გავითვალისწინოთ მათი ადგილმდებარეობაც. ამიტომაც აღვნიშნავთ, რომ ეს გეგმა XVIII ს. 80-იანი წლების თბილისის შესასწავლად პირველხარისხოვანი წყაროა.

ამ გეგმის შედარება XVIII ს. პირველი ნახევრის თბილისის გეგმებთან, კერძოდ კი ვახუშტის გეგმასთან, ნათლად წარმოგვიდგენს იმ დიდ ცვლილებებს, რაც ამ ხნის განმავლობაში ქალაქს განუცდია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისის 1782 წ. გეგმა ყოველთვის ვერ არის სრული და ზუსტი. ცხადია, სრული არ არის მისი ცნობები XVIII ს. 80-იანი წლების თბილისის სახელოსნოებისა — სხვადასხვა სარეწავებს ე. წ. „ქარხნებს“ ასახელებს და უყურადღებოდ ტოვებს კერძო პირთა სარეწავებს, რომელთა იმ დროისათვის არსებობის შესახებ ჩვენ დოკუმენტური ცნობები მოგვეპოვება.

XVIII ს. მიწურულის თბილისის შესასწავლად, იმ ცვლილებების გასათვალისწინებლად, რაც XVIII ს. 80-იანი წლებიდან 1800 წლამდე მოხდა, ჩვენ მოგვეპოვება მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცული 1800 წ. გეგმა, რომელსაც თან ახლავს საკმაოდ ვრცელი, რუსულ ენაზე შედგენილი განმარტებანი.

ეს გეგმა ВУА ფონდში ორ ცალად ინახება. პირველი[9], რომელიც

---

[9] ЦГВИА, ВУА, № 22660.

ორიგინალური უნდა იყოს და რომელიც ხელმოწერილია მისი შემდგენელის — ჩ უ ი კ ო ს მიერ და მეორე[10], მისი ზუსტი ასლი და უფრო სუფთად შენახული (ჩვენ ვსარგებლობთ ამ უკანასკნელით). მასშტაბი: დიუმი — ერთი საჟენია. გეგმას აწერია: „План города Тифлиза резиденции царства Грузинского с описанием его частей и в них главных публичных строений. Сочинен 1800 года“.

გეგმის შემდგენელი პირველ რიგში აღწერს ქალაქის ნაწილებს. იგი თბილისს თორმეტ ძირითად ნაწილად ყოფს: 1. ნარიყალა, 2. ციხე, 3. ქალაქი, 4. შაიტახტი, 5. Предместье Абануеби — გარეუბანი აბანოები (ანუ აბანოების უბანი), 6. Предместье Кара-убани (კალაუბანი), 7. Предместье Ванкис убани (ვანქის უბანი), 8. Замок Ванки (ვანქის ციხე), 9. Замок Арбельянова (ორბელიანების ციხე), 10. ავლაბარი, 11. მეტეხი და 12. Предместье Авлабрис убани (ავლაბრის უბანი).

ამ ნაწილთა დასახელების შემდეგ მას მოცემული აქვს „Описание главных крепостных и городовых строений“, ზემოდასახელებული ცალკეული ნაწილების მიხედვით.

პირველი ნაწილი — ეს არის ძველი ციხის ერთი ნაწილი, რომელსაც გეგმის შემდგენელი ნარინ-ყალას უწოდებს და რომელიც საკუთრივ მტკიცე კედლებითა და კოშკებით იყო გამაგრებული. ნარიყალაში ამ გეგმით იყო: „Царградская башня“, მის პირდაპირ კიდევ „Тавризская башня“, ნარიყალას ქვედა კედელთან — „Погреб для снарядов артиллерийских; თავრიზის კოშკთან — „в башне пороховой погреб, „водохранилище“, და ნარიყალის ციხის ერთადერთი კარი — „вход в Нарикале“, რითაც უერთდებოდა იგი ქალაქის სიმაგრის მეორე ნაწილს, რომელსაც გეგმის შემდგენელი „ციხეს“ უწოდებს, მაგრამ რომელიც ნამდვილად ძველი ციხის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო.

ციხის ამ ნაწილში, მის კედლებს შიგნით იყო: „Разоренная грузинская церковь преображения“, “Крепостные ворота с подземным ходом“, რომლითაც კედლებს შიგნით მოქცეული ტერიტორია უერთდებოდა გარეთა ტერიტორიას — „Подземный ход к воде ныне испорченный“, რომელიც მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ციხის კედლებს გარეთ, წავკისისაკენ. ციხის ტერიტორიაზე გეგმის შემდგენელს აღნიშნული აქვს საცხოვრებელი ნაგებობებიც, წყალსაცავი, რომელსაც უერთდება „подяной ров“, გამოყვანილია წავკისიდან, მოსდევს სოლოლა-

---

10 იქვე, № 22660 ა; თბილისის ეს გეგმა ჩვენ გამოვიყენეთ პოპულარულ სამეცნიერო ნაშრომებში (თბილისის ისტორია, 1952, გვ. 112—126; შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 356—358).

კის მთის კალთებს, გაივლის შაიტახტს, მიჰყვება ციხის კედლებს, გაივლის ნარიყალას და ჩადის ციხეში.

ციხის გარეთა კედლების ფარგლებში გეგმის შემდგენელს აღნიშნული აქვს. „Наружные крепостные пристройки, საარტილერიო ჭურვის შესანახი, უკვე დანგრეული მთის წვერზე ბატარეა, კოშკები, უკვე ჩაქცეული მიწისქვეშა გასასვლელი წყლისაკენ, რომელიც იწყებოდა ციხის გარეთა კედლიდან და ჩამოდიოდა მტკვრამდე ავლაბრის ხიდის მახლობლად.

მესამე, უმთავრეს და ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენდა საკუთრივ ქალაქი, რომელსაც გეგმის შემდგენელი ჩვეულებრივ კედლებით შემოსაზღვრულს უჩვენებს. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ამ კედლების მიმართულებაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გეგმაში ქალაქის კედლები ყველგან მსხვილი, წითელი ხაზით არის აღნიშნული. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ქალაქის კედლის ერთი ნაწილი — „დიღმის კარიდან". ავანაანთ ხევის შესართავამდე. ამ მონაკვეთში და ამ დროისათვის თითქოს კედელი არც იყო, ან კიდევ—სანახევროდ მოშლილი. აქ კედლის აღმნიშვნელი ხაზი ძალიან მკრთალადაა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ უნდა იყოს. ქალაქის ზრდა სწორედ ამ მიმართულებით ხდებოდა და ბუნებრივია, თუკი ახალი მოსახლეობა პირველ რიგში ამ კედელს შლიდა. ეს ის კედელია, რომელიც თბილისს ყოფდა მისი ახალი უბნისაგან, კალაუბნისაგან, რომელიც მალე (XIX ს. შუა წლებში) თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონად იქცა, მოსახლეობა აქ უკვე შემდეგდროინდელ ვორონცოვის ხიდამდე და ალექსანდრეს ბაღამდე აღწევდა.

ამაზე გეგმიდან ირკვევა, რომ 1800 წლისათვის თბილისს კედლები არ ჰქონია მტკვრის გასწვრივაც. ერთადერთი კედელი, რომელიც ქალაქს მტკვარზე ჰქონდა, იწყებოდა წავკისის შესართავიდან—ქალაქის აღმოსავლეთის კედლიდან, მიდიოდა მტკვრის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით და თავდებოდა ავლაბრის ხიდთან. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ხიდი მტკვარზე ერთადერთი იყო თბილისში 1800 წლისთვისაც.

თბილისის 1800 წ. გეგმა საინტერესო ცნობებს იძლევა ქალაქის კარებისა და აქ გამავალი გზების შესახებ.

ქალაქის აღმოსავლეთის კედელზე, მის თითქმის შუა წელზე, წავკისის ხევზე გავლით იყო „აბანოების კარი" (Банные), რომელიც ქალაქს მხოლოდ აბანოების უბანთან აერთებდა. უმთავრესი სავაჭრო გზა კი, რომელიც აღმოსავლეთიდან ამ მიმართულებით მოდიოდა, სეიდაბადზე გავლით, აბანოებთან უხვევდა ზემოთ და შემოდიოდა ქალაქში, მისი სამხრეთის კედელზე გაჭრილი ერთ-ერთი უმთავრესი კარით, რომელსაც „განჯის კარი ეწოდებოდა („Ганджинские ворота"). „განჯის

კარით“ შემომავალ გზაზე გეგმის შემდგენელს მიწერილი აქვს: „Ганжинская города на кою выходят дороги от многих персидских городов. Сия дорого из Анадолии“. ამ გზას შეეძლო ქალაქში უფრო პირდაპირ, „აბანოების კარით“ შემოსვლა, მაგრამ აქ, როგორც ჩანს, სათანადო ციხე — საბაჟო არ იყო და ამიტომაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან წამოსულ ვაჭრებს აიძულებდნენ ქალაქში „განჯის კარით“ შემოსულიყვნენ.

ქალაქის დასავლეთის კედელზე ორი კარი იყო: „წავკისის კარი“ (Цавкисские ворота), რომლითაც შემოდიოდა გზა მცხეთიდან. ამ გზის შესახებ გეგმის შემდგენელს ნათქვამი აქვს: „дорога в местечко Мцхет, а от оного идет в Россию до города Моздоки и в Имеретию до города Кутаиса“. ჩრდილოეთის ამ მთავარ გზას, თითქმის ქალაქის კარებთან მას უერთდებოდა „Верхоездная дорога в деревнию Цавкиси и от оной в Анадолию. მცხეთიდან მიმავალი გზა კალაუბნის აგურის ქარხნებთან ორ ტოტად იყოფოდა: ერთი, როგორც აღვნიშნეთ, წავკისის კარებისაკენ მიემართებოდა, მეორე კიდევ „დიღმის კარისკენ“ („Дигомские ворота“), რომელიც ქალაქის კედლების შესაყარზე, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იყო.

ჩრდილოეთით ქალაქს კიდევ ერთი კარი ჰქონდა — „მუხრანის“ (Мухрановые), რომელშიც მცხეთის გზის კიდევ ერთი განშტოება შემოდიოდა.

ქალაქის მეექვსე კარი, გეგმით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო, საიდანაც შემოდიოდა გზები მცხეთიდან, ნავთლუღიდან ანუ „ირკლისიდან“, მარტყოფიდან და კახეთის სხვა სოფლებიდან — ეს იყო „ავლაბრის კარი“ (Авлабарские). ამ კარის შესახებ ნათქვამია: „Авлабарские ворота не в городовой стене, но в стене небольшого укрепления, прикривающего от стороны Авлабага мостов через реку Куру“.

თბილისის ამ ძირითად მესამე ნაწილში თავმოყრილი იყო: ქართული ეკლესია 11, ბერძნული 2, სომხური 16 და მეჩეთი 6.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს მეფის სასახლე იყო სოლოლაკში. ძველი სახლები, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ, მტკვრის ნაპირზე დანგრეული ყოფილა. ამ ნაწილში იყო ორი ბაზარი, ოთხი ქარვასლა, ორი მოედანი — „Гатонис моедани или царская площадь, где ныне и площадь народ“, და „თათრის მოედანი“.

გეგმის შემდგენელი თბილისის მეოთხე ნაწილად ცალკე გამოყოფს შ ა ი ტ ა ხ ტ ს, მაგრამ აქ, კოშკს გარდა, სხვა ნაგებობის კვალი არ ჩანს, აღსანიშნავია მხოლოდ შაიტახტს ქვემოთ, სამხრეთის მთავარი

კედლის პარალელურად გეგმაზე აღნიშნული კედელი წარწერით: „Признаки давнего укрепления“.

მეხუთე ნაწილი ანუ „Предместье Абануеби“ უმთავრესად მხოლოდ ცხელი წყლის აბანოებითაა წარმოდგენილი. აბანოების სამხრეთ-აღმოსავლეთით, მტკვრის გასწვრივ, მის მარჯვენა ნაპირზე გეგმაზე მხოლოდ ბაღებია აღნიშნული, რომელსაც წარწერილი აქვს „Сады сейдабат“. წავკისის შესართავთან, ე. ი. ქალაქის აღმოსავლეთის კედლიდან დაახლოებით ერთი ვერსის დაშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სეიდაბადს გადასჭრიდა კედელი, რომელსაც გეგმაში მიწერილი აქვს: „Разваленое крепостное строений Халат-хан называемое“. როგორც ჩანს, სეიდაბადის ბაღებში უნდა ყოფილიყო მეფეთა „ხალვარხანა“ ანუ „სათამაშო“, „დროს სატარებელი სახლები“. სწორედ ამ „სათამაშო სახლისა“ და მასთან დაკავშირებულ სხვა ნაგებობათა ნანგრევები უნდა ჰქონდეს აღნიშნული გეგმის შემდგენელს.

მეექვსე ნაწილი, ეს ქალაქის ახალი უბანი — კალაუბანი (Караубани?) — იყო, სადაც აღნიშნულია ქაშვეთი და მის აღმოსავლეთით ქართველთა სასაფლაო, წმ. გიორგის სახელობის კალა-უბნის ეკლესია, და ორი კიდევ სხვა ეკლესია, ამ უბანში, როგორც გეგმიდან და მისი განმარტებიდან ჩანს, აღრე იყო სხვა ნაგებობანიც, რომელნიც ამ დროისათვის დანგრეული ყოფილა. ესეც აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის ერთ-ერთი შედეგი იყო.

კალაუბანში, ყაბახს ზემოთ, მის პირდაპირ, მცხეთიდან მომავალი გზის მარჯვენა მხარეს იყო „აგურის ქარხნები“,

ქალაქის ჩრდილო კედლის გარეთ იყო თბილისის მეშვიდე ნაწილი — „ვანქის უბანი“, სადაც მოსახლეობის გარდა აღნიშნულია ორი სომხური ეკლესია. ვანქის უბნის ჩრდილოეთით, მტკვრის გასწვრივ იყო მერვე ნაწილი, „ვანქის ციხე“ („Замок Ванки“); მის ჩრდილოეთით და ყაბახის აღმოსავლეთით, ასევე მტკვრის გასწვრივ მეცხრე ნაწილი — „ორბელიანის ციხე“ („Замок Арбельянова“), რომელშიც მხოლოდ ერთი სომხური (!) ეკლესია არის ნაჩვენები. „ორბელიანის ციხის“ ჩრდილო-დასავლეთით იყო ყაბახი („Площадь Кабах“).

თბილისის მეათე ნაწილად გეგმის შემდგენელი გამოყოფს ავლაბარს, რომელსაც უჭირავს ტერიტორია მეტეხიდან. ავლაბრის ტერიტორია, იმ ნაწილს გარდა, რომელსაც მტკვარი ჩაუდიოდა, კედლით იყო შემოზღუდული. ავლაბრის კედლებს შიგნით ცალკე კედლებით იყო შემოსაზღვრული მეტეხი.

ავლაბარში, საცხოვრებელი სახლების გარდა, იყო „Грузинская церковь святого мученика Ираклия и святой мученицы Дарии“, ორი სომხური ეკლესია და დარეჯან დედოფლის სასახლე; ცალკეა აღნიშნული აგრეთვე დუქნები, ჩამწკრივებულნი ერთ ხაზზე, გზის ორივე ნაპირას.

აღსანიშნავია, რომ ავლაბრის აღმოსავლეთით, მტკვრიდან მოკიდებული, გეგმის შემდგენელს აღნიშნული აქვს თხრილი, რომელზედაც მიწერილია: „Давный окоп, теперь немного только приметен“, ეს უნდა იყოს იმ ძველი თხრილის ნაშთი, რომლითაც თბილისის ამირა საჰაკმა IX ს. პირველ ნახევარში გაამაგრა თბილისის ეს ნაწილი და რომელზედაც დაბეჯითებით მიგვითითებენ არაბული წყაროები[11].

ავლაბრის კედლებს შიგნით, ცალკე, მეთერთმეტე ნაწილად გამოყოფილია „მეტეხის ციხე“, რომელიც ცალკე კედლებითაა შემოსაზღვრული; შიგნით გეგმის შემდგენელს, ნანგრევებს გარდა, ერთადერთი ქართული ეკლესია აქვს აღნიშნული.

ცალკე ნაწილადაა წარმოდგენილი „ავლაბრის უბანი“, სადაც შემდგენელს აღნიშნული აქვს მხოლოდ ერთი ქართული და ერთი სომხური ეკლესია, ძველ ნაგებობათა ნაშთები; მთელი ეს უბანი ნანგრევებით ყოფილა დაფარული, მოსახლეობა არ ჩანს... იმ დროისათვის ასევე დაუსახლებელი უნდა ყოფილიყო ჩუღურეთიც. ავლაბრის დაცარიელება, ამ ტერიტორიაზე ნანგრევების მომრავლება, ცხადია, ისევ 1795 წ. ტრაგედიის შედეგი იყო.

მოსახლეობა ჩანს კუკიაზე, მაგრამ იგი ამ დროს თბილისში არ ივარაუდებოდა და ამიტომ ცალკე სოფლად არის დატანილი 1800 წ. გეგმაზე.

როგორც ვხედავთ, თბილისის ზემოგანხილულ გეგმას მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დამდეგის თბილისის გარეგანი სახის შესწავლის საქმეში. მეტად მნიშვნელოვანია გეგმის ცნობები ქალაქის კარებისა და იქ გამავალი გზების შესახებ. 1800 წ. გეგმა ასევე ნათლად გვიჩვენებს იმ დიდ ზიანს რომელიც თბილისს აღა მაჰმად-ხანის ურდოების შემოსევამ მოუტანა, და რომლის გასწორებაც ხუთი წლის მანძილზეც შეუძლებელი გახდა.

ჩვენ მიერ ზემოგანხილული გეგმები მიეკუთვნება ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პერიოდს. ასე რომ, ამ გეგმათა მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თბილისის განვითარება-ცვლილებანი XVIII ს. შუა წლებიდან მის დასასრულამდე.

---

11 იხ. შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, თბილისის ისტორია, 1959. გვ. 32; მ. ლორთქიფანიძე, ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან, მსკი, ნაკვ. 1954, გვ. 162.

მაგრამ XVIII ს. დასასრულით, როგორც ცნობილია, არ მთავრდება ფეოდალური თბილისის ისტორია. ფეოდალური ურთიერთობა ქალაქში, მიუხედავად XIX ს. პირველ ნახევარში მომხდარი მნიშვნელოვანი სოციალური ტეხილებისა, XIX ს. 60-იან წლებამდე ბატონობდა.

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და თბილისში რუსული მმართველობის დამყარებისთანავე ახალი ხელისუფლება უფრო თავისუფლად, სხვადასხვა მიზნებით, შეუდგა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების გეგმათა გადაღებას, პირველ რიგში, ცხადია, თბილისისა. ასეთი სამუშაოები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით 1802 წ. მიმდინარეობდა. ამიტომაცაა, რომ ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს ქალაქების გეგმათა უმეტესობა სწორედ 1802 წ., რუსეთის ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშია გადაღებული.

მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცულია თბილისის 1802 წ. გეგმა, რომელიც გამოაქვეყნა კიდეც ვ. ცინცაძემ[12]. ამ გეგმისა და თბილისის 1800 წ. ზემოგანხილული გეგმის ურთიერთშედარება ნათელს ჰყოფს, რომ 1802 წ. გეგმა ან 1800 წ. გეგმიდან არის გადაღებული, ან კიდევ ამ ორი წლის მანძილზე თბილისს ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია, რომელსაც გეგმის შემდგენელი აღნიშვნის ღირსად მიიჩნევდა.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისის ამ ორი გეგმის ურთიერთშედარება უფრო სარწმუნოს ხდის პირველ მოსაზრებას — 1802 წ. გეგმის 1800 წ. გეგმისგან მომდინარეობს.

ჯერ ერთი, 1802 წ. გეგმაში თბილისი, ისევე როგორც 1800 წ. გეგმაში, თორმეტ ნაწილადაა დაყოფილი. ნაწილების სახელწოდებანი და მათი დასახელების თანმიმდევრობაც ერთნაირია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ მხრივ მცირეოდენ ცვლილებას 1802 წ. გეგმაში, კერძოდ, აქ შაიტახტი მიჩნეულია თბილისის მესამე ნაწილად, საკუთრივ ქალაქი კი მეორე ნაწილად, მაშინ, როცა 1800 წ. გეგმაში ქალაქი მესამე ნაწილადაა მიჩნეული, ხოლო შაიტახტი მეოთხედ. რაც მთავარია, 1802 წ. გეგმა სრულებით არ ითვალისწინებს იმ ცვლილებებს, რაც აქ რუსული ხელისუფლების დამყარებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა; ცალკეული ნაგებობანი იმავე სახელებით არის მოხსენიებული, როგორითაც ის 1800 წ. გეგმით, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროისათვის, იწოდებოდა.

ასე რომ, ყველა ნიშნის მიხედვით, 1802 წ. გეგმა, თბილისის ძირითადი ნაწილების წარმოდგენისას, სავსებით იმეორებს 1800 წ. გეგმას. როგორც ჩანს, 1800 წ. შედგენილი გეგმა, რაკი ქალაქის ცხოვ-

---

[12] В. Цинцадзе, Тбилиси, таб. 14.

რებაში ორი წლის მანძილზე რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეიძლებოდა მომხდარიყო, თავის ძირითად ნაწილში, გაუმეორებიათ, უცვლელად გადმოუღიათ 1802 წლისათვის. აღსანიშნავია, ოღონდ, 1802 წლისათვის უკვე დაუგეგმავთ თბილისის დაუსახლებელი (განსაკუთრებით კალაუბნის, სოლოლაკისა და ნაწილობრივ ვერეს) რაიონები მომავალში მათი დასახლების მიზნით.

1802 წ. გეგმა, 1800 წ. გეგმასთან შედარებით, არავითარ განსხვავებულ ცნობას არ იძლევა, ამიტომ მისი განხილვა ჩვენ ამჟამად საჭიროდ არ მიგვაჩნია.

რაკი თბილისის XIX ს. დამდეგის გეგმებზე ჩამოვაგდეთ საუბარი, საჭიროდ ვთვლით მოვიხსენიოთ თბილისისა და მისი მიდამოების გეგმა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, 1802 წლისათვის უნდა იყოს შედგენილი[13]. ამ გეგმაზე მიწერილია: „План города Тифлиса с показанием во все стороны на пять верст ситуации"... „чертел майор Матушевич". გეგმას ხელს აწერს აგრეთვე პოლკოვნიკი ტიხანოვი. მასშტაბი: 1 დიუმი უდრის 100 საჟენს.

ამ გეგმაზე საკუთრივ ქალაქი (თბილისი) მცირედაა წარმოდგენილი და იგი რაიმე განსაკუთრებულ, აღნიშვნის ღირს ცნობას ქალაქის შესახებ არაფერს გვაძლევს. სამაგიეროდ, ეს გეგმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისის მიდამოების ტოპონიმიკისათვის, მაგრამ ამაზე ამჟამად ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

XIX ს. პირველ, 30-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ეს ცვლილებები პირველ რიგში თბილისის შემდგომ განვითარებაში აისახა. ფეოდალურმა თბილისმა XIX ს. დამდეგიდან მოიპოვა ერთგვარი მშვიდობა და მას პირობები შეექმნა შედარებით უშფოთველი სოციალურ-ეკონომიკური წინსვლისათვის. გამუდმებული ომიანობის შეწყვეტამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა, უკვე XVIII ს. მეორე ნახევარში ჩასახულ, პროგრესულ ძალებს შემდგომი განვითარებისა.

ფეოდალური თბილისის ცხოვრებაში მომხდარი ეს ცვლილებანი აისახა იმდროინდელ არაერთ დოკუმენტში; ცხადია, ამ დოკუმენტთა შორის მან განსაკუთრებული ასახვა პოვა თბილისის გეგმებში.

XIX ს. 30-იანი წლების თბილისის სოციალურ-ეკონომიკურსა და გარეგან სახეში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების წარმოსადგენად მეტად საინტერესო მასალას გვაძლევს თბილისის 1828 წ., ფერებით ჩახაზული გეგმა: „Новый план г. Тифлиса, 1823 г."[14] მასშტაბი:

---

[13] ЦГВИА, ф. ВУА, № 22659.
[14] ЦГВИА, ф. ВУА, № 22662.

1 დიუმი უდრის 100 საჟენს. ეს გეგმა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ მას ცალკე წიგნად ახლავს ხელნაწერი: „Топографическое описание нового плана г. Тифлиса". გეგმაცა და ეს აღწერაც შედგენილი ყოფილა „По приказанию ген.-адют. Сипягина". აქ მოხსენებული სიპიაგინი, როგორც ცნობილია, ამ დროს თბილისის საბჭედრო გუბერნატორი იყო.

1828 წ. გეგმის მიხედვით, თბილისი ორ ძირითად ნაწილადაა დაყოფილი: საკუთრივ ქალაქი (კალა) და მისი ახლად დასახლებული უბნები (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე). პირველ ნაწილადაა გამოყოფილი: ძველ თბილისი, ავლაბარი, კუკია-ჩუღურეთი კი — მეორე ნაწილაად.

გეგმა ერთბაშად წარმოგვიდგენს 30 წლის მანძილზე თბილისის დასახლებაში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს: მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია სოლოლაკის ქვედა რაიონის — თბილისის დასავლეთის კედლის გარეთ მდებარე ნაწილის — დასახლება. აღსანიშნავია ისიც, რომ სოლოლაკის ტერიტორიის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ბაღებს ეჭირა (მეფისა და დედოფლის ყოფილ ბაღებს), თუმცა ბაღებს ირგვლივ უკვე ახალი ნაგებობებია. ბაღებს ზემოთ გეგმის შემდგენელი ჯერ კიდევ აღნიშნავს სოფ. სოლოლაკს (Д. Салалаки). ამრიგად, სოლოლაკის მთლიანად დასახლება და მისი საბოლოოდ შემოერთება ქალაქთან XIX ს. 30-იანი წლებისათვის დასრულებული არ ჩანს.

გეგმის მიხედვით, განსაკუთრებით დასახლებულია თბილისის ჩრდილოეთი კედლის გარეთ მდებარე ტერიტორია, დღევანდელი ბარათაშვილისა და პუშკინის სახელობის ქუჩიდან მოკიდებული რაიონი — მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მისი დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ რაიონში დასახლება იმ დროისათვის აღწევდა ვერეს ხიდამდე. აქვე გარკვევით არის მოხაზული გოლოვინის პროსპექტის ადრინდელი სახე და მიმართულება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 30 წლის მანძილზე მტკვრის მარცხენა ნაპირის დასახლების თვალსაზრისითაც. ჩუღურეთი, რომელიც 1800 წლისათვის დაუსახელებელი იყო, 1828 წლისათვის საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს. ამასთანავე, თავისი დასახლებით იგი გაერთიანებულია კუკიას დასახლებასთან. ამავე რაიონში იყო აგრეთვე გერმანელთა კოლონიაც. ჩუღურეთი და კუკია გეგმის შემადგენელს, ავლაბართან ერთად, თბილისის მეორე ნაწილში აქვს ნავარაუდევი; ასე რომ, ეს ადგილები უკვე ქალაქის ნაწილებად იყო მიჩნეული, მაგრამ გეგმის შემდგენელი მათ ჯერ კიდევ, ისე როგორც სოლოლაკის ერთ ნაწილს, სოფლებად აღნიშნავს (Д. Чугурети, Д. Куки); მიუხედავად ამისა, ერთმანეთთან ესენი უკვე შეერთებულნი იყვნენ.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გეგმის შემდგენელი დასახლებას უჩვენებს ნავთლუღში, რომლის მახლობლადაც ცალკეა ჩახაზული ჰოსპიტალიც. ნავთლუღსა და ავლაბარს შორის დასახლება ჩანს მხოლოდ შავ სოფელში, რომელსაც გეგმის შემდგენელი სოფ. მირზაბატად (Д. Мирзабат) იხსენიებს. ეს დასახლებული პუნქტებიც, როგორც ჩანს, ქალაქში ჯერჯერობით არ ივარაუდებოდნენ.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სეიდაბადის ძირითადი ნაწილი ისევ ბაღებითაა დაფარული და ეს ტერიტორია აღმოსავლეთით ისევ კედლით არის ჩაკეტილი. მიმართულება არ შეუცვლია განჯის გზასაც — იგი ისევ ციხისაკენ მიემართება. სეიდაბადის დასახლებულ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არ ჩანს ახალი ნაგებობანი, იგი ისევ სოფლადაა მიჩნეული, თუმცა მისი დასახლება ქალაქის მეორე ნაწილთან გაერთიანებულა.

ასეთია ქალაქის ძირითადი ნაწილები გეგმის მიხედვით. მაგრამ იმდროინდელი თბილისის შესახებ კიდევ უფრო ვრცელ და საინტერესო მასალას გვაწვდის გეგმაზე დართული „Топографическое описание нового плана". შევჩერდეთ ამ აღწერილობის ძირითად კომენტებზე. აღწერის პირველ ნაწილში მოცემულია თბილისის ნახევრად ზღაპრული ისტორია, შემდეგ კი — ასევე ზღაპრული „Описание Метехской церкви". როგორც ერთი, ისე მეორე ამჟამად (და საერთოდაც) არ იქცევს ჩვენს ყურადღებას.

საინტერესოა „აღწერის ის ნაწილი, რომელიც საკუთრივ ქალაქს და მის ნაგებობებს შეეხება — „Краткое описание всем церквам и строениям". მოვიტანოთ ზოგი ცნობა აღწერის ამ ნაწილიდან.

„აღწერის" მიხედვით, 1823 წლისათვის თბილისში იყო:

ქართული ეკლესია — 28
ბერძნული ეკლესია — 8
კათოლიკური ეკლესია — 2
სომხური ეკლესია — 17
თათართა მეჩეთი — 1.

ამას გარდა, ქალაქში იყო домов обывательских: თავისუფალთა (белых)—2410, არათავისუფალთა (людских)—899; სულ 3309; ქალაქში იყო აგრეთვე 3568 ქოხი-მიწური.

---

15 თბილისის 1800 წ. გეგმით ქალაქში 5 მეჩეთი იყო, ამათგან მხოლოდ ერთი იყო მთელი; დანარჩენი, როგორც აღნიშნავს გეგმის შემდგენელი, დანგრეული ყოფილა. შემდეგ წლებში ისინი არავის აღუდგენია და ქალაქში ერთადერთი მეჩეთი დარჩენილა.

დუქანთა რაოდენობა ამ დროისათვის აღწევდა 1264-ს, ამათგან მხოლოდ სამი ყოფილა სახაზინო.

ამბარი (ბეღელი) — 92
ქარვასლა — 6
ბაღი — 53 (მათ შორის 2 სახაზინო)[16]

ქარხნები:

აგურის — 28
თიხის ჭურჭლის — 8
ტყავის — 3
ლუდსახდელი — 3

სამღებროები — 7
სასტუმრო სახლი — 8

ტრაქტირი — 3
წყლის წისქვილი — 17
აბანო — 5 (მათ შორის ერთი იყო სახაზინო)[17];

ამის შემდეგ „აღწერის" შემდგენელი ცალკე იხილავს ქალაქის არჩეულ ნაწილს, სადაც მისი სიტყვით იყო 10 მოედანი: ნიკოლოზის— მთავარმმართებლის სასახლის წინ, ალექსანდრესი, ერევნის, სარდარ-აბადის, აბად-აბადის (Абат-абатская). თავრიზის, გერმანული ბაზრის (Немецко-базарная), ანჩისხატის ანუ მაცხოვრის, ფოსტისა და გუბერ-ნატორის.

ქალაქის პირველ ნაწილში იყო უმთავრესი სავაჭრო რიგები, ქარ-ვასლები, სავაჭრო ნაგებობანი და საიჯარო ადგილები: ერევნის სავაჭ-რო რიგი — ერევნის მოედანზე, ვერცხლის რიგი, სომხის სავაჭრო რიგი, მექურჭეთა რიგი (Шубной ряд), მექვაბეთა რიგი, მეფეხსაც-მელთა რიგი — სიონის ეკლესიის წინ, არწრუნის ქარვასლა — სიონის ეკლესიის გვერდით, მეფის ასულის ქარვასლა — არწრუნის ქარვასლის წინ, ყოვლად წმინდა ნერსესის ქარვასლა — სომხური სასწავლებლის წინ, საწვრილმანოთა ბაზარი („Мелочной бгзар собирается на эреван-ской площади по воскресным дням").

საიჯარო ადგილი იყო სარდარ-აბადის მოედანი, სადაც ყოველ დი-ლით თავს იყრიდნენ დურგლები, კალატოზები და ხუროები ნარდ სა-მუშაოზე გასასვლელად[18].

---

16 თბილისში წინა წლებთან შედარებით (კერძოდ 1826 წელთან) შემცირებუ-ლია ბაღების რაოდენობა. ეს გასაგებიცაა — ქალაქის მოსახლეობის ზრდა იწვევდა, ცხადია, ბაღების შემცირებას.

17 Описание, ф. 8у-9.

18 Описание, ф. 11—12.

ქალაქის პირველ ნაწილში იყო 58 ქუჩა. აღწერის შემდგენელი ჩაშოთვლის ყველა ქუჩის სახელს და უჩვენებს მათ მიმართულებას. ცხადია, ყველაფერ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის ქუჩების ისტორიისათვის, მაგრამ ამათზე ჩვენ ამჟამად სიტყვას ვერ გავაგრძელებთ.

ქალაქის მეორე ნაწილში — ძველ თბილისსა და ავლაბარში — 5 მოედანს აღნიშნავს: ელისავეტოპოლის (განჯის) მოედანს, განჯის კარს ქვემოთ, ბაზრის (Базарная) მოედანს იქ, სადაც ე. წ. თათრის მოედანი იყო; მტკვრის მარცხენა ნაპირზე კი — კახეთის, სამხედრო და თივის (Сенная) მოედნებს.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ძველ თბილისში იყო: მელიქ-ზადე ბებუთოვის ქარვასლა, პიტოევის ქარვასლა (ბაზრის მოედანთან) და ოსმან ჩარვანდაროვის ქარვასლა[19], მეორე ნაწილში — 26 ქუჩა და 13 შესახვევი.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელ თბილისში მტკვარზე უკვე ორი ხიდი იყო, ორივე მეტეხთან. ეს ხიდებიც ჩაუხაზავს 1823 წ. გეგმის შემდგენელს.

როგორც ვხედავთ, თბილისის ზემოგანხილული გეგმა შეიცავს საინტერესო მასალებს და კარგად წარმოგვიდგენს XIX ს. თბილისის არა შარტო გარეგან სახესა და მასში მომხდარ ცვლილებებს, არამედ ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში და მის დასახლებაში მომხდარ უკვე საგრძნობ გარდატეხასაც.

თბილისის ირგვლივ მდებარე მიდამოების დასახლების გასათვალისწინებლად საინტერესო მასალას იძლევა „План города Тифлиса с окрестностью, снята инструментально в 1829 г.“[20], მაგრამ ამ გეგმაზე ამჟამად ჩვენ საუბარს არ გავაგრძელებთ.

XIX ს. 30-იანი წლებიდან იწყება მნიშვნელოვანი გარდატეხა თბილისის ისტორიაში. იმ დროიდან შედარებით სწრაფად ვითარდება უკვე ადრევე ჩასახული ბურჟუაზიული ურთიერთობა. ეს ცვლილებანი თავის ასახვას პოულობდა თბილისის გეგმებშიაც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის 1844 წ. გეგმა: „План города Тифлиса гравированный при Военно-топографическом деп. 1844[21].

ამ გეგმისა და მისი „განმარტების“ მიხედვით, იმდროინდელი ქალაქი სამ ძირითად ნაწილად იყოფოდა:

---

[19] Описание, ф. 18у—19.
[20] ЦГВИА, ф. ВУА, № 19913.
[21] ЦГВИА, ф. ВУА, № 22664.

I. **გარეთუბანი** — მთელი ახალი ქალაქი, რომელიც კი ძველი ქალას კედლებს გარეთ იყო.

II. **ძველი ქალაქი** (Старый город) — ქალაქის კედლებით შემოსაზღვრული ნაწილი, ქალა.

III. **ავლაბარი.**

სამივე ეს ნაწილი დაყოფილი იყო სამ-სამ კვარტლად.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ გარეთუბანი, რომელიც 15—17 წლის უკან ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ქალაქის ცალკე ნაწილს, ამჟამად უკვე ისე მჭიდროდაა დასახლებული, რომ გეგმის შემდგენელთ იგი ცალკე და ერთ-ერთ უპირველეს ნაწილად აქვთ გამოყოფილი.

გეგმის მიხედვით, იმდროისათვის მტკვარზე, მისი მარცხენა და მარჯვენა ნაპირის შესაერთებლად, იყო სამი ხიდი: ორი მეტეხთან — ნიკოლოზის (Николаевский) და ავლაბრის ძველი ხიდი, მესამე ხიდი იყო იქ, სადაც შემდეგ ვორონცოვის სახელობის ხიდი გაშენდა — მადათოვის კუნძულის დასასრულს. ეს იყო საინჟინრო, დროებითი (Инженерный, временный). სამივე ხიდი ხისა ყოფილა.

ამ ხიდებს გარდა, ქალაქში სხვა გამდინარე ხევებსა და მდინარეებზე იყო ცხრა ხიდი:

1. Мухранский (დღევ. ბარათაშვილის ხიდის მახლობლად, ავანაანთ ხევის შესართავზე).
2. Инженерный малый
3. Саперный
4. Арсенальный
5. Набережный
6. Чугуретский
7. Банный
8. Таможный
9. Карантинный

ამ ცხრა ხიდიდან პირველი ექვსი ხისაგან იყო გაკეთებული, ხოლო ბოლო სამი ქვისა და აგურისაგან.

ხიდების სიმრავლე, ქალაქის ტერიტორიაზე 12 ხიდის არსებობა, მათ შორის სამი ხიდისა მტკვარზე, XIX ს. 40-იან წლებში ქალაქის სწრაფი განვითარების ერთი უტყუარი საბუთია.

ქალაქის ზრდაზე მიგვითითებს აგრეთვე მისი ცალკეული ნაწილების შემდგომი დასახლება. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მისი დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, მოსახლეობა უკვე გაშორებული იყო დღევანდელი რუსთაველის სახელობის მოედანს და იგი თითქმის ვერემდე, მტკვრის გასწვრივ მდ. ვერეს შესართავამდე აღწევდა. იზრდე-

ბოდა მოსახლეობა აგრეთვე სოლოლაკის მიდამოებში. მჭიდროდ იყო დასახლებული ამ დროს ხარფუხიც.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე ავლაბარი, ჩუღურეთი და კუკია უკვე შეერთებულია ერთმანეთთან მოსახლეობით. მტკვრის დინების მიმართულებით მოსახლეობა განუწყვეტლივ ვრცელდება ავლაბრიდან ვიდრე მირზაადამდე ანუ შავ სოფლამდე, რომელიც კიდევ უფრო მჭიდროდ ჩანს დასახლებული, ვიდრე 1828 წ. გეგმით. მჭიდროდ იყო დასახლებული აგრეთვე ნავთლუღიც, რომელსაც გეგმის შემდგენელი „Слободка"-ს უწოდებს.

ამ საერთო შენიშვნის შემდეგ გადავიდეთ ქალაქის პირველი ნაწილის, გარეთუბნის აღწერაზე. თბილისის ამ ახალ რაიონში XIX ს. 40-იანი წლებისათვის იყო ოთხი მოედანი: ერევნის, ნიკოლოზის, ალექსანდრესა და საფოსტო. გაჩნდა ახალი ქუჩებიც. ახალ უბანში უკვე იყო 24 ქუჩა. ამათგან უპირველესს შეადგენდა გოლოვინის პროსპექტი, რომელიც იწყებოდა ნიკოლოზის მოედნიდან, გაივლიდა ალექსანდრეს მოედნის წინ და მიემართებოდა მტკვრის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, ვიდრე დღევანდელი რუსთაველის სახელობის მოედნის რაიონამდე, სადაც იყო „дом коменданта" და სადაც მას გადაჭრიდა საარტილერიო ქუჩა. აღსანიშნავია, რომ გოლოვინის პროსპექტის მარცხენა მხარე (მტკვრის დინების მიმართულებით) მჭიდროდ იყო დასახლებული. ცხადია, მარჯვენა მხარეც დასახლებული იყო, მაგრამ არც ისე მჭიდროდ.

ამ ახალ უბანში იყო აგრეთვე ქუჩები": „Вельяминовская (6), Бебутовская (7), Гановская (8), Нагорная (9), Сололакская (10), Садовая (11), Институтская (12), Сергеевская (13), Ермоловская (14), Давидовская (15), Чавчавадзевская (16), Арсенальная (17), Комендантская (18), Саперная (19), Артиллерийская (20), Лабораторная (21), Инженерная (22), Орбелиановская (23), Атаманская (24), Баронская (25), Графская (26), Почтовая (27), Кузнецкая (28), Мухранская (29)".

ქალაქის პირველ ნაწილში, გარეთუბანში იყო ექვსი ქართული (მართლმადიდებლური), ამდენივე სომხურ-გრიგორიანული ეკლესია და 38 უმთავრესი სახაზინო ნაგებობა. მათ შორის: არსენალი, გიმნაზია, ობსერვატორია, საინჟინრო უწყების სახლი, სახაზინო პალატა, ფოსტამტი, სამაზრო სასწავლებელი, პოლიცმეისტერის სახლი, სახაზინო აფთიაქი და სხვ.

როგორც ვხედავთ, ქალაქის ადრინდელი გარეუბანი XIX ს. 40-იანი წლებისათვის მის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონად ქცეულა.

მეორე ნაწილში ანუ „ძველ ქალაქში“, ე. ი. თბილისის კედლებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე იყო 6 მოედანი: 1. გუბერნატორის, 2. საგუბერნიო (Губернская), 3. აბას-აბადის, 4. პურის, 5 გიორგის და 6. მაიდანის ანუ თათრის. აქვე გეგმის შემდგენელი აღნიშნავს ამდენსავე ბაზარს: სომხების ბაზარს, ბნელ რიგს (Темный ряд), მოედნისა და მექუდეთა (ჭონების) ბაზარს, ვერცხლის, მექურქეთა, მეიარაღეთა ბაზარს და მექვაბეთა რიგს.

ამ ნაწილში გეგმის შემდგენელი უჩვენებს 27 უმცირეს ქუჩას: „Полицейская (13), Багратионская (14), Анчисхатская (15), Фомина (16), Новая (17), Общественная (18), Цицановская (19), Грязная (20), Армянская (21), Пустая (22), Приказная (23). Немецкая (24), Сионская (25), Уездная (26), Мещанская (27), Дворянская (28), Докторский пер. (29), Католическая (30). Большая кривая (31), Темная (32), Торгозая (33), Караванный проезд (34), Церковная (35), Банная (36), Ботаническая (37), Таможная (38).

ამას გარდა, ძველ ქალაქში იყო 17 ქართულ-სომხური ეკლესია, 2 მეჩეთი და 11 სახაზინო ნაგებობა. აქვე იყო აგრეთვე: მეფის ასული თეკლას, პოლკოვნიკ არცრუნის, თავად ბებუთაშვილების, მოქალაქე შადინოვისა, თავად მელიქიშვილისა და აზნაურ ხორეოდინოვისა (ჩარვარდოვისა?) ქარვასლები.

ძველ ქალაქში ვარაუდობს გეგმის შემდგენელი აბანოების უბანსაც, სადაც იმ დროს ყოფილა ექვსი აბანო: სახაზინო, თავად მელიქიშვილის, თავად ორბელიანების და თამამშევისა.

მესამე ნაწილში ანუ ავლაბარში იყო სამი მოედანი: კახეთის, თივისა და რიყის; შვიდი ქუჩა: მეტეხის აღმართი (1), სანაპირო (2) და 3. 4. 5. 6 და 7 ავლაბრისა. ორი ქარვასლა: ზუბალოვისა და სარქისოვისა. ამათ გარდა აქვე იყო 14 ქართული და სომხური ეკლესია.

ასეთია თბილისის 1844 წ. გეგმის ძირითადი შინაარსი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისის ეს გეგმა, თავისი განმარტებებით, დაცულია აგრეთვე ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მ. ბროსეს არქივში[22]. აქვე არის აგრეთვე თბილისისა და მისი მიდამოების გეგმა შედგენილი 1848 წ.[23], მაგრამ ეს გეგმაც, რაკი იგი უმთავრეს ადგილს უთმობს თბილისის ირგვლივ შემოკრებილ სოფლებს, ამჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს.

---

[22] ИВАН, М: 61.

[23] იქვე.

ამ ექვსი გეგმის განხილვით ვამთავრებთ XVIII ს. და XIX ს. პირველი ნახევრის თბილისის შესახებ ჩვენ მიერ მოსკოვში მოპოვებული ახალი მასალების განხილვას. ამ გეგმებით, ცხადია, არ ამოიწურება მოსკოვსა და ლენინგრადში (ასევე საქართველოში) დაცული გეგმების მიმოხილვა. ამასთანავე საფიქრებელია, რომ თბილისის სხვადასხვა დროს შედგენილი გეგმები სიძველეთა საცავებში სხვაც მოიპოვება, რომელთაც, ალბათ, შემდგომი კვლევა-ძიება გამოამზეურებს; მაგრამ ისიც კი, რაც დღემდე მოპოვებულია, უკვე შესაძლებლობას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, როგორც XVIII ს. შუა და 80-იანი წლების თუ ამ საუკუნის დასასრულის თბილისზე, ასევე მის განვითარებაზე XIX ს. პირველ ნახევარში.

როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, XIX ს. პირველ ნახევარში ქალაქმა საგრძნობი ცვლილება განიცადა; ცვლილებანი ქალაქს უკვე XIX ს. პირველ წლებშივე შეეტყო, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო იგი XIX ს. 30-იანი-წლებისათვის გახდა.

1828 წ. გეგმით ქალაქის უმთავრეს ნაწილს ჯერ კიდევ შეადგენდა საკუთრივ კალას დიდი ნაწილი და მისი ახალი უბანი, გარეუბანი, რომელიც ძირითადად XIX ს. დამდეგიდან დასახლდა. ასე რომ, უკვე ამ დროისათვის გადალახულია თბილისის ფეოდალური ზღუდეები. მომდევნო წლებში ქალაქის ეს ახალი რაიონი, გარეუბანი იმდენად იზრდება, რომ იგი მალე ქალაქის უმთავრეს უბნად გადაიქცევა. ეს აშკარა გახდა XIX ს. 40-იანი წლებისათვის, რაც კარგად აისახა თბილისის 1844 წ. გეგმაზეც. ამ გეგმით, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ეს გარეუბანი არის გამოცხადებული ქალაქის პირველ ნაწილად, „ახალ ქალაქად“, ხოლო XVIII ს. დასასრულის ქალაქს კიდევ „ახალი ქალაქი“ არაფრით ჩამოუვარდება. ორივე სამ-სამ კვარტლადაა დაყოფილი.

ეს ახალი უბანი ანუ „ახალი ქალაქი“ (გარეთუბანი), რომელმაც გადალახა თბილისის ფეოდალური ზღუდეები, ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის მიერ შექმნილი უბანია.

აღსანიშნავია, რომ უბნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი შინაარსითაც, საქმიანობის მხრივაც. „ძველ ქალაქში“, როგორც ეს გეგმის განხილვიდან ჩანდა, თავმოყრილი იყო უმთავრესად სავაჭრო მოედნები და რიგები, ქარვასლები, და ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საწარმო, რაც კი იმდროინდელ თბილისს გააჩნდა. იქაური მოედნები, განსაკუთრებით აბას-აბადისა, ცოცხალი სამუშაო ძალის ბაზარს წარმოადგენდა. აქ თავს იყრიდნენ ხელოსნები და მუშები, რომელთაც ქირაობდნენ დღიურად ან კიდევ მთელი კვირით. თბილისის ახალ უბანში კი ,სადაც 24 ახალი ქუჩა იყო, თავს იყრიდა არა სავაჭრო რიგები და სახელოსნოები, არამედ თბილისის მოსახლეობის ზედაფენა,

არისტოკრატია, საცხოვრებელი ნაგებობანი და სხვადასხვა სახაზინო შენობები, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი. ეს ახალი უბანი, განიერი ქუჩებით, გაცილებით უფრო კეთილმოწყობილი და სუფთა იყო. ასე რომ, უკვე XIX ს. 40-იან წლებში ისახებოდა ბურჟუაზიული ქალაქისათვის დამახასიათებელი დაყოფა, დანაწილება „ცუდ უბნად“ და „არისტოკრატიულ უბნად“.

ამრიგად, XIX ს. პირველი ნახევრის, განსაკუთრებით მისი 40-იანი წლების თბილისი სულ სხვა იყო თავისი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული შესაძლებლობით, ვიდრე XVIII ს. დასასრულისა. ამის შესაბამისად შეცვლილი იყო მისი გარეგანი სახეც. ეს არის ის ძირითადი დასკვნა, რაც შეიძლება ასე სახელდახელოდ გაკეთდეს თბილისის ზემომოტანილი გეგმების განხილვისას. ამ გეგმების და მასთან დაკავშირებული მასალების შემდგომი, ყოველმხრივ შესწავლა, ცხადია, ბევრს ახალს შესძენს ჩვენი დედაქალაქის ისტორიას.

§ 2. ბორი

ბორი საქართველოს ძველ და დიდ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფეოდალური საქართველოს არა მარტო ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ პოლიტიკურ ურთიერთობაშიც. ქ. ბორმა დიდი როლი შეასრულა ბურჟუაზიულ საქართველოში და ამჟამადაც მას ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ქალაქთა შორის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს.

ბორის ასეთი მნიშვნელობით აიხსნება, რომ ინტერესი ამ ქალაქის წარსულისადმი ყოველთვის დიდი იყო: უძველეს დროიდანვე იგი იქცევდა როგორც ქართველთა, ასევე უცხოელთა ყურადღებასაც და ამით აიხსნება, რომ ამ ქალაქის შესახებ მოგვეპოვება სხვადასხვა დროისა და სახის აღწერილობანი, გამოკვლევები.

ბორი ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ არც ძველ მხატვრებს. ბორისა და მისი ციხის უძველეს ჩანახატად დღესდღეობით მიჩნეულია ქრისტეფორე კასტელის მიერ XVIII ს. 30—40-იან წლებში შესრულებული ჩანახატი, რომელიც უკვე არაერთხელ იყო გამოქვეყნებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ცნობილია აგრეთვე ბორის სურათი მხატვარ ჩერენცოვისა, შესრულებული XIX ს. 30-იან წლებში. ჩანახატი ბორის ციხისა, მხატვარ გოინესი (XIX ს. 60-იანი წლები). ბორის საერთო ხედის XIX ს. 80-იანი წლების გრავიურა და სხვ., მაგრამ ძველი ბორის ციხისა და ქალაქის გეგმა დღემდე უცნობი იყო.

ამ ნაკლს ნაწილობრივ ავსებს მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში 1949 წ. მოპოვებული ბორის გეგმები, რომელნიც

იმავე წელსვე გამოყენებული იყო ჩვენ მიერ[1]. მაგრამ თვით გეგმები სრული განმარტებებით ჯერ კიდევ არ ყოფილა გამოქვეყნებული.

მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცულია ჟ. გორისა და მისი მიდამოების სამი გეგმა. ამათგან ორი პირველი შედგენილია 1802 წ., ხოლო მესამე — 1824 წ.

1802 წ. შედგენილი გეგმებიდან ერთი ორიგინალია, ხოლო მეორე მისი ასლი. როგორც გორის 1824 წ. გეგმიდან ირკვევა, გორის 1802 წ. გეგმა გადაღებული ყოფილა პოლკოვნიკ დრენიაკინის მიერ[25], იმ გეგმიდან კი პირი გადაუღია, როგორც ეს იქვე გაკეთებული მინაწერიდან ჩანს, ინჟინერ ნაბორნის[82]. აქვე მას ხელს აწერს პოლკოვნიკი ტიხონოვიც, რომელიც აგრეთვე ამოწმებს თბილისისა და მისი მიდამოების 1802 წ. გეგმას[27].

პირველ რიგში შევჩერდეთ გორის 1802 წ. გეგმებზე[28].

გეგმის მიხედვით ქალაქის ცენტრალურ ნაწილს მისი ციხე წარმოადგენდა, რომელიც იწყებოდა ფართო „საფეხურებიანი" კედლებით მეჯუდისა და ლიახვის შესართავიდან და მოემართებოდა ზევით, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ ციხის ძირში, მდინარეების „მეჯუდისა და ლიახვის შესაყარზე, კედლებს შიგნით იყო წყლის აუზი, რომელიც გეგმის შემდგენელს აღნიშნული აქვს C-თი. წყლის ეს საცავი ამარაგებდა საჭიროების შემთხვევაში ციხეს. აუზიდან ზემოთ მოემართებოდა ხვეული გზა, რომელიც ციხის ცენტრში შემოდიოდა[29].

„საფეხურებიანი" კედელი ზემოთ, იქ, სადაც ის საკუთრივ ციხის ტერიტორიას უერთდებოდა, თავდებოდა კოშკით, რომელიც ციხის შიდა ტერიტორიას კეტავდა. ამ კოშკში იყო ერთადერთი გასასვლელი, გეგმის შემდგენელის „B" პუნქტი: „сход к траверзам".

ციხე ქალაქს და აქედან გარე სამყაროს უერთდებოდა ერთადერთი კარით ციხის სამხრეთ-დასავლეთ კედელზე („a" вход в крепости Гори"), იქ, სადაც დგესაცაა შესასვლელი. ციხის შიდა ტერიტორია-

---

24 იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს ქალაქები, გვ. 44—48, 1949 (ხელნაწერი ინახება ისტ. ინსტიტუტში).

25 იხ. ЦГВИА, ფ. ВУА, № 21868.

26 იქვე, № 20548.

27 იქვე, № 22659.

28 იქვე, № 20547, 20548. აღსანიშნავია, რომ გორის 1802 წ. გეგმის ასლზე ჩახაზულია აგრეთვე „Падольный прорез крепости Гори" და „Поперечный прорез крепости Гори". გეგმის მასშტაბი 1 დიუმი—25 საჟენია.

29 წყლის აუზი და გზაც დეტალურად აღწერილი აქვს კლაპროტს — იხ. მისი Reisen, გვ. 325—327.

ზე, მისი კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ყოფილა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია[30]. ცენტრში კიდევ ორმო, აგურით ამოშენებული, სადაც ამჟამად წყლის აუზია. ეს იყო „И" პუნქტი; „Яма выкладенная кирпичами в которую сажали преступников".

ციხის კედლები დაცული იყო, როგორც გეგმიდან ჩანს, 23 კოშკითა და ბურჯით, მაგრამ ყველაფერი ეს საკმარისად არ მიუჩნევიათ, და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ციხისათვის დამატებითი კედელი შემოუვლიათ. ეს კედელი, რომელიც კლაპროტის სიტყვით, შიდა კედლიდან 20 ნაბიჯით იყო დაშორებული, იწყებოდა მეჯუდასა და ლიახვის შესართავიდან, აუზიდან დასავლეთით, გორაკის კალთების დასასრულს და უერთდებოდა ციხის შიდა კედელს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიასთან. ამ გარე კედელზედაც იყო ერთი კარი. შიდა და გარე კედელს შორის რაიმე ნაგებობა არ ყოფილა. გარე კედელიც აგრეთვე კოშკებით იყო გამაგრებული, გეგმით აქ 10-ზე მეტი კოშკი ითვლება.

მეორე, საწინააღმდეგო მხრით ციხეს დამატებითი გარე კედელი არ ჰქონია, იგი გორაკის დაქანებული კალთებითა და მდინარე მეჯვრის ხევით ყოფილა დაცული.

ქალაქის მოსახლეობა შეფენილი იყო ციხის ირგვლივ სამხრეთ-დასავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოსახლეობა არ იყო ჩრდილო-დასავლეთით, რადგან ამ მხარეს „საფეხურებიანი" კედელი ჩამოდიოდა და მდინარე უშუალოდ ეკვროდა, უვლიდა ციხის ქვედა ტერიტორიას. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ციხეს, ნახევარი წრის მსგავსად, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს ეკვროდა. ქალაქის მოსახლეობა, ე. ი. საკუთრივ ქალაქიც სამი, უფრო მეტად დაუცველი მხრიდან, კედლებით იყო შემოსაზღვრული.

ქალაქის ჩრდილო-დასავლეთის კედელი იწყებოდა გორაკის ჩრდილოეთის ძირიდან, მიემართებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ერთბაშად 90° უხვევდა, და უვლიდა დასახლებას აღმოსავლეთის მხრიდან.

ლიახვის შედარებით ამაღლებული ნაპირიდან მოკიდებული ვიდრე ციხის ჩრდილო-დასავლეთ წვერამდე ქალაქს, იმ ხაზს გარდა, სადაც ქალაქის კარი იყო, კედელი არ ჰქონია. აქედან ქალაქის დაცვა, როგორც ჩანს, ლიახვს ჰქონდა მინდობილი. ქალაქის კედლები გეგმის შემდგენელს г-ით აქვს აღნიშნული და შემდეგნაირად განმარტებული: „Стена городовая из земляного незженного кирпича". როგორც ჩანს, ქ. გორს XVIII ს. მიწურულისათვის ალიზის კედელი ჰქონია შემოვლებული[31].

---

30 ამ ეკლესიას იხსენიებს ა. თუმანიშვილი თავის „აღწერაში".

31 ქალაქის კედლის შესახებ მიუთითებს იაზიკოვიც. ალბათ, ამიტომ ამბობს იგი, რომ „Гори... окружен... невысокой и слабой стеною" (Грамоты, т. 188).

გორის ქალაქს შემოვლებულ კედლებზე სამი კარი იყო. ქალაქის ჩრდილოეთის კედელს თითქმის შუაზე ჭრიდა „იმერეთის კარი“ (Ворота Имеретинские), აღმოსავლეთ კედლის ცენტრალურ ნაწილზე გადიოდა „მუხრანის კარი“ (Ворота Мухранские), ხოლო ლიახვის შედარებით მაღალ და გაუმაგრებელ ნაპირზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქალაქის კედლის ნაწყვეტზე იყო „თურქეთის კარი“ (Ворота Турецкие).

ქალაქის კედლებს შიგნით იყო ამ დროისათვის მოქცეული სამოქალაქო, საპოლიციო და სხვა უწყებათა ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლები, 5 ქართული და ამდენივე სომხური ეკლესია. მოსახლეობის საცხოვრებელთა უმეტესობა, რომელიც გეგმის შემდგენელს x-ით აქვს აღნიშნული, მიწური ყოფილა. მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ქვითკირისა, რაც გეგმაზე z-ით არის აღნიშნული. გორის გეგმის ამ მონაცემებს სავსებით შეესატყვისება აღწერილობითი წყაროებიც. იაზიკოვი გორის სახლების შესახებ წერდა: „Домов несколько есть изрядных и по большей части землянки“[32].

ციხეს, გორაკის კალთებს, სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ნახევარწრის მსგავსად უვლიდა ქუჩა, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე ჩამწკრივებული ყოფილა გორის ყველა სავაჭრო და სახელოსნო ნაგებობა. ეს ნაგებობანი ქალაქის კედლებით შემოსაზღვრული ტერიტორიის შუაგულში, გარკვეული გეგმის მიხედვით, არის მოქცეული.

ქალაქის სხვა ნაგებობებს კი რაიმე დაგეგმვის, გეგმაზომიერ უბნებად დაყოფის კვალი არ ეტყობა. სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობები, რომელნიც ერთ ხაზზე არიან ჩამწკრივებული, У-ითაა აღნიშნული. (Лавки). დუქნები, ამ ორი მწკრივის გარდა, გეგმის შემდგენელს სხვაგან არსად არა აქვს აღნიშნული.

დუქნების ამ მწკრივებს გულისხმობდა ალბათ ფარსადან გორგიჯანიძე, როცა იგი „გორის ბაზრის“ შესახებ ლაპარაკობდა[33].

აღსანიშნავია, რომ ქალაქის კედლების შიგნით, ზოგ შემთხვევაში, მოქცეული იყო ვენახი და ბაღებიც. მაგრამ ვენახი, ბაღ-ბოსტანი და საყანე ადგილები დიდი რაოდენობით ქალაქს გარს ერტყა, მის კედლებს გარეთ იყო. 1802 წ. გეგმა სავსებით ადასტურებს ვახუშტის მითითებას, რომ გორს „გარემოს აქვან ვენახი და წალკოტნი მრავალნი“[34].

---

[32] Грамоты, I, с. 188.

[33] ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 243.

[34] ვახუშტი, აღწერა, გვ. 74.

ქალაქის კედლებს გარეთ იყო აგრეთვე ზოგი ეკლესია, სასაფლაოები და წისქვილები.

ქ. გორმა, ისე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებმა, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ეს ცვლილებები აისახა გორის გარეგან სახეშიც. მასზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გორის 1824 წ. გეგმა: „План города Гори снятой инструментально в 1802 году полковником Дремякиным, а исправленный в 1824 году капитаном Жихаревым“[35]. ეს ცვლილებები ცხადია გამოწვეული იყო გორის შემდგომი ზრდით.

1824 წ. გეგმიდან კარგად ჩანს, რომ ქალაქის ტერიტორია გაზრდილა ყველა მიმართულებით, გარდა ჩრდილო-დასავლეთისა, საიდანაც ქალაქს ზრდის პერსპექტივა ნაკლებად ჰქონდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ XIX ს. პირველ მეოთხედში უკვე გადალახულია ფეოდალური ქალაქის ყველა კედელი, გარდა აღმოსავლეთისა. გორს კედელი ამ მიმართულებით ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა, მაგრამ დასახლება მის გარეთ იყო, ე. ი. ეს კედელი არსებითად უკვე გადალახული იყო. 1824 წ. გეგმაზე არ არის არც ფეოდალური ქალაქისათვის დამახასიათებელი კარები.

როგორც ჩანს, 22 წელი საკმარისი გამხდარა ძველი გორის კედლებისა და კარების, მისი ფეოდალური ზღუდეების გადასალახავად.

§ 3. თ ე ლ ა ვ ი

თელავიც საქართველოს ძველ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის. იგი X ს. უნდა წარმოშობილიყო[36]. ფეოდალურ ხანაში ქ. თელავმა არაერთი ცვლილება განიცადა. მისი ერთგვარი განახლება, ვახუშტის სიტყვით, არჩილ კახთა მეფის (1664—1675) დროს მომხდარა. მაგრამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ცვლილება ქალაქმა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს განიცადა. თუკი XVIII ს. პირველ ნახევარში თელავში, ვახუშტის სიტყვით, „არს სასახლე და ციხე და მაგრობენ მას შინა“[37], ე. ი. თუკი მას ქალაქის სახე უკვე თითქმის აღარ ჰქონდა, XVIII ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო თელავის შენება. პაპუნა ორბელიანის ცნობით, „კახბატონი წაბძანდა კახეთს და განასრულა გალავანი თელავისა“[38].

---

[35] ЦГВИА, ф. ВУА № 21868.

[36] იხ. Ш. Месхиа, Города, с. 37

[37] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 100.

[38] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 451.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თელავი ერეკლე II-ის დროს შენდება არა მის ადრინდელ ტერიტორიაზე, არამედ სხვაგან, ახალ ტერიტორიაზე: ასე რომ, ჩვენ ამ ხანიდან, ფაქტიურად, საქმე გვაქვს ახალი თელავის შენებასთან, მის წარმოქმნასთან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროიდან საესებით გაქრა ძველი თელავი. 60—70 წლის მანძილზე იგი ჯერ კიდევ წარმოადგენდა თელავის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის ერთი ნაწილის თავშესაფარს.

ძველი და ახალი თელავი არაერთხელ ყოფილა აღწერილი უცხოელთა (ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი) მიერ, მაგრამ თელავის გეგმა, მისი ჩანახატი დღემდე ჩვენ არ მოგვეპოვებოდა. ქალაქის გარეგანი სახის წარმოსადგენად კი ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაა, რომ ჩვენ ამჟამად განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობთ თელავის ორ გეგმას, რომელიც დაცულია მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-საისტორიო არქივში.

ამ გეგმათა შორის პირველია თელავის 1802 წ. გეგმა, ე. ი. იმ დროს გადაღებული, როცა რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები ჩაიბარა, და როცა საერთოდ ის იღებდა ამ ახლად შემოერთებულ ქალაქთა გეგმებს. თელავის ეს გეგმა არსებითად ასახავს XVIII ს. მეორე ნახევრის, მისი დასასრულის ქალაქის მდგომარეობას.

თელავის ამ პირველ გეგმაზე მიწერილია: „План города Телави с прикосновением (sic) к оному населенных мест положении снятого инструментально 1802 года“[39]. აღნიშნული გეგმა ნამდვილის (ორიგინალის) პირია, გადაღებული ვინმე კუპჩინოვის მიერ. გეგმას, ისე როგორც სხვა 1802 წ. შედგენილ გეგმებს, ჩვეულებრივ, ხელს აწერს პოლკოვნიკი ტიხონოვი, გეგმას ერთვის „Профиль города Телава“, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა ქალაქის სიმაგრეთა განლაგებაზე.

ახალი, ე. ი. არსებითად XVIII ს. მეორე ნახევარში წარმოშობილი, თელავი, 1802 წ. გეგმის მიხედვით, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: ქალაქის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა „Замок царской“ — არასწორი ოთხკუთხედის ფორმის ციხე. მეფის ციხის აღმოსავლეთ კედელზე მიშენებული იყო აგრეთვე კვადრატული ფორმის მეორე ციხეც, ცალკე კედლებით, რომელიც პირველთან ერთად ქმნიდა „სამეფო ციხეს“ და რომელიც მას ერთადერთი კარით უერთდებოდა.

ქალაქის ამ ცენტრალურ ციხეში იყო სხვადასხვა ნაგებობანი (რომელთა უმეტესობას რატომღაც ახსნა არა აქვთ), მათ შორის წმ. გიორგის სახ. ეკლესია, მეფის სასახლე ჩვენ მიერ ზემოხსენებული

---

[39] ЦГВИА, ф. ВУА, № 22647.

მინაშენის შუაგულში — „Дом бывшего царя Эраклия“, აქვე, მაგრამ უკვე ციხის კედლის გარეთ იყო „Дом патриарха Антония“ და ორი ეკლესია. მინაშენი ციხის ერთი ნაწილი სამხრეთის კედელთან ეპირა ბაღს.

„მეფის ციხეს“ ოთხი კარი ჰქონდა. მისი უმთავრესი კარი ჩრდილო-დასავლეთის კედელზე იყო. სწორედ ამ კედლის წინ იყო შეფენილი თელავის ძირითადი მოსახლეობა. ციხის ამ უმთავრესი კარის წინ, სამი ძირითადი მიმართულებით — ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით — სწორ ხაზებად გამართული იყო სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა, დუქანთა (Лавки) მწკრივები. ასე რომ, თელავის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს „მეფის ციხის“ ჩრდილო-დასავლეთით გაშლილი ადგილი წარმოადგენდა. თელავის მოსახლეობა „მეფის ციხეს“ სხვა მხრებიდანაც იყო შეყენილი — მაცხოვრებელთა სახლები ამ ციხეს ირგვლივ ერტყა.

„მეფის ციხე“ აღწერილი აქვს ი. გიულდენშტედტს და ალ. ჯამბაკურ-ორბელიანს. ი. გიულდენშტედტის ცნობებზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ, რამდენადაც იგი გამოქვეყნებულია და ცნობილია[40]. ალ. ორბელიანის ცნობებზე კი, რაკი იგი დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და მრავალმხრივ საინტერესოც არის, საჭიროდ მიგვაჩნია შეჩერება.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი „მეფეთა გალავანს“ უწოდებს და იგი, ქალაქის ციხე-სიმაგრეთა საერთო სათვალავის მიხედვით, მესამედ მიაჩნია. აი, რას მოგვითხრობს ალ. ორბელიანი თელავის ამ ნაწილის შესახებ: „მეფეთა მესამე გალავანში აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის გალავნის კუთხესთან არის ეკლესია კარის ღვთის მშობლისა მეფის ირაკლის მეორის აშენებული, რომელშიც ვარაყშერეული მშვენიერი კანკელია და ეს კანკელი მეფეს ირაკლის შეუწირავს თავისი პირველი შვილი ვახტანგი რომ გარდაიცვალა, ხეიძის ქალთან ნაყოლი. იმის დანარჩენი ნივთები გაუყიდვინებია, იმისი ფულით ის კანკელი მოუტანინებია მოსკოვში გაკეთებული საუცხოვოს ეკლესიის ხომლებით და ამით დაუშვენებია ის ეკლესია.

ამავ გალავნის ბოლოს კუთხესთან სამხრეთის გარედგან ზედ მიდგმულია სომხების ეკლესია, თელავის წმ. გიორგისა. ამას ჰყავს ბევრი მლოცველი და ღამის მთევლები. ამ გალავანშივე მეფეთ სასახლე ყოფილა ქვიტკირისა, ახლა დაქცეულია მხოლოდ სალხინოს მეტი და წინა ოთახებისა. აქვეა ქვიტკირით ჩატანილი გვირაბი გალავნის ძირს

---

[40] იხ. И. А. Гюльденштедт, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, Спб, 1809, с. 223.

ქვევით ჩრდილოეთის მხარისაკენ... ამაში გამოდის მშვენიერი წყარო მეტად კარგი სასმელი და ავსებს ქვიტკირის აუზს, იქიდგანაც გარედ გავა მიწაში. მე რომ ამ მეფეთ სასახლის ნახვა მოვინდომე მიხეილ ქობულაშვილმა წამიყვანა, შემდგომად ჩემმა ნათელმამამ, ჩემი სიძის ძმამ და მთელი გალავანი დამატარა... ამ მეფეთ სახლის სანახავად რომ წავედით, მივედით და აღმოსავლეთის მხარეს მეიდნის ნაპირისაკენ გალავნის კარები შევიარეთ, რომელშიც მომცრო გაშლილი მოედანი დაგხუდა იქვე, კარებთან გამწვანებული მოლით და დასასრულზე ის ეკლესია ზეით რო ითქვა, ჩემს მარცხნივ მხარეს იყო მეფეთ პატარა შესაქცევი წალკოტი გალავნის კედელის ძირში. ამის გვერდით ის სასახლე. ამასთან მარჯვნივ მხარეს რომ მოვიხედე, გალავნის მაღალი კედელი დავინახე, ამათ შუა პატარა მინდორი მოხდენოდა საუცხოოდ"[41].

თელავის მეორე ნაწილს „მეფის ციხის" ჩრდილო-დასავლეთით, მაღალ გორაკზე აგებული ოთკუთხი ფორმის ციხე წარმოადგენდა, ეს იყო, გეგმის შემდგენელის ცნობით, „Замок Григория Вехова" (ალბათ Вахрахова), მაგრამ ეს გეგმის შემდგენელის შეცდომა უნდა იყოს. ვახვახიშვილებს ეკუთვნოდათ თელავის მესამე ციხე და არა ეს. ამ, მეორე ციხის მფლობელებად, როგორც დოკუმენტებით[42], ასევე ი. გიულდენშტედტის აღწერილობითაც[43], XVIII ს. მეორე ნახევარში ჩანან ყორჩიბაშიშვილები. ყორჩიბაშიშვილებს ეკუთვნოდათ ეს ციხე, როგორც ქვემოთ დავინახეთ, XIX ს. 20-იან და 50-იან წლებშიც.

ყორჩიბაშიშვილების ციხე ოთხივე მხრიდან კედლით იყო შემოსაზღვრული. კედლებს შიგნით მრავალი ნაგებობაა აღნიშნული, მაგრამ განმარტებული არაა, გარდა ერთისა — წმ. ნინოს სახ. ეკლესიისა. ციხეს ჩრდილო-დასავლეთით „აბანოს წყალი" ჩაუდიოდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით კიდევ მდ. თელავი. ეს უკანასკნელი ჰყოფდა მას ქალაქისა და „მეფის ციხისაგან".

ყორჩიბაშიშვილების ციხეში, ჩრდილო-დასავლეთიდან წამოსულ გზებს შორის, მხოლოდ ერთი შემოდიოდა, დანარჩენები საკუთრივ თელავისაკენ, ქალაქის ცენტრისაკენ მიემართებოდნენ. ციხის ირგვლივ საცხოვრებელი სახლები თითქმის არ ჩანს (სულ სამია აღნიშნული გეგმაზე) და ეს ტერიტორია უმთავრესად ყანებსა და ბაღებს უჭირავს.

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი ყორჩიბაშიშვილების ციხეს „მეორე

---

41 ალ. ჯ ა მ ბ ა კ ურ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თელავის აღწერა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. S: 1650, გვ. 4—7.

42 საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთ. 34, საბ. 177.

43 И. Г ю л ь д е н ш т е д т, Описание, с. 223.

გალავანს“ უწოდებს. იგი წერს: „ამ გალავნის (ძველი თელავის—შ. მ.) დიდი ხევის გადმოღმით მეორე გალავანია პირველი გალავნიდგან აღმოსავლეთისაკენ, თავადი ყორჩიბაშიშვილებისა. ეგრეთ ქვიტკირისა, სადაც თვითონ დგანან ამ გალავანში“[44]... „თავადთა ყორჩიბაშიანთ მეორე გალავანში კუალად ძველი ეკლესია ღვთაება უცვალებლისა. იტყვიან იმ ეკლესიის ხატისას ანჩისხატის პირიღვთისას გვანდეს“[45].

თელავის მესამე ნაწილი „მეფის ციხის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. კურდღელაურის სათავესთან, მის მარჯვენა ნაპირზე აღმართული არასწორი ოთხკუთხედის ფორმის ციხეა — „Замок Реваза Вахваха“. ამ ციხის უმთავრესი კედელი მეფის ციხისაკენ არის მიმართული და სწორედ აქედან ჰქონდა ერთადერთი შესასვლელიც. ციხის შიგნით, ერთი ქართული ეკლესიის გარდა, მრავალი სხვა ნაგებობაც ყოფილა, მაგრამ მათ შესახებ რაიმე განმარტება არ არის მოცემული.

ვახვახიშვილების ციხეს ალ. ორბელიანი თელავის „მეოთხე გალავანს“ უწოდებს: „ამ მეფეთ გალავანს იქით არის კუალად აღმოსავლეთისაკენ მეოთხე გალავანი, პატარა ხევის გაღმით, რომელშიც თვით პატრონები დგანან — ვახვახიშვილები. ორთა გვართა ამათ ვითარცა ყორჩიბაშიშვილებს და ვახვახიშვილებს მოსაწონად უნდა ჰქონდეს თავი, რომ თავის გალავნებში დგანან და იქითგან გადაჰყურებენ მეტად მოსაწონ ბუნებას“[46]. იქაც არის ეკლესია წმ. ნათლისმცემელისა, სადაც გადასახედავში ერთი გაკიდებულსავით სახლი არის რომელისამე ვახვახიშვილისა, წინ გძელისა და განიერის ფიცრის სარბენით“[47].

„მეფის გალავანი“, ალ. ორბელიანის სიტყვით, „უფრო დიდი იმ გალავნებზე, უფრო მკვიდრი შენობა და უკან სამხრეთისაკენ ლამაზი ასპარეზის“ მქონე არის.

თელავის 1802 წ. გეგმის შემდგენელს აღნიშნული აქვს ქალაქში შემომავალი გზებიც — შალაურიდან, სიღნაღიდან, კონდოლიდან, ციდან, კურდღელაურიდან, გულგულადან, რუისპირიდან და სხვ.

ნიშანდობლივია, რომ ახალ თელავს, ზემოხსენებულ სამივე ციხეს დასავლეთით, თითქმის სწორხაზად უვლის ხევი, რომელსაც ალ. ორბელიანი „დიდ ხევს“ უწოდებს: 1802 წ. გეგმის შემდგენელს კი ეს ხევი მოწითალო ფერით აღუნიშნავს და ზედ მიუწერია: „Россыпь по галечному камню“. იგი, აღნიშნულ ციხეებთან და მათ კოშკებთან ერთად, ქალაქის სიმაგრეთა სისტემაში ივარაუდებოდა.

---

44 ალ. ორბელიანი, თელავის აღწერა, გვ. 2.

45 იქვე, გვ. 4.

46 იქვე, გვ. 3.

47 იქვე, გვ. 6—7.

ეს „დიდი ხევი“ ჰყოფდა ერთიმეორისაგან ძველ და ახალ თელავს; მის ჩრდილო-დასავლეთით იყო „ძველი თელავი“, რომელსაც სამი მხრიდან, გარდა დასავლეთისა, კედელი ჰქონია კოშკებით გამაგრებული. გეგმაზე არ ჩანს ჩრდილო-დასავლეთის კედელი—იქნებ, იმ დროისათვის უკვე დანგრეული იყო ან კიდევ ძველი თელავის დაცვა ამ მხრისაკენ გორაკის დაქანებულ ფერდობს ჰქონდა მინდობილი. „ძველი თელავის“ კედლებს აღმოსავლეთით ჰქონდა ერთადერთი კარი.

გეგმის შემდგენელს „ძველი თელავის“ კედლებს შიგნით აღნიშნული აქვს საცხოვრებელი ნაგებობანი. ამავე დროს, როგორც აღნიშნული წერილობითი წყაროებიდან ვიცით, ძველ თელავში ხელოსნებიც მოსაქმეობდნენ.

ალ. ორბელიანი „ძველ თელავს“ „პირველ გალავანს“ უწოდებს და მის შესახებ შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ამ ოთხ გალავანში პირველი გალავანია დასავლეთის მხარეს, მეტად ძველი და არა აქვს სათოფეები დატანებული. ეს ამას აცხადებს — მშვილდისრობის დროისაა“[48]. სავსებით მართალი იყო ალ. ორბელიანი, როცა ქალაქის ამ ნაწილს მიიჩნევდა იმ უძველეს თელავად, რომელსაც ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი.

„პირველი გალავანი რომ ვთქვით, — განაგრძობს ალ. ორბელიანი, — იმ გალავანში არის ძველი ეკლესია წმ. გიორგისა, ადრე ქართველებისა ყოფილა, შემდეგ მეფეს ირაკლის მეორის დროს განჯიდგან რომ სომხები მოსულან თელავში, იმ გალავანში დასახლებულან: მეფის ირაკლისაც ის ეკლესია იმათთჳს უბოძებია. სადაც ძველად მეფეები მდგარან და ძველი ქალაქიც იქ ყოფილა. დღესაც იმ გალავანში რავდენიმე კომლეულნი დგანან, მითამ შეჰფარვიან იმის სიმაგრესა“[50].

თელავის ოთხივე ციხისა და მათი განლაგების შესახებ ალ. ორბელიანი წერდა: „ოთხი ეს გალავანი დგას ერთს ხაზზედ, მაღლობიდგან გარდამჭვრეტელი დაბლა, პირმიმართული ჩრდილოეთის, კავკაზის მთისაკენ“.

როგორც ვხედავთ, თელავი ფეოდალური ქალაქი იყო თავისი ციხე-სიმაგრეებით, მაგრამ მას ერთგვარი თავისებურებაც ახასიათებდა. აქ მეფის (ქალაქის ძირითადი მფლობელის) ციხე-სიმაგრესთან ერთად იყო სხვა დიდგვარიანთა — ყორჩიბაშიშვილები, ვახვახიშვილები — ციხე-სიმაგრეებიც, რაც ქალაქში მათი მფლობელობის გამომხატველი იყო.

ქალაქის სიმაგრეები და მათი ფეოდალი მფლობელებიც, ქართლ-

---

49 ალ. ორბელიანი, იქვე, გვ. 1.

50 იქვე, გვ. 4.

კახეთის მეფის გარდა, დარჩნენ XIX ს. პირველ ნახევარშიც, მაგრამ საკუთრივ ქალაქმა უკვე ამ საუკუნის პირველ ოცეულშიც კი, მნიშვნელოვნად იცვალა სახე. ეს ცვლილებები გამოწვეული იყო ქალაქის როგორც ეკონომიკური განვითარებით, ასევე მის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი დიდმნიშვნელოვანი გარდატეხებით. ამ ცვლილებებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თელავის მეორე, 1819 წ. გეგმის ასლი[51], რომელიც გადაუღიათ იმავე წელს ტოპოგრაფებს — პოლუჩკოვსა და ფედოროვს.

ამ გეგმის მიხედვითაც ქალაქი ისევ სამ ნაწილადაა დაყოფილი. ცენტრის, მდ. თელავსა და კურდღელაურს შორის მოთავსებული ყოფილი სამეფო ციხე, ამჟამად სახაზინო ციხე-სიმაგრედ წოდებული, წარმოადგენდა A პუნქტს, რომელიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ციხეში იყო ნაგებობანი: „a. дом окружного начальника“ (ყოფ. მეფის სასახლე), в. уездный суд, с. гауптвахт, д. училище, е. казарма, ф. дом для приезжих, г. сарай для орудия, р. квартира стряпчаго, с. дом князя Чавчавадзе (ეს იქ უნდა იყოს, სადაც 1802 წ. იყო პატრიარქის სახლი), к. конюшня, л. баня, т. почта, (და ციხის გარეთ კიდევ) п. магазин“.

ქ. თელავის უმთავრესი ნაგებობანი, რომელთა საგანგებოდ გამოყოფა გეგმის შემდგენელს საჭიროდ მიუჩნევია, იყო: „1. Дом лекаря Шариманова, 2. Архимандрита Элевтеря, 3. Князя Макаева, 4. Священика Хералова, 5. Калывишвили (?), 6. Ивана Сакварелидзе, 7. Протопопа князя Седамона, 8. Лекаря Арютина, 9. Купца Мананова, 10. священика Ростомова, 11. Вермишева, 12. Багдасарова, 13. Заила Соугрова (?), 14. Казакова, 15. Полицмейстера, 16. Манучарова, 17. Бабель Мекваби, 18. Кикола Харазова, 19. Конашвили, 20. Эбитова, 21. Казарма, 22. Казачий пост, 24. Кирпичный сарай, 25. Новыя лавки (ძველი დუქნების თითქმის პარალელურად, გეგმის შემდგენელს წითელი ფერით აქვს აღნიშნული— შ. მ.), 25. рыбные ряды, 26. Начатыя лавки, 27. Казенные бани“. ამათ გარდა, გეგმის შემდგენელი უჩვენებს ეკლესიებს, სამეფო ციხის შიგნით და გარეთ, ძველი თელავის კედლებს შიგნით და სხვ.

B პუნქტად გეგმის შემდგენელი გამოჰყოფს ყორჩიბაშიშვილის ციხეს („Крепость князя Корчибашева“), C პუნქტად ვახვახიშვილის ციხეს (крепость князя Вахвахова), Д პუნქტს კიდევ შეადგენდა „ძველი თელავი“. აღსანიშნავია, რომ ძველ თელავში ის მჭი-

---

[51] ЦГВИА, ф. ВУА. № 22649.

დრო დასახლება და დუქნები, რომელიც კარგად ჩანდა 1802 წ. გეგმით, უკვე აღარ იყო. გეგმის შემდგენელი მხოლოდ ეკლესიისა და სხვათა ნანგრევების არსებობაზე მიუთითებს. აქ, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ზემომოტანილი მითითებითაც, უკვე რამდენიმე კომლიღა აფარებდა თავს. როგორც ჩანს, ძველი თელავის მოსახლეობა თანდათან ახალ თელავში ჩამოსახლებულა და მას ადრინდელი მნიშვნელობა, ახალი ურთიერთობის ჩასახვის შემდეგ, საბოლოოდ დაუკარგავს. 1819 წ. გეგმის შემდგენელი ახსნა-განმარტებაში ცალკე პუნქტად აღნიშნავს ბ ა ზ ა რ ს, მაგრამ, სამწუხაროდ, გამორჩენია ამ პუნქტების მითითება საკუთრივ გეგმაზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თელავს, მის ძირითად ნაგებობებს რაიმე დაგეგმვის ნიშანი არ ეტყობა, გარდა დუქნებისა. ეს უკანასკნელნი, როგორც ადრე, ისევე შემდეგ აშენებულნი, გარკვეული გეგმით, სწორ ხაზად ქუჩების ორივე მხარეს იყვნენ ჩამწკრივებულნი.

ზემოგანხილული გეგმების ურთიერთშედარება ცხადყოფს, რომ თელავმა XIX ს. პირველ ოცეულში მნიშვნელოვნად იცვალა როგორც გარეგანი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სახეც. ეს ცვლილებანი მალე თელაველთა ყოფაშიც აისახა.

მცირე შენიშვნა ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან

(„იშიტუტრუქის“ მდებარეობის საკითხისათვის)

ძველი თბილისის ტოპონიმიკა ჯერ კიდევ ვერ არის სრულყოფილად შესწავლილი, არ არის საბოლოოდ დადგენილი აგრეთვე წყაროებში მოხსენებული ამა თუ იმ პუნქტის მდებარეობა. მაგ., დღემდე დადგენილად არ შეიძლება მივიჩნიოთ XVIII ს. ქართული წყაროების მიერ არაერთხელ მოხსენებული „იშიტუტრუქის“ მდებარეობა და მისი მნიშვნელობა. „იშიტუტრუქი“ ორჯერ მოხსენებული აქვს ვახუშტის. იგი მიუთითებს მის მდებარეობაზედაც: „ხოლო კვალად დასავლით, იშიტუტრუქის კლდესა შინა არს მონასტერი მთაწმიდისა და აწ ცალიერი“[1]. „იშიტუტრუქს“ იხსენიებს „ახალი ქართლის ცხოვრებაც“: „და კ´დ აღაშენა (როსტომ — შ. მ.) ბაღი იშიტუტრუქს ქვემორე და მუნცა აღაშენა მეჩიტი“[2]. მართალია, ეგნატაშვილი ბერი გარკვევით არ მიუთითებს „იშიტუტრუქის“ ადგილმდებარეობას, მაგრამ ცხადია, რომ „ახალი ქართლის ცხოვრების“ „იშიტუტრუქი“ სხვა არა არის რა, თუ არა ვახუშტის „იშიტუტრუქ“ და იგი სავსებით დამახასიათებელი იყო XVIII ს. პირველი ნახევრის თბილისის ტოპონიმიკისათვის.

„იშიტუტრუქის“ ადგილმდებარეობის და ამ ტერმინის შინაარსის დადგენის საკითხს პირველად ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი შეეხო. მისი აზრით, „იშიტუტრუქი სომხური სიტყვაა. იგი წარმოიშვა ვახუშტიმდე ერთ საუკუნეზე ცოტა უფრო ადრე, თბილისში სომხების ჩამოსახლების დროიდან; აქ მოვაჭრე სომხებს ქვეყანაში, კომერციული მიზნით მოგზაურობისათვის, ჰყავდათ ჯორები და სახედრები, რომელსაც გამოსაკვებად გარეკავდნენ ამ მთისაკენ. სახედრების გასარეკად განკუთვნილი ადგილისაგან წარმოიქმნა

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 54: შდრ. ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, ჩუბინოვის გამოცემა, სპბ, 1854, გვ. 57.

2 ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხრ¯ბა, თბ., 1940, გვ. 172.

სახელწოდება „იშიტუტრუქი“[3]. ამრიგად, პლ. იოსელიანი თითქოს ეთანხმებოდა ვახუშტის, რომ „იშიტუტრუქი“ ეწოდებოდა მთაწმინდას და ამავე დროს, იძლეოდა ამ ტერმინის შინაარსის გაგების ცდასაც. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახეთ, პლ. იოსელიანი დაეჭვებული იყო ვახუშტის სისწორეში და მისი ეჭვი ამ მხრივ სავსებით მართებული უნდა იყოს.

პლ. იოსელიანის შემდეგ ამ ტერმინის შინაარსს არაერთი პირი შეხებია, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, რომელმაც ჯერ კიდევ 1924 წ. ამ საკითხს საგანგებო წერილი უძღვნა — „ვახუშტისეული „იშიტუტრუქისა“-თვის“[4]. წერილში ლ. მელიქსეთ-ბეგმა სავსებით სარწმუნოდ მიიჩნია ვახუშტის ცნობა „იშიტუტრუქის კლდესა შინა მთაწმიდის მონასტრის“ არსებობის ანუ იშიტუტრუქისა და მთაწმიდის იგივეობის შესახებ. ამასთანავე, ლ. მელიქსეთ-ბეგის იმდროინდელი დასკვნით, „იშიტუტრუქ“-ი მცენარის სახელია და არა სახელწოდება, სახედართა გასარეკი ადგილისა, როგორც პლატონ იოსელიანს ეგონა. თუმცა შესაძლებელია, რომ მცენარის გამო ადგილსაც უწოდეს იგივე სახელი[5].

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ამ საკითხს ისევ დაუბრუნდა. თბილისის 1500 წლისთავის სადღესასწაულო დღეებში, აზერბაიჯანის, ერევნისა და თბილისის უნივერსიტეტის გაერთიანებულ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე კიდევ უფრო კატეგორიულად გამოთქვა თავისი აზრი.

ამჟამად პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა სავსებით გაიზიარა და თავის მხრივ, დასაბუთებულად მიიჩნია პლ. იოსელიანის ის მოსაზრება, რომელიც თვით ლ. მელიქსეთ-ბეგს ადრე, როგორც დავინახეთ, არასარწმუნოდ მიაჩნდა. ლ. მელიქსეთ-ბეგი თავის საიუბილეო მოხსენების თეზისებში წერს: „Армянским же населением Тбилиси, должно быть, по нашему мнению, занесено в Грузии название Мтацминды—„Ишитутрук“ или „Ишитуртук“... Это — армянское слово, обозначающее татарник, т. е. траву, съедаемую ослами, или, место выгона для ослов“, как справедливо указывал еще в прошлом веке П. Иоселиани“[6].

ამრიგად, ლ. მელიქსეთ-ბეგს საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ მთაწმინდას სომხურმა მოსახლეობამ „იშიტუტრუქი“ ანუ „სახედრების გასა-

---

[3] П. Иоселиани, Гора св. Давида в Тифлисе, 1858, с. 3—4; Описание древностей г. Тифлиса, 1866, с. 43.

[4] იხ. „საისტორიო მოამბე“, 1924, II, გვ. 229—232.

[5] იქვე, გვ. 232.

[6] Объединенная научная сессия, Тезисы докладов, Тбилиси, 1953, с. 93.

რეკი ადგილი“ შეარქვა. ამ თავის მოსაზრების საფუძვლად იგი ვახუშტისა და პლ. იოსელიანს იმოწმებს. მაგრამ, პროფ., ლ. მელიქსეთ-ბეგს არც თავის პირველ წერილში, და არც საიუბილეო მოხსენებასა და წერილში[7] არ უცდია შეემოწმებინა ვახუშტის ცნობის სისწორე.

ამასთანავე, თავის უკანასკნელ მოხსენებასა და წერილში პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა სავსებით უყურადღებოდ დატოვა პლ. იოსელიანის სრულიად მართებული შენიშვნა, რომელიც ვახუშტის ცნობის სისწორეს ეჭვის ქვეშ აყენებდა.

პლ. იოსელიანმა მართალია გაიმეორა ვახუშტის ზემომოტანილი ცნობა, მაგრამ იქვე დასძინა· „Между тем не видно ни из древних актов и легенд этой местности, ни из устных сказаний двух народов, составлявших население города, чтобы именовали эту гору названием Вахушгия. Напротив, постоянно звали ее Мтацминдскою (მთა წმინდა), т. е. св. горою... от подворья св. Афонской горы“[8].

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანს საეჭვოდ, უფრო მეტი, არასწორად მიაჩნია ვახუშტის ცნობა სწორედ იმის გამო, რომ მთაწმინდა, მართლაც, არც ქართულ და არც სომხურ დოკუმენტებსა, ლეგენდებსა თუ თქმულებებში არსად „იშიტუტრუქის“ სახელით არ არის მოხსენებული. პლ. იოსელიანის ეს ძლიერი არგუმენტი დამაფიქრებელი უნდა ყოფილიყო შემდეგდროინდელ მკვლევართათვის. ამასთანავე, პლ. იოსელიანი, რომელიც ასეთ საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამდა „იშიტუტრუქისა“ და „მთაწმინდის“ იგივეობის შესახებ, ჩვენი აზრით, არ შეიძლება გამოდგეს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრების განსამტკიცებლად; პირიქით, იგი არასწორად მიიჩნევს ვახუშტისა და მაშასადამე, მასზე დამყარებულ მსგავს მოსაზრებებს.

ჩვენ ამჟამად არ შევჩერდებით სახელწოდება „იშიტუტრუქის“ მნიშვნელობაზე, მის შინაარსზე. ეს ჩვენი ინტერესის ფარგლებს გარეთა რჩება. ზედმეტია ლაპარაკი აგრეთვე იმაზე, რომ ამ სახელწოდებით მართლაც აღინიშნებოდა თბილისის რომელიღაც ადგილი, მიდამო. საკვლევია მხოლოდ ის, თუ რა ადგილს ეწოდებოდა იგი — მთაწმინდას თუ თბილისის რომელიმე სხვა მთას?

ამ საკითხის გარკვევაში დიდ დახმარებას გაგვიწევდა თბილისისა და მისი მიდამოების გეგმები და რუქები. მაგრამ თბილისის დღემდე გამოქვეყნებულ ჩანახატებსა თუ გეგმებში (გარდა ვახუშტისა) იში-

---

[7] „თბილისი 1500“, საიუბილეო კრებული, თბ., 1958, გვ. 37—38.

[8] П. Иоселиани, Гора св. Давида, с. 4; Тамже, Описание древностей, с. 44.

ტუტრუქი არსად არის აღნიშნული. სამაგიეროდ იშიტუტრუქის შესახებ საინტერესო მასალები მოიპოვებოდა თბილისის მიდამოების გეგმებში, რომელნიც მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივშია დაცული. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „Брульон план окрестностей Тифлиса“, შედგენილი 1800 წ.[9]. ამ გეგმაზე, რომელიც ძველ თბილისის ტოპონიმიკისათვის მრავალ საინტერესო მასალას იძლევა, საგანგებოდ ჩანიშნულია „Гора Ишитуртук“; ეს უკანასკნელი გეგმის შემდგენელს მოუთავსებია მთა თაბორის სამხრეთით, „речка Цавкиси“-ს მარცხენა მხარეს, მას ქვემოთ. ასე რომ, იშიტუტრუქს, ამ გეგმით, არაფერი აქვს საერთო მთაწმინდასთან ან მის რომელიმე ნაწილთან.

1800 წ. გეგმას მხარს უჭერს თბილისის მიდამოების სხვა, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში შედგენილი გეგმაც: „План города Тифлиса с показанием все стороны на 5 верст ситуации“[10]. გეგმა შეუდგენია მაიორ მატუშევიჩს, დაუმოწმებია პოლკ. ტიხონოვს, რომელიც ამოწმებს აგრეთვე გორის 1802 წ. გეგმის ასლს[11]. ასე რომ, თბილისის მიდამოების ეს გეგმაც 1802 წ., ან მის ახლო დროს უნდა იყოს შედგენილი.

ამ გეგმის მიხედვითაც „гора Ишитуртус“ (რაც ცხადია უდრის ზემოხსენებულ „Ишитуртук“-სა და ვახუშტის „იშიტუტრუქს“) იყო წავკისის წყლის სამხრეთით, მის მარცხენა მხარეს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სოლოლაკის მთის ქალაქისაკენ მოქცეულ დაქანებაზე. ამრიგად, ზემოხსენებული გეგმების მიხედვით, „იშიტუტრუქი“ მთაწმინდას კი არ ეწოდებოდა, როგორც ამას პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, არამედ სოლოლაკის მთის ერთ, წავკისის წყლის მარცხენა ნაპირზე, მის სამხრეთით მდებარე, ნაწილს.

იშიტუტრუქის ამგვარ განსაზღვრას სავსებით მხარს უჭერს „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზემომოტანილი ცნობა, რომელიც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს, მართალია, მოტანილი აქვს, მაგრამ საგანგებო მსჯელობის საგნად რატომღაც არ გაუხდია. ამ ცნობას კი საკითხის გასარკვევად, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეგნატაშვილს ნათქვამი აქვს: როსტომმა „მუნ ციხეშიც აღაშენა მეჩიტი, აბანოს პირდაპირ და ხეუს გამოღმა და თვისსა სასახლეშიც აღაშენა მეჩიტი. და კუალად აღაშენა ბაღი იშიტურტუქს ქუემორე და მუნცა აღაშენა მე-

---

[9] ЦГВИА, ф. ВУА. № 19807.

[10] იქვე, № 22659.

[11] იქვე, № 20584.

ჩიტი"[12]. როსტომის მიერ ჩატარებული მშენებლობის შესახებ მოგვითხრობს ვახუშტიც: „მეფემან როსტომ აღაშენა (მეჩეთი — შ. მ.) ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა თჳსსა ერთი და განჯის კართან ერთი"[13].

ამ სამი მეჩეთიდან, რომელიც როსტომს თავისი მეფობის დროს აუშენებია, ერთ-ერთი იშიტუტრუქის ქვემოთ, ბაღთან ყოფილა. ასე რომ, როსტომის მიერ აშენებულ მეჩეთთან იშიტუტრუქის მდებარეობის გარკვევა ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს დავადგინოთ აგრეთვე ისიც, თუ რომელ ადგილს უწოდებდა „ახალი ქართლის ცხოვრება" იშიტუტრუქს.

მეჩეთები, სამწუხაროდ, არა აქვს შეტანილი ვახუშტის თბილისის გეგმაში, მასზე ადრე, შარდენსაც მარტო ერთი მეჩეთი აქვს აღნიშნული. მაგრამ თბილისის შემდეგდროინდელი გეგმები ამ მხრივ მეტად საინტერესო სურათს გვაძლევენ.

თბილისის 1782 წ. ფრანგულ ენაზე შედგენილ გეგმაში 5 მეჩეთია დატანილი, ამდენივე მეჩეთია აღნიშნული აგრეთვე თბილისის 1800 და 1802 წწ. გეგმებშიც. მაგრამ როგორია ამ გეგმების მონაცემები? თბილისის 1782 წ. გეგმით პირველი მეჩეთი იყო მეფის სასახლის წინ, მეფის მოედანთან და მას იგი № 16-ით აღნიშნავს[14]. ცხადია, ეს ის მეჩეთია, რომელიც როსტომმა ქალაქის ციხიდან სასახლის მტკვრის ნაპირზე გადმოტანასთან დაკავშირებით ააშენა, ე. ი. რომელიც ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის თქმით როსტომმა აღაშენა „სასახლესა შინა თჳსსა". ამავე მეჩეთს ამავე ადგილზე უჩვენებს თბილისის როგორც 1800 წ.[15], ასევე, 1802 წ. გეგმა[16].

მეორე მეჩეთი, რომელიც ვახუშტის მიხედვით როსტომმა ააგო, იყო ციხეში, კერძოდ, „განჯის კართან". ეს მეჩეთიც ყველა ზემოდასახელებულ გეგმებს ერთნაირად აქვთ მითითებული ქალაქის ციხეში, განჯის კარის მახლობლად.

ახლა რჩება მესამე მეჩეთი, რომელიც როსტომს, ვახუშტისა და „ახალი ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ციხის გარეთ, იშიტუტრუქს ქვემოთ გაშენებულ ბაღთან აუგია ზემოხსენებული გეგმების მიხედვით. ამ მესამე მეჩეთის ადგილმდებარეობის დადგენაც ხერხდება.

---

[12] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 172.

[13] ვახუშტი, აღწერა, გვ. 53.

[14] ЦГВИА, ф. ВУА, № 22656; В. Цинцадзе, Тбилиси, 1958, таблица 13.

[15] ЦГВИА, ф. ВУА, № 26660.

[16] В. Цинцадзе, Тбилиси, 1953, таб. 14.

პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ რომელ ბაღზეა აქ ლაპარაკი და სად მდებარეობდა იგი. ქალაქის კედლებს გარეთ და კედლებს შიგნითაც ბაღები, რომლებთანაც ახლოს იდგა მეჩეთი, ვახუშტისა და თბილისის სხვა გეგმებითაც, არის მხოლოდ სოლოლაკის ბაღები, კედლებს გარეთ — მამასახლისის ბაღი, მეფის ასულისა და მეფის დისა (ვახუშტის მიხედვით), ხოლო 1782 წ. გეგმით, მეფის ირაკლისა და დედოფლისა. კედლებს შიგნით კი, იქვე, ამ ბაღების პირდაპირ (მათ მხოლოდ ქალაქის კედელი ჰყოფდა) იყო, ვახუშტის მიხედვით, ე. წ. „ბეჟანის ბაღი". სხვა ბაღი, რომელთანაც მეჩეთიც იყო, თბილისის გეგმებითა და აღწერილობით არ ჩანს. ასევე ბაღი, არც ერთი ცნობით და საერთოდაც, არ ჩანს XVIII ს. მთაწმინდის ქვემოთ; ასე რომ, მთაწმინდის ქვემოთ XVIII ს. ბაღი არ ყოფილა, რომელიც შეიძლებოდა მხედველობაში ჰქონოდა „ახალი ქართლის ცხოვრების" ავტორს. ზემოხსენებული ბაღები კი, რომლებიც, ალბათ, თავის დროზე როსტომის მიერ იყო გაცემული, მდებარეობდა სწორედ სოლოლაკის მთის დაქანების დასრულებასთან, ანუ „იშიტურტუქს ქვემორე" გაშენებული, როგორც ამას ეგნატაშვილი ბერი მიუთითებს. ეს ბაღები ვახუშტის დროისათვის მეფის ოჯახის წევრთა და კერძო პირთა შორის ყოფილა განაწილებული, XVIII ს. მეორე ნახევარში კი იგი ისევ სამეფო სახლის კუთვნილებად ქცეულა.

ამ ბაღთან, კერძოდ ბეჟანას ბაღთან, მოღნინის ეკლესიის ქვემოთ, მასა და „ლათინთ საყდარს" შორის იყო, 1782 წ. გეგმით, მეჩეთი. აქვე უჩვენებს მეჩეთს თბილისის 1800 წ. და 1802 წ. გეგმაც. ასე რომ, როსტომის მიერ იშიტუტრუქს ქვემოთ გაშენებული ბაღი და მასთან მეჩეთი სწორედ ეს უნდა იყოს და ეს კი მთაწმინდის მთის ქვემოთ კი არ არის, არამედ სოლოლაკის მთის ქვემოთ, მისი დაქანებული კალთების დასასრულთან. ამრიგად, ბერი ეგნატაშვილის ზემომოტანილი ცნობის მიხედვით, იშიტუტრუქი მთაწმინდის მთის სახელწოდებად კი არ ჩანს, არამედ სოლოლაკის მთისა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისის არც ერთი აღწერილობა და არც ერთი დღემდე ჩვენთვის ცნობილი გეგმა არ იხსენიებს და არ მიუთითებს XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში არც ბაღს, არც მეჩეთს და არც მეჩეთის ნანგრევს მთაწმინდის მთის ქვემოთ. იმ ხუთი მეჩეთიდან, რომელსაც თბილისის გეგმები იცნობს, არც ერთი მთაწმინდის ქვემოთ არ ყოფილა.

ზემოთ ჩვენ სამი მეჩეთის ადგილმდებარეობის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, შევჩერდეთ ორ დანარჩენზედაც. მეოთხე მეჩეთი აგებული იყო მეტეხის (ავლაბრის) ხიდის ყურეში. აქ მიუთითებს მას თბილისის ყველა ზემოდასახელებული გეგმა. მეხუთე მეჩეთი კიდევ, ზე-

მოხსენებული გეგმების მიხედვით, იდგა სომხურ ეკლესიებს — სააკაშენსა და ნომაშენს შორის, მექვაბეთა დუქნების გვერდით. როგორც ვხედავთ, მთაწმინდასთან, მის ქვემოთ არც ერთი მეჩეთი ან მისი ნანგრევი არასოდეს ყოფილა. ყველაფერი ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს თბილისის მიდამოების 1800 და 1802 წწ. გეგმების მონაცემებს იშიტუტრუქისა და სოლოლაკის მთის ერთი ნაწილის იგივეობის შესახებ.

ამასვე ადასტურებს თვით ვახუშტის სხვა ცნობაც, რომელიც ასევე უყურადღებოდ, განხილვის გარეშე დატოვა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა. ვახუშტი თავის „საქართველოს ცხოვრებაში" წერს: „მაშინ ციცი წარმოვიდა ტფილისს აბანოდ და დახუდენ იშიტუტურქის ხიდს ზეით ფარსადან, პაატა, ვახტანგ, ნოდარ და ამილღაბარ ძმანი, მოჰკლეს ციცი და ივლტოდნენ მამულსა თჳსსა"[17]. როგორც ვხედავთ, თბილისში იშიტუტრუქის სახელწოდებით იყო არა მარტო მთა, არამედ ხიდიც. მაგრამ სად იყო ეს ხიდი?!

თბილისის ხიდების შესახებაც გვაქვს ზოგი ისეთი ცნობა, რომელიც იშიტუტრუქის ხიდის ადგილმდებარეობის დაზუსტების შესაძლებლობას ქმნის. XVII—XVIII სს. თბილისში მტკვარზე გადებული ერთადერთი, ავლაბრის ანუ მეტეხის, ხიდს გარდა იყო სხვა, შედარებით მცირე, მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვანი არაერთი ხიდი. მაგ., XVII ს. შუა წლებიდან თბილისის გარეუბანში, მდ. ვერეზე იყო აგურის ხიდი, რომელსაც მისი ამშენებლის ბეჰბუდას გამო „ბეჰმუდას ხიდს" ეძახდნენ. საკუთრივ ქალაქში კი მცირე ქვითკირის ხიდი იყო ავანაანთ ხევზე (დღევ. ბარათაშვილის სახ. ხიდის მახლობლად), აქვე ან უკეთ მასზე იყო ქალაქის ერთ-ერთი კარი — წყლის კარი. ხიდი იყო აგრეთვე განჯის კართან, წავკისის ხევზე; მეოთხე მცირე ხიდი აბანოებთან იყო ისევ წავკისის ანუ დაბახანის ხევზე. მას „ციხის ხიდს" უწოდებდნენ. ამ ხიდით უერთდებოდა აბანოების უბანი კალას. მეხუთე, პატარა ხიდი კიდევ, ვახუშტის მიხედვით, ისევ წავკისის ხევზე, კოჯრიდან და კუმისიდან მომავალ გზაზე, სოლოლაკის მთის ხევში, პარტახტიდან არც ისე მოშორებული იყო. მას ვახუშტი თავის გეგმაზე „ოქონაანთ ხიდის" სახელით იხსენიებს. ამ ხიდებს გარდა, თბილისის აღწერილობანი და გეგმები სხვას არ უჩვენებენ. ამათგან კი, როგორც ვხედავთ, არც ერთი არ არის მთაწმინდასთან დაკავშირებული, რომ აქ აგებულ ხიდს მისი სახელი მიეღო. გასაგებიცაა, მთაწმინდაზე ან მის მახლობლად ხიდის საჭიროება არ იყო და, ცხადია, არც შეიძლებოდა იქ ხიდი ყოფილიყო.

ზემოხსენებულ ხიდთაგან კი, როგორც მათი ადგილმდებარეობი-

---

17 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 87; ქ. ცხ-ბა, ნაწ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 57.

დან ჩანს, „იშიტუტრუქის ხიდი“ შეიძლებოდა წოდებოდა ან აბანოებთან არსებულ ხიდს და ან კიდევ სოლოლაკის ხევში გამავალ წავკისზე გადებულ ხიდს. ასე რომ, „იშიტუტრუქის ხიდი“ შეიძლებოდა ყოფილიყო მეორე სახელი ან „ციხის ხიდისა“ ან კიდევ, რაც უფრო საფიქრებელია, „ოქონაანთ ხიდისა“. მთავარი ისაა, რომ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, იშიტუტრუქი მაინც თაბორთან და სოლოლაკთან არის დაკავშირებული და არა მთაწმინდასთან.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიაც, ე. ი. თვით ვახუშტისავე ცნობის მიხედვითაც, იშიტუტრუქი მთაწმინდას კი არ ეწოდებოდა, არამედ სოლოლაკის მთას, რომლის ერთ ნაწილსაც თაბორი შეადგენდა.

ყველა ზემომოტანილი მასალის (თბილისის გეგმების თუ წერილობითი წყაროების) ანალიზი ერთხმად ამტკიცებს, რომ იშიტუტრუქი მთაწმიდის სახელად არ შეიძლებოდა ყოფილიყო. განა წარმოსადგენია, რომ ადრე შუა საუკუნეებიდან თბილისის ქრისტიან მოსახლეობაში წმიდად მიჩნეული, მთაწმიდად წოდებული ადგილისათვის ქრისტიანულსავე მოსახლეობას „სახედრების გასარეკი ადგილი“ ეწოდებინა?!

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იშიტუტრუქი სოლოლაკის მთისა თუ მისი ერთი ნაწილის სახელწოდებაა მხოლოდ. სამწუხაროა ოღონდ, რომ ვახუშტის ცნობის არასწორ ინტერპრეტაციაზე დამყარებული ეს შეცდომა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ არაერთხელ იქცა მეცნიერული მსჯელობისა და მტკიცების ობიექტად და რომ ამ შეცდომამ თავისი სამწუხარო შედეგები პოვა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილის უკანასკნელ (იხ. გვ. 665) მეცნიერულ კრიტიკულ გამოცემაშიც.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართველი მოღვაწენი ძველი თბილისის შესახებ

ძველი თბილისი, მისი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება თუ გარეგანი სახე ყოველთვის იქცევდა მნახველთა ყურადღებას და ამიტომაცაა, რომ მის შესახებ, უკვე VI საუკუნიდან, საინტერესო ცნობები მოგვეპოვება, განსაკუთრებით, უცხოურ მწერლობაში. იმ დროიდან მოკიდებული ცნობები თბილისის შესახებ თანდათან მრავლდება. თუმცა ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ამ მხრივაც, ვახუშტი ბაგრატიონამდე, შედარებით ღარიბია. ამას გარდა, ის მცირე ცნობებიც კი, რომელიც ქართველ მოღვაწეებს მოეპოვებათ ჩვენი დედაქალაქის შესახებ, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის ყურადღებამიქცეული, უმეტესი მათგანი არ გამოქვეყნებულა და, ბუნებრივია, სამეცნიერო ლიტერატურაშიც არაა გამოყენებული. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ჩვენი წინამორბედები უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ თბილისის შესახებ უცხო ავტორთა ცნობების შეკრებას, ვიდრე ორიგინალური ქართული წერილობითი თუ სხვა ხასიათის ცნობების თავმოყრას. ამ უკანასკნელთ კი მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის და ამიტომაც შევეცადეთ, რომ ზოგი მათგანი მაინც მივაწოდოთ ჩვენს საზოგადოებას.

* * *

საინტერესო ცნობები ძველი თბილისის შესახებ მოეპოვება XIX ს. პირველი ნახევრის ცნობილ ქართველ ისტორიკოსს თ ე ი მ უ რ ა ზ გ ი ო რ გ ი ს ძ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ს (1782—1845).

თბილისის მოკლე აღწერა, ანუ „უჭეშმარიტესი უწყება ტფილისისათჳს“, როგორც მას თვით თეიმურაზი უწოდებს, დაწერილია საგანგებოდ მ. ბროსესათვის. თეიმურაზ ბატონიშვილი ამის გამო 1838 წ. ბროსეს წერდა: „უფალო მეგობარო ჩემო ბროსეტ! გუშინღამ რომ თქვენთან ვიყავ, რაც ლაპარაკი მესმა ამისთვის, რადგანაც ჟურნალში

აწერინებთ სენკოვსკის სიტყვის საგებელს, პირველად ეს ტფილისი-სათჳს აღწერა ჩემ მიერ მიიღე და რასაც პასუხს უგემთ, ეს ჩაურთე ჩემგან დაწერილი იმაში.

მე ამას გთხოვთ, რომ მანამ სამცხე-საათაბაგოს, კახეთისათვის მცირე შემეცნება ჩემ მიერ აღწერილი არ წარიკითხოთ, უიმისოთ ნუ უპასუხებთ და ეგრეთვე ივერიისათვის მოგართმევ მცირედს აღწერას, დღეს ერთს, კიდევ სხვას რვეულს მოგართმევ და თუ მოვასწარ სრულიად დღეს.

რადგანაც ამდენი შრომა მიიღე, ქართველები მოიმადლე ასე ქენ, ვინც საქართველოზედ ცუდებსა სწერს და ტყუილის ზღაპრებით უნდათ, რომ საქართველოს შეურაცხჰყონ, რომ იმაზე თქვენ მძლეველად გამოსჩნდეთ, მეც შემიწივე და უჩემოთ პასუხს ნუ მისცემ. ეს ჩემი წერილი კარგა გასინჯე და პასუხი ისე მიეც, არ შეგაცდინოსთ...

მე მსურს თქვენმა შრომამ ცუდათ არ ჩაიაროს და საუკუნოდ ქართველნი შენნი მადლობელნი ვიყვნეთ. ისე ამგვარნი სხვას გრძნობას მოგვცემს ქართველთა.

უმდაბლესად მეფის ძე თეიმურაზ“.

როგორც ვხედავთ, თ. ბაგრატიონის წერილი თბილისის შესახებ, ისე როგორც სხვა წერილები — სამცხე-საათაბაგოზე თუ კახეთსა და ტერმინ „ივერიაზე“, — საგანგებოდ იყო დაწერილი: თეიმურაზს სურდა დახმარება აღმოეჩინა მ. ბროსესათვის, რათა მას სათანადო პასუხი გაეცა საქართველოს ისტორიის გამყალბებლისათვის, საერთოდ და, კერძოდ, სენკოვსკისათვის. ამ უკანასკნელმა იმ დროს გამოაქვეყნა ქართველი ხალხის წარსულის გამყალბებელი და შეურაცხმყოფელი წერილი სათაურით: „Некоторые сомнения касательно истории грузинов“ (იხ. Библиотека для чтения. ტ. XXX), რომელმაც სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია იმდროინდელ პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებში. როგორც თვით თ. ბაგრატიონის წერილიდანაც ჩანს, განსაკუთრებით აღშფოთებული იყო საქართველოს ისტორიის მკვლევარი და საერთოდ ქართველოლოგიის იმდროინდელი სახელოვანი წარმომადგენელი აკად. მ. ბროსე და მასთან შემოკრებილ ქართველ მოღვაწეთა წრე. მ. ბროსემ სათანადო პასუხი გასცა სენკოვსკის. საპასუხო წერილის შედგენაში მას, როგორც ჩანს, დახმარება აღმოუჩინა თეიმურაზ ბაგრატიონმა.

ზემომოტანილ წერილთან ერთად თეიმურაზს 1838 წ. 4 ნოემბერს მ. ბროსესათვის გაუგზავნია თავისი სტატია — „უჭეშმარიტესი უწყება ტფილისისათჳს“, ხოლო 5 ნოემბერსა და მომდევნო დღეებში — „შემეცნება ზემო-ქართლისა ქვეყანათა, რომელ არს სამცხე-საათაბაგო“ და „ივერია — სახელის დებისათვის სრულიად ყოვლისა ზემო-

ᲐᲡᲐ და ქვემოᲐᲡᲐ საქართველოᲐᲡᲐ". ეს წერილები ამჟამად დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მ. ბროსეს არქივში (156$_{118}$). ამათგან, ქარაგმების გახსნით, თეიმურაზისეული მართლწერისა და სასვენი ნიშნების დაცვით, ვაქვეყნებთ მის პირველ წერილს.

უჰეშმარიტესი უწყება ტფილისისათჳს

ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლანისა იყო მცირეს სოფლებად დაყოფილი, ესე იგი: 1. კ ა ლ ა. ეს ადგილი არს ტფილისის გალავანს გარეთ, გარეთ უბანს რომ უწოდებენ იქა, სადაც მცირედი საყდარიცა არს წმიდის გიორგისა, რომელსაც სახელედების წმიდა გიორგი კალო[1] უბნისა. ეს მცირედი საყდარი ტფილისის აღშენებას ადრევე ყოფილა. ამ საყდარს ჰქონდა გარეშამო გალავანი[2] ოთხკუთხედ მოვლებული. თიხის ბურჯით და ნიშნათ იყო დარჩომილი, რომ რაც მას გალავანში ხალხი დაეტეოდა ეგოდენი ხალხი მდგარა ტფილისის აღშენებას უწინ. რომელ იმ ეკკლესიის გარეშამო მცხოვრებელთ ახლაც რომ ჰკითხოთ ამას ასე მოგითხრობენ, რომ ტფილისის აღშენებამდის იქ ქართველები მდგარან და ის პატარა საყდარი წმიდის გიორგის მაშინვე ქონიათ. გალავანი.

2. [მეორე] სოფელი აბანოების ჯევს გაღმა. ყოფილა, სეიდაბადის ბაღები რომ არის იქ ტფილს წყლებს ახლო და იმ სოფელს ტფილისი ჰრქმევია და იქაც მცირედნი ქართველები მდგარან.

3. მესამე სოფელი მტკვრის გაღმა ყოფილა ა ვ ლ ა ბ ა რ და ჰისანის კლდეცა მაღალი მუნვე არს, რომელთა ზედა საქართველოს მეფეთ სასახლე იყო ძველათ და ეკლესია დიდი ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისა ახლავ არს დიდის თლილის ქვებით ნაგები მეფეთ კარის საყდარი. ტფილისის აღშენებას უწინ ავლაბარში მდგარან მცირედნი ქართველნი და სოფელი ყოფილა.

ეს სახელი ა ვ ლ ა ბ ა რ ი ქართული რთული სახელი არის, ე. ი. ავლა ნიშნავს ძირის ადგილიდამ მაღლა ასვლას, ბარი ნიშნავს მდაბალს, ვაკესა და ტფილს ადგილს, ე. ი. მთა და ბარი...

და ყოველნი გარემონი ტფილისისადმი ქართულისა სახელითა იწოდებიან, ე. ი.

1. ვ ე რ ა უკუთქმითი ქართული სახელი არს.

2. კ ა ლ ა კალო, პურის სალეწი ადგილი.

---

1 კალა ნიშნავს ქართულად კალოს, ე. ი. „პურის სალეწავს ადგილს".

2 „მე თვით მინახავს იგი გალავანი თვალითა ჩემითა. ვეჴობ ახლა კი მოშლილი იყოს და საყდარი კი ისევ არს. მეფის ძე თეიმურაზ".

3. ქ ვ ა შ ვ ო ე თ ი ქვის მშობლობას ნიშნავს (ამაზედ ანეგდოტია თქმული სიგრძისათვის ახლა არ აღვსწერ).

4. მ თ ა წ მ ი დ ა.

5. ლ უ რ ჯ ი მ ო ნ ა ს ტ ე რ ი.

6. ა ვ ლ ა ბ ა რ ი (ვითარცა ზემორე განიმარტა).

7. კ უ კ ი ა: დაკუკებული ანუ წამომჯდარი.

8. დ ი დ უ ბ ე ფართო უბე ანუ წიაღი.

9. მ ა ხ ა თ ა მეხთა ადგილი, მაღალი და უნაყოფო ადგილი არის გოგირდიანი და გვარჯელიანი მიწა და ქუხილის ჟამს მეხი იცის.

10 ორთა ჭალა ორად გაყოფილი მდინარეთა საშუალო ჭალაკი.

11. შავნაბადა ეს ადგილი თბილისზე მოშორებით არის. ზღაპრობენ ძველად იქა გმირი ვინმე მდგარა შავნაბად შემოსილი ანუ ღარი სხმული და სხვანი.

ტფილისი ხომ სიტფოს გამო რომ ცხელი ადგილი არის, ეწოდება ანუ მუნ გამომდინარეთა ტფილთა წყალთა გამო.

დასაბამითგან სოფლისათა ტფილისის არაოდეს არ ყოფილ არს ქალაქი და არც სომეხთა ადგილი. ტფილისი ქალაქად პირველად აღაშენა დიდმან მეფემან სრულიად ივერიისა მპყრობელმან ვახტანგ გორგასლანმან ქრისტესით მეხუთე საუკუნეში და სამეფო ტახტი მცხეთიდამ მუნ გარდაიტანა. ამას, სრულიად საქართველო რომ მოელო და, არამც თუ სწავლულს კაცს, გლეხსაც რომ ჰკითხო და მენახირესაც, მაშინვე მოგითხრობს ტფილისის აღშენებას პირველად ვახტანგ გორგასლანისაგან და ეს სრულიად საქართველოში მცირემ ყრმამაც იცის და წიგნით ხომ თქვენც იცით. და მანამდის სომეხთა მეფობა აღიხოცა ტფილისში ერთი კომლიც არ მდგარა სომეხი და მერმე რომ დაირღვა სომხეთის სამეფო, საქართველოში საქართველოს მეფეთ მისცეს ნება და შემოიყვანეს სომხები, რადგანაც დაეცნენ მეზობლების მიზეზითა ტფილისისათვის ეს საკმაო არის და 1. ივერიის წოდებისათვს, 2. სამცხე-საათაბაგოსათვს და 3. კახეთისათვს დღეს და ხვალ უთუოდ მოგასწრობთ და მოგართმევთ".

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის არც ისე ვრცელ წერილში აღძრული მრავალი საკითხი მას ყოველთვის სათანადო სისრულით და სწორად არა აქვს გადაწყვეტილი და განმარტებული, იგი მაინც ყურადღებას იმსახურებს. საინტერესოა თეიმურაზის დაკვირვებები თბილისის ტოპონიმიკურ მასალებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი მათს განმარტებებში ყოველთვის სწორი ვერ არის. მაგ., ცდება თეიმურაზი, როცა მას „ავლაბარი" ქართული წარმოშობის სიტყვა ჰგონია და ამ სიტყვას ქართულ შედგენილ, რთულ სახელად მიიჩნევს; ასევე საეჭვოა ზოგი სხვა მის მიერ მოცემული ეტი-

მოლოგიაც, მაგრამ ყველაფერი ეს დიდად არ ამცირებს თვით ამ წერილის მნიშვნელობას, არ ცვლის მის ძირითად მიზანს, რომ თბილისი გაცილებით ადრე იყო დასახლებული ქართველი ტომებით, ქართველებით, ვიდრე აქ ქალაქი გაჩნდებოდა და რომ ვახტანგ გორგასალმა პირველად „აღაშენა ტფილისი ქალაქად“.

საინტერესოა აგრეთვე თეიმურაზის ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგ გორგასალის მიერ თბილისის ქალაქად აღშენებას ადასტურებს არა მარტო წერილობითი წყაროები, არამედ „სრულიად საქართველოს“ ყოველი მცხოვრები, „ხალხი, სწავლული თუ უსწავლელი“.

* * *

ძველი თბილისის შესახებ კიდევ უფრო საინტერესო ცნობები მოეპოვება XIX საუკუნის, არსებითად მისი პირველი ნახევრის, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ცნობილ წარმომადგენელს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს (1802—1869). იგი მრავალმხრივი მოღვაწე და საინტერესო პიროვნება იყო. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანს ისტორიული ხასიათის მნიშვნელოვანი შრომებიც მოეპოვება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს ქალაქთა აღწერებს, რომელთა დიდი უმეტესობა ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი და გამოქვეყნებული არ არის.

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის მრავალრიცხოვან და საინტერესო მოგონება-აღწერილობათა შორის ჩვენს ყურადღებას ამჟამად იქცევს მისი თბილისის აღწერა, რომელიც, სამწუხაროდ, დასრულებული არ არის და აგრეთვე უთარიღოა.

თბილისის აღწერა დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის არქივში (ფონდი 1634, ფურც. 56—59). აღწერას ვაქვეყნებთ უცვლელად, ალ. ორბელიანის მართლწერის დაცვით.

ძველი მოზღუდვილობა ქ. ტფილისისა

როგორც ჩემ ყმაწვილობით მახსოვს საქართველოს დედაქალაქის ტფილისის მცხოვრებნი იდგნენ ოთხკუთხედიან დიდს ქვითკირის გალავანს შუა, რომლისაცა იმ გალავნის კედელს უნდა ჰქონოდა მგონია სამიდგან ოთხ საჟენამდის სიმაღლე და სიგანე ერთი ანუ მეტ-ნაკლები.

ჩრდილოეთის მხრიდან სამხრეთის კედლამდისინ სიგრძე უნდა ყოფილიყო ერთ ვერს ნახევარი ანუ მეტ-ნაკლები და სიგანე აღმოსავლეთის მხრიდგან ვიდრე დასავლეთის კედლამდისინ, ერთ ვერსზე კიდევ მეტ-ნაკლები.

ამ მოზღუდულობას ანუ ამ ქალაქს ჩამოუდიოდა აღმოსავლეთისაკენ მკვირცხლი მდინარე მტკუარი, თუმცა ახლაც იმ სახით ჩამოუდის, მაგრამ რადგან ვრცელი შეიქნა ქალაქი და გაიშალა ყოველს მხარეს მოსახლენი, ამისგამო სხუა სახე მიეცა.

დასავლეთით ამ გალავნის კედლის ძირში იყო თხრილი, კარგა მოღრმო და მინდორი წინ გაშლილი, სადაც ბოლოს ჟამს ბაღები გაეკეთებინათ და მინდორი მაგდენი აღარა ჰქონდა. ისიც ქოხმახებით აშენებული ზოგიერთის მცხოვრებისაგან, რომლებშიაც სცხოვრობდნენ მოსახლენი.

ჩრდილოეთის მხრისაკენ მიდგმული ჰქონდა ეგრეთივე კედელი ეგრეთივე თხრილი და მინდორი წინ ეშალა კარგათ დიდი, სადაც ქალაქ ტფილისის მცხოვრებნი თუ მოსულნი ერნი დამდგარიყვნენ, ბევრი მგონია მეფის ირაკლის მეორისა დროსა, მაგრამ სწორეთვე ვერ დავამტკიცებ ამას.

ხოლო სამხრეთის მხარე (ამაზე ზევითაცა ვთქვთ, მაგრამ ისე გაკვრით) შეივლის კლდიანი მთა მაღალი; იმის წვერზედ რომ დადგება კაცი, იქით მხარეს ფრიალოა ღრმა ხევ-ველად, რაზედაც გავლებული იყო განიერი და მაღალი კედელი, რომელსაცა ამის თავსა და ბოლოსა ჰქონდა სიმაგრენი დიდი დასავლეთის მხარეს კლდეზედ, უფრო ნაკლები სიმაგრე თავის ბურჯებითა და აღმოსავლეთის კედელზედ, დიდრონი ბურჯები თავ თავის დიდრონი მაღალი კოშკებითა, საიდგანაც დიდი შენობა ესე, ორ ტოტად ჩამოივლიდა — ერთი ქალაქის მხარეს ქალაქს ჩამოებჯინებოდა და მეორე, პირდაპირ მტკვარისა, რომელშიაც გავლებული იყო შიგნით კლდეში გრძლად ამოკვეთილი ხვრელი ზევით მაღლა მთიდგან ვიდრე მტკვარამდის. მე ეს ხვრელი არ მინახავს, მარა ასე უთქვამთ.

აქ ვიწროთ მოსჩქეფს მტკვარი, რომელზედაც დადებულია ხეფიცრისა ხიდები ქვითკირის კედლებზე; ერთია მეფის ირაკლის დროინდელი ხიდი, ძველს ნახიდურზე გამდგარი და მეორე, ამის ცოტა ზევით, ჩრდილოეთის მხარეს, ეგრეთვე ხე ფიცრისა ღენერალის ერმოლოვის ბრძანებლობით აშენებული.

მეფის ირაკლის დროინდელს ხიდზე რომ გახვიდოდით და პატარას წაივლიდით ზევით შარა გზაზე დაგვხვდოდათ ალაყაფის დიდი კარები, მტკვრის პირის მახლობლად მომაღლოზედ, რომელსაც სამხრეთის მხარისაკენ მობმული ჰქონდა განიერი და მაღალი კედელი და

ეს კედელი იქვე კარებთან კლდეზე აივლიდა კარგა მაღლა და როდესაც კოდის დასასრულზე დადგებოდით იქ ნახავდით მომგრლოს ორმოსა კალოს ოდენას, გასწორებულს კლდესა, რომელსაცა გადმოჰყურებს მტკვარს მდინარეს ზევიდგანა და მთელს ქალაქსაცა. იქ იმ კლდეზე მეფის ვახტანგის გორგასლანის ეკლესია არის ღვთის მშობლის სახელზედ იმისაგან აშენებული.

ამ ეკლესიის მახლობლათა კლდეზედ იყო შენობაში ქვითკირისა მომგრალოთ მოყვანილი მაგარის ბურჯებით გამაგრებული და შიგნით გალავანში კომლეული მოსახლენი იდგენ, ვგონებ სამოცამდი ანუ სამოცდაათამდისინ. აქედგან ამ ალაყაფის კარებიდან შეივლის ანუ შეივლიდა გზა აღმართად და როდესაც ახვიდოდით ანუ ახვალთ იქ გაივაკებთ მინდვრად სადაც იმ ვაკეზედ დგანან დღესაც ნაწილი ქ. თბილისისა რომელსაც ჰქვიან ავლაბარი (ეს ორი სიტყვაა ავლა-ბარი) რომლისთვისაცა ერქუა იმ კარებსა ავლაბარის კარები. ამ ერთიანს მოვლებულსა გალავანსა ჰქონდა ხუთი ალაყაფის კარი რკინისა და წინ ფიცრები ხიდები გადებული თხრილებზედა ანუ კლდიანის ხეზედ — ერთი ჩრდილოეთის მხარეს, ორი დასავლეთით, ერთიც მდინარე მტკვრის გაღმა, რომელიცა ზევით ითქუა იმისი ანბავი და მეხუთე, მხარეთ აღმოსავლეთისაკენ, კლდიანის ხევის პირზედ, სადაც ამის გაღმა, სასიამოვნო ტფილი აბანოებია ქვიტკირის ტალახებით შეკრული.

ამ ალაყაფის ხუთსა კარსა ერქუა ეს სახელი: ჩრდილოეთის კარებს წყალის კარი ამისთვს რომ მტკვარზედ მახლობლად იყო; დასავლეთის ჩრდილოეთის მხარისა კარებს დიღმის კარი; დიღმის ხეობასა გაჰყურებდა და ამისთვს ერქუა. ამის მხარესა დასავლეთის კარებს კოჯრის კარი. ეს კარები კოჯრის მთისაკენ მიმართული იყო და ამიტომ უწოდებენ კოჯრის კარსა. პირდაპირ აბანოების კარსა განჯის კარი, რადგან განჯიდგან და ქვემოდგან იმაზე მიდიოდნენ მგზავრნი, ამის გამო უხმობდნენ ამ სახელსა. მტკვრის გაღმითი კარებისა ზევით ითქუა. რომელსაც გაყოფს მტკვარი ქ. ტფილისსა და ავლაბარს და რასაცა უწინდელს დროში მტკვრის გაღმითსა უწოდებდნენ კახეთად და გამოღმით ქ. ტფილისისაკენ ქართლად.

ასე ერთიანი მოზღუდულობა შემუსრა მთავარმმართებელმა ღენერალ ერმოლოვმა 1824 თუ 1823-ს წელსა. იმის დაქცეული აგურები შტაბის სასახლეს რომ აშენებდნენ იმას მოახმარეს. მაგრამ არა მგონია შტაბის სასახლის აშენებისათვს დაექციოთ. ბოლო დროს დაქცევის მიზეზისა ჯმა გამოვიდა: ასეთი მშვიდობა მოახდინა ღენერალ ერმოლოვმა, რომ საჭიროდ აღარა რაცხდა საქართველოში ციხეებსაო. თუ მართლა მიზეზი ეს იყო დიდი შეცდომილებაა — ქალაქის გარშემო გალავანი, რომ დაექცია ქალაქის გავრცელებისათვს შესაბამი იყო, მაგ-

რა ის დიდი შენობები იმ აღმოსავლეთის კლდეზედ ვინ დააქცევდა ანუ რომლებმა შემოსულთა დიდთა მტარვალთ დააქციეს, რომ იმ განათლებულმა ღენერალ ერმოლოვმა იკადრა იმისი შემოსვრა?

მსწავლულო მეცნიერებო! ის დანარჩენი ნახეთ იმ ციხისა სწორის თვალებით შეხედეთ თუ იმ დანარჩენმა კიდევაცა არ გაგაკვირვოსთ.

ტფილისის შუა ქალაქის მტკვრის პირზედ ყოფილა დიდი სასახლე მეფეებისა (აღამახმადხანის ჯარს დაეწოთ სულ ერთიანად) ოთხი, სამი, ორი და უკანასკნელი ერთი ატაჟა. ამ გამოჩენილის შენობასა მეტად თურმე აშვენებდა მომცრო ასპარეზი სამხრეთისა მხარისაკენ. იქვე სასახლის ეზოს მიბმული, სადაც ასპარეზის დასასრულში იყო, მაღალი და განიერი ტრიუმვარის კარები ქვითკირისა, რომელსაცა უწოდებდნენ ნაღარახანად და ქოს-ნაღარასა, სადაც შეკრბებოდნენ დიდნი და მცირედნი გულოვნები...".

როგორც ვხედავთ, თბილისის ეს საინტერესო აღწერა დასრულებული არ არის. ის მხოლოდ ნაწილი ჩანს იმ შრომისა, რომელიც სურდა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს თბილისისათვის მიეძღვნა.

ჩვენი ცდა ალ. ორბელიანის მდიდარ არქივში მიგვეკვლია ამ აღწერილობის გაგრძელებისათვის ამაო აღმოჩნდა.

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის თბილისის „ძველი მოზღუდვილობის აღწერა" საინტერესო ჩანს. აღსანიშნავია, რომ აქ მოტანილი ცნობები კედელთა სიმაღლისა, სიგრძისა, თბილისის კარების, თხრილებისა და სხვ. შესახებ, სხვა მსგავსი მასალებითაც დასტურდება.

ყურადღებას იქცევს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის საყვედური თბილისის ციხე-სიმაგრის ნაწილის უმიზეზოდ მოშლის შესახებ XIX ს. 20-იან წლებში. ეს იქნებ, არცთუ გამართლებულიც იყო: ქალაქის ზრდა, ბუნებრივია, როგორც ალ. ორბელიანსაც აქვს აღნიშნული, იწვევდა ქალაქის კედლების, გალავნის მოშლას...და ეს ასეც მოხდა. XIX ს. პირველ ნახევარში თანდათან მოიშალა ქალაქის კედლები და კარები, სწორედ იმ მიმართულებით, საითკენაც ქალაქი იზრდებოდა. მაგრამ ქალაქის ციხე-სიმაგრე, რომელიც ცალკე, თბილისის მთებზე იყო მიმართული, ქალაქის ზრდას ხელს არ უშლიდა (ისე როგორც დღესაც) და, ცხადია, მისი დარღვევა ქალაქის ბუნებრივი ზრდა-განვითარებით არ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი...

განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობა „მაღალი და განიერი ტრიუმვარის კარების" არსებობის შესახებ მეფის მოედნის (დღევ. ერეკლეს მოედნის) დასასრულს, სასახლის ეზოს დასაწყისთან. ალ. ორბელიანის ცნობით, იგი ქვითკირისაგან ყოფილა ნაგები და მას ნაღარხანას უწოდებდნენ. ცნობა თბილისის ნაღარხანის შესახებ ჩვენ სხვაგანაც მოგვეპოვება, მაგრამ მისი ამგვარი

აღწერა, ასევე მეფის ნაღარხანის და „ტრიუმფალური კარების“ იგივეობის შესახებ პირველი ცნობა, თუ არ ვცდებით, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანს უნდა ეკუთვნოდეს.

საინტერესო ცნობა მოეპოვება ალ. ჯამბაკურ-ორბელიანს აგრეთვე თბილისის მოედნების შესახებაც. ეს ცნობა, რომელიც არ წარმოადგენს თბილისის ზემომოყვანილი აღწერის გაგრძელებას, დაცულია მის ხელნაწერ ნაშრომში: იხ. საქ. მუზ. ფ. 1646(ა) „გიორგი მეთორმეტე უკანასკნელი მეფე საქართველოსი და მისი შეერთება რუსეთთან (ამის მთხზველის დუბროვინის მიმართ პასუხი)“. ამ მრავალმხრივ საინტერესო წერილში ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი შემთხვევით ახსენებს „სალაყბოს“ და ამასთან დაკავშირებით იქვე შენიშნავს: „სალაყბო და ბატონის მეიდანი ერთათ იყო. ჩრდილოეთისაკენ სალაყბო ერქო და სამხრეთისაკენ ბატონის მეიდანი. აღა მამად ხანის მოსვლის დროს იმ სალაყბოზედ მეფის ირაკლის შენობა იყო ზარბაზნების ჩამოსასხმელი, რომელიცა ყიზილბაშებმა ჯერ სრულიად დაწვეს და მას უკან დააქციეს. სადაც განიერი ვაკე ადგილი გამოჩნდა, რომელზედაც ამ რუსობის დროსა თავადაზნაურობა შეიყრებოდა და ყველანი თავთავისად ლაპარაკობდნენ და რომელსაც ამ ლაპარაკის გამო დაერქვა იმ ადგილს: სალაყბო.

თუ იქ იყვნენ: სალაყბოზედ ვიყავითო, და თუ ქვემოთ: ბატონის მეიდანზედაო. ძველს დროში კი მხოლოდ ერთი ბატონის მეიდანი იყო ხოლმე შესაკრებელი, მაშინ სალაყბო არ იყო. სიტყვა ბატონის მეიდანი ანუ მეფის მეიდანი სულ ერთია, რომლებიცა ჩვენი ხალხი მეფეს ბატონსაც ეძახდნენ ძველიდგანვე“ (დასახელებული ფონდები, გვ. 16).

* * *

დასასრულ, აქვე გვინდა მოვიტანოთ ერთი ძველი ლექსი თბილისის შესახებ, რომელიც აღმოჩნდა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ქაღალდებში (იხ. 1635 /გ) და რომელიც ხელმოწერილია ზაალ ზაალოვის მიერ. როგორც ჩანს, ლექსი ეკუთვნის ქართული ლიტერატურის ახალი პერიოდის, XIX ს. 50—70-იანი წლების მოღვაწეს, ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომელს ზაალ ზაალის ძე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს (მის შესახებ იხ. ჟურნალ. „ცისკარი“, 1873 წ., № 1, გვ. 5—6). როგორც ჩანს, ზაალ ბარათაშვილი (ზაალოვი) გარდაცვლილა 1872 წ. მიწურულს. ივ. კერესელიძემ მას საგანგებო ლექსიც უძღვნა, სადაც ზაალ ბარათაშვილს იგი „ნამდვილ ქართველს“ უწოდებს, რომელმაც „სოფლის ტანჯვით აღამადღენდა“, და რომელსაც „თავს გადახდა მრავალი სენი“.

ზაალ ბარათაშვილის ქვემომოტანილი ლექსი გამოუქვეყნებელია, მას არ ახლავს დაწერის თარიღიც.

„ქ. ტ ფ ი ლ ი ს ი.

ტფილისო დედა ქალაქო შემკულო ყოვლის ფრითაო,
გარემო ბაღი ბაღჩანი ამაღლებულის მთითაო,
უძველეს ყოვლის სოფლისა წელობით დიდის ხნითაო,
ვის ძალუძს ღირსად შეგამკოს გამომეტყველსა თქმითაო.
სხვანი სხვას ალამს აქებენ ულირს არიან ქებისა
შენს მსგავსსა რასა ჰპოებენ რათა აქვსთ ენა თნებისა
შენსას არ ჰყოფენ ხსენებას უსმენნი ჩემის ცნებისა
ვის არ უყვარხარ გაწუნოს იგიმცა დაიმხებისა.

რა შეგედრება სიკეთით, ხარ ყოვლად განათლებული,
ვითა მზე ქვეყნის მნათობი, ეგრეთ შენ ლამპრად ნთებული,
ჩვენს ქვეყანას ვინ გესწორვის, რომ შენ ხარ განდიდებული,
რაც ქვეყნისთვის საჭირო არს, ყოველითა ხარ აღსებული.

გარემო შენსა გივიან ბაღნი მინდორნი და ველნი,
ზაფხულით მუნ მიივლტვიან ქალნი ჭაბუკნი მხცოველნი,
მუტრიბითა და ჩანგთა ბარბირთ ხმიანობისა მპოველნი,
რას სიამოვნით სტკბებიან მუნ მსმენნი კაცნი ყოველნი.

პირველ მეფეთა სამყოფი და სადგური იყო ესა,
შემდგომ მათსა მთავრობამა მმართებლობა აქ აწესა.
ამას სხვა ქალაქი არსჯობს, ცნობილია აწ ეს დღესა,
ნიშებით და უნაკლულო შეუქმნია მისსა სვესა.

მტკვარი მოუდის უმანკო სნეულთა სამკურნალები,
ზაფხულით მისსა გარემო ხშირად ყრილობენ ქალები,
ჩაის სმით, სამხრის შექცევით მათს მკერეტელთ ეგზვნისთალები,
ზედ სმიან წითელს ღვინოსა სიტკბოთი არა მთვრალები.

აბანოს მსგავსი რა არის, არ მოიძევის არსადა,
მუნებით თბილი წყალი სჩქერს სნეულთ მკურნალი არსადა,
მუნ მიივლტვიან ქალი ყმანი საბანოდ სასუფთოსადა,
გამოელენ ელვა ჰკრთებიან, აშვენებს ცმანი ტანსადა.

ეკკლესიაში მშვენიერ შემკულნი ყოვლის ღირსებით,
აღსილნი სამღვდელოს კრებით ადიდებენ ღთსა ქებით,
სად შეკრებებიან მლოცველნი ღთსა ესავენ განდიდებით,
შეიმოსვენ საღმთოს მადლსა გამოვლან ნიშით აღსებით.

რაოდენ იქოს ტფილისი, ყოველივე ეკადრება,
მას შიგან შენებულებას რა ქვეყანა ედარება,
მპყრობელიც ჰყავს დიდი გვამი, ვითა მასცა ეფერება,
მისი ხსენება მაღლად ხამს თუ ძალმედოს მოგვარება.

ზოგს უქია სხვა ქვეყანა, გარნა ტფილისზე არს შორი,
არა ეყბედობ უსაფუძვლოდ და არც არის ცუდი ჭორი,

არა ვმლიქვნელობ ენითა, არსად არის მისი სწორი
ლალვით ქვა მკრიბეთ, თუ ვცრუი, მრაულად მაყარეთ ქვაყორი".

მოტანილი ლექსი ჩვენთვის საინტერესოა არა იმდენად, როგორც მხატვრული ნაწარმოები, რამდენადაც იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის აზრისა და მისწრაფებების გამომხატველი. საქართველოს დედაქალაქისადმი. უანგარო სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი კარგად აისახა არა მარტო მსგავს მხატვრულ ნაწერებში, არამედ თბილისის სიძველეთა ზემომოტანილ აღწერილობებშიც... და ეს იმ დიდი დამსახურებისა გამო, რაც ჩვენს 1500 წლოვან დედაქალაქს მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე.

ფეოდალური ქალაქის გარეგანი სახის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანი მისი უბნებად დანაწილება იყო. საქართველოს ქალაქები, მათ შორის, თბილისიც, უბნებად იყო დაყოფილი, „აბო თბილელის ცხოვრებაში“ საამისო მითითებაც მოგვეპოვება. იქ თბილისში მყოფ აბოს შესახებ ნათქვამია: „და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უ ბ ა ნ თ ა განცხადებულად“[1]. საქართველოს ძველი ქალაქების უბანთა შესახებ ჩვენ მცირე ცნობები მოგვეპოვება, ამიტომაც ძნელდება უბანთა და მათი სახელების წარმოშობის მიზეზების გარკვევაც. მაგრამ ზოგი რამის გათვალისწინება მაინც შესაძლებელია.

ქალაქის უბნების სახელწოდების წარმოშობის ძირითადი საფუძველი ქალაქის მოსახლეობის საქმიანობა, ქალაქის ეკონომიკური ცხოვრება იყო. ეს საფუძველი აქვთ ქალაქის უბანთა იმგვარ სახელწოდებებსაც, რომელნიც ქალაქის ცალკეული უბნების მოსახლეობის ტომობრივ-სარწმუნოებრივ განსხვავებაზე მიუთითებს.

მაგ., ლეონტი მროველი მცხეთის უბანთა შორის მოიხსენიებს „ჰურიათა უბანს“[2]; „ქართლის მოქცევის“ ავტორი კიდევ ამავე ქალაქში „მოგვთა უბნის“ არსებობაზე მიუთითებდა[3]. მაგრამ ეს სახელები მცხეთის სხვადასხვა უბანთა მოსახლეობის მარტო ტომობრივ-სარწმუნოებრივ განსხვავებაზე კი არ მიუთითებს, არამედ მათ საქმიანობაზედაც. ცნობილია, რომ მცხეთის სპარსული მოსახლეობის უმეტესობა ერთი ხელობის წარმომადგენლები, კერძოდ, მეხამლენი და მეჯადაგენი იყვნენ. ურიათა უბანში კიდევ, ალბათ, უმთავრესად ვაჭრები ივარაუდებოდნენ.

რაკი ქალაქის უბნებად დანაწილების საფუძველი მაინც მოსახლეობის საქმიანობა იყო, უბნების ეს ძველი, ტომობრივ-სარწმუნოებრივი სახელწოდებანი თანდათან გაქრნენ, და ქალაქის უბნები უკვე

---

1 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, აბო, გვ. 69.
2 A, 12.
3 აღწ., II, გვ. 750.

თვით მოსახლეთა საქმიანობის მიხედვით იწოდებოდნენ. შუა საუკუნეების თბილისის შესახებ ჩვენ, სამწუხაროდ, სათანადო მასალა არ მოგვეპოვება, მაგრამ აღმოსავლეთის იმდროინდელი ქალაქების შესახებ არსებული სხვადასხვა სახის ცნობები ამაზე გარკვევით მიგვითითებენ. ჩვენ მათ შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ და მხოლოდ ორიოდე მაგალითის მოტანით დავკმაყოფილდებით: ცნობილია, რომ ქ. ანისის მთელი უბნები და ქუჩები გარკვეული დარგის სახელოსნოებითა და ხელოსნებით იყვნენ დასახლებულნი[4].

ერზერუმში, XIX ს. დამდეგსაც მჭედელთა ერთი ასნაფი ცხოვრობდა საბაჟოსთან, ქალაქის განაპირას, მეორე წყება კი — მეორე ასნაფი, როგორც მათი წესდებიდან ირკვევა, მუშაობდა „ქართველების კართან“ („У Грузинских ворот“). ასევე იყვნენ ხელოსნები განაწილებული ერევანშიც[5].

ანალოგიური მოვლენა შენიშნული აქვს შარდენს საერთოდ სპარსეთის ქალაქების მიმართ. იგი წერს: „ვაჭრობისა და წარმოების ცალკეულ გვარსა და სახელს ჰქონდა თავისი გარკვეული ადგილი ქარვასლებში და ბაზრის რიგებში“.

ევლია ჩელების ცნობით, სტამბულში „ყოველ ასნაფს ჰქონდა თავისი ქუჩა ან ნაწილი ქალაქისა, სადაც მოთავსებული იყო მათი დუქნები, რომელნიც ამავე დროს სახელოსნოებსაც წარმოადგენდნენ. მას უწოდებდნენ ქარხანას (Kârháne) ან დუქანს (dükkan)“[6]. ხელოსანთა ქალაქში დასახლების ამგვარმა წესმა სტამბულში XX ს. დამდეგამდეც გაძლო.

ქალაქში ერთნაირი პროფესიის ხელოსანთა მიერ ცალკეული რიგების, უბნების მიხედვით დასახლება შენიშნული აქვს გორდლევსკის სელჩუკთა სახელმწიფოს არსებობის დროსაც მცირე აზიის ქალაქებში. იგი წერს: „ყოველ ამქარს ჰქონდა თავისი „რიგი“; აქ მუშაობდნენ ისინი და იქვე ყიდდნენ თავიანთ ნაწარმს“[7].

ასევე უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეების თბილისშიც.

მაგრამ რაც შუა საუკუნეების თბილისის შესახებ მასალებიდან

---

[4] შდრ. იგ. ჯავახიშვილი, მასალები, გვ. 55.

[5] С. А. Егязаров, Городские цехи. Организация и внутреннее управление Закавказских амкаров, ЗКОИРГО, кн. XIV, вып. 2, 1891, с. 13.

[6] В. С. Гарбузова, Эвлия Челеби о стамбульских ювелирах XVII в., с. 318.

[7] Гордлевский В. Г., Из жизни цехов в Турции, ЗКВ, II. в. 2, с. 104.

კარგად არ ჩანს, გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებით საკმაოდ დასტურდება.

XVIII ს. და მასზე ადრინდელი ხანის მასალებით ვიცით, რომ ქ. თბილისში გარკვეული დარგის ხელოსანთა ცალკეულ რიგებსა და უბნებს, ამავე ხელობის მიხედვით, თავის სახელი ჰქონდა. მაგ., ვერცხლის ვიწრო ქუჩაზე ჩამწკრივებულ ოქრომჭედელთა რიგს ზარგარხანა ეწოდებოდა. ასევე ცალკე იყო, იოანე ბატონიშვილის ცნობით, „ხარასხანის ბაზარი", „სირაჯხანა", „ლილახანა", „დაბახანა"[8] და მრავალი სხვა უბანი ქალაქში მცხოვრებ ხელოსანთა თუ ვაჭართა საქმიანობის მიხედვით. XVIII ს. დასასრულის ერთ საბუთში „მექვაბეების ბაზარი" (რიგიც) მოიხსენიება[9].

გამბა თავის „მოგზაურობაში" მიუთითებდა, რომ თბილისში „ყოველი სახის ხელოსნობისათვის ბაზარზე გამოყოფილია ყოველი კვარტალი". ამასვე ადასტურებს კლაპროტის ცნობაც. ის 1807—8 წწ. თბილისის შესახებ წერდა: „იყო ორი ბაზარი, რომელშიც იყო 704 დუქანი... ამ ბაზარზე, როგორც საერთოდ აზიაში, სხვადასხვაგვარი ხელოსნებია. ერთი ქუჩა უჭირავთ მხოლოდ მეფეხსაცმელეებს, მეორე მექუდეებს, მჭედლებს, ზეინკლებს, ოქროსა და ვერცხლის მჭედლებს, იარაღის მკეთებელთ... ყველანი აქ მუშაობენ, ყველას თვალწინ"[10].

თბილისის ხელოსანთა გარკვეული დარგების ცალკეულ უბნებში, კვარტლებში დანაწილება დიდხანს შემორჩა — XIX ს. 50-იან წლებში და მის შემდეგაც. XIX ს. შუა წლებში ძირითად პუნქტებში ჰქონდათ თავიანთი სახელოსნოები: მეჩუსტეებს ნორაშენის ქუჩაზე, ხმალხანჯლის მკეთებელთ და თერძებს სიონის ქუჩაზე, მექუდეებს სიონის ქუჩასა და შუა ბაზარში, მეაბრეშუმეებს ბნელ რიგში, ქურქჩებს ქურქების რიგში, ოქრომჭედლებს ვერცხლის რიგში, მკალავებს მექვაბეების რიგში (ვორონცოვის ქუჩის მარცხნივ), დაბაღებს ვორონცოვის ქუჩაზე, მეტიკეებს მეტეხის აღმართზე და ასე შემდეგ. ამგვარი დანაწილება XX ს. დამდეგსაც შეინიშნებოდა, მაგრამ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

თბილისის დანაწილება ამგვარ უბნებად გვიანფეოდალური ხანის ეკონომიკური ცხოვრების ნაყოფი კი არ იყო, არამედ მას თავისი საფუძველი შუა საუკუნეების თბილისის საქალაქო ცხოვრებაში მოეპოვება.

---

[8] შდრ. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1936, I, გვ. 193—195.
[9] ნ. ბერძენიშვილი, მასალები, II, გვ. 39.
[10] Клапрот И., Старый Тифлис, с. 89.

ამის საუცხოო მაგალითს დღევანდელი ჩვენი საუბრის საგანი იძლევა. უკანასკნელ ხანებში სამასი არაგველის სახელობის ბაღთან წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათლად უჩვენეს, რომ იგი XII—XIII სს. თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელოსნო უბანი იყო.

ამ უბნის სახელწოდება გარკვეულ ინტერესს იწვევდა, მაგრამ ჩემთვის დღემდე ცნობილ წყაროებში იგი არ ჩანდა. ამ საკითხის გარკვევაში დიდი დახმარება გაგვიწია მოსკოვის ცენტრალური საისტორიო არქივის ე. წ. ВУА ფონდში დაცულმა ქ. თბილისის 1800 წ. გეგმამ.

ამ გეგმის მიხედვით აბანოების უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მის გასწვრივ მხოლოდ ბაღები იყო გაშენებული. მას იმ დროსაც „სეიდაბადი" ეწოდებოდა. წავკისის შესართავიდან, ე. ი. ქალაქის აღმოსავლეთის კედლიდან დაახლოებით 16 დიუმის, ე. ი. 400 საჟენის დაშორებით (გეგმის მასშტაბით 1 დიუმი= 25 საჟენს), სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სეიდაბადის ბაღები გადაკეტილი იყო კედლით, კედელს გეგმაში მიწერილი აქვს: „Разваленное крепостное строение халат-хан называемое".

ადვილი მისახვედრი იყო, რომ „ხ ა ლ ა თ ხ ა ნ ა", როგორც მას გეგმის შემდგენელი უწოდებს, „სასიმაგრო ნანგრევის", ე. ი. კედლის სახელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, იგი ადგილის ძველი სახელწოდებაა, დროთა ვითარებაში, მეჭურჭლე ხელოსანთა ძველი უბანი ბაღებით დაიფარა, და მისი სახელიც მიწის ზევით შერჩენილ „სასიმაგრო" ნაგებობისათვის მიუკუთვნებიათ.

მაგრამ რას ნიშნავს „ხალატ-ხან"-ი? ეჭვგარეშეა, რომ რუსული „ხალატ-ხან", იგივეა რაც ქართული „ხ ა ლ ა ნ ხ ა ნ ა". „ხ ა ლ ა ნ ხ ა ნ ა", ისე როგორც ზ ა რ გ ა რ ხ ა ნ ა, დ ა ბ ა ხ ა ნ ა და სხვ. მისთანანი, შედგენილი სიტყვაა. მისი პირველი ნაწილი — „ხალანი" — ქართული წარმოშობისა ჩანს, მეორე კიდევ, არაბულიდან მიმდინარე — ახალი სპარსულია.

გავარკვიოთ მათი მნიშვნელობა ცალ-ცალკე.

„ხალანი" ძველ ქართულ ტექსტებში ჩვენ არ შეგვხვედრია, რაც ჩემი აზრით, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი ძველი ქართულისათვის უცნობი იყო. აღსანიშნავია, რომ „ხალანი" ცნობილია საბასათვის. იგი მას უცხოური წარმოშობისად არ მიიჩნევს და კეცის ჭურჭლის ერთ სახედ აქვს წარმოდგენილი. საბა წერს: „ჭური არს კაცთაგან ჭურჭელი: ქვევრი, ყვიბრი, ქოცო, ხ ა ლ ა ნ ი, დერგი, ლაგვინი, ლაგვი-

ნარი და მისთანანი". საბა ცალკეც განმარტავს „ხალანს" და აღნიშნავს, რომ ის „პირფართო ქოთანია". ამასვე იმეორებს ჩუბინაშვილიც: „ხალანი პირფართო ქოთანი, горшок" — განმარტავს იგი.

უფრო საინტერესო მასალას ამ ტერმინის შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დაცული ეთნოგრაფიული მასალა გვაწვდის.

ამ ტერმინის გავრცელების არე ამჟამად მხოლოდ დასავლეთ საქართველოა. კახეთის, ასევე ქართლის კერამიკაში, დღევანდელი ეთნოგრაფიული სინამდვილის მიხედვით, „ხალანი" დადასტურებული არ არის. მაგრამ თვით საბას მოწმობა იმაზე მიგვითითებს, რომ იგი ერთ დროს ასევე გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოშიც.

დასავლეთ საქართველოში „ხალანი", „ხალამის" ფორმით, თითქმის ყოველ კუთხეში იხმარება. აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ შეკრებილი შინამრეწველობის ისტორიის მასალები ამ მხრივ შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს.

ქვემო იმერეთში ხ ა ლ ა მ ი გაგებულია უმთავრესად როგორც ყველის შესანახი თიხის ჭურჭელი[11]. „დერგს ჩვენ კიდევ ხალამსაც ვეტყვით" — ნათქვამია ქვემოიმერულ მასალებში. ამავე მასალების მიხედვით ხალამში „ოხრახუშისა და პრასის ჩაძმარვას" (მწნილს) აწარმოებდნენ. ასე რომ, ხალამი ყველისა და „მწნილის" შესანახი თიხის ჭურჭლის საერთო სახელია.

ქვემოიმერული მასალებით ხალამის ცალკეული ნაწილების სახელებიც არის ცნობილი: მაგ., იყო „ხალამის მუცელი", „ხალამის ხელი", „ხალამის დასახური" ანუ „ხალამის თავი", „ხალამის ძირი", „ხალამის ტანი" და სხვ. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ქვემოიმერულში გვხვდება „ხ ა ლ ა მ ი ს ჩ ა რ ხ ი". ტექნიკურ პროცესს ასახავს აგრეთვე აქვე ხმარებული ტერმინი „ხალამის გამობერვა" და სხვ.

ხალამი // ხალანი გავრცელებულია ზ ე მ ო ი მ ე რ ე თ შ ი ც. აქ „ხალანი" ესმით, როგორც „დერგი", ზოგის აზრით კიდევ, იგი დერგზე პატარა თიხის ჭურჭელია.

ხალამი იხმარება ლ ე ჩ ხ უ მ შ ი ც: აქ ასე განმარტავენ ამ ჭურჭელს: ხალამი „თიხის ჭურჭელი, მუცლიანია, მწნილისა და ყველისათვის ვიცითო". ქ ვ ე მ ო რ ა ჭ ა შ ი ხალამის გაკეთების პროცესსაც აგვიწერენ: „ხალამის გაკეთების დროს შემოვატრიალებთ გურგასალის დაკვრას".

---

[11] ამასვე ადასტურებს ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს ნაწერებიდან ერთი ადგილი: „დიდის მომჭირნეობით ზამთრისათვის გადანახული პატარა ხალამში ყველი ფსკერზე შეიქმნა საკმარი" (ნ. ლორთქიფანიძე, II, გვ. 434, 437).

„ხალამი“ უხმარიათ ქ ვ ე მ ო ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი ც: მეგრული მასალებით „ხალამი ჭურის მსგავსია, მხოლოდ თავი და ძირი ფართო აქვსო“. დასასრულ, ხალამი ცნობილია ს ვ ა ნ უ რ ი კერამიკისთვისაც. როგორც ლ. ბოჭორიშვილმა გადმომცა, სვანეთში ყველის შესანახ, ჩასაწყობ თიხის პირფართო ჭურჭელს ხ ა ლ ა მ ს უწოდებენ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მსგავს პირფართო თიხის ჭურჭელს, რომელიც განკუთვნილია ღვინისა და არყისათვის, სვანეთში „კეცსაც“ ეძახიან. ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში ერთი და იგივე ფორმის, სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი „ხ ა ლ ა მ ა დ“ და „კ ე ც ა დ“ არის სახელდებული. კეცი კი ძველ ქართულში, როგორც ცნობილია „თიხის ჭურჭლის“ ზოგად სახელადაა წარმოდგენილი.

მოტანილი მასალებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში ამჟამად „ხალამი“ პირფართო და ძირფართო დერგების — ყველისა და წნილისათვის განკუთვნილი თიხის ჭურჭლების — აღმნიშვნელი ტერმინია. აღმოსავლეთში კი იგი თავის დროზე პირფართო ქოთანსაც აღნიშნავდა. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ადრე ხალამი პირფართო თიხის ჭურჭელთა ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო — ყველისა და წნილის შესანახი ჭურჭლის, ჯამების, ლანგრების, სამარილეების და სხვა მისთანათა.

როგორც ვხედავთ, „ხალანის“ ზემომოტანილი გაგება სავსებით შეესატყვისება ამ ადგილებზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებს, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

განვიხილოთ სიტყვა „ხალანხანას“ მეორე ნაწილი — „ხანა“, რომელიც ქართლში უცხოურიდან არის შემოხიზნული. ახალ სპარსულში „ხანა//ხანე“ სახლის, სასახლის, სასტუმროს, ადგილის, განყოფილების მნიშვნელობით იხმარება. ქართულშიაც — სახელოსნო სახლების, სარწყავების, უკეთ სახელოსნოების და სხვა მისთანა ნაგებობათა სახელებს „ხანას“ დართვით აწარმოებდნენ. ასე არის შედგენილი „დაბახანა“, „სარაჯხანა“, „ზარგარხანა“, „ქარხანა“ და სხვა მსგავსი ტერმინები, რომლებიც უხვად მოიპოვება გვიანფეოდალური ხანის მასალებში.

ქართულში მარტო „ხანაც“ გამოუყენებიათ საცხოვრებელი ნაგებობის აღსანიშნავად; თეიმურაზ I ნათქვამი აქვს:

„მოვიდეს იგი ვაჭარნი არ დააყოვნეს ხანები,
მათთვის დაცალეს ყოველგან ქარვასლები და ხ ა ნ ე ბ ი“.

ძველი თბილისის სახელოსნო დუქნების ზედა სართული ხშირად გამოყენებული იყო საცხოვრებლად. მათ „ბ ა ლ ა ხ ა ნ ა ს“ უწოდებდნენ. „ბალახანა“ კიბით უერთდებოდა ქვედა სართულის — სახელო-

სნოს დარბაზს. ამრიგად, როგორც ვხედავთ, „ხანა“ ჩვენში საცხოვრებელი ნაგებობის სახელის საწარმოებლადაც უხმარიათ.

რა დროიდან შეიძლება ვივარაუდოთ ამ ტერმინის არსებობა ქართულში?

X—XIII სს. ქართულ ტექსტებში ხან//ხანე ცალკე, ჩვენთვის საინტერესო, გაგებით არ ჩანს, მაგრამ იგი შედგენილ სიტყვებში იხმარებოდა. მაგ., სიტყვა „ამხანაგ“-ში (სპარს. „ჰამხანე“) და „ხანაგა“-ში. „ამხანაგი“, ნ. მარის ცნობით, შატბერდის ეკლესიის სამრეკლო ასომთავრულ წარწერაში არის მოხსენებული[12], ხოლო „ხ ა ნ ა გ ა“ შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმეჯერ აქვს ნახსენები:

„რაც თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად
მიეც ზოგი ხ ა ნ ა გ ა თ ა, ზოგი ხიდთა ასაგებლად“.

ან კიდევ: „დღესა ერთსა, საღამო ჟამ ჩასვლა იყო ოდენ მზისა —
წავდეგ წინა დარაჯაგთა, კარი მიჩნდა ხ ა ნ ა გ ი ს ა“.

„ხანაგა“ წარმომდგარია სპარს. ხან გაჰ — ხან ყაჰ — ხან კეჰ-ისა-გან, რაც სპარსულში მონასტერს, დერვიშთა თავშესაფარს, უცხოელთა მისაღებ სახლს ნიშნავს.

ამგვარადვე განმარტეს რუსთაველის „ხანაგა“ მისმა გამომცემლებმაც. ივ. ჯავახიშვილი კი ამის გამო შენიშნავდა: „ქართულად კი არავითარი კავშირი დერვიშებთან ამ ხანაგას არა აქვს, ის მგზავრების ჩამოსახტომი ჩვეულებრივი სასტუმროა... ხანაგა სასტუმროსაგან იმ მხრივ განსხვავდებოდა, რომ ის ურესტორანოა“[13].

როგორც ვხედავთ, სპარსული „ხანე“, შედგენილ სიტყვებში, XI—XII სს. ქართულ მწერლობაში გვხვდება.

ასე რომ, ჩვენთვის საინტერესო ტერმინი „ხ ა ლ ა ნ ხ ა ნ ა“ XII—XIII სს.-შიც შეიძლებოდა ეხმარათ. ის ძველი ტერმინი ჩანს. მისი შინაარსიც ჩვენთვის ნათელია: თიხის პირფართო ჭურჭლეულის მკეთებელ ხელოსანთა, სახელოსნო უბნის სახელწოდებაა. ამგვარი სახელწოდება ამ უბანს არ შეიძლებოდა მიეღო მაშინ, როცა ის უკვე აღარ არსებობდა, ე. ი. XIII საუკუნის შემდეგ.

სავსებით მართებულად მიმაჩნია ლიტერატურაში უკვე გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხალან ხანას დღეს გათხრილი ტერიტორია ჯალალ ედ-დინისა და მონგოლთა ლაშქრობის შემდეგ მოისპო და მიწით დაიფარა. ამაში გვარწმუნებს ამ ტერიტორიაზე მო-

---

[12] Н. Я. Марр, Дневник поездки в Ани, ТР, кн. VII, с. 144.
[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები, გვ. 62—63.

პოვებული არქეოლოგიური ნივთები და ფულები, რომელნიც ქრონოლოგიურად XIII ს. შემდეგ ხანას არ სცილდებიან. ამას გარდა, თვით ამ უბნის ისტორიაც ამას ადასტურებს — XIII ს. შუა წლების შემდეგ ქალაქის ეს უბანი მოისპო, ის ბაღებს დაეთმო და ქალაქის მოსახლეობა ისევ ძველი, ადრინდელი კედლების ფარგლებში მოექცა.

ძველი ხალან ხანას, სახელოსნო უბნის სახელწოდება იმ ადგილს შერჩა, ხოლო უფრო გვიან კი ამ ტერიტორიაზე ერთადერთი ნაგებობის ძველმა, X—XIII სს. თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელმა მიიღო.

რამდენად შეეფერება „ხალან ხანას“ რეალური შინაარსი ამ ადგილზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით მიღებულ შედეგებს? ჩვენ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თვით ტერმინის შინაარსი და მოპოვებული არქეოლოგიური მასალები სავსებით შეესატყვისებიან ერთმანეთს.

გ. ლომთათიძე წერს: „რაც შეეხება ჭურჭლის ასორტიმენტს, შეიძლება ითქვას, რომ ჭარბობს ჯამები (სამზარეულო თუ სასმისი), ლანგრები, ნიჟარისებრი ჭრაქები (ზეთის სანათურები), მრგვალი „სამარილეები“. ყელყურიანი ჭურჭელი (სურები, დოქები და სხვა) შედარებით ნაკლებია“.

ამას გარდა, ექსპედიციამ გამოავლინა თიხის ჭურჭლეულთა გამოსაწვავი 7 „ქართული ქურა“. ამრიგად, ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს თიხის ჭურჭლეულთა, კერძოდ, პირფართო ჭურჭლეულთა სახელოსნოებთან, ამ დარგში დასპეციალებულ ხელოსანთა საცხოვრებელ და სახელოსნო უბანთან.

გათხრების დროს აღმოჩენილი ყელიანი ჭურჭლები, ისევე როგორც მინის ჭურჭლები, რომელნიც უფრო იშვიათად ჩნდებიან, იქნებ თვით ხელოსანთა მიერ ხმარებული ჭურჭლებია და არა აქ დამზადებული, რაკი, როგორც გ. ლომთათიძემ მიუთითა, „თვით მინის საბერი თუ ჩამოსასხმელი სახელოსნოს ნაშთები აქ არსად ჩანს“.

ასე რომ, ხალან-ხანა თიხის ჭურჭლეულთა ერთი სახის, კერძოდ, პირფართო ჭურჭლეულის დამამზადებელ ხელოსანთა უბანი იყო. ეს ქართული კერამიკული წარმოების ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტს წარმოადგენს. ნათლად დასტურდება, რომ საშუალო საუკუნეებში ქართული მხატვრული კერამიკის წარმოების არა მარტო მნიშ-

ვნელოვანი ცენტრები იყო, არამედ თიხის ჭურჭლის სპეციალურ საეოობათა წარმოების ცალკეული, მნიშვნელოვანი უბნებიც. ასე რომ, შუა საუკუნეების თბილისში ხელოსნობის დარგების სპეციალიზაცია საკმაოდ შორს ყოფილა წასული. უკვე X—XIII სს. თბილისში „კეცის ჭურჭელთა“ მკეთებელთ სპეციალური დარგი გამოჰყოფია — კერძოდ, პირფართო ჭურჭლეულის კეთების ხელობა. ხელობის ამ დარგის წარმომადგენელთ ცალკე უბანი ჰქონდათ და ამ უბანს „ხალანხანა“ ეწოდებოდა.

პირთა

ა

აბასი (სომეხთა მეფე) 124
აბაშიძე გიორგი 366
აბაშიძე ზურაბ 367
აბელა 256
აბო თბილელი 427
აბუ თამმამ იბნ აბდუნა 86
აბულასანი 169, 170, 186, 187, 188, 192, 193, 195, 196, 197, 198, 200, 202, 203, 204, 205, 206, 208, 211, 212, 216, 217
აბულაძე ი. 205
აბულეთი 124
აბულ-ასვარი 122, 123, 124
აბულ ააზ-დუბეისი 83
აბულ-ფათხი 84
ავალიანი ვ. 183
ავალიშვილი ზ. 18, 70, 146, 160, 163
ავგუსტ კეისარი 156
აზატ-ხანი 98
ათრაქა შარაღანის ძე 36, 55, 131, 159, 177, 182, 184
ალადაღოვი 258
ალექსანდრე მაკედონელი 6, 135, 136, 156
ალექსი კომნინოსი 51, 52, 59, 235
ალექსი მიხეილის ძე 173
ალექსანდრე (ბერძენთა მეფე) 68
ალექსანდრე I 180, 181
ალექსანდრე (III, იმერეთის მეფე) 359
ალექსანდრე V (იმერეთის მეფე) 263, 267, 297, 299, 362
ალი-ზადე ა. ა. 122
ალინი ვ. ვ. 183
ალ-ფარიკი 9, 10, 11, 19, 77, 78, 79, 81, 82, 83, 84, 86, 88, 89, 90, 95, 97, 98, 99, 100, 102, 108, 112, 113, 115, 116, 117, 119, 161
ალ-ფარსლანი 108
ალ-ყაიმი 115, 161
ალ-ჯაუზი II, 12, 84, 86, 87, 88, 90, 112, 115, 116, 117, 161
ამბროზიო კონტარინი 313.
ამედროზი ჰ. 10
ამილახვარი 271, 276, 277, 278, 279, 280, 281
ამილახორი იხ. ამილახვარი
ამილახვარი ამირინდო 278
ამილახვარი გივი 278, 314, 351
ამილახორი იესე 272, 273, 278
ამილახორი ოთარ 272, 274, 276
ამილახორი რევაზ 278, 280
ამილღაბარი 414
ამირანაშვილი შ. 223
ანა კომნინოსი 51, 52
ანა დედოფალი 168
ანახანუმი 317
ანდრია ბოგოლუბსკი 159
ანნა იოანეს ასული 297
ანსელუსი 66, 67, 68, 134, 163
ანტონ ჭყონდიდელი 38, 230, 231, 246
არდუხი 76, 82
არისტაკე ლასტივერტელი 202
არისტობულე 135, 136
არსენ იყალთოელი 136, 138
არსენი (მწერალი) 237
არუთინა 256
არქანჯელო ლამბერტი 295, 296, 299, 352, 353, 364
არჩილ მეფე 339

არცრუნი (პოლკონიკი) 394
ასათიანი ნ. 19, 122, 158, 173, 174
ასარიდა 256
ასლანა (უსტაბაში) 250, 255, 256, 257
აფრიდონი (შირვან შაჰი) 74
აფრიდონი 186, 192, 207
აღა მაჰმად ხანი 383, 384, 385, 423, 424
აშოტ კურაპალატი 220
ახვერდოვი ი. 249, 254
აჰმედ იბნ ლუთფულაჰი (მუნეჯიმ-ბაში) 9

ბ

ბაგრატ III 20, 21, 22, 28, 29, 45, 50, 106, 141, 142, 156, 237
ბაგრატ IV 22, 23, 24, 25, 30, 49, 50, 53, 107, 108, 109, 142, 143, 144, 201, 204, 223, 307
ბაგრატ მეფე (IV, იმერთა მეფე) 367
ბაგრატიონი 54, 127
ბაგრატიონი დავით 197, 268
ბაგრატიონი თეიმურაზ 416, 417, 419
ბადრიძე შ. 18, 19
ბალდუინ I 70, 146, 163
ბალდუინ II 68, 69, 75
ბალდუინ III 164
ბარათაშვილი ზაალ 424, 425
ბარსელი 25
ბარქიარუქი 117
ბასილი 233
ბასილ ზარზმელი 222, 242
ბასილ ეზოსმოძღვარი — 154, 155, 158, 188, 192, 198, 211, 212
ბასილ იობისძე 205, 206, 207
ბაქრაძე დ. 15, 92, 197, 264, 265, 266
ბებუთაშვილები — 258
ბებუდოვი დარჩო 258
ბებუთოვი მელიქ-ზადე 391
ბეჟანი 413
ბერაძე ი. 19, 146
ბერიძე ვ. 206
ბერძენიშვილი ნ. 16, 91, 144, 147, 153, 154, 156, 210, 213, 214, 218, 237, 293, 309, 429
ბექა ოპიზარი 223
ბეჰბუდა 414
ბიკოვა ა. 127
ბოპორიშვილი იოსება 260
ბოპორიშვილი ლ. 432
ბრეგვაძე სოფრომა 261
ბროსე მ. 14, 54, 92, 206, 264, 265, 266, 270, 394, 416, 417, 418
ბუნიატოვი ზ. 122

გ

გაბაშვილი ვ. 19, 144, 167
გაბრიელი 252
გავრილოვი მ. 261
გამბა 263, 429
გამსახურდია კ. 19
გამყრელიძე გ. 249, 254
გარბანელი 223
გასპარა 258
გეგელაშვილი საჩინო 260
გეგენავა გაბრიელ 267
გედევანიშვილი ი. 18
გეურქა 258
გეურქ (მესანთლე) 257
გვრიტიშვილი დ. 315, 319, 381, 385
გიორგი I 22, 49, 53, 106, 142
გიორგი II 24, 25, 26, 33, 50, 143, 144, 145, 153
გიორგი III 31, 33, 38, 40, 43, 44, 71, 108, 109, 127, 152, 154, 156, 165, 164, 167, 188, 190, 191, 192, 196, 197, 206, 207, 214
გიორგი XII 249, 250, 252, 282, 424
გიორგი 228
გიორგი ათონელი 23
გიორგი ბატონიშვილი 335, 380
გიორგი იმერთა მეფე 352
გიორგი მთაწმინდელი 143, 221, 224, 225, 226, 227, 228, 232, 233, 237, 238, 240, 241, 243, 244
გიორგი რუსი 186, 198, 207, 208, 209, 210, 211, 212, 216, 217, 218, 219
გიორგი (მწერალი) 238
გიორგი (მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი) 32, 54, 72, 73
გიორგი (მჭედელი) — 225, 236
გიორგი (ქოსოს ძე) 231
გიორგი წმინდა 418
გიორგი (ხარაზი) 225
გიულდენშტედტი 267, 268, 402, 403

გოგია 256, 258
გოგია (მესანთლე) 256, 257
გოგია (ოსტატი) 257
გოგოშვილი თ. 218
გოთუა ლ. 19, 104
გოინე (მხატვარი) 396
გორგასალი ვახტანგ 418, 419, 420, 422
გორგაჯანაშვილი გიორგი 333
გორგიჯანიძე ფარსადან 314, 318, 320, 333, 352, 399
გორდელევსკი 428
გოტიე 12, 15, 17, 19, 80, 82, 83, 84, 89, 90, 91, 92, 93, 95, 97, 98, 99, 102, 103, 104, 164
გოშაძე ოქრუა 260
გოჰარ ხათუნი 84
გრიგოლ 237
გრიგოლ ბაკურიანი 49, 186, 202, 203
გრიგოლ სურამელი 231, 245
გრიქუნა (მესანთლე) 257
გუზანი 217
გურანდუხტი 36, 55, 67
გურგენიძე ბ. 253

დ

დადიანი 296, 352, 353
დადიანი გრიგოლ — 264
დადიანი დავით 269, 353
დადიანი კაცია 268
დადიანი კონსტანტინე 264
დადიანი ლევან 267, 294, 296, 352, 353, 359, 363
დადიშკელიანი თ. 17
დავითა 256
დავითა (მესანთლე) 258
დავით IV აღმაშენებელი 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 35, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 58, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 109, 110, 111, 112, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 129, 130, 131, 132, 134, 135, 136, 137, 138, 139, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 157, 158, 159, 161, 162, 163, 166, 167, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 184, 185, 188, 189, 194, 201, 204, 207, 209
დავით III 190
დავით (მეფე-ქმარი, სოსლანი) 54, 218, 219
დავით ბატონიშვილი 250, 252
დავით ულუ 194
დავით ქობარიელი 190
დავით წინასწარმეტყველი 71, 164
დავლიანიძე ლ. 190
დავლიანიძე ს. 260
დარეჯან დედოფალი 385
დარჩია (მელიკი) 252, 258
დემეტრე I 10, 44, 73, 95, 98, 115, 126, 127, 128, 129, 130, 153, 159, 161, 178
დე ლა პორტი 310, 315, 351, 352, 360
დემნა ბატონიშვილი 188, 190
დეფრემერი მ. 11, 12
დინიბეგაანთ ოანეზა 256
დიუბუა დე-მონპერე 263, 264, 269
დონდუა ვ. 18
დოსითეოსი (არქიმანდრიტი) 221
დრენიაკინი 315, 397
დუბეის (დურბეიზ) სადაყას ძე 83, 84, 86, 87, 89, 90, 101, 102
დებროვინი 424
დუმბაძე მ. 385
დუნკელ-ველინგი 249

ე

ეგანაშვილი თეიმურაზ 258
ეგიაზაროვი ს. 248, 253
ეგნატაშვილი ბ. 408, 411, 412, 413
ევლია ჩელები 262, 428
ელჩინი ფედოტი 267
ერეკლე I 253, 276
ერეკლე II 98, 271, 274, 275, 276, 277, 299, 301, 302, 318, 321, 326, 329, 330, 335, 339, 340, 341, 343,

344, 345, 350, 351, 352, 371, 375, 377, 378, 379, 401, 402, 405, 413, 421, 424
ერემიანი ს. 37, 38, 39, 42, 93, 114, 198
ერისთავი 33, 34
ერისთავი რაფიელ 265, 266
ერისთავი ჯიმშერი 320
ერმიეროვი 302, 421, 422, 423
ეფრემ 260
ეფრემიძე მ. 19
ექვთიმე მთაწმინდელი 221, 223, 224, 225, 226, 227, 232, 233, 234, 238, 239, 243, 244, 245, 246, 247

ვ

ვაიდენბაუმი 249
ვარდანი ბარძრბერდელი 9, 123, 124
ვარდანის ძე 33
ვართანა 256
ვართანა (მესანთლე) 257
ვასაკი 190, 191
ვახვახიშვილები 343, 403, 404, 405, 406
ვახვახიშვილი გრიგოლ 342
ვახტანგი (ბატონიშვილი ერეკლეს ძე) — 321, 322, 341, 402
ვახტანგ მეფე 313, 314
ვახტანგ VI 254, 378
ვახტანგ გორგასალი 220, 349
ვახტანგ 414
ვახუშტი ბატონიშვილი 14, 15, 40, 41, 42, 100, 150, 151, 197, 198, 221, 270, 292, 293, 294, 296, 297, 300, 302, 304, 305, 306, 307, 310, 311, 313, 318, 320, 323, 325, 326, 327, 328, 330, 331, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 345, 349, 350, 351, 352, 363, 364, 365, 366, 367, 368, 375, 380, 399, 400, 408, 409, 410, 412, 413, 414, 415, 416
ვაჰრამ არწრუნი 114
ვაჰაბი 190
ვერმიშევი გ. 219
ვესპასიანე 135
ვილჩევსკი ო. 127, 128, 129
ვილჰელმ I 127
ვილჰელმ II 127
ვლადიმერ მონომახი 55, 57, 158, 159, 176, 177, 181, 182, 183, 184, 185

ზ

ზაალოვი ზაალ 424
ზაზა 256
ზანქან ზორაბაბელი 169, 170, 197, 198, 211, 212, 216, 217
ზაქარია მხარგრძელი 38, 188, 190
ზახარევი პაველ 267
ზორაბოვი ასლან 258
ზოკრაბოვი სტეფანე 256
ზუბალოვი 394
ზუთხრნაანთ მეკირტუმა 256, 258

თ

თამამ იბნ აბდუნ 84
თამამშეევი 394
თამარ მეფე 31, 33, 40, 43, 54, 66, 70, 71, 100, 101, 153, 154, 155, 156, 158, 160, 164, 165, 166, 167, 168, 170, 188, 191, 192, 194, 196, 197, 198, 200, 202, 206, 207, 209, 211, 214, 215, 216, 217, 218, 219, 230, 231
თამარაშვილი მ. 166, 180, 318
თაყაიშვილი ე. 206, 223, 265, 266
თევდორე (მემკაზმაე) 237
თეიმურაზ ბატონი 314
თეიმურაზი (ბატონიშვილი) 417, 418, 419, 420
თეიმურაზ I 333, 432
თეიმურაზ (II) 301, 320, 340
თეკლა მეფის ასული 394
თეოფანე ხუცესი 225, 233, 234
თორნიკ 226
თოროსი 70
თოღრული 77, 78, 84, 85, 86, 87, 89, 90, 102, 111
თუმანიშვილი ა. 315, 316, 317, 193
თუმანოვი დავთ 258
თუღან არსლან კუზანი 81, 85, 86, 87, 89, 91

ი

ია ბერი 231
იაზიკოვი 315, 398, 399
იაროპოლკი 182
იაროსლავი 183
იაყუბ ყაენი 304, 306, 309
იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი იხ. ალ-ფარიკი
იბნ ალ ასირი 11, 12, 16, 76, 84, 86, 89, 90, 97, 99, 102, 112, 120
ევლიევი ალექსი 357
ივანე 166
ივანე III 180, 181
ივანე აბაზას ძე 107
ივანე აბულეთის ძე 124
ივანე ახალციხელი 188, 189, 191
ივანე (დიაკონი) 223
ივანე მხარგრძელი 180, 181, 188, 190
იზიასლავ მსტისლავის ძე 130, 159, 178, 212
ილარიონ ქართველი 221, 223
ილღაზი 69, 74, 76, 78, 79, 80, 82, 83, 84, 86, 87, 88, 89, 90, 91, 102, 131
იოანე (კომნინოსი) 52, 53
იოანე ბატონიშვილი 40, 61, 68, 69, 146, 250, 251, 252, 338, 368, 429
იოანე ვარდანის ძე 33
იოანე მთაწმიდელი 221, 223, 224, 225. 226. 227, 232, 233, 234, 237, 238, 239, 243, 245, 246, 247
იოანე (მეფე-მღვდელმთავარი) 19, 133, 134. 135, 165
იოვანე (მმოსელი) 237
იოანე პეტრიწი 138
იოანე ციმისხი 226
იოსებ ფლავიოსი 135
იოსებ (ყასასბაში) 253
იოსელიანი პ. 71, 264, 265, 266, 292, 321, 404, 408, 410
ირაკლი II იხ. ერეკლე II
ირინე (ალ. კომნინოსის მეუღლე) 52
ისაია 256
ისააკი (კომნინოსი) 52, 53
ისმა (მესანთლე) 257
იური (ანდრია ბოგოლუბსკის ძე) 160
იფრუმაანთ როსტომი 249

კ

კაკაბაძე ს. 17, 44, 92, 314
კაკალა (ბაზაზბაში) 252
კაკალა მუშრი(ბი) 249
კაპანაძე დ. 117, 127
კარიჭაშვილი დ. 15
კარსანიძე ლ. 260
კასტელი იხ. ქრისტეფორე კასტელი
კატა (დავით IV ასული) 51, 52
კაციტაძე 260
კაციტაძე პეტრე 259
კახიანი თ. 19
კეკელიძე კ. 70, 146, 155, 164, 168, 192, 196, 224, 228, 244, 245, 247
კერესელიძე ივ. 424
კვირიკე (კახეთის მეფე) 339
კვირიკე (სომხეთის მეფე) 25, 124
კიკვიძე ა. 17
კიკნაძე რ. 17, 86
კირაკოზა 369
კირაკოზ განძაკელი 194, 201, 205
კიღურაძე გ. 19
კლაპორტი 315, 316, 317, 336, 337, 338, 339, 397, 398, 429
კლუჩარევი 295
კოლკოვი 311
კონია 258
კონსტანტინე მონომახი 235
კოპალიანი ვ. 19, 52
კოჩუბეი 322
კუგლერი ბ. 18, 131
კულიშერი მ. 240, 242
კუპჩინოვი 401

ლ

ლამბერტი იხ. არქანჯელო ლამბერტი
ლანგი დ. 130, 162
ლაში-გიორგი 166, 167
ლაშხიშვილი ქაიხოსრო 268
ლეონტი მროველი 427
ლებანიძე ლუარსაბ 260
ლიპარიტი (ყლდეკარის ერისთავი) 22, 28, 49, 107, 142, 188, 189
ლომთათიძე გ. 434
ლომოური თ. 169, 293

ლორთქიფანიძე მ. 19, 385
ლორთქიფანიძე ნ. 431
ლორთქიფანიძე ო. 52

მ

მაეტარაშვილი ბეჟანა 260
მათე ურჰაელი 8, 14, 15, 16, 17, 75, 76, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 89, 90, 91, 92, 93, 95, 96, 97, 99, 100, 102, 112, 113, 124
მათიურელი ი. 297, 298, 299
მაისურაძე გ. 190
მაკალათია ს. 17
მალიქ-შაჰი 25, 27, 59, 68, 144, 145, 146
მალიქი (სულთნის ძე) 83
მამედოვი ა. 9
მანუჩარი 351
მანუჩარი (შირვანშაჰი აფრიდონის სიძე) 74
მანუჩარი (ანისის მფლობელი) 122
მანუჩარი (მდივანი) 253
მარი ნ. 195, 265, 266, 433
მარქსი კ. 64, 285
მატუშევიჩი 411
მაქსიმე 252
მაყაშვილი დავით 253
მაშავარიანი ივ. 12
მაჰმუდ მოჰამედის ძე 82, 83, 84, 85, 86, 88, 112, 120
მელიქ ტაფარის ძე 76, 82, 85
მელიქიშვილი 394
მელიქ-შაჰი მაჰმუდის ძე 85
მელიქსეთ-ბეგ ლ. 404, 410, 411, 414.
მელქოა 256, 258
მესხია შ. 160, 169, 170, 172, 176, 178, 186, 187, 188, 189, 192, 194, 197, 200, 204, 206, 209, 213, 214, 215, 218, 249, 250, 256, 272, 282, 284, 287, 288, 289, 373, 381, 385, 397
მეტრეველი რ. 17, 19
მეღვინეთხუცესიშვილი დ. 365
მიზან 256
მიკირტუმა (მეჯორე) — 253
მინორსკი ვ. 9, 10, 86, 87, 88, 126, 162
მიქელ 237
მიქელ მირიანის ძე 207
მიქელ ხუცესი 223
მიქიაშვილი ოქროპირ ვარლუსის 260
მიშეცკი 295
მიხელ ბეი 263
მსტისლავი 212
მუნეჯიმ ბაში იხ. აპმუდ იბნ ლეთიფულაჰი
მურდილაძე მამუკა 260
მურკოსი გ. 173
მურუსიძე ალმასხან 260
მურუსიძე ვახტანგ 260
მურუსიძე ნიკოლოზ 259, 260
მუსხელიშვილი ლ. 221, 229
მუჰამედი 117, 127, 128
მხარგრძელი 219, 221, 229, 233, 234, 236
მხითარ გოში 190, 191

ნ

ნაბორნი 315, 397
ნაკაშიძე ნ. 174
ნასყიდა (თავლიდარი) 258
ნაჯმ ად-დინ ილღაზი იხ. ილღაზი
ნიკიფორე ვრიენიოსი 52
ნიკოლოზ (პატრიარქი) 235
ნოდარ 414

ო

ომიაძე გიორგი 260
ორბელი 33
ორბელიანი 384, 394
ორბელიანი ალ. იხ. ჯამბაყურ ორბელიანი
ორბელიანი დიმიტრი 258
ორბელიანი პაპუნა 314, 317, 320, 321, 324, 326, 337, 351, 352, 375, 400
ორბელიანი სფეტანოზ 9
ოტროკი 182, 184
ოქროპირი 237
ოქროპირი (ხარატი) 225
ოპანეზა 256
ოპანეზა (მესანთლე) 257

პ

პაატა 414
პავლე ალეპოელი 56, 57, 58, 158, 159, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181
პაიჭაძე გიორგი 367
პატარ 231
პახომოვი ე. 117
პეპანა 256, 258
პეტრე (ხელმწიფე) 274, 280
პიტოევი 391
პიშჩევიჩი 375
პოლიევქტოვი მ. 295
პოლუჩკოვი 406
პოტო 71
პროხორ შაშელი 221

ჟ

ჟორდანია თ. 156, 221, 228, 229, 230, 235, 237, 238, 245
ჟუზე პ. 11

რ

როჟერი (ანტიოქიის მთავარი) 69
როჟერ II 127
როსტომ (მეფე) 295, 313, 314, 408, 411, 412, 413
რობერტ სიცილიელი 127
რობერტ ფლანდრიელი 51
რომანი 184
რუსუდანი 166, 180, 181
რუსტენ ხანი 313

ს

საკაძე (გიორგი) 333
საბა (მწერალი) 237
საბა (სულხან-საბა) 430, 431
საბინინი 136, 153
სადუნ მანკაბერდელი 191
სადუნ ქურდი იხ. ქურდი
სალდუხი (სალტუხი) 190, 191
სამუელი ანელი 8, 123
საზანოვი 311
სალია კ. 19
სარგის მხარგრძელი 38, 188, 190
სართა 258
სარქისოვი 394
საფჩირ-ბეი 263
საღა ტუპაისის ძე იხ. აბულ ააზ-დუ-ბეისი
საჰაკი (ამირა) 385
სემიარდი 134
სენკოვსკი 417
სერაპიონ ზარზმელი 222, 223, 242, 243
სუმონ 231
სვიმონ მეფე (სიმონ I) 313, 324
სვიმონ ჭყონდიდელი 121
სიბტ იბნ ალ-ჯაუზი იხ. ალ-ჯაუზი
სითლარაბი 108
სკაბალანოვიჩი ნ. 235
სმბატ სპარაპეტი 9, 90
სოლომონ I (იმერეთის მეფე) 268, 367
სოსელია გ. 215
სტროპო ა. 98
სტროკოვი ა. 18
სუმბატ დავითის ძე 141
სულხანი (მდივანი) 253
სულეიმანი 79

ტ

ტანკრედი II 127
ტანღან მელიქ-სულთანი 68
ტაფარი 76, 82, 84
ტერ-არაქელ ტერ-მელიქოვი 256
ტერ-სტეფანა 258
ტიმოფე 298
ტიხონოვი 321, 357, 387, 397, 401, 411
ტოღრული იხ. თოღრული
ტურნეფორი 323, 375

უ

უმეკი 169, 194
ურბნელი ნ. 15, 71
უსეინ-ბეგი 324
უსეინ (ეაჟართუხუცესი) 169, 194

ფ

ფადლონი 108
ფაკიჰი 9
ფალაკი 127, 128, 129
ფარიბუზ I 59
ფარსადან 414
ფახრ ად დინ თუღან არსლან კუზიანი 90
ფედოროვი 406
ფერაძე ი. 15
ფირცხალაიშვილი ალ. 249, 254, 282, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 290
ფისაძე ბარამ 302
ფრაიზინგენი ოტო 134
ფრიდრიხ II 128
ფუთუნოვი ავთანდილ 258
ფუთურიძე ვლ. 10
ფუღაანთ ავეტიქა 257
ფუღაანთ სტეფანა 258

ქ

ქავთარული 232
ქაიხოსრო 277
ქაჩაბურაძის ძე 231
ქენ-თოღდი 84, 85, 87, 88
ქვემოკლიძე როსტომა 260
ქობულაშვილი მიხეილ 341, 403
ქობულის ძენი 228
ქოსოს ძენი 230, 231
ქოჩორაშვილი გლახა 258
ქურდი 190, 191

ღ

ღაზი იხ. ილღაზი
ღამბაშიძე დ. 15
ღანხუა 74

ყ

ყაბიბეგი 252
ყადი-აბულ-ფათხი 86
ყადი-ელმ-ად-დინი 84
ყადი-ელმ-ად-დინ-იბნ-ჯაბრი 86
ყაითუყო 252
ყაუხჩიშვილი ს. 196, 203, 220
ყიფშიძე გრ. 15
ყორჩიბაშვილები 342, 343, 403, 404, 405, 406
ყუბასარი 38, 39, 186, 192
ყუთლუ არსლანი 170, 188, 193, 195, 207, 214, 215

შ

შადინაანთ ნონია 256, 258
შადინოვი 394
შავმთიელი ნიკო 241
შაიშმელაშვილი იე. 20
შალვა ახალციხელი 101
შამს ად-დაულა თუღიანი 86
შანადირ (ნადირ შაჰი) 313
შანიძე აკ. 205
შარდენი 248, 283, 296, 297, 300, 304, 305, 309, 310, 313, 315, 323, 326, 327, 328, 331, 351, 352, 353, 360, 362, 364, 365, 374, 412, 428
შარვაშიძე 268
შარუკანი 182
შასეფი 313
შაჰ-ნადირი 325, 326, 375, 376
შედადიები 122
შენგელია ნ. 19
შერმაზანა 256
შირვან-შაჰი 59
შოთა რუსთაველი 140, 169, 194, 242, 243, 433

ჩ

ჩარვანდაროვი ოსმან 391
ჩარმაღანი 205
ჩაჩაიძე სოფრომა 260
ჩერენცოვი 396
ჩუბინაშვილი დ. 414, 431
ჩუიკო 335, 381
ჩხატარაიშვილი ქ. 19, 20, 38, 39, 93
ჩხეიძე თეიმურაზი 367
ჩხეიძე სეხნია 309, 314, 324, 341

ც

ცინცაძე ი. 160, 172, 173, 174, 175, 176, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 202, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 218, 219
ციცი 414
ციციანოვი 302
ციციშვილი 335
ცქიტიშვილი ო. 11, 86
ცხაკაია ლ. 264, 265
ცუცხაშვილი სიმონა 259

ძ

ძაგან აბულეთის ძე 28

წ

წერეთელი ალფრეზი 260
წერეთელი გ. 10

ჭ

ჭავჭავაძე ილია 139
ჭიჭინაძე ზ. 15
ჭყონია ალ. 295

ხ

ხაზი (ამირა არდუხის ძე) იხ ილღაზი
ხანძთელი გრიგოლ 220, 221, 222, 223
ხატია 249
ხერხეულიძე ომან 309, 314, 350, 351, 352
ხორეოდინოკი 394
ხუფათელი 243
ხოშტარია ნ. 266

ჯ

ჯავახიშვილი ივ. 15, 16, 38, 40, 90, 91, 92, 110, 126, 127, 155, 156, 157, 167, 170, 189, 192, 193, 196, 197, 199, 201, 202, 203, 204, 208, 209, 210, 215, 217, 220, 229, 230, 234, 245, 246, 272, 297, 300, 349, 374, 428, 431, 433
ჯამბაკურ-ორბელიანი ალ. 292, 341, 342,
ჯალალ ედ-დინი 433
343, 344, 401, 402, 403, 407, 420, 424, 423
ჯანაშვილი მ. 15, 19
ჯანაშია ს. 16, 28, 62, 66, 156, 157, 165, 214, 215, 271, 277, 292, 420
ჯანგიძე მ. 19
ჯაფარი ა(მირა) 107, 111
ჯაფარიდები 108
ჯაყელი 209
ჯუანშერ 220

ჰ

ჰაქსტჰაუზენი 249
ჰენრიხ IV 127
ჰომეროსი 135, 136
ჰონენცი ტიგრან 169, 195

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აგარანი 48, 149
ადარბადაგანი 141
ავანაანთხევი 380
ავლაბარი 327, 330, 334, 336, 337, 378, 379, 381, 382, 384, 385, 388, 389, 391, 392, 393, 394
ავჭალა 369

აზერბაიჯანი 48, 79, 112, 120, 121, 149, 409
აზია 53
ათენი 138
ათონი 221, 222, 224, 225, 226, 227, 228, 237, 238, 239, 240, 243, 247
ათონის მთა 138, 235
აია სოფია 244
ალაზანი 61, 349
ალაზნის არხი 167
ალბანეთი 190
ალგეთი 91
ალეპო 79, 83, 89
ალექსანდრია 168
ალი 169, 292, 293, 297, 300, 351, 352
ამიერკავკასია 24, 25, 49, 55, 59, 62, 63, 72, 80, 103, 152, 153, 155
ანაგა 346
ანაკლია 294, 296, 299, 352, 364, 365, 370, 371
ანაკრია იხ. ანაკლია
ანანური 300, 301, 302, 303, 304, 321, 369, 370, 371
ანარგია იხ. ანაკლია
ანისი 8, 59, 102, 114, 122, 123, 124, 152, 153, 195, 196, 198, 199, 200, 201, 205, 428
ანის-შირაქი 122
ანტიოქია 12, 27, 59, 60, 64, 69, 70, 80, 89, 128, 131, 146, 150, 172
ანტიოქია-იერუსალიმი 79
არაბეთი 83, 84
არაბთა ოლქი 76, 82
არაგვი 301, 302, 303, 322
არანი 25, 59, 78, 84
არარატი 124
არგვეთი 24, 60, 125, 143, 153
არზანი 85
არზრუმი იხ. ერზერუმი
ართვინი 294
არკალა მდ. 303
არმაზი 292
არმენია 134
არტანუჯი 169, 294
არცახი 124
არჯევანი 292
ასისფორნი 60
ატენი 23, 142, 169, 292, 293
აფხაზეთი 75, 184, 268
აღარწანი 38, 39
აღმ. საქართველო 295, 299, 300, 321, 345, 374, 386, 400, 431
აღმ. ევროპა 68
აყუ 299, 365
აშორნია 74
აწყური 292, 293, 297, 304, 356, 369, 370, 371
აჭარა 60
ახალგორი 292, 293, 300
ახალდაბა 292, 293
ახალქალაქი 169, 292, 293, 294, 306, 307, 308, 309, 356, 369, 370, 371
ახალციხე 169, 279, 292, 293, 297, 304, 308, 309, 310, 311, 312, 353, 369, 370, 371
ახლო აღმოსავლეთი 66, 149, 162
აჯამეთი 363

ბ

ბაბილონი 165
ბათო 292
ბათომი 169, 294, 298
ბაიბურდი 294
ბაკურციხე 347
ბარალეთი 169, 293
ბარდავი 75
ბასიანი 73, 155, 294
ბაღდადი 84, 112, 155, 168
ბიზანტია 21, 22, 23, 24, 25, 44, 49, 50, 51, 52, 53, 58, 59, 60, 72, 129, 137, 140, 141, 142, 143, 157, 168, 169
ბითლისი 85
ბიქვინთა 298
ბოდბე სოფ. 347, 349, 350
ბოდბისხევი 349, 350
ბოლნისი 293
ბორტია 74
ბოტკო 246
ბოპორმა 345

გ

გადიდი 266
გალიჩი 184

გარდაბანი 292
განძა 59, 73, 76, 77, 78, 79, 81, 82, 83, 84, 85, 87, 89, 90, 91, 108, 119, 122, 152, 153
განძაკი 75. 76, 82, 85
განჯა 61, 119, 328, 344, 389, 391, 405, 412
განჯის კარი 412
გელათი 56
გერმანია 134
გიენდარ-სუ 307
გილანი 84
გიში 48, 293
გომარეთი 292
გონია 294
გორი 169, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277 278, 292, 293, 297, 300, 310, 313, 314, 315, 316, 317, 319, 320, 348, 351, 369, 370, 371, 396, 397, 398, 399, 400, 411
გრემი 292, 293, 295, 345
გუბის წყალი 361
გოკია 293
გულგულა 343, 404
გურგანის ზღვა 141, 155
გურჯისტანი 313

დ

დაბახანის ხევი 414
დამასკო 59, 83
დამიეტი 166
დარუბანდი 120, 125, 153, 155
დარუბანდ-შირვანი 120
დარიალი 54
დასავლეთ ევროპა 131, 137, 160, 163, 165, 254, 283
დასავლეთ საქართველო 117, 269, 270, 294, 295, 297, 298, 299, 352, 357, 362, 363, 364, 366, 367, 370, 371, 431, 432
დაღესტანი 352
დვინი 59, 84, 85, 90, 91, 153
დიდგორი 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 49, 71, 72, 75, 76, 78, 79, 80, 81, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 97 100, 101, 102, 103, 104, 105, 112, 113, 117, 119, 120, 122, 125, 130, 131, 132, 133, 135, 136, 139, 152, 164, 172, 176
დიდი სომხეთი 124
დიდვალი 246
დიღმის ხეობა 94, 96
დიღომი 369
დიდშენი 293
დმანისი 76, 77, 79, 81, 105, 117, 118, 119, 150, 152, 168, 169, 292
დონეცკი (მდინარე) 182
დონი 183
დუშეთი 302, 320, 321, 322, 369, 370, 371

ე

ეგვიპტე 165, 168
ეგრისი 294
ევროპა 26, 65, 67, 160, 163
ევფრატი 84
ეთიოპია 84
ეკბატანი (რეზიდენცია) 134
ეგური იხ. ენგური
ენგური 268, 354, 365
ერაყი 82, 155
ერევანი 428
ერზრუმი 84, 86, 90, 428
ერწუხი 6, 48, 72, 149

ვ

ვანანდი 124
ვანი 266
ვანქის უბანი 381, 384
ვარდციხე 169, 299
ვაქირი სოფ. 346, 348
ველისციხე სოფ. 347
ვერე 91, 392, 414
ვოლგა 168
ვოლინი 184

ზ

ზეკანი 167
ზემო ქართლი 417
ზენჯანი 84

ზოვრეთი 169
ზუბდიდი 263, 267, 268, 269, 270, 298
ზუბი, ზუბუ 263, 267, 269, 270
ზუგდიდი 263, 264, 265, 266, 267, 269, 270, 294, 353, 363
ზუფუ 269, 292, 294, 298

თ

თაბორი 411, 415
თავრიზი 112, 120
თავფარავანი 309
თავფარავან-ჩაი 307
თამარაშენი 292, 293
თბილისი 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 14, 17, 19, 22, 23, 73, 76, 77. 78, 79, 81, 88. 89, 90, 91, 94, 99, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 116, 117, 118, 119, 124, 126, 137, 138, 139, 142, 150, 152, 161, 162, 167, 169, 185, 186, 187, 188, 190. 192, 193, 194, 195, 196, 197, 200, 202, 204, 206, 208, 209, 211, 213, 214, 215, 216, 218, 249, 250, 252, 253, 254, 255, 259, 261, 274. 276, 282, 283, 284, 292, 293, 303, 323, 324, 325. 326, 327, 329, 330, 331, 332, 335, 336, 338, 339, 362, 369, 370, 371, 374, 375, 376, 377, 378, 379, 380, 382, 383, 385, 386, 387, 388, 389, 391, 394, 395, 396, 397, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 419, 420, 422, 423, 424, 426, 427, 428, 429. 430, 432, 435
თეკლანა 298
თელავი 169, 292, 293, 300, 339, 340, 341, 342, 343, 344, 345, 369, 370, 371, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407
თელავი მდ. 342, 403, 406
თელეთის ქედი 376
თეოდოსიუპოლი 190, 203
თერგი 168
თეძამი 91
თიუდოპოლისი იხ. თეოდიუსიპოლი
თმოგვი 169, 350, 351
თურდოს ხევი 339
თრიალეთი 73, 90, 91, 94

ი

იერუსალიმი 27, 59, 64, 66, 67, 68, 69, 70, 71, 80, 92, 128, 134, 146, 163, 164, 165, 221, 346
ივერია 68, 417, 419
იკონი 53
იმერეთი 267, 279, 297, 353, 355, 360, 362, 363, 365, 366, 367, 370
ინდოეთი 84, 135, 168
იორი 61
ირანი 24, 29, 155, 379
ირანის აზერბაიჯანი 155
ისანი 329
ისპაჰანი 25, 144
ისპირა 294
იტალია 168
იტილი 168

კ

კავთურა 91
კავკაზის მთა იხ. კავკასიის მთა
კავკასია 22, 53, 55, 62, 63, 65, 86, 103, 141, 155, 160, 248
კავკასიის მთა 124, 155, 309
კაიშაური 303, 304
კაკაბაძე ს. 103
კალა 327, 329, 330, 334, 337, 376, 377, 378, 388, 395
კალაუბანი 335, 381, 384
კაპოეტის წყალი 298
კარდანახი 348
კარეის ლაერა 235
კარი იხ. ყარსი
კარმიანი 89
კარმიანის ქვეყანა 76, 82
კარნუ ქალაქი 154, 190, 203, 217
კასპიის ზღვა 124, 168
კასპიის კარი 67, 163
კახეთი 25, 48, 61, 73, 138, 144, 149, 249, 276, 281, 293, 296, 297, 300, 339, 340, 383, 400, 417, 419, 422, 431

კახეთის მთა 349
კახეთ-ჰერეთი 22, 23, 142
კიევი 54, 57, 58, 130, 137, 153, 159, 173, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 184, 185, 212
კიევის რუსეთი 55, 56, 58, 158, 176, 178, 181
კილიკია 53, 64, 70
კირეოობადი 79
კირხბულახი 308
კლარჯეთი 21, 60, 141
კლდეკარი 22, 23, 28, 94, 107, 141, 142, 147
კოლა 294
კონდოლი 343, 404
კონია 59
კონსტანტინოპოლი 51, 52, 59, 63
კოჯორი 414
კრწანისი 139
კუკია 385, 388, 393
კუმისი 414
კურდღელაური 343, 404, 406
კურდღელაური მდ. 343

ლ

ლალაში 364
ლენინგრადი 197, 268, 324, 373, 394, 395, 418
ლენხე, ლოგჰინე 263
ლეჩხუმი 431
ლიახვი 313, 315, 316, 317, 319, 397, 398, 399
ლიკათი, ლიზანი 74
ლინი (ლენხე, ლეჰნე) 263
ლორე 48, 59, 69, 73, 124, 153
ლორეტაშირი 25, 124

მ

მალაფარიკინი 74, 78, 84, 86
მანასკერტი 50
მანგანი 52
მანგლისი 90, 91, 94, 95
მანცხვარკარი 264, 265, 266
მარდინი 74, 78, 84, 86
მარტყოფი 223, 333, 383
მაშნაარი 347
მაჩხაანი 347
მაღარო 347, 349, 350
მახლობელი აღმოსავლეთი 73, 75, 80, 81, 106, 114, 122, 143
მერუბაანთ ხევი 347
მეტეხი 60, 329, 333, 334, 369, 376, 379, 381, 384, 385, 391, 392
მეჯვრის ხევი 398
მეჯუდა 315, 317, 397, 398
მთაწმინდა 415, 419
მიდია 135
მირზაანი 393
მირზაანი 348
მირზაბადი 389
მოლდავეთ-ვლახეთი 172
მოსკოვი 180, 267, 291, 305, 310, 324, 325, 341, 373, 375, 377, 380, 386, 395, 396, 397, 401, 411
მოსული 11, 169
მტკვარი 61, 107, 304, 305, 310, 313, 325, 327, 328, 329, 330, 331, 333, 334, 338, 339, 369, 375, 376, 378, 379, 382, 383, 384, 385, 388, 389, 391, 392, 393, 412, 414, 418, 421, 422, 423, 425, 430
მტკეარი იხ. მტკვარი
მცირე აზია 59, 60, 261, 262
მცხეთა 94, 232, 369, 383, 384, 419, 427
მძორეთი 293

ნ

ნაბალრები 104
ნავთლული 369, 383, 389
ნაქალაქევი 298
ნაპარმაგევი 72, 136, 137
ნიკეა 59, 63
ნიკოფსია 125, 153
ნიჩბისი 95
ნიჩბისის ხევი 98
ნორბედის ციხე 122
ნორია 345
ნორმანდია 70, 128
ნუკრიანი 346

ო

ოდიში 268
ოვსეთი 132, 153, 165
ოზურგეთი 294, 298, 299, 364, 370, 371
ოლთისი 169, 294
ონი 294, 299, 367, 368, 370
ოსეთი 54, 125, 218, 301
ოსმალეთი 294
ოფრეთი 293
ოშკი-ათონი 237
ოძრხე 169

პ

პალესტინა 53, 59, 60, 128, 138, 166
პალიასტომი 292
პანკისი 61
პარიზი 66, 163
პატარძეული 345
პეტრიწონი 202
პონტოს ზღვა 155

ჟ

ჟალეთი 293
ჟელეთი 292
ჟინვალი 169, 293

რ

რანი 119, 120
რაჭა 431
რიზა 294
რიონი 168, 298, 299, 355, 356, 357, 358, 359, 360, 361, 362, 368
რომი 166, 332
რუისპირი 343, 404
რუის-ურბნისი 207, 235, 238
რუმის სასულთანო 59
რუსეთი 36, 48, 54, 56, 57, 58, 72, 93, 134, 158, 159, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 182, 213, 219, 259, 267, 285, 297, 302, 306, 312, 321, 386, 373, 401, 424
რუსთავი 73, 149, 169
რუხვი იხ. რუხი
რუხი 268, 294, 295, 296, 299, 352, 353, 354, 355, 363, 365, 369, 371
რუხის ციხე 298, 353, 354

ს

საბერძნეთი 220
სათლე 294
სათოვლია 104
სამგორი 167
სამეგრელო 223, 295, 353, 354
სამოქალაქო 60
სამშვილდე 48, 72, 73, 149, 169
სამცხე 60, 309
სამცხე-საათაბაგო 293, 304, 417, 419
სამხრეთ საქართველო 143, 293
სამხრეთ იტალია 127
საყბი 345
საფრანგეთი 132, 134
საქართველო 10, 11, 13, 14, 15, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 83, 84, 87, 88, 89, 90, 91, 93, 94, 95, 96, 97, 98, 100, 103, 104, 106, 108, 109, 110, 115, 116, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 137, 138, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 195, 196, 197, 199, 200, 205, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 232, 235, 238, 248, 249, 252, 254, 259, 261, 263, 264, 271, 272, 275, 283, 284, 285, 286, 291, 292, 293, 295, 297, 300,

301, 306, 313, 321, 329, 330, 335, 339, 345, 350, 352, 357, 362, 363, 364, 366, 367, 368, 369, 370, 372, 373, 374, 377, 395, 396, 414, 417, 418, 419, 420, 422, 424, 426, 427, 431
საქობო 346, 347
საჩხერე 294, 299, 364
საციციანო 318
საჯავახიანო 318
საჯიჯაო 269
სეიდაბადი 329, 337, 338, 382, 384, 389
სეფირელი 345
სივნიეთი 53, 59, 60, 71, 75
სიღნაღი 300, 343, 345, 346, 348, 349, 350, 369, 370, 371, 404
სიღნაღის ციხე 345
სიცილია 127
სკანდა 296, 362
სკვითეთი 155
სოლოლაკის მთა 382, 411, 413
სოლოლაკი (სოფელი) 388
სოლოლაკის ქედი 377
სოლოლაკის ხევი 415
სომხეთი 24, 25, 39, 40, 50, 53, 58, 59, 60, 62, 72, 73, 74, 83, 85, 91, 121, 122, 124, 125, 132, 134, 153, 155, 165, 419
სომხით-საბარათიანო 91
სოხუმი 365, 370, 371
სპარსეთი 74, 79, 82, 132, 134, 135, 165, 168, 248, 283, 310, 313
სპერი 155
სტამბული 428
სურამი 61, 293, 297, 300, 351, 352
სხალტბა 246

ტ

ტაო 73
ტაო-კლარჯეთი 29
ტბეთი 237
ტიგროსი 134
ტიფლისი 381
ტმუტარაკანი 55, 93
ტრაპიზონი 53, 154, 155, 157, 169
ტრიპოლიის საგრაფო 128
ტფილისი 203, 296, 297, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 425

უ

უკრაინა 172
უფლისციხე 169
უჯარმა 293

ფ

ფაზისი 360
ფიდი 345
ფოთი 169, 294, 299, 355, 365
ფოცხოვი მდ. 311, 312
ფრანგეთი 165

ქ

ქართლი 21, 24, 25, 30, 40, 60, 61, 68, 91, 94, 104, 106, 117, 123, 138, 143, 146, 162, 163, 189, 211, 217, 276, 281, 293, 297, 326, 375, 408, 422, 431
ქართლ-კახეთი 60, 252, 282, 284, 285, 286, 299, 300, 321, 385, 386, 405, 406, 411
ქედელი 346
ქვემო სამეგრელო 432
ქვემო ქართლი 72, 149
ქიზიყი 300
ქობულეთი 294, 298, 299
ქსნის ხევი 314
ქოთეზი იხ. ქუთაისი
ქუთაისი 118, 169, 259, 261, 262, 294, 296, 298, 299, 357, 358, 359, 360, 361, 362, 367, 369, 370, 371
ქურდეევანი 74

ყ

ყაბალა 119
ყაზვინი 84
ყანჩაეთი 346, 347
ყარაღაჯი 349
ყარსი 90, 91, 123, 191, 202, 203, 308

ყვარელი 292
ყვირილა 298, 366
ყივჩაყეთი 158, 165, 177
ყულევი 365

შ

შავი ზღვა 71, 155, 168, 364, 365
შავი ზღვისპირეთი 93
შავშეთი 60, 306
შაიტახტი 369, 376, 377, 381, 382, 383, 386
შალაური 343, 404
შამი 165
შამქორი 100, 101, 155
შარვანი165
შატბერდი 288, 433
შემახია 74, 120, 121
შიდა ქართლი 91, 94
შილდა 348
შირაქის ოლქი 123
შირვან-არანი 58
შირვანი 25, 48, 59, 73, 74, 119, 120, 121, 122, 125, 129, 132, 149, 152, 153, 156
შორაპანი 294, 299, 366, 367, 370, 371
შორეული აღმოსავლეთი 168
შუა აზია 23, 54, 261, 283

ჩ

ჩიკარისი 296, 362
ჩინეთი 168
ჩიხორი 294, 299, 363, 370
ჩრდილო კავკასია 37, 53, 125, 130, 158, 182
ჩუღურეთი 385, 388, 393
ჩხარი 294, 296, 299, 352, 353, 362, 363, 370
ჩხოროწყუ 269

ც

ცაგერი 269
ცენტრალური აზია 168
ცივი 404
ცივის მთა 343
ცხინვალი 293
ცხომი 298
ცხუმი 169

ძ

ძეგვი 369
ძირულა 366

წ

წავკისი 333, 334, 335, 381, 382, 384, 415
წავკისის წყალი 411
წავკისის ხევი 380, 414
წალკა 94
წალკა-ჯავახეთი 91
წესი 367
წილკანი 300, 370
წინწყარო 293

ჭ

ჭალატყე 299, 364
ჭერემი 293
ჭიდროთი 367
ჭოეთი 345, 349, 350
ჭყონდიდი 60

ხ

ხაბანდა 124
ხაზარეთი 155, 158

ხარფუხი 393
ხერთვისი 351
ხვარასანი 165
ხიბული 269
ხლათი 123
ხობი 269, 298, 299, 363, 364, 370
ხორნაბუჯი 169, 293, 349, 350
ხოტევი 294, 370
ხოფჯა 294
ხუნანი 75, 169, 321

ჯ

ჯავახეთი 107, 167
ჯავახეთის მტკვარი 306
ჯეჯორი 368
ჯიქეთი 141
ჯუღა 348

ჰ

ჰერაკლე 296, 365
ჰალაბი 169
ჰამადანი 112, 120
ჰარიჯი 38, 39
ჰერეთი 339
ჰერეთ-კახეთი 22, 153
ჰერეთის მთა (ცივი) 349, 350
ჰილა 84

შინაარსი

ძლევაჲ საკვირველი 5

I. წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა 5

II. საქართველო დიდგორის ბრძოლის წინ 20

1. ბაგრატ III-დან დავით IV-მდე 20

2. დავით IV აღმაშენებლის საშინაო ღონისძიებები და რეფორმები 26

3. საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა დიდგორის ბრძოლის წინ 49

ა. ურთიერთობა ბიზანტიასთან 49

ბ. ურთიერთობა ჩრდილოეთის ქვეყნებთან და ხალხებთან 53

გ. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები და ურთიერთობა მათთან 58

დ. ჯვაროსნები და საქართველო 63

III. დიდგორის ბრძოლის მიზეზები 72

IV. დიდგორის ბრძოლა 81

1. მოწინააღმდეგეთა ლაშქარი, მისი შედგენილობა 81

2. „ძლევაჲ საკვირველი" 94

V. დიდგორის ბრძოლის შედეგები და მნიშვნელობა 105

1. თბილისის შემოერთება 105

2. ცვლილებები საქართველოს საგარეო ურთიერთობაში 119

საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში 140

შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან (პროფ. იასე ციცაძის წერილის გამო) 172

ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ მონასტერში 220

ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან 248

„ზუგდიდი" თუ „ზუბდიდი" 263

მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIII ს. საქართველოს ქალაქებში (გორის ქეთხუდების საჩივარი) 271

ისევ ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიის შესახებ (პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის შენიშვნების გამო) 282

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქები (XVII—XVIII სს.) 291

ცნობები XVII—XVIII ს. საქართველოს ქალაქების შესახებ 293
აღმოსავლეთ საქართველოს გარეგანი სახე 300
დასავლეთ საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე . 352
ახალი მასალები XVIII ს. საქართველოს ქალაქების ისტორიისათვის 373
მცირე შენიშვნა ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან („იშიტუტრუქის" მდებარეობის საკითხისათვის) . . . 408
XIX ს. პირველი ნახევრის ქართველი მოღვაწენი ძველი თბილისის შესახებ 416
ძველი თბილისის ერთი უბნის სახელწოდებისათვის 427
საძიებელი 436

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე,
ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

სბ 2812

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
მხატვარი შ. ნ ი ო რ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი გ. ლ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორები ე. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ჯ ი ქ ი ა

გადაეცა წარმოებას 7.2.1985; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20,2. 1986;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 28,5;
პირ. საღ. გატ. 28.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 25;

უე 01028; ტირაჟი 8500; შეკვეთა № 3252;

ფასი 3 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19